

# ანალები

ისტორიის, ეთნოლოგიის, რელიგიის  
შესწავლისა და პროპაგანდის  
სამეცნიერო ცენტრი

## ANALEBI

SCIENTIFIC CENTRE FOR STUDIES  
AND PROPAGANDA OF HISTORY,  
ETHNOLOGY AND RELIGION



გამომცემლობა „ანიპრსალი“  
თბილისი 2020

ქურნალის „ანალები“ რედაქციები:

აკად. დ. მუსხელიშვილი (მთავარი რედაქტორი)  
დოქტ. რ. სუნი (ჩიკაგო, აშშ)  
დოქტ. გ. კოსაკი (მარბურგი, გფრ)  
პროფ. გ. ლარსონი (უფსალა, შვედეთი)  
ი.მ.დ. ნ. ვანნაძე  
ფ.მ.დ. ნ. სულავა  
ი.მ.დ. ლ. ბითაძე  
ი.მ.დ. გ. ჭეიშვილი  
პროფ. ვ. ვაშაკიძე  
პოფ. ო. ჯანელიძე  
ი.მ.დ. ა. დაუშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი)

ქურნალი გამოსაცემად მომზადდა ისტორიის, ეთნოლოგიის, რელიგიის შესწავლისა და პროპაგანდის სამეცნიერო ცენტრის საგამომცემლო ჯგუფში „მემბტიანე“.

კომპიუტერული უზრუნველყოფა მ. ბუტიკაშვილისა

© ისტორიის, ეთნოლოგიის, რელიგიის შესწავლისა და პროპაგანდის სამეცნიერო ცენტრი

საავტორო უფლებები დაცულია


ISSN 1512-343X

„ერის ღაერება და გათახსირება მახინ  
ინყება, როერა ერი, თავის საყბედყროდ,  
თავის ისტორიას ივინყებს“.

ილია







ბიოგრაფიული სოსიალური

„შავი ჭირის“ ეპიდემია და შიდა ქართლი

კაცობრიობის ისტორიას რამდენიმე პანდემია ახსოვს. მომაკვდინებელი დაავადებები კონტინენტიდან კონტინენტზე ვრცელდებოდა და განსხვავებული წარმომავლობის და რელიგიური აღმსარებლობის მქონე ხალხებს მუსრს ავლებდა. განსაკუთრებული სისასტიკით დაატყდა მსოფლიოს „შავი ჭირი“, რომელსაც მეორე პანდემიასაც უწოდებენ. „შავი ჭირის“ ეპიდემია გავრცელების ყველა ეტაპზე აზარალებდა ჩვენს ქვეყანასაც. დაავადების შედეგად გამოწვეული მსხვერპლის შესახებ ზუსტი ინფორმაციის მოძიება შეუძლებელია. ეპიდემიას უამრავი ადამიანი ეწირებოდა ქვეყნის არაერთ რეგიონში და გამონაკლისი, ამ მხრივ არც შიდა ქართლი იყო. XVIII საუკუნის II ნახევარში, საქართველოში „შავი ჭირის“ ახალმა ტალღამ იფეთქა. ამ დროისთვის შიდა ქართლი შედარებით უსაფრთხო ადგილს წარმოადგენდა. 1770 წელს, თბილისში გავრცელებული „შავი ჭირის“ დროს დედაქალაქიდან გახიზნული ერეკლე II, პატარა ღიახვის ხეობაში არსებულ სოფელ ბელოთში აფარებდა თავს, შემდეგ კი მეჯვრისხევში. XVIII საუკუნის 90-იან წლებში, როდესაც თბილისში ეპიდემიამ ხელახლა იფეთქა, შიდა ქართლში „შავი ჭირის“ პრევენციის მიზნით გადაადგილების შეზღუდვა დაწესდა. ეს განსაკუთრებით თბილისიდან გორში ჩამოსულ მგზავრებს ეხებოდა. ამას ადასტურებს 1796 წელს იულონ ბატონიშვილის მიერ ოთარ ამილახვარის სახელზე გაგზავნილი წერილი: „ქალაქის ამბავი შენ უკეთ გეცოდინება, მაგრამ ჩვენ ამას გწერთ, ამაზე არავინ მოგატყუოს რომ ქალაქში ჭირი არ იყოს. ხუმრობა არ არის გორში არავინ შეუშვათ ქალაქში

ნამყოფი ხალხი, ან ნათესავი, ან მეგობარი, თორემ ჩვენს მესისხლეთ მოვიკითხავთ მანდედამ. ან პურს არ დაუწყონ ძლევა ან ღვინოს და ან მეგობრობით არავინ გაიაფდეს და არავინ ნახოთ და თუ შეუტყოთ ვისმე, ნუდარც იმას შემოუშვებთ და სახლით და კარით აიკელით, სიფრთხილით მოიქეცით... მდივანი სულხან მოიკითხე და ესე წიგნი მასაც უჩვენე და თავისებურად სიმსხნით და სიფრთხილით უნდა მოიქცეს. ჩვენი ძმა გიორგიც დღეს მადაროს მობძანდა და ხვალ ერთად შევეყრებით. დ-თის გულისათვის ამაზე გაფრთხილდით, თუ შემოსულიყოს ვინმე ქალაქის ხალხი, ისე გარეკეთ, ახლო არსად დააყენოთ. უფლისციხის ზეთ ნუ დააყენებთ, ძალიან გაფრთხილდით.“<sup>1</sup> თუმცა, რამდენიმე წლის შემდეგ, ეპიდემია გორშიც გაჩნდა და მოსახლეობა იძულებული გახდა თავშესაფარი სხვაგან ეძებნა.

1798 წლის ივლისში გორში „შავი ჭირის“ გავრცელების შესახებ საინტერესო ცნობას გვაწვდის იულონ ბატონიშვილის კარის მწიგნობარი იოანე ქართველიშვილი: „განმრავლდა ცოდვათა ჩვენთა ძლით სენი იგი მომსვრელი, რომელსა უწოდებენ ჭირსა და განეფინა ქართლსა და კახეთსა შინაცა და ესრეთ გაჩნდა გორშიაც მაშინ. დიდსა სიმსწრაფლით ავიყარენით გორიღამ ი (10) ივლისს და მივედით კუღბითას. მოეფინა სენი იგი მოსვრელი ქართლსა შინა, მაგრა უმეტეს გამრავლდა და გარდაემატა სენსა მას, შური მეფის გიორგისა, ძმათა თვისთა ზედა.“<sup>2</sup> როგორც ამ ცნობიდან ირკვევა, იულონი ბატონიშვილი თავის ოჯახთან ერთად პატარა ღიახვის ხეობის ზემო წელზე, სოფელ დისეკთან ახლოს, კუღბითში გაიხიზნა.

1807 წელს „შავი ჭირი“ ოსებით დასახლებულ შიდა ქართლის მთიან ნაწილში გავრცელდა. რუსეთის ხელი-

---

<sup>1</sup> საქართველოს ეროვნული არქივი, ცენტრალური საისტორიო არქივი, ფ. 1448, ს.აბ. #3534; ს. აღიმბარაშვილი, ომარ-ხანის თავდასხმები საქართველოზე, თბ., 2007, გვ. 55.

<sup>2</sup> იოანე ქართველიშვილი, მემუარები, თბ., 1952, გვ. 79.

სუფლებამ ოსებთან ურთიერთობის ზომები გაამკაცრა. აიკრძალა ვაჭრობა. ოსებისათვის განსაკუთრებით მოთხოვნად პროდუქტს მარილი წარმოადგენდა. ხელისუფლების გადაწყვეტილებით, დაინფიცირებული სოფლების სიახლოვეს გარკვეული რაოდენობის მარილი ჩაიტანეს. ეპიდემიის რისკის მქონე მოსახლეობას სპეციალური პირობების დაცვით შეეძლოთ გადაადგილება, პირუტყვის საძოვარზე ტარება და სხვ. მოეწყო დაავადების საწინააღმდეგო სადეზინფექციო საკვამლები. 1807 წლის დეკემბრით არის დათარიღებული გრაფ გუდოვიჩის მოხსენება სახელმწიფო მრჩეველის – ლიტვინოვისადმი, სადაც აღნიშნულია: „გრაფმა გუდოვიჩმა ეგერთა მე-9 პოლკის შეფისაგან პოლკოვნიკ შტაუბისაგან მიიღო შეტყობინება ერთ-ერთ ქართულ სოფელში-მიხალდიზებაში (?) (სოფლის სახელი დოკუმენტში არასწორად წერია, გაურკვეველია, რომელი დასახლება იგულისხმება. სავარაუდოდ, საუბარი ეხება დიდი ლიახვის ხეობის მთის ნაწილში ოსებით დასახლებულ სოფელს. - გ.ს.) გადამდები დაავადების გამოჩენის შესახებ. პოლკოვნიკის შეტყობინებას თან ერთვოდა ადგილზე ვითარების შესამოწმებლად გაგზავნილი გორის სამაზრო მკურნალის კორალის პატაკის ასლი, რომელშიც ექიმი დაავადების შესაჩერებლად მიზანშეწონილად მიიჩნევდა შემდეგი ზომების მიღებას:

„1. სოფელ თამარაშენში შესაფერისი ადგილის შერჩევით, სამედიცინო მოხელის დანიშვნით და მისი საჭირო აღჭურვილობით მომარაგებით მოეწყო კარანტინი, სადაც მოხდება მიყვანილი ადამანების ჯეროვანი შემოწმება და სადეზინფექციო შეკვამლა;

2. ახლომდებარე სოფლების ყველა მცხოვრებს მიეცეს უმკაცრესი გაფრთხილება არ იქონიონ მიმოსვლა ოსებთან და შეწყდეს სხვადასხვა დანიშნულების ნივთების, თუ ბამბის მარილზე გაცვლითი ვაჭრობა;

3. ოსებთან მახლობლად მდებარე სოფლებში ნაკელით ან შეშით მოეწყო შესაკვამლები და აიკრძალოს

სოფლებიდან შორს საქონლის საძოვრად გარეკვა. საქონელი იყოლიონ სოფლების მახლობლად და ყოველდღიურად, დღეში ორჯერ, დილა-სადამოს პირუტყვი გაატარონ შესაკვამლებში;

4. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს დასნებოვნებულ სოფელს, რომელსაც შორიდან გარს უნდა შემოეფლოს სადარაჯო საგუშაგოები, გუშაგებმა იქვე გამართონ შესაკვამლები და არ დაუშვან მათთან ვინმეს ახლოს გაკარება.<sup>1</sup>

როგორც ვხედავთ, მთის სოფლებიდან ინფექციის გავრცელების საფრთხის თავიდან ასაცილებლად, დიდი ღიახვის ხეობაში, კერძოდ, სოფელ თამარაშენში საკარანტინე სივრცე მოეწყო. თამარაშენის კარანტინის მიზანი მთებში მცხოვრები ოსების ცხინვალში სავაჭრო მიზნით გადაადგილების შეზღუდვა იყო, რათა ეპიდემია შიდა ქართლის ბარის სოფლებშიც არ გავრცელებულიყო.

მთავარმართებელმა გუდოვიჩმა მკურნალ კორალისგან შეთავაზებული უსაფრთხოების ზომები მოიწონა. დოკუმენტიდან ირკვევა, რომ მარილის საყიდლად ოსების ფარულად შემოპარვის შემთხვევებისაგან თავის დაზღვევის მიზნით, ოსებით დასახლებულ მთის სოფლების ზოლთან მარილს ხელისუფლების წარმომადგენლები ჩაიტანდნენ და იზოლაციაში მოქცეულ ოსურ მოსახლეობას სათანადო უსაფრთხოების დაცვით მისი შექმნის შესაძლებლობა მიეცემოდა.<sup>2</sup>

საკარანტინო შეზღუდვების დაწესებამ შიდა ქართლის მთიან ნაწილში ჩამოსახლებული ოსების მღელვარება გამოიწვია. 1808 წელს ეპიდემია შედარებით ჩაცხრა. ხელისუფლებამ ოსებს გადადაგილების შეზღუდვები გაუმარტივა. მათ სათანადო წესების დაცვით სხვა სოფლებში ვაჭრობის ნებართვა მიეცათ. ეს დასტურდება გრაფ გუდო-

---

<sup>1</sup> АКАК, т. III, 1869, стр. 54, #104.

<sup>2</sup> Там же, стр. 54



ვიჩის 1808 წლის 2 აპრილს გენერალ ახვერდოვისადმი გაგზავნილი წერილით.<sup>1</sup>

შიდა ქართლში „შავი ჭირის“ გავრცელების ფაქტები მომდევნო წლებშიც დაფიქსირდა. მთავარმართებელ ტორმასოვის მიერ პოლიციის მინისტრის ბალაშოვისადმი გაგზავნილი 1811 წლით დათარიღებული წერილიდან ჩანს, რომ „შავი ჭირის“ ეპიდემიის შემთხვევები გამოვლინდა ქარელსა და ბრეთში.<sup>2</sup> ახალციხეში „შავი ჭირით“ გარდაცვლილი თავადის – ციციშვილის მსახურმა, ქარელში თავისი დასნებოვებული პატრონის ნივთები ჩაიტანა და იმ ოჯახში, სადაც დაბინავდა, გადამდებ დაავადებას 3 მამაკაცი და 1 მანდილოსანი ემსხვერპლა. ტორმასოვის მოხსენებიდან ირკვევა, რომ ეპიდემიის რამდენიმე ფაქტის დადასტურებას დაემთხვა სოფელ ერგნეთში იქაური წარჩინებულის – ხერხეულიძის სიკვდილი. მიუხედავად იმისა, რომ მისი გარდაცვალების მიზეზი „შავი ჭირი“ არ აღმოჩნდა, ხელისუფლებამ სიფრთხილე გამოიჩინა და სოფელი იზოლაციაში მოაქცია.<sup>3</sup> ტორმასოვის წერილის მიხედვით, „შავი ჭირი“ დაფიქსირდა ასევე სოფელ ბრეთში, რის შედეგადაც 4 ადამიანი გარდაიცვალა. როგორც ირკვევა, ოჯახის უფროსი ახალციხის საფაშოდან დაბრუნდა, სახლში ქსოვილი და წვრილმანი ნივთები ჩამოიტანა და მისი ოჯახის წევრების დასნებოვნების მიზეზი სწორედ ეს გახდა.<sup>4</sup>

შიდა ქართლში არსებულ სოფელ ბრეთში „შავი ჭირის“ ეპიდემიამ მწვავედ 1828 წელს იფეთქა. მთავარმართებელ პასკევიჩის მიერ 1828 წლის 29 დეკემბერს გენერალადიუტანტ ზაკრევსკის სახელზე გაგზავნილი წერილიდან ჩანს, რომ სოფელი კარანტინში იყო მოქცეული. ეპიდემიით

---

<sup>1</sup> АКАК, т. III, стр. 219, #393. გ. თოგოშვილი, ქართველი და ოსი ხალხების ურთიერთობა 1801-1921 წ.წ. თბ., 1969, გვ. 18.

<sup>2</sup> АКАК, т. IV, (I), стр. 105-106, #132, 134.

<sup>3</sup> Там же, стр. 105-106, #132.

<sup>4</sup> Там же, стр. 106, #134.

გარდაიცვალა ადგილობრივი წარჩინებული ოჯახის წარმომადგენელი მანდილოსანი ავალოვი (ავალიშვილი), დაინფიცირდა ამავე ოჯახის წევრი ლუარსაბ ავალოვი (ავალიშვილი), რომელიც გარკვეული პერიოდი იზოლაციაში იმყოფებოდა, თუმცა მისი გადარჩენა ვერ მოხერხდა. პასკევიჩის წერილიდან ირკვევა, რომ მცირე ხნის შემდეგ ხელისუფლებამ ძლიერი ყინვების გამო, ჭაღის (შესადგლო კასპის რაიონში არსებული სოფელი) საკარანტინო ხაზი გააუქმა და მდ. ლიახვზე ჩაყენებული ადგილობრივი მოსახლეობის მიერ შემდგარი საკარანტინო მწკრივებიც მოხსნა.<sup>1</sup>

დაწესებულ რეგულაციებს მოსახლეობა ხშირად არღვევდა და არსებულ წესებს არ ემორჩილებოდა, ასეთ შემთხვევას ჰქონდა ადგილი გორის მაზრის სოფელ მეჯვრისხევში. ამას ადასტურებს მთავარმართებელ რტიშჩევის მიერ გენერალ სიმონოვიჩისადმი გაგზავნილი 1813 წლის 31 ოქტომბრით დათარიღებული წერილი. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ ადგილობრივმა მამასახლისმა, სოფლის მოსახლეობამ და თავადმა ერისთავებმა დაუმორჩილებლობა გამოუცხადეს კარანტინის ინსპექტორს თუმანოვს (თუმანიშვილს) და გორის მკურნალ ექიმს კორალის. მოსახლეობის ასეთი ქმედების გამო რტიშჩევი ხელისუფლების ჩინოვნიკებს ადანაშაულებდა, რომლებმაც ხალხის მიერ კანონის დარღვევა სამართალდამცავ სტრუქტურებს დროულად არ შეატყობინეს. რტიშჩევი სიმონოვიჩს ურჩევდა, სიტუაციის გასაკონტროლებლად შეექმნა საგანგებო კომისია, რომელშიც სამხედრო ჩინოვნიკები შევიდოდნენ. მისი რეკომენდაციით კომისიას სათავეში ჩაუდგებოდა პოდპოლკოვნიკი ტოკარევი.<sup>2</sup> საკარანტინო წესების შემოღების პარალელურად, ხელისუფლების მიერ გორის მაზრის სოფლებში, ისევე როგორც ქვეყნის სხვა მხარეებში ეპიდემიოლოგიური სიტუაციის მუდმივი მონიტორინგი ხორციელდებოდა.

---

<sup>1</sup> АКАК, т. VII, 1878, стр. 222, #157.

<sup>2</sup> Там же, стр. 347-348, #407.

ბოდა. მოსახლეობაში საერთო წესებისადმი დაუმორჩილებლობა შეინიშნებოდა, რაც დაავადების გავრცელების რისკს კიდევ უფრო ზრდიდა. „შავი ჭირი“ გარდაცვლილ ადამიანებზე ან დასნებოვნებულთა ნივთებზე შეხებითაც გადადიოდა, რაც ხალხში პანიკას კიდევ უფრო ზრდიდა. იყო შემთხვევები, როდესაც მოსახლეობა ეპიდემიით გარდაცვლილთა დაკრძალვაზეც კი უარს ამბობდა და ხელისუფლება მიცვალებულებს და მათ საცხოვრებლებს წვაავდა. ამ მხრივ, შიდა ქართლის, კერძოდ, გორის მაზრის სოფლებში არსებული მდგომარეობის შესახებ ძალზე საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის დივიზიის ექიმის მინერვინის პატაკი მთავარმართებელ გენერალ რტიშჩევისადმი, რომელიც 1815 წლის 11 აპრილს გორშია შედგენილი. პატაკში აღნიშნულია, რომ ექიმი მინერვინი საერო სამსახურის ოფიცერთან ერთად იმყოფებოდა გორის მაზრის ზოგიერთ სოფელში, რათა ეპიდემიის გავრცელების შესახებ არსებული სიტუაცია შეესწავლა. დოკუმენტიდან ჩანს, რომ „შავი ჭირით“ დაინფიცირების შემთხვევები დაფიქსირდა გორის მაზრის სოფლებში: ვარიანში, ნიქოზში, ცხინვალში, ერედვში, ზერტში, კირბალში. ექიმ მინერვინის მოხსენებით ბარათში წარმოდგენილია გორის მაზრაში ეპიდემიის გავრცელების ფაქტები. დოკუმენტში ვკითხულობთ: „1. ქ. გორიდან 9 ვერსის მოშორებით მდებარე სოფელ ვარიანის დათვალიერებისას ერთ-ერთ ოჯახში აღმოჩნდა გარდაცვლილი ქალი გადამდები ნიშნებით, მის მეუღლეს ლოყაზე ძირმაგარა ჰქონდა. აქ საეჭვო მდგომარეობაში 10 ადამიანი იმყოფებოდა. 2. სოფელ ქვემო ნიქოზის ორ ოჯახში აღმოჩნდა 5 გარდაცვლილი და 17 საეჭვო მდგომარეობაში მყოფი ადამიანი. გაირკვა, რომ ამ ოჯახებში ეს დაავადება ჯერ კიდევ 1812 წელს არსებობდა, ხოლო მარტის თვის პირველ რიცხვებში ეპიდემიამ კვლავ თავი იჩინა. ადგილობრივი მოსახლეობის თქმით, მათი დასნებოვნება იმ ორმოს გათხრამ გამოიწვია, სადაც დაინფიცირებული ნივთები ჰქონ-

დათ დაფლული. 3. დადგინდა, რომ სოფელ ერედვში დაავადება ერთმა ოსმა ქალმა შეიტანა, რომელიც ქვემო ნიქოზის დასნებოვნებული ოჯახიდან ერედვში გადავიდა. აქ მან ერთ-ერთ ოჯახში რამდენიმე საათი დაჰყო, ხოლო დამე სხვა ოჯახში გაათენა. ამის შემდეგ იგი ოსური სოფლებისაკენ გაემართა. დაავადება მომდევნო დღეს ორივე ოჯახში გამოვლინდა. ერედვში ერთ სახლში შავი ჭირისაგან სამი გარდაცვლილი აღმოჩნდა. ვინაიდან მათ დასაფლავებაზე ადგილობრივმა მცხოვრებლებმა უარი განაცხადეს, გარდაცვლილთა გვამები, სახლი და ქონების ნაწილი ცეცხლს მიეცა. ამ ორ ოჯახში (?) 12 ადამიანი გარდაიცვალა, 2 ქალი ავადაა და 5 -ის მდგომარეობა საეჭვოა. 4. სოფელ ზერტის 4 ოჯახში დაავადება მარტის პირველ რიცხვებში გამოვლინდა. შავი ჭირისაგან იქ 10 ადამიანი გარდაიცვალა, 7 - ავადაა, 28 კი საეჭვო მდგომარეობაშია. საიდან იქნა შემოტანილი დაავადება ამ სოფელში, ცნობილი არ არის. 5. სოფელ ზერტიდან 3 ვერსის მოშორებით მდებარე სოფელ კირბალში ამა თვის 8-ში 12 წლის ბიჭი გარდაიცვალა. მას საქონელი საძოვრად სოფელ ზერტის დასნებოვნებულ ოჯახებთან ახლოს ჰყავდა. სავარაუდოდ, სენი მათგან გადაედო. ზემოთ ხსენებული სოფლებიდან ყველა დაინფიცირებული ოჯახი ჩემს მიერ შესაფერის ადგილზე იქნა გადაყვანილი. დაავადებულები განცალკევებულნი არიან საეჭვო მდგომარეობაში მყოფთაგან. მათი სახლები სრულყოფილად იქნა დეზინფექცირებული, სხვები კი სათანადო ყურადღების ქვეშ იმყოფებიან. განსაკუთრებული საჭიროებიდან გამომდინარე სოფელ ქვემო ნიქოზში ჩაყენებულია კაზაკთა ყარაული“.<sup>1</sup>

ექიმ მინერვინის მოხსენებიდან ირკვევა, რომ 1815 წლის 4 აპრილს ეპიდემია დაფიქსირდა ქ. გორში მცხოვრებ ერთ-ერთ ოჯახში. დაავადება სოფელ ზერტიდან გავრცელ-

---

<sup>1</sup> АКАК, т. V, стр. 350-351, #412.

და.<sup>1</sup> მინერვინმა ხელისუფლების დავალებით ეპიდსიტუაცია შეისწავლა ცხინვალშიც, შეამოწმა ხერსონის გრენადერთა პოლკის ჯარისკაცების მდგომარეობა. სამხედრო პირებმა ცხინვალიდან გასვლის დროს 12 დღიანი კარანტინი გაიარეს. მინერვინის ინფორმაციით აღმოჩნდა ერთი დაინფიცირებული პირი - შტაბს-კაპიტან რიაბინინის მომსახურე ჯარისკაცი. თუმცა დაინფიცირების წყარო ვერ დაადგინეს. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ ცხინვალში ეპიდსიტუაცია სტაბილური იყო. ვიდრე ექიმი მინერვინი გორის მაზრის ზემოთ აღნიშნულ სოფლებს ამოწმებდა, მისი დავალებით გორის საშტატო მკურნალი კორალი სოფელ ქვემო ნიქოზსა და სოფელ ნიხბისში არსებულ მდგომარეობას გაეცნო, სადაც „შავი ჭირით“ დაინფიცირების ფაქტები არ აღმოჩნდა. იმ დროისათვის ეპიდემიის შემთხვევები შიდა ქართლის კიდევ სამ სოფელში დადასტურდა. თებერვლის პირველ რიცხვებში დაავადებამ თავი იჩინა სოფელ სასირეთში. დადგინდა, რომ ის სოფელ ქვემო ხანდაკიდან გავრცელდა, „შავი ჭირი“ ჯავახეთიდან გადმოსულმა გლახაკებმა შემოიტანეს. მარტის შუა რიცხვებში დაავადება გამოვლინდა სოფელ დოესში, ხოლო იმავე თვის ბოლოს კი სოფელ ქვახვრელში. „შავი ჭირის“ ფაქტები დადასტურდა ასევე წილკანსა და მჭადიჯვარში. როგორც ჩანს, ქართლის ამ ნაწილში შედარებით მძიმე იყო ეპიდსიტუაცია, რის გამოც ხელისუფლებამ ექიმი მინერვინი მუხრანში გაგზავნა.<sup>2</sup>

„შავ სიკვდილად“ ცნობილმა ეპიდემიამ შიდა ქართლში, კერძოდ, გორში XIX საუკუნის 20-იან წლებშიც იჩინა თავი. ამის მიზეზი ოსმალეთის ფრონტიდან დაბრუნებული ხერსონის გრენადერთა პოლკის ჯარისკაცები იყვნენ. გადამდები დაავადება სწორედ მათ შემოიტანეს. მთავარ-მართებელმა პასკევიჩმა გორის მაზრაში მკაცრი საკარან-

---

<sup>1</sup> Там же, стр. 351.

<sup>2</sup> АКАК, т. V, стр. 350-351, #412.

ტინო შეზღუდვები დააწესა. გატარებულ ღონისძიებებთან დაკავშირებით პასკევიჩი 1828 წლის 8 დეკემბერს გენერალ-ადიუტანტ ზაკრეესკის წერდა: „თქვენი აღმატებულებავ, მივიღე რა, თქვენი 20 ნოემბრის #1226 მომართვა, სადაც გადმოცემულია სამედიცინო საბჭოს მოსაზრება საქართველოში შავი ჭირის გავრცელების შესახებ, თავს ვაღიარებულად მივიჩნევ გაცნობით შემდეგი: 1) ჩემი განკარგულებები გორის მაზრის მიმართ, სადაც ჯარებს შავი ჭირი აღმოაჩინდათ, სამედიცინო საბჭომ არასწორად მიიჩნია, იქვე დასძინა, რომ იმ მხარეში ადგილზე არსებული ვითარება მისთვის უცნობი იყო. საჭიროდ ვთვლი დაწერილებით გადმოგცეთ აღნიშნული მიმართულებით ყველა ჩემი განკარგულება, რათა დავარწმუნო ეს უწყება, რომ ხელიდან არ გამიშვია ყოველივე ის, რისი განხორციელებაც კი შესაძლებელი იყო ამ მნიშვნელოვან საქმეში. ა) მივიღე თუ არა პირველი შეტყობინება არდაჰანიდან დაბრუნებული ხერსონის გრენადერთა პოლკის ასეულებში შავი ჭირის გავრცელების შესახებ, ამ უბედურების შეჩერების და მისგან საჯარისო დანაყოფების და გორის მაზრის მაცხოვრებლების დაცვის მიზნით, ადგილზე ქმედითი ზომების განხორციელება დავავალე ხერსონის გრენადერთა პოლკის მეთაურს პოლკოვნიკ ბურცოვს, რომელმაც სამსახურისადმი გულმოდგინე და სანიმუშო დამოკიდებულებით თავი მრავალგზის გამოიჩინა. ამასთან, ერთად შავი ჭირის აღმოფხვრის მიზნით, მას გორის მაზრის პოლიციური მართვა და ქართლში განლაგებული საჯარისო დანაყოფების მეთაურობაც დაევალა. ბ) დასნებოვნებულთა, ასევე საეჭვო მდგომარეობაში მყოფთა განთავსებისთვის და ნივთების დეზინფექციისთვის ქ. გორში კარანტინი მოეწყო; გ) გორის მაზრაში საქართველოს სხვა კუთხეებიდან მიმოსვლა კორდონების განლაგებით შეწყდა, ხოლო გორიდან თბილისისკენ მიმავალ მთავარ გზაზე, დუშეთისა და გორის მაზრების საზღვარზე კარანტინი შეიქმნა, რომელსაც საკარანტინო წესდების უმკაცრესი დაცვა ევალება. დ) რადგან ქ. თბი-

ლისს სხვა რეგიონებისგან განსხვავებით ხორბლით ძირითადად ქართლი ამარაგებდა, დედაქალაქის მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფის მიზნით ზემოთ აღნიშნულ კარანტინთან გორის მაზრის საზღვარზე საკარანტინო წესების სრული დაცვით გაიხსნა ბაზარი. ხორბლის შესყიდვისთვის კი დაინიშნა საგანგებო მოხელე. ე) გორის მაზრის გავლისას მესანგრეთა ასეულებში მყოფ ჯარისკაცებს შავი ჭირის ნიშნები გამოუვლინდათ. ამავე ასეულების მიერ ეპიდემია გაგრძელებულ იქნა გორსა და სურამს შორის მდებარე 3 სოფელში, რის გამოც გაძლიერდა საკარანტინე უსაფრთხოების ზომები. ასეულები გორის მაზრაში დაბანაკდნენ და მათთან ყოველგვარი კავშირი შეწყვეტილია.<sup>1</sup>

ოსმალეთის ფრონტიდან დაბრუნებულ რუს ჯარისკაცებს უკავშირდება ასევე 1830 წელს, გორში, ქოლერის ეპიდემიის შემოტანა<sup>2</sup>. XIX საუკუნის II ნახევარსა და XX საუკუნის I მეოთხედში ქვეყნისთვის სწორედ ქოლერა იქცა ახალ თავსატეხად.

**GIORGI SOSIASHVILI**

## **"BLACK PLAGUE" EPIDEMIK AND SIDA KARTLI**

The "Black Plague" epidemic had damaged all the regions of Georgia on each stage. It is impossible to define the exact number of deaths caused by the epidemic outbreaks, as we have general information about the deadly diseases in the documented sources. Each wave of the epidemics had resulted in deaths of a lot of people, and Shida Kartli is not an exception in this regard, however it is worth noting that during the second half of the XVIII century, Shida Kartli had been considered as a relatively safe place in terms of epidemics threat. In 1770, as we mentioned earlier, King Erekle II had fled to village Beloti in Patara Liakhvi Gorge, and later on to Mejvriskhevi


---

<sup>1</sup> AKAK. т. VII, стр. 216, #155.

<sup>2</sup> ე. მამისთვალიშვილი, გორის ისტორია, ტ. II, თბ., 2019, გვ. 83.

due to the "Black Plague" outbreak in Tbilisi. In the 90s of the XVIII century, when there had been another epidemic outbreak in Tbilisi, for the prevention measures, a movement of the population had been prohibited. The prevention had concerned the residents of Tbilisi arriving in Gori. This fact is attested in the letter by Iulon Batonishvili to Amilakhvari dated back to 1796. In 1807 there had been the "Black Plague" outbreak in the mountainous part of Shida Kartli resided by ethnic Ossetians, due to which the Russian government had toughened the measures by prohibiting the trade. The Ossetians had been in need of the salt, therefore the government had provided them with necessary amounts of it. The diseased population had been allowed to freely move in the region, conduct cattle grazing and etc. In order to avoid the spread of the disease from the mountainous region, the government had set up a quarantine space in village Tamarasheni, with the aim to prohibit the mountainous population from trading in Tskhivali, in order to avoid the spread of the disease in the rest of the villages in Shida Kartli. By 1808 the epidemic had relatively calm down and the government had abandoned the restrictions for the Ossetians. They had been allowed to trade to other places, but with necessary precautions. This is attested in the letter of Duke Gudovich to general Alakhveroff dated to April 2, 1808. As the government had been setting regulations to avoid further spread of the disease, there had been cases, when the population violated the rules, which is attested in the letter of general Rtishchev to general Simonovich dated to October 31, 1813. In the document, we read that the local population in Mejvriskhevi had violated the regulations, where the local village headman, local residents and the nobleman had expressed their disobedience towards the quarantine inspector Tumanoo (Tumnishvili) and the doctor from Gori, Korali. Due to these occurrences on behalf of the population, general Rtishchev blamed the local authorities, that they had not informed the law enforcement units on time. General Rtishchev had suggested general Simonevich to establish an ad-hoc commission assembled from the military officials to take the control over the situation. As of his recommendation, vice-colonel Tokarev should have been appointed to the position. Apart from setting the quarantine regulations, the Russian government conducted ongoing monitoring of the epidemics situation, in the villages of Shida Kartli, and other regions of Georgia too.





**შუა აზიის განსაზღვრების ისტორიისათვის**

შუა აზიაში ბოლშევიკთა დამკვიდრების პროცესი აბსოლუტურად არ ესადაგება იმ ყბადაღებულ საბჭოურ თეორიებს, რომლებიც იმ აზრის დამკვიდრებას ემსახურებოდნენ, თითქოს კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა ხელისუფლება და მსოფლიო პროლეტარული რევოლუცია ტრიუმფალური ნაბიჯებით მიიწვედა წინ. რეალურად ამ წლებში რეგიონში დაწყებულ გააფთრებულ პოლიტიკურ ბრძოლას მნიშვნელოვანწილად კოლონიური ფაქტორი განსაზღვრავდა. არ უნდა დაგვავიწყდეს ისიც, რომ იმდროინდელი თურქესტანი ტიპიურ კოლონიურ და აპარტიდულ საზოგადოებას წარმოადგენდა, სადაც რუსი გადმოსახლებულები არათანაბარ პირობებში იმყოფებოდნენ ადგილობრივ მოსახლეობასთან შედარებით, ხოლო კლასობრივი დაპირისპირება მნიშვნელოვნად უთმობდა ადგილს ეთნიკურ დაპირისპირებას. უზბეკური წარმომავლობის ცნობილი ამერიკელი ისტორიკოსისა და აღმოსავლეთმცოდნის, კარლტონის უნივერსიტეტის პროფესორის, დოქტორ ადიფ ხალიდისა (Adip Khalid) არ იყოს, ეს დაპირისპირება ე.წ. „ევროპელებსა“ და ადგილობრივ მოსახლეობას, ანუ „Тузема“–ებს შორის არსებობდა.<sup>1</sup>

1917 წლის 28 თებერვალს რუსეთში რევოლუციამ გაიმარჯვა, რუსული თვითმპყრობელობა დაემხო. ამ მოვლენებს შუა აზიაში, ისევე როგორც მთელს ყოფილ იმპერიაში, დიდი ატაცებით შეხედნენ. განსაკუთრებულ კმაყოფილებას თურქესტანელი ჯადიდები<sup>2</sup> გამოთქვამდნენ, რომ-

<sup>1</sup> А. Халид. Туркестан в 1917-1922 годах: борьба за власть на окраине России. <http://books.imhonet.ru/element/38155/>.

<sup>2</sup> ჯადიდიზმი – წარმოდგება არაბული სიტყვიდან جادو, რაც „განახლებას“ ნიშნავს. მუსლიმანთა საზოგადოებრივ-პოლიტიკუ-

ლებმაც მეფის რეჟიმის დამხობა სახალხო მმართველობის დამყარების წინაპირობად, ხალხთა მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შანსად და კოლონიური ჩაგვრის დასასრულად მიიჩნიეს. საკითხის სრულფასოვნად წარმოდგენისათვის ორიოდ სიტყვა უნდა ითქვას ჯადიდიზმის იდეოლოგიასა და შუააზიელი ჯადიდების შესახებ.

ამ მოვლენებიდან ჯერ კიდევ ათი წლით ადრე, 1905-1907 წლების რუსეთისა და 1908 წლის „ახალგაზრდა თურქთა“ რევოლუციების ზეგავლენით, თურქესტანის, ხივის სახანოსა და ბუხარის საამიროს პოლიტიკურ ავანსცენაზე ახალი ძალები გამოდიან. მათ, მართალია, ჯერ კიდევ გაუბედავად, მაგრამ უკვე მაშინ განაცხადეს თავიანთი რეფორმისტული შეხედულებების შესახებ. ეს ახალი ძალები ჯადიდები იყვნენ. ბუხარისა და ხივის ჯადიდიზმმა, რომელიც თურქესტანის ჯადიდიზმთან ერთად შეიქმნა, როგორც კულტურულ-საგანმანათლებლო და რეფორ-

---

რი და ინტელექტუალური მოძრაობა, რომელიც რუსეთის იმპერიის ვოლგისპირეთისა და ყირიმელ თათართა შორის გაჩნდა XIX საუკუნის ბოლოდან. ჯადიდიზმი მუსლიმან რეფორმატორთა იდეოლოგიას წარმოადგენდა, რომლის ამოცანაც თანამედროვე ევროპული ცივილიზაციისა და პროგრესის სიკეთეების პოპულარიზაცია იყო მუსლიმანურ სამყაროში. ჯადიდები ევროპული პოლიტიკური აზრის, განსაკუთრებით, კონსტიტუციური იდეის დიდი გავლენის ქვეშ იმყოფებოდნენ. მათი აზრით, ისლამი არ ეწინააღმდეგებოდა პარლამენტარიზმის იდეას. ჯადიდები თვლიდნენ, რომ ისლამი არ კრძალავდა მუსლიმანთა ისტორიის კრიტიკულ შესწავლას. ამავე დროს, იმდენად, რამდენადაც ისლამმა ვერ შეძლო იდეალური კულტურის შექმნა, მუსლიმანები სულაც არ იყვნენ მოვალენი, თავიანთი სულიერი წინამძღოლების აბსოლუტური ჭეშმარიტების მატარებლებად ჩათვლილიყვნენ. ისინი სოციალური მოწყობის იმ პრინციპების ძიებაში იყვნენ, რომელიც უფრო მისაღები იქნებოდა ამა თუ იმ ისტორიული პერიოდისათვის. 1905 წლის რევოლუციის შემდეგ ჯადიდები შეადგენდნენ პარტია „მუსლიმანთა კავშირის“ ბირთვს, რომლებიც კონსტიტუციური მონარქიის, ადგილობრივი თვითმმართველობის, საყოველთაო არჩევნებისა და სხვა დემოკრატიული იდეების გასატარებლად იბრძოდნენ.

მისტულმა მიმდინარეობა, ამ დროისათვის ნელ-ნელა პოლიტიკური ელფერი შეიძინა.

რევოლუციამდელ პერიოდში, თავისი მოღვაწეობის საწყის ეტაპზე, ჯადიდები ძირითადად საგანმანათლებლო მოღვაწეობით იყვნენ დაკავებულნი – ხსნიდნენ სკოლებს, ეწეოდნენ პროპაგანდას, რომელიც რელიგიური ფანატიზმის წინააღმდეგ იყო მიმართული, დღის სინათლეზე გამოჰქონდათ ამირასა და მისი ჩინოფნიკების უკანონო საქმიანობა, მათი განუკითხაობა, გამოჰქონდათ ახალი საგადასახადო სისტემის შექმნის საკითხი, მოითხოვდნენ ხელისუფლების მხრიდან თავნებობისა და უკანონობის აღკვეთას. ისინი თუნდაც იმ მინიმალური სამართლებრივი გარანტიების მისაღებად იბრძოდნენ, რაც აუცილებელი იყო ქვეყნის სამეურნეო ცხოვრების ნორმალური ფუნქციონირებისა და წინსვლისათვის. ასევე ითხოვდნენ ცენზურის გაუქმებას. განსაკუთრებულ ყურადღებას ჯადიდები კადრების მომზადებას უთმობდნენ. ისინი მოწინავე მუსლიმანურ ცენტრებში, როგორც იყო ორენბურგი, ყაზანი, უფა, კონსტანტინოპოლი, აგზავნიდნენ ახალგაზრდებს ცოდნის შესაძენად. ჯადიდების მოღვაწეობის უმნიშვნელოვანეს მიმართულებას მათი იდეების ბეჭდური პროპაგანდა წარმოადგენდა. იხსნებოდა წიგნის მაღაზიები, საზოგადოებრივი ბიბლიოთეკები და ა.შ., მაგრამ თებერვლის რევოლუციის შემდეგ მდგომარეობა შეიცვალა.

რევოლუციის პირველსავე დღეებში მთელ რუსეთში დაიწყო მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების შექმნა, რამაც შემდგომში დიდი როლი ითამაშა თურქესტანში განვითარებულ ტრაგიკულ მოვლენებში. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამ ეტაპზე ჯადიდების აქტივობამ აშკარად პოლიტიკური ელფერი მიიღო. მათ პოლიტიკური მოთხოვნები წამოაყენეს. როგორც ჯადიდების, ასევე თურქესტანის მთელი საზოგადოების პოლიტიკური ცხოვრების მთავარ საკითხად მხარის ავტონომიური მოწყობის საკითხი დადგა.

1917 წლის 7-11 სექტემბერს ტაშკენტში გამართულ მუსლიმანთა II სამხარეო ყრილობაზე ნაციონალურმა დემოკრატიამ პირველად გააუქმრა თავისი მოთხოვნები: ყრი-

ლობა მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოებისათვის ხელისუფლების გადაცემის წინააღმდეგი გამოდიოდა, რადგან ამ საბჭოებში ძირითადად რუსი ეროვნების დეპუტატები გაერთიანდნენ, რომელთა უმეტესობას ბოლშევიკები წარმოადგენდნენ. ყრილობა კი აცხადებდა, რომ ხელისუფლება უნდა იყოს კოალიციური და იგი უნდა ემყარებოდეს მთელი მოსახლეობის ნებას. ასე შეიქმნა თურქესტანის ავტონომია, თუმცა მისი არსებობის ისტორია ერთობ ხანმოკლე გამოდგა. ამ რეზოლუციის პასუხად ბოლშევიკებმა კონფრონტაციის გზა აირჩიეს. მეორე დღეს ტაშკენტში, ალექსანდრეს ბაღში, ბოლშევიკები მართავენ მიტინგს (საინტერესო პარალელის გავლება შეიძლება თბილისში ამ დროისათვის განვითარებულ ამბებთან დაკავშირებით), რომელშიც 1-ლი და მე-2 ციმბირის პოლკის ჯარისკაცები და რკინიგზის მუშები, ე.ი. ძირითადად რუსი ეროვნების მოქალაქეები მონაწილეობდნენ. ბოლშევიკთა წინადადებით, მიტინგზე მიღებულ რეზოლუციაში ჩართეს მოთხოვნა ხელისუფლების საბჭოების ხელში გადასვლის შესახებ. იმავე დღეს აირჩიეს ტაშკენტის საბჭოების ახალი აღმასრულებელი კომიტეტი, რომელშიც ძირითადად ესერები და ბოლშევიკები შევიდნენ. სულ უფრო ცხადი ხდებოდა, რომ ბოლშევიკები, ისევე როგორც მთელს რუსეთში, აქაც შეიარაღებული გამოსვლების გზით ემზადებოდნენ ხელისუფლების ხელში ჩასაგდებად. ამის საპასუხოდ, ეროვნული ძალები ითხოვდნენ დამფუძნებელი კრების მოწვევას და ავტონომიის გამოცხადებას.

მდგომარეობა მალე განიმუხტა. ოქტომბრის ბოლშევიკურმა გადატრიალებამ გადამწყვეტი როლი ითამაშა ტაშკენტში განვითარებულ შემდგომ მოვლენებზე. 1917 წლის 28 ოქტომბერს ტაშკენტში იქმნება რევკომი და იწყება ბოლშევიკთა შეიარაღებული გამოსვლა, რომელიც წარმატებით სრულდება.<sup>1</sup> ბოლშევიკებმა გაიმარჯვეს და ხელისუფლების სადავეები იგდეს ხელთ. თურქესტანის ავტონომია ლიკვიდირებული იქნა. ბოლშევიკებმა თურქეს-

---

<sup>1</sup> Установление в Туркестане колониальной советской власти. Движение борцов за свободу. <http://bibliofond.ru/view.aspx?id=531499>.

ტანში ადვილად დაამყარეს საბჭოთა ხელისუფლება. რესპუბლიკის მთავრობა – საბჭოთა თურქესტანის სახალხო კომისართა საბჭო ძირითადად რუსი ბოლშევიკებით დაკომპლექტდა. სახკომსაბჭოს თავმჯდომარედ კი ტაშკენტის რკინიგზის ყოფილი მუშა და რევკომის აქტიური წევრი, რუსი ეროვნების ფიოდორ კოლესოვი<sup>1</sup> დაინიშნა.

სამხედრო-პოლიტიკური თვალსაზრისით უფრო რთულად წარიმართა საქმეები თურქესტანის მოსახლურე ხივის სახანოსა და ბუხარის საამიროში.

---

<sup>1</sup> ფიოდორ ივანეს ძე კოლესოვი (1891-1940) – რუსი ბოლშევიკი, რევოლუციონერი. საბჭოთა სახელმწიფო და პარტიული მოღვაწე, თურქესტანის გასაბჭოების ერთ-ერთი ორგანიზატორი და უშუალო შემსრულებელი, რუსეთის სამოქალაქო ომის აქტიური მონაწილე. რევოლუციური მოღვაწეობა დაიწყო ორენბურგის რკინიგზის დეპოს მუშის რანგში. 1916 წლიდან სამუშაოდ გადადის ტაშკენტის რკინიგზაზე. იმავე წელს ხდება რკპ(ბ) წევრი და აქტიურად ებმება რევოლუციურ საქმიანობაში. 1917 წლის სექტემბრიდან ტაშკენტის საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე, ბოლშევიკთა მიერ ორგანიზებული ტაშკენტის საყოველთაო გაფიცვის მთავარი ორგანიზატორი. იმავე წლის ოქტომბერში აირჩიეს სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წევრად. თურქესტანის გასაბჭოების შემდეგ, 1917 წლის ნოემბრიდან 1918 წლის ნოემბრამდე თურქესტანის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე და კომუნისტური პარტიის თურქესტანის სამხარეო კომიტეტის წევრი. კოკანდის ავტონომიის წინააღმდეგ განხორციელებული ბოლშევიკური სამხედრო აგრესიის ერთ-ერთი იდეოლოგი და წითელგვარდიული რაზმის მეთაური. 1919 წელს გამართული რკპ(ბ) VIII ყრილობის დელეგატი. 1923-1928 წლებში სახალხო მეურნეობის შორეული აღმოსავლეთის საოლქო საბჭოს თავმჯდომარე და რევკომის წევრი, შემდეგ – კომელის საგუბერნიო აღმასრულებელი კომიტეტის წევრი. მალე თავს ანებებს აქტიურ პოლიტიკურ ცხოვრებას. 1929-1933 წლებში სწავლობს მოსკოვის არქიტექტურის ინსტიტუტში და არქიტექტურის აკადემიის ასპირანტურაში. შემდგომ წლებში მუშაობდა არქიტექტორად. გარდაიცვალა 1940 წლის 29 ივლისს, მოსკოვში.

თებერვლის რევოლუციამდე ბუხარელი და ხიველი ჯადიდების რადიკალური მემარცხენე მიმართულების წარმომადგენლები საკუთარ თავს, „ახალგაზრდა თურქების“ ანალოგიით, „ახალგაზრდა ბუხარელებსა“ და „ახალგაზრდა ხიველებს“ უწოდებდნენ. მათ პოლიტიკურ იდეალს ოსმალთა იმპერია, მისი კონსტიტუცია და განათლების სისტემა წარმოადგენდა. მათი საბოლოო მიზანი კონსტიტუციური მონარქიის დამყარება იყო, რეფორმების გატარებას კი არსებული წყობილების ჩარჩოებში აპირებდნენ. ამ ზომიერ მოთხოვნებს ძალიან სასტიკად ახშობდნენ, ამიტომ ახალგაზრდა ბუხარელები და ხიველები იძულებულნი გახდნენ, იატაკქვეშეთში გადასულიყვნენ და იქიდან ეწარმოებინათ თავისი ბრძოლა.

მეფის ჩამოგდების ამბავმა ბუხარაში 1917 წლის 6 მარტს ჩამოაღწია. მეორე დღეს, 7 მარტს ბუხარაში ხალხმრავალი შეკრებები გაიმართა, რომელზედაც დროებით მთავრობას მოსთხოვეს შემდგომი მოქმედებების გეგმა, საერთო ნგრევასა და შიმშილთან ბრძოლის ღონისძიებები. თურქესტანის მსგავსად, თებერვლის რევოლუციამ შესაბამისი გამოძახილი ჰპოვა ახალი ბუხარის, ჩარჯოუს, თერმეხისა და კერკის მუშებში. მოსკოვისა და პეტერბურგის მსგავსად, ბუხარის სახანოს რკინიგზის სახელოსნოების, რძის კომბინატების, ბამბის გადასამუშავებელი საწარმოების მუშებმა მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოები შექმნეს. ამავე დროს ახალგაზრდა ბუხარელები იატაკქვეშეთიდან გამოვიდნენ და ღიად დაიწყეს ამირას შეუზღუდავი ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლა. ამ მომენტისათვის მათი პოლიტიკური პროგრამა შემდეგში მდგომარეობდა: ამირასა და ბეგებთან ერთად ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოს შექმნა, რომელიც ადმინისტრირებას გაუწევდა ამირას ხელისუფლებას, ასევე გადასახადების შემცირება, თავისუფალი ბეჭდვის დაშვება და სკოლების გახსნა, კორუპირებული ჩინოვნიკების განთავისუფლება დაკავებული თანამდებობებიდან. მიუხედავად ამირას მიერ გაძლიერებული რეპრესიებისა, ახალგაზრდა ბუხარელები მაინც არ თმობდნენ პოზიციებს და აგრძელებდნენ თავიანთი მოთხოვნების წაყენებას.

1917 წლის მარტშივე ბუხარის ამირამ ხელი მოაწერა მანიფესტს რეფორმების შესახებ. მანიფესტის მიხედვით, უნდა მოწესრიგებულიყო საგადასახადო სისტემა, დაფუძნებულიყო სახელმწიფო ხაზინა, დამყარებულიყო სამართლიანი სასამართლო, შემდგარიყო რეალური ბიუჯეტი, არჩეულიყო ქალაქების თვითმმართველობის ორგანოები, წახალისებულიყო მრეწველობა, ვაჭრობა, მეცნიერება, განათლება და ა.შ. აღფრთოვანებულმა ჯადიდებმა მანიფესტის მხარდასაჭერად დემონსტრაციის ჩატარება გადაწყვიტეს. მაგრამ კონსერვატორული ძალები ჯერ კიდევ იმდენად ძლიერები იყვნენ, რომ, მიუხედავად დროებითი მთავრობისა და ამირას მიერ გატარებული პოლიტიკისა, დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს ამ წამოწყებებს. დემონსტრაცია დაარბიეს, ხოლო ჯადიდებმა თავი ტაშკენტსა და სამარყანდს შეაფარეს. სასულიერო პირების ზეგავლენით ამირამ მანიფესტის გაუქმების გადაწყვეტილება მიიღო.

მსგავსი სცენარით განვითარდა პოლიტიკური მოვლენები ხივის სახანოშიც. უკვე აპრილის თვეში ხივის სახანოში მანიფესტი გამოქვეყნდა. მანიფესტის თანახმად, უნდა არჩეულიყო მეჯლისი (პარლამენტი), ხოლო აღმასრულებელი ხელისუფლება ნაზირთა (მინისტრთა) საბჭოთი უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი. ყველაზე მთავარი კი ის არის, რომ პარლამენტშიც და მთავრობაშიც უმრავლესობას ახალგაზრდა ხიველები წარმოადგენდნენ. მოგვიანებით, 1917 წლის ივნისში, ხიველმა ჯადიდებმაც განიცადეს მარცხი. ხივის სახანოს მონარქის, ასფადიარ ხანის ბრძანებით დააპატიმრეს პარლამენტის ყველაზე უფრო ცნობილი ჯადიდები, მათ კი გავლენიანი ფეოდალები ჩაენაცვლნენ. უკვე ნოემბერში ხანმა საერთოდ გააუქმა პარლამენტი.

ამ მოვლენებმა გადამწყვეტი როლი ითამაშეს ბუხარის საამიროსა და ხივის სახანოში განვითარებულ შემდგომ პოლიტიკურ მოვლენებზე. დაპირისპირებულ მხარეებს შორის ძალთა მარგინალიზაცია დაიწყო. ერთი მხრივ, მოხდა იმ ძალების გააქტიურება და კონსოლიდაცია, რომლებიც აბსოლუტურ მონარქიას უჭერდნენ მხარს და რეჟიმის გამკაცრებას მოითხოვდნენ. მეორე მხრივ კი, შეიცვალა თვით ოპოზიციური მოძრაობის ხასიათი. ოპოზიცია ორ

ნაწილად გაიყო. ერთმა ჯგუფმა, განსაკუთრებით, ჯადიდთა ლიბერალურმა ფრთამ, საბოლოოდ დაკარგა რეფორმების გატარების იმედი და პოლიტიკურ მოღვაწეობას ჩამოშორდა, ხოლო მეორე ფრთამ, „ახალგაზრდა ბუხარელებმა და ხიველებმა“, თავიანთი მოქმედებების ტაქტიკა შეცვალეს – გარე პოლიტიკური ძალების მხარდაჭერის იმედით, ისინი შეიარაღებული ბრძოლის გზას ირჩევენ.

1918 წლის ნოემბრიდან, ოსმალთა იმპერიის ფაქტობრივმა კაპიტულაციამ, რომელიც იმ დროისათვის მსოფლიოში ერთადერთ დამოუკიდებელ თურქულ-მუსლიმანურ სახელმწიფოს წარმოადგენდა, ჯადიდებში არა მარტო დიდი სასოწარკვეთილება, არამედ ძლიერი ანტიკოლონიური და, რაც მთავარია, ანტიბრიტანული განწყობების ზრდა გამოიწვია. აქედან გამომდინარე, ისინი ძალიან მოიხიბლნენ საბჭოთა რეჟიმის რევოლუციური და დემოკრატიული რიტორიკით. ჯადიდებმა საბჭოელების „აღმოსავლურ“ პოლიტიკაში ხსნის ერთადერთი გზა დაინახეს ბრიტანული იმპერიალიზმის აღმოსავლური ექსპანსიის აღსაკვეთად. ფიტრატი წერდა: „საბჭოთა რუსეთის მთავრობა ევროპელი იმპერიალისტების წინააღმდეგ იბრძოდა. მისი დევიზი იყო „გამარჯვება ან სიკვდილი“. ეს წარმატებისა და იმ კეთილშობილების ნიშანია, რომელიც აღმოსავლეთის გაერთიანებას ისახავს მიზნად“.<sup>1</sup> ჯადიდები თვლიდნენ, რომ იმდენად, რამდენადაც ევროპულმა პროლეტარიატმა ვერ შეძლო საბჭოთა რუსეთის მხარდაჭერა, ამ უკანასკნელს სხვა გზა არ გააჩნია, გარდა იმისა, რომ აღმოსავლეთთან შეკრას კავშირი. მუსლიმანი კომუნისტებიც დაახლოებით იმავეს ამბობდნენ, თუმცა ოდნავ განსხვავებული ტონით და საბჭოთა ხელისუფლებას აღმოსავლეთის ხალხთა რევოლუციონიზირებაში ჰპირდებოდნენ დახმარებას.<sup>2</sup> მოკლედ

---

<sup>1</sup> Фитрат. Шарк сиёсати. Ташкент, 1919. С. 40. Подробнее об этом см.: Khalid A. Nationalizing the Revolution in Central Asia: The Transformation of Jadidism, 1917-1920 // A State of Nations: Empire and Nation-Making in the Age of Lenin and Stalin. New York, 2001. Pp. 145-162.

<sup>2</sup> А. Халид. Туркестан в 1917-1922 годах: борьба за власть на окраине России. <http://books.imhonet.ru/element/38155/>.



რომ ვთქვათ, თავისი არსით „ახალგაზრდა ბუხარელები“ ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ პარტიას წარმოადგენდნენ, რომლის წევრებიც ჯადიდიზმის მიმდევრები იყვნენ. მათ იდეალებს არა მარტო ბრძოლა წარმოადგენდა ცარიზმის წინააღმდეგ, არამედ რეფორმების გატარებაც. ფაქტობრივად ჯადიდები პანთურქისტულ იდეოლოგიას იზიარებდნენ. როგორც ბევრი იმ დროს მოქმედი პარტია, მოგვიანებით ახალგაზრდა ბუხარელებიც ორ შეურიგებელ ბანაკად გაიყვნენ. ერთ-ერთი მათგანი, „ემმარცხენები“, ბოლოს და ბოლოს, ბუხარის კომუნისტურ პარტიას შეუერთდნენ, მათი ოპონენტები კი ბასმაჩთა ლიდერები გახდნენ.<sup>1</sup> ამ ორ სახანოში მიმდინარე საშინაო და საგარეო მოვლენების შემდგომ განვითარებაზე გადამწყვეტი როლი, ისევე როგორც თურქესტანში, ოქტომბრის ბოლშევიკურმა გადატრიალებამ ითამაშა.

თავად თურქესტანის გასაბჭოებამ მკვეთრად შეცვალა ძალთა ბალანსი შუა აზიაში. ორივე სახანომ უარი თქვა, ეცნოთ თურქესტანის საბჭოთა ხელისუფლება და გეზი ავღანეთთან, ირანთან და ინგლისთან დაახლოებაზე აიღეს. თავის მხრივ, საბჭოთა რუსეთისა და თურქესტანის დამოკიდებულებამ ბუხარის საამიროსა და ხივის სახანოსთან მიმართებაშიც აშკარად კონფორტაციული ხასიათი მიიღო. ამ ორმა სახანომ საომარი სამზადისი დაიწყეს რუსეთის წინააღმდეგ, რაც გამოიხატებოდა მობილიზაციების ჩატარებაში, იარაღის შესყიდვაში, სამხედრო ხარჯებისათვის ახალი გადასახადების დაწესებაში. უკვე 1918 წლის მარტისათვის მხოლოდ ბუხარის საამიროს 40000-იანი კარგად მომზადებული ჯარი ჰყავდა.

საომარ სამზადისზე გაწეულმა დიდმა ფინანსურმა დანახარჯებმა და გადასახადებისა და ფასების ზრდამ, სურსათისა და პირველადი მოთხოვნილების საგნების დეფიციტმა სახანოების შიდა პოლიტიკური არასტაბილურო-

---

<sup>1</sup> Что делал в ЧК бывший правитель Османской империи Энвер Паша. <http://ya-turk.ru/interesnye-fakty/cto-delal-v-chk-byvshii-pravitel-osmanskoi-imperi-yenver-pasha.html>

ბის ზრდას შეუწყო ხელი. დაიწყო მოსახლეობის საპროტესტო გამოსვლები. დამატებით, ხივის სახანოში მდგომარეობას ისიც ამძიმებდა, რომ სოციალური გაჭირვების ფონზე გამძაფრდა ეროვნებათაშორისი დაპირისპირებებიც. ამით ისარგებლეს თურქმენული ტომების ბელადებმა და სახანოში ბატონობისათვის დაიწყეს ბრძოლა.

შექმნილი მძიმე მდგომარეობის გამოსასწორებლად ხივის სახანოს მონარქმა ასფადიარ ხანმა კომპრომისების ძებნა დაიწყო. თურქმენთა ლიდერს, ჯუნაიდ ხანს, მან ქვეყნის ერთობლივ მმართველობასა და ბოლშევიკთა წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის დაწყება შესთავაზა. მოლაპარაკებებმა შედეგი გამოიღო. ჯუნაიდ ხანმა ერთგულების ფიცი დასდო და იგი ხივის სახანოს შეიარაღებული ძალების მთავარსარდლად დაინიშნა. მიუხედავად იმისა, რომ ასფადიარ ხანმა შეინარჩუნა მონარქის ტიტული, რეალური ხელისუფლება ჯუნაიდ ხანის ხელში აღმოჩნდა კონცენტრირებული. მალე ასფადიარ ხანი მოკლეს და მის ადგილას მოკლულის ბიძა, საიდ აბდულა ხანი დასვეს, რომელიც მარიონეტულ დამოკიდებულებაში იყო ჯუნაიდ ხანთან. ჯუნაიდ ხანი ფაქტობრივად ხივის სახანოს ერთპიროვნული მმართველი გახდა. როგორც საბჭოთა ხელისუფლების შეურიგებელმა მოწინააღმდეგემ, მანაც გამალებული საომარი სამზადისი დაიწყო საბჭოთა რუსეთისა და საბჭოთა თურქესტანის წინააღმდეგ.

თავის მხრივ, საბჭოელებსაც ჰქონდათ გააზრებული ის დიდი საშიშროება, რაც ამ ორი სახანოდან მოდიოდა. იმდენად, რამდენადაც მათი დამოუკიდებულება და სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტი თავის დროზე რუსეთის დროებითმა მთავრობამ აღიარა, ბოლშევიკებმა ჩათვალეს, რომ ამ ორი სახელმწიფოს ლიკვიდაციისათვის მხოლოდ შეიარაღებულ ინტერვენციის გზა არსებობდა. და აქ ისევ ამუშავდა რუსული საბჭოური ინტერვენციის ჩვეული სქემა. თურქესტანის მთავრობამ, იმ მიზეზით, თითქოსდა სახანოებიდან დევნილი ოპოზიციონერების უფლებების დამცველი ყოფილიყო, უხეშად დაიწყო საამიროს საშინაო საქმეებში ჩარევა. საქმე იმაშია, რომ განდევნილმა ახალგაზრდა ბუხარელებმა ე.წ. „სამხედრო კომიტეტი“ ჩამოაყალი-

ბეს და ტაშკენტში დელეგაცია გააგზავნეს, რომლის წევრებიც არწმუნებდნენ თურქესტანის სახალხო კომისართა საბჭოს, რომ ბუხარაში საყოველთაო აჯანყება მზადდებოდა, მასში მონაწილეობას კი 30 ათასი კაცი მიიღებდა. დელეგაციის წევრები ტაშკენტისაგან შეიარაღებულ მხარდაჭერას ითხოვდნენ.

თურქესტანის სახკომსაბჭოს თავმჯდომარემ, ფიოდორ კოლესოვმა დაიჯერა ეს ამბავი და 1918 წლის 28 თებერვალს წითელგვარდიულ რაზმთან ერთად რკინიგზის სადგური „ახალი ბუხარა“ დაიკავა. მარტის დასაწყისში ბუხარის ამირას ულტიმატუმი წაუყენეს დემოკრატიული რეფორმების გატარების მოთხოვნით. ამირამ ულტიმატუმი არ მიიღო. საპასუხოდ, 2 მარტს კოლესოვმა ბრძანება გასცა, წითელგვარდიულ რაზმებს შეტევითი მოქმედებები დაეწყოთ ძველ ბუხარაზე. ბუხარის დასაცავად ამირას ჯართან ერთად მთელი მოსახლეობა გამოვიდა. ბოლშევიკებმა მოახერხეს ქალაქში შესვლა, მაგრამ საბოლოოდ საბრძოლო მოქმედებები ბოლშევიკთა სრული მარცხით დასრულდა. წითელგვარდიელებმა გაქცევით უშველეს თავს. მხოლოდ ტაშკენტიდან და სამარყანდიდან გამოგზავნილი დამატებითი ძლების ჩართვამ გადაარჩინა კოლესოვის რაზმები სრულ განადგურებას. ამ ამბების უშუალო თვითმხილველი, ბრიტანეთის დაზვერვის ოფიცერი და „დიდი თამაშის“ ერთ-ერთი უკანასკნელი პროტაგონისტი, ვიცე-პოლკოვნიკი ფრედერიკ მარშამ ბეილი (Frederick Marsham Bailey) 1922 წელს გამოცემულ თავის წიგნში “My Mission to Tashkent~ („ჩემი მისია ტაშკენტში“) აღნიშნავდა: „ტაშკენტის მთავრობამ, რომელიც არმიას, სურსათსა და სხვა რესურსებს აკონტროლებდა, კოკანდის სარტებზე მიიტანა იერში, დაამარცხა ისინი და ქალაქი გაძარცვა“.<sup>1</sup>

1918 წლის 25 მარტს ყიზილ-თეფეში ამირა იძულებული გახდა ზავი დაედო. ხელშეკრულება ითვალისწინებდა სახანოს ჯარის შემცირებას 12000 კაცამდე, ყველა კონტრრევოლუციონერისა და თეთრგვარდიელის გადაცემას

---

<sup>1</sup> Frederick Marsham Bailey. My Mission to Tashkent. Oxford University Press. 1922. Reissued 2002. Pg. 37.

ბოლშევიკებისათვის, რომლებიც ბუხარის საამიროს აფარებდნენ თავს, აგრეთვე რკინიგზის ხაზისა და სატელეგრაფო შეტყობინების გამართულად მუშაობას. ცხადია, რომ ეს ზავი ძალიან მომგებიანი იყო ბოლშევიკებისათვის. მან ნათლად აჩვენა ის სურათი, რომ რეალურად ბოლშევიკთა მიზანს არა საამიროში ჯადილთა ინტერესების დაცვა და ლიბერალური რეფორმების გატარება, არამედ ბუხარის შემდგომი ბოლშევიკური ინტერვენციისათვის ხელსაყრელი წინაპირობების შექმნა წარმოადგენდა. იგივე ხასიათის შეთანხმება დაიდო ხივის სახანოსთანაც 1919 წლის აპრილში.

მიუხედავად დადებული ხელშეკრულებებისა, საბჭოთა ხელისუფლება, ცხადია, არ აპირებდა ხელი აეღო სახანოების გასაბჭოების ჩანაფიქრზე. ამ გეგმის განსახორციელებლად მნიშვნელოვანი მოსამზადებელი ღონისძიებები გატარდა. 1919 წლის ივლისში თურქესტანის ფრონტი იქმნება. მის სარდლად თურქკომისიის ერთ-ერთი წევრი, მიხაილ ფრუნზე ინიშნება. იგი მოლდოვური წარმომავლობისა იყო, ცენტრალური აზიის პატარა ქალაქ პიშპეკის (ყირგიზეთის დღევანდელი დედაქალაქი ბიშკეკი, კომუნისტური ეპოქის ფრუნზე) მკვიდრი. მეტად საინტერესოა ის ფაქტი, რომ მიხაილ ფრუნზეს სპეციალური სამხედრო ან რაიმე სახის უმაღლესი განათლება არ ჰქონდა მიღებული. სწავლობდა ქალაქ ვერნის, დღევანდელი ალმა-ათის გიმნაზიაში და რევოლუციურ-ტერორისტული „მოღვაწეობა“ ახალგაზრდობის ასაკშივე დაიწყო. რევოლუციური მოღვაწეობისა და გადასახლებების გამო I მსოფლიო ომში მონაწილეობა არ მიუღია, მაგრამ უკვე 1917 წლისათვის აქტიურად ჩაერთო ჯარისკაცთა საბჭოების მუშაობაში, სადაც, ლენინისეული ბოლშევიკურ-პორაჟენცული აგიტაციპროპაგანდით, წითელგვარდიული რაზმებისა და წითელი მილიციის ორგანიზებით იყო დაკავებული. 1918 წლიდან აქტიურად მონაწილეობდა მუშურ-გლეხური წითელი არმიის შექმნის საქმეში და 1919 წლისთვის წითელი არმიის მე-4 არმიის სარდლადაც დაინიშნა, თუმცა მის სამხედრო კარიერაში ეს ყველაზე უიღბლო დანიშვნა იყო. მე-4 წითელი არმია კოლჩაკმა გაანადგურა.

ამ მოვლენებიდან ფრუნზემ შესაბამისი დასკვნები გამოიტანა. ბევრი სხვა ბოლშევიკისაგან განსხვავებით, ყოფილ ცარისტ ოფიცრებთან, ე.წ. „ოვენსპეცებთან“ მიმართებაში ლოიალური იყო და მათ დიდი პატივისცემითაც ეპყრობოდა. მათ ცოდნას აფასებდა და ცდილობდა, რომ საკუთარი განათლების ხარვეზები, უფრო სწორად, გაუნათლებლობა, შეძლებისდაგვარად სწრაფად აღმოეფხვრა. ამ მიზნით ინტენსიურად ეწეოდა თვითგანათლებას, განსაკუთრებით სამხედრო საქმეში და საბოლოოდ, სულ ახალგაზრდა ასაკში წარმატებულ სამხედრო მეთაურად და სამხედრო საქმის თეორეტიკოსად ჩამოყალიბდა. თავის სამხედრო ფილოსოფიას იგი მარქსიზმის იდეებზე დაყრდნობით აგებდა, განსაკუთრებით მნიშვნელოვან როლს კი პროლეტარიატისა და მუშათა კლასის წარმმართველ როლს ანიჭებდა მუშურ-გლეხური წითელი არმიის შექმნისა და აღმშენებლობის საქმეში.

თურქესტანელი კომუნისტების მიერ დასმული საკითხი მუსლიმანური სამხედრო ნაწილების ჩამოყალიბების შესახებ - ძალიან გართულდა. საქმე იმაშია, რომ რუსეთის მეფის სახელმწიფოებრივი პოლიტიკის თანახმად ადგილობრივი მუსლიმანი მოსახლეობა სამხედრო სამსახურს არ ექვემდებარებოდა და მათ არმიაში არ იწვევდნენ. ამ მომენტისათვის აქტიურ სამხედრო სამსახურში მყოფ მუსლიმანურ კონტინგენტს მხოლოდ თათარ-ბაშკირული ქვედანაყოფების ჯარისკაცები შეადგენდნენ, გარდა ამისა, „ბოლშევიკებად მოქცეული“ ტყვედყოფილი თურქი ოფიცრები და ჯარისკაცები. ამ „არმიის“ რიცხოვნობა უცნობია, თუმცა გაზეთ „Улуг Туркистон“-ის 1918 წლის 21 იანვრის ნომერში გამოქვეყნებული ცნობის მიხედვით, ძველ კოკანდში 9 იანვარს გამართულ ავტონომიის ერთგული „ჯარების“ აღლუმში 1000 ჯარისკაცი მონაწილეობდა.<sup>1</sup> შექმნილი მდგომარეობის გამოსასწორებლად მუსლიმანურმა ბიურომ გადაწყვეტილება მიიღო, შექმნილიყო მძლავრი 200-ათასიანი მუსლიმანური წითელი არმია. თურქესტანის ცენტრალ-

---

<sup>1</sup> А. Халид. Туркестан в 1917-1922 годах: борьба за власть на окраине России. <http://books.imhonet.ru/element/38155/>.

ლური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ ამ იდეის მხარდაჭერის შემდგომ, შესაბამის დადგენილებაზე ნებართვის გაცემის თხოვნა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტსა და პირადად ლენინს გაეგზავნა.<sup>1</sup> მაგრამ რუსების მიერ ამ „ჯარებისადმი“ გამოხატული ნდობის ხარისხი მინიმალური და თითქმის ნულოვანი იყო. საბჭოთა ხელისუფლება, პირველ რიგში, თავის საკუთარ შეიარაღებულ ძალებს ეყრდნობოდა, რომელიც სრულად რუსი ჯარისკაცებითა და წითელი კომისრებით იყო დაკომპლექტებული. სწორედ ამ ძალებზე დაყრდნობითა და მათი მეშვეობით ხორციელდებოდა საბჭოელების მიერ რეგიონში ჩატარებული რეკვიზიციებისა და კონფისკაციების პერიოდული პროცესები.

ფრუნზემ თავიდანვე შეურიგებელი პოზიცია დაიკავა მუსლიმან კომუნისტებთან დამოკიდებულებაში და უარი განაცხადა ადგილობრივი მოსახლეობით წითელარმიული ნაწილების დაკომპლექტებაზე. აპელირებდა რა მუსლიმი კომუნისტების „ვიწრობურჟუაზიულ ნაციონალიზმზე“, ფრუნზემ განაცხადა: „Туземное население в классовом отношении не расслоено, их нужно воспитать коммунистически и это возможно; в этом наша задача“.<sup>2</sup> მაგრამ, მისი აზრით, ასეთი „აღზრდა“ მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ იქნებოდა შესაძლებელი. ნათელია, რომ „მსოფლიო პროლეტარული რევოლუციისაკენ“ მიმავალ დიად გზაზე რუსი ბოლშევიკების წონადი არგუმენტიც – უკვე „ოქტომბრის რევოლუციის პირმშო“ – „მუშურ-გლეხური წითელი არმია“ (РККА) ჩაერთო.<sup>3</sup> მიხაილ ფრუნზე დარწმუნებული იყო, რომ ბუხარისა და ხივის სახანოების მოსახ-

---

<sup>1</sup> ГАРФ. Ф. 1235. Оп. 93. Д. 582. Л. 152. <http://books.imhonet.ru/element/38155/>.

<sup>2</sup> РГАСПИ. Ф. 5. Оп. 1. Д. 2920. Л. 80-81; Ф. 122. Оп. 1. Д. 44. Л. 21об. <http://rudocs.exdat.com/docs/index-182294.html?page=3>.

<sup>3</sup> არჩილ ჩაჩხიანი. რუსეთ-საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური ურთიერთობები და საბრძოლო მოქმედებები აფხაზეთის რეგიონსა და შავიზღვისპირეთში (1918-1920 წლები). საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ლოჯისტიკური უზრუნველყოფის სარდლობის ტოპოგრაფიული სამმართველოს სტამბა. № 978-9941-0-5988-9. თბილისი. 2014. გვ. 21.

ღეობას პროლეტარული რევოლუციის არსში უფრო ქმედითად რუსული ხიშტები გაარკვევდნენ. ამ საკითხში მისი პოზიციები, როგორც ეს „ნამდვილ“ ბოლშევიკს შეეფერება, მკაცრი და შეუვალი იყო, ხოლო ბასმაჩთა „კლასიფიცირება“ შემდეგნაირად გამოხატა: „ბასმაჩთა რიგებში გაერთიანდნენ ისინი, – აცხადებდა ფრუნზე, – რომლებიც ვეღარ დაუბრუნდებიან მშრომელთა რიგებს, ისინი, ვინც მიეჩვივნენ სხვათა ძარცვა-გლეჯასა და ძალადობას, ისინი, ვინც მოსახლეობის ხარჯზე იწყობდნენ საკუთარ ბედნიერ ცხოვრებას, და ბოლოს ისინი, ვინც თავიანთი ბანდების მიშვეობით ცდილობენ ძალაუფლების მოპოვებას“.<sup>1</sup>

თურქფრონტის შენაერთებისა და ნაწილების სამხედრო სამზადისთან ერთად თურქესტანის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა ხივის ყველა ოპოზიციური ძალის კონსოლიდაციისათვის დაიწყო მუშაობა. ყველა დონისა და რგოლის კომუნისტს მიეცა დავალება, მჭიდრო კავშირები დაემყარებინა ახალგაზრდა ხიველებთან და ჯუნაიდ ხანთან ოპოზიციაში მყოფ სხვა თურქმენული ტომების ბელადებთან ერთობლივი ბრძოლის გასაჩაღებლად. 1919 წლის ნოემბერში ამ ძალების კავშირი შედგა. ჯუნაიდ ხანთან დაპირისპირებულმა თურქმენმა ბელადებმა კომუნისტებთან და ახალგაზრდა ხიველებთან ერთად ხივის რევოლუციური ცენტრი შექმნეს, რომლის ამოცანასაც ხანის ჩამოგდება და ხელისუფლების ხელში ჩაგდება წარმოადგენდა. რეალურად ამ საორგანიზაციო-პოლიტიკურმა აქტივობებმა ხივაში „მეხუთე კოლონის“ შექმნას ჩაუყარა საფუძველი.

ხივის სახანოში განვითარებული შემდგომი მოვლენები ღიად აჩვენებენ ტაშკენტისა და მოსკოვის წარმმართველ როლს ამ ამბებში. 4 ნოემბერს თურქესტანის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატს, კომპარტიის მუსლიმანური ბიუროს სამხარეო კომიტეტს, თურქესტანის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტსა და სამხედრო რევოლუციურ საბჭოს დაეგზავნათ ტელეგრამა ხივაში აჯანყების დაწყების შესახებ. ამ ტელეგრამის შინაარსში კარგად

---

<sup>1</sup> М: В. Фрунзе, Избранные произведения, М., 1950. Стр. 132.

ჩანს მიმდინარე მოვლენების მთელი არსი: „ჩვენი გაძლიერებული აგიტაციის შემდეგ ხივის პროლეტარიატი ჯუნაიდ ხანის წინააღმდეგ აღსდგა. ყველგან მიმდინარეობს ბრძოლები. მათგან მოსული დელეგაცია გვთხოვს, აღმოვუჩინოთ დახმარება. თუ ხელიდან გავუშვებთ ამ მომენტს, მაშინ ჩვენს მიერ ჩატარებული ექვსთვიანი მუშაობა წყალში ჩაიყრება“.<sup>1</sup>

1919 წლის 21 დეკემბერს ბოლშევიკები ქმნიან საჯაროსო დაჯგუფებას, რომელსაც „ამუ-დარიის საარმიო ჯგუფი“ ეწოდა. ორი დღის შემდეგ, 23 დეკემბერს, მას ამოცანად დაუსახეს „ხივის მშრომელთა დახმარება ჯუნაიდ ხანის თავნებობის აღსაკვეთად“, თუმცა ამ ამოცანის დასამადეც წითელ არმიას საომარი მოქმედებები უკვე დაწყებული ჰქონდა. 22 დეკემბერს ამუ-დარიის ჩრდილოეთის დაჯგუფების ჩრდილოურმა შენაერთმა მდ. ამუ-დარიის ფორსირება მოახდინა და ხივის სახანოს ტერიტორიაზე შევიდა. აღნიშნულმა შენაერთებმა ბრძოლებით დაიკავეს მთელი რიგი დასახლებული პუნქტები. პარალელურად, სამხრეთიდან დაიწყო სამხრეთის შენაერთის შეტევითი მოქმედებები, რომელმაც 24 დეკემბერს მოახდინა მდინარე ამუ-დარიის ფორსირება. ჯუნაიდ ხანის ძალებმა უკან დაიხიეს. 20 იანვარს წითელმა არმიამ ქალაქი ტახატა დაიკავა, ჯუნაიდ ხანის ბოლო საყრდენი პუნქტი, ხოლო 1 თებერვალს ბოლშევიკები ხივაში შევიდნენ. საიდ აბდულა ხანმა თავისი უფლებამოსილებები მოიხსნა და მთელი ძალაუფლება რევოლუციურ მთავრობას გადასცა.

რეალური სურათის დასამალად და ხივის საბჭოთა ოკუპაციის შესანიღბად, ბოლშევიკებმა უმაღლეს ხარტეს საქმეში თავიანთი პროპაგანდისტული მანქანა. ბოლშევიკმა პროპაგანდისტებმა ეს ამბები უმაღლეს ხალხის მიერ მოწობილ რევოლუციურ გადატრიალებად მონათლეს. 1920 წლის 26 აპრილს ხორეზმში სასწრაფოდ მოიწვიეს სახალხო წარმომადგენლობითი ყრილობა, რომელზეც ხორეზმის

---

<sup>1</sup> Установление в Туркестане колониальной советской власти. Движение борцов за свободу. <http://bibliofond.ru/view.aspx?id=531499>.



სახალხო საბჭოთა რესპუბლიკის შექმნა გამოცხადდა. აქვე მიიღეს ქვეყნის კონსტიტუცია. შეიქმნა რესპუბლიკის მთავრობა, რომლის თავმჯდომარეც ახალგაზრდა ხიველთა ერთ-ერთი წარმომადგენელი ფაღვან ნიაზ იუსუფოვი გახდა. მთავრობის შემადგენლობაში შევიდნენ კომუნისტები, ახალგაზრდა ხიველები და ერთ-ერთი თურქმენული ტომის ბელადი. ამრიგად, საბჭოთა ჯარების დახმარებით „ახალგაზრდა ხიველებმა“ და ზოგიერთი თურქმენული ტომის ბელადმა მონარქიული რეჟიმი ჩამოაგდეს და ასეთი გზით მოვიდნენ ხელისუფლებაში.

მსგავსი სცენარით განვითარდა მოვლენები ბუხარის საამიროშიც. 1920 წლის 30 მარტს, ბუხარაში მოლაპარაკებების მიმდინარეობისას, რომელსაც საბჭოელთა ოფიციალური დელეგაცია აწარმოებდა მიხაილ ფრუნზეს ხელმძღვანელობით. ამირას კიდევ ერთხელ წაუყენეს ულტიმატუმი. ეს ულტიმატუმი გაცილებით მძიმე იყო პირველთან შედარებით. ახალი ულტიმატუმის პირობების მიხედვით, მას რუსული ფული უნდა შემოეტანა ბრუნვაში, ბუხარის ტერიტორიაზე წითელი არმიის ნაწილების განთავსებისთვის შეეწყო ხელი და უზრუნველყო საამიროს ტერიტორიაზე გავლით „კაგანი-თერმეხის“ რკინიგზის ხაზის გამართული მუშაობა, რაც რუსეთთან უწყვეტი კომუნიკაციის არსებობას უზრუნველყოფდა. რეალურად ეს ულტიმატუმი სხვა არაფერი იყო, თუ არა ნებაყოფლობითი გასაბჭოების მოთხოვნა. ბუნებრივია, ამირამ ამ ულტიმატუმის მოთხოვნები უარყო. სულ უფრო ცხადი ხდებოდა, რომ შექმნილი დაპირისპირების გადაჭრის ერთადერთ გზად შეიარაღებული კონფრონტაცია რჩებოდა. თურქესტანის დარჩენილი ნაწილის გასაბჭოებასთან დაკავშირებული შემდგომი მოვლენები კი, უფრო დრამატულად განვითარდა.

ფრუნზე, ისევე როგორც მისი თანამებრძოლი სხვა ბოლშევიკი მოღვაწეები, რომლებსაც უსაზღვროდ სჯეროდათ მუსლიმანური აღმოსავლეთის გარეგოლუციონერების პრობლემის სამხედრო გზით გადაწყვეტისა, თვლიდნენ, რომ ეს პროცესები ძალიან ნელა მიმდინარეობდა. ფრუნზე დაჟინებით მოითხოვდა, რომ მეზობელი ქვეყნების სოვეტიზაციის საქმეში სასწრაფოდ ჩართულიყვნენ რუსული და

არა ნაციონალური წითელი არმიის ნაწილები. მსჯელობდა რა ბუხარის სახანოსთან დაკავშირებულ სტრატეგიასთან მიმართებაში, მან განაცხადა: „იმისათვის, რომ ბუხარაში შეექმნათ შინაგანი რევოლუციური სიტუაცია, ჩვენ არა თვეობით, არამედ წლებით მოგვიწევს მოცდა“. ფრუნზე და თურქკომისიის სხვა წევრები იმ დებულებიდან გამომდინარე, რომ „ბუხარის ამბები ბიძგი უნდა იყოს, დანარჩენი საქმისა, ასე 9/10, რუსულმა წითელმა არმიამ უნდა შეასრულოს“.<sup>1</sup> დიახ, სწორედ რუსული წითელი არმია უნდა გამხდარიყო თურქესტანსა და მის მეზობელ ქვეყნებში რევოლუციის მამოძრავებელი ძალა და არა ადგილობრივი მოსახლეობის ნება ან თუნდაც ადგილობრივი კომუნისტების „რევოლუციური აქტივობა“.

აგვისტოს პირველ რიცხვებში ლენინისადმი გაგზავნილ წერილში მიხაილ ფრუნზე იტყობინებოდა, რომ ბუხარასთან მიმართებაში ორი საზი უნდა გატარებულიყო:

1. ქვეყანაში რევოლუციური პროცესების განვითარება და შესაბამის მომენტამდე მოცდა;

2. რევოლუციის ორგანიზება გარედან ჩარევით.

პირველი ვარიანტი ფრუნზემ მალევე უკუაგდო, რადგან „შინაგანი რევოლუციის განვითარების პროცესები ბუხარაში ერთობ ნელა ვითარდებოდა და შედეგს ძალიან გვიან მოგვცემდა, თუ მოგვცემდა საერთოდ...“.<sup>2</sup> ამიტომაც, ფრუნზეს აზრით, „რევოლუციის ორგანიზებისათვის“ საჭირო იყო უშუალოდ წითელი არმიის ჩარევა. საბოლოოდ, ყველაფერი ფრუნზეს „რევოლუციური სქემის“ მიხედვით წარიმართა. 1920 წლის 10 აგვისტოს რკპ(ბ)-ის პოლიტბიურომ ბუხარის საკითხთან დაკავშირებით მიიღო სპეციალური დირექტივები თურქფრონტის შექმნასა და სამხედრო რევოლუციური საბჭოსათვის უფლებამოსილებების მინიჭებაზე. თურქფრონტმა და თურქესტანის კომპარტიამ ბუხარის ოკუპაციისათვის დაიწყო მზადება. გავრცელდა მოწო-

---

<sup>1</sup> Генис В. Л. Красная Персия. Большевики в Гиляне, 1920-1921. М., 2000; <http://rudocs.exdat.com/docs/index-182294.html?page=3>.

<sup>2</sup> Установление в Туркестане колониальной советской власти. Движение борцов за свободу. <http://bibliofond.ru/view.aspx?id=531499>.

დებები ბუხარის ამირას დამხობის შესახებ. ცხადია, ამ მოწოდებებს დიდი გამოხმაურება მოჰყვა, პირველ რიგში, ბუხარიდან ემიგრირებული ოპოზიციის მხრიდან. აქ საუბარი „ახალგაზრდა ბუხარელებსა“ და კომუნისტებს შეეხებათ. მართალია, ზოგიერთ ტაქტიკურ საკითხში მათი ხედვები განსხვავებული იყო, თუმცა ერთ რამეში ნამდვილად თანხმდებოდნენ – მათ საერთო მტერს ამირას მონარქიული რეჟიმი წარმოადგენდა და საჭირო იყო მისი დამხობა, თან რაც შეიძლება ჩქარა. აქედან გამომდინარე, თურქკომისიამ ჯერ კიდევ 3 აგვისტოს შემდგარ სხდომაზე ბლოკი შეკრა თურქესტანელ კომუნისტებთან და „ახალგაზრდა ბუხარელთა“ რევოლუციურ ორგანიზაციებთან იმ პირობით, რომ ისინი „ბუხარაში განხორციელებული გადატრიალების შემდეგ მეორე დღესვე ოფიციალურად შევიდოდნენ კომუნისტური პარტიის რიგებში“.

უკვე 16 აგვისტოს ბუხარის კომუნისტურმა პარტიამ, რომელიც ჩარჯოუში მუშაობდა, მიიღო დადგენილება იმის შესახებ, რომ ბუხარის საამიროში „რევოლუციური სიტუაცია მომწიფებულია“, უნდა დამხობილიყო ამირას ხელისუფლება და თურქკომისიას მიმართა თხოვნით, „გაენტავისუფლებინა ბუხარის მშრომელთა მასები მრავალსაუკუნოვანი ფეოდალური ჩაგვრისა და ამირას დესპოტიისაგან“. ბუხარის „რევოლუციის“ ხელმძღვანელობისათვის სასწრაფოდ ყალიბდება პოლიტიკური ცენტრი ვ. კუიბიშევის,<sup>1</sup>

---

<sup>1</sup> ვალერიან ვლადიმეროვიჩ კუიბიშევი (1888-1935) – რუსი რევოლუციონერი, საბჭოთა პარტიული და პოლიტიკური მოღვაწე. 1898 წელს ჩაირიცხა ომსკის კადეტთა კორპუსში. მალევე ჩაება რევოლუციურ საქმიანობაში. რსდმპ წევრი 1904 წლიდან. 1905 წელს ჩააბარა მისაღები გამოცდები სანკტ-პეტერბურგის სამხედრო-სამედიცინო აკადემიაში. რევოლუციური მოღვაწეობის გამო მალევე გარიცხეს აკადემიიდან. 1906 წელს აპატიმრებენ. მალევე ათავისუფლებენ. 1906-1907 წლებში ეწევა პარტიულ აგიტაციას. 1908 წელს ისევ აპატიმრებენ. სასჯელის მოხდის შემდეგ, 1913-1914 წლებში ეწევა რევოლუციურ მოღვაწეობას სანკტ-პეტერბურგში, ვოლოდაში, ხარკოვში. 1914 წელს აპატიმრებენ და ასახლებენ ირკუტსკის გუბერნიაში. 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ ჩამოდის სამა-

„ახალგაზრდა ბუხარელების“ ცენტრალური ბიუროს თავმჯდომარის ფ. ხოჯაევისა და ბუხარის კომპარტიის ცეკას თავმჯდომარის, ჰ. ჰუსეინოვის ხელმძღვანელობით. რუსული სცენარით შედგენილი ბუხარის ახალი „მთავრობა“ ფაქტობრივად მზად იყო მის წინაშე დასახული ამოცანების აღსასრულებლად. ახლა ჯერი უკვე წითელ არმიასზე მიდგა. და როდესაც 29 აგვისტოს ჩარჯოუში მოხერხდა მოხალისე ბუხარელი კომუნისტებისაგან მცირერიცხოვანი დემონსტრაციის ორგანიზება, ბოლშევიკური იდეოლოგიის მიერ ეს ამბავი უმაღლესი მთავრობის მხრიდან მასების აჯანყებად და პროლეტარული რევოლუციის დასაწყისად. შესაბამისად, თურქკომისიასაც უმაღლესი გაეგზავნა თხოვნა დახმარების შესახებ.

ამ დროისათვის თურქფრონტის ჯარები უკვე სრულ საბრძოლო მზადყოფნაში იყვნენ მოყვანილნი. ჯერ კიდევ ამ ამბების განვითარებამდე ოთხი დღით ადრე, 1920 წლის 25 აგვისტოს, 16 საათსა და 40 წუთზე, მიხაილ ფრუნზემ შემდეგი შინაარსის ტელეგრამა გაუგზავნა მუშურ-გლეხური წითელი არმიის მთავარსარდალს, სერგეი კამენევს<sup>1</sup>:

---

რაში, სადაც ირჩევენ სამარის რსდმპ ორგანიზაციის თავმჯდომარედ. სამოქალაქო ომის წლებში იყო საბჭოთა რუსეთის მუშურ-გლეხური წითელი არმიის 1-ლი და მე-4 არმიების სამხედრო რევოლუციური საბჭოების წევრი. 1919-1920 წლებში იბრძოდა ადმირალ კოლჩაკის წინააღმდეგ, ხელმძღვანელობდა ასტრახანის დაცვას. იყო თურქესტანის ფრონტისა და თურქკომისიის წევრი, მონაწილეობდა შუა აზიის გასაბჭოების ოპერაციებში. 1920 წლის ბოლოს აირჩიეს პროფკავშირების ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარედ, 1921 წელს – სახალხო მუშურების საკავშირო საბჭოს პრეზიდიუმის წევრად. 1923-1926 წლებში იყო მუშურ-გლეხური ინსპექციის სახალხო კომისარი. 1927 წლიდან ირჩევენ საკავშირო კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატად. 1930 წლიდან საბჭოთა კავშირის სახელმწიფო საგვემო კომიტეტის თავმჯდომარეა. 1934 წლის ნოემბრიდან უზბეკეთში მოქმედი პარტიის ცეკას პოლიტკომისიის წევრია. არდაიცვალა 1935 წლის 25 იანვარს.

<sup>1</sup> სერგეი სერგეევი კამენევი (1881-1936) – მეფის არმიის ყოფილი პოლკოვნიკი და საბჭოთა რუსეთის მუშურ-გლეხური წითელი

„საკითხის გადაწყვეტისათვის ხელსაყრელი მომენტი გაშვებულია. შესაბამისი ენერგიული ზომების გატარების შედეგად შესაძლებელია საკითხის გადაწყვეტა ორკვირიან ვადაში. ჯარების მზადება მიმდინარეობს გაძლიერებული ტემპებით. ვვარაუდობ, რომ მოვლენების განვითარებას უნდა ველოდოთ 25 აგვისტოსათვის“. ტელეგრამა შემდეგი ფრაზით მთავრდებოდა: „ველი შემდგომ განკარგულებებს“.

---

არმიის მთავარსარდალი, „ვოენსპეცი“, I რანგის კომანდარმი. რუსეთ-იაპონიის, I მსოფლიო ომისა და რუსეთის სამოქალაქო ომის აქტიური მონაწილე. I მსოფლიო ომში 1914 წლის სექტემბრიდან 1-ლი დასავლეთის ფრონტის არმიის შტაბის კვარტერმეისტერის უფროსი ადიუტანტი, შემდეგ – არმიის ოპერატიული განყოფილების უფროსი. 1917 წლის აპრილიდან პოლკოვნიკი, პოლტავის 30-ე პოლკის მეთაური. 1917 წლის ნოემბრიდან მე-15 საარმიო კორპუსის შტაბის უფროსი. ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ ემხრობა ბოლშევიკებს. 1918 წლის აპრილიდან მუშურ-გლეხური წითელი არმიის შემადგენლობაშია. 1918 წლის ივნისიდან ვიტებსკის წითელი ქვეითი პოლკის მეთაური, 1918 წლის აგვისტოდან – სმოლენსკის რაიონის სამხედრო ხელმძღვანელი, 1919 წლის აგვისტოდან აღმოსავლეთის ფრონტის სარდალი და მუშურ-გლეხური წითელი არმიის მთავარსარდალი. 1924 წლის აპრილიდან წითელი არმიის მთავარი სამხედრო ინსპექტორი, 1925 წლიდან – შტაბის უფროსი. 1926 წლის აგვისტოდან წითელი არმიის მთავარი სამმართველოს უფროსი, ამავე დროს მ. ფრუნზეს სახელობის სამხედრო აკადემიის ტაქტიკის ციკლის უფროსი. 1927 წლიდან სამხედრო და სამხედრო-სახლგვარ საქმეთა სახალხო კომისიის მოადგილე და საბჭოთა კავშირის სამხედრო რევოლუციური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე. 1935 წლიდან ენიჭება I რანგის კომანდარმის სამხედრო წოდება, მაშინ როცა სამოქალაქო ომში მისდამი დაქვემდებარებულ ხუთ მხედართმთავარს (კ. ვოროშილოვი, ს. ბუდიონი, ვ. ბლიუხერი, ალ. ეგოროვი და მ. ტუხაჩევსკი) მიენიჭათ უმაღლესი სამხედრო წოდება – საბჭოთა კავშირის მარშალი. გარდაიცვალა 1936 წლის 25 აგვისტოს გულის შეტევით. 1937-1939 წლების დიდი წმენდების დროს იგი „სამხედრო-ფაშისტური შეთქმულების“ მონაწილედ გამოცხადდა. კამენევის სახელი ამოშალეს რუსეთის სამოქალაქო ომის ოფიციალური ისტორიიდან, მისი სამხედრო ხასიათის შრომები კი დავიწყებას მიეცა.

თუმცა „შემდგომი განკარგულებების“ გაცემა სულაც აღარ იყო საჭირო, რადგან ამ ტელეგრამის გაგზავნამდე 3 საათით ადრე, 13 საათისათვის, თურქფრონტის ჯარებს ზუსტი დირექტივა გაეცათ: „ბუხარელი ხალხი აღდგა თავისი მზავრელების წინააღმდეგ... ბუხარელი ხალხისათვის რევოლუციური ძმური დახმარების აღმოჩენის მიზნით... 29 აგვისტოს გამთენიიდან დაწყებულ იქნას აქტიური მოქმედებები“.

როგორც ვხედავთ, 1920 წლის 28 აპრილის ბაქოს ბოლშევიკური ოკუპაციის სქემის შესაბამისად, აქაც, ბუხარაშიც წარმატებით იყო ინსცენირებული „მშრომელთა აჯანყება“ და რევკომის ფორმალურ მოთხოვნამდე წითელი არმიის შენაერთებმა აქტიური საომარი მოქმედებები დაიწყეს. მოგვიანებით, 1921 წლის თებერვალში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასთან მიმართებაშიც იგივე სცენარით განხორციელდა წითელი მე-11 არმიის სამხედრო ინტერვენცია და პირველი ქართული რესპუბლიკის ლიკვიდაცია.

ფრუნზეს ბრძანების შესაბამისად, ყველა საჯარისო შენაერთისაგან ჩამოყალიბდა რამდენიმე მძლავრი დაჯგუფება: სამარყანდის, კატა-ყურგანის, ყიზილ-თეფეს, კაგანასა და ჩარჯოუსი. ბუხარის ოპერაციის შესაბამისად, თვითოეულ დაჯგუფებას მიეცა კონკრეტულად გაწერილი საბრძოლო მოქმედებების გეგმა. ბოლშევიკებმა საქმეში ჯავშანმატარებლები და საავიაციო რაზმებიც ჩართეს.

1920 წლის 29 აგვისტოს, თურქფრონტის სარდლობის დირექტივის შესაბამისად საომარი მოქმედებები დაიწყო. განსაკუთრებით მძიმე და სისხლისმღვრელი ბრძოლები ძველი ბუხარის აღებისას მიმდინარეობდა. სამი დღე-ღამის განმავლობაში ქალაქი მძიმე არტილერიით იბომბებოდა. მეოთხე დღეს კი, ბუხარის შტურმი დაიწყო. ქალაქში მიმდინარე ბრძოლების გამო, ძალიან დიდი იყო მსხვერპლი მშვიდობიანი მოსახლეობაში. ქუჩები მათი გვამებით იყო მოფენილი. ერთ-ერთი ტყვის ჩვენებით, „დახოცილები იმდენად ბევრი იყო, რომ ქუჩებიდან მათ გატანას ვერ ასწრებდნენ“. შემდგომი ნგრევისა და მსხვერპლის თავიდან აცილების მიზნით, ამირამ ქალაქი დატოვა და 1920 წლის 2 სექტემბერს თურქფრონტის ჯარები ბუხარაში შევიდნენ.

ბუხარის აღება ბაქოში მიმდინარე „აღმოსავლეთის ხალხთა“ I ყრილობის მიმდინარეობისას მოხდა. ეს სასიხარულო ამბავი ყრილობის დელეგატებმა დიდი აღფრთოვანებით მიიღეს. ისე ჩანდა, რომ ლენინისა და ტროცკის იდეები იმარჯვებდა – ბოლშევიკთა „მსოფლიო პროლეტარული რევოლუცია“ მართლაც გიგანტური ნაბიჯებით მიიწევადა წინ.

ბუხარასთან დაკავშირებული შემდგომი მოვლენები კი ძალიან სწრაფად განვითარდა. უკვე სექტემბრის შუა რიცხვებში შეიქმნა სრულიად ბუხარის რეგომი აბდუკადირ მუხიდინოვის თავმჯდომარეობით. ჩამოყალიბდა მთავრობაც. მთავრობის თავმჯდომარედ ფაიზულა ხოჯაევი დაინიშნა, მასვე დაეკისრა საგარეო საქმეთა ნაზირის (მინისტრის) მოვალეობის შესრულება. როგორც მოსალოდნელი იყო, მთავრობის შემადგენლობის დიდი ნაწილი კომუნისტებისა და „ახალგაზრდა ბუხარელი“ ჯადიდებისგან დაკომპლექტდა. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ მინისტრთა (ნაზირთა) კაბინეტის წევრთა საშუალო ასაკი 29 წელს შეადგენდა.

ზემოთ აღწერილი სისხლიანი ამბებიდან ერთი თვის თავზე, 1920 წლის ოქტომბერში მოიწვიეს სახალხო წარმომადგენელთა I ყრილობა, რომელზეც ბუხარის სახალხო საბჭოთა რესპუბლიკის შექმნა გამოცხადდა. II ყრილობაზე კი რესპუბლიკის კონსტიტუცია მიიღეს.<sup>1</sup> საბოლოოდ, 1921 წლის 11 აპრილს, სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებით შეიქმნა თურქესტანის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა, რომელიც ერთიანი რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის ავტონომიური ერთეული გახდა. ახალმა რესპუბლიკამ შუა აზიის ნაწილი დაიკავა, რომელიც კასპიის ზღვიდან სინცზიანამდე გადაიჭიმა. მას სამხრეთით სპარსეთი და ავღანეთი ესაზღვრებოდა, ხოლო ჩრდილოეთიდან – ყაზახეთი. რესპუბლიკის უმაღლეს სა-

---

<sup>1</sup> Установление в Туркестане колониальной советской власти. Движение борцов за свободу. [http:// bibliofond.ru/ view.aspx?id=531499](http://bibliofond.ru/view.aspx?id=531499).

კანონმდებლო ორგანოდ „მუშების, დეხკანების,<sup>1</sup> წითელარმიელებისა და კახაკთა საბჭოების ყრილობა“ იქცა. აპრილშივე შეიქმნა სორეზმის საბჭოთა რესპუბლიკაც.<sup>2</sup>

**ARCHIL CHACHKHIANI**

## **FOR HISTORY OF SOVIETIZATION OF CENTRAL**

Process of settlement of Bolsheviks in Central Asia absolutely does not correspond to Soviet ridiculous theories, which served to spread the opinion that Soviet Sovereignty and World Proletarian Revolution were moving forward with administration of communist party. In reality, furious political fights, which were started in the region during these years, were significantly determined by colonial factor. We should not forget that at that time Turkestan was typical colonial and Apartheid society, where Russian deported people were in unequal conditions comparing with local residents. And class confrontation importantly made way for ethnical confrontation.

Against the background of these controversies, in the article there are represented bloody processes, ongoing in Central Asia, which accompanied by the forced Sovietization of the region by the Bolsheviks.

---


<sup>1</sup> დეხკანი – შუააზიელი გლეხი.

<sup>2</sup> Что делал в ЧК бывший правитель Османской империи Энвер Паша. <http://ya-turk.ru/interesnye-fakty/chto-delal-v-chk-byvshii-pravitel-osmanskoi-imperi-yen-ver-pasha.html>.



## დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. А. Халид. Туркестан в 1917-1922 годах: борьба за власть на окраине России. <http://books.imhonet.ru/element/38155/>.
2. Установление в Туркестане колониальной советской власти. Движение борцов за свободу. <http://bibliofond.ru/view.aspx?id=531499>.
3. Фитрат. Шарк сиёсати. Ташкент, 1919. Стр. 40. Подробнее об этом см.: Khalid A. Nationalizing the Revolution in Central Asia: The Transformation of Jadidism, 1917-1920 // A State of Nations: Empire and Nation-Making in the Age of Lenin and Stalin. New York, 2001.
4. Что делал в ЧК бывший правитель Османской империи Энвер Паша. <http://ya-turk.ru/interesnye-fakty/chto-delal-v-chk-byvshii-pravitel-osmanskoi-imperi-yenver-pasha.html>.
5. Frederick Marsham Bailey. My Mission to Tashkent. Oxford University Press. 1922. Reissued 2002.
6. ГАРФ. Ф. 1235. Оп. 93. Д. 582. Л. 152. <http://books.imhonet.ru/element/38155/>.
7. РГАСПИ. Ф. 5. Оп. 1. Д. 2920. Л. 80-81; Ф. 122. Оп. 1. Д. 44. Л. 21об. <http://rudocs.exdat.com/docs/index-182294.html?page=3>.
8. არჩილ ჩახიანი. რუსეთ-საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური ურთიერთობები და საბრძოლო მოქმედებები აფხაზეთის რეგიონსა და შავიზღვისპირეთში (1918-1920 წლები). საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ლოჯისტიკური უზრუნველყოფის სარდლობის ტოპოგრაფიული სამმართველოს სტამბა. თბილისი. 2014.
9. М.: В. Фрунзе, Избранные произведения, М., 1950. Стр. 132.
10. Генис В. Л. Красная Персия. Большевики в Гиляне, 1920-1921. М., 2000; <http://rudocs.exdat.com/docs/index-182294.html?page=3>.



მაღსაზ მუშუსიძე

**როსტომ ხანის მმართველობის შეფასების  
საკითხისათვის**

ქართველი ერი საუკუნეების მანძილზე დაუცხრომელ, ფაქტობრივად, განუწყვეტელ ბრძოლას აწარმოებდა უცხოელი დამპყრობლების წინააღმდეგ დამოუკიდებლობისა და თვითმყოფადობის შესანარჩუნებლად. ეს ბრძოლა განსაკუთრებით გამწვავდა მას შემდეგ, რაც IV საუკუნეში საქართველომ შეისისხლხორცა და გულის ფიცარზე დაიბეჭდა ქრისტიანული მოძღვრება. ამიერიდან სამშობლოსათვის ბრძოლა ნიშნავდა ქრისტიანობისათვის ბრძოლას და პირიქით. ეს მომენტი კარგად ჰქონდათ გააზრებული არა მარტო ჩვენს წინაპრებს, არამედ მომხდურ მტერსაც, ამიტომ იყო, რომ საქართველოს დასაპყრობად მოსული უცხო ძალა პირველ რიგში ცდილობდა აქ ქრისტიანული სარწმუნოების ამოძირკვას, ვინაიდან კარგად უწყოდა რომ ეს ქართველი კაცის გადაგვარებას და გადაშენებას უდრიდა.

არსებობისათვის ბრძოლის ამ მრავალსაუკუნოვან ისტორიაში ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი უჭირავს XVII საუკუნეს. ეს იყო ეპოქა როდესაც (უკვე მერამდენედ) მთელი სიმწვავით დაისვა ქართველი ერის ყოფნა-არყოფნის საკითხი. ერთი მხრივ, ყიზილბაშური ირანი, მეორე მხრივ კი ოსმალეთის იმპერია გააფთრებულ იერიშებს აწარმოებდა საქართველოს წინააღმდეგ. რამდენადაც მტრის შემოტევა ძლიერი იყო, იმდენად ქართველი ხალხი ადეკვატურ, გმირულ წინააღმდეგობას უწევდა დამპყრობელს. მიუხედავად დიდი მსხვერპლისა, საქართველომ შეძლო სახელოვნად დაეცვა თავისი სახელმწიფოებრიობა და სარწმუნოება. სამწუხაროდ იყო ისეთი მომენტებიც, როდესაც ქართვე-

ლი ერი სხვადასხვა ფაქტორის (ძირითადად შინაგანი უთანხმოება და დალატი) გამო მარცხდებოდა და დროებით უკან იხევდა. ერთ-ერთი ასეთი ეპიზოდი XVII საუკუნის ისტორიაში იყო როსტომ ხანის მმართველობის ეპოქა. ჩვენი განხილვის საგანსაც სწორედ აღნიშნული პერიოდი წარმოადგენს. ამჟამად ჩვენ მიზანს არ შეადგენს ამ პიროვნების შესახებ არსებული სამეცნიერო ლიტერატურის სრული მიმოხილვა, მითუმეტეს, არ ვაპირებთ როსტომ ხანის მოღვაწეობის ყოველმხრივ შეფასებას. ჩვენი ინტერესის საგანს წარმოადგენს იმის გარკვევა, თუ რამდენად მართებულია ქართულ ისტორიოგრაფიაში როსტომ ხანის მმართველობის შესახებ გამოთქმული დადებითი მოსაზრებები.

თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ ალბათ გაძნელებდა საქართველოს ისტორიაში მეორე ისეთი პიროვნების მოძებნა, რომელსაც იმდენი დაუმსახურებელი პოზიტიური შეფასება მიეღოს ისტორიკოსებისაგან, როგორც ეს როსტომ ხანს ხვდა წილად. ამის გამომწვევ მიზეზთა შორის კი ძირითადად ორი ფაქტორი გვინდა გამოვყოთ: პირველი - საბჭოთა ხელისუფლების მიერ ისტორიული მეცნიერების დარგში განხორციელებული იდეოლოგიური წნეხი, და მეორე, - ზოგიერთი ისტორიკოსის მიერ ქრისტიანული სარწმუნოების როლის სათანადო შეუფასებლობა ქართველი ერის არსებობის შენარჩუნებისათვის წარმოებულ ომში. როგორც ცნობილია, საბჭოთა იდეოლოგიური მანქანა განსაკუთრებით ცდილობდა წინა პლანზე წამოეწია ისეთი ისტორიული პიროვნებები, რომელთაც საკუთარი სამშობლოს დალატის ფასად მიადწიეს წარმატებებს დიდი ქვეყნების პოლიტიკურ ასპარეზზე (თავად საბჭოთა იმპერიაც ხომ ასეთი ტიპის რენეგატებით საზრდობდა). ასე რომ, როსტომ ხანის საბჭოთა ისტორიოგრაფიის ფავორიტად გადაქცევის საქმეში ეს ფაქტორი ერთ-ერთი განმსაზღვრელი იყო. რაც შეეხება მეორე მომენტს, - ქართველი ერის ცხოვრებაში ქრისტიანული სარწმუნოების როლის სათანადო შეუფასებლობას: ცხადია, მასაც თავისი მიზეზები გა-

აწინა. საქმე ის არის, რომ ჯერ კიდევ XIX საუკუნეში რუსეთის იმპერია, რომელმაც ავტოკეფალია წაართვა საქართველოს ეკლესიას, ყოველმხრივ ცდილობდა დაებრკოლებინა იმის გამომზეურება თუ რა დიდი ქრისტიანული წარსული გააჩნდა ქართველ ხალხს. ცხადია, მას შემდეგ რაც ხელისუფლების სათავეში ათეისტური ბოლშევიკური რეჟიმი მოვიდა, ისტორიკოსებს არაფერს მისცემდა იმის უფლებას, რომ სათანადოდ ეკვლიათ და წარმოეჩინათ ის დიდი როლი, რომელიც ქრისტიანულმა სარწმუნოებამ შეასრულა ქართველი ერის ცნობიერების ჩამოყალიბებისა და არსებობისათვის ბრძოლაში. როდესაც ზოგიერთი ისტორიკოსის „არგუმენტებს“ ეცნობი როსტომ ხანის ქრისტიანობის ქომაგის როლში წარმოსაჩენად, გრჩება შთაბეჭდილება, რომ ათეისტურ საზოგადოებაში აღზრდილ მკვლევარების ნაწილს უკვე აღარც შეეძლო გაგება ქრისტიანული მოძღვრების ძირითადი პრინციპებისა. რა თქმა უნდა, ყოველივე ზემოთქმული არ გულისხმობს იმას, რომ ქართულ ისტორიოგრაფიაში, როგორც როსტომ ხანის, ასევე მისი მმართველობის რეჟიმის სწორი შეფასება არ მოიპოვებოდეს. არაერთ ქართველ ისტორიკოსს სავსებით მართებული მოსაზრება აქვს გამოთქმული ამ თვალსაზრისით, მაგრამ როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჩვენი მიზანი ამ შემთხვევაში სრულიად კონკრეტულია—ვაჩვენოთ რამდენად მართებულია ქართულ ისტორიოგრაფიაში როსტომ ხანის შესახებ გამოთქმული გარკვეული დადებითი შეფასებები.

საბჭოური პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში როსტომ ხანი ე. წ. „კომპრომისული პოლიტიკის“ ფუძემდებლად ითვლება. საქართველოს ისტორიის ნარკვევების მე-4 ტომში ვკითხულობთ: „აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობის გმირულმა ბრძოლებმა XVII საუკუნის პირველ მესამედში ირანის მესვეურები აიძულა ხელი აეღოთ ქართლ-კახეთის სამეფოების მთლიანი მოსპობის გეგმაზე და კომპრომისის პოლიტიკას დასდგომოდნენ. ეს კომპრომისი გამოიხატა იმაში, რომ ირანი უცვლელად ტოვებდა ქართულ

სოციალურ-ეკონომიკურ წყობას, ტახტი ბაგრატიონთა დინასტიის ხელში რჩებოდა მაჰმადიანობის პირობითა და „ვალის“ ტიტულით. „გურჯისტანის ვალის“ ხარკი და საჩუქრები უნდა ეძლია ირანისათვის. აღნიშნული კომპრომისის გამოხატულება იყო როსტომის მეფობა ქართლში (1632-1658 წწ.)“ (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, 1973, 312).

აქვე, სადაც ირანსა და ქართლს შორის გაფორმებულ ე. წ. „კომპრომისულ“ ვარიანტზეა საუბარი, ვკითხულობთ: „...როსტომს სასტიკი ბრძოლის გადატანა მოუხდა, რათა ქართული ფეოდალური საზოგადოების დიდი ნაწილი თავის მხარეზე გადაეყვანა. ქართული საზოგადოების მეორე ნაწილი, რომელსაც თეიმურაზ პირველი მეთაურობდა, არ ცნობდა როსტომის მეფობას და სრული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას განაგრძობდა“ (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, 1973, 312). გადავინაცვლოთ ცოტა უფრო ქვემოთ, 325-ე გვერდზე: „...შაჰისათვის როსტომი ყველაზე სასურველი კანდიდატი იყო, რომლის ზომიერი პოლიტიკა, როგორც ირანისათვის, ისე ქართველებისათვის ასატანი იყო“. იბადება კითხვა - თუ კი ქართული საზოგადოების ერთი ნაწილი საერთოდ არ ცნობდა როსტომ ხანის მეფობას, ხოლო მეორე ნაწილის დასამორჩილებლად მას სასტიკი ბრძოლების გადატანა დასჭირდა, მაშინ ეს ყბადაღებული „კომპრომისი“ ვისთან გააფორმა ირანმა, ან ვინ არიან ის ქართველები, რომელთათვისაც მისი ე. წ. „ზომიერი“ პოლიტიკა მისაღებია?

„კომპრომისული“ თეორიის „დამუშავებამ“ ქართულ ისტორიოგრაფიაში კიდევ ერთი, რბილად რომ ვთქვათ „პარადოქსული“ დებულება წარმოშვა, რომელმაც საქართველოს ისტორიის ნარკვევების მეოთხე ტომში, იქ სადაც თეიმურაზ I-ისა და როსტომ ხანის ბრძოლებზეა საუბარი, ასეთი სახე მიიღო: „სწორედ ამაშია თეიმურაზის ბრძოლისა და მისი ირანისადმი ერთგვარი „ჯიუტი“ და „ჭირვეული“ დამოკიდებულების მნიშვნელობა, თეიმურაზის შეურთებ-

ლობამ ირანი აიძულა დათმობაზე წასულიყო და როსტომს საშუალება მისცა მშვიდობიანი გზით ეკეთებინა ის საქმე, რომლის გაკეთებასაც თეიმურაზი იარაღით ცდილობდა“ (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, 1973, 325). აღნიშნული მოსაზრების წყაროდ სქოლიოში ცნობილი ქართველი ისტორიკოსის იასე ცინცაძის საგაზეთო სტატიაა მითითებული (ცინცაძე, ლიტერატურული გაზეთი, 1963, 20 დეკემბერი). ჩვენ გავეცანით ამ ნაშრომს და გვინდა აღვნიშნოთ, რომ ზუსტად ასეთი წინადადება სტატიაში არ გვხვდება, თუმცა მსგავსი შინაარსის მოსაზრება ნამდვილად აქვს გამოთქმული ავტორს (ამ თვალსაზრისით იხ. აგრეთვე, ცინცაძე, 1965, 44). გვხვდება შემთხვევა, როდესაც ამ მოსაზრების ავტორად ივ. ჯავახიშვილია გამოცხადებული. მხედველობაში გვაქვს ერთ-ერთ ინტერნეტსაიტზე როსტომ ხანის შესახებ განთავსებული სტატია, რომლის ავტორია ისტორიკოსი მზია სურგულაძე. ლიტერატურის ჩამონათვალში კი ქართველი ერის ისტორიის IV ტომის 1967 წლის გამოცემა აქვს მითითებული (სურგულაძე, <https://qim.ge/rostopom%20mefe.html>). უნდა აღინიშნოს, რომ არანაირი მსგავსი მოსაზრება ამ ნაშრომში არ გვხვდება, უფრო მეტიც, როგორც ცოტა ქვემოთ ვნახავთ იმავე წიგნში, ივანე ჯავახიშვილს სრულიად საპირისპირო პოზიცია აქვს დაფიქსირებული თეიმურაზ პირველისა და როსტომ ხანის პიროვნებების შესახებ.

თეიმურაზ პირველისა და როსტომ ხანის მოღვაწეობის შეფასების ასეთი ფორმულირება საკმაოდ პოპულარული გახდა ისტორიკოსებში და არაერთ ნაშრომშიც დაიმკვიდრა „საპატიო“ ადგილი (საქართველოს ისტორია, ტ II (XIII-XVIII სს.) ნ. ასათიანის და გ. ჯამბურიას რედაქციით, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2008 წ. გვ 198; მ. რეხვიაშვილი, ნ. რეხვიაშვილი, საქართველოს ისტორია (უძველესი დროიდან XX საუკუნის 30-იან წლებამდე), ქუთაისი, 2000 წ. გვ 564 და სხვ.).

ამ თვალსაზრისით საგანგებოდ გვინდა გამოვეყოთ ლოვარდ ტუხაშვილის სტატია: „ეროვნული ხსნის გზასა-ყართან“ (ტუხაშვილი, ცისკარი, 1983, № 9,109-114). ავტორის აზრით, როსტომ ხანის ქართლში მოსვლით: „დაიწყო ახალი ეპოქა: **„ადღეენა-გამოხსნის“ ბრძოლაში\_ორი მაგისტრალური ხაზი განვითარდა.** როსტომ მეფის კომპრომისული ტაქტიკა და თეიმურაზ I-ის ქრისტიანულ-პატრიოტული რადიკალიზმი. **...როსტომ-თეიმურაზის დაპირისპირებაც ქართველობისათვის ბრძოლის ლოზუნგებით მიმდინარეობდა,** მაგრამ რადგან როსტომი „...ირანოფილური“ ძალების დაყრდნობით დამკვიდრდა ქართლში, მას მოუხდა განსხვავებული იდეოლოგიური საყრდენების მოძებნაც. **...რასაკვირველია როსტომის გამეფებით ქართლს მთლიანად არ დაუკარგავს არც სუვერენიტეტი და არც დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკის გატარების უფლება... XVII საუკუნის 30-იანი წლებიდან, როდესაც ქართველობისათვის ბრძოლის ორი განსხვავებული მიმართულება განვითარდა, ეროვნული ძალები როსტომისა და თეიმურაზ I-ის გარშემო დაი-რაზმნენ”** (იქვე, გვ. 110). ასეთი მოსაზრებების შემდეგ, ცხადია, ავტორს არ გაჭირვებია შემდეგი დასკვნის გამოტანა: **„...მივიღეთ თითქოს აუხსნელი პარადოქსი - ერთმანეთის „დაუძინებელი“ ორი მტერი - თეიმურაზ I და როსტომ ხანი უნებლიედ საქართველოს გადარჩენისათვის ბრძოლის მოკავშირეები ხდებოდნენ“** (ტუხაშვილი, ცისკარი, 1983, №, 113.) (ხაზი ყველგან ჩვენია, - მ.მ.).

თავი რომ დავანებოთ თეიმურაზ I-ისა და როსტომ ხანის მოღვაწეობის ერთ სიბრტყეზე განხილვის უხერხულობას, რაზედაც ცოტა ქვემოთ ვგვეჩვენა საუბარი, საინტერესო იქნებოდა ავტორს დაეკონკრეტებინა, რომელ „ეროვნულ ძალებს“ გულისხმობდა როსტომ ხანის მხარეზე, ან რა შინაარსის მოწოდებებს შეიცავდა „ქართველობისათვის“ მებრძოლი როსტომის ლოზუნგი. აღარაფერს ვამბობთ როსტომისეულ „სუვერენიტეტზე და დამოუკიდებელ საგა-

რეო პოლიტიკაზე“ (შეადარე ბერი ეგნატაშვილის სიტყვები: „...და თვით როსტომ მეფის წადილი და ნება ეს იყო, რომ უყაენოდ არავის რა მისცემოდა, და თუ ვინმე გასაკეთებლად უნდოდა, ყაენს შეეკითხოვოდა. და იყო მეფე როსტომ მორჩილი ყაენისა და მოყუარე სჯულისა მაჰმადისასა“ (ქართლის ცხოვრება, 1959, 424).

1987 წელს ისტორიკოსმა გუელქან ჟორჟოლიანიმა სპეციალური ნაშრომი მიუძღვნა როსტომ ხანის მმართველობის შესწავლას (საქართველო XVII საუკუნის 30-50-იან წლებში (ქართლ-კახეთი). ნაკვლევისათვის თვალის ერთი გადავლევაც კი საკმარისია დარწმუნდე, რომ ავტორის მიზანია მაქსიმალურად დადებით ხაზებში წარმოაჩინოს ფავორიტი ისტორიული პიროვნება. ნაშრომის ძირითადი ნაწილი 125 გვერდისაგან შედგება. აქედან 124 გვერდი მთლიანად როსტომ ხანის აპოლოგიას წარმოადგენს და მხოლოდ ერთ 112-ე გვერდზე აღნიშნავს მკვლევარი, რომ თურმე: „ბერი ეგნატაშვილისა და ვახუშტის ცნობებით, როსტომის დროინდელი ქართლისათვის უარყოფითი მოვლენებიც იყო დამახასიათებელი“ (ჟორჟოლიანი, 1987, 112). თუმცა, როგორც მოსალოდნელი, იყო ავტორმა არ გაიზიარა ვახუშტის და ბერი ეგნატაშვილის ცნობები და: „...საკმაოდ გაზვიადებული და მუქ ფერებში წარმოდგენილი“ უწოდა მას, არგუმენტად კი მხოლოდ ის მოსაზრება მოიყვანა, რომ თურმე: „როსტომის თანადროულ სხვა ქართულ და უცხოურ წყაროებში ამგვარი მოვლენების შესახებ არაფერია ნათქვამი“ (ჟორჟოლიანი, 1987, 112). რა შეიძლება ითქვას ამ მოსაზრების შესახებ? ვახუშტი ბაგრატიონი XVIII საუკუნის უდიდესი ისტორიკოსი იყო. როგორც ისტორიული მოვლენების წვდომისა და ანალიზის, ასევე ობიექტურობის და მიუკერძოებლობის თვალსაზრისით მას ვერც წინამორბედი და ვერც მისი თანამედროვე ქართველი (მითუმეტეს უცხოელი) ისტორიკოსები ვერ შეედრებიან – ჯერ ერთი, ვახუშტი როსტომ ხანის ეპოქიდან არც თუ დიდად დაშორებულ პერიოდში მოღვაწეობდა. მეორეც, ის იყო სა-



მეფო ოჯახის წარმომადგენელი და, ცხადია, ბევრ ისეთ დოკუმენტზე ან ინფორმაციაზე მიუწვდებოდა ხელი, რაც ფართო საზოგადოებისათვის ცნობილი არ იქნებოდა. მესამეც, – ვახუშტი არა მარტო დიდი მეცნიერი და მკვლევარი, არამედ დიდი პატრიოტიც იყო. ის ქართული საზოგადოების იმ პროგრესული ნაწილის წარმომადგენელი იყო, რომელსაც სწორად ესმოდა რა იყო ქართველი ერისათვის კარგი და ცუდი. ასე რომ, მისი შეფასება ამ თვალსაზრისითაც მნიშვნელოვანია. რაც შეეხება ვახუშტის მიერ როსტომ ხანის შეფასების ობიექტურობის საკითხს, ჩვენ არც აქ გვაქვს საფუძველი მასში ეჭვის შეტანისა. ვახუშტი და მისი ოჯახი დიდად იყო დავალებული როსტომ ხანისაგან, ვინაიდან ვახტანგ V სწორედ როსტომ ხანმა გამოარჩია და აიყვანა ქართლის სამეფო ტახტზე. ასე რომ, თუ მიკერძოებაზე დავიწყებით საუბარს, მაშინ ვახუშტის როსტომ ხანისადმი დადებითი თვალსაზრისით უნდა გამოეჩინა მიკერძოება, მაგრამ როდესაც ისტორიკოსი საკმაოდ მუქ ფერებში ხატავს როსტომ ხანის მოღვაწეობას, აშკარაა, რომ ამ შემთხვევაში მას სიმართლის თქმის პრინციპი ამოძრავებს. იგივე უნდა ითქვას ბერი ეგნატაშვილის მეთაურობით შემდგარ სწავლულ კაცთა კომისიისა და მისი ნაშრომის შესახებაც. ისინი ვახტანგ VI-ის ბრძანებით მოქმედებდნენ და სხვას რომ თავი დავანებოთ, ვახტანგი არ მისცემდა მათ უფლებას მისი ოჯახის კეთილისმყოფელისათვის ზედმეტი ცუდი დაებრალებინათ და თუ ისინიც საკმაოდ მუქ ფერებში ხატავენ როსტომის მმართველობას, ესეც გამოწვეულია სიმართლის თქმის პრინციპით. სწავლულ კაცთა კომისიის წევრები პროგრესული და საღად მოაზროვნე პიროვნებები იყვნენ და ამა თუ იმ მოღვაწის ნამოქმედარს ქართული სახელმწიფოს ინტერესების პოზიციებიდან აფასებდნენ. უნდა აღინიშნოს, რომ ვახუშტი ბაგრატიონისა და ბერი ეგნატაშვილისაგან განსხვავებით, როსტომ ხანის შესახებ არსებული სხვა ქართველი თუ უცხოელი (სპარსელი, თურქი, ევროპელი) ავტორების ცნობები ფრაგმენტულია

და მათ ამ მოღვაწის მმართველობა თავიდან ბოლომდე არ შეუხწავლიათ. მითუმეტეს, მათ სპეციალური მსჯელობის საგნად არ გაუხდიათ საკითხი, თუ რამდენად შეესაბამებოდა როსტომ ხანის მმართველობის ხასიათი ქართულ ეროვნულ ცნობიერებას და სახელმწიფოებრივ ინტერესებს. ერთადერთი გამონაკლისი ამ თვალსაზრისით, ვისაც ვრცელი მსჯელობა მოეპოვება როსტომ ხანის მმართველობის შესახებ, ეს არის ფარსადან გორგიჯანიძე, რომელიც იყო როსტომ ხანის მეხოტბე. მან სწორედ მისი წყალობით აიწყო კარიერა სპარსეთში, რის გამოც, საკუთარი მფარველის მსგავსად, სარწმუნოების გამოცვლასაც არ დაერიდა. ამიტომ მისი მსჯელობა ძალზე სუბიექტური და მიკერძოებულია და, ცხადია, ქართველთა ეროვნულ ცნობიერებასა და ქრისტიანულ სარწმუნოებაზე როსტომ ხანის მმართველობის დამღუპველ გავლენაზე ის ყურადღებას არ გაამახვილებდა.

თუმცა არ შეიძლება იმის თქმაც, რომ უცხოელი ავტორები იმ მძიმე რელიგიურ და ეროვნულ მდგომარეობაზე ცნობებს არ გვაწვდიდნენ, რაც როსტომ ხანის მმართველობამ მოუტანა ქვეყანას. აი, რას წერს პავლე აღეპოელი, რომელმაც XVII საუკუნის 60-იან წლებში იმოგზაურა საქართველოში: „როგორც კი შაჰმა კახეთი აიღო და ააოხრა, დაიპყრო ქართლიც და ხანებად სვამს ქრისტიან ქართველებს, რომლებიც გამაჰმადიანდნენ და თანდათან ყველა ბოიარი გამაჰმადიანდა, რათა პატივი და მამულები შეენარჩუნებინათ“ (მასალები XVII საუკუნის საქართველოს ისტორიისათვის, 1973, 77; ნაკაშიძე, 1977, 171). იგივეს იმეორებს ჟან შარდენი, რომელიც XVII საუკუნის 70-იან წწ. იმყოფებოდა საქართველოში: „ქართველ დიდებულთა უმრავლესობა გარეგნულად მაჰმადიანობას აღიარებს. ზოგი ამ სარწმუნოებაზე გადადის იმიტომ, რომ თანამდებობა ჰქონდეს კარზე და სახელმწიფოს ჯამაგირი მიიღოს; სხვები კი იმისათვის, რომ გახდნენ ღირსნი ხელმწიფისათვის საკუთარ ასულთა მითხოვებისა, ან კიდევ მხოლოდ იმისათვის,

რომ ხელმწიფის ცოლებთან მოახლეებად მაინც შესძლონ მათი დაყენება. ამ ლაჩარ წარჩინებულთა შორის ისეთებიც არიან, რომლებსაც თვითონ მიჰყავთ თავიანთი ულამაზესი ქალიშვილები ხელმწიფისათვის, ჯილდოდ კი იღებენ ჯამაგირს ან თანამდებობას. მაჰმადიანურ სარწმუნოებას ყოველთვის წინასწარ დებულობენ. ჯამაგირი ეძლევათ მათი წოდების შესაბამისად. მაგრამ ჩვეულებრივად იგი ორი ათას ეკიუს არ აღემატება“ (შარდენი, 1975, 314). ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, რომ გულქან ჟორჯოლიანის არგუმენტი ვახუშტი ბაგრატიონისა და ბერი ეგნატაშვილის ცნობების არაობიექტურობის შესახებ უსაფუძვლოა.

გარდა იმისა, რომ ავტორს ყოველგვარი დასაბუთების გარეშე ეჭვი შეაქვს ვახუშტი ბაგრატიონისა და ბერი ეგნატაშვილის ცნობების სანდოობაში, არ შეიძლება არ აღინიშნოს ის თვალშისაცემი ფაქტიც, რომ მკვლევარი ყოველნაირად ცდილობს ამ ისტორიკოსების ნაშრომებიდან ციტატები ისე დაიმოწმოს, რომ მაქსიმალურად იყოს „გაფილტრული“ როსტომ ხანზე გამოთქმული უმძიმესი ბრალდებებისაგან. მაგალითად, ავტორს მოჰყავს შემდეგი ციტატა ბერი ეგნატაშვილის ნაშრომიდან: „...და მას უამსა იწყო ქართლის წესმან და რიგმან გარდაცვალება...“ ამის შემდეგ ავტორს გამოტოვებული აქვს რამდენიმე აბზაცი და აგრძელებს შემდეგი სიტყვებით: „...იყვნენ დღითი-დღე სმასა და განცხრომასა შინა, ხოლო სულისათვის არარას ზრუნვიდნენ. მოიყვანა მეჩანგენი და მუტრიბნი და აქედენ ქართველნი დარბაისელნი და მათცა ეგრეთვე იყოლიეს მუტრიბნი და მრავალნი მხევალნი და არღარა იყო სირცხვილი სიძვისა და მეძაობისა“ (ჟორჯოლიანი, 1987, 112). საკმარისია ბერი ეგნატაშვილის ნაშრომის გადაშლა და გამოტოვებული ციტატის ნახვა, რომ ნათქვამის სისწორეში დავრწმუნდეთ (იხ. ქართლის ცხოვრება, 1959, 424). ანალოგიურად, როდესაც მკვლევარმა ვახუშტის ნაშრომიდან როსტომ ხანის შესახებ მოცემული უარყოფითი დახასია-

თების საილუსტრაციო ნაწყვეტი მოიყვანა, რატომღაც მისი ყურადღება ვერ მიიპყრო შემდეგმა უმძიმესმა ბრალდებამ, რომელსაც ვახუშტი როსტომ ხანს უყენებს: „...სწაღდა როსტომს დამორჩილება ქართლისა ყვენისაგან, ვითარცა სხუათა სახანოებთა და მისთვის წარავლინებდა მუნ ყოველთა და განუწესებდა როქსა და განკუეთილსა, რათა მით არღარა უარჰყონ ქართველთა ყიზილბაშნი“ (ბაგრატიონი, 1973, 442). ავტორი ვახუშტის არც იმ ცნობას აღნიშნავს, რომლის მიხედვითაც, როსტომ ხანი მარაბდის ბრძოლაში ქართველი ხალხის წინააღმდეგ იბრძოდა ყიზილბაშების მხარდამხარ. საერთოდ, ასეთი დამოკიდებულება ავტორისათვის სხვა დროსაც არის დამახასიათებელი. მაგალითად, მას არ ავიწყდება თავის ნაშრომში მოიყვანოს ივანე ჯავახიშვილის მიერ როსტომ ხანისადმი გამოთქმული შემდეგი დადებითი მოსაზრება: „ქართლში მოსვლისთანავე მასში ხელმწიფის ბატონ-პატრონის საღმა გრძნობამ გაიღვიძა და ქვეყნის კეთილდღეობისათვის მზრუნველობას შეუდგა“ (ქორჟოლიანი, 1987, 42). სამაგიეროდ, ცალი სიტყვითაც არ ახსენებს ივანე ჯავახიშვილის მიერ იმავე როსტომ ხანზე გამოთქმულ ცნობილ შეფასებას: „...ამგვარად ბრმისათვისაც ცხადი უნდა გამხდარიყო, რომ...როსტომის მეფობა...ჩვენი ქვეყნის მონობისა და სპარსთა ბატონობის მომავლინებელი იყო“ (ჯავახიშვილი, 1953, 29).

ცხადია, გულქან ქორჟოლიანისათვის უმთავრესი პრობლემა, როდესაც ის ყოველგვარი საშუალების გამოყენებით ცდილობს როსტომ ხანის ქართველობისა და ქრისტიანობის ქომაგად წარმოჩენას, არის მისი მაჰმადიანობა. თუმცა მკვლევარმა აქაც მოახერხა გამოსავლის მოძებნა. მოდით, თავად ავტორს მოვუსმინოთ: „...რაც შეეხება მუსლიმანური რელიგიისადმი როსტომ მეფის დამოკიდებულებას, შემდეგი შეიძლება ითქვას; თუ თვით როსტომისა და ქართული ფეოდალური საზოგადოების ცალკეული წევრების გამაჰმადიანების ფაქტებს კვლავ როსტომისეული „დიდი პოლიტიკის“ თვალსაზრისით შევხედავთ, თანაც ჩვენ-

თვის საინტერესო პერიოდის პოლიტიკურ სიტუაციას გაითვალისწინებთ, დავინახავთ რომ მეფისა და ცალკეული ფეოდალების მიერ მაჰმადიანობის მიღება ფორმალური, დროებითი, იძულებითი საშუალება იყო, რომელიც მიზნად ისახავდა ქვეყანაში სამეფო ხელისუფლების განმტკიცებას, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელი პირობების შექმნას, გაუთავებელი ომებით სისხლგამოდებული ხალხის დროებით შესვენებას და საბოლოო ჯამში მაჰმადიანური სამყაროს წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლებისათვის მზადებას“ (ქორჟოლიანი, 1987, 59).

როგორც ჩანს, პატივცემულ მკვლევარს, როდესაც ამ მოსახრებას თავისი ნაშრომის 59-ე გვერდზე წერდა, დაავიწყდა რომ მანამდე 24-ე გვერდზე მთელი გულმოდგინებით ამტკიცებდა, რომ როსტომ ხანმა მაჰმადიანობა 1587 წლის ახლო ხანებში მიიღო (ქორჟოლიანი, 1987, 24). ამ დროს კი თავად ავტორსაც კარგად მოეხსენება, რომ ხოსრო მირზა არანაირ მნიშვნელოვან ფიგურას არ წარმოადგენდა და შესაბამისად მის მიერ მაჰმადიანობის მიღება ვერც სამეფო ხელისუფლებას განამტკიცებდა, ვერც სოციალ-ეკონომიკური თვალსაზრისით განავითარებდა ქვეყანას და ქართველ ხალხსაც ვერანაირ შვებას მოგვრიდა. ამ ნაბიჯის ერთადერთი მიზანი იყო საკუთარი სამშობლოს და სარწმუნოების დაღატაკის ფასად საქართველოს სისხლისმსმელი მტრის გულის მოგება და პოლიტიკური კარიერის საფეხურზე დაწინაურება.

გულქან ქორჟოლიანის აზრით: „XVII საუკუნის 50-იან წლებში გაერთიანებულ ქართლ-კახეთის მეფის პრესტიჟის ზრდა, მისი როგორც მმართველის სიძლიერე, მისი გონივრული მმართველობის შედეგად აღმ. საქართველოს აღმავლობა შეუქმნეველი არ დარჩენილა შაჰ-აბას II-სათვის. ამ მიზეზით აიხსნება ის ფაქტი, რომ 1656 წ. ირანის შაჰის ბრძანებით როსტომს კახეთი ჩამოერთვა“ (ქორჟოლიანი, 1987, 97). ანალოგიურ მოსახრებას ავტორი როსტომის 1652

წ. რუსეთში გაგზავნილ ელჩობასთან დაკავშირებითაც ავითარებს: „გამორიცხული არ არის, რომ ეს დიდმასშტაბური სავაჭრო (და შესაძლოა პოლიტიკური) ოპერაცია როსტომის საქმიანობით შაჰის გაღიზიანებისა და უკმაყოფილების იმ უკანასკნელ წვეთს წარმოადგენდა, რომელმაც 1656 წელს როსტომისათვის შაჰის მიერ კახეთის ჩამორთმევა განაპირობა“ (ქორქოლიანი, 1987, 94). სამწუხაროდ, გულქან ქორქოლიანი საერთოდ არ ახსენებს ვახუშტი ბაგრატიონის პირდაპირ ცნობას, რომლის მიხედვით, როსტომ ხანს კახეთი მისი ხანდაზმულობის გამო ჩამოართვეს: „არამედ ვითარ მოხუცდა, ვითარცა უძლეები, დასუა კახეთს ბრძანებითავე ყვენისათა საღიმ-ხან“ (ბაგრატიონი, 1973, 446). და მართლაც როსტომ ხანი ამ დროს 90 წლის იყო.

როგორც მოსალოდნელი იყო, ქართულ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებულმა მოსაზრებამ, თითქოს თეიმურაზ I და როსტომ ხანი ერთ საქმეს ემსახურებოდნენ, გულქან ქორქოლიანის ნაშრომშიც კპოვა ადგილი: „...თეიმურაზ I-ისა და გამაჰმადიანებული როსტომ ბაგრატიონის მოღვაწეობა ერთიმეორეს ავსებდა ყიზილბაშთაგან საქართველოს გადარჩენის საქმეში“ (ქორქოლიანი, 1987, 124)

ნაშრომში სხვა არაერთი მსგავსი მოსაზრება მოიპოვება, მაგრამ ჩვენ ყველა მათგანის განხილვისაგან თავს შევიკავებთ და მხოლოდ ერთის აღნიშვნით დავკმაყოფილდებით. ავტორი ნაშრომის ბოლოს აცხადებს: „...როსტომ მეფის მიერ გატარებული შინა პოლიტიკური ღონისძიებების შესწავლა გვიჩვენებს, რომ ქართლის მიმართ ირანის მიერ განხორციელებული კომპრომისული პოლიტიკის პირობებში როსტომმა ირანთან დამოკიდებულების საშუალო, ზომიერი გზის არჩევით, რაც ძირითადად მაჰმადიანობისა და შაჰის სიუზერენობის ფორმალურ აღიარებაში გამოიხატებოდა, ქვეყანას უცვლელად შეუნარჩუნა სახელმწიფოებრივი წყობა, სოციალური და ეკონომიკური სტრუქტურა, სარწმუნოება ქრისტიანობა და რაც მთავარია სახელმწიფოებრივი ენა – მშობლიური ქართული“ (ქორქოლიანი,

1987, 123). არადა, როგორც ქვემოთ ვნახავთ, რეალურად ყველაფერი საწინააღმდეგოდ იყო: როსტომ ხანის გაყი-  
ზილბაშების პოლიტიკამ უდიდესი ზიანი მიაყენა როგორც  
ქრისტიანულ სარწმუნოებას, ასევე ქართულ ენას, ხოლო  
სახელმწიფო წყობა და სტრუქტურა საკმაოდ შეცვალა და  
დააზიანა.

რა შეიძლება ითქვას განხილული მოსაზრებების შე-  
სახებ, განსაკუთრებით კი თეიმურაზის და როსტომ ხანის  
მოდვაწეობის ერთ სიბრტყეზე განხილვის თვალსაზრისით?  
ჩვენი აზრით ეს ყოველივე არა მარტო გმირი მეფის, არა-  
მედ იმ ათასობით მამულიშვილის შეურაცხყოფაცაა, რო-  
მელთაც სამშობლოსათვის გასწირეს თავი, რათა ირანსა  
და მის ერთგულ მსახურს-როსტომ ხანს საქართველო არ  
გადაეგვარებინა. ეს რომ ასეა თუნდაც იქიდანაც ჩანს, რომ  
როდესაც ზემომოყვანილ ციტატაში ნახსენები: „თეიმურა-  
ზი“ და „აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობა“ ქართვე-  
ლობის გადარჩენისთვის მარაბდის ბრძოლაში სისხლს  
ღვრიდა, როსტომ ხანი იმავე ბრძოლაში საქართველოს წი-  
ნააღმდეგ იბრძოდა. განა, სწორედ თეიმურაზ პირველის  
თავდადებულმა ბრძოლამ არ ჩაშალა ირანისა და როსტომ  
ხანის განზრახვა -გადაექცია ქართლ-კახეთი ყიზილბაშურ  
სახანოდ (გავიხსენოთ ვახუშტი ბაგრატიონის სიტყვები:  
„სწადდა როსტომს დამორჩილება ქართლისა ყვენისაგან,  
ვითარცა სხუათა სახანოებთა“ (ბაგრატიონი,1973, 442). აქვე  
გვინდა ივანე ჯავახიშვილის ზემოთნახსენები მოსაზრებაც  
მოვიყვანოთ. საუბრობს რა თეიმურაზ პირველისა და როს-  
ტომ ხანის შესახებ, დიდი ქართველი ისტორიკოსი წერს:  
„ამგვარად ბრმისათვისაც ცხადი უნდა გამხდარიყო, რომ  
თეიმურაზ მეფის ბატონობა აღმოსავლეთი საქართველოს  
დამოუკიდებლობასა და მაინცდამაინც დამოუკიდებლობი-  
სათვის თავგანწირულს ბრძოლას მოასწავებდა, როსტომის  
მეფობა კი ჩვენი ქვეყნის მონობისა და სპარსთა ბატონო-  
ბის მომავლინებელი იყო“ (ჯავახიშვილი,1953, 29). სამწუხა-  
როდ, არა თუ ბრძმებისთვის, არამედ ბევრი ქართველი ის-

ტორიკოსისათვისაც კი გაუგებარი დარჩა ეს ელემენტარული ჭეშმარიტება.

ამრიგად, როგორც ვხედავთ, როსტომ ხანის აპოლოგეტმა ისტორიკოსებმა მისი ყალბი ისტორიული პორტრეტი შექმნეს და ქართულ ისტორიოგრაფიაშიც საკმაოდ მყარად დაამკვიდრეს. ამ ფსევდოპატრიოტული იმიჯის უმთავრესი „დოგმატური სწავლებები“ ასე წარმოგვიდგება:

1. როსტომ ხანის მმართველობით კომპრომისული ურთიერთობა დამყარდა ქართლსა და ირანს შორის, რაც ირანთან ბრძოლებით გადაღლილი ქართლისათვის ხსნა და შვება იყო.

2. მიუხედავად გაყიზილბაშებისა და გამაჰმადიანებისა, როსტომ ხანი ცნობიერებით და შინაგანი სულისკვეთებით ქართველად და პატრიოტად რჩებოდა (მაგალითად, მიხეილ რეხვიაშვილის აზრით, ის იყო: „სჯულით მაჰმადიანი, სულით ქართველი“ (მ. რეხვიაშვილი, ნ. რეხვიაშვილი, 2000, 566)). ირანის „ვალის“ საფარველქვეშ ის ყოველნაირად ცდილობდა ქართული საქმე ეკეთებინა.

3. როსტომ ხანი გარეგნულად, ფორმალურად იყო მაჰმადიანი, შინაგანი სულისკვეთებით კი იგი ქრისტიანად რჩებოდა და ქრისტიანობის მფარველი და ქომაგი იყო.

შევეცდებით თანმიმდევრულად განვიხილოთ ზემოაღნიშნული მოსაზრებები, რათა დავრწმუნდეთ რამდენად ობიექტური ან სუბიექტურია ასეთი შეხედულებები. დავიწყოთ ე. წ. „კომპრომისული თეორიის“ განხილვით.

როგორც ცნობილია, „კომპრომისი“ გულისხმობს რაიმე საკითხთან დაკავშირებით შეთანხმებას, როდესაც ამ თანხმობის სანაცვლოდ ორი მხარე ერთმანეთის მიმართ პრინციპულ დათმობაზე მიდის. ახლა ვნახოთ თუ რამდენად შეეფერება სიტყვა კომპრომისი 1632 წლისათვის ირანისა და ქართლის ურთიერთობაში მომხდარ ცვლილებებს. ამისათვის საჭიროა შედარებით დაწვრილებით განვიხილოთ თუ რა ხდებოდა მანამდე, XVII საუკუნის 20-იან წლებში და ურთიერთდამოკიდებულების რა ხარისხობრივ სტადიაში იმყოფებოდა ქართლი და ირანი ერთმანეთის მი-



მართ, მაშინ როდესაც როსტომ ხანი (ხოსრო მირზა) გახდა ქვეყნის მმართველი. როგორც ცნობილია, მარტყოფისა და მარაბდის გამირუღმა ეპოპემ დამპყრობელ ირანს თვალნათლივ დაანახა, რომ ქართლისა და კახეთის ყიზილბაშურ სახანოებად გადაქცევა შემოსევებითა და იარაღით არათუ რთული, არამედ შეუძლებელი იყო. შაჰ-აბასი მიხვდა, რომ დამარცხდა და იძულებული გახდა მოლაპარაკების გზას დასდგომოდა. მან ხელი აიღო (რა თქმა უნდა, დროებით) ქართლ-კახეთის გამაჰმადიანებაზე და თეიმურაზი ქრისტიანული წესით ცნო ორივე სამეფოს მეფედ, თავის მხრივ კი თეიმურაზმა თავი ირანის შაჰის ვასალად აღიარა (რა თქმა უნდა, მანაც დროებით). ფარსადან გორგიჯანიძის ცნობით: „ქართლიცა და კახეთიც ბატონს თეიმურაზს მისცეს და ხალათი და რაყამი გამოუგზავნეს“ (გორგიჯანიძე, 1925,55). კიდევ უფრო გაუმჯობესდა ქართლის მდგომარეობა მას შემდეგ, რაც 1629 წელს შაჰ აბასი გარდაიცვალა და ტახტზე მისი შვილიშვილი შაჰ-სეფი ავიდა. ნანა გელაშვილის სავსებით სამართლიანი შენიშვნით: „...სეფიანთა ტახტის ახალ მფლობელს ფიქრიც კი აღარ შეეძლო ირანის ოდინდელ წარმატებებზე საქართველოს მიმართ, მით უმეტეს, რომ მას არც ნიჭი და არც ენერჯია გააჩნდა თავის პაპისა. ახალ ვითარებაში ქართველები ირანის პოლიტიკური ბატონობისაგან მთლიანად განთავისუფლებასაც გეგმავდნენ. ამის ნათელი გამოხატულება იყო თეიმურაზ პირველისა და დაუდ ხან უნდილაძის ერთობლივი აჯანყება (1632 წ.) ირანის მმართველობის წინააღმდეგ (ისქანდერ მუნში, 1981, 27).

ამრიგად, 1625-1632 წლებში ირანსა და ქართლს შორის მართლაც დამყარდა კომპრომისული ურთიერთობა, რაც აღმოსავლეთ საქართველოში ქრისტიანი თეიმურაზ I-ის მეფობაში გამოიხატა. ამასთან, პოლიტიკურ მოვლენათა ლოგიკური განვითარება ისეთი ჩანდა, რომ შესაძლებელი იყო სრულ განთავისუფლებასაც ფიქრიც. ახლა ვნახოთ ყოველივე ამის შემდეგ და ამის ფონზე 1632 წელს ქართლში მაჰმადიანი

როსტომ ხანის მოსვლა შეიძლება თუ არა ირანსა და ქართლს შორის კომპრომისად მივიჩნიოთ. ამისათვის საჭიროა განვიხილოთ როსტომ ხანის ეროვნული და რელიგიური პოლიტიკის ნამდვილი მიზნები და შედეგები.

თავიდანვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ 1633 წელს ირანის მიერ ქართლის დაპყრობის ერთ-ერთი მთავარი ინიციატორი სწორედ როსტომ ხანი იყო. როგორც ივანე ჯავახიშვილი წერს: „როსტომ ხანი და მისი მომხრე სპარსეთში მყოფი ქართველი დიდკაცობა ყოველთვის სარგებლობდნენ შემთხვევით, რომ საქართველოს ვითარება შაჰისათვის ისე მოეხსენებინათ, როგორც მათ სურდათ და მათთვის უფრო ხელსაყრელი იყო“ (ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, 1953, 25). როსტომ ხანის ოცნებას ქართლის ტახტის ხელში ჩაგდება წარმოადგენდა, მაგრამ ამის განხორციელება არც ისე ადვილი იყო, ვინაიდან ქართლ-კახეთში ამ დროს ქრისტიანი თეიმურაზ I მეფობდა და გამაჰმადიანებულ და გადაგვარებულ როსტომ ხანს არავინ მიიღებდა. ამიტომ როსტომის სურვილის აღსრულების ერთადერთ შანსს ირანის სამხედრო ძალაზე დაყრდნობა წარმოადგენდა. ცხადია, მარტყოფისა და მარაბდის ბრძოლებში განცდილი კრახის შემდეგ, ირანის შაჰი დამატებითი გარანტიების გარეშე ქართლში შეჭრას ვერ გაბედავდა. საჭირო იყო ნიადაგის სათანადოდ მომზადება, რასაც, როგორც ჩანს, აქტიურად ეწეოდნენ როსტომ ხანი და მისი მომხრეები. მათ ქართლის დიდებულებს ირანის შაჰისათვის წერილი მიაწერინეს, სადაც ისინი ტახტზე ქართლელ ბაგრატიონს (როგორც ჩანს, როსტომ ხანს) ითხოვდნენ. ამ წერილმა, სხვა ფაქტორებთან ერთად (თეიმურაზისა და დაუდ ხანის აჯანყება), დაახქარა შაჰის მიერ როსტომისთვის ქართლის ტახტის მიცემა. როსტომ ხანმა წინასწარ თავისი მომხრეების მთელი გუნდი გაგზავნა ქართლში, რათა მათ ირანის სამხედრო აგრესიის წარმატებით დასრულებისათვის სათანადო პირობები შეექმნათ. ამასთან ერთად, როსტომ ხანმა სომხითის მედიქს ასეთი შინაარსის

წერილი მიაწერინა ქართლელი თავადებისათვის: „...თქვენნი სახვეწარი არზა ბედნიერს ყაენს მივართვი, იამა და შეგიწირა და თქვენსავ მემკვიდრეს ბატონს თავის ყულარაღასს მეფეს როსტომს მიგცა და თავრიზის ბეგლარ-ბეგი როსტომ ხან სპასალარი ერანის ლაშქრით თან გამოატანა და მღთისა შეწევნით საშემოდგომოთ ჩვენც მოსულნი ვართ“ (გორგიჯანიძე, 1925, 240). ამის შემდეგ როსტომ ხანმა ისე მოახერხა, რომ ეს წერილები თეიმურაზ I-ს „...ხელში ჩაუგდეს და ფანველისშვილს რომ წიგნები მოჰქონდა, გზახედ დაატვირთინეს და ბატონს მოჰგვარეს და წინგნები გამოართვეს და წაიკითხეს და ვისთანაც ეწერა ამ წინგნების ანბავი, კახთ ყველას შეატყობინეს, რომ ბატონს თეიმურაზს ამისთანა წინგნები ხელშიდ ჩაუვარდაო“ (გორგიჯანიძე, 1925, 240). ამ ვერაგული ხერხით როსტომ ხანმა შეძლო თეიმურაზ I-სა და ქართლის თავადებს შორის უნდობლობა და ეჭვი ჩამოეგდო. როგორც ივანე ჯავახიშვილი წერს: „ისიც კი ვისაც გულში ღალატის ფიქრიც კი არ გაუვლია, მეფე თეიმურაზთან შიშით ვეღარ მოვიდოდა, რადგან დარწმუნებული იყო, რომ ამ წერილების შინაარსის ცოდნის შემდგომ თეიმურაზს მათი ნდობა აღარ ექნებოდა, მათ მხრივ ღალატის ეჭვი ექნებოდა“ (ჯავახიშვილი, 1953, 27). და მართლაც, ფარსადან გორგიჯანიძის სიტყვებით: „ქართველნი დაფრთხენ და აღარავინ მოვიდა იოთამ ამილახორის მეტი და როსტომ მეფე ყარაბაღში შემოსულიყო. ომი აღარ მოხდა (გორგიჯანიძე, 1925, 240). ამრიგად, 1633 წელს ირანის მიერ ქართლის დაპყრობის მთავარი ინიციატორი და ძირითადი მოქმედი პირი როსტომ ხანი იყო. როგორც დავინახეთ, მან სერიოზული პროვოკაციული სამუშაო გასწია საიმისოდ, რომ ნიადაგი მოემზადებინა ქართლსა და კახეთში ირანის ახალი სამხედრო შემოჭრისათვის. როსტომ ხანს აღმოსავლეთ საქართველოს დაპყრობის საქმეში გვერდით ედგა შაჰის კარზე მოღვაწე გამაჰმადიანებული ქართველების მთელი დასი. ამ ხალხმა ძალიან დიდი როლი შეასრულა როსტომის საქართველოში

გაბატონებისათვის ნიადაგის მოსამზადებლად. როგორც ნიკოლოზ ბერძენიშვილი აღნიშნავდა: „XVI საუკუნის მეორე ნახევრიდან მოკიდებული ირანის შაჰის კარზედ ქართველ მეფეთა და თავად-აზნაურთა შვილები არ გამოწყვეტილან. ეს მძევლები მრავალი წლის განმავლობაში ბუნებრივად ეჩვეოდნენ უცხო წესებს, ითვისებდნენ სპარსულ-თურქულ ენებს, მაჰმადიანდებოდნენ. მაგრამ მძევლების გვერდით შაჰის კარზედ გაჩნდნენ და სულ უფრო და უფრო მრავლდებოდნენ თავიანთი ნებით მისული ქართველები...მას შემდეგ რაც ირანელი და ოსმალთა აგრესორები შეთანხმდნენ და აღმოსავლეთ საქართველო შაჰის სამფლობელოდ იქნა ცნობილი, ურთიერთშორის ფეოდალურ ბრძოლაში დამარცხებულ-დაჩაგრულნი სულ უფრო და უფრო მრავლად მიდიოდნენ ხელმწიფის კარზედ და „სამართალსა“ და „ხელის აპყრობას“ სამშობლოს ამ მოსიხარ მტერთან ეძებდნენ. ...ეს „დაღარიბებულნი“ კიდევ უფრო მეტის ხალისით, ვიდრე „მძევლები“ ითვისებდნენ ყოველივე სპარსულ-ყიზილბაშურს. დრო და დრო ირანის შაჰი ახერხებდა და თავის „კანდიდატს“ საქართველოში „ბატონად“ დააჯენდა ხოლმე. ასეთ ბატონს მთელი ეს „შტატი“ გასპარსელებული მძევლებისა და „დაღარიბებულთა“ თან მოჰყვებოდა. ამ გზით სპარსულ-ყიზილბაშური წესები, ზნეჩვეულებანი ფართოდ იკიდებდნენ ფეხს ქართულ ფეოდალურ წრეებში“ (ბერძენიშვილი, 1973, 253–254).

როგორც ზემოთ ვაჩვენეთ, სწორედ ასეთი ტიპის რენეგატებმა მოუშზადეს ნიადაგი ქართლში როსტომისა და ირანის გამეფებას. როსტომ ხანმა სპეციალურად თხოვა შაჰს, რათა ასეთი კატეგორიის გადაგვარებულები მისთვის საქართველოში გაეყოლებინა. ამას არც მისი მესოტბე ისტორიკოსი ფარსადან გორგიჯანიძე მალავს: „...საჰაკაძე როსტომ ხან ერანის ლაშქრით თან გაატანეს და ქართველნი რომ ყაენს ახლდენ, რომელიც სთხოვა, თან გაატანეს“ (გორგიჯანიძე, 1925, 239). ამ ხალხის საქართველოში წამოყვანა რომ როსტომ ხანის ინიციატივა იყო, ამას ფარ-

სადან გორგიჯანიძის გარდა ვახუშტი ბაგრატიონიც აღნიშნავს: „ამან როსტომ მოიყვანა ყოველნი ტყუენი საქართველოსანი სპარსეთილამ გამაჰმადიანებულნი და ამათით შეერიათ ქართველთა განცხრომა, სმა-ჭამა ყიზილბაშური, სიძვა, მრუშება, ტყუვილი, ხორცთ-განსუენება, აბანო, კეკლუცობა უგვანი, მეჩანგე, მგოსანი, რამეთუ ამათ საქმეთა მოქმედთაგან კიდე არავის სცემდენ პატივსა და მიდრკენ, ვიდრე მღუდელმთავარნიცა და ჰყოფდენ უჯეროთა“ (ბაგრატიონი, 1973, 442).

რა მიზნით მოდიოდნენ საქართველოში როსტომ ხანი და მისი დასი, ამის შესახებ ზემოთ მოვიყვანეთ მემატინის ცნობა და კიდევ ერთხელ გავიმეორებთ: „მას ჟამსა ვინცავინ ქართველნი იყვნენ ყიზილბაშში დატყუევებულნი და გაათათრებულნი, ყოველნივე წარმოიყვანა ქართლში და **სწადოდათ გაათათრება ქართლისა**“ (ქართლის ცხოვრება, 1959, 418)(ხაზი ჩვენია, - მ.მ.). თუ რატომ უნდოდა როსტომ ხანს ქართლის გაათათრება ეს, ძალიან კარგად აქვს გაანალიზებული დიდ ქართველ ისტორიკოსს ვახუშტი ბაგრატიონს: „**სწადდა როსტომს დამორჩილება ქართლისა ყვენისაგან, ვითარცა სხუათა სახანოებთა**“ (ბაგრატიონი, 1973, 442)(ხაზი ჩვენია, - მ.მ.). ძალიან მნიშვნელოვანი მითითებაა: მემატინე ხაზს უსვამს, რომ როსტომ ხანის მიზანია ქართლის ყიზილბაშურ სახანოდ გადაქცევა. როგორც შაჰის კარს, ასევე როსტომსაც ძალიან კარგად ესმოდათ, რომ ამის მიღწევა არც ისე ადვილი იქნებოდა. საამისოდ მათ მთელ რიგ ღონისძიებებს მიმართეს. ცხადია, როსტომ ხანის მთავარი დასაყრდენი ყიზილბაშური ძალა იყო. ამიტომ მას აღმოსავლეთ საქართველოში განსაკუთრებით დიდი რაოდენობით შემოჰყვა ირანული სამხედრო ელემენტი. ფარსადან გორგიჯანიძე ვერ მაღავეს, რომ „ქართლი ყიზილბაშით აივსო“ (გორგიჯანიძე, 1925, 240). ანალოგიურ ცნობას გვაწვდის ბერი ეგნატაშვილი: „ხოლო იყვნენ მრავალნი და ურიცხუნი ყიზილბაშნი“ (ქართლის ცხოვრება,

1959, 417). ფეოდალურ ეპოქაში დაპყრობილი ქვეყნის მორჩილებაში ყოფნის უმთავრესი გარანტია ციხესიმაგრეთა დაკავება იყო. ამიტომ როსტომ ხანმაც პირველ რიგში ყიზილბაშების უსაფრთხოება ქართლის მნიშვნელოვან ციხეებში განლაგებით უზრუნველყო. ვახუშტი ბაგრატიონი წერს: „აღაშენეს გორის ციხე და შეაყენეს მცველნი ყიზილბაშნი, ეგრეთვე სურამის ციხესა შინა (ბაგრატიონი, 1973, 438). ანალოგიურ ცნობას გვაწვდის ბერი ეგნატაშვილიც: „მაშინ აღაშენეს ციხე გორისა და შეაყენეს მცველნი სურამის ციხეშიაც“ (ქართლის ცხოვრება, 1959, 417). იმავე ავტორის ცნობით, როსტომ ხანმა: „ინება სიმაგრე ციხისა და თავისუფლობა ციხესა შინა მყოფთა თათართა“. ყოველივე ამას კი შედეგად მოჰყვა ის, რომ: **„განძლიერდნენ თათარნი და კადნიერებდნენ ქართველთა ზედა“** (ხაზი ჩვენია, - მ.მ.) (ქართლის ცხოვრება, 1959, 424).

მიუხედავად ამ ღონისძიებებისა, ეროვნული მოძრაობა დამპყრობელი ირანის და მისი აგენტის წინააღმდეგ იმდენად ძლიერი იყო, რომ საჭირო გახდა დამატებითი ძალების მობილიზება როსტომ ხანის დასახმარებლად. ვახუშტი ბაგრატიონის თანახმად: „მოსცეს როსტომ მეფესა შეწევნად ყაზახ-შამშადილო-ლორეს ხანნი“ (ქართლის ცხოვრება, 1973, 448). იგივეს იმეორებს ბერი ეგნატაშვილიც (ქართლის ცხოვრება, 1959, 417).

ქართლის ყიზილბაშურ სახანოდ გადაქცევის გზაზე კიდევ ერთი საშუალება, რასაც როსტომ ხანი აქტიურად მიმართავდა, იყო შემდეგი: ის ცდილობდა ქართველი დიდებულები ეკონომიკური და პოლიტიკური თვალსაზრისით ირანის შაჰის კარზე დამოკიდებული გაეხადა. ამასთან დაკავშირებით ბერი ეგნატაშვილი წერს: **„და თვით როსტომ მეფის წადილი და ნება ესე იყო, რომ უყაენოდ არაგვის რამისცემოდა, და თუ ვინმე გასაკეთებლად უნდოდა, ყაენს შეეკითხვოდა“** (ხაზი ჩვენია, - მ.მ.) (ქართლის ცხოვრება, 1959, 424). მაგალითად, დათუნა არაგვის ერისთავს როს-

ტომმა შეუთვალა: „პირობა მომეც, რომ ყაენთან წახვიდე, მოგიმართავ ხელსა და გაგზავნი, თუ არა და შემოვიხდები და შენსა ქუეყანას ავაოხრებო“ (ქართლის ცხოვრება, 1959, 418). ანალოგიურად, როდესაც ზაალ ერისთავმა და იოთამ ამილახორმა როსტომ ხანს შეუთვალეს: „შეგვირიგე და გვიმსახურეო“, მან ასე უპასუხა: **„უკეთუ წარხვალ ყაენთან, შეგირიგებ და უკეთუ არა წახვალ, ჩემთან ხელი არა გაქუს... მამინ დაჰყვა ზაალ ერისთავი: მოიყვანა და შეირიგა და გაგზავნა ყაენთანა და მისწერა ყაენთანა კაი წიგნები. და რა მივიდა ზაალ ერისთავი ყაენთანა, სცა პატივი დიდი და კეთილად მიიხნივა სიტყვითა როსტომ მეფისათა და უყო წყალობა მრავალი: გაუჩინა წელიწადში სამასი თუმანი ჯამაგირი, გაათათრა და გამოსტუმრა ქართლს. და მოვიდა როსტომ მეფეს თანა და მიერიტგან იყო ერთგული როსტომ მეფისა“** (ხაზი ჩვენია, -მ.მ.) (ქართლის ცხოვრება, 1959, 424). თუ რატომ იქცეოდა ასე როსტომი და რა იყო ამის მიზეზი, ეს ძალიან კარგად აქვს დანახული და ამოცნობილი ვახუშტი ბაგრატიონს: „სწადდა როსტომს დამორჩილება ქართლისა ყვენისაგან, ვითარცა სხუათა სახანოებთა და მისთვის წარავლინებდა მუნ ყოველთა და განუწესებდა როქსა და განკუეთილსა, რათა მით არღარა უარჰყონ ქართველთა ყიზილბაშნი“ (ბაგრატიონი, 1973, 442). როსტომ ხანმა ამით საკმაოდ საშიში, ხანგრძლივმოქმედი ნაღმი ჩაღო ქართულ სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში. იგივე ვახუშტი ბაგრატიონი აღნიშნავს, რომ: „არამედ ვინაღგან მთავართა ქართლისათა ვიეთთა აქუნდათ როქი ყვენისაგან, მის გამო ვერ სცვლიდა მათ (მეფე, - მ.მ.) თვინიერ ყვენისა“ (ბაგრატიონი, 1973, 454). სავსებით სამართლიანად შენიშნავს ვალერიან გაბაშვილი ამის გამო: „ამგვარ პოლიტიკას არ შეიძლებოდა არ გაეძლიერებინა სპარსოფილური განწყობილება ქართლის თავადებში (გაბაშვილი, 1958, 379). ამრიგად, მატერიალური დაინტერესება კიდევ ერთი საცთური იყო ქართველთა ეროვნული გადაგვარების

გზაზე, რასაც როსტომ ხანი წარმატებით იყენებდა: „ხოლო როსტომ მეფე აძლევდა ლეინის ხალათებსა და მცირესა მისაცემსა, რამეთუ მაშინ ქართველთა არ იცოდნენ კაბა და არცა ჰყუარობდნენ მორთუასა და ამა მცირედითა მისაცემითა დაიერთგულნა და შემოიყარნა ქართველნი, რამეთუ მაშინ იყვნენ ქართველნი გულწრფელნი და გამოუცდელნი ყიზილბაშის ხერხისა და ტყუილისაგან და ესე როსტომ მეფე იყო კაცი ხერხიანი და ილათიანი და მცდელი საქმისა“ (ქართლის ცხოვრება, 1959, 418).

როსტომ ხანის მეხოტბე ისტორიკოსები, როდესაც მისი საქართველოზე მზრუნველ პიროვნებად წარმოიჩინა სურთ, განსაკუთრებული გულმოდგინებით უსვამენ ხაზს იმ გარემოებას, რომ ქართლში მისი მოსვლით მშვიდობა დასადგურდა და ქვეყანა ეკონომიკურად მოდონიერდა: „სამეფო ხელისუფლება დიდ ყურადღებას აქცევდა უკაცური ადგილების დასახლებას, დაქცეული სოფლების აღდგენას, საირიგაციო სისტემის მოწესრიგებას, წისქვილების, ხიდების, გზების, კერძო და საზოგადოებრივი დანიშნულების ნაგებობების მშენებლობას, რაც აღნიშნულ ხანაში ქვეყნის ეკონომიკური აღმავლობის საწინდარი გახდა“ (ჯორჯოლიანი, 1987, 124).

გავანალიზოთ, რას ემსახურებოდა ქართლში დამყარებული ეს „როსტომული“ მშვიდობა და მატერიალური კეთილდღეობა და რამდენად იყო ის შესაბამისობაში ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესებთან. როგორც აღვნიშნეთ, ირანის მცდელობა, ბრძოლით და შემოსევებით მიეღწია ზემონახსენები მიზნისთვის, ქართლ-კახეთში მარცხით დამთავრდა. ამის შემდეგ ირანმა შეცვალა საქართველოსთან დამოკიდებულების ტაქტიკა (ხაზს ვუსვამთ, - ტაქტიკა და არა მისაღწევი მიზანი) და გადაწყვიტა განსხვავებული (შეფარვითი) გზით იმის მიღწევა, რასაც ხმლით ვერ მიღწევა. უნდა აღინიშნოს, რომ ეს იყო კარგად მოფიქრებული და ღრმად გაანალიზებული გეგმა, რომელიც ზუსტად ითვალისწინებდა ქართულ ეთნო-ფსიქიკურ მომენტებს, კერ-



ძოდ ქართველების შეუდრეკლობას მომხდური მტრის წინააღმდეგ, მაგრამ იგივე ქართველების უსუსურობას მოყვრის ნიღაბით მოსული მტრის წინააღმდეგ, რაც მთავარია, ირანს ამ გეგმის განმახორციელებელი ბრწყინვალე კანდიდატურა ჰყავდა როსტომ ხანის სახით. ჯერ ერთი, ის იყო სრულად გაყიზილბაშებუი და გამაჰმადიანებული, რაც ირანელ პოლიტიკოსებს მისი ერთგულების გარანტიას აძლევდა და მეორეც, - ის იყო ბაგრატიონი, თანაც ქართლელი ბაგრატიონი (ლეგიტიმიზმის პრინციპი), ამიტომ მისი გამოყენება წარმატებით შეიძლებოდა ქართველობისათვის მებრძოლი თეიმურაზის წინააღმდეგ. როსტომის გეგმის მთავარი აზრი შემდეგში მდგომარეობდა: მას მშვიდობა უნდა მოეტანა ბრძოლებით გადაღლილი ქვეყნისათვის, არა იმიტომ რომ საქართველოზე გული შესტკიოდა და ქვეყნის აღმშენებლობა სურდა, არამედ იმიტომ, რომ ამ მშვიდობის და მატერიალური აღმშენებლობის ნიღაბქვეშ ეკეთებინა ის საქმე, რასაც ყიზილბაშებმა ბრძოლით ვერ მიაღწიეს. როგორც აკაკი ბაქრაძე სამართლიანად შენიშნავს: „როსტომის მიერ დამკვიდრებულმა მშვიდობამ და მადარმა ცხოვრებამ ზნეობრივად გარყვნა საზოგადოება“ (ბაქრაძე, [https://issuu.com/gggg1234/docs/baqraze\\_tomi\\_v\\_werilebi](https://issuu.com/gggg1234/docs/baqraze_tomi_v_werilebi), 376)

აქვე გვინდა მის მეფობაში მომხდარი ერთი ეპიზოდი განვიხილოთ, რომელსაც ისტორიკოსები როსტომის სახელმწიფოზე ზრუნვის და გონიერების დამადასტურებლად მიიჩნევენ. როგორც ცნობილია, ხოსრო მირზას ქართლის დაპყრობისას თან ახლდა მასავით გამაჰმადიანებული ნაქართველარი როსტომ ხან სააკაძე. ამ უკანასკნელს პირადი მტრობა ჰქონია ქართლის ერთ-ერთ ფეოდალთან - ფარსადან ციციშვილთან და ამიტომ მისი მამულების აოხრება დაუწყია. ამ ნიადაგზე უთანხმოება ჩამოვარდნილა ხოსრო მირზასა და როსტომ ხან სააკაძეს შორის. ხოსრო მირზას მისთვის უსაყვედურებია: „თავად საქართველო აოხრებული არის, რაც დარჩომილა იმასაც თქვენ ამიოხრებთო, მაშ მე რისდა ბატონი ვიქნები“ (გორგიჯანიძე, 1925,

240). უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს მომენტი როსტომის მარტო ქართლზე ზრუნვის დამადასტურებელი სულაც არ არის. აქაც როსტომ ხანის ირანული პოლიტიკის მთავარი სტრატეგია ჩანს: ქართლს „მშვიდობა“ უნდა მიეცეს და ამ „მშვიდობამ“ უნდა გადაფაროს ის დამღუპველი მოქმედებები, რასაც ქვეყნის გარყვნა და გადაგვარება ჰქვია. მთავარი იყო ქართველ ხალხში ანტიირანული განწყობილება ირანის მხრიდან „მშვიდობიანი მოქცევის“ პირობებში შესუსტებულიყო და ამ დროს თუ როსტომ სააკაძე საკუთარი სიმბათია-ანტიპათიიდან გამომდინარე ქართლის აოხრებას და დარბევას დაიწყებდა, ცხადია, ეს ქართველ ფეოდალებს როსტომ ხანის წინააღმდეგ ააჯანყებდა და საბოლოო ჯამში ირანულ პოლიტიკას ავნებდა. ეს ძალიან კარგად ესმოდა თვით ირანის შაჰსაც, ამიტომ იყო სააკაძე სასწრაფოდ რომ გაიწვიეს ირანში, თორემ, როცა თავად როსტომის და ირანის პოლიტიკას სჭირდებოდა, იგი ქვეყნის აოხრებას სულაც არ ერიდებოდა. მაგალითად: როდესაც დათუნა არაგვის ერისთავი აუჯანყდა, როსტომმა იგი ღალატით მოაკვლევინა, შემდეგ კი საერისთავოში შეიჭრა და სასტიკად ააოხრა იქაურობა. რევაზ ბარათაშვილისათვის თვალები დაათხრევინა. მან საქართველოს ისტორიაში უპრეცედენტო მკრეხელობა ჩაიდინა: ქართლის კათალიკოსი ევდემოზ დიასამიძე შეიპყრო და ციხეში მშვილდის საბლით დაახრჩობინა, შემდეგ კი ციხის კედლიდან გადაადგებიან მისი სხეული. ამრიგად, როსტომის მიერ გატარებული ე.წ. „მშვიდობიანი პოლიტიკა“ იყო იარაღი, რომელსაც როსტომ ხანი მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ ახორციელებდა, რომ იქამად ის უფრო ეფექტური იყო ქართლის გაყიზილბაშების საქმეში, ვიდრე რბევა და აწიოკება, თორემ როცა ეს უკანასკნელი მეთოდი უფრო ჭრიდა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, როსტომი მაშინვე იხსნიდა ნიღაბს. როგორც ნიკოლოზ ბერძენიშვილი აღნიშნავს, როსტომ ხანი ამ შემ-

თხვევაში: „დაუნდობელი იყო და შეურიგებელ მოწინააღმდეგეებს უყოყმანოდ სპობდა“ (ბერძენიშვილი, 1973, 256).

ასევე, როდესაც როსტომ ხანის მიერ ქვეყნის აღმშენებლობაზე ვსაუბრობთ, აქაც საჭიროა გაირკვეს თუ რა მოტივი ამოძრავებდა მას, თორემ ჩვენ შეგვიძლია არაერთი მაგალითი მოვიყვანოთ იმის შესახებ, თუ როგორ ზრუნავდა უაღრესად რეაქციული დამპყრობელი ძალა ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებისა თუ ეკონომიკური მოღონიერებისათვის, ცხადია, არა იმიტომ, რომ ადგილობრივი მოსახლეობის ბედილბალი ადარდებდა, არამედ საკუთარი შემოსავლის მოწესრიგება-გაზრდაზე ზრუნავდა. მაგალითად, ოსმალობის დროს ქართლის მმართველად დანიშნულმა ისაყ ფაშამ ააშენა: „ციხე ავჭალისა, კოშკები დიდმის ბოლოდან ატენის წყლამდე თორმეტი, სადაც ფონი იყო ლეკის გამოსავალი“ (ჩხეიძე, 1913, 45). იგივე ისაყ ფაშა 1733 წელს იხსენიება მუხრანის გალაგნის აგების ერთ-ერთ მონაწილედ. ისაყ ფაშასავე დაკვეთით აუგიათ გომის ციხეც. ისაყ ფაშას მსგავსად, მისი მემკვიდრე თოფალ ფაშაც ენერგიულად უტევდა ქართლში შემოჭრილ ლეკებს (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, 1973, 440). სავსებით სამართლიანად შენიშნავს საქართველოს ისტორიის ნარკვევების შესაბამისი თავის ავტორი დარეჯან მეგრელაძე: „ოსმალთ დამპყრობლებს პირველ რიგში ის აწუხებდათ, რომ გაპარტახებულ ქართლს ხარკის გაღების უნარი აღარ შესწევდა. იმისათვის რომ ქვეყანას მძიმე ოსმალური ხარკი ეხადა, საჭირო იყო ძლიერი მუშა-ხელი და მოწესრიგებული მეურნეობა. ამიტომ იყო, რომ ოსმალებმა გამაგრებულ ადგილებში მუშახელს დაუწყეს თავმოყრა. დაიწყეს „დაფანტული“ გლეხების უკან დაბრუნება“ (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, 1973, 440). ანალოგიურ ვითარებასთან გვაქვს საქმე როსტომ ხანის შემთხვევაშიც: პიროვნება, რომლის სურვილია ქართლი ყიზილბაშურ სახანოდ გადააქციოს, ყაენის ნებართვის გარეშე არაფერი მოხდეს,

არის მორჩილი ყაენისა და მოყვარე მაჰმადიანური რჯულისა, ცხადია, ირანის ინტერესებიდან გამომდინარე უფრო იმოქმედებდა. ამ მხრივ ნიშანდობლივია აკაკი ბაქრაძის შენიშვნა: „ამ ქვეყნად არც ერთი დამპყრობელი გიჟი არ არის, რომ უმიზეზოდ ცეცხლი და მახვილი დაგატეხოს თავს. თუ ემორჩილები და არ ებრძვი, ისიც წყნარად არის და ამა თუ იმ კულტურულ საქმიანობაში ხელსაც კი შეგიწეობს. ეს მის წისქვილზე ასხამს წყალს და იმიტომ. ამით გეუბნება: შეხედე რა მზრუნველი, მფარველი და კეთილი ვარო, ჩემი ერთადერთი საფიქრალი დამონებული ქვეყნის აღორძინებააო“ (ბაქრაძე, [https://issuu.com/gggg1234/docs/baqraze\\_tomi\\_v\\_werilebi](https://issuu.com/gggg1234/docs/baqraze_tomi_v_werilebi), 2015, 375).

როგორც ნოდარ ნაკაშიძე აღნიშნავს: „ქართლის ეკონომიური აღმავლობა XVII საუკუნეში შექმნილი ისტორიული პირობებისა და ქართველი გლეხობის თავდადებული შრომის ნაყოფი იყო. როსტომ მეფეს არავითარი ეკონომიკური რეფორმები არ ჩაუტარებია საამისოდ“ (ნაკაშიძე, 1977, 127). მითუმეტეს კუროლზულია როსტომ ხანის, როგორც ქვეყანაზე მზრუნველ პიროვნებად წარმოჩენა, მაშინ როცა ქართული წყაროები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ: „არა ზრუნვიდა მეფე ...ქუეყანისათვის, გარნა განცხრომისათვის, ვითარცა წესი არს მოჰმადიანთა. ამისთვის მიიტაცეს მთავართა თავ-თავისნი მხარენი, ქუეყანა-ცისე სიმაგრენი სამეფოთანი და დაბნები“ (ბაგრატიონი, 1973, 443).

კიდევ ერთი უბედურება, რაც როსტომ ხანმა საქართველოს მოუტანა იყო ქართველების ირანის სამეფო კარზე ტყვედ გაგზავნის წესი. აი, რას წერს ბერი ეგნატაშვილი ამასთან დაკავშირებით: „...და ამან როსტომ მატა ყოველსა ფეშქაშსა და მეტადრე ტყვისასა. რაჟამს დაიდვა სვიმონ მეფემან, ამ წესით იქმოდა: ანუ ძესა ურიისასა, ანუ ნასყიდსა და ანუ ოსთასა უგზავნიდა, ხოლო ამან გამოიყვანა ქართველთა გლეხთა, აზნაურთა, დიდებულთა ასულნი და ძენი და მას გაუგზავნიდა. ამიერთგან დაიდვა ესე და

ყოველნი მეფენი საქართველოსანი ესრეთ ჰყოფენ, ვიდრე მოდღეინდელად დღემდე“ (ქართლის ცხოვრება, 1959, 425).

როდესაც როსტომ ხანის მმართველობის დროს ირანსა და ქართლს შორის ე. წ. კომპრომისული ურთიერთობის დადებითი მხარის ჩვენება სურთ, ისტორიკოსები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ: „ირანმა უცვლელი დატოვა ქართლის სოციალ-ეკონომიკური წყობა“ (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, 1973, 312), რომ „როსტომის ღონისძიებები ქართულ საზოგადოებრივსა და სამეურნეო წყობას არ შეხებია“ (ბერძენიშვილი, ჯავახიშვილი, ჯანაშია, 1948, 348), რომ: „ირანის პოლიტიკური ბატონობის მიუხედავად არსებობას განაგრძობდა ქართული ფეოდალური საზოგადოების სოციალური სტრუქტურა, აგრარული სისტემა და სახელმწიფო წყობილება“ (გაბაშვილი, 1958, 366). გულქან ქორქოლიანს პირადად როსტომ ხანის დამსახურებად მიანიხსნა ყოველივე ზემოაღნიშნული და აცხადებს, რომ მან: „ქვეყანას უცვლელად შეუნარჩუნა სახელმწიფოებრივი წყობა, სოციალური და ეკონომიკური სტრუქტურა“ (ქორქოლიანი, 1987, 123).

რა შეიძლება ითქვას ამის შესახებ? ირანისათვის ამ დროს უდიდესი მიღწევა იყო ის, რომ მან მაჰმადიანი მეფე დასვა ქართლის სამეფოს სათავეში. ეს ფაქტი გააფთრებულ წინააღმდეგობას იწვევდა ქართველი ფეოდალების მხრიდან, რისი დასტურიცაა ის გაუთავებელი აჯანყებები თუ შეთქმულებები, რომელიც როსტომ ხანის წინააღმდეგ ეწეობოდა. როსტომის აპოლოგეტი ისტორიკოსი ფარსადან გორგიჯანიძეც კი ვერ მალავს, რომ ქართველებს: „თეიმურაზ ერჩინათ ქრისტიანობის გულისათვის“ (გორგიჯანიძე, 1925, 242). ამიტომ იყო, რომ ირანი და როსტომ ხანი თუ ფულით და ჯამაგირების დანიშვნით, თუ მოსყიდვით, შანტაჟით ან ქართველ ფეოდალებში განხეთქილების დათესვით ძლიერ-ძლივობით ახერხებდა ძალაუფლების შენარჩუნებას. ახლა რომ ირანს როსტომ ხანის ხელით სოციალუ-

რი ურთიერთობების, ეკონომიკური ან სახელმწიფო წყობილების შეცვლა მოენდომებნა, ეს ხომ პირდაპირ ქართველი ფეოდალების სამამულო ინტერესებს დაარტყამდა, რაც მათი მხრიდან როსტომ ხანისა და ირანის წინააღმდეგ ბრძოლას გააათმაგებდა. აქედან გამომდინარე, არც ირანს და მითუმეტეს არც როსტომ ხანს, არავითარი ძალა არ შესწევდა ისეთი გრანდიოზული ცვლილებების მოსახდენად, რაზეც ზემოთ დასახელებული ისტორიკოსები საუბრობენ. ასე რომ, სოციალ-ეკონომიკური და სახელმწიფო წყობილების უცვლელად დატოვება არავითარ კავშირში არ იყო ე. წ. კომპრომისულ პოლიტიკასთან, რომელიც თითქოს ირანსა და ქართლს შორის დამყარდა XVII საუკუნის 30-იან წლებში. მითუმეტეს კურიოზულია ამ „დამსახურების“ როსტომ ხანისათვის მიწერა. პირიქით, როსტომ ხანმა, რა დონეზეც შესწევდა ძალა, ამ მხრივაც გადადგა ეფექტური ნაბიჯი ქართლის გაყიზილბაშების გზაზე. მხედველობაში გვაქვს მის მიერ გატარებული ცვლილებები ქართლის სამოხელეო წყობაში. მან ქართლის ყველა სამოხელეო თანამდებობის სახელი სპარსულით შეცვალა (ბაგრატიონი, 1973, 32). გარდა სახელწოდებების გამოცვლისა, როსტომ ხანმა წმინდა ყიზილბაშური თანამდებობებიც შემოიღო ქართულ სამოხელეო სისტემაში, რითაც უზრუნველყო ირანის მიერ ქართლის სამეფო კარის ტოტალური კონტროლის აპარატის შექმნა. მოვუსმინოთ ვახუშტი ბაგრატიონს: „...არამედ კუალად ყიზილბაშთა რიგის შესძინა ვეხირი, მუსტოფი და მუნში“ (ბაგრატიონი, 1973, 32).

ისტორიკოსებმა რელიგიური თვალსაზრისითაც სცადეს როსტომ ხანის რეაბილიტაცია. ამ შემთხვევაში ისინი ხოსრო მირზას გულმხურვალე ქრისტიანობის დამადასტურებელ არგუმენტებად იშველიებენ იმ ფაქტს, რომ როსტომ ხანი ეკლესია-მონასტრებს აშენებდა, ცოლად ქრისტიანი მარიამ დადიანი ჰყავდა და თვითონაც ფარულად ქრისტიანობდა. მაგალითად, 2008 წელს ისტორიკოსმა ნანა გელაშვილმა სპეციალური სტატია მიუძღვნა ამ თემას (გელაშვი-

ლი, 2008, კრ. „ნოდარ შენგელია 75“, 119-125). მიმოიხილავს რა მისთვის საინტერესო საკითხს, პატივცემული მკვლევარი წერს, რომ როსტომ ხანი: „არა მხოლოდ ეკლესია-მონასტრების აშენებასა და აღდგენაზე ზრუნავდა, არამედ დიდ მატერიალურ დახმარებას უწევდა, საგადასახადო შეღავათებს ანიჭებდა, სოფლებსა და ყმა გლეხებს სწირავდა მათ, იმავედროულად არც საქართველოს ფარგლებს გარეთ მდებარე მონასტრებს აკლავდა ყურადღებას. ...ყოველივე ზემოთქმულიდან თითქოს ნათლად მუდავნდება როსტომის შინაგანი და შესაძლოა ჭეშმარიტი დამოკიდებულება ზოგადად ქრისტიანობის და განსაკუთრებით მართლმადიდებლობის მიმართ. როსტომი ითვალისწინებდა ქართველი ხალხის ღრმა სარწმუნოებრივ ტრადიციებს და მართლმადიდებელი ქრისტიანობის გამორჩეულ როლს მის სახელმწიფოებრივ და კულტურულ ცხოვრებაში“. ამის შემდეგ ავტორი შემაჯამებელ დასკვნასაც აკეთებს: „ამიტომაც იყო, რომ საქართველოსა და მთელი საქრისტიანოს პროგრესული საზოგადოება დიდად აფასებდა როსტომის მოღვაწეობას“. ამ კურიოზული მოსაზრების დასასაბუთებლად კი ავტორი იქვე წერს: „ამ კონტექსტში საყურადღებოა იერუსალიმის პატრიარქის დოსითეოზის თვალსაზრისი, რომელიც როსტომს ასე მიმართავდა: „გარემოებამ გაიძულა გამოგეცვალა მამა-პაპური წმინდა რჯული...შენი მიზანი იყო გარეგნულად გვანებოდი უცხო რჯულის ადამიანს, გულში კი ქრისტიანი ყოფილიყავი. რაც შეეხება ურჯულოებს, მოატყუე ისინი, გაუცინე მათ, იცრუე, თუ საჭირო იქნება დაუფიცე კიდევ, ოღონდ ქრისტიანებს სიკეთე მოუტანე“ (გელაშვილი, 2008, 122-123). აღნიშნული ციტატის წყაროდ თამარ ტივაძის სტატიაა მითითებული, მაგრამ თუ ჩვენ ამ სტატიას გადავშლით, დავინახავთ, რომ დოსითეოზ პატრიარქი ამ წერილს უგზავნის ერეკლე I-ს და როსტომ ხანი აქ არაფერ შუაშია.

აი, ძირითადად ასეთი მეთოდებით ცდილობენ როსტომ ხანის აპოლოგეტი ისტორიკოსები მის რეაბილიტაცი-

ას, მაგრამ თუ ჩვენ საისტორიო წყაროებს საფუძვლიანად შევისწავლით, დავინახავთ, რომ სრულიად საწინააღმდეგო ვითარებასთან გვაქვს საქმე.

როსტომ ხანის ქრისტიანობისადმი დამოკიდებულების ნამდვილი ხასიათის გასარკვევად მნიშვნელოვანია გავანალიზოთ თუ როგორ და რა ვითარებაში უარყო მან ქრისტიანობა და მიიღო მაჰმადიანობა. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ისტორიაში იყვნენ მეფეები, რომელთაც გარკვეული პოლიტიკური ზეგავლენის გამო დროებით მოუწიათ ქრისტიანობის უარყოფა და მაჰმადიანობის მიღება. ასეთი იყო მაგალითად, ბაგრატ V დიდი, სიმონ I და ვახტანგ VI. ამ შემთხვევაში მათი მამოძრავებელი მოტივი ერთადერთი იყო – მტრის ტყვეობიდან თავის დაღწევა, რათა გაჭირვებაში მყოფი სამშობლოსათვის დახმარების გაწევა შეძლებოდათ (ცხადია, ცალკე მსჯელობის საკითხია ის, რომ მიუხედავად ასეთი მამოძრავებელი მოტივისა, რამდენად გამართლებული იყო მათი გადაწყვეტილება). თავისთავად იგულისხმებოდა, რომ მათგან გადადგმული ნაბიჯი იძულებითი და დროებითი იყო და ისინი შინაგანად ქრისტიანებად რჩებოდნენ. ამიტომაც, არსად არც ერთ ქართულ საისტორიო წყაროში ამ მოღვაწეების მიერ გადადგმული ნაბიჯის კრიტიკა არ გვხვდება, განსხვავებით იმ პოლიტიკოსებისაგან, რომელთაც ანგარებით და კარიერისტული მიზნებით გადადგეს ეს ნაბიჯი. აი, რას წერს ვახუშტი ბაგრატიონი როსტომ ხანის მამის, ცნობილი რენეგატის დაუთ-ხანის შესახებ: „იყო კაცი ხორცთმოყვარე, მეძაფ-გან-მცხრომელი, და იქმნა გამცემელი ქუეყანისა და მივიდა წინაშე ყენისა. ამას პატივ-სცა შასთამაზ და ჰყო მაჰმადიანად...ესე ეძვინებოდა სვიმონ მეფესა და ყოველთა ქართველთა (ბაგრატიონი, 1973, 407–409). ანალოგიურად ახასიათებს ვახუშტი ბაგრატიონი როსტომ-ხანის ძმას-ბაგრატ-ხანს: „ხოლო ესე ბაგრატ იყო ფრიად მოჰმადიანი და არა რაი კეთილი იყო მის თანა. სძულობდნენ ქართველნი და



იყო საბარათიანოს და უხმობდნენ საბარათიანოს ბატონ-სა“ (ბაგრატიონი, 1973, 428).

ახლა ვნახოთ, რა ვითარებაა ამ თვალსაზრისით როსტომ-ხანთან დაკავშირებით. ბერი ეგნატაშვილის და ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით, იგი ირანში დაიბადა, იქვე აღიზარდა და გამაჰმადიანდა. ისტორიკოსი გულქან ჟორჟოლიანი არ ეთანხმება ამ მოსაზრებას და მიაჩნია, რომ როსტომ-ხანი 1587 წლამდე (და შესაძლოა 1600 წლამდეც) ქრისტიანი იყო. ამ პერიოდში (1587 წ.) ჩავიდა ის ირანში და მიიღო მაჰმადიანობა. ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ ისტორიკოსი ასკვნის: „...ჩვენ ვერ გავიზიარებთ ზოგიერთ ისტორიულ წყაროში და სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულ თვალსაზრისს, რომლის თანახმადაც როსტომი დაიბადა ირანში, დაბადებიდანვე გამაჰმადიანდა, აქვე აღიზარდა და ჩამოყალიბდა როგორც პიროვნება (ჟორჟოლიანი, 1987, 24). აშკარაა, რომ ამ განცხადებით ისტორიკოსს როსტომ-ხანის ერთგვარი რეაბილიტაცია სურს, ანუ უნდა თქვას, რომ იგი ბავშვობიდანვე გადაგვარებული და გამაჰმადიანებული არ იყო. მაგრამ თუ დავუშვებთ, რომ როსტომ-ხანი მოგვიანებით, მოწიფულობის ასაკში გამაჰმადიანდა, ეს მის მოღალატეობას უფრო ამძიმებს, ვინაიდან იმ დროს, როდესაც მისი მშობლიური ქვეყანა სამკვედრო-სასიცოცხლო ბრძოლას აწარმოებდა ირანის და ოსმალეთის წინააღმდეგ (და ეს ბრძოლა სწორედ ქრისტიანობის დაცვის ნიშნით მიმდინარეობდა), მტრის სარწმუნოებაზე გადასვლა (თანაც ზრდასრული პიროვნების მიერ, რომელიც საკმაოდ კარგად აცნობიერებდა, რას ნიშნავდა მის მიერ გადადგმული ნაბიჯი) ნამდვილად დალატი იყო. მითუმეტეს თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ის ამ დროს არანაირ პოლიტიკურ ფიგურას არ წარმოადგენდა და მისი სარწმუნოების შეცვლა არავითარი ქვეყნის ინტერესების დაცვას არ უკავშირდებოდა, ანუ იაკობ ხუცესის ცნობილი გამოთქმა რომ ვიხმაროთ, რომლითაც ის ვარსკენს ახასიათებს,

როსტომ ხანს: „...არცა ჭირი ეხილვა, არცა შიში, არცა მახვილი, არცა პერობილებაი ქრისტეისთვის“ (ძველი ქართული საეკლესიო ლიტერატურა, 2008, 6). ასე რომ, მის მიერ გადადგმული ნაბიჯი, მამის და ძმის მსგავსად, ერთადერთ მიზანს ემსახურებოდა – სარწმუნოების და სამშობლოს ღალატის გზით კარიერისტულ საფეხურზე დაწინაურება.

როსტომ-ხანის სარწმუნოებრივი ცნობიერების დასახასიათებლად საინტერესოა ახალი ქართლის ცხოვრების ავტორების შეფასება, რომ იგი იყო: „მოყუარე სჯულისა მაჰმადისასა“ (ქართლის ცხოვრება, 1959, 424). ცხადია, მაჰმადიანური სარწმუნოების მოყვარულს პოლიტიკური გუნდიც თავისნაირი უნდა ჰყოლოდა და მართლაც იმავე ავტორების მიხედვით, მან: „ვინცავინ ქართველნი იყვნენ ყიზილბაშში დატყუევებულნი და გათათრებულნი, ყოველნივე წარმოიყვანა ქართლში“ (ქართლის ცხოვრება, 1959, 418). აქვე მემატიანე აღნიშნავს, თუ რა იყო ამ ნაბიჯის მიზანი: „სწადოდათ გათათრება ქართლისა“. ქართველ ისტორიკოსებს კარგად აქვთ გაშიფრული ის ვერაგული მეთოდები, რომლის მეშვეობითაც ცდილობდა როსტომ-ხანი და მისი გუნდი ქართველი ხალხის იდეოლოგიურ და კულტურულ ასიმილაციას. აი, რას წერს ქართლის ცხოვრების გაგრძელების ავტორი: „რომელნიცა იყვნენ ქართველნი, მოყუარენი წესისა მათისა, მეძავნი და ბილწების მოქმედნი, დიდად პატივსცემდა მეფე როსტომ და ჰკითხევდა და უსმენდა მათსა, და რომელნიცა იყვნენ სიმართლის მოქმედნი და წრფელნი გულითა და ცოდვის მორიდალნი, მათ არას პატივსცემდა და ცუდს კაცს ეძახდნენ და შეუძლებელსა“ (ქართლის ცხოვრება, 1959, 424). ეს არის აშკარა სარწმუნოებრივი და ეროვნული დივერსია, რომელსაც ირანი ახორციელებდა ქართლში მისი ერთგული მოხელის როსტომ-ხანის და მისი გუნდის მეშვეობით. ყურადღება მივაქციოთ იმ ფაქტს, რომ ისტორიკოსი არ ამბობს, ამ პოლიტიკას ირანი ახორციელებდა და ვთქვათ როსტომ ხანი იძულებული იყო ანგარიში გაეწია ამისათვის, არამედ, ხაზს

უსვამს, რომ პირადად როსტომ ხანია ამ ყველაფრის ინიციატორი და წამქეზებელი. ასე რომ, ქალბატონ ნანა გელაშვილის ზემომოყვანილი ციტატის საპასუხოდ, გვინდა განვაცხადოთ რომ, ქრისტიანობისა და მართლმადიდებლობისადმი როსტომის ჭეშმარიტი დამოკიდებულება ასეთი პოლიტიკის გატარების დროს მუდავნდება და არა ტაძრების ფარისევლურ შეკეთება-აღდგენაში ან სასულიერო პირებისათვის ჯამაგირის დანიშვნაში (ცხადია, როდესაც პიროვნება წრფელი გულით აშენებს ქრისტიანულ ტაძარს, მეძაობასა და მამათმავლობას არ წააქეზებს და პირიქით; „ცოდვის მორიდალს“ და „წრფელს“ დაცინვას არ დაუწყებს).

ეს პოლიტიკა, რომელიც ისტორიაში კარგად ცნობილი და აპრობირებულია არაერთი დამპყრობლის მიერ ითვალისწინებდა შემდეგს: საკუთარი სარწმუნოების და ეროვნების უარყოფელი კონდოტიერების დაწინაურებას და წახალისებას საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, რათა მათთვის მიებაძა მოსახლეობის დიდ ნაწილს. სამაგიეროდ, იმ პატრიოტული ძალების გარიყვას და მარგინალიზაციას, ვინც ქრისტიანობას და ქართულ ცნობიერებას იცავდა. როგორც ცნობილია, ასიმილატორული პოლიტიკის ეს მეთოდი გაცილებით საშიშია, ვიდრე აშკარა ხმლით და იარაღით მოსული მტერი. ეს ყოველივე, რა თქმა უნდა, კარგად ესმოდა როსტომ ხანს, რომლის მიზანი იყო ქართველი ხალხის იმ დონეზე გადაგვარება, რომ: „...**არღარა უარყონ ქართველთა ყიზილბაშნი**“ (ბაგრატიონი, 1973, 442).

როდესაც როსტომ ხანის ქრისტიანობისადმი კეთილგანწყობაზე საუბრობენ, მკვლევრები ძირითადად ხაზს უსვამენ იმ ფაქტს, რომ იგი ეკლესია-მონასტრებს აშენებდა და სასულიერო პირებს შესაწირავებს აძლევდა. უნდა აღინიშნოს, რომ თავისთავად ეს ფაქტი სულაც არ არის როსტომ ხანის ქრისტიანობისადმი კეთილგანწყობის დამადასტურებელი. მთავარია თუ რა მოტივი ამოძრავებდა მას ამ შემთხვევაში (არ უნდა დაგვავიწყდეს რომ როსტომ ხანი

მეჩეთებსაც აქტიურად აშენებდა, ხოლო პლატონ იოსელიანის ცნობით: „ქრისტიანებისათვის ყველაზე მძიმე მოვლენა იყო როსტომ მეფის მიერ თბილისში წმ. იოანე ნათლისმცემლის ბრწყინვალე ძველი ეკლესიის დანგრევა, მისივე ცნობით ეს საყდარი შემდეგ ვახტანგ VI აღუდგენია (ნაკაშიძე, 125, სქოლიო 2). საქმე ის არის, რომ საქართველოს ეკლესიას გარკვეულ მფარველობას ირანის შაჰებიც უწევდნენ და ჯამაგირსა და შესაწირავებსაც აძლევდნენ, ცხადია, არა იმიტომ რომ მათ გული შესტკიოდათ მართლმადიდებელ ეკლესიაზე, არამედ იმის გამო, რომ ამას მოითხოვდა მათი გარკვეული პოლიტიკური ინტერესები. მოვიყვანოთ მაგალითები: 1642 წელს გაცემული ფირმანით ირანის შაჰი სეფი I (1629-1642) უბრძანებს თეიმურაზ I-ს, რათა მან ქართლის კათოლიკოსს ქრისტეფორე II-ს დაუბრუნოს და სამართავად გადასცეს საკათოლიკოსო მამულები ქართლსა და კახეთში (ბაინდურაშვილი, კრ. აღმოსავლეთი და კავკასია, 2011, 37). 1705 წელს შაჰ ჰუსეინ I-მა გამოსცა ბრძანება თბილისის ციხეში მდებარე აბანო, რომელიც ქრისტიანებს და მუსლიმებს შორის დავის საგნად იყო გადაქცეული, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საკუთრება გამხდარიყო (ბაინდურაშვილი, კრ. აღმოსავლეთი და კავკასია, 2011, 39). 1713 წელს შაჰ ჰუსეინ I-ის მიერ გამოცემული ფირმანის მიხედვით, ქართველმა დიდებულებმა საქართველოს კათოლიკოსს უკან უნდა დაუბრუნონ საეკლესიო მამულები და პატივისცემით მოეპყრონ მას. შაჰი თვით ვახტანგ VI-საც კი საყვედურობს: „ის ნაიბობის საფარველიც ისეთი პატივისცემით აღარ ეპყრობა კათოლიკოსს, როგორც წინათ ეპყრობოდნენ მათ ვალები“ და აფრთხილებს: „როცა [ვალის ნაიბი] გაიცნობს ამ უკეთილშობილესი რაყამის შინაარსს, სათანადო პატივით მოეპყრას ხსენებულ [კათოლიკოსს] და თუ ვინმე ჩაერია მისი კუთვნილი საეკლესიო მამულების [საქმეში] ადკვეთოს ეს“ (ბაინდურაშვილი, კრ. აღმოსავლეთი და კავკასია, 2011, 40). ნა-

დირ-შაჰი 1745 წელს გაცემული ფირმანით ანტონ I-ს ამტკიცებს ქართლის კათოლიკოსად და 1000 ნადირსაც უნიშნავს გასამრჯელოდ (ბაინდურაშვილი, კრ. აღმოსავლეთი და კავკასია, 2011,41). ასეთი მაგალითები მრავალია, მაგრამ განა შეიძლება ამაზე დაყრდნობით ვამტკიცოთ, რომ ირანის შაჰები ფარული ქრისტიანები იყვნენ, გული შესტკიოდით მართლმადიდებელ ეკლესიაზე და იმიტომ ესმარებოდნენ მას? როსტომ ხანის „გულმხურვალე“ ქრისტიანობის დამადასტურებლად ხშირად მოჰყავთ ერთი ფაქტი: 1648 წელს თეიმურაზის წინააღმდეგ საბრძოლველად წასული როსტომ ხანი სვეტიცხოველში ლოცულობს და ღმერთს გამარჯვებას სთხოვს. ეს რომ გარეგნული, სხვის დასანახად (თუნდაც მის ღაშქარში მყოფი ქართველებისა, რომელიც გამაჰმადიანებულ როსტომს ქრისტიანი თეიმურაზის გასაძევებლად მიჰყავდა) გადადგმული ნაბიჯია, იქიდანაც კარგად ჩანს, რომ ამ ბრძოლაში გამარჯვების შემდეგ მან ქრისტიანობის უმთავრესი სიწმინდე ჯვარი (რომელიც თეიმურაზის დამარცხების შემდეგ ჩაიგდო ხელში) თავდაღმა ჩამოჰკიდა დროშაზე და ისე გაგზავნა ირანში, როგორც მაჰმადიანების ქრისტიანებზე გამარჯვების სიმბოლო.

როსტომ ხანის რელიგიური პოლიტიკის კიდევ ერთი ვერაგული წახნაგი იყო საქართველოში მართლმადიდებლობისა და მაჰმადიანობის ან კათოლიკობისა და მართლმადიდებლობის ასიმილაციის მცდელობა. როგორც მკვლევარი ხათუნა ბაინდურაშვილი წერს, როსტომ ხანის მმართველობის დროს ქართლში „ხდება ისლამის პოპულარიზაცია და სახეზე გვაქვს ქრისტიანობისა და ისლამის თავისებური სინკრეტიზმი“ (ბაინდურაშვილი, კრ. აღმოსავლეთი და კავკასია, 2011,37). ვახუშტი ბაგრატიონი წერს, რომ როსტომმა: „მოიყვანა ცოლად აბაშისშვილის გორჯასპის ასული ქეთევან და უწოდა გულდუხტარ და იქორწინა ქრისტიანულ-მაჰმადიანურ“ (ბაგრატიონი, 1973, 439). ქეთევანის გარდაცვალების შემდეგ როსტომ ხანმა მეორედ იქორწინა მარიამ დადიანზე. პიეტრო ავიტაბილეს ცნობით,

ეს ქორწინებაც მაჰმადიანური და ქრისტიანული რიტუალის ნაზავს წარმოადგენდა (ავიტაბილე, 1977, 36). უფრო მეტიც, კათოლიკე მისიონერი გადმოგვცემს, რომ დედოფლის თხოვნით, ქორწილის წინ მეფე მონათლულა: „როსტომს ეკლესიაში თავი დაბანეს ქრისტიანულად კურთხევის ცერემონიალის შესასრულებლად“ (ავიტაბილე, 1977, 38). ისტორიკოს მაია კაპანაძეს მიაჩნია, რომ როსტომი: „ამით ქართველი ხალხის თვალში ერთგვარი ნდობის მოპოვებას ცდილობს და ხაზს უსვამდა იმას, რომ ის მხოლოდ და მხოლოდ შაჰის მოხელე არ იყო და ქართული ცნობიერება მასში არ წაშლილა (კაპანაძე, აღმოსავლეთი და კავკასია, 2007, 64–65). ერთი შეხედვით ეს შეიძლება მართლაც ასე მოგვეჩვენოს, მაგრამ თუ საკითხს ჩავუღრმავებთ, დავინახავთ, რომ ესეც ირანის კარის და როსტომ ხანის რელიგიური პოლიტიკის შემადგენელი ნაწილია, რომელიც მიზნად ისახავს ქართველ ხალხში მართლმადიდებლობის მნიშვნელოვანი სწავლებებისადმი გულგრილობის დანერგვას და ამით ქრისტიანული ცნობიერების შერყევას. საქმე ის არის, რომ ქრისტიანული კანონიკის მიხედვით, კატეგორიულად იკრძალება მართლმადიდებლის დაქორწინება არამართლმადიდებელზე. აი, რა წერია ამასთან დაკავშირებით მეექვსე მსოფლიო საეკლესიო კრების დადგენილებაში: „მართლმადიდებელმა მამაკაცმა მწვალებელი დედაკაცი არ უნდა შეერთოს, არც მწვალებელ მამაკაცს უნდა შეეუღლოს მართლმადიდებელი დედაკაცი. თუ მოხდეს ასეთი რამ, ვისგანაც არ უნდა იყოს ოდესმე ჩადენილი, უკანონოდ და დაუმტკიცებლად ჩაითვალოს ასეთი ქორწინება და დაირღვეს უწესო თანამკვიდრობა, რადგან შეუერთებელთა შეერთება არ შეიძლება, არც ცხვრისა და მგლის ერთმანეთთან დაკავშირება იქნება და არც ქრისტეს ნაწილის ცოდვილთან შეერთება, ხოლო თუ ვინმემ დაარღვიოს ეს ჩვენი დადგენილება, უზიარებელ იქნეს (საქართველოს ეკლესიის კალენდარი, 1987, 335).

ქართული წყაროების მიხედვით როსტომ ხანი შეგნებულად უწევდა პროპაგანდას ქრისტიანული სარწმუნოებისათვის ისეთი მიუღებელი და მომაკვდინებელი ცოდვების გავრცელებას, როგორც იყო: „სიძვა და არაწმიდება, ცოდვა იგი სოდომ-გომორული და მეძაობა და დედათა თანა აღრევა“ (ქართლის ცხოვრება, 1959, 424). ყოველივე ამან კი ქართველ კაცში ქრისტიანული ცხოვრების წესის მოშლა გამოიწვია.

თუ რა საშინელი ზიანი მიაყენა როსტომ ხანის ასეთმა მზაკვრულმა პოლიტიკამ საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას, ნათლად აქვს ნაჩვენები ვახუშტი ბაგრატიონს. საუბრობს რა ვახტანგ V-ის რელიგიური პოლიტიკის შესახებ, ისტორიკოსი აღნიშნავს, რომ: „...მატა სჯულსა ქრისტიანობისასა და ეკლესიათა, რამეთუ მცდელობდა, რათა **როსტომის განრყუნილნი მოეგო კუაღად კუაღსავე თვისსა, ვინაითგან ჟამსა მისსა ზიარება სისხლისა და ხორცისა უფლისა ჩუენისა სირცხვილად უწინდათ,** (ხაზი ჩვენია, - მ.მ.) ამან კათალიკოზით დომენტიო კუაღად შემოიყვანნა აღსაარებად და ზიარებად“ (ბაგრატიონი, 1973, 453-454). აღსარებას და ზიარებას ქრისტიანულ ღვთისმსახურებაში უმთავრესი, ცენტრალური ადგილი უკავია, რომლის გარეშეც საერთოდ ეკლესიის არსებობა და ფუნქციონირება წარმოუდგენელია. თუნდაც ამ ფაქტიდანაც ნათლად ჩანს, რა უდიდესი დარტყმა მიაყენა როსტომ ხანის მზაკვრულმა პოლიტიკამ საქართველოში ქრისტიანულ ცნობიერებას.

ამრიგად, თუ ყოველივე ზემოთქმულს შევაჯამებთ, დასკვნების სახით შეიძლება ჩამოვაყალიბოთ შემდეგი:

1. ქართველი ხალხის გმირული ბრძოლების შედეგად (განსაკუთრებით მარტყოფისა და მარაბდის ეპოპეის შემდეგ) ირანის სამეფო კარი იძულებული გახდა ხელი აეღო ქართლ-კახეთის ყიზილბაშურ სახანოდ გადაქცევის პოლიტიკაზე და ქრისტიანული წესით ეცნო თეიმურაზ I ქართლ-კახეთის მეფედ. თეიმურაზმაც ფორმალურად ირანის ვასა-

ლად აღიარა თავი. ირანსა და აღმოსავლეთ საქართველოს შორის კომპრომისული ურთიერთობა დამყარდა, რომელიც 1625-1632 წწ. შორის მოქმედებდა.

2. შაჰ-აბასის გარდაცვალების შემდეგ ირანში დაწყებული არეულობამ და ამ ქვეყნის დასუსტებამ ქართველ ხალხს მისცა საშუალება მისგან სრულ განთავისუფლებაზე ეფიქრა. სამწუხაროდ, ქართლ-კახეთის ეს მისწრაფება ჩაშალა ირანის კარზე დაწინაურებულმა როსტომ ხანმა. მან ირანში მყოფ და მასავით გადაგვარებულ ქართველებზე დაყრდნობით შეძლო ფართო აგენტურული ქსელი გაეშალა ქართლში და ქართლის თავადები მოტყუების, პროვოკაციების, ფულის თუ სხვა სახით გადაებირებინა. სათანადო ნიადაგის მომზადების შემდეგ, როსტომ ხანმა შეძლო მიეღო ირანის შაჰის თანხმობა და იგი ყიზილბაშების ურიცხვი ჯარით საქართველოში შემოიჭრა. ნოდარ ნაკაშიძე მართებულად შენიშნავს, რომ: „ირანის ინტერვენცია როსტომის დიპლომატიური ინტრიგების ნაყოფი უფრო იყო, ვიდრე თეიმურაზის პოლიტიკით გამოწვეული აქცია“ (ნაკაშიძე, 1977, 117). გაეიხსენოთ, რამდენჯერ მოხდა თეიმურაზ I-ის მეთაურობით მსგავსი აჯანყება ირანის წინააღმდეგ და რამდენჯერ დაიხია ირანმა უკან, იმის გამო, რომ ქართველების დამარცხება ირანს ციხის შიგნიდან გატყუვის გარეშე არ შეეძლო. ნიკოლოზ ბერძენიშვილის სამართლიანი შენიშვნით: „1614-1616 წლებში შაჰ-აბასმა საქართველო გააოხრა, არა იმდენად ყიზილბაშთა ლაშქრის სიმრავლე-სიძლიერით, რამდენად ქართველთა სიმტკიცის შიგნიდან გატყუვით“ (ბერძენიშვილი, 1973, 255). 1632 წელს კი ციხე შიგნიდან სწორედ როსტომ ხანმა გატყუა, უპირველეს ყოვლისა იმით, რომ მან განხეთქილება შეიტანა გაერთიანებულ ქართლ-კახეთში და შანტაჟით, მოტყუებით გადაიბირა ქართლელი თავადები, რამაც როსტომ ხანის გამარჯვებაში გადამწყვეტი როლი ითამაშა.

3. როსტომ ხანის და ირანის სამეფო კარის მიზანი ქართლ-კახეთის მიმართ იდენტური იყო – ქართლის ყი-



ზილბაშურ სახანოდ გადაქცევა. მცდარია ქართულ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებული მოსაზრება, რომ თითქოს ქართლ-კახეთის გაყიზილბაშების პოლიტიკა მხოლოდ ირანის სამეფო კარიდან მოდიოდა და როსტომ ხანი, რამდენადაც შეეძლო, მის შერბილებას და ქართული საქმის კეთებას ცდილობდა. ქართული საისტორიო წყაროებიდან აშკარად ჩანს, რომ ამ პოლიტიკის ინიციატორი როსტომ ხანიც იყო. როგორც ნიკოლოზ ბერძენიშვილი წერს: „როსტომ ხანი ტიპიური რენეგატი იყო. „ყაენის ფერხთა მტვერი“ ის მართლაც ერთგული და „ხელმწიფის სამსახურზედ თავდადებული იყო“ (ბერძენიშვილი, 1973, 256) „შაჰი არ შემცდარა, როსტომი არა მარტო ერთგული, არამედ ქართლში ირანის ინტერესების ნიჭიერი გამტარებელიც აღმოჩნდა“ (ბერძენიშვილი, 1973, 252). ამ თვალსაზრისით, მან რამდენიმე მიმართულებით გაშალა მუშაობა: 1. საქართველოში ქრისტიანული ცნობიერების დისკრედიტაცია და ქრისტიანობისათვის საფუძვლების შერყევა 2. ქართლის ეკონომიკური და პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოსპობა და ირანის სამეფო კარზე სრული დამორჩილება.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ, გვიჩნდება კითხვა: როგორ შეიძლება ქართლ-კახეთში ქრისტიანი თეიმურაზის მეფობის შემდეგ (1625-1632 წწ.), რომელსაც სამართლიანად საქართველო-ირანს შორის კომპრომისულ ურთიერთობას ვუწოდებთ, როსტომ ხანის მმართველობის პერიოდზეც იგივე ვთქვათ? სად არის აქ ლოგიკა? არგუმენტაცია? ამიტომ, ჩვენი აზრით, საჭიროა ქართულ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებული ამ მოსაზრების გადახედვა და თქმა იმისა, რომ როსტომ ხანის მმართველბა იყო არა კომპრომისი ირანსა და აღმოსავლეთ საქართველოს შორის, არამედ ირანის წარმატებული რელიგიური, პოლიტიკური და ეროვნული დივერსია ქართლ-კახეთის მიმართ (მსგავსი მოსაზრება გამოთქვა ნოდარ ნაკაშიძემ - იხ. ზემოთდასახელებული ნაშრომი, გვ. 121), რომელმაც გამოუსწორებელი

ზიანი მიაყენა ქართულ სახელმწიფოებრიობას, და რომლის მთავარი შემოქმედიც როსტომ ხანი იყო.

**MALCHAZ MURUSIDZE**

**ON THE QUESTION OF ASSESSING THE REIGN  
OF ROSTOM KHAN**

Some positive evaluations nominated in Georgian historiography, concerning the governance of the XVII century political figure, magistrate of Ispahan and wali of Kartli, Rostom Khan are critically analyzed in this article. The author does not approve of the opinion as if Rostom supported the policy of compromise between Georgia and Iran. His rule was a successfully disguised diversion against the integrity of Christian and traditional values in the kingdom of Kartli, eventually leading to the governmental instability of Georgia.

**დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:**

1. დონ პიეტრო ავიტაბილე, ცნობები საქართველოზე (XVII ს.), შესავალი, თარგმანი და კომენტარები ბ. გიორგაძისა, თბილისი, 1977.
2. ვ. ბაგრატიონი, აღწერა სამოფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმ. ყაუხჩიშვილის მიერ, ტომი IV, თბილისი, 1973.
3. ხ. ბაინდურაშვილი, ირანის პოლიტიკა ქართული ეკლესიის მიმართ სპარსული ფირმანების მიხედვით (1642–1750 წწ), კრ. აღმოსავლეთი და კავკასია, 2011, № 7.
4. ა. ბაქრაძე, წარსულით წინასწარმეტყველება, თხზულებანი, ტომი V, (ელექტრონული ვერსია), <https://issuu.com/>

- [gggg1234/docs/baqraze\\_tomi\\_v\\_werilebi](#), გამოქვეყნებულია 2015 წელს, მოძიებულია 2020 წელს.
5. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VI, თბილისი, 1973.
  6. ნ. ბერძენიშვილი, ი. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია, ნაწილი I, უძველესი დროიდან XIX საუკუნემდე, ს. ჯანაშიას რედაქციით, თბილისი, 1948.
  7. ვ. გაბაშვილი, ქართული ფეოდალური წყობილება XVI-XVII სს. თბილისი, 1958.
  8. ნ. გელაშვილი, რელიგიური ასპექტი როსტომ მეფის მმართველობაში (1633-1658 წწ.), კრ. „ნოდარ შენგელია 75“, თბილისი, 2008.
  9. ფ. გორგიჯანიძე, ისტორია, საისტორიო მონამუხე, წ. II, თბილისი, 1925.
  10. ისქანდერ მუნში, აბასის ქვეყნის დამამშვენებელი ისტორიის გაგრძელება, სპარსულ ტექსტს გამოკვლევა, ქართული თარგმანი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ნანა გელაშვილმა, თბილისი, 1981.
  11. მ. კაპანაძე, ქრიტიანობისა და ეკლესიისადმი როსტომ ხანის დამოკიდებულების საკითხისათვის, კრ. აღმოსავლეთი და კავკასია, 2007, №5.
  12. ნ. ნაკაშიძე, წიწამურიდან ბახტრიონამდე, თბილისი, 1977.
  13. გ. კორქულიანი, საქართველო XVII საუკუნის 30-50-იან წლებში (ქართლ-კახეთი), თბილისი, 1987.
  14. მ. რეხვიაშვილი, ნ. რეხვიაშვილი, საქართველოს ისტორია (უძველესი დროიდან-XX ს-ის 30-იან წლებამდე), ქუთაისი, 2000.
  15. მ. სურგულაძე, როსტომ მეფე <https://qim.ge/rostrom%20mefe.html>
  16. საქართველოს ეკლესიის კალენდარი, თბილისი, 1987.
  17. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 4, თბილისი, 1973.
  18. საქართველოს ისტორია, ტ. II (XIII-XVIII სს), ნ. ასათიანის და გ. ჯამბურიას რედაქციით, თბილისი, 2008.
  19. ლ. ტუხაშვილი-ეროვნული სსნის გზასაყართან, ცისკარი, 1983, № 9.

20. ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმ. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II, თბილისი, 1959.
21. ს. ჩხეიძე, საქართველოს ცხოვრება, ტფილისი, 1913.
22. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი მეხუთე, თბილისი, 1953.
23. მასალები XVII საუკუნის საქართველოს ისტორიისათვის (პავლე ალექოელის ცნობები საქართველოს შესახებ), ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ნ. ასათიანმა, თბილისი, 1973.
24. ჟან შარდენი, მოგზაურობა საქართველოში, ფრანგულიდან თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო მზია მგალობლიშვილმა, თბილისი, 1975.
25. ი. ცინცაძე, თეიმურაზ პირველი, ლიტერატურული გაზეთი, 1963, 20 დეკემბერი.
26. ი. ცინცაძე, ვასილ გაგარასა და არსენ სუხანოვის ცნობები საქართველოს შესახებ (XVII საუკუნის მასალები საქართველოს ისტორიისათვის), თბილისი, 1965.
27. ძველი ქართული საეკლესიო ლიტერატურა, I, ძეგლები თარგმნა, გამოსაცემად მოამზადა და სქოლიოები დაურთო ედიშერ ჭელიძემ, თბილისი, 2008.

ატენის ძალაქის აღბილმდებრობისათვის

ატენის ხეობა და მდ. ტანას აუზი მდებარეობს თრიალეთის ქედის ჩრდილო კალთის ცენტრალურ ნაწილში, თრიალეთის, საცხენისის და წერეთის ქედებს შორის. ტანას სათავე იწყება ჯამჯამას მთის აღმოსავლეთით და გორისა და ხიდისთავის გასაყარზე უერთდება მარჯვნიდან მტკვარს.

სასარგებლო წიაღისეულიდან ატენის ხეობაში მოიპოვებოდა კვარცის ქვიშები<sup>1</sup>, იასპი და მარმარილო<sup>2</sup>, წვდისის მახლობლად მელვინეთხუცესიშვილების კუთვნილ მიწებში მოხსენიებულია „ქვის საჭრელი მადანი“<sup>3</sup> და სხვ.

მთელ საქართველოში განთქმული იყო ატენში გავრცელებული ყურძნის ჯიშები: „ბუდეშური“, „ჩინური“, „საფერავი“<sup>4</sup>. აღსანიშნავია, რომ ბაგრატ IV-ს ატენში „სეფე ზვარი“ ჰქონდა<sup>5</sup>, სადაც შემდგომში ქალაქი გაშენდა. ნ. ბერძენიშვილი თვლის, რომ ატენის დაწინაურება, არა მარტო მოხერხებულმა გეოგრაფიულმა მდებარეობამ და თრიალეთიდან შიდა ქართლში შემოსასვლელმა გზამ, არამედ მევენახეობისათვის კარგმა პირობებმა განაპირობა: „ატენის მევენახეობა იყო, უპირველეს ყოვლისა, ის მიმზიდველი მომენტი, რომლის საფუძველზე აქ ასეთი მშენებლობა გაიშალა VII-X თუ XI საუკუნეებში (ტაძარი, ცი-

<sup>1</sup> საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, თბ., 1970, გვ. 24

<sup>2</sup> А. И. Джавахов, Городь Гори. Сборник материалов для описания местностей и племень Кавказа (СМОМПК), выт. II, Тифл., 1882, გვ. 69

<sup>3</sup> იოსებ (სოსო) ალიმბარაშვილი. დიმიტრი მელვინეთხუცესიშვილი (ცხოვრება და მოღვაწეობა), თბ., 2016, გვ. 202

<sup>4</sup> ივანე ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიკური ისტორია, წიგნი II, „თხზულებანი“, ტ. V, თბ., 1986, გვ. 439, 541

<sup>5</sup> ივანე ჯავახიშვილი. მშენებლობის ხელოვნება ძველს საქართველოში, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, ნ. ბერძენიშვილის რედ., ტ. I, თბ., 1949, გვ. 35.

ხე, ქალაქი)<sup>1</sup>. ატენური ღვინის თვისებებზე ყურადღებას ამახვილებს დიუბუა დე მონპერეც.<sup>2</sup>

ნაყოფიერი მიწების, ტყეებისა და საძოვრების გარდა, ტანას ხეობაზე გადადიოდა გზა შიდა ქართლიდან ქვემო ქართლში, სომხეთსა და მესხეთ-ჯავახეთში კლდეკარის საერისთავოზე გავლით<sup>3</sup>. ატენის გზით აქ უამრავი ბაჟი შემოდის და ეს ეკონომიკური სარგებელი განაპირობებდა სამეფო კარის თუ სხვა ფეოდალთა დაინტერესებას<sup>4</sup>.

თრიალეთსა და კლდეკარზე გავლით უკავშირდებოდა ატენის ხეობა, ძეგვ-ნიჩბის-კავთისხევისა და წალკაზე გადასასვლელ ე. წ. „ცხვრის გზას“<sup>5</sup>.

ხეობაში მოქმედებდა ტანადან გამოყვანილი სარწყავი სისტემა, რომელიც, ნ. ბერძენიშვილისა და დ. მუსხელიშვილის მოსაზრებით, ატენის სიონის თანადროული უნდა იყოს<sup>6</sup>.

ატენის ხეობაში პირველი მოსახლეობის კვალი უკვე შუა ბრინჯაო-გვიან ბრინჯაოდან ჩანს<sup>7</sup>.

---

<sup>1</sup> ნიკო ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. I, თბ., 1964, გვ. 354.

<sup>2</sup> Fr. Dubois de montpereux. Voyage autor du Caucaze, chez les Tcherkesses et les Abkases, en Colchide, en Georgie en Armenie et en Crimee, III, Paris, 1839-1843, p. 218.

<sup>3</sup> ნიკო ბერძენიშვილი. გზები რუსთაველის ეპოქის საქართველოში, თბ., 1966, გვ. 44-45

<sup>4</sup> ეთერ პავლიაშვილი. ატენი წერილობითი წყაროების მიხედვით, ნაშრომი შესრულებული ისტორიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 2019, გვ. 45.

<sup>5</sup> დავით მუსხელიშვილი. „მთა ქართლის“ ისტორიულ-გეოგრაფიული შესწავლისათვის, კრებულში: დავით მუსხელიშვილი, სამეცნიერო სტატიები, წერილები და პუბლიცისტიკა, თბ., 2014, გვ. 160.

<sup>6</sup> ნიკო ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. I, გვ. 394 ; დავით მუსხელიშვილი. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, ტ. II, გვ. 215

<sup>7</sup> ჯონდო გვასალია. აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ნარკვევები (შიდა ქართლი), თბ., 1983, გვ. 57, 150; ქართლის ცხოვრების ტოპოარქეოლოგიური ლექსიკონი, გვ. 64

პლატონ იოსელიანი ატენს ქართლის, ანუ იბერიის მეფის ფარსმან I-ის<sup>1</sup> დაარსებულად მიიხნევს და წელსაც აკონკრეტებს – 184 წ.<sup>2</sup>

„ტანას ხევი“ უკვე IV-VII საუკუნეებში იყო ცნობილი და სპასპეტის საგამგებლოში შედიოდა. არსებობს ვარაუდი, რომ ცალკე ადმინისტრაციულ ერთეულს წარმოადგენდა<sup>3</sup>.

ცნობილი ბელგიელი ღვთისმეტყველის რენე დრაგუეტის ცნობით, ჯერ კიდევ VI საუკუნეში ბეიტ-მარის (სირია) ეპისკოპოსი სიმეონი, ანათემაზე გადაცემით ემუქრებოდა ატენის ეპისკოპოსს კანონიკური საკითხების გამო<sup>4</sup>. ამ დროისათვის ატენის ხეობაში უკვე საეპისკოპოსოს არსებობა მის წამყვან როლზე უნდა მიუთითებდეს.

ქვეყნის ძლიერების ჟამს, მოსახლეობის დიდ რაოდენობასა და საქმიანობაზე მიუთითებს ხეობაში არსებული მატერიალური ძეგლების სიუხვე<sup>5</sup>.

---

<sup>1</sup> პავლე ინგოროყვას მიხედვით, იბერიის მეფე ფარსმან I ბერძნულ-რომაულ წყაროებში იხსენიება ახალი წელთაღრიცხვის I საუკუნის 30-იანი წლებიდან-60-იან წლებამდე, ხოლო იბერიის მეორე მეფე იმავე სახელით ფარსმან III მოიხსენიება II საუკუნის 30-40-იან წლებში (რომის იმპერატორების ადრიანეს და ანტონინე პიუსის თანამედროვე) (*იხ : პავლე ინგოროყვა. ძველი ქართული მატანე „მოქცევაი ქართლისაი“ და ანტიკური ხანის იბერიის მეფეთა სია, „საქართველოს მუზეუმის მოამბე“, ტ. XI-B, თბ., 1941, გვ. 533*). ს. გორგაძის გამოანგარიშებით, ფარსმან I-ის მეფობა ჩვ. წ. I საუკუნის 34-70 წლებზე მოდის, ხოლო ფარსმან II-ის მეფობა 119-140 წელს არ სცილდება (*იხ : ს. გორგაძე. საქართველოს ისტორია, ქუთაისი 1915, გვ. 59, 61*). რაც შეეხება პლატონ იოსელიანს, იგი ატენის დაარსების წელს წყაროს მითითების გარეშე გვთავაზობს.

<sup>2</sup> Пл. Иоселиани. Города существовавшие и существующие в Грузии, Тф., 1850, გვ. 23.

<sup>3</sup> დ. ბერძენიშვილი, ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან, თბ., 1985, გვ. 243-244.

<sup>4</sup> Православная Энциклопедия, под. ред. Патриарха Московского и всея Руси Кирилла, т. III, გვ. 675-677.

<sup>5</sup> სერგი მაკალათია, ატენის ხეობა, თბ., 1957, გვ. 26-28.

თვით ატენის სიონი მდებარეობს ხეობის გასწვრივ არსებული ქედიდან გამომავალი ერთ-ერთი „ფრთის“ უკიდურეს თხემზე, მის „ცხვირზე“ არსებულ ხელოვნურ ბაქანზე, მდ. ტანას მარცხენა ნაპირას. ამ ადგილას ხეობის გაჭრა, ალბათ, მდ. ტანის ზემოქმედებით უნდა იყოს თავის დროზე გამოწვეული. ტაძრის ადგილმდებარეობიდან გამომდინარე, ლ. ჭილაშვილი ფიქრობს, რომ სიონის ადგილას უფრო ადრე უნდა ყოფილიყო გამაგრებული სამოსახლო, რომელიმე წარმართული კულტით. ქრისტიანობის ხანაში აგებენ ეკლესიას<sup>1</sup>, რომელიც ძველის მემკვიდრედ აცხადებს თავს. „კლდეკარი, რომელიც აქ არის გაჭრილი, ალბათ გაიყვანეს მას შემდეგ, რაც სიონი აიგო, რომელმაც ჩაეკეტა მდინარის გაყოლებაზე მიმავალი გზა“<sup>2</sup>.

ატენს განსაკუთრებული ადგილი უკავია X-XII საუკუნეების ქართულ პოლიტიკაში და სამეფო დომენს წარმოადგენს, მომდევნო საუკუნეებში გადატანილი კატაკლიზმების გამო, XVIII საუკუნის დასაწყისისათვის იგი ჯერ კიდევ „მცირე ქალაქია“<sup>3</sup>, ხოლო XIX ს. დასაწყისისათვის მოსახლეობისაგან თითქმის დაცლილია.

როგორც ცნობილია, სამეფო დომენი სამეფო სახლის მამულებს წარმოადგენს და უშუალოდ მეფის გარდა, სადედოფლო და საუფლიწულო მამულებსაც გულისხმობს. ტერიტორიულად სამეფო დომენი საერისთავოს ფარგლებში იყო მოქცეული, მაგრამ არ ექვემდებარებოდა ერისთავების იურისდიქციას და იქ ხელისუფლებას მეფის მიერ დანიშნული მოხელეები (ტანუტერი, მოურავი) ასრულებდნენ<sup>4</sup>.

ყველაზე ძველი წარწერა, სადაც ატენია ნახსენები, ივ. ჯავახიშვილმა მიაკვლია სოფ. ატენისა და მდინარე

---

<sup>1</sup> წარმართული სამლოცველოს ადგილას ქრისტიანული ეკლესიის აშენებას ქართლში სხვაგანაც აქვს ადგილი: უფლისციხეში, გორიჯვარზე და ა. შ.

<sup>2</sup> ლევან ჭილაშვილი. ქალაქები ფეოდალურ საქართველოში, ტ. II, თბ., 1970, გვ. 103.

<sup>3</sup> ვახუშტი ბატონიშვილი, გვ. 353.

<sup>4</sup> ილია ანთელავა. დავითისა და თამარის სახელმწიფო, გვ. 89.



ტანას პირას, მთის ფერდობზე, ნათლისმცემლის პატარა, უგუმბათო ეკლესიაში 1907 წელს. სამეცნიერო ლიტერატურაში ის ვეჟან ატენელ მამასახლისის მოსახსენებელი წარწერის სახელითაა ცნობილი და VII-VIII საუკუნეებით თარიღდება.<sup>1</sup>

არაბთა ბატონობის დროს, ატენის სტრატეგიული ხეობა, ბუნებრივია ხელისუფლების ინტერესების მიღმა ვერ დარჩებოდა. მათი მხარდაჭერის გამო, ბუღა თურქის წინამორბედი სარდლის მოჰამად ხალიდის ძისაგან ატენის ხეობა სამართავად მიუღია ტაოს კურაპალატ - ბაგრატ აშოტის ძეს (826-876 წწ.)<sup>2</sup>. ბაგრატ აშოტის ძე ბუღას მხარესაა თბილისის აღების დროსაც.

თბილისის ამირა საჰაკის ხალიფასადმი წინააღმდეგობის დროს, ატენის მმართველი კონსტანტი კახაა, რომელიც, 853 წლის 23 აგვისტოს, ბუღა თურქის შემოსევის დროს, ბუღას სარდლის ზირაქის მიერ იქნა ნაწამები, ძესთან - თარხუჯთან ერთად. მართალია, მისი ატენის მფლობელობის პირდაპირი მინიშნება არ გვაქვს, მაგრამ, სიმონ ჯანაშიას მოსაზრებით, „კახასა და მისი შვილის მოხსენიება ატენის წარწერაში შეიძლება განხილულ იქნას, როგორც ერთგვარი მოწმობა იმისა, რომ კახა ამ მხარეების მფლობელი საგვარეულოს წარმომადგენელია“<sup>3</sup>. ნ. ბერძე-

---

<sup>1</sup> წარწერა შემდეგი შინაარსისაა: „ესე ჯ(უარი) ქ(რის)ტ(მ)სი მე ვეჟან ატ(ე)ნ(ელ) მ(ამას)ხლ(ისმა)ნ აღემართე შესავედრებელად და საკსრად სულისა ჩემისა და ყ(ოვე)ლთათჳს თაყყუანისმცემელთა ქ(რის)ტ(მ)მს(ა)თა. ქ(რის)ტე ყ(ოვე)ლნი შეგვწყალებენ ძ(ალი)თა ჯ(უარი)ი(ს)ა შ(ენ)ის(ა)თა, ა(მმ)ნ. იყ(ა)ენ. და, რ(ომელ)თა აღმოიკითხოთ, მე ვე[ჟან ც(ო)დ(ვი)]ლი ლოცვასა მ[ომი]ცხენ[ეთ]“. *ლაპიდარული წარწერები I, (აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველო, V-X სს.), შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ნ. შოშიაშვილმა, თბ., 1980, გვ. 107.*

<sup>2</sup> სიმონ ჯანაშია. აღმოსავლეთ ქართული სახელმწიფოს უძველესი კულტურულ-პოლიტიკური ხელისუფლების საკითხისათვის. ენიშკის მოამბე, XIII, თბ., 1942, გვ. 253.

<sup>3</sup> სიმონ ჯანაშია. აღმოსავლეთ ქართული სახელმწიფოს უძველესი კულტურულ-პოლიტიკური ხელისუფლების საკითხისათვის, გვ. 253

ნიშეილიც საეჭვოდ არ ხდის, რომ ატენი კონსტანტი-კახას „სადგომია“<sup>1</sup>.

თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ კონსტანტი-კახა, მარტვილობისას უკვე საკმაოდ ასაკიანი, 85 წლისა ყოფილა<sup>2</sup> (ე. ი. დაბადებულია 768 წელს), და, ნაკლებად სარწმუნოა, სტრატეგიული ხეობის მმართველად იგი ამ ასაკში დაენიშნათ, არ გამოვიციხავთ, მისი მფლობელობა ატენის ხეობაზე საჰაკის (ისჰაკ იბნ-შუაიბი 830-853) თბილისის ამირად გახდომისთანავე, ან მასთან ახლო პერიოდში დაწყებულიყო. როგორც ჩანს, იგი დაახლოებული იყო თბილისის ამირასთან და მხარს უჭერდა მას ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში. არც ის უნდა იყოს შემთხვევითი, რომ კონსტანტი-კახა და მისი ძე თარხუჯი, საჰაკთან ერთად დასაჯეს სიკვდილით.

სიმონ ჯანაშია, კონსტანტი-კახის საჰაკის მხარეზე დგომას, სწორედ იმ ფაქტს უკავშირებს, რომ არაბთა მიერ ბაგრატ კურაპალატისათვის შიდა ქართლის გადაცემა პირდაპირ ჩაგრავდა კახას ინტერესებს<sup>3</sup>.

სარა ბარნაველი არ გამორიცხავს თარხუჯისა (IX ს.) და ატენის ქალაქმშენებლობის ორგანიზატორის მირიან თარხუნის ძის (XI ს.) საგვარეულო კავშირსაც, თუმცა, ეტიმოლოგიური მსგავსების გარდა, სხვა არგუმენტი არ მოჰყავს<sup>4</sup>.

არაბთა ბატონობის გადავარდნისთანავე დაიწყო ბრძოლა „ქართლსა ზედა“, რომელშიც აქტიურად ჩაერთვნენ: „ქართველთა მეფე“ ადარნასე, აფხაზთა (ეგრისის) მეფე კონსტანტინე და სომხეთის მეფე სუმბატ ტიეზიკარე-

---

<sup>1</sup> ნიკო ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. IX, თბ., 1979, გვ. 78

<sup>2</sup> ივ. ჯავახიშვილი, „ცხოვრებად და წამებად კონსტანტინე-კახაძის“, თხზულებანი, ტ. VIII, თბ., 1977, გვ. 88.

<sup>3</sup> სიმონ ჯანაშია. აღმოსავლეთ ქართული სახელმწიფოს უძველესი კულტურულ-პოლიტიკური ხელისუფლების საკითხისათვის, გვ. 253.

<sup>4</sup> ს. ბარნაველი. ატენის ახალი წარწერები, გვ. 88.

ლი. ამ დაპირისპირებაში ქართლი, საბოლოოდ, კონსტანტინეს დარჩა<sup>1</sup>.

კონსტანტინეს მემკვიდრე გიორგი II (922-957 წწ.) და მისი ძე ლეონ III (957-967 წწ.), შიდა ქართლს მთლიანად ფლობენ და სადგომად ატენი გაუსხდიათ: „გამოილაშქრა გიორგი აფხაზთა მეფემან, ჩავიდა კახეთად, მოსწვა და ასწუკდა, და წარვიდა თუსადვე. ქვეყნად. კუალად დადგა ატენს და ძე მისი ლეონ იყო ერისთავად ქართლისა“<sup>2</sup>.

მოგვიანებით, აფხაზთა მეფეები შიდა ქართლის გაღმამხარს<sup>3</sup> კარგავენ და იგი ადგილობრივ ფეოდალთა ხელში გადადის, რომელთა შორის ტბელთა ფეოდალური გვარი დაწინაურდა და მათგან უფროსი „ქართლის უფლად“ იწოდებოდა.

მტკვრის მარცხენა სანაპიროზე წარმოიშვა ერთი ისტორიული „ქვეყანა“ ცენტრით უფლისციხეში, ხოლო მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე მეორე „ქვეყანა“ - რატი ბაღვაშის საერისთავოს სახით, ცენტრით ატენში<sup>4</sup>.

VIII-IX საუკუნეებში „ატენის ქვეყანა“ ადგილობრივი მმართველების - მამფალთა სამემკვიდრეო დომენია<sup>5</sup>, ხოლო სიონის მონასტერი მათ საძვალეს წარმოადგენს. ერისთავთ-ერისთავი „უფალი“ სტეფანოზ მამფალი (+739 წ.), ამავე განშტოების წარმომადგენლები - გუარამავრ დე-

---

<sup>1</sup> იოანე დრასხანაკერტელი. სომხეთის ისტორია. სომხური ტექსტი ქართული თარგმანით, გამოკვლევითა და საძიებლებით გამოსცა ე. ცაგარეიშვილმა. თბ., 1965. გვ. 110-111.

<sup>2</sup> ქართლის ცხოვრება I, გვ. 268.

<sup>3</sup> „გაღმა მხარში“ შედიოდა შიდა ქართლში, მტკვრის მარჯვენა ნაპირის გვიანდელი სათავადოები: სათარხნო, საჯავახიანო და ნაციციანო (იხ: ნიკო ბერძენიშვილი. ფეოდალური ურთიერთობიდან XV საუკუნეში (დოკუმენტები კრიტიკული წერილით), მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. I, თბ., 1937, გვ. 68, საბ. № 1242, შენიშვნა 3)

<sup>4</sup> დავით მუსხელიშვილი. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, ტ. II, გვ. 222.

<sup>5</sup> რენე შმერლინგი. ატენის სიონის კედლის მხატვრობის დათარიღების საკითხისათვის. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. VIII, № 4, თბ., 1947, გვ. 267.

დოფალი და სუმბატ აშოტის ძე (+885) სწორედ სიონში არიან დაკრძალულნი<sup>1</sup>.

X საუკუნის 40-იანი წლებიდან თანდათანობით, „ატენის ქვეყანას“ უკვე ბაღვაშთა უძლიერესი ფეოდალური სახლი ეუფლება. ატენის მფლობელ ბაღვაშთაგან, პირველი მიქაელია, რომელმაც ეს ქვეყანა 940 წელს მიიღო სიგელით ბაგრატ II-საგან და 945 წელს თავისი დაფინანსებით ატენის ტაძარს ზღუდე აუშენა. მისი ქტიტორული გამოსახულება ატენის სიონის სამხრეთ ფასადზე ორფიგურია ქტიტორულ რელიეფზეა დაცული<sup>2</sup>.

X ს. 80-იან წლებში კლდეკარის ერისთავმა და ატენის ციხის მფლობელმა რატი ბაღვაშმა მიიერთა „ქართლისაგან მტკუარს სამხრით-კერძო ყოველივე თრიალეთი, მანგლისის ხევი, სკვირეთი“, ატენის ციხე გაამაგრა და მის მახლობლად საგვარეულო ეკლესიაც ააგო<sup>3</sup>.

სწორედ ბაღვაშთა მფლობელობის დროს უნდა მოეწვიათ ატენის სიონის სარესტავრაციო სამუშაოების საწარმოებლად თოდოსაკის მეთაურობით სომეხ-ქართველი კირით-ხურონი, რაც, სათანადოდ აისახა სიონის წარწერებში<sup>4</sup>.

<sup>1</sup> ფრესკული წარწერები I, ატენის სიონი, გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და საძიებლები დაურთეს გურამ აბრამიშვილმა და ზაზა ალექსიძემ., თბ., 1989, გვ. 30-31.

<sup>2</sup> ელენე კავლელიშვილი. დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილი და ვერეს ღმრთისმშობლის სახელობის ეკლესიის წარწერები, გვ. 66-67.

<sup>3</sup> წარწერის მიხედვით, ეკლესიის მშენებლობა რატი ლიპარიტისძე ბაღვაშს უწარმოებია: „ქრისტე ადიდე ორსავე ცხოვრებასა აქა ხორციელებრ და წინაშე შენისა სულიერებრ რატ ერისთავი ძე იგი ლიპარიტ ერისთავისაი, რომელმან აღაშენა ესე სახლი ღმრთისაი და ბჭეი ცათაი წმინდაი ეკლესია სალოცველათ სულსა მათისა“. წარწერა დათარიღებულია 982-989 წლებით (*ლაპიდარული წარწერები I, გვ. 202-203*). არის მოსაზრება, რომ რატი ბაღვაშმა ეკლესია კი არ ააშენა, არამედ განაახლა (*იხ: საქართველოს ისტორიისა და ხუროთმოძღვრების ძველთა აღწერილობა, ტ. V, თბ., 1990, გვ. 60*).

<sup>4</sup> ერთ-ერთი ასეთი ცნობილი წარწერა ეკუთვნის სიონის სომეხ რესტავრატორს თოდოსაკს („მე თოდოსაკ მაშენებელი ამ წმინდა ეკლესიისა“), რაც გახდა XIX საუკუნეში საქართველოში მყოფი ზოგიერთი ევროპელი და რუსი მოგზაურის (დიუბუა

საინტერესოა, რატომ უნდა აერჩია რატი ბაღვაშს თავის სამფლობელოს უმთავრესი ტაძრის, ატენის სიონის შესაკეთებლად თოდოსაკის არცთუ ძლიერი პროფესიონალთა ჯგუფი, როდესაც იმ დროისათვის ტაო-კლარჯეთსა თუ იმერეთ-აფხაზეთში მშენებელთა ასეთი არაერთი ჯგუფი და „გალატოზთა ზედამდეგი“ იყო?

გიორგი გაგოშიძე თვლის, რომ რატი ბაღვაშს დაზიანებული სიონის აღსადგენად თავის სამეფოში მოღვაწე მშენებელ-მოქანდაკეები ტაშირ-ძორაგეთის მეფე გურგენმა გამოუგზავნა. ამ შემთხვევაში ქტიტორი რატი ბაღვაში ტაშირ-ძორაგეტის მეფის რეკომენდაციებს ითვალისწინებდა

---

დე მონპერე, მარი ბროსე, გრაფინია უვაროვა) სიონის ტაძრის შეცდომით დათარიღების საფუძველი. ფრედერიკ დიუბუა დე მონპერემ ატენის სიონი X-XI საუკუნეებით დაათარიღა, შესაბამისად, თოდოსაკიც ამ პერიოდის რესტავრატორად მიიჩნია და ჩათვალა, რომ ატენის სიონი VII საუკუნის სომხური არქიტექტურის რიფსიმეს ტაძრის პროტოტიპს წარმოადგენს (*Fr. Dubois de montpereux. Voyage autor du Caucaze, chez les Tcherkesses et les Abkases, en Colchide, en Georgie en Armenie et en Crimee, III, p. 212-214*). მონპერეს ცნობაზე დაყრდნობით, მარი ბროსემ და გრაფინია უვაროვამ ატენის სიონი ბაგრატ IV-ის მიერ აშენებულად, და, თოდოსაკიც ამ პერიოდის ხუროთმოძღვრად მიიჩნიეს (*M. Brosset, Rapports sur un voyage archeologicue dans la Georgie et dans l' Armenie, exexecute en 1847-1848 SPB 1849, VI. p. 21-25; Христианские памятники графини Уваровой, Материалы по археологии Кавказа, вып. IV, Москва 1894, გვ. 148*). თამარ მესხი თოდოსაკს სულაც ბიზანტიელ (ბერძენ) ხუროთმოძღვრად, ხოლო მის თანაშემწეს გრიგოლი დაპსს ბაღვაშთა ფეოდალური სახლის წარმომადგენლად მიიჩნევს (*თამარ მესხი. ბერძნული ელემენტი ატენის ხეობის ტოპონიმიკაში და ატენის სიონი, გვ. 47, 52*). მოგვიანებით, ატენის სიონში აღმოჩენილმა VIII-IX საუკუნეების წარწერებმა (*იხ: გურამ აბრამიშვილი. ატენის სიონის სამი გრაფიტი, „მნათობი“, 1984, № 9, გვ. 164-168*) საბოლოოდ გააბათილა სომეხი ხუროთმოძღვრის მიერ სიონის თავდაპირველი აშენების ვერსიის უსუსურობა.

და ოსტატთა კონფესიური კუთვნილება მისთვის მეორე რიგის საკითხი იყო<sup>1</sup>.

მისივე აზრით, შესაძლოა, კლდეკარის ერისთავს და ატენის პატრონს მაღალპროფესიონალი მშენებლების მოწვევის საშუალება არ ჰქონდა, რადგან ასეთი ოსტატების საქმიანობას სამეფო ხელისუფლება აკონტროლებდა და მათ დაკვეთებს ასრულებდნენ. თუ გავითვალისწინებთ, რატი ბაღვაშის დაპირისპირებას ბაგრატ III-სთან, ნათელი გახდება, თუ რატომ მოიწვია დიდმა ფეოდალმა ქვემო ქართლში მოქმედი თოდოსაკის ამქარი და არა ტაო-კლარჯეთიდან წამოსული ოსტატები<sup>2</sup>.

ოღონდ, აქ საკითხავი ის არის, თუ X ს. 80-იან წლებში თოდოსაკი და მისი ჯგუფი მართლაც რატი ბაღვაშმა ჩამოიყვანა ატენში, როგორ მოხდა, რომ კლდეკარის ამბიციური და ზვიადი ერისთავთერისთავი ატენის ღვთისმშობლის შედარებით მცირე ეკლესიის წარწერაში ღვთისადმი მოკრძალებულია და შენდობას ითხოვს (იხ: შენიშვნა №3, გვ.92), ხოლო მის მიერ მოწვეული გადამთიელი თოდოსაკი მთავარი ტაძრის ერთ-ერთ ცენტრალურ ადგილას გამორჩეული ზომისა და ფერის ასოებით<sup>3</sup> მის ამშე-

---

<sup>1</sup> გიორგი გაგოშიძე. ატენის სიონის აღდგენითი სამუშაო X საუკუნის მიწურულს (თოდოსაკი და მისი ამქარი), „საქართველოს სიძველენი“, № 21, თბ., 2018, გვ. 129. გიორგი გაგოშიძე თოდოსაკის მშენებელთა ჯგუფის აღსანიშნავად ხმარობს ტერმინს „ამქარს“. „ამქარი« („ჰამქარი«) სპარსული სიტყვაა და თანამოსაქმეს, ხელობით ამხანავს ნიშნავს. შოთა მესხიას ვარაუდით, ეს ტერმინი ქართულში მხოლოდ XVII-XVIII საუკუნეებში შემოვიდა და X ს. მოვლენებთან მისი ხმარება ანაქრონიზმია (შოთა მესხია. საისტორიო ძიებანი, II, გვ. 509-519). მისივე გადმოცემით, „ამქარის« შესატყვისად, ძველ ქართულში ტერმინი „ოფიკალი« იხმარებოდა (იქვე, გვ. 518-519)

<sup>2</sup> გიორგი გაგოშიძე. ატენის სიონის აღდგენითი სამუშაო X საუკუნის მიწურულს, გვ. 130.

<sup>3</sup> მართლაც ყურადღებას იქცევს თოდოსაკის წარწერაში ასოების ზომა და ფერი. ასოების მოყვანილობა სიმაღლეში 11,5-12 სმ-ს აღწევს, ხოლო სიგანე 4-5 და 8-9 სმ და წითელი ფერითაა შეღებილი.

ნებლად აცხადებს თავს და ქტიტორის სახელს არ ახსენებს (იხ: შენიშვნა №4, გვ.92) თუ ატენის სიონის ტაძრის აღდგენას მართლაც X ს. 80-იანი წლების დასაწყისში ჰქონდა ადგილი რატი ბაღვაშის ინიციატივით, რატომ არ აისახა მისი სახელი სიონის მთავარი ტაძრის წარწერებში? ამ პერიოდში (975-989 წწ.) ბაგრატ III-ის გავლენა ატენსა და ქართლზე ჯერ კიდევ სუსტია და მისი მოუხსენიებლობა სიონის ტაძრის წარწერებში გასაგებია, მაგრამ რატი და ლიპარიტ ბაღვაშები როგორ შეეგუვნენ ამ ამბავს? ხომ არ დაუთმო მეფესთან დაპირისპირებულმა კლდეკარის ერისთავთ-ერისთავმა, თოდოსაკს თავისი ამპარტავნობა და ამბიციები, ტაძრის აღდგენის, ან სხვა წყალობის სანაცვლოდ?

ატენისათვის ბრძოლა ბაგრატ IV-სთან ლიპარიტ ლიპარიტის ძე ბაღვაშმა განაახლა. იგი ბაგრატის ნახევარძმას (გიორგი I-ის აღდგენის ქორწინებით) დემეტრეს „შეეკრა“, ბიზანტიის იმპერატორის ბასილი II-ის დახმარებითაც ისარგებლა, „მიერთნეს სხვანიცა ვინმე დიდებულნი და აზნაურნი“ და ატენის ციხის აღება სცადა, მაგრამ ვერ აიღო, „რამეთუ ციხეთა-უფალნი კაცნი მტკიცე იყვნეს ერთგულობასა ზედა ბაგრატისასა“<sup>1</sup>.

გარკვეული წინააღმდეგობების შემდეგ, სულა კალმახელმა და მესხმა დიდებულებმა 1057<sup>2</sup> წელს ლიპარიტი და მისი ძე ივანე შეიპყრეს და ბაგრატ IV-ს მიჰვარეს, ხოლო მეორე ვაჟმა ნიანიამ გაასწრო. ლიპარიტმა შვილი ბაგრატს შეაგედრა, თვითონ ბერად აღიკვეცა<sup>3</sup> და საბერძნეთ-

---

<sup>1</sup> ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 298.

<sup>2</sup> თედო ჟორდანიას ლიპარიტისა და ივანეს დატყვევებას ბაგრატის მიერ 1055 წლით ათარიღებს (იხ: *ქრონიკები, I, გვ. 200*), რადგან საქართველოდან გადახვეწილი ნიანია გარდაიცვალა ანისში 1055 წლის ახლო ხანებში (*ქართლის ცხოვრება I, გვ. 228*).

<sup>3</sup> ლიპარიტ ლიპარიტის ძე ბერად აღიკვეცა ანტონის სახელით და ეხმარებოდა ათონის ივერთა მონასტერს. მას, მონასტრის წინამძღვრის თეოდორესათვის, ღვთისმშობლის ეკლესიის აღორძინების მიზნით, 100 დრაჰკანი შეუწირავს, ხოლო 56 დრაჰკანი - მონასტრის ძმობისათვის, რის გამოც მონასტრის სააღაპე წიგნში შეუტანიათ. იგი გარდაიცვალა 1064 წელს კონსტანტინეპოლში, გადმოასვენეს და დაკრძალეს ბაღვაშების

ში წავიდა. მცირე ხნის გასვლისას, მასთან ჩავიდა ივანეც<sup>1</sup>.

ძლიერი ოპოზიციის დამარცხებით ისარგებლა ბაგრატ IV-მ და XI საუკუნის 60-იან წლებში ატენის ციხის თავის – გორგანელ (გურგანელ) თარხონის ძისა და მირიან ერისთავის მეთაურობით, ატენში ფართო სამშენებლო სამუშაოები წამოიწყო.<sup>2</sup> ამ მშენებლობის მასშტაბები ატენის სიონის ტაძრის სამხრეთ ფასადზე მოთავსებულ 13 სტრიქონიან წარწერაში აისახა:

*„1. ქ. სახელითა ღ“თისათა, მე გ“რგ“ნღმნ მირიანის ყმამან, 2. თარხონის ძისამან, ატენის ციხის თავმან, ავაგენ ატენს სახლნი 3. და ქოლბავი მას ჟამსა ოდეს, აღიდენ ღ“ნ ძლიერმან მეფეთ მეფემან 4. ბაგრატ უბრძანეს მიწასა მათსა მირიანს, პატრონსა ჩემსა 5. სეფესა ზოჯარსა შინა ქალაქისა შენებაჲ. ვაჟმარჯოვა ღ“ნ 6. და ბედმან მეფეთ მეფობისა მათისამან; ვითა სწადდა მეფობას მათსა, ვერე 7. ავაშენეთ დარბაზი და ქალაქი. შეგვიწყალა მეფობისამან მათმან, სასახლენი ადგილნი და საქულებავენი 8. მკვდრად ნებიერობით გვბოძნა მირიანს და ყმათა მისთა, რომელთაცა შენებაჲ 9. შეეძლო, მე ავაგე სახლი და ქოლბავი და შევსწირე წ“ასა სიონსა ატე 10. ნისასა საყოფელსა წ“ისა ღ“თისმშობლისასა სალოცველად ჰკიანმცა უკუნისამდე ძლიერო მე 11. ფეთა მეფჳ ბაგრატ სეგასტოსი*

---

სავარაუდო საძვალეში კაცხის მონასტერში. რაც შეეხება ივანე ლიპარიტის ძეს, ისიც იხსენიება ათონის ივერთა მონასტრის აღაპებში. მას მონასტრისათვის ორი ცხენი „ტაიჭნი კარგნი“ შეუწირავს. გარდაიცვალა, მამის მსგავსად, საბერძნეთში „ექსორიაში“ მყოფი (ელენე მეტრეველი. *ათონის ქართველთა მონასტრის აღაპე წიგნი, თბ., 1998, ტაბულა 34, 55, გვ. 142-143, 211-212*).

<sup>1</sup> ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი, ტ. II, გვ. 150

<sup>2</sup> მიჩნეულია, რომ ვერეს ეკლესიასა და ატენის სიონის სამხრეთის ფასადის ქალაქმშენებლობის წარწერაში დასახელებული მირიან თარხუნის ძე და ატენის ციხისთავი გურგანელი ერთიდაიგივე პიროვნებაა. (იხ: ელენე კავლეელიშვილი. *დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილი და ვერეს ღმრთისმშობლის სახელობის ეკლესიის წარწერები, გვ. 66-67*).



და ძე მათი გიორგი კუტი და სალოცველად სულისა მირიან მიწისა მათისა 12. გამზრდელისა პატრონისა ჩემისათუნ დავსდევ დღე თევდორობად აღა 13. პად, გარდაიხდიდეს მამასახლისი წინამძღუარი სიონისად ვინცა იყოს»<sup>1</sup>.

გარდა ზემოხსენებული წარწერისა, ამ პერიოდში ადგილობრივ ქალაქმშენებლობის ფართო მასშტაბებზე მიუთითებს ატენის სიონის არაერთი სხვა წარწერა, სადაც გიორგისა და დამიანეს მიერ „ზღუდის შექმნაზე“, ატენის სარქალის მიერ „ზღუდეების ქმნაზე“, ბაგრატის მიერ „კალაპოტის შექმნაზე“<sup>2</sup> და სხვა სამუშაოებზეა საუბარი.

ბაგრატ IV-ის ატენზე ზრუნვა სათანადოდ აისახა ატენის სიონის ფრესკულ მხატვრობაშიც, სადაც მას ქტიტორთა შორის გამორჩეული ადგილი უკავია<sup>3</sup>.

ბუნებრივია, მამის მიერ ატენში სამშენებლო სამუშაოების ასეთი მასშტაბებით წარმოებისას, გიორგი II პასიურ მდგომარეობაში ვერ დარჩებოდა. მიუხედავად იმისა, რომ მისი მეფობის დროს ქვეყანას „დიდი თურქობის“ სახით საშინელი განსაცდელი მოევლინა, უნდა ვიფიქროთ, რომ მეფე მაინც ახერხებდა ატენში გარკვეული სამუშაოების შესრულებას. მართლაც, მეცნიერთა ნაწილი მიიჩნევს, რომ სწორედ გიორგი II ნოველისიმოსის დროს მოიხატა ტაძარი 1080 წელს<sup>4</sup>. თეიმურაზ ბარნაველი ტაძრის მხატვრობას ათარიღებს მის დასავლეთ აბსიდში, სამხრეთ ფრთაზე, იატაკიდან, დაახლ. 2 მეტრის სიმაღლეზე არსებული დაზიანებული წარწერის საფუძველზე<sup>5</sup>.

---

<sup>1</sup> ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი, ახსნილი და გამოცემული თ. ჟორდანიას მიერ, წიგნი I, ტფ., 1892, გვ. 206

<sup>2</sup> ლაპიდარული წარწერები I, გვ. 205-208

<sup>3</sup> ატენის სიონის მოხატულობა, ვ. ხეთაგურისა და ვ. პაპლინსკის რედ., თბ., 1984, ტაბულა 144, 146.

<sup>4</sup> რენე შმერლინგი. ატენის სიონის კედლის მხატვრობის დათარიღების საკითხისათვის, გვ. 267; თ. ბარნაველი. ატენის სიონის მხატვრობის თარიღის შესახებ, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, XVIII, № 3, თბ., 1956, გვ. 201.

<sup>5</sup> თ. ბარნაველი წარწერას შემდეგნაირად კითხულობს: „1. [ქ. ყოვლ]ად წმიდაო დედ[ოფალო] 2.[ღმრ]თის მშობელო, მარადის

თუმცა, გ. აბრამიშვილმა ინფრაწითელი სხივებით დაკვირვებისა და ფოტოფიქსაციის საფუძველზე გამოიკვლია, რომ წარწერაში მოხსენიებულია, არა მეფეთამეფე გიორგი ნოველისიმოსი, არამედ გრიგოლ ლიპარიტ თორელის ძე, რომლის ქტიტორობით შეუკეთებიათ და ნაწილობრივ გაუცხოველებიათ დასავლეთის აბსიდის მოხატულობის ცალკეული მონაკვეთები<sup>1</sup>. მართლაც საეჭვოა, საქართველოსათვის უმძიმეს 1080 წელს ატენის სიონის მოხატვა დაეწყოთ, მაგრამ მეფეთა რიგში გიორგი II-ის გამოსახვა, ატენის სიონის წინაშე მის გარკვეულ დამსახურებაზე უნდა მიუთითებდეს.

თანამედროვე ეტაპზე, ქართულ ისტორიოგრაფიაში გაზიარებულია ვარაუდი, რომ სიონის მოხატულობა შესრულებულია XI ს. 90-იან წლების შუახანებში, ხოლო ქტიტორობა რიგში ჭაბუკის პორტრეტი გაიგივებულია, არა გიორგი II-სთან, არამედ მის ვაჟთან - დავით IV აღმაშენებელთან<sup>2</sup>. გ. აბრამიშვილის მოსაზრებით, ატენის სიონი 1094-1096 წლებში უნდა მოეხატათ<sup>3</sup>.

მართლაც, ატენმა კიდევ უფრო დიდი ფუნქცია შეიძინა დავით IV აღმაშენებლის დროს. 1094 წელს მეფემ საბოლოოდ მოუღო ბოლო ბაღვაშთა ბატონობას კლდეკარსა

[ქალ] 3. წულო მარიამ ..... 4. ადიდე მეფობა დვთივ დამყარე] 5. ბულისა მეფეთ მეფისა] 6. გიორგისა ნოველ[ისიმოსისა] 7. რომლისა მიერ მოხატა წმიდაჲ [საყდარი] [ესე] 8. [ქორონიკონსა ტ-სა წელ[სა] მეფობისა] 9. [მათისა] ..... (თ. ბარნაველი. ატენის სიონის მხატვრობის თარიღის შესახებ, გვ. 282). იგივე წარწერა გურამ აბრამიშვილის წაკითხვით: „1. [ქ. ყოვლა]დ წ[მიდა]ო დედ[ოფალო] 2. [დმრ]თის მშ[ო]ბ[ე]ლო, მ[არა]დის 3. ქ[ალ]წ[ულ]ო მ[არ]ი[ამ] მ[ფა]რველ] 4. და მ[ეო]ხ [ე]ქმენ შე[ნი]სა 5. ლოცვ[ი]თა სვ[ი]ა[ნ] [ი]თ მყ[ოფელი]სა 6. გრ[იგ]ო[ლ]სა ლ[იპ]არ[იტ] თორ[ელ]ის [ძესა], 7. რ[ომლ]ისა მ[იერ] მოის[ტა] კველი 8. ესე დასავლეთისაჲ”. (გურამ აბრამიშვილი. ატენის სიონის საქტიტორო წარწერა, გვ. 34).

<sup>1</sup> გურამ აბრამიშვილი. ატენის სიონის საქტიტორო წარწერა, „ძეგლის მეგობარი“ თბ., 1969, № 19, გვ 32-37.

<sup>2</sup> ატენის სიონის მოხატულობა, გვ. 6.

<sup>3</sup> ფრესკული წარწერები I, ატენის სიონი, გვ. 31

და ატენში და ისინი სამეფო დომენად გამოაცხადა. აქვე განათავსა სამეფო საჭურჭლე, სადაც არა მარტო ადგილობრივ მოჭრილი, არამედ ევროპულ მიმოქცევაში არსებული მონეტები: დუკატი და ბოტინატიც ინახებოდა<sup>1</sup>. დიდი მეფე ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ იგი საკუთარი სისხლით მოგებულა და თავის მემკვიდრეს - დემეტრეს ანდერძს უტოვებს, ფასეულობიდან გამომდინარე, თუ ამ განძს შეეღიოს, დავითისათვის უახლოეს ადამიანს - მის მოძღვარს უბოძოს სრულად („ხოლო დუკატი და პოტინატი ატენისა საჭურჭლისა, იგიცა ჩემის სისხლითა მოგებული, თუ ელეოდეს მეფე დიმიტრი, ყოველი მისცეს მოძღუარსა ჩემსა“)<sup>2</sup>.

---

<sup>1</sup> ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა. შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი **თედო ყორღანიას** მიერ. წიგნი II (1213 წლიდან 1700 წლებამდე). თბ., 2018, გვ. 52; ქართლის ცხოვრების ტოპოარქეოლოგიური ლექსიკონი, გელა გამყრელიძის რედ., თბ., 2013, გვ. 63.

<sup>2</sup> ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, საერო საკანონმდებლო ძეგლები X–XIX სს.), *ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო იხილორე დოლიძემ*. თბ., 1965, გვ. 20, დოკ. 8). ცნობილია, რომ „ბოტინატი« ბიზანტიის იმპერატორ ნიკიფორე III ბოტანიატის (1078-1081 წწ.) დროიდან იჭრებოდა ბიზანტიაში და საქართველოში გადახდის ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენდა, ხოლო ოქროს დუკატი პირველად კონსტანტინე X-სა (1059-1067) და მიხეილ VII დუკას (1071-1078) მიერ იქნა მოჭრილი (*იხ: რევაზ ქებულაძე. საქართველოში ვენეციური ოქროს დუკატების მიმოქცევის საკითხისათვის (XI-XIX სს) საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, თბ., 1965, № 4, გვ. 86-87*). არ გამოერიცხავთ, რომ ორივე ევროპული მონეტა დავითის მამიდის მართა-მარიამის დროს გაჩენილიყო საქართველოში, რადგან იგი ორგზის იყო ბიზანტიის დედოფალი (მიხეილ VII-ის და ნიკიფორე III-ის მეუღლე) (*იხ: ანნა კომნენე, ვიორჯი კოლინე, იოანე სკილიცეს გამზრძელებელი, „გეორგიაკა« ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. VI, ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა, თბ., 1966, გვ. 64-71, 156, 163-165*). ატენის სიონის ფრესკულ წარწერებში ქტიტორთა რიგში გამოსახულ სუმბატ აშოტის ძის შესაწირავში დასახელებუ-

სამეფო საჭურჭლის ატენში განთავსება, მის დიდსა და სტრატეგიულ მნიშვნელობაზე უნდა მიუთითებდეს. დავით აღმაშენებლის ატენისადმი ინტერესსა და ღვაწლს უნდა ნიშნავდეს დიდი მეფის ატენის სიონის ფრესკებს შორის საპატიო ადგილას ქტიტორთა რიგში მისი გამო-სახვაც<sup>1</sup>.

სად უნდა ყოფილიყო ატენში მეფის საჭურჭლე? ამასთან დაკავშირებით, შოთა მესხია წერს: „ატენის სიონის წარწერიდან კარგად ჩანს, რომ ქალაქის ნაგებობების შენებასთან ერთად, იწყება მეფის დარბაზის შენებაც, რაც, რა თქმა უნდა, საგანგებო ციხეში უნდა ყოფილიყო ...ატენის ციხეში, მის დარბაზში, რომელიც ქალაქისაგან იყოფოდა და რომელიც ქალაქთან ერთად წარმოიშვა, იყო მეფის (ქალაქის მფლობელის) საჭურჭლეც“<sup>2</sup>.

ივანე ჯავახიშვილიც მიიჩნევს, რომ მეფის დარბაზი ქალაქისაგან გამოყოფილ ნაგებობას წარმოადგენდა, თუმ-

---

ლია ბოტანიტიც. სუმბატ აშოტის ძე ბაგრატიონთა რიგის წარმომადგენელი და ატენის ქვეყნის ძირძველი მემკვიდრეა, რომელსაც დავით IV-ის ზეობაში დაუბრუნებია თავისი სამემკვიდრეო დომენი, ხოლო მისი გამოსახვა ატენის სიონში 1094-1096 წლებით თარიღდება (*ფრესკული წარწერები I, ატენის სიონი, გვ. 31*) დასაშვებია, რომ მონეტები დავით აღმაშენებელს მოეჭრა ადგილობრივ ზარაფხანაში. როგორც ცნობილია, იგი თავად ჭრიდა ქართულ-ბიზანტიური ვერცხლის მონეტებს (*იხ: ირაკლი ფაღავა. შუასაუკუნოვან საქართველოში ნუმიზმატიკური ევოლუციის ანალიზი (VIII-XIII სს.), სადისერტაციო ნაშრომი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 2015, გვ. 173*), თუმცა, ანდერძში დავით IV გარკვევით მიუთითებს „ღუკატი და პონინატი ატენისა საჭურჭლისა, იგიცა ჩემის სისხლითა მოგებულნი“, ანუ, ამ საქმეში სხვის მონაწილეობას გამორიცხავს. ზემონათქვამიდან გამომდინარე, ღუკატისა და პონინატის არსებობა დავით აღმაშენებლის დროინდელ საქართველოში ეჭვს არ უნდა იწვევდეს.

<sup>1</sup> ფრესკული წარწერები I, ატენის სიონი, გვ. 29.

<sup>2</sup> შოთა მესხია, საქართველოს ქალაქები XI-XIII საუკუნეებში, „საისტორიო ძიებანი“, ტ. II, თბ., 1983, გვ. 123.

ცა, ერთიდაიგივე ადგილას მდებარეობდა: „ისე გამოდის, თითქო ამ წარწერაში ქალაქი მოზღუდვილი ადგილის მნიშვნელობითაა ნახმარი და დარბაზი თუმცა ქალაქის მშენებლობასთანაა დაკავშირებული, მაგრამ მაინც მოზღუდულ ადგილის გარეშე ნაგებობად იყო ნაგულისხმევი“<sup>1</sup>.

მართლაც, ატენის ციხისთავის გორგანელ თარხონის ძის ზემოხსენებულ სამშენებლო წარწერაში მკვეთრად გამოიჯნულია, ერთი მხრივ, „სახლნი, ქულბაქნი“ და მეორე მხრივ - „დარბაზი და ქალაქი“. აქედან, ბაგრატ IV-ს გორგანელ ციხისთავისთვის „მკვიდრად“ უბოძებია „სასახლენი ადგილნი და საქულბაქენი“, ხოლო „დარბაზი“ მეფის პრეროგატივად რჩება. იმდროინდელი პირობებისა და ვითარებიდან გამომდინარე, „დარბაზი“ ციხის გარეთ, ან ციხისგან შორს ვერ იქნებოდა.

თუ გავითვალისწინებთ, რომ სამეფო საჭურჭლე სპეციფიკურ ადგილს წარმოადგენდა და განსაკუთრებულ დაცვას საჭიროებდა, იგი ატენის ციხისა და ამჟამინდელი დედათა მონასტერის ტერიტორიაზე უნდა მოვიაზროთ.

არ გამოვრიცხავთ იმასაც, რომ ციხესა და ქალაქს ერთმანეთთან საიდუმლო (მიწისქვეშა) კავშირიც ჰქონოდა. ციხე დღესაც ზედ გადმოსცქერის ქალაქს (რატი ბაღვაშის მიერ აგებულ ეკლესიას და ორბელიანების სასახლეს (ამჟამინდელი ატენის დედათა მონასტერი), ხოლო მათ შორისაა ვახუშტი ბატონიშვილის მიერ ზემოთ მითითებული „საცივი, ვითარცა მყინვარი“, რომელიც, უდავოდ, პროდუქტისა და სასმელის მარაგის საცავი უნდა ყოფილიყო.

ატენში მოსახლეობა XI ს. 60-იან წლებამდეც იყო, მაგრამ, ბაგრატ IV-ს იგი ქალაქად უქცევია. როგორც ითქვა, მეფეს ქალაქის მშენებლობისათვის „სეფე ზვარი“ ანუ, სამეფო ზვარის ტერიტორიაც კი დაუთმია.

რამ განაპირობა ბაგრატ IV-სა და დავით IV-ის მეფობის პერიოდში ატენის ეგზომი დაწინაურება?

---

<sup>1</sup> ივ. ჯავახიშვილი. მშენებლობის ისტორია ძველს საქართველოში, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, ნ. ბერძენიშვილის რედ., ტ. I, თბ., 1949, გვ. 34.

საქმე იმაშია, რომ ქვემო ქართლისა და თრიალეთის ერთიან სახელმწიფო სივრცეში შემოსვლამ მნიშვნელოვნად გაზარდა შიდა ქართლიდან ქვემო ქართლსა და სომხით-სომხეთში გადასასვლელი გზების მნიშვნელობა, ამ ხეობის ჩამკეცისა და გამაკონტროლებლის ფუნქცია, კლდეკარის დასუსტების კვალობაზე სწორედ ატენმა შეიძინა. თავის მხრივ, ამან დაასუსტა უფლისციხისა და კასპის მნიშვნელობა, რომლებიც წამყვან ქალაქებს წარმოადგენდნენ ანტიკურსა და ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების პერიოდის ქართლში<sup>1</sup>.

ატენის დაწინაურებამ თავისთავად დააჩქარა გორის ქალაქად ქცევის პროცესიც, რომელიც აკონტროლებდა სამხრეთ-ჩრდილოეთისა (მდ. ტანა - ლიახვის) და დასავლეთ-აღმოსავლეთის (მდ. მტკვრის ხეობა) გზების გასაყარს და რაც დავით IV აღმაშენებელმა განახორციელა<sup>2</sup>.

რელიეფის გამო (ტანას ვიწრო და კლდოვანი ხეობა), ატენი ვრცელ ტერიტორიაზე ვერ იქნებოდა განფენილი, ამიტომ იგი მცირე ქალაქი უნდა ყოფილიყო.

ქალაქის მშენებლობისათვის, პირველ რიგში, ალბათ მთავარი რელიგიური ცენტრის - ატენის სიონის მიმდებარე ტერიტორია უნდა განვიხილოთ, მაგრამ ამ ადგილას ტანას ხეობა კიდევ უფრო ვიწროვდება და, თუნდაც მცირე ქალაქისათვის (სასახლე, დარბაზი, ქულბაქები და ა. შ.) მოუხერხებელია.

ლევან ჭილაშვილი თვლის, რომ ატენი სიონის სამხრეთით, ხეობის ორივე ნაპირზე იყო გაშენებული, „სიონი ალბათ ქალაქის ზედა ნაწილი იყო. ქალაქი ვრცელდებოდა მდ. ტანასა და მის მარჯვენა პატარა შენაკადის შეერთებამდე, სადაც ორი უძველესი ნამოსახლარია შემორჩენილი, ზედა ზღვარი ქალაქისა სიონის ცოტა ზევით, სადაც მდ. ტანას მარჯვნიდან პატარა წყალი ერთვის“<sup>3</sup>.

---

<sup>1</sup> დავით მინდორაშვილი. უფლისციხე შუა საუკუნეებში, გვ. 11.

<sup>2</sup> ელდარ მამისთვალიშვილი. გორის ისტორია, I, (მეორე გადა-მუშავებული და შევსებული გამოცემა), თბ., 2018, გვ. 27-28.

<sup>3</sup> ლევან ჭილაშვილი. ქალაქები ფეოდალურ საქართველოში, ტ. II, გვ. 102.

ჩვენი აზრით, ატენის სიონი, პირიქით, ქალაქის ქვედა ზღვარი უნდა ყოფილიყო, ხოლო უშუალოდ ქალაქი, ატენის ციხისა და ამჟამინდელი დედათა მონასტრის ტერიტორიაზე, რომელიც, ატენის სიონის ჩრდილოეთით (დაახლ. 500-600 მ.) მდებარეობს და საიდანაც კარგად ჩანს სიონი (იხ: დანართი ფოტოები).

ჯერ ერთი, ნაკლებად სავარაუდოა, ბაგრატ IV-ს ქალაქი სიონის სამხრეთით გაეშენებინა, ხოლო ციხე - მის ჩრდილოეთით დარჩენილიყო. შუა საუკუნეების ქალაქი ციხისა და ზღუდის გარეშე, თითქმის გამორიცხებულია, რადგან, რაც უფრო მაგარი იყო ციხე, მით უფრო ძლიერი იყო ქალაქი<sup>1</sup>.

მეორე - ატენის ციხე შედარებით ძველია (X ს.)<sup>2</sup>, ვიდრე ატენის „ქალაქი“, ანუ, ციხის არსებობამ განაპირობა ქალაქის მდებარეობა და არა პირიქით;

მესამე - სიონის სამხრეთით, ახლო მანძილზე, მაღალი და კლდოვანი რელიეფის გამო, ხილვადობა მეტად შეზღუდული და ქალაქის მშენებლობისათვის მოუხერხებელია. წარწერაში გარკვევითაა ნათქვამი, რომ გორგანელ ციხისთავმა ქალაქი „სეფესა ზოვარსა შინა“ ააშენა, სამეფო ზვარი შედარებით სწორ და გაშლილ ნიადაგზე უნდა ყოფილიყო გაშენებული, რომლის ირიგაციაც შესაძლებელი იქნებოდა, ანუ, მდ. ტანას სიახლოვეს.

დაბოლოს, დღემდე შემორჩენილი ინფრასტრუქტურაც (ციხე, გალავანი და ეკლესია, ორბელთა სასახლე, მათ შორის - „ცივის“ მარანი პროდუქტისა და სასმლის შესანახად, შედარებით გაშლილი ხეობა და სხვ.) ცხადყოფს, რომ ქალაქი ატენის (ორბელთა) ციხის აღმოსავლეთით და სამხრეთით უნდა ყოფილიყო და არა სხვაგან.

როგორც ბაგრატ IV-ის ზემოთ მოტანილი წარწერაც გვამცნობს, მეფის დავალებით, სასახლისა და დარბაზის გარდა, მშენებლებს ქულბაქებიც აუგიათ. ცნობილია, რომ

---

<sup>1</sup> ანდრია ავაქიძე. ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში, I, თბ., 1963, გვ. 6.

<sup>2</sup> პარმენ ზაქარაია. საქართველოს ძველი ციხესიმაგრეები, თბ., 1988, გვ. 65-66.

ქულბაქები სავაჭრო ადგილს (დუქანს) წარმოადგენდა. როგორც ივ. ჯავახიშვილი მიანიშნებს: „ასეთი ადგილები მეფეს იმათთვის დაურიგებია, რომელთაც აშენება შეეძლოთ“<sup>1</sup>, ანუ, ეკონომიკურად შეძლებული მოსახლეობისათვის. ისიც ნიშანდობლივია, რომ წარწერაში ქულბაქები მრავლობით რიცხვშია ნახმარი. თუ რა დანიშნულების იყო ეს ნაგებობა, გარკვეულ წარმოდგენას გვაძლევს XVIII ს. ქართველი მოღვაწე და მოგზაური ტიმოთე გაბაშვილი. მისი ცნობით, ათონის ივერთა მონასტერში „იქნენ ქულბაქნი მკერვალისა, ჭონისა, მაზმნისა, გალატოზისა და ხუროსი“<sup>2</sup>. როგორც ვხედავთ, „გალატოზ-ხურონი“ აქაც გამორჩეულად ფიგურირებს.

ივ. ჯავახიშვილისავე განმარტებით: „საქალაქო სახლების აგება სოფლის სახლებისაგან განსხვავებული უნდა ყოფილიყო“<sup>3</sup>. „განსხვავებული სახლების“ აგებაც, მხოლოდ ეკონომიკურად ძლიერ მოსახლეობას შეეძლო. სხვა ქალაქების მსგავსად, ატენში აუცილებლად იქნებოდნენ ქვითხურონი, კირითხურონი, მეთუნენი, ზარაფხანის ოსტატები და სხვ.

ცხადია, ატენის ქალაქი გალავნით იქნებოდა შემოზღუდული. გარკვეული ნაგებობანი (მეფის სასახლე, საჭურჭლე, დარბაზი) ალბათ ციხის შიგნით დარჩებოდა, დიდებულითა სახლები, საკულტო ნაგებობები და სხვ., - გალავანს შიგნით, ხოლო ზოგიერთი (ქულბაქები, სახელოსნოები, სამეურნეო ნაგებობები და სხვ.) შეიძლებოდა, როგორც გალავანს შიგნით, ასევე მის გარეთ, მაგრამ, აუცილებლად გზის სიახლოვეს. აქვე უნდა ყოფილიყო ქალაქის კარიბჭე, რადგან ქალაქის კარიბჭეები ძველ ქალაქებში წარ-

---

<sup>1</sup> ივ. ჯავახიშვილი. მშენებლობის ისტორია ძველს საქართველოში, გვ. 35.

<sup>2</sup> მოხილვა წმინდათა და სხუთა აღმოსავლეთისა ადგილთა ტიმოთესაგან ქართლისა მთავარ-ეპისკოპოსისა, ტფ., 1852, გვ. 43-44.

<sup>3</sup> ივ. ჯავახიშვილი. მშენებლობის ისტორია ძველს საქართველოში, გვ. 35.



მოადგენდნენ ისეთ ადგილებს, სადაც სავაჭრო ოპერაციები წარმოებდა<sup>1</sup>.

როგორც ითქვა, ამჟამინდელი ატენის დედათა მონასტერი, საუკუნეების განმავლობაში ორბელიანების სასახლეს წარმოადგენდა. ორბელიანები კი ქვემო ქართლელი დიდებულები იყვნენ. მეტიც, ქართულ და სომხურ ისტორიოგრაფიაში გაზიარებულია თვალსაზრისი, რომ ორბელები ბაღვაშთა განაყრებს წარმოადგენენ<sup>2</sup>. XII საუკუნიდან ორბელების საგვარეულო საძვალე უკვე ბეთანია<sup>3</sup>. როგორც ზემოთ ითქვა, თოდოსაკის კირით-ხურონიც ქვემო ქართლიდან (სომხითიდან) იყვნენ არ გამოვრიცხავთ, რომ „ატენის ქალაქის“ ფუძემდებელი მირიანი, ორბელთა საგვარეულოს წარმომადგენელი, ატენში ყმებიანად გადმოსახლებულიყო, რომელთა რიცხვში სომხებიც ერივნენ. ბაგრატ IV-ს, ატენის სიონის რესტავრაციისა და ქალაქის მშენებლობის საფასურად, მათთვის „სასახლენი ადგილნი და საქულბაქენი“ შეეთავაზებინა კუთვნილ „სამეფო ზვარში“.

ბაღვაშ-ორბელებს შორის კიდევ იყო განსხვავება: მართალია ბაღვაშები ერისთავები იყვნენ, აქედან გამომდინარე, მათი მიწა სახელმწიფო საკუთრებად ითვლებოდა და მხოლოდ მისი დროებითი განმკარგავები იყვნენ, მაგრამ ატენის ხეობასა და კლდეკარში მათ მიწები ბაგრატის წინაპრებიდან მიიღეს „საპატრონემოდ“ დაახლ. 100 წლის წინათ და თანდათანობით მკვიდრ მამულად აქციეს, ორბელები კი ატენს უშუალოდ ბაგრატ მეფისაგან იღებდნენ წყალობის სახით, ანუ პირობით მიწისმფლობელებად და „მოსაკარგავედ“ გამოდიოდნენ, რაც ერთგული სამსახურის საფუძველზე დამყარებული სამართლებრივი ურთიერთობა

---

<sup>1</sup> ანდრია აფაქიძე. ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში, I, გვ. 40.

<sup>2</sup> მიხეილ ბახტაძე. ბაღვაშთა და ორბელთა ნათესაობის შესახებ, საისტორიო კრებული (წელიწდეული), ტ. II, თბ., 2012, გვ. 13-25

<sup>3</sup> ვალერი სილოგავა. ბეთანიის წარწერები, „მაცნე“, 1993, № 1, გვ. 91-150.

იყო<sup>1</sup>. ამით მეფე ორ საქმეს აკეთებდა, ბაღვაშების ძლიერ და ოპოზიციურ ძალას ასუსტებდა, მათ მაგიერ ნათესავ ორბელებს იერთგულებდა და ვაჭრობის აღორძინების საქმესაც ხელს უწყობდა ატენის სტრატეგიულ ხეობაში.

ქართველ მეფეთა ეკონომიკური ინტერესი სომხების საქართველოში გადმოსახლებისას, შემდგომშიც არაერთხელ დაფიქსირებულა. მაგ., მოგვიანებით, იგივე გააკეთა გორის ქალაქად ქცევისას დაეით IV აღმაშენებელმა.

ვახუშტი ბატონიშვილიც განმარტავს, რომ ატენი მცირე ქალაქია, სადაც „სახლობენ ქართველნი, სომეხნი და ურიანი“<sup>2</sup>.

სომეხი და ებრაელი მოსახლეობის კვალი ატენის ხეობის ტოპონიმებსა და ოიკონიმებშიც (სოფ. ურიული, გვარი ურიადმყოფელი, „გოგოზაანთ ველი“, „აბრუშქას ნავენახარი“ „ხამათაანთ წყალი“, „საკოს ფლატე“<sup>3</sup> და სხვ.) აისახა, თუმცა, „ლეკიანობის“ მიზეზით, მოგვიანებით (XVIII ს. ბოლო - XIX ს. დასაწყისი), ადგილობრივ ქართველ მოსახლეობასთან ერთად, მათი შიდა მიგრაცია განხორციელდა ახლომდებარე სოფლებსა და დასახლებულ პუნქტებში (იხ: ქვემოთ).

გარდა პოლიტიკურ-ეკონომიკურისა, X-XII საუკუნეებში ატენი ქვეყნის კულტურის ერთ-ერთ მძლავრ და მნიშვნელოვან ცენტრდაც იქცა. აქ იმართებოდა მწიგნობართა, მეცნიერთა და მგოსანთა თაყვრილობები, მსჯელობები, პაექრობები და სხვ., რომელთა დამადასტურებელი წარწერები ატენის სიონმა მრავლად შემოგვინახა<sup>4</sup>.

---

<sup>1</sup> მარიამ ლორთქიფანიძე. მიწისმფლობელობის ფორმების საკითხი-სათვის X-XI სს. საქართველოში, მსკი, ნაკვ. 34, 1962, გვ. 9.

<sup>2</sup> ვახუშტი ბატონიშვილი, გვ. 343.

<sup>3</sup> ნინო ოქროპირიძე. გორის რაიონის ტოპონიმთა ლექსიკონი, გორი 2012, გვ. 273, 275, 285, 287

<sup>4</sup> მაგ., თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში გაზიარებულია თვალსაზრისი, რომ სწორედ ატენის სიონშია მხედრული დამწერლობის ერთ-ერთი პირველი ნიმუში და ქართული ანბანის რიგი ანიდან წმდღე, რომელიც არაუგვიანეს X საუკუნის მიწურულით თარიღდება (*ფრესკული წარწერები I, ატენის სიონი, გვ. 50-55*). იგივე შეიძლება ითქვას, ტაძრის ინტერიერში გამოვ-

ამრიგად, ატენი, სტრატეგიული მდებარეობისა გამო, მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის, ეკონომიკის, ვაჭრობისა და კულტურის თვალსაზრისით, გარკვეულ პერიოდში კი ერთ-ერთი ცენტრალური ადგილიც ეკავა. ვისაც ატენი ეკავა, იგი ფლობდა ქვემო ქართლიდან, სომხეთიდან და ირანიდან შიდა ქართლში ერთ-ერთ მთავარ გადმოსასვლელს, ამით იყო განპირობებული მეფეთა, ეკლესიისა და დიდებულების გაზრდილი ინტერესი მის მიმართ.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ატენის ქალაქიც დღევანდელი ციხის, ბაღვაშების ეკლესიის, დედათა მონასტრისა (ყოფილი ორბელიანების სასახლე) და სიონის ტაძრის მიმდებარე ტერიტორიაზე უნდა გაეშენებინათ.

---

ღენილი ერთ-ერთი პირველი ქართული ლექსის, წმინდა წერილიდან და ძველი აღთქმიდან მოტანილი არაერთი ციტატის შესახებაც (*ფრესკული წარწერები I, ატენის სიონი, გვ. 56-72*). თამარ მესხი საკვებით სწორად მიანიშნებს, რომ ბაღვაშები, რომლებიც მფარველობდნენ საზღვარგარეთის ქართულ საგანეებს: იერუსალიმის ჯვრის, სინას მონასტრებს და ალაპებსა თუ სულთა მატიანეებში იხსენიებიან, მათი დაკვეთით იწერებოდა იოანე ოქროპირის ხელნაწერები, მოიჭედა არაერთი ხატი, შეუძლებდნენ და არ გამორიცხავს, რომ იმდროინდელი ხელნაწერები და საეკლესიო სიწმინდეები (მათ შორის, მიქაელ, ივანე, რატი ლიპარიტ ბაღვაშების შეწირულობები), საქართველოს სამეფო კარის ინიციატივით, ბაღვაშებთან დაპირისპირების გამო, ატენის სიონიდან შედარებით დაცულ გელათის მონასტერში გადაეტანათ და დღეისათვის გელათის საგანძურის სახელით ვიცნობთ (*თამარ მესხი. ბერძნული ელემენტი ატენის ხეობის ტოპონიმიკაში და ატენის სიონი, გვ. 53-57*).

FOR THE LOKATION OF THE CITY OF ATENI

Ateni is located on a strategic road from ShidaKartli to KvemoKartli, Armenia and Meskhet-Javakheti. The road from ShidaKartli to KvemoKartli passed through Tana gorge, passing through KldekariSaeristavo. Numerous duties were levied here through Ateni road and these economic benefits aroused the interest of the royal court, the church, or other feudallords. In addition to its strategic location, fertile lands, vineyards, forests and pastures have attracted people since ancient times, so the traces of the first inhabitants in the Atenigorge can already be seen from the Middle Bronze-Late Bronze Age.

The Atenigorge was given special importance after the origin of the United Kingdom of Georgia, when Bagrat IV (1027-1072) started extensive city building work here (castle, palace, battlement, etc.) and David IV the builder established a royal treasury here.

The author of the article does not agree with the opinion expressed in Georgian historiography so far about the location of the city of Ateni and offers a new point of view based on the relevant arguments.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

- აბრამიშვილი გურამ. ატენის სიონის საქტიტორო წარწერა, „ძეგლის მეგობარი“ თბ., 1969, № 19.
- აბრამიშვილი გურამ. ატენის სიონის სამი გრაფიტი, „მნათობი“, 1984, № 9.
- ალიმბარაშვილი იოსებ (სოსო). დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილი (ცხოვრება და მოღვაწეობა), თბ., 2016.
- ანთელავა ილია. დავითისა და თამარის სახელმწიფო, თბ., 1991.

- ატენის სიონის მოხატულობა, გ. ხეთაგურისა და ვ. პაპ-  
ლინსკის რედ., თბ., 1984.
- აფაქიძე ანდრია. ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ  
საქართველოში, I, თბ., 1963
- ბარნაველი თ. ატენის სიონის მხატვრობის თარიღის შესა-  
ხებ, *საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მო-  
ამბე*, XVIII, № 3, თბ., 1956.
- ბარნაველი სარა. ატენის ახალი წარწერები, საქართველოს  
მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, VII, № 1-2, 1946.
- ბატონიშვილი ვახუშტი. „აღწერა სამეფოსა საქართველო-  
სა“, *ქართლის ცხოვრება*, ტ. IV, *ტექსტი დადგენილი  
ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვი-  
ლის მიერ*, თბ., 1973.
- ბახტაძე მიხეილ. ბაღვაშთა და ორბელთა ნათესაობის შე-  
სახებ, საისტორიო კრებული (წელიწდეული), ტ. II,  
თბ., 2012
- ბერძენიშვილი ნიკო. გზები რუსთაველის ეპოქის საქარ-  
თველოში, თბ., 1966.
- ბერძენიშვილი ნიკო. ფეოდალური ურთიერთობიდან XV  
საუკუნეში (დოკუმენტები კრიტიკული წერილით), *მა-  
სალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის*,  
*ნაკვ. I*, თბ., 1937.
- ბერძენიშვილი ნიკო. საქართველოს ისტორიის საკითხები,  
ტ. I, თბ., 1964.
- ბერძენიშვილი ნიკო. საქართველოს ისტორიის საკითხები,  
ტ. IX, თბ., 1979.
- გაგოშიძე გიორგი. ატენის სიონის აღდგენითი სამუშაო X  
საუკუნის მიწურულს (თოდოსაკი და მისი ამქარი),  
„საქართველოს სიძველენი, № 21, თბ., 2018
- „გეორგიკა“, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართვე-  
ლოს შესახებ, ტ. VI, *ტექსტები ქართული თარგმანი-  
თურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყა-  
უხჩიშვილმა*, თბ., 1966.
- გორგაძე ს.. საქართველოს ისტორია, ქუთაისი 1915.
- ინგოროყვა პავლე. ძველი ქართული მატთანე „მოქცევაი  
ქართლისაი» და ანტიკური ხანის იბერიის მეფეთა სია,  
„საქართველოს მუზეუმის მოამბე», ტ. XI-B, თბ., 1941

- იოანე დრასხანაკერტელი. სომხეთის ისტორია. *სომხური ტექსტი ქართული თარგმანით, გამოკვლევითა და საძიებლებით გამოსცა ე. ცაგარეიშვილმა*. თბ., 1965.
- გვასალია ჯონდო. აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ნარკვევები (შიდა ქართლი), თბ., 1983
- კავლელიშვილი ელენე. დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილი და ვერეს ღმრთისმშობლის სახელობის ეკლესიის წარწერები, *გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრის შრომათა კრებული № 13*; თბ., 2016.
- ლაპიდარული წარწერები I, *(აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველო, V-X სს.)*, შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ნ. შოშიაშვილმა, თბ., 1980
- ლორთქიფანიძე მარიამ. მიწისმფლობელობის ფორმების საკითხისათვის X-XI სს. საქართველოში, მსკი, ნაკვ. 34, 1962.
- მაკალათია სერგი, ატენის ხეობა, თბ., 1957.
- მამისთვალიშვილი ელდარ. გორის ისტორია, I, (მეორე გადამუშავებული და შევსებული გამოცემა), თბ., 2018
- მესხი თამარ. ბერძნული ელემენტი ატენის ხეობის ტოპონიმიკაში და ატენის სიონი, თბ., 2010.
- მესხია შოთა. საქართველოს ქალაქები XI-XIII საუკუნეებში, „საისტორიო ძიებანი», ტ. II, თბ., 1983.
- მეტრეველი ელენე. ათონის ქართველთა მონასტრის ააღაპე წიგნი, თბ., 1998.
- მინდორაშვილი დავით. უფლისციხე შუა საუკუნეებში, თბ., 2008.
- მოხულუა წმინდათა და სხუათა აღმოსავლეთისა ადგილთა ტიმოთესაგან ქართლისა მთავარ-ეპისკოპოსისა, ტფ., 1852.
- მუსხელიშვილი დავით. „მთა ქართლის“ ისტორიულ-გეოგრაფიული შესწავლისათვის, კრებულში: დავით მუსხელიშვილი, სამეცნიერო სტატიები, წერილები და პუბლიცისტიკა, თბ., 2014.
- მუსხელიშვილი დავით. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, ტ. II, თბ., 1980.
- ოქროპირიძე ნინო. გორის რაიონის ტოპონიმთა ლექსიკონი, გორი 2012.

- პავლიაშვილი ეთერ. ატენი წერილობითი წყაროების მიხედვით, ნაშრომი შესრულებული ისტორიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 2019.
- საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, თბ., 1970
- საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, ტ. V, თბ., 1990.
- სილოგავა ვალერი. ბეთანიის წარწერები, „მაცნე“, 1993, № 1, გვ. 91-150
- ფალავა ირაკლი. შუასაუკუნოვან საქართველოში ნუმიზმატიკური ევოლუციის ანალიზი (VIII-XIII სს.), *ხადისერთაციო ნაშრომი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 2015.*
- ფრესკული წარწერები I, ატენის სიონი, *გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და საძიებლები დაურთეს გურამ აბრამიშვილმა და ზაზა ალექსიძემ, თბ., 1989.*
- ქართლის ცხოვრება, I, *ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1955.*
- ქართლის ცხოვრების ტოპოარქეოლოგიური ლექსიკონი, გელა გამყრელიძის რედ., თბ., 2002.
- ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, საერო საკანონმდებლო ძეგლები X–XIX სს.), *ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ისიდორე დოლიძემ, თბ., 1965.*
- ქებულაძე რევაზ. საქართველოში ვენეციური ოქროს დუკატების მიმოქცევის საკითხისათვის (XI-XIX სს), *საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, თბ., 1965, № 4.*
- ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი, ახსნილი და გამოცემული თ. ჟორდანიას მიერ, წიგნი I, ტფ., 1892.
- ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა. შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თედო ჟორდანიას მიერ. წიგნი II (1213 წლიდან 1700 წლებამდე). თბ., 1897.

- შპერლინგი რენე. ატენის სიონის კედლის მხატვრობის და-  
თარიღების საკითხისათვის. *საქართველოს სსრ მეცნი-  
ერებათა აკადემიის მოამბე*, ტ. VIII, № 4, თბ., 1947.
- ჭილაშვილი ლევან. ქალაქები ფეოდალურ საქართველოში,  
ტ. II, თბ., 1970.
- ჯავახიშვილი ივანე. მშენებლობის ხელოვნება ძველს სა-  
ქართველოში, მასალები ქართველი ერის მატერიალუ-  
რი კულტურის ისტორიისათვის, ნ. ბერძენიშვილის  
რედ., ტ. I, თბ., 1949.
- ჯავახიშვილი ივანე. „თხზულებანი», ტ. II, თბ., 1983.
- ჯავახიშვილი ივანე, საქართველოს ეკონომიკური ისტო-  
რია, წიგნი II, „თხზულებანი”, ტ. V, თბ., 1986.
- ჯავახიშვილი ივ., „ცხორებად და წამებად კონსტანტინე-კა-  
ხაისი”, „თხზულებანი”, ტ. VIII, თბ., 1977.
- ჯანაშია სიმონ. აღმოსავლეთ ქართული სახელმწიფოს უძ-  
ველესი კულტურულ-პოლიტიკური ხელისუფლების სა-  
კითხისათვის. ენიშკის მოამბე, XIII, თბ., 1942.
- Джавахов А. И., Городъ Гори. *Сборник материалов для описания  
местностей и племень Кавказа (СМОМПК)*, вып. II, Тифл.,  
1882.
- Христианские памятники графинии Уваровой, Материалы по  
археологии Кавказа, вып. IV, Москва 1894.
- Fr. Dubois de montpereux. *Yoyage autor du Caucaze, chez les Tcher-  
kesses et les Abkases, en Colchide, en Georgie en Armenie et en  
Crimee*, III, Paris, 1839-1843.
- M. Brosset, *Rapports sur un voyage archeologicue dans la Georgie et  
dans l' Armenie, exsecute en 1847-1848*, SPB 1849, VI.

## ელ. რესურსები

- <http://sciencejournals.ge/index.php/HAE>
- [http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=list&d=14&p=13&w1=  
%E1%83%A2](http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=list&d=14&p=13&w1=%E1%83%A2)
- <http://www.vehi.net/istoriya/armenia/geographiya/index.html>
- <http://www.pravenc.ru/text/76764.html>
- [http://geohistory.humanities.tsu.ge/images/SHROMEBI/SHROMEBI-  
7/006.%20Akaki%20Chikobava.pdf](http://geohistory.humanities.tsu.ge/images/SHROMEBI/SHROMEBI-7/006.%20Akaki%20Chikobava.pdf)



## დანართი ფოტოები



რადი ბაღვაშის მიერ აგებული ეკლესია, ატენის დედათა მონასტერი  
და ატენის ციხე (თანამედროვე მდგომარეობა)



რატი ბაღვაშის მიერ აგებული ეკლესია და ორბელიანებისეული სასახლე. სიღრმეში - ატენის სიონი (თანამედროვე მდგომარეობა)

საქართველოს შეიარაღებული ძალების  
ჩამოყალიბება და ჯარების  
საორგანიზაციო-საბრძოლო სტრუქტურა 1918 წელს

1918 წლის 26 მაისს ამიერკავკასიაში შექმნილი რთული სამხედრო-პოლიტიკური ვითარების გამო სეიმის<sup>1</sup> უკანასკნელი სხდომა გაიმართა, რომელმაც ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკა დაშლილად გამოაცხადა. საქართველოს პოლიტიკური პარტიებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლობითმა ორგანომ - საქართველოს ეროვნულმა საბჭომ საქართველო დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოაცხადა. სწორედ მისმა თავმჯდომარემ, ნოე ჟორდანიამ წაიკითხა 1918 წლის 26 მაისს „საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი“, რის საფუძველზეც გაჩნდა საერთაშორისო სამართლის ახალი სუბიექტი - „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა“. ამავე დღეს ჩამოყალიბდა რესპუბლიკის მთავრობაც.

ამჟერად არ განვიხილავთ მთელი 1918 წლის განმავლობაში ამიერკავკასიის რეგიონში მიმდინარე რთულ სამხედრო-პოლიტიკურ პროცესების სრულ სპექტრს. აღვნიშნავთ მხოლოდ იმას, რომ პირველი ქართული რესპუბლიკა ომში იშვა, მისი სამხედრო უწყების დაქვემდებარებაში კი საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებული ქართული საჯარისო ნაწილები და ქვედანაყოფები გადავიდა. სამხედ-

---

<sup>1</sup> ამიერკავკასიის სეიმი - ამიერკავკასიის სახელმწიფოს საკანონმდებლო წარმომადგენლობითი ორგანო. მოწვეულ იქნა ამიერკავკასიის კომისარიატის მიერ 1918 წლის 10 (23) თებერვალს. იგი შედგებოდა ამიერკავკასიიდან არჩეული სრულიად რუსეთის დამფუძნებელი კრების წევრებისაგან. სეიმის თავმჯდომარეს ქართველი სოციალ-დემოკრატი (მენშევიკი) ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძე წარმოადგენდა. ამიერკავკასიის სეიმის 22 აპრილის სხდომაზე გამოცხადდა ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის დამოუკიდებლობა, ხოლო იმავე წლის 26 მაისს სეიმმა თვითლიკვიდაცია გამოაცხადა.

რო აპარატისა და სამხედრო ნაწილების მართვა-ფუნქციონირება კი, დროებით, ამიერკავკასიის ფედერაციის შესაბამისი უწყებრივი რგოლების ფუნქციონირების ანალოგიით წარიმართა. ბუნებრივია, ახალგაზრდა სახელმწიფოს პირველ რიგში შესაბამის საკანონმდებლო ბაზაზე დაფუძნებული საკუთარი შეიარაღებული ძალების შექმნა სჭირდებოდა, რაზე მუშაობაც რესპუბლიკის შექმნის პირველივე დღეებიდან დაიწყო.

დასმული საკითხის განხილვასა და შემდგომ ანალიზს საარქივო დოკუმენტების შესწავლის საფუძველზე მოვახდენთ და ამჯერად მხოლოდ საქართველოს აღმასრულებელი და საკანონმდებლო ორგანოების მიერ გამოცემული სამართლებრივი აქტებით შემოვიფარგლებით. უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ იმ დროისათვის არსებული პოლიტიკური პარტიებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლობითი ორგანო - საქართველოს ეროვნული საბჭო, სახელმწიფოს ფაქტობრივ საკანონმდებლო ორგანოს წარმომადგენდა, რომელსაც 1918 წლის 8 ოქტომბრიდან „საქართველოს პარლამენტი“ ეწოდა.<sup>1</sup> 1918 წლის მაისის ბოლოს ამიერკავკასიის სამივე რესპუბლიკამ დამოუკიდებლობა გამოაცხადა და ერთდროულად თვითოეული რესპუბლიკისათვის დღის წესრიგში საკუთარი ეროვნული შეიარაღებული ძალების შექმნის ამოცანაც დადგა. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისთანავე შეიქმნა საქართველოს მთავრობაც რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის, ნოე რამიშვილის თავმჯდომარეობით. სამხედრო მინისტრად ამიერკავკასიის ფედერაციის ყოფილი სამხედრო მინისტრი, გრიგოლ გიორგაძე<sup>2</sup> დაინიშნა. მინისტრთა კაბინე-

---

<sup>1</sup> საქართველოს ეროვნული არქივი. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. (შემდგომში სეაცსსა). ფონდი 1836, ანაწერი 1, საქმე 87, ფურცელი 44უკ.

<sup>2</sup> გრიგოლ გიორგაძე (1879-1937წ.წ.) – ქართველი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, იურისტი, ისტორიკოსი და პუბლიცისტი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პირველი სამხედრო მინისტრი. 1902 წელს დაამთავრა ქუთაისის სასუ-

ტის შემადგენლობა კი, წინა დღით, საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 1918 წლის 25 მაისის ღამით გამართულ სხდომაზე დამტკიცდა, რომელიც მე-5 საკითხად იყო გატანილი.<sup>1</sup> აქვე დადგინდა, რომ „დამოუკიდებელ საქართველოში დროებით იმოქმედებდა ყველა ის ძველი კანონები და სემის დადგენილებანი, რომელნიც მოქმედებდნენ დღევანდლამდის ამიერკავკასიაში“.<sup>2</sup>

აუცილებლად ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ პირველი ქართული რესპუბლიკა ომში იშვა. ამ მომენტისათვის ბათუმის ოლქი უკვე ოკუპირებულია გენერალ მეჰმედ ვეჰიბ ფაშას<sup>3</sup> ოსმალთა მე-3 არმიის შენაერთების მიერ. მათი

---

ლიერო სემინარია, 1909 წელს – ხარკოვის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. 1905 წლიდან სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი. 1917-1918 წლებში საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრია. 1918 წლიდან ინიშნება ამიერკავკასიის ფედერაციული დემოკრატიული რესპუბლიკის, ხოლო მაისიდან – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო მინისტრად. 1919-1921 წლებში დამფუძნებელი კრების წევრია. 1920 წლის ბოლოს ინიშნება საქართველოს მთავრობის საგანგებო რწმუნებულად ბათუმსა და აჭარაში. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ემიგრაციაში არ წასულა და დარჩა სამშობლოში. 1922-1937 წლებში ეწეოდა საადვოკატო მოღვაწეობას. 1937 წელს დააპატიმრეს და გადაასახლეს ყაზახეთში, სადაც იმავე წელს გარდაიცვალა. შემდგომში რეაბილიტირებულ იქნა ყაზახეთის და საქართველოს უმაღლესი სასამართლოების გადაწყვეტილებით.

<sup>1</sup> სეაცსსა. ფონდი 1836, ანაწერი 1, საქმე 49, ფურცელი 3უკ.

<sup>2</sup> სეაცსსა. ფონდი 1836, ანაწერი 1, საქმე 49, ფურცელი 3.

<sup>3</sup> მეჰმედ ვეჰიბ ფაშა (თურქ. Mehmed Vehib Paşa) (1877-1940წ.წ.) – ალბანური წარმომავლობის ოსმალთა სამხედრო მოღვაწე და სარდალი, გენერალ-ლეიტენანტი (ფერიკი), იტალია-თურქეთის (1911წ.), ბალკანური ომების (1912-1913წ.წ.), I მსოფლიო ომისა და იტალია-აბისინიის (1935-1936წ.წ.) ომის აქტიური მონაწილე, იტიპოდისტო პარტიის წევრი. 1899 წელს ამთავრებს სამხედრო-საინჟინრო სკოლას, შემდეგ იმპერიის სამხედრო კოლეჯს. კაპიტნის წინით სამსახურს იწყებს იემენში დისლოცირებულ ოსმალთა მე-4 არმიაში. 1909 წელს სამსახურს აგრძელებს იმპერიის სამხედრო სამინისტროში. იმავე წელს იღებს მაიორის

წინსვლა ჩრდილო-აღმოსავლეთისა და აღმოსავლეთის მიმართულებით გრძელდება და საფროთხე უკვე არა მხოლოდ

წოდებას და ინიშნება კადეტთა სკოლის უფროსად. ბალკანური ომების დროს მსახურობს თავისი უფროსი ძმის, გენერალ ესად ფაშას საარმიო კორპუსის შემადგენლობაში. 1913 წლის 20 თებერვალს ბერძნებთან ბრძოლის დროს ტყვედ ვარდება. ტყვეობიდან გათავისუფლების შემდეგ იგზავნება ჰიჯაზის არმიიაში, სადაც იღებს პოლკოვნიკის სამხედრო წოდებას. I მსოფლიო ომში მონაწილეობდა ჰალიპოლისის ოპერაციაში, სადაც სარდლობდა XV საარმიო კორპუსს, შემდეგ – მე-2 არმიას. აქვე იღებს ბრიგადის გენერლის წოდებას. 1917 წლისათვის ოსმალთა კავკასიის ფრონტის სარდალი და გენერალ-ლეიტენანტი. კავკასიის არმიათა ჯგუფში გაერთიანდა მე-9 (გენერალი იაყუბ შექვი ფაშა), მე-3 (გენერალი ესად ფაშა) და მე-6 (გენერალი ჰალილ ფაშა ქუთი) არმიები. 1918 წლის თებერვალ-მარტში წარმატებული შეტევითი კამპანიის შედეგად იღებს I მსოფლიო ომის მსვლელობაში რუსული შენაერთების მიერ დაკავებულ ერზინჯანს, არზრუმსა და ტრაპიზონს. იმავე წლის აპრილ-მაისში მისი არმიების შენაერთები ახდენენ არდაგანის, ყარსის, ბათუმისა და ალექსანდროპოლისის ოლქებისა და ახალციხისა და ახალქალაქის მაზრების ოკუპაციას. 1918 წლის ოქტომბრიდან ინიშნება სრუტეების რაიონში გაშლილი ოსმალთა 1-ლი არმიის სარდლად. I მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ მას ბრიტანელები აპატიმრებენ, მაგრამ ახერხებს ციხიდან გაქცევას და ემიგრაციაში მიდის საზღვარგარეთ. თავს აფარებს ჯერ იტალიას, შემდეგ გადადის გერმანიაში, რუმინეთში, საბერძნეთსა და ეგვიპტეში. ოპოზიციაში უდგება გენერალ მუსტაფა ქემალის მიერ ანატოლიაში დაწყებულ წინააღმდეგობის ახალ თურქულ მოძრაობას, რის გამოც იძულებულია წავიდეს ემიგრაციაში. აქტიურად მონაწილეობს 1935-1936 წლების იტალია-აბისინიის ომში აბისინიელთა მხარეს სამხრეთის ფრონტის შტაბის უფროსის თანამდებობაზე. ხელმძღვანელობს მძლავრი თავდაცვითი ზღუდის, აბისინიური ე.წ. „ჰინდენბურგის ხაზის“ ორგანიზებას. ომის დასრულებისა და იტალიური ოკუპაციის შემდეგ ტოვებს ეთიოპიას და გადადის ეგვიპტეში. თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის, მუსტაფა ქემალ ათათურქის გარდაცვალების შემდეგ, 1938 წლიდან, ბრუნდება თურქეთის რესპუბლიკაში და ფუნქცია კონსტანტინოპოლში. გარდაიცვალა 1940 წელს.

ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებს, არამედ უშუალოდ თბილისსაც ემუქრება. ამავე დროს, ჩრდილოეთით, ვლადიკავკაზის მხრიდან იწყება ბოლშევიკური ბანდების გააქტიურება და საბრძოლო მოქმედებები. აფხაზეთის რეგიონში კი, ვალიკო ჯუღელის მეთაურობით, ამიერკავკასიის წითელი გვარდია აწარმოებს საბრძოლო მოქმედებებს იქ შემოჭრილი რუსი ბოლშევიკების წინააღმდეგ. ამ მდგომარეობით კარგად ისარგებლეს ჩრდილო კავკასიელმა ბოლშევიკებმა და სრულიად ახალგაზრდა ქართული რესპუბლიკის წინააღმდეგ ძალთა კონსოლიდაციის სტრატეგიას მიმართეს. მაისის ბოლოს ყუბანისა და შავიზღვისპირეთის საბჭოების III ყრილობაზე ე.წ. „ყუბანისა“ და „შავიზღვისპირეთის საბჭოთა რესპუბლიკები“ ერთ წარმონაქმნად ერთიანდებიან.<sup>1</sup> გარდა ამისა, ახლადგაჩენილი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მისამართით მუქარის ხმები უკვე „ამიერკავასიის ბოლშევიკური მოძრაობის მექადან“, ბაქოდანაც გაისმა. ჩრდილოეთ კავკასიაში მიმდინარე პროცესებთან პარალელურად, ამიერკავკასიის ფედერაციის დამოუკიდებელ რესპუბლიკებად დაშლიდან ორ დღეში, 1918 წლის 29 მაისს, შაუმიანის ბრძანებით, ბაქოს კომუნის ბოლშევიკურ-დაშნაკურმა ე.წ. „წითელმა არმიამ“ შეტევითი მოქმედებები დაიწყო დასავლეთისაკენ, განჯისა (ელიზავეტპოლი) და თბილისის მიმართულებაზე. ფაქტია, რომ ახალგაზრდა ქართული რესპუბლიკა სამხრეთისა და სამხრეთ-დასავლეთიდან ოსმალური, ხოლო ჩრდილოეთისა და ჩრდილო-დასავლეთის მხრიდან რუსული ბოლშევიკური აგრესიის რკალში ექცეოდა. ოსმალეთის სამხედრო მინისტრსა და იმპერიის ფაქტიურ მმართველს, გენერალ ისმაილ ენვერ ფაშას თავისი „დიდი თურანული პროექტის“ აღსრულება ამოძრავებდა, ლენინი კი, ამიერკავკასიას და საქართველოს ისევ რუსეთის შემადგენლობაში მოიაზრებდა და ასე ადვილად ვერ შეეღეოდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას. ნათელია, რომ ბოლშევიკური რუსეთი პროვოკაციებისა და პირდაპირი სამხედრო ჩარევების გზით საქართველოს გასაბჭოებას შეეცდებოდა. ასე-

---

<sup>1</sup> Осадчий И. П. За власть трудового народа. - Краснодар, 1987. გვ. 97.

თი ურთულესი სამხედრო-პოლიტიკური მოვლენების ფონზე მიმდინარეობდა ქართული ეროვნული შეიარაღებული ძალების შექმნის პროცესი. 28 მაისს გამართულ საქართველოს მთავრობის სხდომას სამხედრო მინისტრი, გრიგოლ გიორგაძე თავმჯდომარეობდა. სულ განხილული იყო 15 საკითხი. მე-13 საკითხად სამხედრო მინისტრისა და სხდომის თავმჯდომარის მიერ გამოტანილ იქნა „ამიერკავკასიის ჯარების ყოფილი მთავარსარდლის კომპეტენციის ფარგლების განსაზღვრის საკითხი“.<sup>1</sup> ამიერკავკასიის ფედერაციის ყოფილი სამხედრო მინისტრის თანაშემწე და ამიერკავკასიის ჯარების მთავარსარდალი, გენერალ-მაიორი გიორგი კვინიტაძე საქართველოს სამხედრო მინისტრის მოადგილედ და საქართველოს შეიარაღებული ძალების მთავარსარდლად დაინიშნა. პრესაში ეს დაინიშნა 31 მაისს გამოქვეყნდა.<sup>2</sup>

ბუნებრივია, დამოუკიდებელ სახელმწიფოს საკუთარ საკანონმდებლო სივრცეში მოქცეული სამხედრო უწყება ესაჭიროებოდა და უკვე 2 ივნისს გამართულ მთავრობის სხდომაზე, რომელსაც ისევ გრიგოლ გიორგაძე თავმჯდომარეობდა და მთავრობის წევრების გარდა ესწრებოდნენ აგრეთვე ალექსანდრე წერეთელი, ნოე ჟორდანიას და სილიბისტრო ჯიბლაძე, გენერალმა კვინიტაძემ მე-6 საკითხად განსახილველად შემოიტანა კანონ-პროექტი „სამხედრო უწყების დროებითი მმართველობის შექმნის შესახებ“. მოხსენების თეზისებს შემდეგი სახე ჰქონდა: - სამხედრო მმართველობის სათავეში დგას სამხედრო სამინისტრო, რომელიც იმართება:

1. სამხედრო მინისტრით;
2. სამხედრო მინისტრის ამხანაგით;
3. სამხედრო საბჭოთი;
4. კანცელარიით;

---

<sup>1</sup> სეაცსსა. ფონდი 1861, ანაწერი 3, საქმე 1, ფურცელი 4.

<sup>2</sup> გაზეთი „ერთობა“. ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა. №111. 1918 წლის 31 მაისი.



აქვე ხაზგასმული იყო, რომ სამხედრო მინისტრის ამხანაგი ამავე დროს წარმოადგენდა ჯარების მთავარსარდალს;

- ჯარების მართვა იყოფა ორ კატეგორიად:

1.საველე შტაბები;

2.გენერალური შტაბი;

საველე შტაბი განკარგავს სამწიგნობრო ნაწილების სწავლებას, თანამდებობებზე დანიშნვას, მორიგი სამხედრო წოდების მინიჭებას. აქვე არის მომარაგების უფროსის სამმართველოც (საარტილერიო, საინჟინრო, საინტენდანტო). საველე შტაბი, რომელიც ემსახურება მშვიდობის საქმეს, ნებისმიერ მომენტში მზად უნდა იყოს ომისათვის.

გენერალური შტაბი - აკადემიური დაწესებულებაა, რომელიც დაკავებულია ზურგის საკითხების გადასაჭრელად: ქვეყნის თავდაცვა, მობილიზაცია, ტოპოგრაფია, კანონ-პროექტების შემუშავება და სხვა.<sup>1</sup> მიღებულ იქნა დადგენილება:

1.სამხედრო უწყების მართვის დროებითი პროექტი დამტკიცდეს;

2.ეთხოვოს მთავარსარდალს დაუყოვნებლივ შეუდგეს დაგეგმილი რეორგანიზაციის განხორციელებას;

3.ეთხოვოს მთავარსარდალს გადაბეჭდოს მოხსენება და გაგზავნოს იგი დასკვნისათვის ეროვნული საბჭოს სამხედრო კომისიაში;<sup>2</sup>

1918 წლის 5 ივნისს გამართულ მთავრობის სხდომაზე, რომელსაც სამხედრო მინისტრი გრიგოლ გიორგაძე თავმჯდომარეობდა, განხორციელდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სინამდვილეში პირველი სამხედრო გაწვევა.<sup>3</sup> იგივე საკითხი იყო განხილული 1918 წლის 12 ივნისს გამართულ მთავრობის სხდომაზეც, რომელიც წარადგინა სამხედრო მინისტრმა. მიღებულ იქნა დადგენილება, რომ „დაეტოვებინათ საქართველოს შეიარაღებული ძალების რიგებში 19-23 წლის ასაკის ახალგაზრდები. 23

<sup>1</sup> სეაცსსა. ფონდი 1861, ანაწერი 3, საქმე 1, ფურცელი (16-17).

<sup>2</sup> სეაცსსა. ფონდი 1861, ანაწერი 3, საქმე 2, ფურცელი 59.

<sup>3</sup> სეაცსსა. ფონდი 1861, ანაწერი 3, საქმე 1, ფურცელი 24.

წლის ახალგაზრდები დაეთხოვათ სამხედრო სამსახურიდან თანდათან, მინისტრის შეხედულების შესაბამისად”.<sup>1</sup> აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოში, ფედერაციის დაშლამდე, უკვე არსებობდა საქართველოს წითელი (მოგვიანებით სახალხო) გვარდიის რაზმები. 1918 წლის 18 ივნისს გამართულ მორიგ სხდომაზე პირველ საკითხად მთავრობის თავმჯდომარის, ნოე რამიშვილი მიერ შემოტანილ იქნა „კანონ-პროექტი სახალხო გვარდიის შესახებ“, რომელიც მოწონებულ და მიღებულ იქნა.<sup>2</sup> იგივე საკითხი პარალელურად განიხილებოდა საქართველოს ეროვნული საბჭოს სამხედრო კომისიის მიერ თავის პირველ სხდომაზე, რომელიც 1918 წლის 17 ივნისს ჩატარდა. როგორც ცნობილია, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისთანავე საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა გერმანული პროტექტორატით აღიჭურვა და ივნისის დასაწყისიდან გერმანული ქვედანაყოფები იწყებენ შემოსევას. ქართული რეგულარული ჯარის ორგანიზების საქმეში გერმანელებიც ჩაერთვნენ. გერმანიის სამხედრო და დიპლომატიური მისიის ხელმძღვანელმა ამიერკავკასიაში, არტილერიის გენერალმა კრეს ფონ კრეზენშტაინმა, სამხედრო კომისიას სამხედრო სამინისტროსა და ჯარების სტრუქტურული მოწყობის საკუთარი პროექტიც წარუდგინა განსახილველად. საკითხზე მუშაობა კომისიის 11 და 12 ივლისს გამართულ სხდომებზეც გაგრძელდა.

საბოლოოდ, კომისია სამხედრო სამინისტროს შვიდგანყოფილებიანი სტრუქტურის ქართულ-გერმანულ შეჯერებულ ვარიანტზე შეთანხმდა - საერთო, პირადი შემადგენლობის, გენერალური შტაბის, ადმინისტრაციული, სანიტარული, საპენსიო და იურიდიული.<sup>3</sup> 29 ივლისს „სრულიად საიდუმლო“ გრიფით გენერალური შტაბი ამუშავებს „საქართველოს რესპუბლიკის რეგულიარული არმიის ორგანი-

---

<sup>1</sup> სეაცსსა. ფონდი 1861, ანაწერი 3, საქმე 1, ფურცელი 34.

<sup>2</sup> სეაცსსა. ფონდი 1861, ანაწერი 3, საქმე 2, ფურცელი 1.

<sup>3</sup> სეაცსსა. ფონდი 1836, ანაწერი 1, საქმე 165, ფურცელი 3.

ზაციის კანონ-პროექტს”.<sup>1</sup> პროექტი გადაეცა საქართველოს ეროვნული საბჭოს სამხედრო კომისიას, რომელმაც საკითხი 1918 წლის 5 აგვისტოს №13 სხდომაზე პირველი მოსმენით განიხილა.<sup>2</sup> 13 აგვისტოს გამართულ სხდომაზე კი, დამუშავებული კანონ-პროექტი გადასცა სარედაქციო კომისიას.<sup>3</sup> 17 აგვისტოს კანონ-პროექტის რედაქტირებული ვარიანტი განიხილვისათვის ეროვნულ საბჭოს გადაეცა.<sup>4</sup>

რა თქმა უნდა, ქართული სამხედრო უწყებისა და რეგულარული ჯარის შექმნის კანონ-პროექტზე მუშაობის პროცესი მარტივად არ მიმდინარეობდა. გარკვეულ საკითხებზე განსხვავებული პოზიციების არსებობას ჰქონდა ადგილი. ეს ეხებოდა როგორც გენერალური შტაბის, ასევე ეროვნული საბჭოს სამხედრო კომისიისა და გერმანული სამხედრო მისიის ხედვებს. გენერალი ფონ კრეზენშტაინი, თავის მემუარში „Meine Mission Im Kaukasus” („ჩემი მისია კავკასიაში”), რომელიც მან 1943 წელს გამოსცა მიუნხენში, ქართული რეგულარული ჯარის შექმნის პროცესს ასე იხსენებს: „კმაყოფილი ვიყავი, რომ 14 აგვისტოს ეროვნულმა საბჭომ მხოლოდ მცირე შესწორებებით, ერთსულოვნად მიიღო ჩემს მიერ გერმანულ ნიმუშზე შედგენილი კანონი. რევოლუციის დროს გაუქმებული სამხედრო ვადდებულელებაც ადღა. თავდაპირველად უნდა ჩამოყალიბებულიყო ორი ქვეითი დივიზია და საზღვრის დაცვის დივიზია რუსული ნიმუშის მიხედვით, საკავალერიო დივიზია სამ პოლკად და საარტილერიო ბრიგადა.

მშვიდობიანობის პერიოდში საქართველოს 30-40 ათასიანი არმია ეყოლებოდა. სამხედრო მინისტრმა შეარჩია გენერალ გედევანოვის<sup>5</sup> პერსონა, ძალიან მოწესრიგებული

---

<sup>1</sup> სეაცსა. ფონდი 1836, ანაწერი 1, საქმე 187, ფურცელი 2.

<sup>2</sup> სეაცსა. ფონდი 1836, ანაწერი 1, საქმე 187, ფურცელი 3.

<sup>3</sup> სეაცსა. ფონდი 1836, ანაწერი 1, საქმე 187, ფურცელი 13.

<sup>4</sup> სეაცსა. ფონდი 1836, ანაწერი 1, საქმე 187, ფურცელი 16.

<sup>5</sup> აქ გენერალ ალექსანდრე გედევანიშვილზეა საუბარი. გენერალი ალექსანდრე გედევანიშვილი (1870-1937 წ.წ.) – რუსეთის სამმპერატორო არმიისა და პირველი ქართული რესპუბლიკის ცნობილი სამხედრო მოღვაწე, გენერალური შტაბის გენერალ-

და სიმპათიური დამხმარე, რომელთანაც სიამოვნებითა და ნდობით ვმუშაობდით. მის განკარგულებაში მაიორი გრაფი ვოლფსკელი და რამდენიმე ოფიცერი მივაგვლინე. მე დავამუშავე ჩამოსაყალიბებელი ქვედანაყოფების საშტატო განრიგი, ასევე სამხედრო სამინისტროს ორგანიზაციის სქემა. ქართველების მიერ განსახილველად წარმოდგენილი ამ სამინისტროს ორგანიზაციის გეგმა ძალიან პატარა ჯარისათვის აღმოსავლური ტიპის ბევრად დიდ და ძვირადღირებულ აპარატს ითვალისწინებდა. ჯარის ორგანიზების სამუშაოები შედარებით ნელა მიიწვედა წინ, რადგან ქარ-

---

მაიორი და ქართული არმიის გენერალი. 1904-1905 წლების რუსეთ-იაპონიისა და I მსოფლიო ომების მონაწილე. დაამთავრა თბილისის კადეტთა კორპუსი, შემდეგ – პეტერბურგის სამხედრო სასწავლებელი. სამხედრო სამსახური დაიწყო ბაქოს 153-ე ქვეით პოლკში. 1900 წლიდან შტაბს-კაპიტანია, 1901 წლიდან – კაპიტანი, ხოლო 1907 წლიდან – პოდპოლკოვნიკი. ამთავრებს გენშტაბის აკადემიას, 1910 წლიდან ინიშნება ყუბის 155-ე პოლკის მეთაურად და აქვე ენიჭება პოლკოვნიკის წოდება. I მსოფლიო ომის მსვლელობისას მეთაურობდა 203-ე სოხუმის ქვეით პოლკს, ხოლო შემდეგ, 1917 წლიდან – 51-ე ქვეით დივიზიას. აქვე ენიჭება გენერალ-მაიორის წოდება. 1918 წლის დასაწყისში ქალაქ ბათუმის გამაგრებული რაიონისა და ციხე-სიმაგრის კომენდანტია. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის მთელი პერიოდის განმავლობაში, 1918-1921 წლებში, უწყვეტად იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო მინისტრის მოადგილე (ამხანაგი) სამწიგნობრო-ოპერატიულ დარგში და საქართველოს შეიარაღებულ ძალების მთავარსარდალი 1918 წლის ივლისი – 1919 წლის აპრილის პერიოდში. 1920-1921 წლებში იყო რესპუბლიკის თავდაცვისა და სამხედრო საბჭოების წევრი. ამ პერიოდში აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს შეიარაღებული ძალების შექმნის საქმეში. გენერალ იოსებ გედევანიშვილისა და პოლკოვნიკ ნიკოლოზ გედევანიშვილის უფროსი ძმა. სხვადასხვა საბრძოლო ორდენებისა და გიორგის ჯვრის კავალერი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის რუსულ-თურქული ბოლშევიკურ-ქემალისტური ოკუპაციის შემდეგ არ მიდის ემიგრაციაში და რჩება საქართველოში. მსახურობდა წითელ არმი-აში. სხვადასხვა წყაროებით გარდაიცვალა 1933 ან 1937 წელს.

თველი ოფიცრების ნაწილი, გენერალური შტაბის უფროსის, გენერალ ანდრონიკოვით სათავეში, რომელთაც სჯეროდათ, რომ უკეთ ესმოდათ ეს საკითხი ვიდრე ჩვენ, წინააღმდეგობას უწევდნენ ჩვენს მოსაზრებებს.”<sup>1</sup> 10 ოქტომბერს გამართულ მთავრობის სხდომაზე გენერალმა გედევანიშვილმა განსახილველად გამოიტანა გენერალ ფონ კრეზენ-შტაინის შემოთავაზება, ქართული ჯარის ინსტრუქტორებად გერმანელი ოფიცრების უსასყიდლოდ დაყენების შესახებ. საკითხი ერთხმად იქნა მოწონებული და მიღებული.<sup>2</sup>

საბოლოოდ, საქართველოს ეროვნული საბჭოსა და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ 1918 წლის 20 აგვისტოს გამართულ სხდომაზე დამტკიცებულ იქნა „დებულება საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო მმართველობისა“, რომელიც 12 მუხლისაგან შედგებოდა.<sup>3</sup> აგრეთვე „კანონი საქართველოს რესპუბლიკის რეგულიარული არმიის ორგანიზაციისა“, რომელიც 7 მუხლისაგან შედგებოდა,<sup>4</sup> „საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო ბეგარისა და მუდმივი ჯარის შევსების ძირითადი დებულება“, რომელიც 12 მუხლისაგან შედგებოდა<sup>5</sup> და „კანონი ნამდვილ სამხედრო სამსახურში დატოვებისა და ჯარში გაწვევის იმ პირთა, რომელნიც დაბადებულან 1896-1899 წლებში“.<sup>6</sup> ხელს აწერენ საქართველოს ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე ნიკოლოზ (კარლო - ა. ჩ.) ჩხეიძე და რესპუბლი-

<sup>1</sup> General der Artillerie Friedrich Freiherr Kress von Kressenstein. *Meine Mission im Kaukasus*. München. 1943. S. 22-23.

<sup>2</sup> სეაცსსა. ფონდი 1861, ანაწერი 3, საქმე 2, ფურცელი 163.

<sup>3</sup> სეაცსსა. ფონდი 1836 ანაწერი 1, საქმე 87, ფურცელი (20უკ-21).

<sup>4</sup> სეაცსსა. ფონდი 1836 ანაწერი 1, საქმე 87, ფურცელი 21უკ.

<sup>5</sup> სეაცსსა. ფონდი 1836 ანაწერი 1, საქმე 87, ფურცელი 22.

<sup>6</sup> სეაცსსა. ფონდი 1836 ანაწერი 1, საქმე 87, ფურცელი 22უკ.

<sup>7</sup> ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძე (1864-1926 წ.წ.) – ცნობილი ქართველი პოლიტიკოსი, რუსეთისა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პარტიული, პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე, რუსეთის რევოლუციური და სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი და ხელმძღვანელი. დაამ-

კის მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანიას. ზემოთ მოყვანილი პირველი სამი კანონი შეტანილ იქნა უკვე 1990 წელს შედგენილ „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებულში (1918-1921)“.<sup>1</sup>

„საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო მმართველობის“ დებულების მე-6 მუხლის თანახმად, სამხედრო სამინისტროს სტრუქტურა ასე იყო წარმოდგენილი: „სამხედრო სამინისტროს ხელშია გამგებლობა სამხედრო მმართველო-

---

თავრა ქუთაისის კლასიკური გიმნაზია, შემდეგ სწავლა განაგრძო უკრაინაში, ნოვოროსიისკის (ოდესის) უნივერსიტეტში, საიდანაც გარიცხეს რევოლუციური იდეების გამო. სწავლა განაგრძო ხარკოვის ვეტინსტიტუტში თავისუფალ მსმენელად, საიდანაც ასევე გარიცხეს რევოლუციური მოღვაწეობის გამო. 1892 წელს ნოე ჟორდანიასთან, სილიბისტრო ჯიბლაძესთან, ეგნატე ნინოშვილთან, ისიდორე რამიშვილთან ერთად აყალიბებს სოციალ-დემოკრატიულ ჯგუფს, ე.წ. „მესამე დასს“, რომელიც მალე რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის (რსდმპ) ნაწილი ხდება. 1903 წლიდან ხდება პარტიის მენშევიკური ფრთის წევრი. 1907-1912 და 1912-1917 წლებში იყო რუსეთის სახელმწიფო დუმის მე-3 დ მე-4 მოწვევების დეპუტატი თბილისის გუბერნიიდან, სადაც იგი სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის თავმჯდომარე იყო 1912 წლიდან. 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ იყო პეტერბურგის, ხოლო შემდეგ სრულიად რუსეთის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე. 1918 წლის აპრილში ხდება ამიერკავკასიის სეიმის თავმჯდომარე, ამავე წლის 26 მაისიდან კი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული საბჭოს, ანუ პარლამენტის თავმჯდომარე. 1919 წლის 12 მარტიდან საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარეა. 1919-1920 წლებში, როგორც საქართველოს დელეგაციის თავმჯდომარე, მონაწილეობას იღებდა პარიზის სამშვიდობო კონფერენციის მუშაობაში. 1921 წლის მარტიდან ემიგრაციაშია საფრანგეთში, სადაც თავი მოიკლა 1926 წელს. დაკრძალულია პერ-ლაშეზის სასაფლაოზე.

<sup>1</sup> საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული (1918-1921). შემდგენელი ვ. გურგენიძე, სპეცრედაქტორი ვ. შარაშენიძე. თბილისი. 1990. გვ. 49-57.

ბისა. სამხედრო სამინისტროში შემდეგი ექვსი განყოფილებაა:

- 1.საერთო განყოფილება;
- 2.პირადი შემადგენლობის განყოფილება;
- 3.გენერალური შტაბის განყოფილება;
- 4.საადმინისტრაციო განყოფილება;
- 5.სამხედრო სასანიტარო განყოფილება;
- 6.სამხედრო საბეითლო განყოფილება;<sup>1</sup>

მე-9 მუხლის თანახმად კი: „გენერალური შტაბის განყოფილებას სათავეში უდგას გენერალური შტაბის გენერალი. ომის დროს სამხედრო სამინისტროს გენერალური შტაბის უფროსი არმიის საველე შტაბის უფროსის თანამდებობას ასრულებს. გენერალურ შტაბში შემდეგი 6 სექციიაა:

- 1.საოპერაციო;
- 2.საორგანიზაციო;
- 3.საარტილერიო;
- 4.საინჟინრო-სატექნიკო;
- 5.სამხედრო-საზღვაო;
- 6.სამხედრო-საისტორიო არქივის;<sup>2</sup>

სწორედ ზემოთ მოყვანილი სამართლებრივი აქტების საფუძველზე შეიქმნა და დაკანონდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო სამინისტრო. დაგეგმილი იყო ქართული რეგულარული არმიის შექმნა იმდროინდელი სტანდარტით მიღებული ერთი პარადიგმული საარმიო კორპუსის მასშტაბით, რომლის სტრუქტურაც პოლკურ-დივიზიური წყობითა და ტრიანგულარული სისტემით იქნებოდა აგებული, ორი ქვეითი დივიზიისა და სხვა ნაწი-

---

<sup>1</sup> საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული (1918-1921). შემდგენელი ვ. გურგენიძე, სპეცრედაქტორი ვ. შარაშენიძე. თბილისი. 1990. გვ. 50.

<sup>2</sup> საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული (1918-1921). შემდგენელი ვ. გურგენიძე, სპეცრედაქტორი ვ. შარაშენიძე. თბილისი. 1990. გვ. 51.

ლების შემადგენლობით. I დივიზიის ნაწილები გაშლილი უნდა ყოფილიყო დასავლეთ საქართველოში, შტაბით ქუთაისში, ხოლო II ქვეითი დივიზიისა - აღმოსავლეთ საქართველოში, შტაბით თბილისში. აქვე უნდა შეენიშნოთ, რომ არც 1918 წელს და არც პირველი ქართული რესპუბლიკის არსებობის მანძილზე, ქართულ რეგულარულ ჯარს აღნიშნული შენაერთის დონემდე პირადი შემადგენლობის რაოდენობის ფაქტობრივი მონაცემებით არ მიუღწევია.<sup>1</sup> „საქართველოს რესპუბლიკის რეგულიარული არმიის ორგანიზაციის კანონის“ პირველი მუხლის შესაბამისად: „საქართველოს რესპუბლიკის რეგულიარულ ჯარს შეადგენდა ორი ქვეითი დივიზია, სანაპირო ჯარი,<sup>2</sup> ცხენოსანი ჯარის ერთი ბრიგადა, ერთი საარმიო არტილერიის ბრიგადა, საპიორთა<sup>3</sup> ერთი ბატალიონი, ერთი სატეხნიკო ბატალიონი, ერთი საავტომობილო ასეული, ერთი ჯავშნოსანი ასეული და ერთი საავიაციო გუნდი. მეორე მუხლის ა) პუნქტის თანახმად კი, ქვეით დივიზიას შეადგენდა: სამი ქვეითი პოლკი, ცხენოსანთა ერთი ესკადრონი,<sup>4</sup> ერთი ბრიგადა არტილერიისა, ერთი ასეული საპიორთა, საბარგო ქარავანი დივიზიისა და სანიტარული დაწესებულება”.<sup>5</sup> ბრიგადების, პოლკების, ბატალიონების, ასევე ცალკეული ასეულებისა და მათი შტაბების სტრუქტურა გაწერილი იყო კანონის შესაბამისად, მეოთხე და მეხუთე მუხლებში. მე-6 მუხლის თანახმად კი,

---

<sup>1</sup> სეაცსა. ფონდი 1969, ანაწერი 4, საქმე 11, ფურცელი 13.

<sup>2</sup> სანაპირო ჯარი – სასაზღვრო ჯარის არქაული დასახელება.

<sup>3</sup> საპიორთა – რუსული ბარბარიზმია. იგულისხმება მესანგრეთა.

<sup>4</sup> ესკადრონი (ლათ. ხქუადრა – ჯარების ოთხკუთხა საბრძოლო წყობა) – საკავალერიო ჯარების ტაქტიკური და ადმინისტრაციული ერთეული, ქვედანაყოფი ან სამხედრო ნაწილი 100-150 ცხენოსნის შემადგენლობით. შეესაბამება ქვეით ასეულს (ბატალიონს) და საარტილერიო ბატარეას. ნაკლები სიდიდის საკავალერიო ტაქტიკური ერთეული იყო ნახევარესკადრონი – დაახლოებით 60-70 მხედარი.

<sup>5</sup> საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული (1918-1921). შემდგენელი ვ. გურგენიძე, სპეცრედაქტორი ვ. შარაშენიძე. თბილისი. 1990. გვ. 53.



არსდებოდა სამხედრო სკოლები „ქვეითი მსროლელი ჯარისა, მსროლელი საარტილერიო, საინჟინრო-სატექნიკო და საავიაციო“.<sup>1</sup>

პირველი ქართული რესპუბლიკის სამხედრო სამინისტროს გამგებლობაში უკვე არსებული საჯარისო ნაწილების საორგანიზაციო-საშტატო სტრუქტურა და პირადი შემადგენლობით მათი დაკომპლექტების მდგომარეობა „სრულიად საიდუმლო“ გრიფით სამხედრო სამინისტროს გენერალური შტაბის მიერ სამხედრო მინისტრს 1918 წლის 25 სექტემბერს წარედგინა. დოკუმენტს ხელს აწერენ გენშტაბის უფროსი, გენერალ-მაიორი ალექსანდრე ანდრონიკაშვილი<sup>2</sup> და გენშტაბის ოპერატიული სექციის უფროსი, გენე-

---

<sup>1</sup> საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული (1918-1921). შემდგენელი ვ. გურგენიძე, სპეცრედაქტორი ვ. შარაშენიძე. თბილისი. გვ. 55.

<sup>2</sup> ალექსანდრე ანდრონიკაშვილი (1871-1923წ.წ.) – რუსეთის საიმპერატორო არმიის ქართველი ოფიცერი, გენერალური შტაბის გენერალ-მაიორი, საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის პირველი უფროსი. 1904-1905 წლების რუსეთ-იაპონიისა და I მსოფლიო ომების მონაწილე. დაიბადა თელავის მაზრის სოფელ სიდნალში. 1891 წელს დაამთავრა სანკტ-პეტერბურგის კონსტანტინეს მე-2 სამხედრო სასწავლებელი, 1905 წელს – გენერალური შტაბის აკადემია I თანრიგით. 1889 წლიდან სამხედრო სამსახურშია, ყარსის საციხოვნო არტილერიაში, მოგვიანებით – ალექსანდროპოლისის (კომუნისტური ეპოქის ლენინაკანი, დღევანდელი გიუმრი) საციხოვნო არტილერიაში და კავკასიის სააღყო საარტილერიო პოლკში. 1906-1907 წლებში მსახურობდა ლეიბ-გვარდიის მე-13 ერევნის პოლკში. 1907-1908 წლებში მსახურობდა უსურის ცხენოსანი ბრიგადის შტაბის უფროს ადიუტანტად, 1908-1909 წლებში – ობერ ოფიცრად ომსკის სამხედრო ოლქის შტაბში. 1909-1912 წლებში მსახურობდა უფროს ადიუტანტად 36-ე ქვეითი დივიზიის შტაბში. 1913 წელს მიენიჭა პოლკოვნიკის სამხედრო წოდება. 1912-1914 წლებში მივლინებული იყო ალექსეევის სამხედრო სასწავლებლის ტაქტიკის კურსის მასწავლებლად. მონაწილეობდა I მსოფლიო ომში. მსახურობდა მე-2 არმიის შტაბში. 1914-1916 წლებში დროებით ასრულებდა 75-ე ქვეითი დივიზიის შტაბის უფროსის მოვალეობას. 1916-1917 წლებში იყო 298-ე მსტისლა-

რალური შტაბის პოლკოვნიკი ალექსანდრე ზაქარიადე.<sup>1</sup> თავის მხრივ, მინისტრი გიორგაძე მთავრობის თავმჯდომარეს 21 ოქტომბრის №0838 მოხსენებით უგზავნის მის „გამგებლობაში მყოფის ყველა ნაწილების და დაწესებულებების ნუსხას, რომელშიც აღნიშნულია თუ რომელი მათგანი ჯერ არ არის მოწყობილი“.

„საიდუმლო. მთავრობის თავმჯდომარეს.

21 დეკემბრისთვის. №838. პასუხად №120-ისა

საქართველოს მთავრობის საქმეთა მმართველობაში შესულია 22 ოქტომბერს №2558-ით.

---

ვის (ბელორუსია) ქვეითი პოლკის მეთაური, 177-ე ქვეითი დივიზიის შტაბის უფროსი. აქვე ენიჭება გენერალ-მაიორის სამხედრო წოდება. 1917 წლის 10 ივნისს დაინიშნა მე-20 საარმიო კორპუსის შტაბის უფროსად. საბრძოლო დამსახურებისათვის და სამსახურში წარჩინებისთვის 1916 წელს დაჯილდოვდა წმინდა გიორგის ოქროს იარაღით და გიორგის ჯვრით. 1918-1921 წლებში მსახურობდა ქართულ ჯარში. იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი და რესპუბლიკის სამხედრო საბჭოს წევრი. 1920 წლის მაისიდან 1921 წლის თებერვლამდე – ქართული სამხედრო სკოლის უფროსი. 1921 წელს, რუსეთთან ომის დროს, მეთაურობდა თბილისის ფრონტის კოჯორი-ტაბახმელას მონაკვეთს. უკან დახვეისას მეთაურობდა არიერგარდს. 1921 წლის მარტში იყო დასავლეთ საქართველოს ჯარების სარდალი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის რუსულ-თურქული ბოლშევიკურ-ქემალისტური ოკუპაციის შემდეგ ემიგრაციაში არ წასულა და დარჩა სამშობლოში. 1921-1923 წლებში მსახურობდა საქართველოს წითელ არმიაში. იყო „ქართული წითელი ლაშქრის“ უფროსი, შემდეგ ქართული სამეთაურო კურსების უფროსი და ამავე დროს ანტიბოლშევიკური შეთქმულებისა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი, დამოუკიდებლობის კომიტეტის სამხედრო ცენტრის ერთ-ერთი ხელმძღვანელი. შეთქმულთა გაცემის შემდეგ, 1923 წლის 19 მაისს დააპატიმრეს და მეორე დღეს, 1923 წლის 20 მაისს, სამხედრო ცენტრის სხვა წევრებთან ერთად დახვრიტეს დღევანდელი „ვაკის პარკის“ ტერიტორიაზე. მისი საფლავი არ არსებობს.

<sup>1</sup> სეაცსსა. ფონდი 1861, ანაწერი 2, საქმე 18, ფურცელი (47-47უკ).

ამასთანავე წარმოვიდგინოთ ჩემს გამგებლობაში მყოფის ყველა ნაწილების და დაწესებულებების ნუსხას, რომელიც აღნიშნულია თუ რომელი მათგანი ჯერ არ არის მოწყობილი. მოგახსენებთ, რომ რადგან შტატები ჯერ არ არიან დამტკიცებულნი პარლამენტის მიერ, ყველა ეს დაწესებულებები ეწეობიან ჩემს მიერ წარმოდგენილი შტატების პროექტის მიხედვით. შტატის გარეშე დარჩენილი ოფიცრები და მოხელეები გადაცემული მყამს სალიკვიდაციო განყოფილებაში ანგარიშის გასასწორებლად. რაიცა შეეხება ჯარისკაცთა რიცხვს, მას აკლია 60%-მდე, ხოლო ცხენებისას 80%-მდე.

სამხედრო მინისტრი გიორგაძე.

მოხსენებით ბარათს თან ერთვის სამხედრო ნაწილების, მათი შტაბების, სამმართველოებისა და დაწესებულებების ჩამონათვალი და მათი დისლოკაციები<sup>1</sup>.

ეს უმძიმესი დოკუმენტია, საიდანაც ნათლად ჩანს, რომ 1918 წლის ოქტომბრის მდგომარეობით პირველი ქართული რესპუბლიკის ჯარების რიცხოვნობის საკითხი ერთობ საგადალო მდგომარეობაში იყო. ყველა გვარეობის ჯარებში პირადი შემადგენლობით დაკომპლექტების მაჩვენებელი 40%-ია, ხოლო საკავალერიო ნაწილებში - მხოლოდ და მხოლოდ 20%. და მიუხედავად ამისა, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის პირველივე დღეებიდანვე ქართული რეგულარული ჯარის მცირერიცხოვანი ქვედანაყოფები, სახალხო გვარდიის საბრძოლო რაზმებთან ერთად, წარმატებულად მოქმედებდნენ ბორჩალოს მაზრაში ოსმალთა ინტერვენტების, ხოლო შიდა ქართლში, აფხაზეთსა და შავეზღვისპირეთში რუსული ბოლშევიკური რაზმებისა და მათ მიერ ინსპირირებული ადგილობრივი მოსახლეობის შეიარაღებული გამოსვლების წინააღმდეგ.

ცალსახად უნდა აღინიშნოს, რომ მთელი 1918 წლის განმავლობაში საქართველოს შეიარაღებული ძალები, ძირითადად, მაინც მილიციური ტიპისა იყო და ლაშქრის

---

<sup>1</sup> სეაცსსა. ფონდი 1861, ანაწერი 2, საქმე 18, ფურცელი 52.

(ლაშქრის, და არა ჯარის) შეკრებაც მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში ხდებოდა. სომხეთ-საქართველოს ომის მსვლელობის დროს სწორედ ასეთი ლაშქარი შეადგენდა საქართველოს ჯარის მნიშვნელოვან ნაწილს, რომლის საბრძოლო და პროფესიული მომზადების ხარისხი ვერ იდგა სათანადო დონეზე. ჩვენს მიერ გაკეთებული ეს დასკვნა, ცხადია, მხოლოდ რიგით შემადგენლობას ეხება. სწორედ ამაზე მეტყველებს საქართველოს რეგულარული ჯარის მე-2 ქვეითი დივიზიის მე-5 პოლკის დამრტყმელი შერეული ბატალიონის მეთაურის, პოდპოლკოვნიკ მიქაბერიძის პატაკის შინაარსიც: „ყველა ბრძოლაში აღსანიშნავია კაპიტან ამაშუკელის, პოდპორუჩიკების - ჩაჩავას, ჩხენკელის, პრაპორშიკების - დოლიძისა და კანდელაკის საბრძოლო დამსახურება, რომლებიც თავისი მოქმედებებითა და სიმამაცით მაგალითს აძლევდნენ *გაუწვრთნელ, გამოუცდელ ჯარისკაცებს, რომელთა შორი ბევრი იყვნენ ისეთებიც, რომლებიც პოლკში სულ რამდენიმე დღის მოსულები იყვნენ. მეც და ჩემს ოფიცრებსაც პირდაპირ პოზიციებზე გვიხდებოდა ჯარისკაცთათვის იარაღის დატენვის, სამიზნის დაყენებისა და სროლის სწავლება*”. (ხაზგასმა ჩემია - ა. ჩ)<sup>1</sup> და ეს მაშინ, როცა საბრძოლო ორგანიზებისა და საერთო დისციპლინის მხრივ, სწორედ მე-5 და მე-6 ქვეითი პოლკები ითვლებოდნენ საქართველოს რეგულარული ჯარის ყველაზე მაღალორგანიზებულ ნაწილებად. ქართული ეროვნული შეიარაღებული ძალების შექმნის პროცესზე გენერალი გიორგი მაზნიაშვილი<sup>2</sup> მოგვით-

<sup>1</sup> სეაცსა. ფონდი 1878, ანაწერი 2, საქმე 19/გ, ფურცელი 64.

<sup>2</sup> გიორგი მაზნიაშვილი (1870-1937წ.წ.) – გამოჩენილი ქართველი სამხედრო მოღვაწე და მხედართმთავარი, საქართველოს ეროვნული გმირი. 1904-1905 წლების რუსეთ-იაპონიისა და I მსოფლიო ომების მონაწილე, რუსეთის საიმპერატორო არმიის გენერალ-მაიორი და ქართული არმიის გენერალი. I მსოფლიო ომის მსვლელობისას, დასავლეთის ფრონტზე, მეთაურობდა დივიზიას. 1917 წლის ბოლოდან საქართველოშია. მონაწილეობს ქართული არმიის აღმშენებლობის საქმეში. ინიშნება ქართული ნაციონალური საარმიო კორპუსის მე-2 ქვეითი დივიზიის მეთაუ-

ხრობს: „ქართული საარმიო კორპუსის ბირთვი 1917 წლის ბოლოს ფრონტიდან დაბრუნებული ორი ქართული პოლკი (ერთი ქვეითი, ერთი საკავალერიო) და ქუთაისში შემდგარი ერთი სათადარიგო ბატალიონი (ათასეული) უნდა გაბნდარიყო“.<sup>1</sup>

საერთო ჯამში, იდეაში, საომარი მოქმედებების დროს, ქართული კორპუსის სტრუქტურა სამი დივიზიით იყო განსაზღვრული: „იგეგმებოდა მესამე დივიზიის შექმნა და მისი დაბანაკება ბათუმ-ართვინ-არდაგან-ახალციხის რაიონებში, რომ რაღაც გველოდა ოსმალების წინააღ-

---

რად. 1918 წლის დასაწყისიდან თბილისის გარნიზონისა და ბორჩალოს მაზრის დაცვის უფროსია. 1918 წლის მაისიდან აფხაზეთის გენერალ-გუბერნატორი და შავიზღვისპირეთის ჯარების სარდალია. 1918 წლის ნოემბრიდან ქალაქ თბილისისა და თბილისის გუბერნიის სამხედრო ოლქისა და აღმოსავლეთ საქართველოს რკინიგზების გენერალ-გუბერნატორი. 1918 წლის დეკემბრიდან სომხეთ-საქართველოს ომის შუღლავერის ფრონტის სარდალი. 1919 წლის თებერვლიდან ახალციხისა და ახალქალაქის მაზრების გენერალ-გუბერნატორი და რეგიონში დისლოცირებული ქართული გარნიზონის ჯარების სარდალი. 1919 წლის მარტი – 1920 წლის დეკემბრის პერიოდში ჩამოშორებულ იქნა საქმიანობას. 1920 წლის დეკემბრიდან ქალაქ თბილისის გარნიზონის უფროსი. 1921 წლის თებერვალში რუსეთ-საქართველოს ომის სოღანღუდის ფრონტის სარდალი, 1921 წლის მარტში დასავლეთ საქართველოს ფრონტის სარდალი და ბათუმის გარნიზონის ჯარების სარდალი. გიორგის ჯვრის კავალერი. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ რჩება საქართველოში და მონაწილეობს ქართული წითელი შენაერთის ფორმირებაში. ინიშნება საბჭოთა საქართველოს წითელი ქვეითი დივიზიის მეთაურად, შემდეგ – რესპუბლიკის ჯარების მთავარ სამხედრო ინსპექტორად. მცირე ხნით იმყოფებოდა ემიგრაციაში, საფრანკეთში, საიდანაც უკან 1925 წელს დაბრუნდა. სიცოცხლის ბოლო წლები გაატარა კასპის რაიონის სოფელ სასირეთში. 1937 წელს ბოლშევიკებმა დააპატიმრეს და თავის უფროს შვილთან, ივანესთან ერთად დახვრიტეს. მისი საფლავი არ არსებობს.

<sup>1</sup> გიორგი მაზნიაშვილი. მოგონებები. 1917–1925. გამომცემლობა „საბჭოთა აჭარა“. ბათუმი. 1990. გვ. 4.

მდეგ”,<sup>1</sup> - იხსენებს გენერალი ზაქარიაძე. ერთმნიშვნელოვნად უნდა აღვნიშნოთ, რომ სომხეთთან საომარი მოქმედებების დროს, ე.წ. „ქართული სააარმიო კორპუსი“ 1918 წლისათვის ორ არასრულ „დივიზიად“ იყო წარმოადგენილი და მათ დივიზიებიც პირობითად შეიძლება ვუწოდოთ, რადგან ისინი არც სტრუქტურით, არც შეიარაღებითა და, მითუმეტეს, არც პირადი შემადგენლობის რიცხოვნობით, ნამდვილად არ შეესაბამებოდნენ აღნიშნულ შენაერთებს. მე-2 ქართული ქვეითი დივიზიის კომპლექტაცია და საბრძოლო სტრუქტურამდე აყვანა მხოლოდ სომხეთ-საქართველოს ომის მსვლელობისას, დეკემბრის ბოლოს დასრულდა. ცხენოსანი ბრიგადის სრული ფორმირება კი, საერთოდ აღარ განხორციელებულა. 1-ლი ქვეითი დივიზიის ნაწილები დასავლეთ საქართველოში იყო დისლოცირებული, დივიზიის შტაბით ქ. ქუთაისში, ხოლო მე-2 დივიზიისა - აღმოსავლეთ საქართველოში, შტაბით ქ. თბილისში. 1918 წლისათვის მათ შესაბამისად გენერლები არჯევანიძე და მაზნიაშვილი მეთაურობდნენ.

---

<sup>1</sup> გენერალი ალექსანდრე ზაქარიაძე. ჟურნალი „მხედარი“. 1992. №2. გვ. 45.

<sup>2</sup> გიორგი არჯევანიძე (1863-1940წ.წ.) – ქართველი ოფიცერი, რუსეთის საიმპერატორო არმიის პოლკოვნიკი და ქართული არმიის გენერალი. 1904-1905 წლების რუსეთ-იაპონიის ომისა და I მსოფლიო ომების მონაწილე. დაამთავრა პეტროვსკ-პოლტავის სამხედრო გიმნაზია. სამხედრო სამსახურშია 1881 წლიდან. 1910 წლიდან რუსეთის არმიის პოლკოვნიკია. 1913-1915 წლებში გრენადერების მეგრელთა პოლკის მეთაურის მოადგილე, 1915-1917 წლებში ბაქოს 153-ე პოლკის მეთაური, კავკასიის ფრონტის არზრუმის ოპერაციის მონაწილე და ერთ-ერთი გმირი. 1917 წლის სექტემბრიდან 1917 წლის ოქტომბრამდე ქვეითი დივიზიის მეთაური. 1918 წლიდან საქართველოს შეიარაღებულ ძალებშია, ქართული არმიის I ქვეითი დივიზიის მეთაური. 1920 წლიდან იყო საქართველოს მთავრობის საგანგებო რწმუნებული და ქალაქ ფოთის სამხედრო გარნიზონის უფროსი. გიორგის ჯვრის კავალერი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის რუსულ-თურქული ბოლშევიკურ-ქემალისტური ოკუპაციის შემდეგ ემიგრაციაში არ წასულა და დარჩა სამშობლო-

საქართველოს წითელი, მოგვიანებით სახალხო გვარდია, ძირითადადში მმართველი სოციალ-დემოკრატიული პარტიის პარამილიტარულ შენაერთს წარმოადგენდა და მისი სამეთაურო შემადგენლობაც ამ პარტიის აქტივისტებით იყო დაკომპლექტებული. არსებობდა აგრეთვე ანალოგიური პრინციპით აგებული სხვა საბრძოლო რაზმებიც (მაგ. სოციალისტ-ფედერალისტთა რევოლუციური პარტიის), რომლებიც სულ მალე სახალხო გვარდიაში გაერთიანდნენ. გვარდიის უმაღლეს მმართველ ორგანოს მთავარი შტაბი წარმოადგენდა, რომელიც არჩევითი ორგანო იყო. იგი ჯერ 13, შემდეგ კი 21 კაცის შემადგენლობით იყო წარმოდგენილი და მას უცვლელად სოციალ-დემოკრატთა ერთ-ერთი ლიდერი (გამენშევიკებული ბოლშევიკი) ვალიკო ჯუღელი ედგა სათავეში, ხოლო გვარდიის საპატიო სარდლის თანამდებობა თვით მთავრობის თავმჯდომარეს, ბატონ ნოე ჟორდანიას ეკავა. სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის პირველ შემადგენლობას კი, შემდეგი სახე ჰქონდა: ნ. ჟორდანია (საპატიო თავმჯდომარე), ვ. ჯუღელი (თავმჯდომარე), აღ. დგებუაძე (თავმჯდომარის მოადგილე), აღ. მაისურაძე (თავმჯდომარის მოადგილე), ს. ჯიბლაძე (საპატიო წევრი), ვლ. ჯიბლაძე (თავმჯდომარის მოადგილე), ან. ჭიაბრიშვილი (თავმჯდომარის მოადგილე), დ. საღირაშვილი (თავმჯდომარის მოადგილე), რ. აუშტროვი<sup>1</sup> (მდივანი), გ. ფა-

---

ში. მსახურობდა წითელ არმიაში, არმიის სარდლის გაბსაკუთრებულ დავალებათა შემსრულებლად. 1922 წლიდან ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას. იყო ქართული გაერთიანებული სამხედრო სკოლის, ხოლო 1927 წლიდან – ამიერკავკასიის ქვეითთა სკოლის მასწავლებელი. 1928 წლიდან პერსონალური პენსიონერი. გარდაიცვალა 1940 წელს.

<sup>1</sup> რუბენ აუშტროვი (1887-1937წ.წ.) – ძველი რევოლუციონერი, სოციალ-დემოკრატი, საქართველოში მოღვაწე ეროვნებით სომეხი პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე, პროფესიით იურისტი, საქართველოს სახალხო გვარდიის ერთ-ერთი შემქმნელი და მისი მთავარი შტაბის წევრი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრი. დაიბადა ქუთაისში. დაამთავრა ქუთაისის კლასიკური გიმნაზია. შემდეგ

ღავა (მდივანი), ალ. ფარნიევი, ნ. ქარცივაძე, ზ. გურული, ვ. გოგეშვილი, ემ. სირბილაძე, ი. ხარაში, თ. შენგელია, მ. ვარდლიანი, ტ. ფარქოსაძე, ლ. რუხაძე, ვ. მუხარინსკი.<sup>1</sup> სახალხო გვარდიის რეგიონალური მართვის სტრუქტურა ნელ-ნელა გაფართოვდა და იგი საქართველოს თითქმის ყველა რეგიონს მოიცავდა, სადაც მას გვარდიის რაიონული შტაბები ჰქონდა დაფუძნებული. სახალხო გვარდიას გააჩნდა ქვეითი, საკავალერიო და საარტილერიო ნაწილები, მის შემადგენლობაში შედიოდა აგრეთვე ჯარების ტექნიკური სახეობა - ჯავშანმატარებლები და ჯავშანმანქანების პარკი. ჯავშნოსან მატარებლებს სათავეში სიცოცხლეშივე ლეგენდად ქცეული ქართველი ოფიცერი, პორუჩიკი ვალოდია გოგუაძე ედგა. 1917 წლის ბოლოდან ამიერკავკასიის წითელმა, და შემდეგ საქართველოს სახლხო გვარდიამ არაერთი ლოკალური ხასიათის საბრძოლო ამოცანის გადაწყვეტას გაართვა თავი, რაც ძირითადადში მცირე მასშტაბის

---

სწავლა განაგრძო მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. სტუდენტობისას გახდა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის (რსდმპ) წევრი. აქტიურად მონაწილეობდა 1905 წლის რევოლუციურ მოძრაობაში. თბილისში დაბრუნების შემდეგ მუშაობდა ადვოკატად. ამავე დროს, არალეგალურად იყო სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების პროპაგანდისტი. 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ მუშაობდა თბილისის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში. იმავე წლის დეკემბერში მონაწილეობდა საქართველოს წითელი, მოგვიანებით სახალხო გვარდიის შექმნაში. შემდგომში იყო სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის წევრი და მუდმივი მდივანი. იყო საქართველოს დამოუკიდებლობის აქტზე ერთ-ერთი ხელმომწერი. 1919 წლის 12 მარტიდან იყო საქართველოს დამფუძნებელი კრების და სამხედრო კომისიის წევრი. 1921 წლის ბელშეიკური ოკუპაციის შემდეგ ტოვებს სამშობლოს და მთავრობის სხვა წევრებთან ერთად მიდის ემიგრაციაში. ცხოვრობდა საფრანგეთში, სადაც გარდაიცვალა კიდეც 1937 წელს. დაკრძალულია ლევილის ქართველთა სასაფლაოზე.

<sup>1</sup> სურნალი „სახალხო გვარდიელი“. სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის ორგანო. 1920 წლის 12 დეკემბერი. №1.



ადგილობრივი კონფლიქტებისა და ბოლშევიკთა გამოსვლების ჩახშობაში გამოიხატებოდა.

გვარდიაში უცხო ხილი არ იყო უდისციპლინობა და არაორგანიზებულობა. უფრო მეტიც, საბრძოლო მოქმედებების დროსაც კი, ხშირად ჰქონდა ადგილი თავნებობას და დაუმორჩილებლობას. „გვარდიამ არ იცოდა რაა თავდაცვა, რაა ბრძოლა, ომში არ ყოფილან უმეტესობა. დაზვერვა არ არსებობდა... აბა შეიძლება ჯარი გყავდეს და დაზვერვა არ იყოს? დაზვერვისათვის თანხა არ არსებობდა. ორად ორი კაცი იყო დაზვერვის მთელი უწყებისათვის - ალექსანდრე ბაგრატიონი, პოლკოვნიკი და ვალიკო თევზაძე. მე იმას ვერ ვიტყვი, რომ გვარდია ბრძოლის ველზე არ გამოდიოდა თქო, მაგრამ რა ძალა იყო, ეს სხვა ამბავია. როგორც სამხედრო ძალა, გვარდია გამოუსადეგარი იყო”,<sup>1</sup> - აღნიშნავდა თავის მემუარში გენერალი შალვა მაღლაკელიძე. პატივცემული ავტორი აქ მცირე უტრირებას უკეთებს საკითხს - „ორად ორი კაცი დაზვერვის მთელი უწყებისათვის“ ნამდვილად არ იყო. დაზვერვის ოფიცრების ჩამოთვლისას, იგი საერთოდ არ ახსენებს გენშტაბის სადაზვერვო ქვეგანყოფილების უფროსს, გენერალური შტაბის პოდპოლკოვნიკ ძაგანიას.

სახალხო გვარდიის ნაწილების არაორგანიზებულობამ და უდისციპლინობამ მასშტაბურად სომხეთ-საქართველოს ომის მიმდინარეობისას, 1918 წლის ბოლოს იჩინა პირველად თავი, როცა ორ უმნიშვნელოვანეს ბრძოლაში, ეკატერინენფელდთან და განსაკუთრებით შულავერთან, გვარდიის ქვედანაყოფებისა და რაზმების ყოვლად უპასუხისმგებლო მოქმედებებმა სასწორზე შეაგდო ამ ბრძოლების ბედი და დიდ ხიფათში ჩააგდო სხვა ქართული ქვედანაყოფები. უფრო მეტიც, სახალხო გვარდიის ყოვლად უპასუხისმგებლო მოქმედებებმა შულავერის ოპერაციის მსვლელობისას, გარკვეულწილად განსაზღვრა კიდევ ამ ომის საბოლოო შედეგები. გვარდიის სწორედ ეს მოქმედე-

---

<sup>1</sup> შ. მაღლაკელიძე - მოგონებები. ვ. რცხილაძე. ჟურნალი „განთიადი“. ქუთაისი. 1991. №3. გვ. 136.

ბები უნდა გამხდარიყო საყოველთაო განგაშის წინაპირობა, რომლის გაუთვალისწინებლობამაც, სამწუხაროდ, მოგვიანებით, უკვე 1921 წლის თებერვალ-მარტში, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიერ რუს ბოლშევიკებთან და თურქ ქემალისტებთან წარმოებულ ომში სრული კატასტროფის წინაშე დააყენა ქართული ჯარი და მთლიანად ქართული სახელმწიფოებრიობა. ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი ზემოთქმულისა ისიც იყო, რომ გვარდიის ხელმძღვანელობასა და სამეთაურო რგოლში თითქმის არ იყო კადრის, პროფესიონალი და გამოცდილი ოფიცერი. კადრის ოფიცრები მხოლოდ საომარი მოქმედებების დროს მიევლინებოდნენ გვარდიაში, რასაც მინიმალური ეფექტი მოჰქონდა. საქართველოს რეგულარული ჯარიც არ გამოირჩეოდა საზოგადოდ სანიმუშო მდგომარეობით, მაგრამ ერთ-ერთი ყველაზე შემაშფოთებელი მოვლენა საქართველოს შეიარაღებული ძალების სისტემაში, წითელ (სახალხო) გვარდიასა და რეგულარულ ჯარს შორის არსებული დაპირისპირება იყო: „ჯარისკაცები იყვნენ სახლებში თოფებითა და ტანსაცმლით და საჭიროების შემთხვევაში ცხადდებოდნენ თავთავიანთ ნაწილებში, ისე, როგორც ეს შვეიცარიაშია. სახალხო გვარდიაში ოფიცრების ხარისხები (იგულისხმება სამხედრო წოდებები - ა. ჩ.) არ იყო. გვარდიას უმეტესად შეადგენდნენ უმთავრესად პარტიის წევრები, მენშევიკები. მხოლოდ ერთი ათასეული იყო შედგენილი სოციალისტ-ფედერალისტების მიერ გენ. იოსებ გედევანიშვილის<sup>1</sup> უფროსობით, რომელიც პირველი მსოფ-

---

<sup>1</sup> იოსებ (სოსო) გედევანიშვილი (1873-1939წ.წ.) – რუსეთის საიმპერატორო არმიის შტაბს-კაპიტანი და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების გენერალი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო მინისტრის თანაშემწისა და შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის, გენერალ ალექსანდრე გედევანიშვილისა და პოლკოვნიკ ნიკოლოზ გედევანიშვილის ძმა. რევოლუციონერი ოფიცერი, სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის წევრი 1905-1923 წლებში. რკპ(ბ) წევრი 1924 წლიდან. დუშეთის კომენდანტი. 1905-1907 წლების რევოლუციის აქტიური მონაწილე, რის გამოც კაპიტნის წოდებით დათხოვნილ იქნა რუსეთის არმიიდან.

ლიო ომის წინ, პოლიტიკური საქმიანობისათვის ჯარიდან იყო განთავისუფლებული. ჯარსა და გვარდიას შორის ურთიერთობა ვერ იყო იდეალური. გვარდიის ოფიცრებს ჰქონდათ ზოგიერთი პრივილეგია, რაც მუდმივ ჯარს აღი-

---

მას შემდეგ ეწეოდა აქტიურ პოლიტიკურ და რევოლუციურ საქმიანობას. ამავე დროს დაკავებული იყო თეატრალური ცხოვრებითა და დრამატურგიით. 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ ამიერკავკასიის ნაციონალური არმიისა და ქართული საარმიო კორპუსის შექმნის ერთ-ერთი ინიციატორი და ხელმძღვანელი. საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრი, სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის აღმასკომის წევრი. 1919 წლიდან – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრი. 1918 წლის დასაწყისიდან ფედერალისტთა ბათუმის საბრძოლო ე.წ. „პარტიზანული რაზმის“ მეთაური. 1918 წლის აგვისტოდან ინიშნება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო სამინისტროს საერთო განყოფილების უფროსად. ამავე პერიოდიდან აქვეყნებს სტატიებს სამხედრო ისტორიასა და სამხედრო ხელოვნებაში. 1919 წლის დასაწყისიდან ინიშნება აფხაზეთისა და შავიზღვისპირეთის ქართული გარნიზონის სარდლად, 1920 წლის დეკემბერში ინიშნება ბორჩალოს მაზრის ქართული გარნიზონის სარდლად, ხოლო იმავე წლის თებერვლიდან, ბოლშევიკური სამხედრო ინტერვენციის დაწყებასთან დაკავშირებით, ინიშნება სამხრეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთის ფრონტის სარდლად. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის რუსულ-თურქული ბოლშევიკურ-ქემალისტური ოკუპაციის შემდეგ, 1921 წლის მარტიდან, მთავრობის წევრებისა და სხვა სამხედროების მსგავსად ემიგრაციაში არ წასულა და დარჩა საქართველოში. მალევე შეეგუა საქართველოს ბოლშევიკურ მმართველობას. 1924 წლიდან ხდება კომუნისტური პარტიის წევრი და მუშაობს სხვადასხვა თანამდებობებზე. ამავე პერიოდში დაკავებულია სამეცნიერო და პუბლიცისტური საქმიანობით. ავტორია სამხედრო-ისტორიული ხასიათის შრომებისა „სამხედრო ხელოვნება საქართველოში“, „სამხედრო ხელოვნება ვეფხისტყაოსანში“, „მოთხრობათა კრებული“ და სხვა. გარდაიცვალა 1939 წელს. დაკრძალულია მცხეთაში, სვეტიცხოვლის ტაძრის ტერიტორიაზე.

ზიანებდა“.<sup>1</sup> აქ, შენიშვნის სახით დავამატებდით, რომ იოსებ (სოსო) გედევანიშვილი 1918 წლის დასაწყისისათვის კაპიტნის ჩინს ატარებდა და მისი გაგენერლებაც, გასაგები მიზეზების გამო, საკმაოდ სწრაფად მოხდა, ხოლო ის ფაქტი, რომ გვარდიასა და რეგულარული ჯარის ნაწილებს შორის პრივილეგიებში დიდი სხვაობა იყო, წარმოადგენდა სწორედ ქართული შეიარაღებული ძალების ერთ-ერთ უდიდეს დამანგრეველ ფაქტორს. გარდა ამისა, გადაჭრით უნდა ითქვას, რომ წითელი გვარდია პოლიტიზირებული, ფაქტიურად ერთპარტიულობის პრინციპზე აგებული პრეტორიანული საბრძოლო შენაერთი იყო და მისი მთელი პირადი შემადგენლობის იდეოლოგიაც, როგორც რიგითი, ასევე სამეთაურო შემადგენლობისა, გასაგები მიზეზების გამო, სოციალისტურ-ინტერნაციონალისტური უფრო იყო, ვიდრე ეროვნული და პატრიოტული.

ძველი ჯარისკაცი ჯარში არა ჩერდებოდა. შეკრებდნენ პოლკს, მისცემდნენ იარაღს, ჩააცმევდნენ (საწყობებში იარაღი და ტანისამოსი ჯერ კიდევ ბევრი იყო), ავარჯიშებდნენ რამდენიმე დღეს და ერთ მშვენიერ დღეს ყაზარმა ცარიელი დახვდებოდათ. მიდიოდნენ იარაღიანად. მთავრობამ ჩამოაყალიბა წითელი გვარდია, რომლის სათავეში დააყენა ვალერიან ჯუღელი. გვარდია იყო უფრო საეგზეკუციო ნაწილი, ხალხში თავიდანვე გაუტყდა სახელი, როგორც დამსჯელ შენაერთს.<sup>2</sup> - წერდა მოგვიანებით თავის მემუარში ამ ამბების უშუალო მომსწრე და თვითმხილველი, იმ დროისათვის საქართველოს შეიარაღებული ძალების სამხედრო მოსამსახურე და სომხეთ-საქართველოს ომის მონაწილე, ბატონი ნიკო კეცხოველი.<sup>3</sup>

---

<sup>1</sup> ვ. თევზაძე. ქართველი ოფიცრის ჩანაწერები. „მეცნიერება“. თბილისი. 1990. გვ. 38.

<sup>2</sup> ნიკო კეცხოველი. პირადი არქივი - „ნარ-ეკლებით მოფენილი გზა“. თბილისი. გვ. 279.

<sup>3</sup> ნიკო კეცხოველი (1897-1982წ.წ.) – დიდი ქართველი მეცნიერი, ბოტანიკოსი. პუბლიცისტი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აკადემიკოსი. ბოტანიკური სკოლის ერთ-ერთი დამაარსებელი საქართვე-

ლოში და ბოტანიკის პოპულარიზატორი. 1929 წლიდან ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, კათედრის დოცენტი. 1937 წლიდან ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბოტანიკის კათედრის გამგე 1933 წლიდან გარდაცვალებამდე. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ერთ-ერთი ფუძემდებელი და მისი ვიცე-პრეზიდენტი 1943-1945 წლებში. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი 1945-1952 წლებში. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბოტანიკის ინსტიტუტის დამაარსებელი და მისი უცვლელი დირექტორი 1963 წლიდან გარდაცვალებამდე. საქართველოს ბოტანიკოსთა საზოგადოების დაარსების ერთ-ერთი ინიციატორი და მისი უცვლელი თავმჯდომარე 1958 წლიდან. ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მთავარი სარედაქციო კოლეგიის წევრი. შოთა რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატი. 1918-1919 წლებში ბატონი ნიკო კეცხოველი ქართულ რეგულარულ ჯარში მსახურობდა, საარტილერიო ბატარეაში. იყო საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი დამაარსებელი, პარტიის ხალგაზრდული ორგანიზაციის ერთ-ერთი ლიდერი და ამავე საქართველოში. მალევე შეეგუა საქართველოს ბოლშევიკურ მმართველობას. 1924 წლიდან ხდება კომუნისტური პარტიის წევრი და მუშაობს სხვადასხვა თანამდებობებზე. ამავე პერიოდში დაკავებულია სამეცნიერო და პუბლიცისტური საქმიანობით. ავტორია სამხედრო-ისტორიული ხასიათის შრომებისა „სამხედრო ხელოვნება საქართველოში“, „სამხედრო ხელოვნება ვეფხისტყაოსანში“, „მოთხრობათა კრებული“ და სხვა. გარდაიცვალა 1939 წელს. დაკრძალულია მცხეთაში, სვეტიცხოვლის ტაძრის ტერიტორიაზე.

ვ. თევზაძე. ქართველი ოფიცრის ჩანაწერები. „მეცნიერება“. თბილისი. 1990. გვ. 38.

ნიკო კეცხოველი. პირადი არქივი - „ნარ-ეკლებით მოფენილი გზა“. თბილისი. გვ. 279.

ნიკო კეცხოველი (1897-1982წ.წ.) – დიდი ქართველი მეცნიერი, ბოტანიკოსი. პუბლიცისტი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აკადემიკოსი. ბოტანიკური სკოლის ერთ-ერთი დამაარსებელი საქართველოში და ბოტანიკის პოპულარიზატორი. 1929 წლიდან ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, კათედრის დოცენტი. 1937 წლიდან ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

საწყის ეტაპზე საქართველოს პირველი, ორგანიზებული საჯარისო შენაერთი შედგებოდა „ერთი ქვეითი ბატა-

---

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბოტანიკის კათედრის გამგე 1933 წლიდან გარდაცვალებამდე. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ერთ-ერთი ფუძემდებელი და მისი ვიცე-პრეზიდენტი 1943-1945 წლებში. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი 1945-1952 წლებში. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბოტანიკის ინსტიტუტის დამაარსებელი და მისი უცვლელი დირექტორი 1963 წლიდან გარდაცვალებამდე. საქართველოს ბოტანიკოსთა საზოგადოების დაარსების ერთ-ერთი ინიციატორი და მისი უცვლელი თავმჯდომარე 1958 წლიდან. ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მთავარი სარედაქციო კოლეგიის წევრი. შოთა რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატი. 1918-1919 წლებში ბატონი ნიკო კეცხოველი ქართულ რეგულარულ ჯარში მსახურობდა, საარტილერიო პარტიის ბეჭდვითი ორგანოს, გაზეთ „საქართველოს“ კორესპონდენტი. 1918 წლის დეკემბერში მონაწილეობდა გენერალ აბელ მაყაშიელის შენაერთების მიერ ახალციხისა და ახალქალაქის მახრების დაკავებაში და ამ რევიონების ქართული სახელმწიფოსათვის შემომტვიცნებაში. სომხეთ-საქართველოს ომში ახტალა-ალავერდის ბრძოლის აქტიური მონაწილე, სადაც 1918 წლის 16 დეკემბერს მძიმედ დაიჭრა კიდევ. მას შემდეგ ნიკო კეცხოველი დაინვალიდდა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ბოლშევიკურ-ქემალისტური ოკუპაციის შემდეგ იყო საქართველოს ეროვნულ-გამმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი თვალსაჩინო მოღვაწე. 1921 და 1923 წლებში იყო დაპატიმრებული. 1924 წლის აჯანყების შემდეგ ჩამოსცილდა პოლიტიკურ საქმიანობას და თავი მეცნიერებას მიუძღვნა. 1941-1942 წლებში სხვა ცნობილ მოღვაწეებთან ერთად (ნ. მუსხელიშვილი, მ. ზანდუკელი, შ. ნუცუბიძე, დ. უზნაძე, გ. წერეთელი და სხვანი) თანაუგრძნობდა ფარულ პატრიოტულ ორგანიზაციას „სამანი“. მისი მრავალრიცხოვანი სამეცნიერო ნაშრომები და კვლევები ეხება საქართველოს მცენარეული საფარის გეობოტანიკურ, ბოტანიკურ-გეოგრაფიულ და სისტემურ გამოკვლევებს, მისი აღდგენისა და დაცვის პრობლემებს. გარდაიცვალა 1982 წელს, 85 წლის ასაკში. დაკრძალულია თბილისში, დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

ლიონის, ერთი გვარდიის ბატალიონის, ერთი ბატარეის,<sup>1</sup> გვარდიის ერთი ცხენოსანი დივიზიის, ერთი გერმანული - ბავარიელ ეგერთა<sup>2</sup> ბატალიონისაგან<sup>3</sup>.<sup>3</sup> დამატებით ჯავშან-მატარებლების პარკი, აგრეთვე საავიაციო რაზმები თბი-

---

<sup>1</sup> ბატარეა (ფრანგ. Batterie) – სამხედრო ტერმინი, რომელიც აღნიშნავს ტაქტიკურ ერთეულს არტილერიაში. დაახლოებით შეესაბამება ქვეითი ჯარების ასეულს. დანიშნულებისა და კალბრის მიხედვით არჩევენ საველე, მსუბუქ, მძიმე, სამთო, სააღყო, სიმაგრის, საჰაერო და სანაპირო დაცვის ბატარეებს. როგორც წესი, თანამედროვე საარტილერიო ბატარეა შედგება ორი-სამი საცეცხლე ოცეულისგან და გააჩნია 4-8 ქვემეხი (ნაღმსატყორცნი, პაუბიცა, მორტირა, რეაქტიული საარტილერიო დანადგარი და ა.შ.)

<sup>2</sup> ეგერები (გერმ. Jäger – პირდაპირი მნიშვნელობით „მონადირე“) – მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის შეიარაღებულ ძალებში არსებული მსუბუქი ქვეითი ჯარის სამხედრო მოსამსახურე. პირველად ეს ტერმინი ჩნდება 1618-1648 წლების ოცდაათწლიანი ომის დროს. შემდგომში, უკვე 1756-1763 წლების შვიდწლიანი ომის მსვლელობისას ქვეითი ჯარის ეს ტიპი უფრო ვრცელდება, განსაკუთრებით, პრუსიის არმიაში. საქმე იმაშია, რომ პრუსიაში ეგერებად მიჰყავდათ მეტყვევების, მონადირეებისა და კვალმაძიებლების შვილები, რომლებიც თავისი პროფესიიდან გამომდინარე, განსაკუთრებულ უნარ-ჩვევებს ფლობდნენ. რთულ რელიეფზე უფრო ეფექტურად მოქმედებდნენ მცირერიცხოვანი ქვედანაყოფები, რომლებიც კარგად იცნობდნენ ადგილმდებარეობას, სწრაფად ახდენდნენ ადგილზე ორიენტაციას და რაც მთავარია, კარგი მსროლელები იყვნენ. რთულ და მთავორიან რელიეფზე ქვეითი ჯარის დიდი შენაერთების მოქმედებები არაეფექტური იყო, რადგან მათი სამარშო კოლონებად გადაადგილება და მით უმეტეს, საბრძოლო გაშლა რთული იყო. ამ დროს დიდი იყო საბრძოლო დანაკარგები. ეგერები, როგორც წესი, მოქმედებდნენ ინდივიდუალურად ან მცირე ტაქტიკურ ჯგუფებად. საბოლოოდ, როგორც მუდმივი ქვეითი ჯარის ერთ-ერთი ტიპი, ეგერები პრუსიაში, ფრიდრიხ II დიდის დროს ყალიბდებიან. ამის შემდგომ, ეგერები სხვა ქვეყნის შეიარაღებულ ძალებშიც ვრცელდებიან.

<sup>3</sup> გიორგი კვინიტაძე. მოგონებები. საქართველოს დამოუკიდებლობის წლები 1917-1921. ტომი I. „ლომისი“. თბილისი. 1999. გვ. 27.

ლისსა და ქუთაისში, მცირე ფლოტი<sup>1</sup> - ბაზირებით ფოთში. ჯარების იმუამინდელი საორგანიზაციო-საშტატო სტრუქტურით ეს საბრძოლო ერთეული ფაქტიურად ერთ სრულ, გაშლილ ბრიგადას წარმოადგენდა. ამ ამონარიდში აშკარად შეცდომაა დაშვებული საკავალერიო დივიზიასთან დაკავშირებით. საქართველოს შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში საკავალერიო დივიზია არასოდეს არ არსებობდა. უნდა იყოს მაქსიმუმ საკავალერიო ბრიგადა. გენერალ კვინიტაძის ამ მემუარში კი, მხოლოდ და მხოლოდ საკავალერიო დივიზიონზეა საუბარი, რომელიც სახალხო გვარდიის სტრუქტურაში იყო ჩართული - დივიზიონზე, და არა დივიზიაზე. როგორც ჩანს, თარგმანის დროს აქ ტექნიკური შეცდომაა გაპარული. აღსანიშნავია, რომ ქართული ცხენოსანი დივიზიონის ფორმირება, მისი მეთაურის, პოლკოვნიკ გიორგი (გოგი) ხიმშიაშვილის მიერ მხოლოდ 1918 წლის ბოლოდან დაიწყო.<sup>2</sup> ამ საკითხთან დაკავშირებით, 1918 წლის 14 და 15 ნოემბერს გამართულ სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის პრეზიდიუმის სხდომებზე საუბარია იმაზე, რომ პოლკოვნიკი ხიმშიაშვილი დივიზიონის საჭიროებისათვის თავად კრეფდა ცხენებს, უნაგირებს, აღჭურვილობასა და სანივთე ქონებას.<sup>3</sup>

საინტერესოა გენერალური შტაბის ოფიცრის, პოლკოვნიკ ვალერიან თევზაძის მოგონება ქართული ჯარის ჩამოყალიბების საკითხთან დაკავშირებით: „ჩვენი მთავრობა, როგორც მოვიხსენიე, სოციალისტური იყო და დიდ სურვილს არ იჩენდა რეგულარული ჯარის მოწყობისათ-

---

<sup>1</sup> ფლოტი (ფრანგ. Flotte, ნიდერ. Vloot) – ერთიანი სარდლობის ქვეშ თავმოყრილი საზღვაო ხომალდებისა და დამხმარე მცურავი საშუალებების, აგრეთვე მათი ეკიპაჟების მსხვილი გაერთიანება ოპერატიული და ოპერატიულ-სტრატეგიული ამოცანების გადასაწყვეტად.

<sup>2</sup> სეაცსსა. ჰარვარდისა და ლევილის ფონდები. ფონდი 1970, ანაწერი 3, საქმე 3, ფურცელი 199.

<sup>3</sup> სეაცსსა. ჰარვარდისა და ლევილის ფონდები. ფონდი 1970, ანაწერი 3, საქმე 3, ფურცელი 204.



ვის. საკმარისად მიაჩნდა ისეთი ორგანიზაციის შექმნა, როგორც შვეიცარიაში იყო, ე.ი. მილიციური სისტემის. არ ვიცი თუ ეს მიზანშეწონილი იყო ისეთ მძიმე პირობებში, როდესაც საქართველო გარშემორტყმული იყო მტრულად განწყობილი სახელმწიფოებით. მახსოვს, გენ. ოდიშელიძე, დიდად განათლებული და დამსახურებული ოფიცერი მხარს უჭერდა ამ წინადადებას, საჭიროდ არ სცნობდა ოფიცერთა ხარისხებს, მათ მაგიერ უკეთესად მიაჩნდა ოფიცერთა წოდება დაკავებული თანამდებობის თანახმად აღნიშნულიყო, როგორც გუნდის (ასეულის - ა. ჩ.), ათასეულის (ბატალიონის - ა. ჩ.), პოლკის უფროსი (მეთაური - ა. ჩ.) და სხვა. კომისიამ საბოლოოდ გადაწყვიტა შექმნილიყო სამი ქვეითი ბრიგადა, ერთი ცხენოსანი პოლკი და ცალკეული ბრიგადები - არტილერიის, საპიორთა და სხვა დარგების”<sup>1</sup>

საერთო ჯამში, საქართველოს შეიარაღებული ძალების სამხედრო სტრუქტურად, მშვიდობიანი პერიოდისათვის, ქვეითი ჯარის სამი ბრიგადის შექმნა განისაზღვრა, რომლებიც ომის შემთხვევაში სამ დივიზიად უნდა გაშლილიყო. 1918 წლისათვის, რეალურად, დასახული ამოცანა ვერ შესრულდა და შესაბამისი ნაწილები და შენაერთები ვერ ჩამოყალიბდა. მოცემულ საკითხთან დაკავშირებით ცალსახად უნდა დავაფიქსიროთ ჩვენი პოზიცია - ქართული მაღალორგანიზებული და ბრძოლისუნარიანი შეიარაღებული ძალების არშექმნის მთავარი მიზეზი საქართველოს სოციალ-დემოკრატიული ხელისუფლების იდეოლოგიური პოზიცია და შეიარაღებული ძალების დანაშაულებრივი გაპარტიულების პრინციპი იყო. სწორედ ამის გამო არ იქნა მიღებული ამიერკავკასიაში გერმანელთა საიმპერატორო ჯარების სარდლის, გენერალ კრეს ფონ კრეზენ-შტაინის რჩევა ქართული ჯარის სტრუქტურისა და კომპლექტაციის საკითხების შესახებ. „გერმანელების დროს მიღებული სამხედრო პროექტები - ორი ქვეითთა და ერთი ცხენოსანი დივიზიის შექმნა მოხდა ნაწილობრივ და არა

---

<sup>1</sup> ვ. თევზაძე. ქართველი ოფიცრის ჩანაწერები. თბილისი. „მეცნიერება“ 1990. გვ. 29.

სრული შემადგენლობით და ცხენოსანი დივიზიის სრული გამოკლებით. ამის მიზეზი განმარტა ცნობილმა მენშევიკმა ზაქარია გურულმა: "ცხენოსანი დივიზია გადაიქცევა თავად-აზნაურთა საჯირითო სარბიელად და ჩვენ არ გვესაჭიროებაო".<sup>1</sup> კავალერიის არშექმნის გამოღონებელი არგუმენტია წარმოდგენილი მემუარში. აქ, ჩვენის აზრით, ყოველგვარი კომენტარის გაკეთებაც კი ზედმეტია. ერთმნიშვნელოვნად ვეთანხმებით საქართველოს პარლამენტის წევრის, ეროვნულ-დემოკრატის, დავით ვაჩნაძის მოსაზრებებს ხსენებულ საკითხთან დაკავშირებით, მით უმეტეს, რომ იგი პროფესიონალი სამხედრო პირი იყო: „ს.-დ. (იგულისხმება სოციალ-დემოკრატთა - ა. ჩ.) მთავრობა თავიდან ცივად და უნდობლად დახვდა გენერალ ფონ კრესის წინადადება-რჩევას ერთი მთლიანი ეროვნული ჯარის საჩქაროდ შედგენისათვის, ნაცვლად საომრად უვარგისი პარტიული გვარდიისა.

- ჩვენ ვართ მოსულნი დროებით და ალბათ მოგვიხდება უკან დაბრუნება. უჯაროდ თქვენი სამშობლო ადვილად წაილეკება მეზობლებსაგან. ისარგებლეთ ჩვენი აქ ყოფნით, გამოცდილებით, ყოველგვარი დახმარებით და შეადგინეთ წესიერი, მაგარი ქართული ჯარი და გაიმაგრეთ თქვენი ქვეყანაო - მოუწოდებდნენ გერმანელი მრჩეველები ს.-დემოკრატების მეთაურებს პარლამენტის სამხედრო კომისიაში, მაგრამ ამოდ. ს.-დემოკრატები უარით დახვდნენ მათ წარმოდგენილ სამხედრო გეგმას, რომელიც მოითხოვდა ერთგვაროვანი მუდმივი ქართული ეროვნული ჯარის მოწყობას (როგორც მთავარ ძალოვან ნაწილს მომავალი საერთო კავკასიის ჯარისა) და პარტიული გვარდიის გაუქმებას... მიზეზი ასეთი გახელებული წინააღმდეგობისა ყველასათვის ნათელი იყო: პარტიული გვარდია მათ ესაჭიროებოდათ დაწყებული მიწების კონფისკაციის საქმის უზრუნველყოფისათვის და მომავალ დამფუძნებელ კრებაში სოფლის ხალხის უმრავლესობის ხმის მიღებისათვის თა-

---

<sup>1</sup> დავით ვაჩნაძე. ქართული ეროვნული ძირები და რუსული ბოლშევიზმი. თბილისი. 2004. (ორიგინალური გამოცემა მიუნხენი. 1957.) გვ. 71.

ვისი პარტიული დიქტატურის განმტკიცებისათვის. ამასთანავე მათ ემინოდათ და ამას არც მაღავედნენ, რომ ეროვნულ ჯარს სათავეში, მათი აზრით, „რეაქციონერი“ ოფიცრები, თავადაზნაურობის ჩამომავლობისა ჩაუდგებოდნენ”.<sup>1</sup> რა თქმა უნდა, მოყვანილ ციტატაში ავტორის გერმანოფილური განწყობა იგრძნობა, (გაგახსენებთ, რომ მან თავისი ცხოვრების უკანასკნელი წლები გერმანიაში გაატარა, სადაც გარდაიცვალა კიდევ 1962 წელს) მაგრამ ფაქტია, რომ ციტატაში მოყვანილი მოსაზრება დოკუმენტურად და რაც მთავარია, ფაქტობრივად დადასტურებულია. საერთო ჯამში, 1918 წლის შემოდგომამდე ქართული შეიარაღებული ძალების სტრუქტურაში - არც არმიაში და არც სახალხო გვარდიაში, ჯარების ორგანიზებული საკავალერიო გვარეობა არ არსებობდა. ასე, რომ მთელი ამ პერიოდის განმავლობაში როგორც სახალხო გვარდიას, ასევე რეგულარული არმიის ჩანასახოვან ქვედანაყოფებს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში საბრძოლო მოქმედებების წარმოება ოსმალური აგრესიისა და ბოლშევიკური გამოსვლების ჩასაქრობად, ცხენოსანი ჯარის მონაწილეობის გარეშე მოუწიათ. ხოლო 1918 წლის ზაფხულიდან აფხაზეთსა და შავიზღვისპირეთში რუსი ბოლშევიკების წინააღმდეგ დაწყებულ საომარ კამპანიაში, გენერალ მაზნიაშვილის შენაერთში აფხაზური კავალერია იქნა ჩართული. და ეს მაშინ, როდესაც მაღალი ბრძოლის უნარის მქონე ქართული ნაციონალური საკავალერიო ნაწილი ჯერ კიდევ I მსოფლიო ომის მსვლელობისას არსებობდა. აქ ირანში შეყვანილ გენერალ ბარათოვის<sup>2</sup> საექსპედიციო კორპუსში

---

<sup>1</sup> დავით ვაჩნაძე. ქართული ეროვნული ძირები და რუსული ბოლშევიზმი. თბილისი. 2004. (ორიგინალური გამოცემა მიუნხენი. 1957.) გვ. 61-62.

<sup>2</sup> ნიკოლაი ნიკოლაევიჩ ბარათოვი (ბარათაშვილი) (რუს. Николай Николаевич Баратов) (1865-1932წ.წ.) – ჩრდილოეთ კავკასიაში დაბადებული და გაზრდილი ქართული წარმოშობის რუსი მხედართმთავარი, კახაკთა ჯარების მეთაური და სარდალი, რუსეთის საიმპერატორო არმიის კავალერიის გენერალი, იდეოლოგიურად დაჯერებული მონარქისტი. რუსეთ-იაპონიისა

ჩართულ ქართულ საკავალერიო პოლკსა და მის წარმატებულ საბრძოლო მოქმედებებზეა საუბარი.<sup>1</sup> გასათვალისწინ-

და I მსოფლიო ომების აქტიური მონაწილე და წარმატებული სარდალი. 1900 წლიდან პოლკოვნიკი, სუნქის 1-ლი პოლკის მეთაური, 1905-1906 წლებში შერეული საკავალერიო კორპუსის შტაბის უფროსი. 1906 წლიდან გენერალ-მაიორი და საკავალერიო დივიზიის მეთაურია. 1907 წლის ივლისიდან ინიშნება მე-2 კავკასიური საარმიო კორპუსის შტაბის უფროსად. 1912 წლის დასაწყისიდან გენერალ-ლეიტენანტი. 1912 წლის ნოემბრიდან 1-ლი კავკასიური კაზაკთა დივიზიის მეთაური. I მსოფლიო ომში იბრძვის კავკასიის ფრონტზე. 1916 წლის აპრილიდან ირანში შეყვანილი კავკასიის არმიის საკავალერიო კორპუსის სარდალი. 1917 წლის მაისიდან კავკასიის მე-5 საარმიო კორპუსის სარდალი. 1917 წლის სექტემბრიდან კავალერიის გენერალი. თებერვლის რევოლუციის შემდეგ უნდობლობას უცხადებს დროებით მთავრობას და ტოვებს სარდლის თანამდებობას. დაუყოვნებლივ გადადის ბრიტანული სარდლობის დაქვემდებარებაში და რამდენიმე თვის განმავლობაში ცხოვრობდა ინდოეთში. 1918 წლიდან ბრუნდება რუსეთში და უერთდება ალექსეევის ორგანიზაციას. თეთრგვარდიული მოძრობის აქტიური წევრი და მისი ერთ-ერთი ლიდერი. 1919 წლიდან გენერალ დენიკინის სპეციალური სამხედრო და დიპლომატიური წარმომადგენელი საქართველოსა და ამიერკავკასიაში. გიორგის ჯვრის კავალერი. თბილისში ვიზიტად ყოფნის დროს, 1919 წლის 13 სექტემბერს, მასზე და გენერალ ოდიშელიძეზე ბოლშევიკი ტერორისტის მიერ ხორციელდება შეიარაღებული ტერაქტი, რის გამოც კარგავს კიდურს. 1920 წლის მარტი-აპრილში იყო სამხრეთ რუსეთის მტავრობის საგარეო საქმეთა სამინისტროს მმართველი. რუსეთის სამოქალაქო ომში დენიკინელთა დამარცხების შემდეგ, 1920 წლის ბოლოდან ემიგრაციაშია. ცხოვრობდა საფრანგეთში და ხელმძღვანელობდა რუსი სამხედრო ინვალიდების ორგანიზაციას. ამავე დროს იყო ჟურნალ „რუსი ინვალიდის“ მთავარი რედაქტორი. ერთდროულად, 1931 წლიდან ეკავა კავკასიის არმიის ოფიცერთა კავშირის თავმჯდომარის თანამდებობა. გარდაიცვალა 1932 წელს. დაკრძალულია ქალაქ სენ-ჟენევიე დე ბუას რუსულ სასაფლაოზე.

<sup>1</sup> არჩილ ჩაჩხიანი. პოლკოვნიკი ქაქუცა ჩოლოყაშვილი – „ჩვენ დამნაშავენი არა ვართ მთავრობისა და სამშობლოს წინაშე...“ „ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები“. ივ. ჯავახიშვილის


ნებელია ის ფაქტორიც, რომ ამ პოლკის როგორც უფროს, ასევე უმცროს ოფიცერთა პირადი შემადგენლობა მაღალი პროფესიული და პირადი თვისებებით იყო დაჯილდოებული. აფხაზეთის რეგიონსა და შავიზღვისპირეთში წარმოებული საომარი კამპანიის გამოცდილებიდან გამომდინარე, ბოლოს და ბოლოს, 1918 წლის შემოდგომისათვის ფორმირებულ იქნა ერთი საკავალერიო დივიზიონი და იგი სახალხო გვარდიის სტრუქტურაში იქნა შეყვანილი, სადაც ქართული ცხენოსანი პოლკის ოფიცერთა პირადი შემადგენლობის ერთი ნაწილიც იქნა ჩართული. ცხენოსანი დივიზიონის ფორმირებაში უდიდესი როლი მის მეთაურს, პოლკოვნიკ გოგი (გიორგი) ხიმშიაშვილს მიუძღოდა, რომელიც თავად კრეფდა ამისათვის საჭირო ცხენებს, უნაგირებს, სხვადასხვა საჭირო აღჭურვილობასა და სანივთე ქონებას.<sup>1</sup> ეს საკითხები 1918 წლის 15 ნოემბერს გამართულ სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის პრეზიდიუმის სხდომაში ოქმშია აღნიშნული.<sup>2</sup> ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით კი, საერთო ჯამში, ქართული საარმიო კორპუსის საორგანიზაციო-საბრძოლო სტრუქტურა 1918 წლისათვის, სქემატურად, შემდეგი სახით შეიძლება წარმოვადგინოთ:

---

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი. გამომცემლობა „უნივერსალი“. თბილისი. 1 (16). 2015. გვ. 196.

<sup>1</sup> სეაცსსა. ჰარვარდისა და ლევილის ფონდები. ფონდი 1970, ანაწერი 3, საქმე 3, ფურცელი 199.

<sup>2</sup> სეაცსსა. ჰარვარდისა და ლევილის ფონდები. ფონდი 1970, ანაწერი 3, საქმე 3, ფურცელი 204.



1918 წლის ბოლოს, სომხეთ-საქართველოს ომის მსვლელობისას, ფრონტებზე შექმნილი უმძიმესი მდგომარეობიდან გამომდინარე, ინტენსიურად დაიწყო მოხალისეთა რაზმების ჩამოყალიბებაც, რომლებსაც გამოცდილი ოფიცრები ჩაუდგნენ სათავეში, მაგრამ საერთო სამხედრო დისციპლინისა და საბრძოლო მომზადების მხრივ ეს რაზმები პრაქტიკულად არაბრძოლისუნარიანი ქვედანაყოფები აღმოჩნდნენ და მათ წინაშე დასმულ ამოცანას ვერ გაართვეს თავი. ამ რაზმებში არსებული მდგომარეობა თითქმის ყველა პარამეტრით ანალოგიური აღმოჩნდა სახალხო გვარდიაში არსებული მდგომარეობისა, იმ განსხვავებით, რომ ეს რაზმები არაპარტიულობის პრინციპით იქნა ჩამოყალიბებული. ამის ნათელი დადასტურებაა გენერალ-მაიორ მაზნიაშვილის შემდეგი სიტყვები: „დანარჩენი სამხედრო ნაწილები სხვადასხვა დასახელებებით „განსაკუთრებული რაზმი ჟორდანიასი“, „კერესელიძის“, „ფხაკაძის“ და სხვა, არაფერს წარმოადგენდნენ, ყველა ეს რაზმები ქა-

ღალღზე ირიცხებოდნენ, იღებდნენ სურსათს, ტანსაცმელს და საჭმელს არა ჯარისკაცების არსებული რიცხვის მიხედვით, არამედ თანახმად შედგენილი სიებისა. საგულისხმოა ისიც, რომ მიუხედავად იმისა, რომ მაყაშვილი<sup>1</sup> და

---

<sup>1</sup> აბელ (ბალო) მაყაშვილი (1860-1920წ.წ.) – ქართველი სამხედრო მოღვაწე და მხედართმთავარი, რუსეთის საიმპერატორო არმიის გენერალ-მაიორი, საქართველოსა და აზრბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკების შეიარაღებული ძალების გენერალი. 1904-1905 წლების რუსეთ-იაპონიისა და I მსოფლიო ომების მონაწილე. გიორგის ჯვრის კავალერი. დაამთავრა ელიზავეტგრადის სამხედრო პროგიმნაზია და ყაზანის იუნკერთა სასწავლებელი. 1877 წლიდან სამხედრო სამსახურშია. 1880 წლიდან მსახურობს 164-ე ზაქათალის ქვეით პოლკში. 1881 წლის 15 მარტიდან პოდპორუჩიკია. 1885 წლის 17 დეკემბერს ენიჭება პორუჩიკის, ხოლო 1890 წლის 15 მარტს – შტაბს-კაპიტნის სამხედრო წოდებები. 1905 წლიდან მეთაურობს ბატალიონს და ენიჭება პოდპოლკოვნიკის წოდება. 1910 წლიდან მეთაურობს ქვეით პოლკს და იღებს პოლკოვნიკის სამხედრო წოდებას. 1914 წლის 25 ივნისს ინიშნება გორის 202-ე ქვეითი პოლკის მეთაურად. I მსოფლიო ომის დაწყებასთან დაკავშირებით იბრძვის I მსოფლიო ომის დასავლეთის ფრონტზე გენერალ ბრუსილოვის არმიის შემადგენლობაში. 1914 წლის 9 დეკემბრიდან მეთაურობს მეგრელთა მე-16 გრენადერების პოლკს. 1915 წელს ენიჭება გენერალ-მაიორის სამხედრო წოდება. 1916 წლის 7 დეკემბერს ინიშნება კავკასიის გრენადერთა დივიზიის ბრიგადის მეთაურად. 1917 წლიდან კი, მეთაურობს ამავე დივიზიას. 1918 წლიდან საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების შემადგენლობაშია. იყო თბილისის გენერალ-გუბერნატორი. ამავე წლის ბოლოს ინიშნება ახალციხისა და ახალქალაქის მაზრების გენერალ-გუბერნატორად და რევიონის საჯარისო კონტინგენტის სარდლად. 1919 წლიდან გაანთავისუფლეს დაკავებული თანამდებობიდან და ჩამოაშორეს აქტიურ სამხედრო სამსახურს. 1919 წლის ბოლოდან აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მოწვევით ტოვებს საქართველოს და ინიშნება აზერბაიჯანის არმიის მე-2 ქვეითი დივიზიის მეთაურის მოადგილედ. 1920 წლის მარტიდან ინიშნება განჯის გამაგრებული რაიონის უფროსად და ერთდროულად სათავეში უდგება განჯის სამხედრო სკოლას. აზერბაიჯანის რუსული ბოლშევიკური ოკუპაციის შემდეგ,

სხვა უფროსები მოითხოვდნენ მთავრობისაგან, თავიდან მოეშორებინა მათთვის ამგვარი ჯარის ნაწილები, მათ ხელი არ აჩლი, მხოლოდ შემდეგში, დაუნიებით მოთხოვნის შემდეგ, ეს რაზმები დაშალეს სამუდამოდ”.<sup>1</sup> სულ მალე ნათელი გახდა მოხალისეთა რაზმების ლიკვიდაციის აუცილებლობაც და მთავრობამაც, მართალია დიდი დაგვიანებით, მაგრამ მაინც დაშალა ისინი. ეს ფაქტი სამხედრო მინისტრის ქვემოთ მოყვანილი ბრძანებით დასტურდება:

„ბრძანება რესპუბლიკის ჯარების მიმართ

№134. 28. 12. 1918.

გამოცდილებამ დაგვიმტკიცა, რომ მოხალისეთა ცალკე რაზმების შედგენა მეტად ფერხდება და შესაფერ ნაყოფს არ გვაძლევს. გამოცდილებამ დაგვიმტკიცა, რომ ასეთი რაზმებისათვის მომარაგების მოწყობა, მათი მოძრაობა და გამოკვება იმდენად მძიმე პირობებში გვიხდება, რომ მოხალისეთა რაზმები ვერ ასრულებენ და ვერც შეასრულებენ საომარ დავალებას. აუარებელ ხარჯებს იწვევს ხსენებული რაზმების დაარსება, სამაგიეროდ კი რადგანაც ოფიცრობა არა ჰყავთ, მჭიდრო ორგანიზაცია არ არსებობს, იგინი ვერ იჩენენ საკმარ უნარს მოქმედების დროს და ვერც აანაზღაურებენ მათთვის დახარჯულ აუარებელ ფულს.

ებრძანებ:

შეჩერებულ იქმნას მოხალისეთა რაზმების შედგენა. ისინი, რომლებიც ეხლა დგებიან უნდა დაიშალონ და მათი როგორც ცალკე რაზმების ლიკვიდაცია უნდა მოხდეს. ჯარის კაცნი, ვინც სამხედრო ბეგარის მოვალეა, დაუყოვნებლივ უნდა გაიგზავნონ რეგულარულ ნაწილებში; მოხალისენიც უნდა შევიდნენ აგრეთვე რეგულარულ ნაწილში. ნაწილის არჩევა მათს სურვილზეა დამოკიდებული.

---

1920 წლის მაისში დააპატიმრეს, იმავე წლის 14 ივნისს დახვრიტეს და კასპიის ზღვაში გადაადგეს.

<sup>1</sup> გიორგი მაზნიაშვილი. მოგონებები. 1917-1925. გამომცემლობა „საბჭოთა აჭარა“. ბათუმი. 1990. გვ. 144.



მინისტრი გიორგაძე“.<sup>1</sup>

აქ ცოტა გაუგებარი სიტუაციაა. სამხედრო მინისტრის ეს ბრძანება 1918 წლის 28 დეკემბერსაა გამოცემული, იმ დროს, როცა სომხეთ-საქართველოს ომის საბრძოლო მოქმედებები თავის გადამწყვეტ ფაზაშია შესული და ქართული ჯარი ეს-ესაა წარმატებით ავითარებდა დაწყებულ კონტრშეტევით ოპერაციას. ასეთ დროს სამხედრო ნაწილების დაშლისა და რეორგანიზაციის ბრძანების გამოცემა კი სამხედრო სამინისტროს პირველი პირის მიერ, ჯარების არაორგანიზებული და უთავბოლო მართვის კიდევ ერთი თვალსაჩინო მაგალითია. ჯარების საბრძოლო ორგანიზაციის მხრივ, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებს იგივე საბრძოლო-საორგანიზაციო სტრუქტურა გააჩნდათ და აქაც იგივე სისტემა მოქმედებდა, რაც ყოფილი მეფის რუსეთის არმიაში. ომიანობის დროს იგი პოლკურ-დივიზიურ წყობაზე იყო აგებული, ხოლო მშვიდობიანობის დროს უნდა მომხდარიყო მათი შემცირება ბატალიონი-ბრიგადის დონეებამდე. უცხოური წყაროები საქართველოს შეიარაღებული ძალების საერთო რიცხოვნობის შესახებ შემდეგ ინფორმაციას გვაწვდიან: „ქართველებს ჰყავდათ მხოლოდ არასტაბილური ნაციონალური არმია (არაუმეტეს 10000 კაცისა)“,<sup>2</sup> - აღნიშნავენ უილიამ ალენი და პაულ მურატოვი.

მოგვიანებით, 1918 წლის ბოლოსათვის სტრუქტურულად, მაგრამ არა რიცხოვნობით, მოხერხდა ქართული რეგულარული ჯარის ორ ქვეით დივიზიამდე აყვანა, მაგრამ არასდროს მას სრულ საარმიო კორპუსამდე და მით უმეტეს, არმიამდე არ მიუღწევია, მიუხედავად იმისა, რომ საომარი მოქმედებების შემთხვევაში, მთავრობის მიერ 60000-იანი ჯარის მომზადება და მობილიზაცია იყო დაგეგმილი, ზურგის ქვედანაყოფების ჩათვლით კი, 75000-მდე.<sup>3</sup> ეს მონა-

<sup>1</sup> სეაცსსა. ფონდი 1969, ანაწერი 2, საქმე 98, ფურცელი 38.

<sup>2</sup> W. E. D. Allen and Paul Muratoff. Caucasian Battlefields. A history of the wars on the Turco-Caucasian border 1828-1921. Cambridge. 1953. გვ. 452.

<sup>3</sup> სეაცსსა. ფონდი 1969, ანაწერი 4, საქმე 14, ფურცელი (27-28).

ცემები საქართველოს შეიარაღებული ძალების მთავარ-სარდლის, გენერალ ილია ოდიშელიძის საიდუმლო ოპერატიული მოხსენების მასალებშია მოყვანილი. საერთო ჯამში, საქართველოს პირველი რესპუბლიკის სინამდვილეში, მშვიდობიანობის პერიოდში, საქართველოს შეიარაღებული ძალების რეგულარული ჯარის პირადი შემადგენლობა, რეალურად, 13 ათასზე მეტი არასოდეს არ ყოფილა. ამ რიცხვზე ნაკლები იყო სახალხო გვარდიელთა რაოდენობა. დანამდვილებით უნდა ითქვას, რომ როგორც რეგულარული ჯარის, ასევე სახალხო გვარდიის პირადი შემადგენლობის მკაცრად განაზღვრულ და სტაბილურად უცვლელ რიცხოვნობას პირველი ქართული რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების სინამდვილეში, არასდროს ჰქონია ადგილი.

საქართველოს პირველი რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების პირველი სამხედრო აღლუმი, რომელშიც გერმანული ქვედანაყოფებიც მონაწილეობდნენ, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან სულ რაღაც ორ კვირაში, 1918 წლის 11 ივნისს ჩატარდა თბილისში, რომელშიც რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა ნოე რამიშვილმა ჩაიბარა. იმდროინდელი პრესა წერდა: „ივნისის 11-ს, საღამოს 5 საათზე თბილისში გაიმართა ქართველ-გერმანელთა ჯარების აღლუმი. ჯარების სამთავე ჯური<sup>1</sup> სამხედრო იარაღით გამწკრივებული იყვნენ სასახლიდან დიდების ტაძრამდე.<sup>2</sup> ერთის მხრივ იდგნენ ქართველი ჯარები, ხოლო მე-

---

<sup>1</sup> ჯარების სამთავე ჯური – აქ არქაულ ფრაზეოლოგიასთან გვაქვს საქმე. მოცემულ ფრაზაში სახმელეთო ჯარების სამი გვარეობა (ჯური) – ქვეითი ჯარი, არტილერია და კავალერია იგულისხმება.

<sup>2</sup> დიდების ტაძარი – დღევანდელ რუსთაველის პროსპექტზე მდებარე ამჟამინდელ საქართველოს მხატვართა გალერეას, რომელსაც თბილისელები „ცისფერ გალერეას“ უწოდებენ, წარსულში „დიდების ტაძარი“ ერქვა. იგი კავკასიაში რუსეთის არმიის წარმატებული საბრძოლო ოპერაციებისა და დიდი კავკასიური ომის დასრულების უკვდავსაყოფად იყო აგებული. სამხედრო ისტორიული მუზეუმის მშენებლობა, რომლის ავტო-

ორეს მხრით, გერმანელი. ჯარები თავით-ფეხამდე შეიარაღებული იყვნენ. პროსპექტი აუარებელი ხალხით იყო სავსე. საღამოს ხუთ საათზე სასახლიდან გამოვიდა საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა თავმჯდომარე ნ. ვ. რამიშივილი (ასეა ტექსტში „ნ. ვ.“ - როგორც ჩანს, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პირველი პრემიერ მინისტრის, ბატონ ნოე ბესარიონის ძე რამიშივილის ინიციალები - Ной Виссарионович (Н. В.) რუსულიდან პირდაპირ და შეცდომით არის გადმოტანილი - ა. ჩ.)<sup>1</sup>, გერმანეთის ელჩი გრაფი შულენბურ-ბერგი (ასეა ტექსტში, უნდა იყოს შულენბურგი - ა. ჩ.), სამხედრო მინისტრი გიორგაძე, გენერალ-ლეიტენანტი გაბაშვილი, ობერ ლეიტენანტი კაიზერი და მრავალი აფიცრობა. დიდების ტაძრის წინ ნ. ვ. რამიშივილმა სიტყვით მიმართა გერმანელთა ჯარებს, მიესალმა მათ ჩამოსვლას კავკასიაში და გამოსთქვა სრული იმედი, რომ პირისპირ მდგარი ქართველი და გერმანელი ჯარები შეძლებენ ერთურთთან შეთანხმებით დაიცვან ჩვენი ქვეყნის წესიერება და მშვიდობიანი ცხოვრება. შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა გრაფმა შულენბურგმა, რომელმაც სრული რწმენა გამოთქვა იმისა, რომ საიმპერატორო გერმანეთის ჯარები [და] ქართული რესპუბლიკის ჯარები მეგობრულს განწყობილებაში იქნებიან და ერთურთის ინტერესებს დაიცავენ. ორივე სიტყვა დაფარულ იქმნა „ვაშასი“ და „ჰოხის“ ძახი-

---

რი თბილისში მცხოვრები და მოღვაწე გერმანელი არქიტექტორი, ალბერტ ზალცმანი იყო, 1890 წელს დაიწყო და 1892 წელს დასრულდა, თუმცა მისი მოწყობა და გახსნა, მწირი დაფინანსებისა და ფორმალურ-ბიუროკრატიული მიზეზების გამო, საბოლოოდ მხოლოდ 1917 წლისათვის მოხერხდა. სამხედრო-ისტორიულ მუზეუმს „დიდების ტაძარი“ ეწოდა.

<sup>1</sup> საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პირველი პრემიერ მინისტრის, ბატონ ნოე რამიშივილის მამას ბესარიონი ერქვა. აქ სტატიის ავტორს ბატონი ნოეს მამის სახელის რუსული ინიციალი - „ვ“ აქვს გამოტანილი.

ლით! (ჰოს - გერმანულია, და ნიშნავს - გაუმარჯოს). დასასრულს ჯარებმა საცერემონიო მარშით გაიარეს“.<sup>1</sup>

1918 წლის შემოდგომის მდგომარეობით კი, აღმოსავლეთ საქართველოში გაშლილი საქართველოს რეგულარული ჯარის შემადგენლობის შესახებ გარკვეულ ინფორმაციას გვაწვდის გაზეთი „საქართველო“, პუბლიკაციაში - „ქართული ჯარის პარადი“, რომელიც ოქტომბრის ბოლოს ჩატარდა თბილისში. ივნისის თვეში ჩატარებული აღლუმის მსგავსად, ამ აღლუმშიც, ქართულ ნაწილებთან ერთად გერმანული ქვედანაყოფები მონაწილეობდნენ. პუბლიკაციაში ვკითხულობთ: „გუშინ, 21 ღვინობისთვის გოლოვინის პროსპექტზე საქართველოს პარლამენტის წინ გაიმართა საქართველოს ჯარების პარადი.<sup>2</sup> საუცხოვოდ მოწყობილი რაზმები, მამაცი აფიცრები და მძიმე არტილერია ხალხზე წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენდა. პარადი მთელი საათი გაგრძელდა, რის დროსაც ტრამვაის მიმოსვლა შეწყვეტილი იყო. ჯარის გამოსვლას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. პარადში მონაწილეობდა ქვეითი ჯარის მე-4 და მე-5 პოლკები და გუსართა<sup>3</sup> მე-2 პოლკი, საარტილერიო

---

<sup>1</sup> გაზეთი „საქართველო“. ხუთშაბათი, 1918 წ. თბილისის 13. №116. გვ. 3.

<sup>2</sup> პარადი – ქართულ ენაში რუსული ენიდან შემოსული ბარბარიზმი. ქართულად – აღლუმი (რუს. Парад, ფრანგ. arade, ინგლ. Parade, ესპ. Parada, ლათ. Paro) – ჯარების დათვალიერების მიზნით ჯარების საზეიმო მარში ტექნიკით ან მის გარეშე, ასევე ოფიციალურ საზეიმო დღეებში ჯარების პირადი მოწყობა შემადგენლობისა და ტექნიკის. როგორც წესი, აღლუმები იმართება სახელმწიფო და დიდი სამხედრო მნიშვნელობის ოფიციალურ დღესასწაულებზე, მსხვილი სამხედრო სწავლებების, მანევრების დასრულების შემდეგ, ასევე სამხედრო მოსამსახურეების, სახელმწიფოთა მეთაურებისა და იმ მნიშვნელოვან პირთა დაკრძალვებზე, რომელთაც არსებული კანონმდებლობით ეკუთვნით სამხედრო პატივის მიძღვნა.

<sup>3</sup> ჰუსარები (უნგრ. uszár) – სახმელეთო ჯარების ერთ-ერთი გვარეობა, XV-XX საუკუნეებში ევროპულ არმიებში ფართოდ გავ-

ბრიგადის 1-ლი ბატარეა, ქართულ-გერმანული ლეგიონი, მფრინავთა და საავტომობილო როტები,<sup>1</sup> სანაპირო როტა, სამორტირო დივიზიონის ნაწილი და სხვა. პარადზე ხალხის განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევდა ქართულ-გერმანული ლეგიონი. პარადს ხელმძღვანელობდა გენერალ-მაიორი მაზნიაშვილი. პარადი მიიღო სამხედრო მინისტრმა გრიგოლ გიორგაძემ სამხედრო სამინისტროსთან მყოფ გერმანელი მრჩევლის ფონ-ფოლფსველის თანდასწრებით. პარადს დაესწრნენ საქართველოს გენერალიტეტი და პარლამენტის წევრები.<sup>2</sup>

---

რცელებული მსუბუქი კავალერია, რომლებიც გამოირჩეოდნენ დამახასიათებელი ჩაცმულობით: კივერი (მაღალი ცილინდრისებური წინაფრიანი ქუდი), ბეწვის მოსასხამი, მოკლე მუნდირი, რეიტუზები და ჩექმები. XV-XVII საუკუნეებში ატარებდნენ მსუბუქ ჯავშანს. პირველად ჰუსარები უნგრეთში გამოჩნდნენ, მეფე მათიაშ კორვინის დროს, რომელმაც 1458 წელს ოსმალთა აგრესიის აღსაკვეთად შექმნა სპეციალური მსუბუქი საკავალერიო ლაშქარი. დროთა განმავლობაში ჰუსარები კავალერიის მაღალი საბრძოლო სულისკვეთებისა და ნაკლებად დისციპლინირებულ გვარეობად ჩამოყალიბდნენ.

<sup>1</sup> როტა – ქართულ ენაში რუსული ენიდან შემოსული ბარბარიზმი. ქართულად – ასეული, სხვადასხვა ქვეყნის შეიარაღებულ ძალებში არსებული ტაქტიკური საჯარისო ერთეული. (რუს. Pota, პოლ. Rota, გერმ. Rotte, ფრანგ. Compagnie, ინგ. Company, ლათ. Kompanie). შედის ბატალიონის (პოლკის) შემადგენლობაში. არსებობს ასევე ცალკეული ასეული, რომელიც დამოუკიდებელი ტაქტიკური და ადმინისტრაციულ-სამეურნეო ერთეულია. ასეულს, როგორც წესი, მეთაურობს კაპიტანის (მაორის) წოდების მქონე ოფიცერი.

<sup>2</sup> გაზეთი „საქართველო“. 22 ოქტომბერი. 1918. №199.

**ESTABLISHMENT OF THE GEORGIAN ARMED FORCES  
AND ORGANIZATIONAL-COMBAT STRUCTURE OF  
TROOPS ON 1918**

On the basis of archival materials and studying of authentic primary sources, in the article there is represented difficult and homogenous process of creation and establishment of Armed forces of Democratic Republic of Georgia in 1918.

We remark that first Georgian Republic was born in a war. Georgian military units and subdivisions of Transcaucasian Federation, located on the territory of Georgia, were moved under the subordination to its military agency since 1918. Management-functioning of military apparatus and military units were conducted by analogy of the functioning of official rings, that was relevant to Transcaucasian Federation. Naturally, young state needed creation of its own armed forces on the basis of corresponding legislative base. Working on this issue was started at first days of creation of Republic. It was expressed in legal acts issued by executive and legislative organs of Georgia.

In terms of combat organization of troops, Armed forces of the Republic of Georgia had the same organizational- combat structure and the same system worked as in the army of former king's Russia. During the time of wars, it was based on regimental-divisional regime, but at the time of peace it was reduced to the level of a battalion-brigade. Creation of Georgian regular army was planned with scale of one paradigmatic army corps accepted by standards of that time and triangular system consisting of two infantry divisions and other parts. Parts of I division must have been spread in West part of Georgia with headquarter in Kutaisi, and II infantry division must have been spread in East part of Georgia with headquarter in Tbilisi.

Ultimately, intentioned task was not completed by 1918 and corresponding headquarters and parts were not established. We should definitely express our opinion in the regard of this issue - main reasons of non-creating Georgian highly organized and combative armed forces were ideological position of social-democratic sovereignty of Georgia.

## დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. საქართველოს ეროვნული არქივი. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. შემდგომში (სეაცსსა) ფონდი 1836, ანაწერი 1, საქმე 87, ფურცელი 44უკ.
2. სეაცსსა. ფონდი 1836, ანაწერი 1, საქმე 49, ფურცელი 3უკ.
3. სეაცსსა. ფონდი 1836, ანაწერი 1, საქმე 49, ფურცელი 3.
4. Осадчий И. П. За власть трудового народа. - Краснодар, 1987.
5. სეაცსსა. ფონდი 1861, ანაწერი 3, საქმე 1, ფურცელი 4.
6. გაზეთი „ერთობა“. ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა. №111. 1918 წლის 31 მაისი.
7. სეაცსსა. ფონდი 1861, ანაწერი 3, საქმე 1, ფურცელი (16-17).
8. სეაცსსა. ფონდი 1861, ანაწერი 3, საქმე 2, ფურცელი 59.
9. სეაცსსა. ფონდი 1861, ანაწერი 3, საქმე 1, ფურცელი 24.
10. სეაცსსა. ფონდი 1861, ანაწერი 3, საქმე 1, ფურცელი 34.
11. სეაცსსა. ფონდი 1861, ანაწერი 3, საქმე 2, ფურცელი 1.
12. სეაცსსა. ფონდი 1836, ანაწერი 1, საქმე 165, ფურცელი 3.
13. სეაცსსა. ფონდი 1836, ანაწერი 1, საქმე 187, ფურცელი 2.
14. სეაცსსა. ფონდი 1836, ანაწერი 1, საქმე 187, ფურცელი 3.
15. სეაცსსა. ფონდი 1836, ანაწერი 1, საქმე 187, ფურცელი 13.
16. სეაცსსა. ფონდი 1836, ანაწერი 1, საქმე 187, ფურცელი 16.
17. eneral der Artillerie Friedrich Freiherr Kress von Kressenstein. Meine Mission im Kaukasus. München. 1943.
18. სეაცსსა. ფონდი 1861, ანაწერი 3, საქმე 2, ფურცელი 163.
19. სეაცსსა. ფონდი 1836 ანაწერი 1, საქმე 87, ფურცელი (20ობ-21).
20. სეაცსსა. ფონდი 1836 ანაწერი 1, საქმე 87, ფურცელი 21ობ.
21. სეაცსსა. ფონდი 1836 ანაწერი 1, საქმე 87, ფურცელი 22.
22. სეაცსსა. ფონდი 1836 ანაწერი 1, საქმე 87, ფურცელი 22ობ.

23. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული (1918-1921). შემდგენელი ვ. გურგენიძე, სპეცრედაქტორი ვ. შარაშენიძე. თბილისი. 1990.
24. სეაცსსა. ფონდი 1969, ანაწერი 4, საქმე 11, ფურცელი 13.
25. სეაცსსა. ფონდი 1861, ანაწერი 2, საქმე 18, ფურცელი (47-47უკ).
26. სეაცსსა. ფონდი 1861, ანაწერი 2, საქმე 18, ფურცელი 52.
27. სეაცსსა. ფონდი 1878, ანაწერი 2, საქმე 19/გ, ფურცელი 64.
28. გიორგი მაზნიაშვილი. მოგონებები. 1917–1925. გამომცემლობა „საბჭოთა აჭარა“. ბათუმი. 1990.
29. გენერალი ალექსანდრე ზაქარიადე. ჟურნალი „მხედარი“. 1992. №2.
30. ჟურნალი „სახალხო გვარდიელი“. სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის ორგანო. 1920 წლის 12 დეკემბერი. №1.
31. შ. მალლაკელიძე - მოგონებები. ვ. რცხილაძე. ჟურნალი „განთიადი“. ქუთაისი. 1991. № 3.
32. ვ. თევზაძე. ქართველი ოფიცრის ჩანაწერები. „მეცნიერება“. თბილისი. 1990.
33. ნიკო კეცხოველი. პირადი არქივი - „ნარ-ეკლებით მოფენილი გზა“. თბილისი.
34. გიორგი კვინიტაძე. მოგონებები. საქართველოს დამოუკიდებლობის წლები 1917-1921. ტომი I. „ლომისი“. თბილისი. 1999.
35. სეაცსსა. ჰარვარდისა და ლევილის ფონდები. ფონდი 1970, ანაწერი 3, საქმე 3, ფურცელი 199.
36. სეაცსსა. ჰარვარდისა და ლევილის ფონდები. ფონდი 1970, ანაწერი 3, საქმე 3, ფურცელი 204.
37. დავით ვაჩნაძე. ქართული ეროვნული ძირები და რუსული ბოლშევიზმი. თბილისი. 2004. (ორიგინალური გამოცემა მიუნხენი. 1957.)
38. არჩილ ჩახიანი. პოლკოვნიკი ქაქუცა ჩოლოყაშვილი – „ჩვენ დამნაშავენი არა ვართ მთავრობისა და სამშობლოს წინაშე...“ „ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები“. ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორი-



- სა და ეთნოლოგიის ისტიტუტი. გამომცემლობა „უნივერსალი“. თბილისი. 1 (16). 2015.
39. სეაცსსა. ჰარვარდისა და ლევილის ფონდები. ფონდი 1970, ანაწერი 3, საქმე 3, ფურცელი 199.
  40. სეაცსსა. ჰარვარდისა და ლევილის ფონდები. ფონდი 1970, ანაწერი 3, საქმე 3, ფურცელი 204.
  41. სეაცსსა. ფონდი 1969, ანაწერი 2, საქმე 98, ფურცელი 38.
  42. W. E. D. Allen and Paul Muratoff. *Caucasian Battlefields. A history of the wars on the Turco-Caucasian border 1828-1921.* Cambridge. 1953. გვ. 452.
  43. სეაცსსა. ფონდი 1969, ანაწერი 4, საქმე 14, ფურცელი (27-28).
  44. გაზეთი „საქართველო“. ხუთშაბათი, 1918 წ. თიბათვის 13. №116. გვ. 3.
  45. გაზეთი „საქართველო“. 22 ოქტომბერი. 1918. №199.

**საბჭოთა რეჟიმი და მიტროფანე ლალიძე**

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე საქართველოში ეკონომიკური და სოციალური ურთიერთობების ძირეული შეცვლა დაიწყო. სოციალიზმის ის მოდელი, რომელსაც ბოლშევიკები რუსეთში აშენებდნენ, კერძო საკუთრების ლიკვიდაციას და რეგულირებად ეკონომიკურ სისტემაზე გადასვლას გულისხმობდა. 1921 წლიდან ეს სოციალური ექსპერიმენტი საქართველოშიც ხორციელდებოდა. ამ გზაზე ერთ-ერთი პირველი ნაბიჯი წარმოება-დაწესებულებათა ნაციონალიზაცია იყო. ნაციონალიზაციას დაექვემდებარა მიწაც, რომელიც სახელმწიფო ფონდში გადავიდა და ხალხის კუთვნილებად გამოცხადდა. მიწა პირველ რიგში ეკლესია-მონასტრებსა და მსხვილ მფლობელებს ჩამოართვეს. აიკრძალა მიწის როგორც ყიდვა-გაყიდვა, ისე იჯარით გაცემა და გაუქმდა კერძო ვაჭრობა. ნაციონალიზებულ საწარმოებსა და მთელ მათ ქონებას სახელმწიფო დაეპატრონა. ამის საჭიროება ოფიციალურად ასე იყო განმარტებული: „სოციალისტური ნაციონალიზაცია ართმევს კაპიტალისტებს წარმოების საშუალებებს და ამით სპობს ქვეყანაში ბურჟუაზიის ეკონომიკურ ბატონობას“.

ამგვარმა სისტემამ რუსეთში მოსახლეობის დიდი მდღეღვარება და საპროტესტო გამოსვლები გამოიწვია. ბევრი რეგიონი გლეხთა აჯანყებებმა მოიცვა. უკმაყოფილება სუფევდა შეიარაღებულ ძალებში და მძიმე მდგომარეობა იყო ქალაქებშიც. აქა-იქ შიმშილობამ დაისადგურა. დანგრეული სახალხო მეურნეობის აღდგენა გაჭიანურდა, ეკონომიკა დაქვეითებას განიცდიდა, პოლიტიკური და სოციალური ურთიერთობა უკიდურესად დაიძაბა. საბჭოთა რუსეთი ტოტალურ კრიზისში შევიდა.

ბოლშევიზმის ლიდერები მიხვდნენ, რომ მხოლოდ შიშველი ძალადობით შექმნილი მდგომარეობიდან თავის

დაღწევა შეუძლებელი იყო. ზოგიერთ იდეურ დოგმაზე ხელის აღება და კომპრომისი აუცილებელი ხდებოდა. 1921 წლის მარტში რკპ(ბ) X ყრილობამ ნეპ-ზე - ახალ ეკონომიკურ პოლიტიკაზე გადასვლა გამოაცხადა. ნეპ-ი შეზღუდულ ფარგლებში საბაზრო ურთიერთობის დაშვებას ითვალისწინებდა. კერძო პირებსა და კოოპერატივებს წვრილი და არარენტაბელური საწარმოების იჯარით ამუშავების ნება დართეს. აღდგა კონცესიების პარტიკა, მეტი გასაქანი მიეცა კერძო ინიციატივას, გაადვილდა საქონელგაცვლა ქალაქსა და სოფელს შორის და სხვ.<sup>1</sup>

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარება რუსეთში სწორედ ე. წ. ახალი ეკონომიკური პოლიტიკის დაწყებას დაემთხვა, თუმცა იგი მისი გამოცხადებისთანავე არ შესულა ძალაში და ქვეყანაში კვლავ გრძელდებოდა დაწყებული ნაციონალიზაციის პროცესი, რომელიც საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ჰქონდა მინდობილი. ამ საბჭოს მეურნეობის დაგეგმვა, სახელმწიფო ფინანსების ორგანიზება და მონიტორინგი ევალებოდა. მას კონფისკაციის, რეკვიზიციის, სეკვესტრის, ვაჭრობისა და წარმოების ცალკეულ სახეობათა იძულებითი სინდიცირების (მსხვილ საწარმოებთან შერწყმის) უფლებაც ჰქონდა.<sup>2</sup> ნეპ-ი საქართველოსთვის არც უცხო ყოფილა და არც ახალი. იგი არსებულის გაგრძელება უფრო იყო, ოღონდ შეცვლილ და ერთობ სპეციფიკურ ვითარებაში, რის გამოც, მას ხალხმა ალღო ადვილად აუღო. ნეპ-მა დააჩქარა მსუბუქი და კვების მრეწველობის, პირველ რიგში იმ დარგების აღმავლობა, რომლებიც ადგილობრივ ნედლეულს მოიხმარდნენ. სამრეწველო საწარმოთა მუშაობის გააქტიურებას ხელი შეუწყო სამეურნეო ანგარიშის შემოღებამ. წარმოების რაციონალურ სისტემაზე გადასვლის, თვითდაფი-

---

<sup>1</sup> ო. ჯანელიძე, ახალი და თანამედროვე ისტორია, თბ., 2009, გვ. 163.

<sup>2</sup> Декреты Советской власти. Т. I, М., 1957.

ნანსებისა და თვითმმართველობის აღორძინების გარკვეულმა შესაძლებლობამ.

ახალი რეჟიმი იძულებული იყო, ფრთხილად, მაგრამ მაინც, ძველ, ე. წ. „ბურჟუაზიულ სპეციალისტებთან“ ეთანამშრომლა, რადგან მრეწველობის, მეურნეობისა თუ სხვა მრავალ სფეროში ჯერ საკუთარი კადრები არ ჰყავდა. თანამშრომლობის წინაპირობა „სპეცის“ (ასე ეძახდნენ გამოცდილ სპეციალისტებს) კეთილსაიმედობა, ბოლშევიკური ხელისუფლების მიმართ მათი ღლიალობა და შრომის საბჭოთა კანონების უცილობელი დაცვა უნდა ყოფილიყო.

ასე გაჩნდნენ ქვეყანაში ე. წ. „ნეპმანები“ ან „სოვბურები“ (საბჭოთა ბურჟუები, советские буржуа), როგორც ნეპ-ის პერიოდის წვრილ მეწარმეებსა და კერძო ვაჭრებს ხალხურ მეტყველებაში უწოდებდნენ. „ნეპმანებს“, - ამ „არა მშრომელ ელემენტებს“ ჩამორთმეული ჰქონდათ საარჩევნო უფლება, არ გააჩნდათ სოციალური სტატუსი, არ შეეძლოთ მონაწილეობა პოლიტიკურ ცხოვრებაში, ეკრძალებოდათ სახელმწიფო სტრუქტურებში მუშაობა, თავიანთი ინტერესების ღობირება, უმაღლესი ან ტექნიკური განათლების დაუფლება და განწირულნი იყვნენ მარგინალიზაციისათვის, მაშინ, როდესაც, სწორედ ამ ახლად ფორმირებულ ნეობურჟუაზიულ ფენაში შემავალი ადამიანები (მათ შორის, კაფეების, საჩაიეთა, გასტრონომიული თუ სხვა მაღაზიების მფობელები) ქმნიდნენ სამუშაო ადგილებს, იხდიდნენ გადასახადებს, ხელს უწყობდნენ საზოგადოების უზრუნველყოფას საქონლითა და მომსახურებით და წარმოადგენდნენ ერთ-ერთ მნიშვნელოვან სოციალურ-ეკონომიკურ ძალას.<sup>1</sup>

ამასთან, აუცილებელია ითქვას, რომ „ნეპმანთა“ რიგებში მოიაზრებოდნენ სხვადასხვა ჯურის საქმოსნები, მევახშეები,<sup>2</sup>

---

<sup>1</sup><https://altapress.ru/zhizn/story/lyudi-nad-kotorimi-smeyalsya-sotsializm-43446>

<sup>2</sup> ფულის გამსესხებლები დიდი სარგებლით (პროცენტით).

სპეკულიანტები, მაკლერები, ფარცოვშიკები,<sup>1</sup> თაღლითები,<sup>2</sup> რომლებიც ე. წ. ჩრდილოვანი ეკონომიკის აგენტები უფრო იყვნენ, რადგან თავიანთ საქმიანობას, როგორც წესი, სახელმწიფოებრივი სისტემის მიღმა ეწეოდნენ, თუმცა ფართო სამომხმარებლო პროდუქციის დეფიციტის პირობებში ერთგვარად აკმაყოფილებდნენ ბაზრის მოთხოვნებს. სიმდიდრისა და მომხვეჭელობისაკენ მიდრეკილ, ამ ისედაც სახელგატეხილ ადამიანებს, რომლებიც ყოველდღიურ ყოფაში არისტოკრატის მიბაძვას ცდილობდნენ, „მტაცებელ კაპიტალისტებს“, „ექსპლუატატორებს“, „კლასობრივ მტრებს“ უწოდებდნენ, მუდმივად კიცხავდნენ და კიდევაც დევნიდნენ.

„ნეკმანები“ ჩაცმა-დახურვის სტილითაც გამოირჩეოდნენ, მათ მუდამ ლაქის ფეხსაცმელი, „ბუტილკა“ შარვალი, კრეპდეშინის<sup>3</sup> პერანგი, კოვერკოტის<sup>4</sup> კოსტუმი, ვიწროზოლიანი ჰალსტუხი და ცილინდრი ამშვენებდათ და ძვირფასი სუნამო ესხურათ. საზოგადოების განათლებულ ნაწილს კარგად ესმოდა „ნეკმანების“ როლი და მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში, რისთვისაც მათ სათანადოდ აფასებდნენ, მაგრამ ფართო ფენებში ამ ნუეგორიშებს<sup>5</sup> ამრეზით უყურებდნენ, რადგან ხელისუფლება ამკვიდრებდა აზრს, რომ კერძო მეწარმეობა და კერძო ვაჭრობა არაორგანულია საბჭოთა მოქალაქეებისათვის, რომლებიც აშენებენ ნათელ მომავალს - სოციალიზმსა და კომუნიზმს. ცხა-

---

<sup>1</sup> ადამიანები, რომლებიც ძირითადად უცხოელთაგან შექმნილ ვალუტასა და ფართო მოხმარების საქონელს უკანონოდ საბჭოთა მოქალაქეებზე ყიდდნენ.

<sup>2</sup> მოტყუებითა და ხრიკებით რაიმე საქმის გამკეთებელი, ყალთაბანდი.

<sup>3</sup> აბრეშუმის თხელი ქსოვილი ერთგვარი.

<sup>4</sup> შალის ერთგვარი, მკვრივი, მაღალხარისხოვანი ქსოვილი ზედა ტანსაცმლისათვის.

<sup>5</sup> უმთავრესად დაბალი წოდების სწრაფად გამდიდრებული ადამიანები.

დია, შეცვლილ ფასეულობათა სისტემაში, საბჭოთა მენტალიტეტის მქონე სოციალური ჯგუფების დამოკიდებულება მრეწველებისა და ქველმოქმედებისადმი დიდად განსხვავდებოდა მათ მიმართ წინა პერიოდის (რუსეთის იმპერიისა და საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის დროის) დამოკიდებულებისაგან, როდესაც ისინი საზოგადოების სრულუფლებიანი და დაფასებული წევრები იყვნენ. ახლა მათ ხელშეუხებლობის, სტაბილურობის განცდის, ხვალინდელი დღის რწმენის გარანტიები აღარ გააჩნდათ და ცხოვრება მუდმივ სტრესში უწევდათ, არადა, დიდწილად ბიზნესის ეს წარმომადგენლები აღადგენდნენ უნუგემოდ დანგრეულ საბჭოთა ეკონომიკას, ავსებდნენ ბიუჯეტს გადასახადებით, ქმნიდნენ სხვების დასაქმების შესაძლებლობას.

მიტროფანე ლალიძისათვის, რა თქმა უნდა, საკუთარი სამშობლოს დამპყრობი და საქართველოში ძალმომრეობით დამკვიდრებულ ბოლშევიკური რეჟიმი, რომელიც კერძო საკუთრებასა და შეძლებულ ადამიანებსაც იმთავითვე დაუპირისპირდა, მიუღებელი იყო. არსებობს ოფიციალური ცნობა, რომ საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს 1921 წლის 1 ივნისის დადგენილებით, „ლალიძის ხელოვნური მინერალური წყლების ქარხნები“ ნაციონალიზებულ იქნა.<sup>1</sup> ამის მიუხედავად, მრეწველმა ემიგრაციაში გახიზვნა არ ისურვა და საქართველოში დარჩა. ეს იმითაც უნდა აიხსნას, რომ ახალი ეკონომიკური პოლიტიკის შემოღება გარკვეულ პერსპექტივას მაინც ქმნიდა და ასე თუ ისე მოქმედების შესაძლებლობას იძლეოდა.

ნეპ-ის ამოქმედებიდან ახლო ხანებში სახელმწიფომ მცირე სამრეწველო საწარმოთა ნაწილი იჯარით კოოპერატიულ ორგანიზაციებსა და კერძო პირებს გადასცა. კერძო მფლობელისათვის მისი საკუთარი საწარმოს ჩამორთმევა

---

<sup>1</sup> Сборник документов „Революционные комитеты Грузии“, Сухуми, 1963. с. 217-218.

და მხოლოდ დროებით სარგებლობაში დატოვება, რა თქმა უნდა, ძალადობას წარმოადგენდა, შემოსავლები და მოგება მეტის-მეტად შემცირდა, მაგრამ იჯარა გაცილებით უკეთესი იყო, ვიდრე ნაციონალიზება (სრული წართმევა), რის გამოც მიტროფანე ლალიძემ ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინა, ქარხნები იჯარით დაიბრუნა და თამაშის ახალ წესებს დათანხმდა.

ნეპ-ის პირობებით ლალიძის წარმოებას რეჟიმისაგან ლიკვიდაციის საფრთხე აღარ ემუქრებოდა. უბედურება სხვა მხრიდან მოვიდა. 1921 წელს, გაურკვეველ ვითარებაში, ლალიძის წყლების თბილისის ქარხანაში ხანძარი გაჩნდა. ეს ქარხანა ქალაქის ცენტრში მდებარეობდა, ცეცხლი ბევრმა შენიშნა, მიტროფანეს მეგობრები ტიციან ტაბიძე, ვალერიან გაფრინდაშვილი, პაოლო იაშვილი და სხვები ხანძარს თურმე შიშველი ხელებით აქრობდნენ,<sup>1</sup> მეხანძრეებიც გამოჩნდნენ, მაგრამ ქარხნის გადარჩენა შეუძლებელი გახდა. მიტროფანეს სხვა გზა არ დარჩენოდა და სასმელების წარმოება, ცხადია, შემცირებული მასშტაბით, გრიბოედოვის ქუჩაზე, საკუთარი სახლის სარდაფში განაგრძო. მრეწველი ზრუნავდა თავისი ნაწარმის რეკლამირებაზეც, რაც ჯერ კიდევ არ იყო აკრძალული. ამას უნდა მოწმობდეს იუმორისტული ჟურნალის „ტარტაროზის“ ფურცლებზე დაბეჭდილი ასეთი სტრიქონებიც:

„უკვე დაიწყო სიცხე, დგება ბული და ალი,

რა გვეშველება, თუ კი არ ვსვით ლალიძის წყალი“.

იმ დროინდელი პერიოდული გამოცემებიდან ვგებულობთ, რომ წარმოება არ შეწყვეტილა და თბილისელებს ტკბილი, გამაგრილებელი წყლები არ მოკლებიათ.<sup>2</sup> ცოტა მოგვიანებით მიტროფანე ლალიძეს სარდაფი წაართვეს და იქ ხალხი შეასახლეს.<sup>3</sup>

<sup>1</sup> ჟურნ. „სარკე“, თბ., 2009, 18-24 თებერვალი, N7(572), გვ.29.

<sup>2</sup> გაზ. „მუშა“, 1924 წ., 8 ივნისი.

<sup>3</sup> <https://www.facebook.com/LagidzeWater/posts/1159299984115126/>

როგორც ითქვა, ახალი ეკონომიკური პოლიტიკის ვითარებაში, მართალია, სახელმწიფოს კონტროლქვეშ, მაგრამ ადგილობრივ მეწარმეებს მუშაობის განახლების უფლება მიეცათ. ხელისუფლება ყოველნაირად ცდილობდა ხელიდან არ გაქცეოდა მართვის სადავეები და სხვადასხვა ღონისძიებას მიმართავდა. „კერძო კაპიტალისტური ელემენტების“ შესავიწროებლად მოფიქრებული ერთ-ერთი ასეთი ზომა იყო გადასახადებისა და დაბეგვრის იმგვარი სისტემის ამოქმედება, რომელსაც საფუძვლად კლასობრივი პრინციპი ედო. მაგალითად, 1921 წელსვე შემოიღეს „ვაჭრობის, სპეკულანტებისა და, საერთოდ, ბურჟუაზიული ელემენტების მიმართ „სანიტარული გადასახადელი“,<sup>1</sup> რომელსაც შემდეგში დაემატა სარეწაო და საშემოსავლო-ქონებისკვალობითი გადასახადი, გადასახადი მემკვიდრეობასა და ნაჩუქარ ქონებაზე, ზემოებაზე და სხვ.<sup>2</sup>

1927 წელს მიტროფანე ლადიძემ ყოფილ კლარა ცეტკინის (დღეს წინამძღვრიშვილის) ქუჩაზე ქარხნისათვის შენობა შეიძინა და წარმოება იქ გადაიტანა. ქარხანას, რომელიც, იმ დროის სტანდარტებით, საკმაოდ კარგად იყო აღჭურვილი, თავად მიტროფანე უძღვებოდა. წარმოებაში მოწინავე ტექნოლოგიებიც გამოიყენებოდა, მათ შორის, სასმელის ნახშიროქანგით გაზიფიცირების მეთოდი.

როგორც ცნობილია, ნეპ-ი დიდხანს არ გაგრძელებულა, - 20-იანი წლების ბოლოსათვის სტალინმა იგი დირექტიულად გააუქმა. მართალია, კერძო მეწარმეობა ნეპ-თან ერთად ერთბაშად არ აუკრძალავთ, მაგრამ საგადასახადო პოლიტიკითა თუ სახელმწიფო საწარმოებისადმი უპირატესობის მინიჭებით (პრეფერენციები) იგი უკიდურესად შეავიწროეს და ე. წ. „მცირე ბიზნესამდე“ დაიყვანეს. სახელმწიფო თვითონ განსაზღვრავდა, ვის და რამდენ ნედლეულსა

---

<sup>1</sup> საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. VII, თბ., 1976, გვ. 168.

<sup>2</sup> А. Толкушкин, История налогов в России, М., 2001, с. 214.



და მუშახელს გამოუყოფდა, სად და როგორ გაასაღებდა პროდუქციას და სხვ.

ნეპ-ის დასრულებისთანავე ლადიძის წყლების ქარხანა ნაციონალიზებულ იქნა, მიტროფანე მის მართვას ჩამოაშორეს და სპეციალისტად დანიშნეს.<sup>1</sup> ამავე ქარხანაში სპეციალისტად მუშაობდა მიტროფანეს ძმაც - მიხაკო ლადიძე. 1934 წელს, ქარხნის ტერიტორიაზე, პირველად საქართველოში, ნახშირმუცა აირის საწარმოც აიგო, რომლის პროდუქციაც უალკოჰოლო სასმელების წარმოებაში გამოიყენებოდა.

დღემდე გამოუქვეყნებელი საარქივო მასალებით ირკვევა, რომ მიტროფანე ლადიძეს საბჭოთა რეჟიმში ნეპ-ის წლებშიც საკმაოდ ავიწროებდა. ამაში მოულოდნელი და უცნაური არაფერია, გასაკვირი ის არის, როგორ გადაურჩა იგი დაპატიმრებას და სასჯელს პოლიტიკურ ნიადაგზე საკუთარი წარსულის გამო. შეუძლებელია ბოლშევიკებს არ ცოდნოდათ, რომ ქართველი მრეწველი 1900-იან წლებში ანარქისტულ მოძრაობას თანაუგრძნობდა, მხარში ედგა ვარლამ ჩერქეზიშვილსა და ძმებ გოგელიებს, რომლებსაც საკუთარი შემოსავლებიდან აფინანსებდა.<sup>2</sup> აქვე ერთ საგულისხმო ინფორმაციასაც დავამატებ, რომელიც საისტორიო მეცნიერებაში აქამდე აღნიშნული არ ყოფილა, კერძოდ: 1902 წელს საფრანგეთში მყოფი მიტროფანე ლადიძე, ანდრია დეკანოზიშვილის მეშვეობით, ფინანსურად შეწევნია პარიზში სოციალისტ-ფედერალისტთა ქართული გაზეთის

---

<sup>1</sup> 1946 წლის 18 ივნისს დაწერილ ავტობიოგრაფიაში მიტროფანე ლადიძე აღნიშნავს: „1930 წელს ქარხანა გადავეცი ...თბილისის ადგილობრივ მრეწველობას, სადაც მე თვითონ დავიწყე მუშაობა, როგორც სპეციალისტმა“. იხ. შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, ფონდი 8, ანაწ. 2, ნაწილი 1, საქმ. 30, ფურც. 7.

<sup>2</sup> დ. შველიძე, ანარქისტები საქართველოში, ჟურნ. „ისტორიანი“, თბ., 2013, დეკემბერი, N12(36), გვ.42-47.

„საქართველოს“ გამოცემას (გაზეთს თვითონ შეცდომით „თავისუფალ საქართველოდ“ იხსენიებს).<sup>1</sup>

სავარაუდოდ, ალბათ, გაითვალისწინეს ისიც, რომ მიტროფანე ლალიძეს დამსახურება მარქსისტული მოძრაობის წინაშეც ჰქონდა, რომლის წიაღიდანაც მმართველი ბოლშევიკური ძალა აღმოცენდა. აქ საჭირო იქნება მიემართოთ თვით მრეწველისა და ქველმოქმედის მიერ 1946 წელს დაწერილ ავტობიოგრაფიას, საიდანაც ნათელი ხდება, რომ ჯერ კიდევ 1890-იან წლებში ახალგაზრდა მიტროფანე დაინტერესებული ყოფილა იმ დროს ჩვენში ახლად გავრცელებული იდეოლოგიით - მარქსიზმით და მჭიდროდ ყოფილა დაკავშირებული ამ მსოფლმხედველობის ირგვლივ გაერთიანებულ ორგანიზაციასთან, რომელიც ისტორიოგრაფიაში მესამე დასის სახელით არის ცნობილი. მიტროფანეს განსაკუთრებით ახლო ურთიერთობა ჰქონია რევოლუციონერ ალექსანდრე (საშა) წულუკიძესთან. თანამშრომლობდა ქართული სოციალ-დემოკრატიის ისეთ თვალსაჩინო წარმომადგენლებთან, როგორებიც იყვნენ სილიბისტრო ჯიბლაძე, ივანე გომართელი, გრიგოლ ლორთქიფანიძე, მიხა ცხაკაია...<sup>2</sup>

მიტროფანე ლალიძეს ქუთაისში დაკისრებული ჰქონდა ხელმოწერების მიღება ჟურნალზე „კვალი“, რომელიც სწორედ მესამედასკელთა ლეგალური მარქსისტული გამოცემა იყო. ამასთან, იგი თავის საწარმოში იღებდა არაღეგალურ ლიტერატურას (მათ შორის გაზეთებს „ისკრასა“ და „ბრძოლას“) და თვითონაც მონაწილეობდა მათ გავრცელებაში ქუთაისში, თბილისში, ჭიათურასა თუ ბათუმში, რისთვისაც რამდენჯერმე დაპატიმრებულიც იყო.

მიტროფანე რომ სიმართლეს აღნიშნავს, ეს ჩანს ცნობილი ქართველი ბოლშევიკისა და სახელმწიფო მოღვაწის

---

<sup>1</sup> საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, ფონდი 8, ანაწ. 2, ნაწილი 1, საქმ. 30, ფურც. 4.

<sup>2</sup> საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, ფონდი 8, ანაწ. 2, ნაწილი 1, საქმ. 30, ფურც. 2-9.

მისა ცხაკაიას ერთი მოგონებდანაც, რომელიც 1923 წელს გაზეთ „კომუნისტი“ დაიბეჭდა. ავტორის სიტყვით, 1896 ან 1897 წელს „მე მოვახერხე ქუთაისით (იმ დროს აფთიაქის მოწაფის მიტროფანე ლალიძის მიერ მოცემულ მისამართით) მთელი კავკასიისათვის არალეგალური ლიტერატურის ტრანსპორტის მოწყობა“.<sup>1</sup>

მიტროფანე ლალიძე რევოლუციონერთა დავალებით ქუთაისში აწყო მუშების, ნოქრებისა და მოწაფეთა ფარულ კრებებს, რომლებზეც სიტყვებით გამოდიოდნენ საშა წულუკიძე, მისა ცხაკაია, ალიოშა ჯაფარიძე და სხვ. საშა წულუკიძის დაკრძალვაზე მიტროფანე სტალინსაც შეხვედრია.<sup>2</sup>

როგორც ჩემს მიერ ყოფილ საქართველოს უშიშროების სახელმწიფო არქივში მიკვლეული დოკუმენტებით ირკვევა, ქართველ მრეწველსა და ქველმოქმედს მაინც მოუწია საბჭოთა სამართალდამცავი ორგანოების წინაშე წარსდგომა. საქართველოს სახკომსაბჭოსთან არსებულ სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს (Груз. ГПУ) მიტროფანე ლალიძე 1931 წლის აპრილში სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიუცია. ბრალდების საფუძველად სავალუტო ოპერაციებში მისი მუდმივი მონაწილეობა გამხდარა (დოკუმენტის დედნის ენაზე, მეწარმე იმხილებოდა მასში, რომ „Систематически занимался баратными операциями“).<sup>3</sup> „бараты“-ს უწოდებდნენ უცხოური ვალუტისა და ოქროს საზღვარგარეთ, ძირითადად ირანში, არალეგალურად გადა-

---

<sup>1</sup> მ. ცხაკაია, რუსეთის კომპარტიის არსებობის 25 წლისთავზე, გაზ. „კომუნისტი“, 1923 წ., 14 მარტი.

<sup>2</sup> საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, ფონდი 8, ანაწ. 2, ნაწილი 1, საქმ. 30, ფურც. 2-3; ასევე, ა. სიგუა, მიტროფანე ლალიძე, თბ., 1980, გვ. 31.

<sup>3</sup> საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, ფონდი 6, საქმ. N 31175, ფურც. 41-42.

ტანის ოპერაციებს.<sup>1</sup> რა საერთო ჰქონდათ ლადიძის წყლებსა და მის მწარმოებელ მიტროფანე ლადიძეს ირანთან?

გასული საუკუნის 20-იან წლებში და ადრეც ირანის ქვეშევრდომ მრავალ კომერსანტს თბილისში ქსოვილების, საგალანტერიო, თევზეულის, ხმელი ხილის მაღაზიები და დუქნები<sup>2</sup> გააჩნდათ. ისინი ხშირად იძენდნენ ლადიძის ღიმონათს და იგი თურმე თავიანთი ქვეყნის მეთაურის, რეზა-შაჰ ფეხლევისათვის მიჰქონდათ, რომელიც ამ ტკბილი, გაზიანი სასმელის დიდი მოყვარული ყოფილა. იმ ხანად, ირანსა და საბჭოთა კავშირს შორის ნორმალური სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა არსებობდა, ქვეყნები ურთიერთთანამშრომლობდნენ, ერთმანეთს თავიანთ ტერიტორიებზე ტრანზიტის უფლებას აძლევდნენ და სხვ. ასეთ ვითარებაში, კერძო ქართველ მრეწველს, როგორც ჩანს, ირანულ სავაჭრო კომპანიებთან ან ცალკეულ კომერსანტებთან ფინანსური კავშირები ჰქონდა, რომლებშიც უცხოური ვალუტაც იქნებოდა გამოყენებული. სავარაუდოდ, ამით უნდა აიხსნას, რომ დანაშაულში ბრალდებული მიტროფანე ლადიძე არ დაუკავებიათ. დადგენილებაში „ზომად შეკვეცის შესახებ“ (Об избрание меры пресечения) ასეთ ფორმულირებას ვკითხულობთ: „მისი თავისუფლებაზე ყოფნა არ შეუშლის ხელს საქმის სწორ ძიებას“. მიტროფანე თბილისიდან გაუსვლელობის ხელწერილით გაუთავისუფლებიათ.<sup>3</sup>

უფრო ადრე, 1923 წელს, მიტროფანე ლადიძეს ქუთაისში უძრავი ქონება - მიწის ნაკვეთი ჩამოართვეს. კერძო მფლობელთაგან ჩამორთმეული მიწები ირიცხებოდა სახელმწიფო ფონდში და, შემდგომში გლეხთა შორის გადასანაწილებლად, ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოე-

---

<sup>1</sup> Ю. Ларин, Частный капитал в СССР 1927. <http://economics.kiev.ua/index.php?id=967&view=article#t12>

<sup>2</sup> ი. აბაშიძე, ზარები ოცდაათიანი წლებიდან, თბ., 2003, გვ. 17.

<sup>3</sup> საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, ფონდი 6, საქმ. N 31175, ფურც. 41-42.

ბის განკარგულებაში გადადიოდა. ეს იმ დროს ფართოდ გავრცელებული მოვლენა იყო. „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ თანახმად, „საქართველოს სოფლებს მოედო ნამდვილი აგრარული რევოლუცია. გლეხები მასობრივად ერეკებოდნენ მემამულე-თავადაზნარებს ფეოდალური მამულებიდან. მათი მიწები, სამეურნეო ინვენტარი, ცოცხალი გამწვევი ძალა და სხვა ნაწილდებოდა გლეხობაში. მემამულეთა სახლები და სხვა შენობები ცხადდებოდა საზოგადოებრივ საკუთრებად, რომელთაც იყენებდნენ საავადმყოფოებად, სკოლებად, ბიბლიოთეკებად და ადმინისტრაციულ სახლებად“.<sup>1</sup>

მიწის ჩამორთმევის შესახებ ლალიძეს წერილობით შეატყობინეს. შემორჩენილია სარქივო დოკუმენტი, რომელიც ცხადყოფს, რომ მიტროფანე გაეცნო ქალაქის სამაზრო აღმასკომის კომუნალური მეურნეობის განყოფილების ამ გადაწყვეტილების შინაარსს, რაც 1923 წლის 11 ივლისს საკუთარი ხელმოწერით დაადასტურა.

ჩამორთმეულ ნაკვეთს ქუთაისში, ვაგზლის მახლობლად, მესამე ინტერნაციონალის ქუჩაზე მდებარე, 800 კვადრატული საჟენი სამოსახლო მიწა შეადგენდა.<sup>2</sup> მიტროფანეს მეუღლემ ოლიმპიადა ანდრიას ასულმა ლალიძემ ქალაქის სამიწათმოქმედო კომისიაში გაასაჩივრა ეს უსამართლო და უკანონო გადაწყვეტილება. წერილობით განმარტა, რომ ხსენებული ნაკვეთი ირიცხებოდა საკუთრივ ოლიმპიადა ლალიძის სახელზე და სხვა რამ ქონება, გარდა ამ საეზოვე ადგილისა, პირადად მას არ გააჩნდა. წერ-

---

<sup>1</sup> საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. VII, თბ., 1976, გვ. 129.

<sup>2</sup> ამ ადგილის მიგნება ახლაც შეიძლება, რადგანაც შემორჩენილია მისი ადგილმდებარეობის ზუსტი გეგმა: ჩრდილოეთით ესაზღვრებოდა კოსტა და ალექსანდრე გამგონეიშვილების მამული, დასავლეთით დიმიტრი შარაშენიძისა და ზაქარია ფურცხვანიძის საცხოვრისი, აღმოსავლეთით თურქიების სახლკარი, ხოლო სამხრეთით გზა ჩამოუდიოდა.

და: თვითონ მიტროფანეს აქვს სახლი, მაგრამ მემკვიდრედ 5 მცირეწლოვანი ქალ-ვაჟი ჰყავსო. მიტროფანეს შვილები - თინა (18 წლის), თორნიკე (17 წლის), ჯუანშერი (15 წლის), ვახტანგი (13 წლის) და რამაზი (10 წლის) - იმ დროს ყველანი მოწაფეები იყვნენ.<sup>1</sup>

ჩამორთმეულ ადგილს მაშინვე გამოსჩენია მსურველები - ქვიტირელი გლეხი, ქალაქში დღიურ მუშად ჩასული, ლევან მურღულია და მისი შვილი სევერიანე. ლევან მურღულია ნაკვეთს თურმე მანამდეც იჯარით ამუშავებდა, ახლა კი ამ მიწიდან სამოსახლო წილის მიცემას, ხოლო დანარჩენის კვლავ იჯარით დატოვებას ითხოვდა. აცხადებდა, ვარ ნამდვილი პროლეტარი, არც სოფელში და არც ქალაქში არ გამაჩნია საცხოვრისიო და იმედოვნებდა, რომ ქალაქის მესვეურები თხოვნას ჯეროვნად მოეკიდებოდნენ, - ის და მისი ცოლ-შვილი არ იქნებოდნენ დატოვებულნი ულუკმა-პუროდ, რადგან „საბჭოთა ხელისუფლება დარაჯად გვიდგას მუშასა და გლეხს, რომლებიც პატიოსან შრომით ცხოვრობენ, სადაც არ უნდა იყვნენ“.

საბჭოთა რეჟიმის პირობებში გლეხი რომ სხვის ქონებას ითხოვდა, ამაში გასაკვირი არაფერია. ამგვარ მისწრაფებას ხელს თავად ბოლშევიკები უწყობდნენ და კიდევაც ახალისებდნენ. მურღულიას განცხადებაში სხვა რამ არის საგულისხმო, კერძოდ ის, რომ იგი პატიოსნად აღიარებს: მიწით სარგებლობისათვის მიტროფანე ლადიძისათვის დალა უნდა მეხადა, მაგრამ არასდროს მახდევინებდა, რადგან ხედავდა ჩემს უკიდურეს ხელმოკლეობასო.<sup>2</sup>

სხენებული თხოვნა მხოლოდ 1926 წლის ივნისში დააკმაყოფილეს, როდესაც ლ. მურღულიას შვილსა და ქალაქ

---

<sup>1</sup> საქართველოს ეროვნული არქივი, ქუთაისის ცენტრალური არქივი, ფონდი 38, საქმ. 573, ფურც. 14.

<sup>2</sup> საქართველოს ეროვნული არქივი, ქუთაისის ცენტრალური არქივი, ფონდი 38, საქმ. 573, ფურც. 14.

ქუთაისის ადგილობრივი განყოფილების გამგეს შორის სა-  
იჯარო ხელშეკრულება გაფორმდა.

მიტროფანე ლალიძეს მიწის მარტო ერთი ნაკვეთის  
ჩამორთმევა არ აკმარეს, 1924 წლის მარტში მას კიდევ ერ-  
თი შეტყობინება აახლეს და ამჯერად ისევ ქუთაისში, აკა-  
კი წერეთლის ქუჩაზე მდებარე 50 კვადრატული საეზოვე  
მიწაზე ააღებინეს ხელი. ამჯერად საჩივარი თვითონ მიტ-  
როფანემ დაწერა. აი, ეს დოკუმენტიც:

„ქუთაისის ცენტრალური მიწათმოქმედების კომისიას

მიტროფანე ერმალოს ძე ლალიძის განცხადება.

10 ამა მარტს მე გამომეცხადა მესამე სამილიციო უბ-  
ნის საადგილმამულო კომიტეტის დადგენილება, რომლის  
თანახმად, მე ჩამორთმეული მაქვს 50 ოთხკუთხი საჟენი სა-  
ეზოვე მიწა მდებარე ქ. ქუთაისში აკ. წერეთლის ქუჩაზედ.  
ეს დადგენილება მიმანია უსამართლოდ, ვინაიდან ზომა  
ჩემი ეზოსი არ არის ისეთი დიდი (ყოველ შემთხვევაში  
ბევრად უფრო ნაკლებია კანონით განსაზღვრულ ნორმა-  
ზე), რომ შეიძლებოდეს მისი მეტი დაქუცმაცება. ტვილის-  
ში მაქვს ერთი ძველი სახლი, რომელსაც აქვს თავისუფა-  
ლი მიწა ზომით არა უმეტეს 30 ოთხკუთხ საჟენი, მაგრამ  
თუ მივიღებთ მხედველობაში ჩემს მრავალრიცხოვან  
ოჯახს (ოთხი ვაჟი და ერთი ქალი), ეს ... ნაკვეთი მიწა არ  
წარმოადგენს ისეთ გადამეტებულ შემამულებობას, რომ აუ-  
ცილებელი იყოს მისი ჩამორთმევა. ზემო ჩამოთვლილ გა-  
რემოებათა მიუხედავად, გთხოვთ: დადგენილება მესამე უბ-  
ნის საადგილმამულო კომიტეტის გააუქმეთ და ხსენებული  
მასში 50 ოთხკუთხ საჟენი მიწა დამიბრუნეთ. საჭირო მოწ-  
მობა წარმოდგენილ იქნება.

*მიტროფანე ერმალოს ძე ლალიძე*

*14 მარტი 1924*

*ტვილისი“.*

მიტროფანეს ასევე წარუდგენია თბილისში, გრიბოედოვის # 9-ში მდებარე მისი სახლისა და ეხოს (42,5 ოთკუთხივ საუენი) გეგმაც. როგორც მოსალოდნელი იყო, მრეწველის განცხადება არ დააკმაყოფილეს. იმავე საარქივო საქმეში დაცულია ცნობა, რომლითაც ირკვევა, რომ „მიტროფანე ერმილეს ძე ლალიძეს ჩამოერთვა 50 ოთხ. საეზოვე მიწა საზღვრებს შორის აღმოსავლეთით აკაკი წერეთლის ქუჩა, დასავლეთით ელექტროსადგური, სამხრეთით აკაკი წერეთლის პირველი შესახვევი, ჩრდილოეთით ჭაჭავაძეების ადგილი“.<sup>1</sup>

1928 წლის აპრილში, თავისი ნდობის აღჭურვილი პირის მეშვეობით, მიტროფანე კიდევ ერთხელ შეეცადა გაერკვია ხსენებული ნაკვეთის ბედი და ქუთაისის კომუნალური მეურნეობის გამგისაგან ითხოვა საბუთი, რომ ეს მიწა არ იყო ჩამორთმეული. თხოვნის საპასუხოდ მომზადებულ ცნობაში ვკითხულობთ: „განცხადებაში აღნიშნული ნაკვეთი მიწა მდებარე წერეთლის ქუჩაზე, არის გადარიცხული ფონდში. ზედ არის აგებული სახლები. განმცხადებელი თხოულობს მოწმობას იმის შესახებ, რომ ეს ადგილი არ არის ჩამორთმეული. ასეთი მოწმობა არ მიეცემა, რადგან, მიწა არის საფონდო, მხოლოდ ეს ადგილი რადგან სახლიანია, უნდა მიეცეს იჯარით, ამიტომ უნდა გაუკეთდეს ხელშეკრულება“. ცნობას წითელი მელნით ადევს რეზოლუცია: „უარი ეთქვას“.<sup>2</sup>

საბჭოთა რეჟიმის წლებში, სპირტიანი სასმელებისაგან განსხვავებით, უაღკოპოლო სასმელების წარმოებას ხელფონური პრობლემები არ შექმნია, პირიქით, - იგი კიდევაც გაფართოვდა, განსაკუთრებით რამდენიმე ანტიალკოჰოლური კამპანიის ფონზე. მიტროფანე ლალიძის სიცოცხლეში ასეთი სამი კამპანია დასტურდება. პირველი 1917

---

<sup>1</sup> საქართველოს ეროვნული არქივი, ქუთაისის ცენტრალური არქივი, ფონდი 38, საქმ. 573, ფურც. 14-16.

<sup>2</sup> საქართველოს ეროვნული არქივი, ქუთაისის ცენტრალური არქივი, ფონდი 38, საქმ. 573, ფურც. 17-18.



წლის ოქტომბრის სახელმწიფო გადატრიალებიდან მალევე დაიწყო<sup>1</sup> და 1923 წლის აგვისტომდე გაგრძელდა, როცა აკრძალული იყო სპირტისა და სხვა მაგარი სასმელების დამზადება-გაყიდვა. დამრღვევებს ხუთი წლით პატიმრობა და ქონების კონფისკაცია მოელოდათ. საბჭოთა კავშირის შექმნის შემდეგ ეს ნორმა საქართველოშიც ამოქმედდა. ალკოჰოლიზმზე მომდევნო შეტევა, რომელიც, ვითომცდა „მშრომელთა მოთხოვნით“, 1929 წლიდან 1934 წლამდე გრძელდებოდა, ლუდხანებისა თუ სხვა საქეიფო ადგილების მასობრივ დახურვასა და მათი სასადილოებად და საჩაიებებად გადაკეთებაში გამოიხატა.

1958 წელს გამოქვეყნდა სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრკ მინისტრთა საბჭოს დადგენილება „ლოთობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებისა და მაგარი სასმელებით ვაჭრობაში წესრიგის დამყარების შესახებ“. სადგურებში, აეროპორტებს და მიმდებარე ადგილებში საზოგადოებრივი კვების ყველა ობიექტში (გარდა რესტორნებისა) აიკრძალა არყის გაყიდვა. პერიოდულად გამოცემული ამ ერთგვარი „მშრალი კანონის“ წარმატებით განხორციელებაში მოსახლეობისათვის ხელი უალკოჰოლო სასმელების ფართო ასორტიმენტით შეთავაზებასაც უნდა შეეწყო. ერთ-ერთი ფაქტორი, რის გამოც საბჭოთა რეჟიმი მათ წარმოებას ფართოდ აფინანსებდა, ესეც იყო. მსგავსი თვალსაზრისი უკვე გამოთქმულიცაა შესაბამის ლიტერატურაში. მაგალითად, უალკოჰოლო სასმელების პეციალისტის, პ. ჩაგელიშვილის ნაშრომში აღნიშნულია: „უალკოჰოლო სასმელები, როგორც კვების პროდუქტი, გამაგრებელი და წყურვილის დამაკმაყოფილებელი საშუალება, ფართოდ მოიხმარება წლის ყველა დროში. უალკოჰოლო სას-

---

<sup>1</sup> უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვით, რომ გაგრძელდა, რადგან პირველი მსოფლიო ომის დაწყებისას იმპერიაში აიკრძალა სპირტიანი სასმელების წარმოებაცა და მოხმარებაც. მეფის ხელისუფლება და დროებითი მთავრობაც ისე დაემხო, ეს აკრძალვა არ გაუქმებიათ.

მელები თანდათან ამცირებენ არყის მოხმარებას და სულ უფრო ფართო ადგილს იკავებს მშრომელთა კვების რაციონში. საბჭოთა კავშირში სჯეროდათ რომ ლადიდის წყლების პოპულარიზაციით შესაძლოა არყის მოხმარება შეემცირებინათ”.<sup>1</sup>

მიტროფანე ლადიდის უშუალო მონაწილეობით, 1930 წელს ხილეულის წყლების ქარხანა სოხუმშიც აშენდა და ამოქმედდა. ამ პერიოდში აფხაზეთში სხვაც არაერთი საწარმო - ფაბრიკა და ქარხანა გაიხსნა, მათ შორის ღვინის ქარხანა, კვებისა და ადგილობრივი მრეწველობის სფეროში შემავალი კონსერვების, მურაბების, ჩირის წარმოება და სხვ.<sup>2</sup>

1934 წელს აღიარებული ქართველი სპეციალისტი უკრაინის მთავრობამ ქ. კიევში მიიწვია. მიტროფანე ლადიდემ უკრაინელ კოლეგებს თავისი გამოცდილება გაუზიარა და საკუთარი რეცეპტურით დამზადებული სურნელოვანი წყლების დამზადების წესები გააცნო. მიტროფანე ლადიდეს კონსულტაციებისათვის იწვევდნენ ასევე მოსკოვისა და ლენინგრადის (დღეს სანქტ-პეტერბურგი) ლიმონათების ქარხნებში. ამ ამბავს თვითონ ასე იხსენებდა: „ჩემი რეცეპტურა იმ ხანებში, როდესაც ამიერკავკასიის კვების კომისარიატს სათავეში უდგა ამხ. დეკანოზიშივილი, დამტკიცებულ იქმნა მის მიერ და გადაეცა სახელმძღვანელოდ ამიერკავკასიის ყველა ქალაქის უაღკოგოლო სამელების ქარხნებს. ეს ჩემი გაუმჯობესებული რეცეპტურა აგრეთვე გადავეცი მოსკოვის, ლენინგრადის და კიევის უაღკოგოლო წყლების ქარხნებს, რომელთა ხელმძღვანელობამ 1934 წელს მიმიწვიეს საკონსულტაციოთ. ჩემი მეთოდით დამზადებული უაღკოგოლო სასმელი წყლები, მოსკოვის მიერ დამტკიცებულ რეცეპტურასთან შედარებით, იძლევა გაცი-

---

<sup>1</sup> პ. ჩაგელიშივილი, ღუდისა და უაღკოგოლო სასმელების ტექნოლოგია, თბ., 1974, გვ.31.

<sup>2</sup> საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. VII, თბ., 1976, გვ. 364.

ლებით უკეთესი ხარისხის სასმელებს. მის დასამზადებლად იხარჯება ბევრად ნაკლები ძვირფასი დეფიციტური მასალები, ვიდრე მოსკოვის მიერ დამტკიცებული რეცეპტურით, რაც დიდ ეკონომიას აძლევს სახელმწიფოს”.<sup>1</sup>

მიტროფანე ლალიძეს ხილვეული წყლების წარმოების გახსნა არაერთხელ შესთავაზეს ირანში, ეგვიპტესა და სხვა ქვეყნებში, თუმცა ამაზე უარი თქვა (რომც მოენდომებინა, საეჭვოა ხელისუფლებას მისთვის უცხოეთში წასვლის ნება დაერთო. ამის შესახებ იხ. ქვემოთ).

1952 წელს მიტროფანე ლალიძემ ლიმონათის კიდევ ერთი ახალი რეცეპტი შექმნა. საქართველოს „ლუდ-ლიმონათის ტრესტმა“ იგი მოიწონა, წარმოებაში მიიღო და სასმელის გამოშვებას შეუდგა. გაზეთის ცნობით, „ეს ახალი მასობრივი სასმელი დაიკავეს საბჭოთა კავშირის უაღკოპოლო სასმელების სამრეწველო პროდუქციათა 40 პროცენტს“.<sup>2</sup>

უაღკოპოლო სასმელების სფეროში მიტროფანე ლალიძის უნიკალურ გამოცდილებას საბჭოთა ხელისუფლება შემდგომ პერიოდშიც ფათოდ იყენებდა. ის გახლავთ სსრ კავშირის კვების მრეწველობის მიერ გამოქვეყნებულ კრებულში შესული ლიმონათებისა და ხილველი წყლების რეცეპტთა 90%-ის ავტორი.<sup>3</sup>

მიტროფანე ლალიძე, როგორც მაღალი რანგის პროფესიონალი, შეუცვლელი იყო თავის საქმეში. საბჭოთა ქვეყნის მესვეურებს ეს კარგად მოეხსენებოდათ, რის გამოც ისინი ზოგჯერ თვალს ხუჭავდნენ და თავს იკავებდნენ მისი დევნისაგან. სხვა შემთხვევაში, ლალიძის მდგომარეობაში მყოფ პიროვნებას რეპრესია არ ასცდებოდა. ვგულისხმობ იმ გარემოებას, რომ ცნობილი ქართველი

---

<sup>1</sup> შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, ფონდი 8, ანაწ. 2, ნაწილი 1, საქმ. 30, ფურც. 2.

<sup>2</sup> გაზ. „კომუნისტი“, 1952 წ., 11 დეკემბერი.

<sup>3</sup> <https://tbilisi.aif.ru/archive/1729487>

მრეწველის ორი ვაჟი - თორნიკე და ჯუანშერ ლაღიძეები, რომლებიც მამამ 1925 და 1931 წლებში სასწავლებლად გერმანიაში გაგზავნა, უცხოეთში დარჩნენ. ომი რომ დაიწყო, ძმები ინგლისში გადავიდნენ, მერე კი საფრანგეთში დაფუძნდნენ. მეტიც, თორნიკე ლაღიძე გერმანიის დროშის ქვეშ მებრძოლი ქართული სამხედრო შენაერთის „თამარ ორის“ შემადგენლობაში შედიოდა, რომელიც 1942 წლის მარტში გერმანიაში ჩამოყალიბდა.

მიტროფანე ლაღიძე ისე გარდაიცვალა, ემიგრაციაში მყოფი ორი შვილი აღარც უნახავს. მხოლოდ მრეწველისა და ქველმოქმედის შვილიშვილმა თორნიკე ლაღიძემ, რომელსაც სახელი ბიძის პატივსაცემად დაარქვეს, შეძლო საფრანგეთში ჩასვლა და ღვიძლი ბიძის მონახულება. ეს იყო 1977 წელს, მაგრამ „ბიძა-ძმიშვილის შეხვედრის პირველი დღე უკანასკნელიც გამოდგა - დილით უფროსი თორნიკე გარდაიცვალა. „გულმა ვერ გაუძლო მოზღვავებულ მღელვარებას“.<sup>1</sup> იგი ლევილის ქართველთა სასაფლაოზეა დაკრძალული. ლევილში განისვენებს ჯუანშერ ლაღიძეც, რომელიც 1980 წელს გარდაცვლილა.<sup>2</sup>

გარდა ამისა, 1937 წელს, პოლიტიკური რეპრესიების პერიოდში, რომელიც „დიდ ბოროტებადაა“ სახელდებული, ციხეში ჩასვეს მიტროფანე ლაღიძის მესამე ვაჟი ვახტანგ ლაღიძე, რომელსაც მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში იურიდიული ფაკულტეტი ჰქონდა დამთავრებული.<sup>3</sup>

1910 წელს ქუთაისში დაბადებული, თბილისში, გრიბოედოვის ქუჩის №9-ში მცხოვრები, პროფესიით იურისტი, ვახტანგ ლაღიძე საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სა-

---

<sup>1</sup> <https://www.facebook.com/LagidzeWater/posts/1159299984115126/>

<sup>2</sup> მადლობას ვუხდით დოქტორ გ. მამულიას, რომელმაც მომაწოდა პარიზის პოლიციის არქივში დაცული ცნობები ძმები ლაღიძეების შესახებ.

<sup>3</sup> ი. დოღონაძე, ოჯახური დინასტიები საქართველოში, მოსკოვი, 2004, გვ. 223.

ხალხო კომისარიატის განკარგულებით, 1937 წლის 26 ივლისს დააპატიმრეს. მას ბრალი საბჭოთა სისხლის სამართლის კოდექსის 58-12 მუხლით ედებოდა. 58-ე მუხლი პასუხისმგებლობას ზოგადად კონტრრევოლუციური საქმიანობისათვის განსაზღვრავდა. კონტრრევოლუციად კი მიჩნეული იყო საბჭოთა ხელისუფლებისა და პროლეტარული რევოლუციის ძირითადი მონაპოვრებისათვის ძირის გამოთხრის, დასუსტების ან დამხობისაკენ მიმართული ყოველგვარი ქმედება.

ხსენებული მუხლის მე-12 პრიმა - „შეუტყობინებლობა პირისათვის დანამდვილებით ცნობილი ჩადენილი კონტრრევოლუციური დანაშაულის ან მისი მზადების შესახებ“ - 6 თვემდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებდა. ამის მიუხედავად, შინსახკომის სამეულმა 1937 წლის 7 სექტემბერს ვახტანგ ლალიძეს 10 წლით საპრობილეში ჩასმა მიუსაჯა.<sup>1</sup>

ამ ამბავთან დაკავშირებით საინტერესო ფაქტს ივონებს ვახტანგ ლალიძის შვილი თორნიკე ლალიძე. მისი სიტყვით: „მიტროფანეს ხშირად უწევდა მოსკოვში ჩასვლა. ერთხელაც სტალინს, რომელსაც კარგად იცნობდა, როგორღაც უთქვამს მისთვის, რას დარბიხარ წინ და უკან, მოსკოვში გადმობი საცხოვრებლადო. ამაზე მიტროფანეს უპასუხია, არა, ვერ გადმოვალ, ოჯახი მყავს, შვილიშვილს ვზრდიო. დაუყრია კითხვები, შენ რატომ ზრდი, მამა სად არისო? ჰოდა, ბაბუაც იძულებული გამხდარა ეთქვა, რომ შვილი, ანუ მამაჩემი, 37-ში დაუპატიმრეს და უკვე მეორე წელი მიდიოდა, რაც ციხეში იყო, რადგან პოლიტიკურ ლიდერებზე რაღაც უთქვამს მოურიდებლად. მიტროფანესა და სტალინის საუბრისას კაბინეტში ბერია შესულა. მასაც ძალიან კარგად სცნობია ბაბუაჩემი - ლავრენტი პავლოვიჩის მეუღლე მამიდაჩემ თინას კლასელი ყოფილა. სტალინს ბე-

---

<sup>1</sup> შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, (I), ფონდი 8, საქმე 37369, ოქმი 9.

რიასთვის დაუვალებია საკითხში გარკვევა... და ორი თვის შემდეგ მამა ციხიდან გაათავისუფლეს. თუმცა უკვე ძალიან ავად იყო და ამ ქვეყნიდან ადრე წავიდა“.<sup>1</sup>

ეს მონათხრობი სინამდვილის ანარეკლი უნდა იყოს. ამის თქმის უფლებას ერთი საყურადღებო საარქივო ცნობა იძლევა, კერძოდ, ვახტანგ ლალიძის ნასამართლობის ბარათი, რომლის გრაფაში - „ცვლილებანი სასჯელის ვადაში“ ჩაწერილია: „საქმე შესანახად გადაეცა შინსახკომის ქ. მოსკოვის პირველ სპეციალურ განყოფილებას“.<sup>2</sup> არქივის სპეციალისტთა განმარტებით, ამგვარი რამ ძალზე იშვიათად, მხოლოდ უაღრესი გამონაკლისის შემთხვევაში ხდებოდა. დოკუმენტით, ვახტანგ ლალიძის განთავისუფლებაში სტალინის უშუალო მონაწილეობა არ დასტურდება, მაგრამ ფაქტია რომ იგი გაათავისუფლეს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში დაცული მეორე დოკუმენტის დაკავშირება ხსენებულ საქმესთან საეჭვოა. ვგულისხმობ მისა ცხაკაიას წერილს ლავრენტი ბერიასადმი. მას თარიღი არ უზის, მაგრამ ადრესატის თანამდებობიდან გამომდინარე - სსრ კავშირის მარშალი, - რაც აღნიშნულია წერილში, იგი დაწერილი უნდა იყოს 1945 წელს ან შემდგომ, რადგან ეს წოდება ლ. ბერიას 1945 წელს მიენიჭა. მიტროფანე ლალიძის თხოვნით, ბერიას სახელზე დაწერილი მისი ბარათი მისა ცხაკაიას მოსკოვში გაუგზავნია და თან თავისი წერილიც დაურთავს. ძველი რევოლუციონერი და იმ ხანად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ბერიას წერდა: გიგზავნი ჩვენი ნაცნობის, მიტროფანე ლალიძის წერილსო და შეახსენებდა მას უაღკოპოლო სასმელების ცნობილი სპეციალისტის ვინაობას. მოკლედ მიმოიხილავდა 1890-იან წლებში მიტროფანე ლალიძის მონაწილეობას ქუთაისში არალეგალური ლიტერა-

---

<sup>1</sup> <https://www.facebook.com/LagidzeWater/posts/1159299984115126/>

<sup>2</sup> შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, (I), ფონდი 8, საქმე 37369, ოქმი 9.

ტურის მიღებაში, ბოლოს კი დასძენდა: იმედია მის თხოვნას დააკმაყოფილებთო.<sup>1</sup>

უცნობი რჩება, რა თხოვნა ჰქონდა მიტროფანეს ლავრენტი ბერიასთან ან გაუწია თუ არა მან ანგარიში მისხაცხაკაიას რეკომენდაციას (გამორიცხული არ არის ეს ამბავი მიტროფანეს ემიგრაციაში მყოფი შვილების საკითხს უკავშირდებოდეს).

ძმისშვილისაგან განსხვავებით, უმკაცრეს სასჯელს ვერ გადაურჩა მიტროფანე ლალიძის ძმა გრიგოლ ერძილეს ძე ლალიძე. იგი, როგორც სოციალისტ-ფედერალისტი, საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდეც მოხვედრილა სპეცსამსახურების, კერძოდ ჟანდარმერიის ყურადღების ცენტრში.<sup>2</sup> რეპრესირებულთა სტალინური სიების თანახმად, რომლებსაც ხელს აწერენ სტალინი, მოლოტოვი და კაგანოვიჩი, გრიგოლ ლალიძე 1887 წელს სოფელ გოდოგანში დაბადებულა. იყო კომუნისტური პარტიის (ბ) წევრი, კონტრრევოლუციური საქმიანობის ბრალდებით, დაუპატიმრებიან და გაუსამართლებიან სისხლის სამართლის კოდექსის 58-1-ა, 58-2, 58-8, 58-9, 58-11 მუხლებით. დახვეწილი მიუსჯიან 1937 წლის 10 აგვისტოს.<sup>3</sup> მის შესახებ საბრალდებო დასკვნაში ასეთ რამესაც ვკითხულობთ: „1934 წელს სააჯანყებო კონტრრევოლუციურ ნაციონალიტური ტერორისტული ორგანიზაციის „ნაციონალისტური პარტიის“ ხელმძღვანელმა გრიგოლ ერძილეს ძე ლალიძემ გადაიბირა და ხელმძღვანელ კომიტეტში შეიყვანა მემედ აბაშიძე“.<sup>4</sup>

თბილისის უაღკოპოლო სასმელების ქარხნის კომუნისტური ორგანიზაციის პარტიული ორგანიზაციის კრებულის ოქმებიდან ირკვევა, რომ განსაკუთრებით 1937-1938

---

<sup>1</sup> შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, ფონდი 8, ანაწ. 2, ნაწილი 1, საქმ. 30, ფურც. 10.

<sup>2</sup> საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 153, ანაწ. 1, საქმ. 3267, ფურც. 128.

<sup>3</sup> <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=26&t=3565>

<sup>4</sup> რ. კვერენჩილაძე, საბუთები დადადებენ, თბ., 2011, გვ. 338.

წლებში მიტროფანე ლალიძე და მასთან ერთად მომუშავე მისი ძმა მიხაკო დიდ შევიწროებას განიცდიდნენ.<sup>1</sup> „ბოლშევიკური სიფხიზლის“ მიმდევარი ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა ნაწილი მათ ხშირად აკრიტიკებდა, განსაკუთრებით იმის გამო, რომ გამაგრებელი სასმელების ტექნოლოგიასა და რეცეპტებს ქარხნის თანამშრომლებს არ უზიარებდნენ. ერთი ამგვარი ფაქტიც დასტურდება: ლაბორატორიას, სადაც ძმები ლიმონათების სიროფს ამზადებდნენ, მეთვალყურე მიუჩინეს. ეს იყო ქარხნის მუშა ვინმე ჯანგირზადე, რომელსაც ლალიძეებისათვის ფარულად თვალი უნდა ედევნებინა. მიხაკოს ეს გაუგია და მიმყურადებელი გაულახავს. ქარხნის ცალკეულმა კომუნისტმა მუშა-მოსამსახურემ ორგანიზაციის კრებაზე მომხდარი მკაცრად დაგმო და ლალიძეების საწარმოდან გაშვებაც მოითხოვა (ფრაზები გამოსთქმული ბრალდებებიდან: „ეს არის არა ჯანგირზადეს გალახვა, არამედ პარტიული ორგანიზაციისაც“, „ძმები ლალიძეები ხელს უშლიან მუშაობას და ქმნიან უკმაყოფილებას მუშებსა და დირექციას შორის“, „ისინი არაფერში თავს არ გრძნობენ პასუხისმგებლად და ცდილობენ ავტორიტეტი წაუხდინონ დირექტორს მუშებში და ამით ასწიონ თავიანთი ავტორიტეტი“, „მათ ზარალის მეტი არაფერი მოაქვთ ქარხნისთვის“, „ლალიძეები არავის ასწავლიან თავის ცოდნას წყლის შემზადების დარგში, ...სცემენ ახალ კადრებს და ერეკებიან. ეს არის მავნებლობა, ... ეს ხალხი არაა საიმედო და უნდა განიდევნოს ქარხნიდან“, „უნდა მოიხსნან სამსახურიდან“). ზოგიერთი გამომსვლელი (შაცკი და სხვ.) მათ „ხალხის მტრებადაც“ მოიხსენიებდა, რადგან

---

<sup>1</sup> მიხეილ ლალიძე 1919 წლის თებერვალში ესერთა პარტიის სიით მონაწილეობას იღებდა საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნებში. იხ. პირველი საყოველთაო დემოკრატიული არჩევნები დამოუკიდებელ საქართველოში, თბ., 1919, გვ. 30. საბჭოურ სინამდვილეში მ. ლალიძისადმი უნდობლობის საფუძველად ეს ფაქტიც საკმარისი იყო.



ლალიძეების ერთი „ფაშისტი“ ძმა კონტრრევოლუციის ბრალდებით დახვრეტილი იყო, ხოლო მიტროფანეს შვილი სასჯელს ციხეში იხდიდა. საბოლოოდ კრების დადგენილებაში ჩაიწერა: „მიხაკო ლალიძე, რომელმაც სცემა პარტ-ვეერს, განთავისუფლებულ იქნას ქარხნიდან“.<sup>1</sup>

ახლოებლმა ადამიანებმა, ცხადია, იცოდნენ მიტროფანე ლალიძის ოჯახის რთული მდგომარეობა. ამ მხრივ საინტერესო ცნობა შემოუნახავს გალაკტიონ ტაბიძის დღიურებს. 1949 წლის 11 მარტს, პოეტს ალექსანდრეს (დღეს 9 აპრილის) ბაღში უნახავს სკამზე ჩამომჯდარი მიტროფანე. საღამოს კი თავის დღიურში ჩაუწერია: „მიტროფანე ლალიძე. ...ღმერთო ჩემო, როგორ დაბერებულა. ... რა გადახდა ნეტავი თავს? რა თქმა უნდა, ბევრი, ბევრი რამ გადაიტანა. ...ძმა, შვილი, შვილიშვილები... ბევრი რამ განიცადა, ალბად“.<sup>2</sup>

როდესაც რეპრესიებმა გადაიარეს და მეორე მსოფლიო ომიც დამთავრდა, მიტროფანე ლალიძისადმი რეჟიმის დამოკიდებულება უკეთესობისაკენ შეიცვალა. მას მუშაობისათვის სრულფასოვანი პირობები შეუქმნეს. ამის ერთ-ერთ წინაპირობად მისი ლიმონათის საერთაშორისო ცნობადობაც უნდა მივიჩნიოთ. ინტერნეტისივრცესა და პოპულარულ ბეჭდურ გამოცემებში ქართულ თუ რუსულ ენებზე ხშირად ქვეყნდება ინფორმაცია, რომ მიტროფანე ლალიძის უაღკოპოლო სასმელებით მოხიბლულან ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტები ფრანკლინ დელანო რუზველტი და ჰარი ტრუმენი. პირველს ლალიძის ლიმონათი თითქოს 1943 წელს, თეირანის კონფერენციაზე გაუსინჯავს და ისე მოსწონებია, 2 ათასი ბოთლი სამშობლოშიც გაიყოლაო. მეორისათვის კი იგივე სასმელი 1952 წელს, საბჭოთა ლიდერისათვის ოკეანის გაღმიდან მიძღვნილი 100 (ზოგიერთი ცნობით, 1000) ბოთლი კოკა-კოლას საპასუ-

---

<sup>1</sup> საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, ფონდი 443, ანაწ. 1, საქმ. 5, ფურც. 88-90; 92-93; 104-105.

<sup>2</sup> <http://galaktion.ge/?page=Diaries&id=4541>

ხო საჩუქრად, თითქოსდა თეთრ სახელში თვით სტალინს გაუგზავნია.<sup>1</sup> „ლიმონათს ისეთი ფურორი მოუხდენია, რომ ტრუმენი ამერიკაში მისი შეტანით დაინტერესებულა“.<sup>2</sup> არაერთგან არის აღნიშნული, რომ ამას აშშ-ში სსრ კავშირის საგანგებო და სრულფუნქციონირებელი ელჩი ანდრეი გრომიკო გვიმოწმებს.<sup>3</sup> იმასაც ვერენ, თითქოს, ლალიძის წყლები ერთხანს ამერიკის შეერთებულ შტატებშიც ჩამოისხმებოდა.<sup>4</sup>

სხვა ინფორმაციით, თითქოს ლალიძის ლიმონათზე თავის მემუარებში „თეირანი - 43“ საუბრობს დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი უინსტონ ჩერჩილი, რომელსაც ეს სასმელი თეირანის კონფერენციაზე დაუგემოვნებია.<sup>5</sup> ჩერჩილს ამ სახელწოდების მემუარული წიგნი ცალკე არა აქვს. მეორე მსოფლიო ომისადმი მიძღვნილ თავის ექვსტომიანი ნაშრომის მეხუთე ტომში იგი ვრცლად აღწერს თეირანის კონფერენციისას გამართულ ოფიციალურ თუ არაოფიციალურ შეხვედრებს, მაგრამ არსად ახსენებს არც მიტროფანე ლალიძესა და არც მის გაზიან სამელს.<sup>6</sup> ასევე არაფერია ლალიძის ლიმონათზე ნათქვამი არც ანდრეი გრომიკოს მემუარებში.<sup>7</sup>

---

<sup>1</sup> <https://www.kvirispalitra.ge/history/40481-stalinis-pasukhi-qkoka-kolasq-da-mitrofan-laghidze-qlimonathebis-geniosiq.html>

<sup>2</sup> <https://2ginal.com/?cat=9&paged=2> ასევე, <https://stoneforest.ru/look/allabout/drinks/vody-lagidze/>

Андрей Белоконь, «Воды Лагидзе» - продукт создателя «Тархуна»

<sup>3</sup> <https://www.retail.ru/articles/limonady-lagidze-istoriya-legendarnogo-brenda/> ასევე, <http://sakartvelotour.com/limonady-lagidze>

<sup>4</sup> ი. დოლონაძე, ოჯახური დინასტიები საქართველოში, მოსკოვი, 2004, გვ. 203.

<sup>5</sup> <https://47news.ru/articles/86919/>

<sup>6</sup> У. Черчилль, Вторая мировая война. В шести томах. Том пятый, М., 1991. С. 192-211.

<sup>7</sup> А. Громико, Памятное. Новые горизонты. Книга 1, М., 2015. 1952 წელს, როდესაც თითქოს ჰ. ტრუმენი ლალიძის ლიმონათით დაინტერესდა, ა. გრომიკო აშშ-ში კარგა ხანია ელჩი აღარ იყო.

ერთ-ერთი წყარო, რომელიც არსად დასახელებულა, მაგრამ შეიცავს ჩვენთვის საინტერესო ცნობას, არის ქართველი ემიგრანტის, თეირანის კონფერენციაზე ჩერჩილის მრჩევლის მერაბ კვიციანიშვილის მოგონება, რომელიც ჯერ ემიგრაციაში გამოქვეყნდა, ხოლო 1991 წელს საქართველოში ცალკე წიგნად დაიბეჭდა. ჩვენი თანამემამულე მოგვითხრობს, რომ თეირანის კონფერენციაზე სტალინის ამალაში მყოფ გენერალ-მაიორ დიმიტრი არკადიევს, რომელიც იმ დროს სსრკ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სარკინიგზო და საწვალოსნო გადაზიდვების განყოფილებას ხელმძღვანელობდა, ერთ დღეს თავისთან მიუწვევია ბრიტანეთის დელეგაციაში შემავალი რამდენიმე ოფიცერი და მათთვის სადილი გაუმართავს. მ. კვიციანიშვილის სიტყვით, „სადილი ძალზე გემრიელი იყო და საბჭოელებმა მითხრეს, რომ ყველაფერი, საჭმელიც და სასმელიც საქართველოდან იყო ჩამოტანილი. სახელგანთქმული ლადიძის ხილის სასმელიც კი მოეტანათ, რომელიც, საბჭოელებმა გამოგვიცხადეს, მსოფლიოში საუკეთესო არისო. ჩემი აზრით მართლაც ასე იყო, მაგრამ ბრიტანელ ოფიცრებს არც თუ ისე მოეწონათ. მათ რაიმე უფრო მაგარი უნდოდათ, რაშიც ალკოჰოლი იქნეოდა და, რასაკვირველია, ამგვარი სასმელიც ბლომად იყო. განსაკუთრებით კარგი იყო ქართული ღვინოები“.<sup>1</sup>

მეორე, ასეთივე მემუარული ხასიათის წყარო, ეკუთვნის საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს 1952-1953 წლებში აკაკი მგელაძეს. თავის რუსულ ენაზე გამოცემულ წიგნში „Сталин. Каким я его знал. Страницы недавнего прошлого“ ავტორი იხსენებს: 1952 წლის ერთ დღეს ჩემს სამუშაო კაბინეტში დამირეკა ანას-

---

<sup>1</sup> მ. კვიციანიშვილი, თეირანის კონფერენცია. „ფიქრები საქართველოს მომავალზე“, თბ., 1991, გვ. 61-62.

ტას მიქოიანმა<sup>1</sup> და მითხრა, რომ სტალინმა ამერიკის პრეზიდენტისაგან მიიღო განსაკუთრებული სასმელი „კოკა-კოლა“, რომლითაც იგი პოლიტიუროს წევრებს გაუმასპინძლდა. სასმელით ყველანი კმაყოფილი დარჩენილან. ამხანაგმა სტალინმა დამავალა გადმოგცეთ, რომ კრემლში გამოგზავნოთ თქვენი ცნობილი ლადიქე. „მან უნდა დაამზადოს „კოკა-კოლაზე“ უკეთესი სასმელი. ამხანაგ სტალინს უნდა, რომ ლადიქის სასმელი ამერიკის პრეზიდენტს გაუგზავნოს“.<sup>2</sup>

აკაკი მგელაძეს თავისთან მიუწვევია 80 წელს გადაცილებული მიტროფანე ლადიქე და უთქვამს, რომ მოუწევს გაემგზავროს მოსკოვში მიქოიანთან, რომლისაგანაც პირადად შეიტყობს კრემლის დავალების დეტალებს (არ მითქვამს, რომ დავალება სტალინისაგან მოდიოდაო). მოხუცს გადაჭრით მიუვია: „მე არ წავალ მიქოიანთან, გლახა კაცია და იმიტომ“. აღარ ვიცოდი, როგორ მოვქცეულიყავი, - განაგრძობს მგელაძე - დაეურეკე უშუალოდ სტალინს და ლადიქესთან საუბრის შესახებ ვუამბეო. სტალინს ბევრი უცინია და და მგელაძე დაუმშვიდებია: „უთხარით ლადიქეს, რომ მას მოსკოვში მე ვიწვევ თავის სპეციალობასთან დაკავშირებული ერთი მნიშვნელოვანი დავალების შესასრულებლად“.

ცენტრალურ კომიტეტში ხელახლად მიწვეული მიტროფანე ლადიქე სიამოვნებით დათანხმებულა სტალინთან გამგზავრებაზე და და ნათესავი ექიმის<sup>3</sup> თანხლებით კიდევაც გაუშვიათ მოსკოვში სპეციალური ვაგონით. მიტროფანეს დავალება მშვენივრად შეუსრულებია.

თბილისში დაბრუნებულს ვიზიტის შედეგები აკაკი მგელაძისათვის მოუხსენებია: ჩემი დამზადებული მსხლის

---

<sup>1</sup> საბჭოთა სახელმწიფო მოღვაწე, იმ დროს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.

<sup>2</sup> А. Мгеладзе, Сталин. Каким я его знал. Страницы недавнего прошлого, М., 2001, с. 224.

<sup>3</sup> სავარაუდოდ, ეს უნდა ყოფილიყო მისივე ქალიშვილი თინა.

ლიმონათი სტალინს ძალიან მოეწონა და ჩემთვის ესაა მთავარი და არა ის, რომ სასმელი ამერიკის პრეზიდენტი-სათვის იყო განკუთვნილიო.<sup>1</sup>

სტალინს მიტროფანე ლალიძისათვის მაღალი თანამდებობა შეუთავაზებია. 1952 წელს იგი მართლაც დაინიშნა „გლავფრუქტოვოდ“-ის მთავარ კონსულტანტად. „გლავფრუქტოვოდ“ ანუ ხილ-წყლების მთავარი სამმართველო სსრ კავშირის კვების მერწველობის სამინისტროს ერთ-ერთი მსხვილი დანაყოფი იყო. მის მთავარ კონსულტანტს მთელი საბჭოეთის ფარგლებში უაღკოპოლო სასმელების ხარისხისათვის თვალყურის დევნება ევალებოდა და უზარმაზარი პასუხისმგებლობაც ეკისრებოდა. მიტროფანე ამ მნიშვნელოვან საქმეს თბილისიდან ხელმძღვანელობდა.

სულ ესაა ცნობილი მიტროფანე ლალიძის უაღკოპოლო სასმელების ინგლისსა თუ ამერიკაში შეტანის შესახებ, ხოლო რაც შეეხება საბჭოთა ხელმძღვანელი მუშაკების დაინტერესებას საქართველოში წარმოებული ლალიძის ლიმონათით, რაზეც ასევე ბევრი იწერება, თუმცა კვლავაც წყაროს დაუმოწმებლად, - სიმართლეს უნდა შეესაბამებოდეს: ერთ დროს უაღკოპოლო სასმელების მოსკოვში, საიმპერატორო კარის ოფიციალური მიმწოდებელი მიტროფანე ლალიძე საბჭოთა პერიოდში იგივე სასმელებით კრემლის არაოფიციალურ მომმარაგებლად მართლაც უნდა ქცეულიყო. ოღონდ ახალ სინამდვილეში უმაღლესი პარტიული და საბჭოთა ელიტის პროდუქციით უზრუნველყოფა არა კერძო პირებს, არამედ სპეციალურ სამსახურებს დაევადათ. მეორე მსოფლიო ომის შემდგომ ეს საქმე სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის მეცხრე სამმართველოს ჰქონდა დაკისრებული, რომელიც პასუხისმგებელი იყო ამ ელიტის დაცვაზეც. მრავალ ქარხანასა თუ ფაბრიკაში შეიქმნა სპეციალური საამქროები, სადაც მხოლოდ

---

<sup>1</sup> А. Мгеладзе, Сталин. Каким я его знал. Страницы недавнего прошлого, М., 2001, с. 224.

ნომენკლატურისათვის განსაკუთრებით ხარისხიანი პროდუქცია იწარმოებოდა.<sup>1</sup>

საგანგებო ლიმონათი კორპის საცობიან ბოთლებში (ჩვეულებრივ ლიმონათს თხელი თუნუქის თავსახური ჰქონდა), მიტროფანე ლაღიძის რეცეპტით, თბილისის უალკოჰოლო სასმელების ქარხანაშიც ისხმებოდა. სასმელი მოსკოვში, პოლიტბიუროში იგზავნებოდა, ნაწილი კი საქართველოში, ნომენკლატურისათვის განკუთვნილ ბუფეტებსა და სპეციალურ მაღაზიებში იყიდებოდა.

შეგვხვოთ კიდევ ერთ ამბავს, რომელიც ასევე სხვადასხვა ინტერპრეტაციით ვრცელდება და „ლაღიძის წყლების“ „საიდუმლოს“ უკავშირდება. გასული საუკუნის 30-იანი წლების დასაწყისში დადიოდა ხმები, რომ „ლაღიძის ლიმონათის“ ყველა რეცეპტის ავტორი მიტროფანე ლაღიძე განზრახ მაღავს ლიმონათის დამზადების ზოგიერთ საიდუმლოს. პარტიას და მთავრობას კი მაშინ ყველაფერი უნდა ცოდნოდათ.

ლავრენტი ბერიას ერთ-ერთი მძღოლის, ნიკო მელიქიშვილის მოგონების თანახმად, საქართველოს კომპარტიის ცკ-ში, რომლის პირველი მდივანიც ბერია იყო, გახშირდა წერილები, უფრო სწორად, დასმენები, რომ მიტროფანე ლაღიძე თავის ლიმონათის წარმოებაში რაღაც საიდუმლო ტექნოლოგიებით სარგებლობს. „ყოველგვარი საიდუმლო მაშინ დანაშაულად ითვლებოდა“. ამიტომ ლ. ბერიას დავალებით, ერთ დღეს ლიმონათის ქარხანაში მიტროფანე ლაღიძეს ნ. მელიქიშვილმა მიაკითხა და მეწარმეს უთხრა, რომ ბერიას მისი ნახვა სურს. „ლაღიძე შეკრთა და ფერი დაეკარგა“, თუმცა მძღოლს მაშინვე გაჰყვა და ცკ-ს შენობაში თავჩაქინდრული შევიდა. ერთ საათში იქიდან გამოსულმა, „სრულიად შეცვლილმა, სახეგაბრწყინებულმა“ მიტროფანემ მძღოლს უამბო: ბერიას დეტალურად აუუხსენი თუ როგორ ვამზადებ

---

<sup>1</sup> [http://news.bbc.co.uk/hi/russian/russia/newsid\\_6421000/6421609.stm](http://news.bbc.co.uk/hi/russian/russia/newsid_6421000/6421609.stm)

ლიმონათს. მან ანონიმშიკებს კარგად შეუკურთხა და მე ხელის ჩამორთმევით გამოიმისტუმრაო.

მემუარისტი განაგრძობს: რამდენიმე წლის შემდეგ ლალიძე სტალინმაც გამოიძახა და მას სასმელის დამზაება კრემლშიც მოუწია (ეს ისტორია თვითონ მიტროფანემ მიაშობო). სტალინმა ახლად დამზადებული ლიმონათი მალაზიაში ნაყიდ ლალიძის ლიმონათს შეადარა. „ესქპერიმენტი წარმატებით დასრულდა. „არავითარი განსხვავება“, - თქვა იოსებ ბესარიონის ძემ და მცირე პაუზის შემდეგ ღიმილით დაამატა: - „და არავითარი საიდუმლო“.<sup>1</sup> მართლაც, როგორც დადასტურებულია, მიტროფანე ლალიძეს უაღკოპოლო სასმელების დამზადების „არავითარი საიდუმლოება არ გააჩნდა, გარდა ბუნებრივი დეგუსტაციური ნიჭისა და კეთილსინდისიერი დამოკიდებულებისა საქმისადმი“.<sup>2</sup>

მიტროფანე ლალიძეს მაღალი სახელმწიფო ჯილდოები არ ჰქონია. თუ არ ჩავთვლით რუსეთის იმპერიის დროინდელ გამოფენებზე მოპოვებულ მედლებს, მისი ჯილდოების კოლექციაში იყო „საპატიო ნიშნის ორდენი“ და კვების მრეწველობის სისტემის მუშაკთა წახალისების მიზნით ჯერ კიდევ 1938 წელს დაწესებული „სსრ კავშირის კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის სოციალისტური შეჯიბრების ფრიადოსნის“ საპატიო ნიშანი. ამის მიუხედავად, იგი მაინც გარკვეულ პატივში იმყოფებოდა, უფრო 1960-იანი წლების შემდგომ. ნათქვამის დასტურად გამოდგება, რომ საქვეყნოდ აღიარებულ სპეციალისტს გერმანული წარმოების ავტომობილი BMW ემსახურებოდა, რაც მაშინ ძალზე იშვიათი იყო და ერთობ პრესტიჟულად მიიჩნეოდა.

რაც შეეხება მიტროფანე ლალიძის ცხოვრების ერთ-ერთ მნიშვნელოვან საქმეს - ქველმოქმედებას, საბჭოთა რეჟიმის დამყარებისთანავე ქართველი მრეწველი იძულებუ-

---

<sup>1</sup><https://www.sovsekretno.ru/articles/lyubimaya-vishnevka-lavrentiya-palycha/>

<sup>2</sup> ა. სიგუა, მიტროფანე ლალიძე, თბ., 1980, გვ. 12.

ლი გახდა მას გამომშვიდობებოდა. ცნობილია, რომ საბჭოთა სინამდვილეში ქველმოქმედება პრაქტიკულად განადგურდა, ძველი საქველმოქმედო ფონდები სპეციალური დეკრეტებით დაიხურა და მათ ქონებას ნაციონალიზაციის გზით სახელმწიფო დაეპატრონა.

ბოლშევიკური რეჟიმის მიმართება ქველმოქმედებისადმი მკაფიოდ არის ასახული 1927 წელს გამოცემულ „დიდ საბჭოთა ენციკლოპედიაში“. მასში ეს მაღალი ადამიანური სათნოება განმარტებულია, როგორც ბურჟუაზიული, „კლასობრივი საზოგადოების დამახასიათებელი მოვლენა“, რომელიც თითქოს სსრ კავშირის სოციალური წყობისათვის უცხო და მიუღებელია. შეხედულება ქველმოქმედებაზე საბჭოეთში დიდად არც მეოცე საუკუნის 50-იან წლებში შეცვლილა. ენციკლოპედიის ახალ გამოცემაში ჩაწერილია, რომ ქველმოქმედება ესაა დახმარება, რომელსაც გაბატონებული კლასების წარმომადგენლები პირმოთნეობით უწევენ ღარიბი მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს „მშრომელთა მოტყუებისა და კლასობრივი ბრძოლის გზიდან მათი ჩამოშორების მიზნით“. „სოციალიზმის პირობებში ქველმოქმედება საჭირო არ არის, რადგან საზოგადოებაში გაჭირვება და სიღარიბე აღმოფხვრილია“.<sup>1</sup>

ცოტა მოგვიანებით, გაუქმებული ტრადიციული საქველმოქმედო ფონდების ნაცვლად, საბჭოეთში სხვადასხვა საქველმოქმედო ორგანიზაცია ჩამოყალიბდა. მათ შორის: დოსააფი - არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობით საზოგადოება, მენხანძრეთა, ბუნების დაცვის, წიგნის მოყვარულთა საზოგადოებები, ბავშვთა ფონდი და სხვ. საბჭოთა ხელისუფლების პირველი წლებიდანვე ბოლშევიკებმა ქველმოქმედების ალტერნატიული შრომითი ფორმა - შაბათობებიც დანერგეს. ეს იყო საზოგადოების ორგანიზებული, უსასყიდლო შრომითი აქტივობა სამუშაოსაგან თავისუფალ დროს, დასვენების დღეებში. რესურსების ეკონომიის მიზნით

---

<sup>1</sup> Большая Советская Энциклопедия, т.5, с 278.



მოსწავლეებსა თუ სტუდენტებს ევალუბოდათ მაკულატური-  
სა და ჯართის შეგროვება და სხვ.

მეორე მსოფიო ომის პერიოდში, განსაკუთრებით მას  
შემდეგ, რაც საბჭოთა ხელისუფლების დამოკიდებულება  
რელიგიისადმი შეიცვალა და უფრო შემწყნარებლური  
გახდა, ქველმოქმედების უფლება რელიგიურ ორგანიზაცი-  
ებსაც მიეცათ. მართლმადიდებელმა ეკლესიამ ფრონტის  
საჭიროებისათვის ფულისა და სხვა შემოწირულობების  
შეგროვება დაიწყო და თავდაცვის ფონდში 200 მილიონი  
მანეთი შეიტანა.<sup>1</sup>

პროპაგანდისტული მიზნებით სხვადასხვა დროს საბ-  
ჭოეთში გროვდებოდა შემოწირულობები ესპანეთიდან თუ  
ჩილედან დევნილებისათვის, ნიკარაგუელი ამბოხებულები-  
სა თუ კუბელი რევოლუციონერებისთვის, დამშეული მო-  
ზამბიკელებისა თუ უსახლკარო ამერიკელებისათვის. რო-  
გორც წესი, მსხვილი სახელმწიფო და საერთაშორისო  
პრემიების ლაურეატებს ჯილდოს გარკვეული ნაწილი უნ-  
და გადაერიცხათ სახელმწიფოს ან კონკრეტული ორგანი-  
ზაციისათვის და სხვ.<sup>2</sup>

განსხვავებით რუსეთის იმპერიისაგან, საბჭოთა სინამ-  
დვილეში საქველმოქმედო ორგანიზაციების ანგარიშგებაზე  
არავინ ზრუნავდა, ყოველ შემთხვევაში, ამ ორგანიზაციე-  
ბის წევრ რიგით მოქალაქეს თავმოყრილი თანხისა და მა-  
თი განკარგვის თაობაზე ინფორმაციას არავინ აწვდიდა.  
რაც შეეხება კერძო ქველმოქმედებას, იგი მთელი საბჭოთა  
პერიოდის განმავლობაში აკრძალული იყო.

---

<sup>1</sup> <https://philanthropy.ru/esse/2010/07/26/2581/>

<sup>2</sup> <https://philanthropy.ru/esse/2010/07/26/2581/>

**MITROPANE LAGIDZE AND SOVIET REGIME**

The article discusses the life and work of Mitropane Lagidze, a well-known Georgian non-alcoholic beverage specialist, prominent industrialist and philanthropist, creator of the famous brand of Lagidze Waters during the Soviet period.


Prior to the Bolshevik occupation of Georgia and the establishment of the Soviet regime in the country, Mitropane Lagidze owned two lemonade factories (in Tbilisi and Kutaisi), several shops and a pavilion, as well as a well-maintained power plant (in Kutaisi). He achieved great success in the production of fruit waters in the 1900s and also won the honorary title of a supplier of lemonade to the Russian Imperial Court. M. Lagidze also received high awards at international exhibitions for the best product.

Mitropane Lagidze's property was nationalized in the spring of 1921, but as soon as a new economic policy (NEP) was introduced, he was allowed to continue rent the production. After the completion of NEP, the factories of the businessman were finally taken over by the state, and Mitropane himself and his brother Mikhako were appointed as specialists at the Tbilisi Lemonade Factory.

During the years of the NEP, Mitropane Lagidze was also deprived of real estate in Kutaisi - two plots of land, and the state Political Directorate also held him criminally liable. The two sons of the businessman, who went to study in Germany remained in emigration. In 1937, Mitropane's brother Grigol Lagidze was arrested and shot, and another brother, Mikhako, was fired from the job. Mitropane's son Vakhtang Lagidze was released from prison only after two years of imprisonment.

After World War II, the attitude of the Soviet authorities towards M. Lagidze changed for the better. In 1952, he was appointed a chief consultant for “Glavfructovod” in Moscow and was tasked with the monitoring the quality of soft drinks throughout the Soviet Union.

From 1921, Mitropane Lagidze was forced to stop the most important work of his life - charity, because the private charity was banned throughout the Soviet period.



ნიწო ღამბაშიქმ  
ლიანა მელიქიშვილი

**ღვთისმშობლისადმი წილხვედომილობა ქართველთა  
მსოფლმხედველობაში**

ქართველი ხალხის რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებში ღვთისმშობლის თაყვანისცემას და მისდამი სასოებას განსაკუთრებული ადგილი უკავია. შეიძლება ითქვას, რომ წმ. გიორგისთან ერთად მთელს საქართველოში, ბარში თუ მთაში, იგი ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული და პოპულარული წმინდანია. ის, რომ საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა, ამაზე მხოლოდ ქართული საისტორიო წყაროები და ზეპირი ტრადიცია არ მეტყველებს. ჩვენამდე მოღწეულ უადრეს წყაროდ, სადაც საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანადაა დასახელებული, მიჩნეულია ბიზანტიელი ჟამთააღმწერელი სტეფანე ათონელის ნაშრომი, "გონითი სამოთხე", რომელიც ბერძნულიდან რუსულად ("Рай мысленный") იქნა თარგმნილი, სადაც მოთხრობილია, რომ: "მოციქულებმა წილი ყარეს თუ რომელ ქვეყანაში უნდა წასულიყვნენ საქადაგებლად. ყოვლად წმიდამ თქვა: "მნებავს მეც ვიყარო წილი თქვენთან ერთად, რომ არც მე დავრჩე ჩემი წილხვედრილი ქვეყნის გარეშე, რომელიც უფლის ნებით მეუწეება მე".<sup>1</sup> ეყრდნობა რა სტეფანე ათონელის გადმოცემას, ცნობილი რუსი სასულიერო მოღვაწე წმ. დიმიტრი როსტოველი აღნიშნავს, რომ ღვთისმშობლისადმი საქართველოს წილხვედომილობის შესახებ ცნობები არსებობს არა მარტო იბერიის ეკ-

<sup>1</sup> ელდარ ბუბულაშვილი, საქართველოს ეკლესიის სიწმინდეები (თბილისი: „ახალი ივირონი“, 2007), 130.

ლესიაში, არამედ მთელ აღმოსავლურ მართლმადიდებელ ეკლესიებში<sup>1</sup>.

"და შემდგომად ამაღლებისა უფლისა, რა ჟამს წილ იგდეს მოციქულთა, მაშინ ყოვლად წმიდასა ღმრთის მშობელს წილად ხვდა მოქცევად ქვეყანასა საქართველოსა" - ვკითხულობთ ქართლის ცხოვრებაში.<sup>2</sup> თუმცა, გავრცელებული გადმოცემის მიხედვით მას იესოსგან ეუწყა, რომ მალე უნდა გარდაცვლილიყო, რის გამოც იერუსალიმს ველარ დატოვებდა. მაშინ, წმინდა მარიამმა იხმო ანდრია პირველწოდებული, სახეზე მიდებით შექმნილი ხელთუქმნელი ხატი გადასცა და საქართველოში ქადაგება დაავალა. უთხრა, რომ მუდამ იქნებოდა იესოს წინაშე მისი წილხვედრი ხალხის შემწე და მეოხი.<sup>3</sup> თუმცა, XIV ს. დათარიღებული, წმ. ნინოს სვინაქსარული ცხოვრების მეორე რედაქცია მოგვითხრობს, რომ იაკობ მღვდელთ-მოდღვართან, იოანე ღვთისმეტყველთან და დანისთან, „რომელი იგი მსახურებდეს" ღვთისმშობელი გაემართა „მისდა ხვედრებულსა" ანუ საქართველოში საქადაგებლად. იოპეში მისულებს მათ იესო ქრისტე გამოეცხადათ, რომელმაც ღვთისმშობელს იერუსალიმში დაბრუნებისკენ მოუწოდა, რათა მისი ჯვარცმის შემდეგ, მრევლი გაემხნეებინა. ხოლო „მის შენდა ხვედრებულისათვის" ანუ საქართველოსთვის „აწ ნუ მჭკუნვარე ხარ", ვინაიდან, მასზე მე ვიზრუნებო.<sup>4</sup> იესო ქრისტემ წმინდა მარიამს ასევე აღუთქვა, რომ ივერია მოექცეოდა და ღვთისმშობლის სუფევა დამყარდებოდა მის წილხვედრომელ ქვეყანაში.

---

<sup>1</sup> ედიშერ ჭელიძე, ღვთისმშობლისადმი ქართლის წილხვედრობის შესახებ, ლოგოსი, 8 (2014), 60.

<sup>2</sup> ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I (თბილისი: "სახელგამი", 1955), 38.

<sup>3</sup> იხ, ქართლის ცხოვრება, 38.

<sup>4</sup> ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი IV, სვინაქსარული რედაქციები (X–XVIII სს.), გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევები დაურთო ენრიკო გაბიძაშვილმა, თბ., მეცნიერება, 1968, 131–132.

ღვთისმშობლის წილხედომილობის შესწავლისას ელდარ ბუბულაშვილმა შეაჯერა სათანადო ქართული [ლეონტი მროველის ქართლის ცხოვრება, წმ. ნინოს სვინაქსარული ცხოვრების ორი რედაქცია (XI, XIV საუკუნეები), ილარიონ ქართველის ცხოვრების კიმენური (X ს.) და სვინაქსარული (XII ს.) რედაქციები, ნიკოლოზ გულაბერიძის თხზულება (XII ს.)] და უცხოური წყაროები (სტეფანე ათონელის „გონითი სამოთხე“, რუსული საკითხავები). შეჯერების საფუძველზე მან გამოთქვა მოსაზრება, რომ წყაროებში არ დასტურდება გავრცელებული მოსაზრება, რომ ღვთისმშობელი მისი გარდაცვალების გამო უნდა დარჩენილიყო იერუსალიმში; არამედ იმისთვის, რომ იესო ქრისტეს გარეშე დარჩენილი მოციქულები და მრევლი გაემხნეებინა.<sup>1</sup>

ღვთისმშობლისადმი საქართველოს წილხედომილობა ათონის მთასთან დაკავშირებული ერთ-ერთი გადმოცემითაც დასტურდება. ერთხელ, როდესაც ღვთისმშობელი იოანე ღვთისმეტყველთან ერთად გაემგზავრა წმ. ლაზარეს მოსანახულებლად, რომელიც კვიპროსის ეპისკოპოსი იყო, გემი ათონის მთასთან შეჩერდა (ათონური გადმოცემის მიხედვით ივერონის მონასტერი სწორედ იმ ადგილასაა აგებული, სადაც ღვთისმშობლის გემი შეჩერდა). ღვთისმშობელს მოეწონა ათონის მთა და იესოს სთხოვა ეს ადგილი მისთვის მიეცა. ამ თხოვნაზე ზეციდან გაისმა ხმა: „დაე, ეს ადგილი იყოს შენი სამკვიდრო და შენი ბაღი, ხოლო სამოთხე და ცა მათთვის, ვინც ეძებს ხსნას!“<sup>2</sup> ამდენად, ღვთისმშობელი მთელი ათონის მთის იღუმენიად, მის მფარველად ითვლება. სწორედ ამის გამო, კუნძულზე სხვა არც ერთ ქალს არ ეძლევა ნება დადგას ფეხი. ათონის მთის უმთავრესი სიწმინდე კი ივერიის ღვთისმშობლის, იგივე პორტაიტის ხატია, რომელიც ქართველთა ივირონის მონასტერშია დაბრძანებული. სწორედ ქართველი ბერის

---

<sup>1</sup> იხ. ბუბულაშვილი, 127–130.

<sup>2</sup> ზურაბ კიკნაძე, ქართლი გაქრისტიანების გზაზე: ადამიანები და სიწმინდეები, თბილისი, კავკასიური სახლი, თბ., 2009, 87–89, 91–92; Радуйся, благая Вратарница...Рассказы об Иверской иконе Божией Матери (Москва: »Русский Хронограф«, 1997), 8, 12.

ხელით ინება ამ ხატმა ქართველთა მონასტერში დაბრძანება. ასევე, გადმოცემის მიხედვით, მეორედ მოსვლის ჟამს, ღვთისმშობელი დატოვებს ათონის მთას და საქართველოში მოვა, მის წილხვედრ ქვეყანაში.

საქართველოს უდიდესი სიწმინდე, უფლის კვართი, რომელიც გადმოცემის მიხედვით სვეტიცხოველშია დასვენებული, ღვთისმშობლის მოქსოვილად ითვლება. თავად ღვთისმშობლის კვართიც, საქრისტიანოს ეს უდიდესი სიწმინდე, საქართველოშია დაბრძანებული. ღვთისმშობლის შესამოსელთან დაკავშირებული ისეთი დიდი სიწმინდეც, როგორცაა მისი სარტყელი, საქართველოში იყო. ნანა ხაზარაძე, რომელმაც ეს საკითხი შეისწავლა, სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით აღნიშნავს, რომ წმინდა მიწაზე, ქართველები სხვა სახელებს შორის „სარტყლის ქრისტიანებადაც“ მოიხსენიებოდნენ. XV ს. ფრანგი მოგზაურის ჟილ დე ბუვიეს თხზულებაზე დაყრდნობით, ვიგებთ, რომ, მისი თქმით, საქართველოში ყველა მღვდლის ქამარი ღვთისმშობლის სარტყელშენახები იყო, რომელიც საქართველოში ინახებოდა. მღვდელი ჩვილს ნათლობის წინ ამ ქამარს შემოახვევდა და ისე ნათლავდა მამის, ძის და ღვთისმშობლის სახელით. სწორედ ამ სარტყლის გამო უწოდებენ ქართველებს „სარტყლის ქრისტიანებს“. ათონის წმ. პანტელეიმონის მონასტერში 1903 წელს გამოქვეყნებული წიგნის მიხედვით ღვთისმშობლის სარტყელის ერთი ნაწილი ინახებოდა ვათოპედის მონასტერში, მეორე ნაწილი გერმანიაში, ტრირის მონასტერში, ხოლო მესამე ზუგდიდის ტაძარში.<sup>1</sup> მართალია, დღეს უცნობია თუ სად იმყოფება ეს დიდი სიწმინდე, მაგრამ ელდარ ბუბულაშვილის დაკვირვებით სარტყლის ქსოვილის ნაწილი საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში<sup>2</sup> დაცულ ვლაქერნის

---

<sup>1</sup> ნანა ხაზარაძე, ნინო მინდაძე, ღვთისმშობლის სარტყლის ქვეყანაში, თბილისი: „სამება“, 2008, 7, 9-10, 17.

<sup>2</sup> საქართველოს ეროვნული მუზეუმი: აკად. შ. ამირანაშვილის სახ. საქართველოს ხელოვნების მუზეუმი.

ღვთისმშობლის ხატზეა შემორჩენილი.<sup>1</sup> ელდარ ბუბულაშვილის თქმით, დაზიანებულ ვლადკერნის ღვთისმშობლის ხატზე, „იქ, სადაც ადრე ღვთისმშობლის გამოსახულება იყო, ოდნავ მის ქვემოთ მოთავსებულია ამოზნექილი ფორმის ლითონის ბადე... მისი ზედა და ქვედა განივი ნაწილები ღიაა, მათში ამჟამად შეინიშნება მუქი მოწითალო, მოშინდისფრო, ალუბლისფერი ქსოვილი... ჩვენი აზრით, ამოზნექილი ლითონის ბადე უნდა იყოს ღვთისმშობლის სარტყლის განსასვენებელი... ჩვენივე ვარაუდით, ამჟამად მასში არსებული ქსოვილი ღვთისმშობლის სარტყელს უნდა წარმოადგენდეს.“<sup>2</sup> აქვე უნდა აღინიშნოს, რომ წყაროების მიხედვით ღვთისმშობლის სარტყელი ვლადკერნის ხატზე იყო დამაგრებული.

აღსანიშნავია, რომ მოქვის ტაძარში თეთრი ქვის კვირისტავი ინახებოდა, რომელიც გადმოცემის მიხედვით თავად ღვთისმშობელს ეკუთვნოდა.<sup>3</sup> საქართველოში ღვთისმშობელთან დაკავშირებული შემდეგი სიწმინდეები ინახებოდა: ღვთისმშობლის კბილი, თმები, იმ ოქროსგან გაკეთებული კიდობანი, რომელიც მოგვებმა იესო ქრისტეს შობისას მიართვეს, ღვთისმშობლის მოსასხამის ნაწილი, მისი თავსაბურავის ნაწილი, ბეჭედი და „ღვთისმშობლის ოფლი“.<sup>4</sup>

საეკლესიო სწავლების მიხედვით, სამოციქულო მოღვაწეობა, ქრისტიანობის ქადაგება-გავრცელება მხოლოდ წარმართებისთვის არ ყოფილა განკუთვნილი, არამედ ქრისტიანებისთვისაც; მათ სარწმუნოებაში განსამტკიცებლად ან ქრისტიანობაში დასაბრუნებლად. მაცხოვრის სამოძღვრო მოღვაწეობის სამი ძირითადი მომენტიდან გამომ-

---

<sup>1</sup> საისტორიო წყაროები აღნიშნავენ, რომ ღვთისმშობლის სარტყელი ვლადკერნის ხატთან ერთდ იყო.

<sup>2</sup> იხ. ბუბულაშვილი, 168.

<sup>3</sup> С. Белокуров, Посольство дьяка Федота Елчина и священника Павла Захарьева в дадианскую землю (1639-1640), книга «Материалы для Русской истории», 1888, ელდარ ბუბულაშვილის დასახ. ნაშრომის მიხედვით, 132.

<sup>4</sup> ამას ერთ-ერთი ეპიგრაფიკული წარწერა გვამცნობს. იხ., ელდარ ბუბულაშვილი, 132, 149.

დინარე, სამოციქულო მოღვაწეობაც სამი ძირითადი მომენტით ხასიათდება. როგორც ედიშერ ჭელიძე აღნიშნავს, ერთია „მომაქცევლობითი მისია, მეორე – პედაგოგიური, ანუ აღმზრდელობითი მისია და მესამე – სრულმყოფელობითი ანუ მაზიარებლობითი მისია.“<sup>1</sup> საქართველოს ეკლესიამ ქრისტიანობის გავრცელების სამივე ხსენებული ეტაპი გაიარა. ეს ეტაპები თანადროულია ყველა იმ პროცესისა, რომელსაც მსოფლიო ეკლესია ქრისტიანობის გავრცელებისას გადიოდა. ქართულ საისტორიო წყაროებზე დაყრდნობით, მიგვაჩნია, რომ ყველა ამ ეტაპზე, საქართველოში ქრისტიანობის გავრცელებას სულიერად ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი წარმართავდა. ანუ, მიგვაჩნია, რომ ის საუკუნეების მანძილზე, მასზე წილისყრით დაკისრებულ მისიას ასრულებდა და სულიერად წინამძღვრობდა მისი წილხვედრი ერის გაქრისტიანებასა და ქრისტიანობაში განმტკიცებას.<sup>2</sup>

საქართველომ ზემოხსენებული სამივე მომაქცევლობითი ეტაპი გაიარა, რომლებშიდაც, როგორც ითქვა, სულიერი გზით თავად ღვთისმშობელი მონაწილეობდა; მეტიც, სამივეს თავად ედგა სათავეში. I ს–ში ღვთისმშობელი პირადად ირჩევს ქრისტეს მიერ პირველად მოხმობილ მოწაფეს, წმ. ანდრია მოციქულს, აძლევს მითითებებს და თავის მაგივრად აგზავნის საქართველოში ქრისტიანობის საქადაგებლად. წმ. ანდრია პირველწოდებულმა ძირითადად იქადაგა სამხრეთ, დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართვე-

---

<sup>1</sup> ედიშერ ჭელიძე, მართლმადიდებლური სწავლება მისიონერული სწავლების შესახებ, კრებ. მართლმადიდებელი მრევლის დღიური, (გაზეთ კანდელის ბიბლიოთეკა), №3 (2005), 19.

<sup>2</sup> იხ. ნინო ღამბაშიძე, მცხეთის ჯვარი და საქართველოს გაქრისტიანების სამი ეტაპი, კრ. ქრიატიანულ-არქეოლოგიური ძიებანი, მთავარი რედაქტორი ექვთიმე კოჭლამაზაშვილი, 1/2008, 449-464; Tarik Ziyad Gulcu (ed.), Nino Ghambashidze, Christianization of Georgia in Folklore and Religious Beliefs, in Interdisciplinary of Religious Studies: Interaction of Culture, History, Religion (Warsaw: IRF Press, 2017), 22.



ლოშიც.<sup>1</sup> მისი და სხვა მოციქულების I ს. საქართველოში მოღვაწეობა, მომაქცევლობით მისიას განეკუთვნება. IV ს. წმ. ნინო ასევე ღვთისმშობლის მითითებით მოდის საქართველოში. არსენ იყალთოელის მეტაფრასული „წმ. ნინოს ცხოვრება“ გვიამბობს, რომ იერუსალიმში ცხოვრების დროს წმ. ნინო დღე და ღამე მსურვალედ ლოცულობდა ღვთისმშობლის ხატის წინაშე. ერთხელაც, ლოცვის დროს „აღტაცებული იყო“ სიონის დედა ეკლესიაში ღვთისმშობლის სენაკის წინ, სადაც მას დედა ღვთისა გამოეცხადა და უთხრა, რომ ჩრდილოეთის ქვეყანაში, მის წილხვედრ ქვეყანაში, აგზავნიდა საქადაგებლად. „უცხო ერთან, ქართველებთან, ჩემ წილხვედრ ჩრდილოეთის ქვეყანაში, წადი მხნედ, უშიშრად და ასწავლე ჭეშმარიტება!“ „მე ხომ ქალი ვარ უცხო, უნდო და უსწავლელი?“ - მიუგო წმ. ნინომ. მაშინ ღვთისმშობელმა თავის საფლავზე ამოსული ვაზის რტო მოჭრა, შექმნა ჯვარი, გადასცა წმ. ნინოს და უთხრა: „ამ ნიშნით სძლევ ეშმაკს ყოველგვარ მზაკვრობას, წარმატებული იქნება შენი მქადაგებლობა, მე კი შემწეობას გაგიწევ და არ მიგატოვებ.“ აი რას წერს ამის თაობაზე სოსო მახარაშვილი: „ასე იქცა წმ. ნინოს ჯვარი – ჯვარი ვაზისა, ქართული ეკლესიის უპირველეს სიმბოლოდ, ქართული მართლმადიდებლობის ნიშნად და სასწაულად. მასში გაშინაარსებულია ერთდროულად ძე ღვთისაც – იესო ქრისტე და მშობელი მისიც – ყოვლად წმიდა მარიამი (ჯვარი, როგორც მაცხოვრის სიმბოლო, ვაზი, როგორც ღვთისმშობლის სიმბოლო). ასე დააკავშირა ვაზის ჯვარმა წმ. ნინო, ღვთისმშობელი და მისი წილხვედომილი ქვეყანა – ქართლი.“<sup>2</sup>

წმ. ნინოს მოღვაწეობა არის როგორც მომაქცევლობითი, ასევე აღმზრდელობითი. იგი აღზრდილი იყო როგორც

---

<sup>1</sup> დევი ბერძენიშვილი, ანდრია პირველწოდებულის ნაკვალევზე (თბილისი: „უნივერსალი“, 2009), 125–139.

<sup>2</sup> სოსო მახარაშვილი, წმ. ნინო, ჯვარი ვაზისა და საქართველოს ღვთისმშობლისადმი წილხვედომილობის საკითხისათვის. კრებულიში: წმინდა ნინოს ცხოვრება და ქართლის მოქცევა (თბილისი: ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2009), 218–219.

რჯულის მასწავლებელი;<sup>1</sup> ასევე, დედათდიაკვანიც უნდა ყოფილიყო და ბოლოს, წმ. ნინოს ქადაგების შედგენად საქართველოში ინსტიტუციონალურად დაარსდა ეკლესია.

ხსენებული სამივე მისიის თავმოყრას აშკარად ვხედავთ წმიდა ასურელი მამების მოღვაწეობაში. ასურელი მამები არიან მომაქცევლებიც და მასწავლებლებიც, რომლებსაც მრავალი მიმდევარი და მოწაფე ჰყავთ. ამავე დროს, ისინი სრულმყოფელობით, მაზიარებლობით მისიასაც ასრულებენ, ანუ საკუთარი ხელდასხმიდან გამომდინარე უფლება აქვთ და ახორციელებენ კიდევაც ამ ფუნქციას. მათ საკუთარი „აღზრდილები საეკლესიო სრულყოფის მადლში შეიყვანეს“ ანუ „მღვდელმოქმედები გახადეს“,<sup>2</sup> დააფუძნეს სამონასტრო ცხოვრება საქართველოში. ასურელი მამების საქართველოში მოღვაწეობის სათავეშიც, წყაროს მიხედვით, ღვთისმშობელი დგას. როდესაც VI ს. იოანე ზედაზნელმა საქართველოში გამოემგზავრება და ქადაგება გადაწყვიტა, მას ღვთისმშობელი გამოეცხადა და მოუწოდა, რომ თავისი მოწაფეებიდან 12 გამოერჩია და მათთან ერთად გამგზავრებულიყო. ლოცვებისა და ლიტურგიის შესრულების შემდეგ, ანგელოზმა საქართველოში საქადაგებლად იოანეს 12 მოწაფე გამოარჩია.<sup>3</sup>

ქრისტიანობის საქართველოში გავრცელების ამ სამ ძირითად პერიოდში, წყაროების მიხედვით, ნათლად მონაწილეობს ღვთისმშობელი და მისიის სულიერ წინამძღოლად გვევლინება. თუ როგორია ღვთისმშობლის როლი ამ კუთხით მომდევნო საუკუნეებში, მომავალი კვლევის საგანია.

მოცემულ კონტექსტში, არ შეიძლება არ აღინიშნოს ქართველთა როლი კავკასიაში ქრისტიანობის გავრცელე-

---

<sup>1</sup> ფერი ფონ ლილიენფელდი, „წმიდა ნინოს მსახურება და სულიერი რწმენა, აღმოსავლეთ საქართველოს მოციქული და ევანგელისტი“, ხელნაწერი, გერმანულიდან თარგმნა დიმიტრი თუმანიშვილმა, გვ. 10. ნაშრომის მოწოდებისათვის მადლობას ვუხდით თ. მგალობლიშვილს.

<sup>2</sup> იხ. ჭელიძე, 19.

<sup>3</sup> მიხეილ საბინინი, საქართველოს სამოთხე (პეტერბურგი: საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიის ტოპოგრაფია, 1882), 223–224.

ბის საქმეში. მართალია საკითხი სცილდება მოცემული სტატიის ჩარჩოებს, მაგრამ თქვენი ყურადღება გვინდა შევაჩეროთ ერთ საგულისხმო მოვლენაზე. ქრისტიანული კავკასიის და, არა მარტო ქრისტიანულის, ერთ-ერთ უდიდეს სიწმინდეს მოზდოკის ღვთისმშობლის ხატი წარმოადგენს. თამარ მეფემ თავისი სამეფო კარის ხატმწერს დაუკვეთა ივერიის ღვთისმშობლის ხატის ასლის შექმნა. გადმოცემის მიხედვით, ხატმწერი ხატის დაწერისთვის ორმოცდღიანი მარხვითა და ლოცვით ემზადებოდა. ხატს უკანა მხრიდან ქართული წარწერა ჰქონია. წმ. თამარმა ხატი ოსებს გადასცა საჩუქრად. 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის პერიოდში იგი დაიკარგა. დღეს მოზდოკში მისი ასლია დაბრძანებული. ცნობილი რუსი სასულიერო პირი ეგნატე ბრიანჩანინოვი, რომელიც კავკასიისა და შავი ზღვის ეპარქიაში მოღვაწეობდა, წერდა: მოზდოკის ღვთისმშობელი ახალი „შეუწველი მაცვალია“,<sup>1</sup> რომელიც ჩრდილო კავკასიელებს ძველ, აწ დაკარგულ ფასეულობებს ასხენებს.

ვფიქრობთ, ამგვარ სიწმინდეებს, რომლებსაც არა მარტო ქრისტიანები აღიარებენ და აქვთ სასოება, შეუძლიათ პოზიტიური როლის შესრულება კავკასიაში მშვიდობის დამყარებისა და ერთიანობის საკითხში.<sup>2</sup>

ქრისტიანული საქართველოს უდიდესი სიწმინდის, პირველი ქართული ორიგინალური ტაძრის, მცხეთის ჯვრის დღესასწაულს, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დღესასწაულს, უშუალოდ თან სდევდა ღვთისმშობლისადმი მიძღვნილი დღესასწაული "ღვთისმშობლის ვარდობა" (8//15 მაისი), რაც ასევე დიდი დღესასწაული იყო. მარიამობა (14//28 აგვისტო) ხომ დღემდე, საქართველოს ბარში თუ მთაში, საერთო, საყოველთაო, სახალხო დღესასწაულია. არ მოიძებნება საქართველოში არცერთი კუთხე, სადაც მისდამი მიძღვნილი ტაძარი ან სალოცავი არ იყოს. თუნდაც ისეთი ძლიერი და სახელგანთქმული

---

<sup>1</sup> იგულისხმება ღვთისმშობლის ხატი „მაცვალი შეუწველი“.

<sup>2</sup> ნინო ღამბაშიძე, მოზდოკის ღვთისმშობელი-კავკასიის სიწმინდე, ანალები, 14 (2018), 415–416.

სალოცავების დასახელებაც კმარა, როგორებიცაა: ვარძი-ის, ზუგდიდის, გურჯაანის, წილკნის, თბილისის სიონის, ბიჭვინთის, უშგულის და სხვ. უფრო მეტიც, ღვთისმშობლისადმი მიძღვნილ სალოცავებს თითქმის ყველა სოფელში ვხვდებით და თუ დღეს ამგვარი სალოცავები არ არის, ხშირ შემთხვევაში მხოლოდ იმიტომ, რომ დაინგრა და მასთან დაკავშირებული დღესასწაულიც გაქრა.

ქართველ ხალხს ოდითგანვე დიდი სასოება ჰქონდა ღვთისმშობლის მიმართ. უპირველეს ყოვლისა იგი ფეხმძიმე და მეძუძური ქალების, ზოგადად ქალებისა და ბავშვების შემწვედ და მფარველად მიიჩნეოდა. ასევე, მას მიმართავდნენ საქონლის წველადობასთან და მოსავლის სიუხვესთან დაკავშირებული პრობლემების დროს, ან ზოგადად საქონლისა და მოსავლის ბარაქიანობისთვის. მას „ფურების ხატსაც კი უწოდებენ“. ხალხური გადმოცემებით ღვთისმშობელი მკაცრი, თუმცა იმავდროულად შემწე და მფარველი ღვთაებაა. ხშირად აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში ღვთისმშობელს ადგილის დედად აღიქვამენ და მოიხსენიებენ, როგორც „ადგილის დედა ღვთისმშობელი“.<sup>1</sup>

არ შეიძლება ხაზგასმით არ აღინიშნოს, რომ დღემდე ხალხში დაცულია, ერთ–ერთი ყველაზე ძლიერი ტრადიცია, სუფრის დამთავრებისას, იქნება ეს ღვინის თუ ჭირის, ღვთისმშობლის სადღეგრძელოს შესმა, სუფრის დასასრულისა და ერთგვარი წყალობის გამოთხოვის ნიშნად, რაც ქართული ტრადიციული სუფრის ლიტურგიკული ფესვების მანიშნებელი უნდა იყოს.<sup>2</sup>

---

<sup>1</sup> Вера Бардавелидзе, Древнейшие религиозные верование и обрядовое графическое искусство грузинских племен (Тбилиси: Caucasian House, 2007), 53, 140, 154; ნათია ჯალაბაძე, ღვთისმშობლის ხალხური კულტი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში (ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით), ანალები, 12(2014); ნინო (ნუნუ) მინდაძე, ღვთისმშობელი და ქართული ტრადიციული მედიცინა, ლოგოსი, 8(2014), 190, 192, 193–194.

<sup>2</sup> საკითხთან დაკავშირებით იხ. ნინო ღმბაშიძე, გიორგი გოცირიძე, ქართული ტრადიციული სუფრის ლიტურგიკული ბუნება, "საქართველოს სიძველენი", №10(2007), 190-202.

და ბოლოს, ღვთისმშობლის წილხედომილობის განცდამ და მისი შემწეობის იმედმა ათქმევინა ალბათ ილია ჭავჭავაძეს XIX საუკუნის მეორე ნახევარში ეს სიტყვები:

„ღედლო ღვთისავ! ეს ქვეყანა შენი ხვედრია...  
შენს მეოხებას ნუ მოაკლებ ამ ტანჯულს ხალხსა;  
სადმართოდ მიიღე სისხლი, რომელ ამ ხალხს

უღვრია,

ჩაგრულთ სასოო, ნუ არიდებ მოწყალე თვალსა!”

ამდენად, ზეპირი თუ წერილობითი წყაროების, როგორც ქართულის ასევე უცხოურის, მიხედვით, ითვლება, რომ საქართველო ღვთისმშობლის წილხედო ქვეყანაა. ამ ტრადიციას მოწინააღმდეგენიც ჰყავს და იგი წლების მანძილზე განსჯის საგნად გვევლინება. მაგრამ რეალურად გასათვალისწინებელია ის, რომ ეს ცოდნა მთელ ქართველ ხალხში საუკუნეების მანძილზე მკვიდრდებოდა, რამაც ასახვა პპოვა ქართველი ხალხის საეკლესიო პრაქტიკაში, ხალხურ რწმენა-წარმოდგენებსა და რიტუალებში, მისდამი უდიდეს თაყვანისცემაში. საინტერესოა ის ფაქტი, რომ ყველა მნიშვნელოვანი მისიონერული მოღვაწეობა (წმ. ანდრიასი, წმ. ნინოსი, წმ. ასურელი მამების) ღვთისმშობლის კურთხევით, მისი მფარველობით ხორციელდება, რასაც ქართული საისტორიო წყაროები ადასტურებენ.

ქართველებისთვის ღვთისმშობლის განსაკუთრებული მფარველობა უცხო არაა, რამაც, თავის მხრივ, მყარი და ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი დაუმიკვიდრა წმ. მარიამს ქართულ ქრისტიანულ მსოფლმხედველობაში; გახდა მისი კოლექტიური ცნობიერების, იდენტობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მახასიათებელი ნიშანი.

როგორც ცნობილია, ეთნიკური იდენტობა პიროვნების სოციალური იდენტობის შემადგენელი ნაწილია და გარკვეულ ეთნიკურ ერთობასთან მიკუთვნებულობის გაცნობიერებას გულისხმობს. იგი ერთ ეთნიკურ ერთობასთან იგივეობის, და სხვებისგან განსხვავებულობისა და განცალკევებულობის განცდაა. ეთნიკური იდენტობა კულტურული ფაქტორებითაა განპირობებული. კულტურული იდენტიფიკაცია კი არის კონკრეტულ კულტურაში ადამიანის თვითშეგრძნება. ამიტომაცაა, რომ ქართული ტრადი-

ციები წარმოადგენენ ერთიან წრეს. ადამიანი მიიღვცის საკუთარი თავის შესაცნობად და ცდილობს თავისი თავი უშუალოდ რიტუალების სისტემის, სტერეოტიპების საშუალებით გამოავლინოს. ადამიანი თავის თავს ყოველთვის აიგივებს ჯგუფთან, ეთნოსთან, რომელიც ერთიან კულტურაში ერთიანდება. სწორედ ღვთისმშობლის წილხვდომილობის მრავალსაუკუნოვანი განცდა, იდენტობის განმაპირობებელი ამ ერთიანი კულტურის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია. სწორედ ამიტომ, ღვთისმშობლის წილხვდომილობისადმი მიძღვნილი ახლად დადგენილი დღესასწაული ორგანულია ქართველი ერისთვის და ქართული სახელმწიფოსთვის კონსოლიდაციის ერთ-ერთ საშუალებადაც შეიძლება იყოს გამოყენებული.

ქართველებისთვის ღვთისმშობლის განსაკუთრებული მფარველობა უცხო არაა, რამაც, თავის მხრივ, მყარი და ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი დაუშკვიდრა წმ. მარიამს ქართულ ქრისტიანულ მსოფლმხედველობაში; გახდა მისი კოლექტიური ცნობიერების, იდენტობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მახასიათებელი ნიშანი.

იდენტობა კი ადამიანის და საზოგადოების აუცილებელი მოთხოვნილებაა.

ადამიანების მოთხოვნილებათა ყველაზე წარმატებული ტიპოლოგია ეკუთვნის ამერიკელ ფილოსოფოსს ერიკ ფრომს. იგი აღნიშნავს, რომ ურთიერთობა ადამიანებს შორის პირველი მოთხოვნილებაა. საზოგადოებიდან გარიყული, იზოლირებული ადამიანი კარგავს სოციალურ ჩვევებს, კულტურაში შემუშავებულ სტანდარტებს. მეორე მოთხოვნილებაა შემოქმედება, რომელიც ადამიანს სამყაროს შესაცვლელად და თავისუფლების მოსაპოვებლად სჭირდება. მესამე - ესაა მოთხოვნილება შეიგრძნო „ღრმა ფესვები“, რომელიც ინდივიდს აძლევს საშუალებას ადამიანის მოდგმის გარკვეულ ნაწილად შეიცნოს თავი. მეოთხე - ესაა სწრაფვა შემეცნებისკენ, სამყაროს ათვისებისაკენ. მეხუთეა ლტოლვა რაიმე ობიექტის თავყვანისცემისკენ. ინდივიდს დამოუკიდებლად უჭირს სამყაროს აღქმა, გარკვევა მის გარშემო არსებული ყოფის არსსა და დანიშნულებაში. მას ესაჭიროება ორიენტაციის სისტემა. აი რატომ სჭირდუ-

ბა ადამიანს იდენტობა, რომელიც დიდ როლს ასრულებს, მის, როგორც კულტურის სუბიექტის ჩამოყალიბებაში.<sup>1</sup> წილხვედრილობის ფენომენში სამყაროში ორიენტაციის სისტემის ხუთივე მოთხოვნილება შეიძლება მოვიხაროთ: ურთიერთობა ადამიანებს შორის, შემოქმედება, „ფესვების“ შეგრძნება, სწრაფვა შემეცნებისკენ და მესხუთე ლტოლვა რაიმე ობიექტის მიმართ თაყვანისცემისკენ.

ადამიანების იდენტობა რომ მრავალგვარია, ამაზე არაერთი კვლევა მიუთითებს, რომელიც ეხება ეთნიკური, მოქალაქეობრივი, რელიგიური, სქესობრივი, კლასობრივი, გენდერული, პოლიტიკური და სხვ. საკითხებს. ერთ სიტუაციაში მნიშვნელოვანია ერთი იდენტობა და ის ხდება დომინანტი, მეორე შემთხვევაში კი დომინირებულ ადგილს სხვა იკავებს. იდენტობის იერარქიაში რელიგიას განსაკუთრებული ადგილი განეკუთვნება.

რელიგიური იდენტობა პიროვნების სოციალური იდენტობის შემადგენელი ნაწილია და გარკვეულ რელიგიურ ერთობასთან მიკუთვნებულობის გაცნობიერებას გულისხმობს. იგი ერთ რელიგიურ ერთობასთან იგივეობის, და სხვებისგან განსხვავებულობისა და განცალკევებულობის განცდაა. რელიგიური იდენტობა უამრავ ხალხში პირველ ადგილზე დგას და იგი, ზოგ შემთხვევაში, ეროვნულ იდენტობას უსწრებს. საქართველოში კი შეიძლება ითქვას, რომ ეროვნულ და რელიგიურ იდენტობას თანაბარი ადგილი უკავია, ერთი მეორის გარეშე წარმოუდგენელია. ის კი არაა, ზუსტად ამ ორი მახასიათებლის შერწყმა იწვევს სწორედ ქართველობის განცდას. ისიც არის საგულისხმო, რომ საერთოდ ეთნოკულტურულ იდენტობაში ეროვნული თვითშეგნება ჭარბობს რელიგიურს, მაგრამ საქართველოში, მაგალითად, წმინდანების არსებობა ფარავს ქართველი ხალხის მიკუთვნებულობას სხვადასხვა რელიგიისადმი (ქრისტიანობა, მუსლიმანობა). რელიგიური პერსონიფიცირება (წმ. გიორგი. წმ. მარიამი და სხვ.) მისაღებია სხვადასხვა სარწმუნოების მიმდევრებისათვის და შეიძლება ითქვას, მათი იდენტობისადმი, ამ შემთხვევაში, გარკვეული

---

<sup>1</sup> Фромм, Э. (1986) *Иметь или быть?* Москва: издательство «Прогресс», 206.

ქვეყნისადმი, მიკუთვნებულობას წარმოადგენს. საქართველოში მცხოვრებ მრავალ ეთნიკურ ჯგუფში (ქრისტიანებში, მუსლიმებში და სხვ.) იდენტობა უფრო მეტად ეროვნულობაზე, ისტორიული სამშობლოსაკენ არის ორიენტირებული.

რატომაა იდენტობის მახასიათებელი ერთ შემთხვევაში ეთნიკურობა და მეორეში რელიგიურობა, ან ორივეს ერთად არსებობა? მრავალი კვლევის მიუხედავად ამ საკითხის ერთიანი კრიტერიუმები თეორიულად დადგენილი არაა. ვფიქრობთ, ამის მიზეზი საძებარია ცალკეული ეთნოსების ისტორიაში, რომელიც სავსეა სხვადასხვა სახის პრობლემებით. ჩვენში კი, საქართველოს დღევანდელი მდგომარეობით (ერთმორწმუნე რუსეთის თავდასხმებით, დიდი სომხეთის აღდგენის გეგმებით, აზერბაიჯანის ალბანიზაციის მცდელობით), ტერიტორიების დაკარგვის და გლობალიზაციის შიშით არის გამოწვეული.

ამიტომ ქართველებში წილხვედრილობის ჰიპერბოლიზაცია მოხდა. საბჭოთა წყობის დროს სოციალურ ნორმად წარმოდგენილი ათეიზმი უმაღლესი გაქრა. მოხდა ერთიანი საქართველოს გარშემო კონსოლიდაცია. იდენტობის მახასიათებლები სხვადასხვა სიმბოლოებით დაიტვირთა. მოხდა სიმბოლოების ჰიპერბოლიზაცია და მათი უმაღლეს რანგში აყვანა, რადგანაც ეს იძლევა სხვისგან განსხვავებულობის ძლიერ შეგძნებას და თავისი, მკვეთრად გამოხატული ნიშის დაკავების შესაძლებლობას. რადგანაც არსებობს ცოდნა, რომ ეს მიწა მათი კუთვნილებაა, არიან ავტოქთონი ხალხები, რომელთაც ისტორიის მანძილზე მრავალი ტერიტორია აქვთ დაკარგული. წილხვედრილობის და სხვა მისთანა (მაგ.: წმ. გიორგი, წმ ნინო.....) ჰიპერბოლიზაცია უფრო მეტად იძლევა საშუალებას დაადანტურონ მიჯაჭვულობა იმ მიწაზე, რომელიც მონიშნულია, როგორც წილხვედრილი. ზოგის აზრით ეს საკითხი მითოლოგიზირებულია. იუმორისა და ქილიკის საგანიც კი გახდა ტელეგადაცემასა თუ სხვადასხვა საგაზეთო პუბლიკაციაში. ყველას აქვს უფლება საკუთარი აზრი ჰქონდეს. მაგრამ რა ვუყოთ იმ ცნობებს, რაც ისტორიულმა საბუთებმა შემოგვინახა?! თუ ამ საკითხს მართებულად მივუდ-



გებით, ვნახავთ რომ იმის დამტკიცება, რომ ეს მოვლენა არ არსებობდა უფრო ძნელი იქნება, ვიდრე პირიქით.

ამრიგად, ეთნიკური იდენტობა პიროვნების სოციალური იდენტობის შემადგენელი ნაწილია და გარკვეულ ეთნიკურ ერთობასთან მიკუთვნებულობის გაცნობიერებას გულისხმობს. იგი ერთ ეთნიკურ ერთობასთან იგივეობის, და სხვებისგან განსხვავებულობისა და განცალკევებულობის განცდაა. ეთნიკური იდენტობა კულტურული ფაქტორებითაა განპირობებული. კულტურული იდენტიფიკაცია კი არის კონკრეტულ კულტურაში ადამიანის თვითშეგნება. ამიტომაცაა, რომ ქართული ტრადიციები წარმოადგენენ ერთიან წრეს. ადამიანი მიიღტვის საკუთარი თავის შესაცნობად და ცდილობს თავისი თავი უშუალოდ რიტუალების სისტემის, სტერეოტიპების საშუალებით გამოავლინოს. ადამიანი თავის თავს ყოველთვის აიგივებს ჯგუფთან, ეთნოსთან, რომელიც ერთიან კულტურაში მოიაზრებოდა. იდენტობის განმაპირობებელი ღვთისმშობლის წილხვდომილობის მრავალსაუკუნოვანი განცდა, ამ ერთიანი კულტურის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია.

სწორედ ამიტომ, ღვთისმშობლის წილხვდომილობისადმი მიძღვნილი ახლად დადგენილი დღესასწაული ორგანულია ქართველი ერისთვის და ქართული სახელმწიფოსთვის კონსოლიდაციის ერთ-ერთ საშუალებადაც შეიძლება იყოს მიჩნეული.

**NINO GHAMBASHIDZE  
LIANA MELIKISHVILI**

**MOTHER OF GOD PROTECTOR AND INTERCESSOR  
OF GEORGIA AND GEORGIAN'S MENTALITY**

Worship of the Virgin Mary holds a special place in Georgian people's religious beliefs. She is one of the most distinguished, popular and venerated among other saints. Georgian and foreign historical sources, ecclesiastical narratives, ethnographic materials and relevant scholarly literature show how the idea of to be allocated to Virgin Mary was introduced into the national consciousness of Georgian people during centuries and what forms the worship of St. Mary acquired in Georgian people's faith. Special patronage of the Virgin Mary for the Georgians contributed to St. Mary's solid and one of the most distinguished places in the Georgian Christian worldview; becoming one of the most important characteristics of their collective consciousness and identity. In today's Georgia social and political conditions have helped to advance this idea of St. Mary's patronage. This idea is a part of the Georgians' ethnicity, which can contribute to the consolidation of the Georgian population regardless of their faith or nationality. Thus, the newly established holiday dedicated to the Virgin Mary's patronage, introduction of which is conditioned by the country's socio-political circumstances, is organic for the Georgian nation and can be considered as one of the means for the consolidation of Georgian state. The article is based on Georgian and foreign historical sources, ecclesiastical narratives, Georgian ethnographic materials and relevant scholarly literature.

## დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. ბერძენიშვილი, დ. (2009). ანდრია პირველწოდებულის ნაკვალევზე (თბილისი: გამომცემლობა „უნივერსალი“).
2. ბუბულაშვილი, ე. (2007). საქართველოს ეკლესიის სიწმინდეები (თბილისი: გამომცემლობა „ახალი ივირონი“).
3. კიკნაძე, ზ. (2009). ქართლი გაქრისტიანების გზაზე: ადამიანები და სიწმინდეები (თბილისი: გამომცემლობა „კავკასიური სახლი“).
4. მახარაშვილი, ს. (2009). წმ. ნინო, ჯვარი ვაზისა და საქართველოს ღვთისმშობლისადმი წილხვდომილობის საკითხისათვის. წმინდა ნინოს ცხოვრება და ქართლის მოქცევა (თბილისი: ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა).
5. მინდაძე, ნ. (2014). ღვთისმშობელი და ქართული ტრადიციული მედიცინა. ლოგოსი. №8.
6. საბინინი, მ. (1882). საქართველოს სამოთხე (პეტერბურგი: „საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიის ტოპოგრაფია“).
7. ფერი ფონ ლილიენფელდი. წმიდა ნინოს მსახურება და სულიერი რწმენა, აღმოსავლეთ საქართველოს მოციქული და ევანგელისტი (ხელნაწერი).
8. ქართლის ცხოვრება. ტ. I . (1955). ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ (თბილისი: გამომცემლობა "სახელგამი").
9. ღამბაშიძე, ნ. (2018). მოზდოკის ღვთისმშობელი-კავკასიის სიწმინდე. ანალები. №14.
10. ღამბაშიძე, ნ. (2008). მცხეთის ჯვარი და საქართველოს გაქრისტიანების სამი ეტაპი. ქრიატიანულ-არქეოლოგიური ძიებანი. №1.
11. ღამბაშიძე, ნ. გოცირიძე, გ. (2007). ქართული ტრადიციული სუფრის ლიტურგიული ბუნება. "საქართველოს სიძველენი". №10.
12. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. წიგნი IV. სვინაქსარული რედაქციები (X–XVIII სს.). (1968). გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევები დაურთო ე. გაბიაშვილმა (თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“).
13. ხაზარაძე, ნ. მინდაძე, ნ. (2008). ღვთისმშობლის სარტყლის ქვეყანაში (თბილისი: გამომცემლობა: „სამება“).

14. ჭელიძე, ე. (2005). მართლმადიდებლური სწავლება მისიონერული სწავლების შესახებ. მართლმადიდებელი მრევლის დღიური. №3.
15. ჭელიძე, ე. (2014). ღვთისმშობლისადმი ქართლის წილხვდომილობის შესახებ. ლოგოსი. №8.
16. ჯალაბაძე, ნ. მელიქიშვილი, ლ. (2014). ღვთისმშობლის ხალხური კულტი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში (ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით). ანალები №12.
17. Бардавелидзе, В. (2007). Древнейшие религиозные верования и обрядовое графическое искусство грузинских племен. Тбилиси: издательство „Кавказский Дом“.
18. Радуйся, благая Вратарница... (1997). Рассказы об Иверской иконе Божией Матери. Москва: издательство “Русский Хронограф”.
19. Фромм, Э. (1986). Иметь или быть? Москва: издательство «Прогресс»
20. Nino Ghambashidze. (2017). *Christianization of Georgia in Folklore and Religious Beliefs*. Interdisciplinary of Religious Studies: Interaction of Culture, History, Religion (Warsaw: IRF Press). [https://www.academia.edu/35720081/INTERDISCIPLINARITY\\_OF\\_RELIGIOUS\\_STUDIES\\_INTERACTION\\_OF\\_CULTURE\\_HISTORY\\_RELIGION\\_IRF\\_Press\(12.03.2020\).](https://www.academia.edu/35720081/INTERDISCIPLINARITY_OF_RELIGIOUS_STUDIES_INTERACTION_OF_CULTURE_HISTORY_RELIGION_IRF_Press(12.03.2020).)

**მუსიკალური აზროვნების განვითარების უძველესი  
ეტაპების შესახებ**

გამოჩენილი ეთნომუსიკოლოგი, პროფ. ი. ზემცოვსკი ინტონაციური ველის შესახებ შემდეგ ინტერპრეტაციას იძლევა: ხალხი მუსიკალურად აზროვნებს არა ცალკეული ბგერებით, არამედ ცალკეული ინტონაციური კომპლექსებით, კონკრეტულად ინტონაციურ-რიტმული უჯრედებით, მელოდური მიმოქცევებით, ფრაზებით. ეს კომპლექსები ზეპირი გზით გადაიცემა და ტრადიციულად მომდინარეობს. ასეთ კომპლექსებში ბგერათა სიზუსტე შეუძლებელია. ისინი პრინციპულად მობილურია და ამასთანავე ურთიერთექვივალენტური. ერთი და იგივე ინტონაციურ კომპლექსს მეტ-ნაკლებად განსხვავებული ბგერითი გამომსახველობა ახასიათებს, მაგრამ არა უსასრულოდ განსხვავებული. საზღვარს, რომელშიც ინტონაცია, სახეცვლილების შემდეგ, თავისთავადი რჩება, „ინტონაციური ველი“ ეწოდება (6:43). მუსიკალური აზროვნების განვითარების უძველესი ეტაპების შესწავლისათვის, აგრეთვე, მუსიკის ეთნიკური სპეციფიკის დადგენისათვის „ინტონაციური ველის“ განსაზღვრას არსებითი მნიშვნელობა აქვს.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, ერთი მხრივ, ენის ფონეტიკური წყობის გავლენის შესახებ მელოდის ჩამოყალიბებაზე, მეორე მხრივ – სასიმღერო ელემენტების უდიდეს როლზე ლექსის ძირითადი კომპონენტების ჩამოყალიბებაში (2:49). გასაზიარებელია საზღვარგარეთის და ქართველ მუსიკის მკვლევართა მოსაზრება მუსიკალური ინტონირების ანუ მყარი ბგერული სიმაღლეების სამეტყველო ინტონაციებიდან მომდინარეობის შესახებ (12:6-8).

ხალხური მუსიკა საყოფაცხოვრებო ტრადიციის წიაღში ჩნდება და ყალიბდება; გარკვეული შინაარსის მქონეა და ყოფის ცალკეული მხარეების ამსახველი. მეტყველება

და მუსიკა დაკავშირებულია ადამიანის აზროვნებასთან. ეს ორი ელემენტი *ბგერით* („ჯმით“) გამოიხატება. „სიტყვის“ (ფართო გაგებით, მეტყველების) ბგერითი გამოვლინება ადამიანის მიერ ამა თუ იმ მოვლენის აღქმის, შეგრძნების, განცდის, შესაბამისი განწყობისა და შინაგანი დინამიკის (მოძრაობის, მოქმედების) შედეგია, რაც ბგერათა ინტონაციურ-რიტმულ წყობაში იჩენს თავს. იგი გამოირჩევა მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ინტონაციური თავისებურებით და შესაბამისი ემოციური ელფერით. აქვე შევნიშნავ, რომ „სიტყვა“ გარკვეული ენობრივი ჯგუფის კუთვნილებაა და ამ ჯგუფის ენობრივი ჩვეულებით არის განპირობებული, რაც აისახება ცალკეულ ბგერათა შეერთების წესების შედეგად მიღებულ *სპეციფიკურ ელერადობაში*. ხაზგასასმელია, რომ მეტყველების ფონეტიკური წყობა *ზეპირი* გზით გადაიცემოდა.

ზემოთქმულიდან გამომდინარე ცხადია, რომ ინტონაციამ ოდესღაც არსებითი როლი შეასრულა მეტყველების, როგორც ინტონაციურ-კომუნიკაციური სისტემის ჩამოყალიბებაში, ანუ *მეტყველების საწყისები ინტონაციაშია საძიებელი*. აქვე შევნიშნავ, რომ სამეტყველო ინტონაცია, უფრო მოგვიანებით კი, მუსიკალური ინტონაცია ორგანულადაა დაკავშირებული სულთან. ამიტომ არის მუსიკა ღვთაებრივი მოვლენა, რომელმაც მნიშვნელოვანი ადგილი დაიმკვიდრა როგორც ქრისტიანობის წინარე ხანის რწმენა-წარმოდგენებში, ისე ქრისტიანულ ღვთისმსახურებასა და სხვა რელიგიებში.

ქართულ ხალხურ სიმღერებში ასახულია ქართველი ხალხის მუსიკალური აზროვნების განვითარების თითქმის ყველა საფეხური. ამათგან უძველესი, უკანასკნელ დრომდე, აღმოსავლეთ საქართველოს მთის მოსახლეობამ შემოინახა და დალექილია მთელ ქართულ ხალხურ მუსიკალურ შემოქმედებაში (მაგ. I). საერთო-ქართველური მუსიკალური ენის ინტონაციური საფუძველია კვარტის დიაპაზონის მომცველი ჰანგი, „მინორული“ ელფერით და ბგერათა დაღ-

მავალი მოძრაობით კილოს კვარტიდან ძირითად საყრდენ ბგერამდე; ვარიანტებში წარმოდგენილია მეტ-ნაკლებად განსხვავებული ინტონაციურ-რიტმული ელერადობით და გაფართოებულია კვინტამდე (სექსტამდე, სეპტიმამდე, ოქტავამდე. მოგვიანებით ხდება ემოციურ საწყისზე დამყარებული ზედა ბგერების დიფერენცირება, მუსიკალურ-აზრობრივი დატვირთვა; მათი, როგორც მუსიკალური ბგერების გამოკვეთა) (8:122-124). საერთო-ქართველური მუსიკალური ფუძე-ენა, რომელშიც თავს იყრის ადრე არსებული ყველა მუსიკალურ-სმენითი მონაპოვარი, უნივერსალურია. ამასთანავე, იგი გარკვეული სტრუქტურის მქონე ინტონაციურ ველში თავსდება და გამოირჩევა მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ფონოლოგიური და მორფოლოგიური წყობით (8).

მუსიკალური აზროვნების განვითარების უძველესი ეტაპების რეკონსტრუქციის მიზნით, სარწმუნოებრივი ხასიათის წეს-ჩვეულებებსა და რიტუალებს შორის საინტერესოა მიცვალებულის და ასტრალურ კულტებთან დაკავშირებული ნატირღები და საფერხულოები. ნატირალის სახეობათა შორის „ხმით ნატირალის“ შესრულების წესი ანიმისტური მსოფლმხედველობის ნიადაგზეა წარმოქმნილი. მოტირალი საიქიოს მიღწეული სულის მიერ არჩეული „მე-ენე“ იყო, რომელსაც მგრძნობიარე სიტყვებით უნდა დაეტირა მიცვალებული და აღეწერა მისი წარსული და ნამოქმედარი. მოტირალი ზოგჯერ მესულთანე იყო (მასში მიცვალებულის სული სახლდებოდა) და ოჯახს თუ სოფელს იგი მიცვალებულის ენით მომავალს უწინასწარმეტყველებდა (4:38). საგულისხმოა, რომ ნატირალის შესრულების წესი *მაგიური ქმედების* კვალს შეიცავს და, რომ მოტირალის მიზანი იყო სულთა კეთილგანწყობის მოპოვება “სამზეოში” დარჩენილთა (ცოცხალთა) მიმართ. საილუსტრაციოდ წარმოდგენილი მარტივი სტრუქტურის მქონე მუსიკალური ფრაზებიდან (მაგ. II) პირველი მათგანი, რომელიც მღერით დეკლამაციას უახლოვდება, კვარტის დიაპაზონს მოიცავს.

აღსანიშნავია, რომ კვარტის ინტერვალის ათვისებას, ზოგი ერთი მკვლევარი, პირველყოფილი თემური წყობილების ხანას უკავშირებს (5:50). ნატირალის რეჩიტატიული ხასიათი უკეთ ჩანს მისი, უშუალოდ ყოფაში, **ზეპირი** იმპროვიზირებული შესრულებისას (ნოტებზე გადატანისას გარკვეულწილად იკარგება ნატირალის თხრობითი ხასიათი და ინდივიდუალური თავისებურებანი). მუსიკალური მასალის ანალიზიდან გამომდინარე საგულისხმოა, რომ მეტყველების ფონეტიკური წყობა იმავდროულად, ქვეცნობიერად აღიქმება მუსიკალურ ინტონაციად, ინტონაციურ-რიტმული უჯრედების, მელოდიური მიმოქცევების სახით. ისინი შინაგანი კანონზომიერებით უკავშირდებიან ერთმანეთს და ერთიანდებიან გარკვეულ მუსიკალურ-ინტონაციურ ჩარჩოში, ამ შემთხვევაში – ფრაზაში (ფრაზებში), რომელიც მეტრის საშუალებით სისტემაშია მოყვანილი. აღსანიშნავია, რომ მელოდიური მიმოქცევები, თავის მხრივ, ბიძგს აძლევს მუსიკალური რიტმის ორგანიზაციის სისტემას – მეტრს (მეტრის გარეშე შეუძლებელია ბგერათა გააზრებული მონაცვლეობა). მიუხედავად იმისა, რომ, ერთი შეხედვით, ფრაზაში მეტრი განუსაზღვრელია, რიტმი ბუნებრივად ლაგდება მეტრულ ბადეში და იყოფა მეტრულ ერთეულებად - ტაქტებად. ვფიქრობ, რომ **ყოველივე ეს ადამიანის შინაგანი სმენითი მონაცემის შედეგია, ისეთივე „თანდაყოლილი ბუნებრივი თვისებაა, როგორიც მუსიკის პარმონიული, „შინაგანი სმენითი წყობა“** (6: 37, 39, 47, 48; 12:293-295, 326-327).

შემდეგ ფრაზებში (2,3) დიაპაზონი გაფართოებულია (სექსტამდე სეპტიმამდე), რაც, უპირველეს ყოვლისა, აიხსნება მოტირალის ემოციური დატვირთვით და შინაგანი დინამიკით. ფრაზებში მკაფიოდ ჩანს მელოდიისადმი სიტყვიერი ტექსტის დაქვემდებარების პროცესი. მაგალითად, მეორე ფრაზაში ლექსის ტერფები შეესატყვისება მელოდიურ მიმოქცევებს. კერძოდ, ერთი მელოდიური მიმოქცევა ორ ტერფს აერთიანებს. ტერფები, თავის მხრივ, მუხლებში ერ-



თიანდება და მელოდიურ მიმოქცევებს ეთავსება. სიტყვიერ ტექსტში, დამოუკიდებლად მელოდიისაგან, პირველ ორ მუხლში მახვილი მეორე ტერფის პირველ მარცვალზეა (მეორე პეონი: 7<sup>~</sup>) მაშინ, როდესაც მელოდიურ მიმოქცევებში მახვილი ტაქტის პირველ ბგერაზეა. მესამე ფრაზაში მელოდიური მიმოქცევები ტერფის მარცვლებს ერთმანეთისაგან აშორიშორებს. გარდა ამისა, მეორე მელოდიურ მიმოქცევაში მახვილი ტაქტის პირველ ბგერაზეა, სიტყვიერ ტექსტში კი, მახვილი მეორე მარცვალზეა და ა.შ. თანდათან იზრდება მელოდიისადმი სიტყვიერი ტექსტის დაქვემდებარების პროცესი (8:136-142).

მიუხედავად იმისა, რომ „ხმით ნატირალი“ ცალკეული ინდივიდების მიერ სრულდება (რასაც განაპირობებს მისი შესრულების წესი), იგი გუნდური ხასიათის ნატირალია. რიტუალის მონაწილე მოტირალი ქალები ქვითინით უერთდებიან ფრაზის დამაბოლოებულ ბგერას, რომელიც იმთავითვე განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. იგი მუსიკალური ფრაზის საყრდენია, ღერძია, რომლის მიმართ ყალიბდება ბგერათა ურთიერთმიმართების გარკვეული კანონზომიერებანი. მოქვითინეთა გუნდი, თავის მხრივ, განამტკიცებს ჰანგის დამაბოლოებელი რიტმულად მყარი ბგერის გააზრებას ბანის სახით.

როგორც ზემოთ ითქვა, „ხმით ნატირალის“ შესრულების წესი მაგიური ქმედების კვალს შეიცავს. დამაჯერებელია საზღვარგარეთის და ქართველ მუსიკის მკვლევართა მოსაზრება, რომ *მაგიურ ქმედებას უკავშირდება მუსიკალურ-ესთეტიკური არქექტივის ჩამოყალიბება*, რომლის ატრიბუტებია მრავალჯერადი განმეორება, ერთგვაროვნება და რეგლამენტურობა (3:24). სიტყვიერი ტექსტი, რომელიც მრავალჯერადად განმეორებული მუსიკალური ფრაზების ჩარჩოში თავსდება, თავის მხრივ, დასაბამს აძლევს არა მხოლოდ „სიმღერის“, არამედ – პოეზიის ჩამოყალიბებას. ნიშნდობლივია, რომ ხალხურ ყოფაში „სიმღერე“ „ღეჟისის დამღერებით თქმას“ ნიშნავს. ამგვარი ინტერპრეტაცია უკა-

ნასკნელ დრომდე შემორჩათ აღმოსავლეთ საქართველოს მთიელებს. მაგიური ქმედების კვალს შეიცავს აგრეთვე ფერხული, რომელიც წარმართული ხანიდან მომდინარეა. წრიული ფერხული მზის ქალღვთაებასთან მისი ასოციაციის შედეგია და ასტრალურ რწმენა-წარმოდგენებს ასახავს. საფერხულო ქმედება დაკავშირებულია ნაყოფიერებასთან და გამრავლებასთან. სიტყვიერი ტექსტები შეიცავს მიმართვას მოსავლის მფარველი და ადამიანთა და საქონლის გამამრავლებელი ღვთაებებისადმი. აქვე აღსანიშნავია, რომ წრესა და წრიულ რიტუალურ ქმედებებში საძიებელია უფრო ვრცელი კონცეფცია, რომელიც არა მხოლოდ ასტრალურ წარმოდგენებს ასახავს, არამედ წარმოგვიდგენს დროის აღრიცხვის წრიულ, ციკლურ წესს, ბუნების კვდომა-აღორძინების შესაბამისად (1:55-57; 110-111). საფერხულოების უძველესი მელოდიურ-ინტონაციური შრე საერთო-ქართველური მუსიკალური ფუძე-ენის ან ფუძე-ჰანგის არეში შედის და მუსიკალური აზროვნების განვითარების ადრეული ეტაპის ამსახველია (მაგ. I, 2). უფრო მოგვიანებით, საფერხულომ *რიტუალური ცეკვის* ფუნქცია შეიძინა.

ზემოსხენებული მსჯელობის შემდეგ ნათელია, რომ *მეტყველების მუსიკის და პოეზიის საწყისები ინტონაციაში საძიებელი ანუ სუბსტრატი ინტონაციაა.*

მეტყველების ბგერათა აკუსტიკურმა და ფიზიოლოგიურმა (არტიკულაციურმა) თავისებურებებმა, ინტონაციურმა მხარემ, არსებითი როლი შეასრულა მუსიკალურ-ინტონაციური აზრობრივი ერთეულის – ფუძე-ჰანგის, კერძოდ კი, საერთო-ქართველური მუსიკალური ფუძე-ენის ჩამოყალიბებაში, რომლის ინფილტრაციამ ყოფის სხვადასხვა სფეროში, გამოიწვია მისი სემანტიკური ტრანსფორმაცია: ცვლილებებს განიცდის მუსიკალური ტექსტის ფორმა და შინაარსი, შესრულების ხასიათი და ბოლოს, ყალიბდება თვისებრივად ახალი, განსხვავებული სასიმღერო ნიმუშები, რომლებიც ზოგადქართულ მუსიკალურ სტრუქტურაში გარკვეულ ადგილს იკვიდრებს. ეს პროცესი უშუალო კავ-

შირშია მუსიკალური ჟანრების ჩამოყალიბებასთან. აშკარაა, რომ მრავალფეროვანი მუსიკალური ჟანრების ფორმირება საყოფაცხოვრებო ტრადიციის წიაღში მოხდა, და, რომ დიდია ყოფითი ტრადიციების როლი სიმღერის შესრულების წესისა და ხასიათის განსაზღვრებაში. არანაკლებ მნიშვნელოვანია შემსრულებლის განწყობა კონკრეტული სიტუაციისადმი. აქვე შევნიშნავ, რომ „განწყობის” საკითხს ხალხურ მუსიკაში საგანგებოდ შეეხო პროფ. ი. ზემცოვსკი ერთ-ერთ საჯარო გამოსვლაში, თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახ. სახელმწიფო კონსერვატორიაში (2014).

მუსიკალური ფუძე-ენა, ფუძე-ჰანგი, რომელიც გარკვეულ გეოგრაფიულ გარემოში ადამიანთა განსაზღვრული ჯგუფის საწარმოო, სოციალური და სულიერი ურთიერთობის პირობებში გაჩნდა და ჩამოყალიბდა, საფუძვლად დაედო *ეთნოსის მუსიკალურ ენას*, რომელიც შემდგომში ეროვნული ფსიქოლოგიის სტრუქტურულ ელემენტად დამკვიდრდა.

I 1

2

3

4

5

II 1

2

Եղիցո Յը Եզ-ղն-նա Ձա-ննս Կն-ճոն Զը-նա-ո  
 Զյեռո / / / / / / / / / /

3

Եղիցո Ե-ղի Ձոյն-ըն | Ձոն Ե-ղ-նա | Եղի-նա-ո  
 Զյեռո / / / / / / / / / /


**ABOUT THE ANCIENT DEVELOPMENT STAGES OF  
MUSICAL THINKING (METER AND RHYTHM)**

The beginnings of speech, music and poetry should be sought for in the intonation. It means that intonation is a substrate for speech, music and poetry.

**დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:**

1. ბარდაველიძე - Бардавелидзе В.В., Древнейшие верования и обрядовое графические искусство грузинских племен, Тбилиси, 1957.
2. ბარდაველიძე ჯ., ქართული ხალხური ლექსი, თბილისი, 1979.
3. ბაღაშვილი წ., ქართული მუსიკალური ფოლკლორის ესთეტიკის სათავეებთან, ავტორეფატი., თბილისი, 2005.
4. გიორგაძე დ., დაკრძალვისა და გლოვის წესები საქართველოში, თბილისი, 1987.
5. გრუბერი - Грубер Р.И., История музыкальной культуры, I, Москва, 1941.
6. ზემცოვსკი - Земцовский И.И. Мелодика календарных песен, Ленинград, 1975.
7. ზემცოვსკი - Zemtsovsky, I.I., Polyphony as a way of creating and thinking: The musikal identity of homo polyphonicus//The First International on Traditional Polyphony. Tbilisi State Conservatoire, 2002.
8. მაისურაძე ნ., ქართული ტრადიციული მუსიკა და ეროვნული ცნობიერება. ქართული და ჩრდილოკავკასიური

- მუსიკალური ენების ურთიერთმიმართება და მათი ერთობის პრობლემა, თბილისი, 2015.
9. მაისურაძე ნ., ეთნომუსიკოლოგია//მუსიკალური ეთნოლოგია, II გამოცემა, თბილისი, 2018.
  10. სურგულაძე ი., მითოსი, კულტი, რიტუალი საქართველოში, თბილისი, 2003.
  11. ფონხუა ბ., ქართული ენის ლექსიკოლოგია, თბილისი, 1974.
  12. ჭოსონელიძე ევ., ქართული ხალხური სიმღერის კილოური საფუძვლების შესახებ, ქართული ხალხური სიმღერების კილო, მელოდია, რიტმი, სამეცნიერო შრომების კრებული, თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია, 1983.
  13. ჯავახიშვილი ივ., ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები, II გამოცემა, თბილისი, 1990.



ნუსხან სულავა

**პრონოეტული კონცეფცია არეოპაბიტულ  
მოძღვრებაში**

განგების პრობლემის შესასწავლად განგების კონცეფციის განხილვა ფსევდო-დიონისე არეოპაგელის საღვთისმეტყველო შრომების საფუძველზე კონცეპტუალურია, რადგან საზოგადოდ არეოპაგიტულმა მოძღვრებამ მთელ ქრისტიანულ ლიტერატურას დიდი კვალი დაამჩნია. განგების ცნებას იცნობს ანტიკური ფილოსოფიაც და ქრისტიანული მოძღვრებაც. ანტიკურ სამყაროში განგება ღმერთების კეთილი ზრუნვა და გადაწყვეტილებაა ადამიანის მომავალი ცხოვრების შესახებ. ტერმინოლოგიური და ცნებითი თვალსაზრისით ძველი აღთქმის თხზულებებში, კერძოდ ფსალმუნებში, ახალი აღთქმის წიგნებში მას ღვთის ნება, ან წინაღსწარგანზრახვა და წინაღსწარცნობა გამოხატავს//ენაცვლება (ბერძნული *προνοια, οικονομία*, ლათინური *providentia*). განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ახალი აღთქმისეული განგებისეული//პრონოეტული კონცეფცია და ამ მხრივ საგანგებო ყურადღება უნდა მიექცეს უპირველეს ქრისტიანულ ღოცვას „მამაო ჩვენო“, რომლის სიტყვები „იყავნ ნება შენი“ განსაზღვრავს როგორც ახალი აღთქმის წიგნების, ისე მთელი მომდევნო ხანის საღვთისმეტყველო ლიტერატურის მსოფლმხედველობას, რათა აღსრულდეს ნება ღვთისა. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს პავლეს ეპისტოლეები, რომლებშიც „განგება“ პრონოეტულ ტერმინად გაიაზრება და ძირითადად აღნიშნავს ღმერთის ზრუნვას ადამიანის მომავალ სულიერ ცხოვრებაზე, ღმერთის კეთილ წინასწარგადაწყვეტილებას, ღმერთის ნებას. ქრისტიანულ საღვთისმეტყველო ლიტერატურაში გამოყენებული განგების ცნება ანტიკური ფილოსოფიისაგან განსხვავ-

ვებულის საზრისითა და ფუნქციითაა აღჭურვილი და განსხვავებული მნიშვნელობით გამოიყენება.

განგებამ, როგორც საღვთისმეტყველო ტერმინმა, ქრისტიანულ ლიტერატურაში არსობრივად ახალი, წინაკულტურული ტრადიციებისაგან განსხვავებული აზრი შეიძინა; იგი წინასწარგანზრახულებას, ადამიანის სულიერ მომავალზე ზრუნვას, მისი მომავლის წინასწარ განგებას გულისხმობს. ქრისტიანულ მოძღვრებაში განგება, ღვთის ნება მხოლოდ ადამიანის ცხოვრების კეთილად წარმართვას გულისხმობს. წმინდა ღვთისმეტყველი მამები ამ ტერმინს განმარტავენ და მის არსს ხსნიან ბიბლიურ წიგნებში არსებულ მონაცემთა საფუძველზე. ქრისტიანული მსოფლმხედველობის თანახმად, სამყარო, როგორც საერთო არსის მქონე ერთიანობა-მთლიანობა, ღვთის განგებით შეიქმნა, ღმერთი ყოველივეზე ზრუნავს და წარმართავს მას, ღვთაებრივი სიბრძნე თავისი სამართლიანობითა და სიკეთის ქმნით ადამიანურ გონსა და სიბრძნეს ყოველმხრივ აღემატება.

განგების რაობა და არსი, ქრისტიანული მსოფლმხედველობის კვალობაზე, საგანგებოდ განიხილეს აღმოსავლეთისა და დასავლეთის ეკლესიების მისტიკოსმა მამებმა წმ. ფილონ აღექსანდრიელმა, წმ. ბასილი კესარიელმა, წმ. გრიგოლ ნოსელმა, წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველმა, წმ. იოანე ოქროპირმა, ნეტარმა ავგუსტინემ, განხილულია არეოპაგიტულ თხზულებებში; მოგვიანებით საღვთისმეტყველო თვალთახედვა გამოხატეს წმ. იოანე დამასკელმა, წმ. მაქსიმე აღმსარებელმა, ქართველ ღვთისმეტყველთაგან წმ. იოანე პეტრიწმა პროკლე დიადოხოსის თხზულებათა ქართულ თარგმანზე დართულ კომენტარებში.

ჩვენი მსჯელობის საგანია განგების გააზრების საკითხი წმ. დიონისე არეოპაგელის ტრაქტატებში, რომლებიც მნიშვნელოვან მასალას იძლევა როგორც ტერმინოლოგიური თვალსაზრისით განსახილველად, ისე არსობრივი რაობის განსამარტებლად. საკითხისადმი ინტერესს ის აღვივებს, რომ წმ. დიონისე არეოპაგელმა ბერძნულად ეს ტერმინი განსხვავებული ლექსიკური ერთეულებით გადმოგვცა; ეფრემ მცირის ქართულ თარგმანში ბერძნული



ტერმინის შესატყვისად შერჩეულია რამდენიმე სხვადასხვა ქართული ლექსიკური ერთეული, კერძოდ: განგება//განგებულება, წინაგანგება//წინაგანგებულება. ე.ი. ბერძნულში ქართული ტერმინის შესატყვისად რამდენიმე განსხვავებული ლექსიკური ერთეული, განსხვავებული სიტყვა გვხვდება.

განგების განმარტება-ინტერპრეტაციისათვის არეოპაგიტულ თხზულებათა კვალობაზე განხილული გვაქვს ტრაქტატები „სადმრთოთა სახელთათვის“ და „საიდუმლო ღმრთისმეტყველებისათვის“, რომლებშიც გაანალიზებულია განგების არსი; მესამე ტრაქტატი „ზეციური იერარქიისათვის“, ზეცათა იერარქიის კვალობაზე წარმოაჩენს განგების, როგორც ზეციური წესების, მოწყობის, პრინციპებს, რაც ბერძნულში გადმოიცემა ტერმინებით „προνοια, οικονομια“. არეოპაგიტული მოძღვრებით, განგება არის ღმერთის წინასწარგანზრახულება: ადამიანისათვის სასოების მიმნიჭებელი, ადამიანის სულიერ მომავალზე ორიენტირებული, სულის მხსნელი, ძირითადად ღმერთის კეთილი ნება, რომელიც დაფარულია და რომლის გამოცნობას, რომლის აღსრულებას მთელი არსებით ცდილობს ადამიანი თავისი სიცოცხლის მანძილზე. განგების შეცვლა შეუძლებელია, აცილებაც შეუძლებელია. იგი კეთილი ზრუნვაა ადამიანის სულზე, წინასწარგანზრახვაა. განგების და ადამიანის სურვილის თანხვედრა ღვთის სიკეთითაა განპირობებული, განგების არსი და კონკრეტული გამოვლინება ადამიანმა მის აღსრულებამდე არ იცის. განგება ადამიანისათვის ღვთისაგან ბოძებული არჩევანია. დიონისე არეოპაგელი იშვიათი სისადავით, ცხადად, ნათლად, ამავე დროს, საღვთისმეტყველო რიტორიკული სტილით გვაწვდის თავის შეხედულებას ისეთი ურთულესი, ადამიანის გონებისათვის ძნელად საწვდომი ტერმინის შესახებ, როგორიცაა განგება//განგებულება.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში, ზოგჯერ სამეცნიერო ლიტერატურაშიც, განგება (προνοια, οικονομια, providentia) მცდარად გაიაზრება და იგი ერთ-ერთ სიმბოლურ საღვთო სახელად მიიჩნევა. ამიტომ ვიმოწმებთ პრონოეტულობის აღმნიშვნელ შესატყვის ქართულ ტერმინებს, რომლებიც ეფრემ

მცირის მიერაა შემუშავებული არეოპაგიტული კორპუსისა და წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველის ჰომილიათა თარგმნისას. მისი გამოვლენა აჩვენებს ამ ტერმინის განვითარების საფეხურებს, რაც საღვთისმეტყველო აზროვნებისა და მთარგმნელობითი მეთოდის განვითარებაზე დაკვირვების საშუალებასაც იძლევა და თანამედროვე მწერალთათვის ტერმინის სწორად აღსაქმელად რეკომენდაციისა თუ რჩევის ფუნქციასაც კისრულობს.

საზოგადოდ უნდა აღინიშნოს, რომ განგების კონცეფციის განხილვისას ღვთისმეტყველი წმინდა მამები, მათ შორის დიონისე არეოპაგელი, რამდენიმე პრობლემას გამოყოფენ. ესენია: 1. ღვთის განგების რაობა, არსი და მიზნები; 2. განგება – ადამიანის თავისუფალი ნების გამოხატულება, ანუ ღვთის განგებისა და ადამიანის თავისუფლების ურთიერთმიმართების პრობლემა; 3. ყოვლადწმინდა სამების ყველა ჰიპოსტასის მონაწილეობა განგების საქმეში; 4. ადამიანის მიერ ღვთის განგების საიდუმლოების მიუწვდომლობა; 5. განგების დროსივრცული არეალი; 6. როგორ უნდა მოიქცეს ადამიანი, რომელსაც აქვს სასოება ღვთის განგება/განგებულებისა? 7. განგებისა და სიკეთე/ბოროტების ანტინომიის ურთიერთმიმართება; 8. განგება და ბედი, მათი მიმართება.

ნემესიოს ემესელმა თავის თხზულებაში „ბუნებისათვის კაცისა“ განგების კონცეფციის შესახებ სამი საკითხი დასვა: 1. არსებობს თუ არა განგება, 2. რა არის განგება და 3. რას შეეხება იგი. ასევე, წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველის ჰომილიებშიც განგების საკითხი განსხვავებულად განიხილება და მან განგება ბედის საპირისპირო ფენომენად გაიაზრა, რაც თავის მოძღვრებაში კონკრეტული ეპიზოდების განხილვით დაასაბუთა. ისიც უნდა ითქვას, რომ წმინდა მამათა ნააზრევის განსხვავებულობა არ გულისხმობს უკიდურეს განსხვავებულ შეხედულებებს, რადგან ისინი მიჰყვებიან ბიბლიურ მოძღვრებას და საკითხს სხვადასხვა კუთხით განიხილავენ.

არეოპაგიტულ თხზულებებში განგების საკითხი რამდენიმე მიმართულებითაა დასმული.

ტერმინისათვის „განგება“ („προνοια, οικονομια“) დიონისე არეოპაგელის თხზულებებში. ტერმინოლოგიური თვალსაზრისით, საინტერესოა ქართული თარგმანის ბერძნულ დედანთან შედარება, როგორაა თარგმნილი წმ. ეფრემ მცირის მიერ ეს ტერმინი არეოპაგიტულ კორპუსში. არეოპაგიტიკაში განგების აღმნიშვნელი ტერმინი, ბერძნული προνοια, აღინიშნება შემდეგი ლექსიკური ერთეულებით: „წინა-განგებად“ და „წინა-გამგებლობად“, იშვიათად „წინა-მომგონებლობად“. დავიმოწმებ ორიოდ ნიმუშს: „სადმართოდ წინაგანგებულობად“ (προνοια); „ერთ არს ყოველთა დასაბამი და წინაგანგებად (προνοια)“; „საცნაურთა ღმრთისა წინაგანგებათა (προνοιας)“; „ხოლო ვინაფთვან, ვითარცა წყაროდ სახიერებისად, თვით მის ყოფისა, ყოველთა არსთადასა მიზეზ არს, ამისათვის სახიერების დასაბამი იგი განგებად ღმერთ-მთავრობისა მისისად ყოველთაგან მიზეზისაგანთა იგალობების (Παντα δε απλως και απεριοριστως εν εαυτη τα οντα προειληφε ταις παντελεσι της μιας αθτης και παναιτιου προνοιας αγαθοτησι και εκ των οντων απαντων εναρμωσιως συμβειται ...)“ (პეტრე იბერიელი (ფსევდო-დიონისე არეოპაგელი), 1960: 131; დიონისე არეოპაგელი, 2002: 238)<sup>1</sup>... განგება ღვთის წინასწარგანზრახულებისა და ღვთის ნების თავისუფლების ერთიანობაა.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ წმ. ეფრემ მცირის თარგმანებში ამ ტერმინის ქართულად თარგმნისას ორი საფეხური შეინიშნება: 1) ადრეულ თარგმანებში განგებულება და განგება დასტურდება, კერძოდ, მან წმ. იოანე დამასკელის „გარდამოცემის“ თარგმნისას ეს ცნებები და მათი ზმნური ფორმები გამოიყენა; 2) ბოლო თარგმანებში, კერძოდ არეოპაგიტული თეოლოგიური თხზულებების ქართულ თარგმანში, გვხვდება „წინაგანგებად“, „წინაგანგებულობად“, „წინაგანგებულებად“. ტერმინი προνοια – 1. განგება, განგებულება; 2. წინაგანგებად, წინაგანგებულებად – მთარგმნელობითი საქმიანობის ორ საფეხურს ასახავს;

<sup>1</sup> წმ. დიონისე არეოპაგელის დამოწმებული მონაკვეთის კომენტარებში წმ. მაქსიმე აღმსარებელი προνοιαს-ს ნაცვლად οικονομια –ს იყენებს (დიონისე არეოპაგელი, 2002: 238).

უფრო ზუსტი, დედნის ადეკვატურია მეორე საფეხურზე შემუშავებული ტერმინები, ბერძნულის მსგავსად ზმნისწინის დართვით ნაწარმოები სიტყვა, რითაც მისი სემანტიკური მნიშვნელობა უფრო ზუსტდება. ე. ჭელიძემ მიუთითა, რომ წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველის თექვსმეტსიტყვედის ეფრემისეულ თარგმანში ორჯერ დასტურდება „წინაგანგება“. ეს ფაქტი მოწმობს, ერთი მხრივ, საღვთისმეტყველო ტერმინოლოგიის განვითარების სხვადასხვა საფეხურის, ეტაპის არსებობას, მეორე მხრივ, თვით წმ. ეფრემ მცირის მთარგმნელობითი მეთოდის თანდათანობითი განვითარების ხანგრძლივ, რთულ აზროვნებითს პროცესს; საღვთისმეტყველო ტერმინოლოგიის განვითარების სხვადასხვა საფეხური, კერძოდ ბოლო, ადასტურებს წმ. ეფრემის ელინოფილობას. ე. ჭელიძე წერს: „ტერმინი „წინაგანგება“ დამკვიდრებული სახით ეფრემის მოღვაწეობის დამლევს გულისხმობს. ამას ცხადყოფს არეოპაგიტული შრომები, რომლებიც, როგორც ცნობილია, ეფრემმა ბოლო წლებში თარგმნა“ (ჭელიძე, 1996: 550).

**ქრისტიანობის უპირველესი ღოცვის განგება/ღვთის ნება.** განგების არსობრივი რაობა მოცემულია ქრისტიანული რელიგიის უპირველეს ღოცვაში „მამაო ჩვენო“: „იყავნ ნებაჲ შენი“ (მათე, 6, 10), სადაც „ღვთის ნების“ ბერძნული შესატყვისია „θέλημα“. სწორედ ეს „ნებაჲ“ არის ღვთის განგება, რომლის გარეშე ვერ წარმოიდგინება ადამიანის ქმედება. აპოსტოლური მოძღვრებაც ადამიანის გონების მიერ ღვთის განგების მიუწვდომლობას მიუთითებს, რასაც პავლე მოციქული რომაელთა მიმართ ეპისტოლეში რიტორიკულად დასმული კითხვით გამოთქვამს: „ჰო, სიღრმე სიმდიდრისა და სიბრძნისა და მეცნიერებისა ღმრთისა! ვითარ გამოუძიებელ არიან განკითხვანი მისნი და გამოუკუღვეველ არიან გზანი მისნი!“ (რომ. 11, 33). პავლე მოციქულის სიტყვის თანახმად: „ჰყოფდით ნებასა ღმრთისასა (το θέλημα του θεου) გულისთად“ (ეფეს. 6, 6); „ხოლო ძისათჳს იტყჳს: საყდარი შენი, ღმერთო, უკუნითი უკუნისამდე; კუერთხი განგებისაჲ (εὐθυτοις) და კუერთხი სუფევისა შენისაჲ“ (ებრ. 1, 8); „რომელი-იგი იგავი იყო ჟამისა მის მოწევნადისაჲ, რომელსა შინა მსხუერპლნი და შესაწირავ-

ნი შეიწირვოდეს, რომელნი ვერ შემძლებელ იყვნეს გულითად სრულყოფად შემწირველათა მათ, გარნა საჭმელთა ხოლო ზედა და სასუმელთა და პირად-პირადთა ბანათა და სამართალითა კორცთაფთა ვიდრე უამამდე განგებისა მის მოწვენადისა (...μαγει καιρου διορθωσεν εδικαιμενα)“ (ებრ. 9, 9-10); „რამეთუ მოთმინებაჲ გიჴმს თქუნ, რაფთა ნებაჲ ღმრთისაჲ (το θέλημα του θεου) ჰყოთ და მოიღოთ აღნათქუემი იგი“ (ებრ. 10, 36); „რამეთუ ღმერთმან ჩუენთჴს უმჯობესი წინაჲსწარ განიგულა (προβλεψαμένους), რაფთა არა თჴნიერ ჩუენსა სრულ იქმნენ“ (ებრ. 11, 40).

**ღვთის განგების რაობა, არსი და მიზანი.** ღმერთის შემოქმედებითი ძალის შედეგია ყოველივეს შექმნა სამყაროში, ყოველი არსის არსადქმნა, რაც ღვთის განგებითაა განსაზღვრული. ტრაქტატი „ზეციური იერარქიისათვის“ გვამცნობს, რომ სამყარო მოწესრიგებულია ღვთის ნებით, განგებით, შემთხვევითობაც განგებისეულია. შესაქმნის პროცესი ნებელობის, ღვთის ნების გამოხატულება. განგების წინაჲსწარ შეცნობა და წვდომა ადამიანის მიერ შეუძლებელია. ღვთის განგება მოიცავს ღვთისგან ქმნილ მთელ ხილულ სამყაროს და განეფინება თითოეულ ადამიანს, როგორც სამყაროს მკვიდრს. ყოველადსახიერი შემოქმედი თავის ღვთიურ მზრუნველობას მოუვლენს ადამიანს. განგება ღმერთის ნებელობაა, რომელიც მიზანშეწონილად მართავს ყოველივე არსებულს. იგი არის ღვთაებრივი მზრუნველობა. ყოველივე ღმერთის ნებითაა შექმნილი და იგი არის განმგებელი. მოკლედ: განმგე ღმერთია, ხოლო მისი ნებელობა – განგება. არეოპაგიტული თხზულებები, განსაკუთრებით კი ტრაქტატი „ზეციური იერარქიისათვის“, რომელშიც ყველაზე ვრცელადაა მსჯელობა ღვთის ნების კვალობაზე სამყაროს მოწყობის შესახებ, განგებად მიიჩნევს ღმერთის ტკბილ წყალობას, კეთილ ზრუნვას ადამიანზე, და საერთოდ, ყოველგვარ არსზე. ორთოდოქსული ქრისტიანული საღვთისმეტყველო ლიტერატურა განგებას ღვთის წინაჲსწარგანზრახულებად განმარტავს და სიბრძნესთან ერთად მისი წვდომა ადამიანთა გონებრივი შესაძლებლობების ზღვარს სცილდება.

ძველი და ახალი აღთქმის სწავლებით, სიმართლე და განგება, ჭეშმარიტება და განგება ერთ სიბრტყეზეა დაყენებული, რაც იმას მიუთითებს, რომ განგება ღვთაებრივი ჭეშმარიტებაა, ღვთაებრივი სიმართლეა, რომელიც დაფარულია ადამიანის გონებისათვის და მის აღსრულებამდე დაფარულადვე რჩება. განგება მხოლოდ მისი აღსრულების შემდეგ განცხადდება ადამიანისათვის. არეოპაგიტული მოძღვრებით, ღვთის განგების მიზანია ბოროტებისაგან სხვადასხვა სახით გახლეჩილის გამთლიანება მართალი რწმენისა და სულიერი სიყვარულის მეშვეობით, რასაც წმ. მაქსიმე აღმსარებელიც ეთანხმება და განმარტავს. ტრაქტატში „საღმრთოთა სახელთათვის“ განმარტებულია, რომ ღვთის ყოვლისმომცველი განგება არის მიზეზი ყოველივე არსებობისა და კეთილდღეობისა, ხოლო ამ არეოპაგიტული შეხედულების კომენტარებში წმ. მაქსიმე აღმსარებელი აღნიშნავდა, რომ ღმერთი არის როგორც შემოქმედი, ასევე მზრუნველი, განმგებელი დროისა, ბუნებისა და გონისმიერი არსებებისა.

**ყოვლადწმინდა სამების ყველა პირის მონაწილეობა განგების საქმეში.** როგორც შესაქმე, ასევე განგებაც, არეოპაგიტული მოძღვრების მიხედვით, თანაბრად მიეწერება ყოვლადწმინდა სამების სამივე პირს. სწორედ ამის საფუძველზე იწოდება მამა ღმერთი ყოვლისა მპყრობელად (ნიკეის სიმბოლო), ძე ღმრთისა - სიბრძნედ, სულიწმინდა - მეუფედ ცხოველსმყოფელად და სიცოცხლედ, რომელშიც არის მიზეზი სიცოცხლისა (სამივე სიმბოლოში); ცხადია, ეს მოძღვრება აღებულია წმინდა წერილიდან, რომელშიც სამყაროზე ზრუნვა ღვთაების სამივე პირს მიეკუთვნება. სამყაროზე ზრუნვა არის ღმერთის ქმედება სიბრძნის, ყოვლისმცოდნეობის, ყოველგანმყოფობის, ყოვლისშემძლეობისა და სიკეთის თვისებებიდან გამომდინარე, რომლებიც ერთნაირად მიეკუთვნება სამების ყველა პირს. არეოპაგიტული თხზულებები გვასწავლის, რომ ყოველი ქმნილება მონაწილეობს განგებაში, რომელიც გამომდინარეობს უხესთაესი და ყოვლისმიზეზი ღმერთისაგან.

**განგება – ადამიანის თავისუფალი ნების გამოხატულება.** დაისმის კითხვა, ღვთის განგება ადამიანის თავი-

სუფალ ნებას ხომ არ ზღუდავს და გამომდინარეობს თუ არა იგი ადამიანის თავისუფალი ნებიდან? არეოპაგიტული მოძღვრებით, განგება ადამიანის თავისუფლებას არ ზღუდავს, რადგან თუ ადამიანები ღვთის ნებას მიჰყვებიან და აღასრულებენ, – და სწორედ ესაა განგება, – ღმერთი მათ ესმარება და მათთან ერთად თანამოქმედებს. მთავარი კი ისაა, რომ განგება, ღვთის ნება ადამიანისათვის უცნობია და იგი უნდა გამოიცნოს. ღმერთს თავისი შექმნილი სუფლიერი არსებები უყვარს, იცავს მათ, შესაბამისად, ადამიანთა თავისუფლებას არ ზღუდავს, რადგან ღვთისნებითობა სიკეთითაა მოტივირებული. როცა ღმერთი დაუშვებს, რომ ადამიანი ღვთის ნების წინააღმდეგ წავიდეს, რათა რაიმე ბოროტება ჩაიდინოს, სწორედ მაშინ ზღუდავს მის თავისუფლებას, თუმცა თავისუფალ არჩევანს უტოვებს, საშუალებას აძლევს, ადამიანმა თვითონ იმოქმედოს, ღვთის დახმარების გარეშე და საკუთარი ნება-სურვილით იმოქმედოს. ღვთის განგება ადამიანთა ზნეობრივ პრინციპებს აყალიბებს და მათ ქმედებებს იმ მიზნისაკენ წარმართავს, რისთვისაც არის თითოეული მათგანი შექმნილი; მისი თავისუფალი ნება იმით გამოიხატება, რომ იგი თავისი არსებობის საბოლოო მიზნისაკენ მიისწრაფვის, რათა ღვთის კეთილი ნება გამოიცნოს. ამიტომ თამამად შეიძლება ითქვას, რომ ღვთის განგება ადამიანთა ზნეობრივ თავისუფლებას არ ავიწროებს, პირიქით, მთავარი მიზნისაკენ სწრაფვაში შეეწევა. ყოველივე ეს შესაქმნის პროცესში წარმოჩნდა, როდესაც ღმერთმა ადამიანს თავისუფალი არჩევანი და ნება მიანიჭა.

ყოველდღისა ხიერი შემოქმედი ღმერთი ადამიანზე ზრუნავს, რასაც მაცხოვრის მიერ იგავურად გამოთქმული სიტყვები მიუთითებენ: „მიჰხედენით მფრინველთა ცისათა, რამეთუ არა სთესვენ, არცა მკიან, არცა შეიკრებენ საუნჯეთა, და მამად თქუენი ზეცათად ზრდის მათ. არა-მე უფროდს თქუენ უმჯობეს ხართა მფრინველთა? და სამოსლისათვის რაღსა ჰზრუნავთ? განიცადენით შრომანნი ველისანი, ვითარ-იგი აღორძნდის! არა შურებიან, არცა სთავნ. ხოლო გეტყვ თქუენ, რამეთუ არცაღა სოლომონ ყოველსა მას დიდებასა მისსა შეიმოსა, ვითარცა ერთი ამათგანი.

უკუეთუ თივაი იგი ველისაი, რომელი დღეს არს და ხვა-  
ლე თორნესა შთაეგზნის, ღმერთმან ესრეთ შემოსის, არა-  
მედ უფროის თქუნა, მცირედ-მორწმუნენო?“ (მთ. 26, 28-30).  
ქრისტიანული მოძღვრების საფუძველზე განისაზღვრება  
ადამიანის მოვალეობები, რომელთა მორჩილებით ტვირთვა  
არის თითოეული ადამიანის ჯვარი, უფლებაც და მოვალე-  
ობაც, რათა რწმენითა და სიყვარულით დაემორჩილოს  
უზენაესი არსების, ღვთის განგებას. ამისთვის მიჰმადლა  
უფალმა თავის ხატად და სახედ ქმნილ ადამიანს ღვთაებ-  
რივი ძალა. „რომელმან-იგი ყოველივე თვისისა ღმრთეები-  
სა ძალი საცხოვრებლად და ღმრთისა სამსახურებლად  
მოგუანოა ჩუენ მეცნიერებითა მისითა, რომელმან იგი მი-  
ჩინნა ჩუენ თვისსა მას დიდებასა და სათნოებასა“ (პეტრე  
2, 1, 3); ამ ძალების დახმარებით უნდა შეძლოს ადამიანმა  
რწმენის ერთგულება და ბოროტების დათრგუნვა: „ყოველ-  
სა შინა აღიღეთ ფარი იგი სარწმუნოებისად, რომელითა  
შეუძლოთ ყოველთა მათ ისართა ბოროტისათა განხურვე-  
ბულთა დაშრეტად“ (ეფ. 6, 16).

**ადამიანის მიერ ღვთის განგების საიდუმლოების მი-  
უწვდომლობა.** ადამიანისათვის ღვთის განგების ჩაწვდომა  
შეუძლებელია. „ჩვენი ამჟამინდელი დაცემული ბუნება  
ისეთ მდგომარეობაშია, რომ თვით ყველაზე წმინდა ადამი-  
ანებიც კი მხოლოდ ნაწილობრივ ხვდებიან ღვთის განგე-  
ბულებას. მოციქული პავლე ამბობს: „რამეთუ ვხედავ აწ,  
ვითარცა სარკითა და სახითა“ (1 კორინ. 13,12). სრულყო-  
ფილი შემეცნება ღვთის განგებისა შესაძლებელი გახდება  
მხოლოდ მომავალ საუკუნო ცხოვრებაში“. ღვთის განგებუ-  
ლების საიდუმლოებაში ჩაწვდომის შეუძლებლობაზე სა-  
უბრობს წინასწარმეტყველი მეფე და მეფსალმუნე დავითი:  
„სიმართლენი შენნი ვითარცა მთანი ღმრთისანი და გან-  
კითხვანი შენნი უფსკრულ მრავალ“ (ფს. 35,6).

ღვთის განგებულების მიუწვდომელობის შესახებ გვა-  
უწყებს წმ. მამა დიონისე არეოპაგელი, უფალი განგებით  
თავის ქმედებებს საიდუმლოდ ავრცელებს“ (წმ. დიონისე  
არეოპაგელი, „ზეციური იერარქიისათვის“).

ადამიანმა უნდა განსაზღვროს თავისი მიმართება, და-  
მოკიდებულება ღმერთთან და სამყაროს ყველა ნაწილთან.



უნდა განსაზღვროს, თუ რა შეიძლება იცოდეს, რისი ჭერეტაა მისთვის შესაძლებელი და რა არის დაფარული ადამიანის შემეცნებისათვის. გაერკვეს თავისი აზროვნებისა და შემეცნების შესაძლებლობების ზღვარში, რადგან ადამიანის, როგორც არასრულყოფილი არსების, შესაძლებლობები დასაზღვრულია. ამიტომაცაა ღვთის განგება ადამიანის ცხოვრების დადებითად წარმართვის გარანტი. ადამიანი უნდა ამაღლდეს იმ შეგნებამდე, რომ სრულყოფილი შემეცნება მისთვის არ არის შესაძლებელი და არასრულყოფილ ადამიანურ გონებას არ ძალუძს. სრულყოფილი შემეცნება მხოლოდ სრულყოფილ აზროვნებას შეუძლია, ხოლო ეს ამქვეყნად მცხოვრები ადამიანის ხვედრი არაა. ღვთის განგება არის მიზანდასახული, რაც ადამიანის მიერ საკუთარ თავში სულიერი ძალის მოძიებას, სიკეთისათვის ბრძოლისა და ბოროტების დამარცხების იდეის ჩანერგვას, ზნეობრივი პრინციპებით ცხოვრებას გულისხმობს. ღვთის სიყვარული და სიღიადე წარმართავს ადამიანის მიერ განგების გამოცნობის მისტერიას, იღუმალებას, რაც ზოგჯერ ადამიანის აღქმის, მის მიერ სიტყვიერად აღწერის შესაძლებლობებს აღემატება, რადგან განგება ადამიანის ენით გამოუთქმელი რამ არის.

ღვთის განგების გამოვლენად აღიქვამს სამყაროს მრავალფეროვნებას, მისი შეხედულებით, სოფლისა და ზესთასოფლის თითოსახეობა და მრავალფერობა ღვთის განგებულებაა. ღვთის განგებას ვერ სწვდებიან საღვთო სიბრძნეს მოკლებული ადამიანები, ღვთის სიბრძნის სიდრმე მიუწვდომელია მათთვის, ვინც ღვთის მადლსაა მოკლებული, რომელთა გონება ცვალებადია. ღვთისაგან მინიჭებული მადლი ყველა ადამიანს არა აქვს, იგი ეძლევა მხოლოდ საღვთო გზაზე, ჭეშმარიტ გზაზე მდგარს, რასაც ღვთის განგება უდევს საფუძვლად. განგებას სწვდება ის, ვინც ჭეშმარიტ სიბრძნეს, ღვთაებრივ სიბრძნეს ფლობს. ის, ვინც საღვთო სიბრძნეში გაუწვრთნელია, განუსწავლელია, ვინც ჭეშმარიტ სიბრძნეს ვერ ჩასწვდება, განგებასაც ვერ სწვდება.

**როგორ უნდა მოიქცეს ადამიანი, რომელსაც აქვს სასოება ღვთის განგება/განგებულებისა? როგორ უნდა მო-**

იქცეს ადამიანი, რომელსაც აქვს სასოება ღვთის განგებულებისა? ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ღვთის განგება მთელ ხილულ სამყაროს მოიცავს და თითოეულ ადამიანს, როგორც სამყაროს მკვიდრს, განგებება. სამყარო განგებებით//ღვთის ნებითაა მოწესრიგებული, შემთხვევითობაც სამყაროში განგებისეულია. განგების წინასწარ შეცნობა და წვდომა ადამიანის მიერ შეუძლებელია.

**ღვთის განგება და ადამიანის თავისუფლება.** ღვთის განგება ადამიანის თავისუფლებიდან არ გამომდინარეობს. ღვთის განგება ქმნილებების შესახებ იმით ვლინდება, რომ ის იცავს თავის ქმნილთ, თანამოქმედებს მათთან ერთად და მართავს მათ. როცა ღმერთი სულიერ არსებებს იცავს, მათ თავისუფლებას არ ზღუდავს, ვინაიდან ადამიანი, რომელიც მოქმედებს, თავადვეა ამრჩევიცა და აღმსრულებელიც ამა თუ იმ საქციელისა, ღმერთი კი მხოლოდ მასთან ერთად მოქმედებს ან ეხმარება მას. როცა ღმერთი დაუშვებს, რომ ადამიანმა რაიმე ბოროტება ჩაიდინოს, უფრო ნაკლებად ზღუდავს მის თავისუფლებას, საშუალებას აძლევს თვითონ იმოქმედოს, ღმერთის დახმარების გარეშე, საკუთარი ნება-სურვილით იმოქმედოს. და ბოლოს, ღვთის განგება ადამიანს იმ მიზნისკენ მიმართავს, რისთვისაც არის იგი შექმნილი, აგრეთვე, ღმერთი განგებით მართავს ზნეობრივ არსებებს, მისი თავისუფლების გამოყენება მდგომარეობს იმაში, რომ ადამიანი ისწრაფოდა თავისი არსებობის საბოლოო მიზნისაკენ. ამიტომ ღვთის განგება კი არ ზღუდავს მის ზნეობრივ თავისუფლებას, არამედ შეეწევა მთავარი მიზნისაკენ სწრაფვაში.

**განგება – სიკეთე თუ ბოროტება?** ღმერთი ადამიანს ბოროტებას და განსაცდელს იმგვარად და იმ ზომით მოუვლენს, რომლის დაძლევა მის შინაგან ძალებს არ აღემატებოდეს. ამასაც იმიტომ უშვებს, რომ განსაცდელის მოვლინებით ადამიანი გამოაფხიზლოს. „სარწმუნო არს ღმერთი, რომელმან არა გიტევნეს თქვენ განცდად უფროდს ძალისა თქუენისა, არამედ ყოს განსაცდელისა თანა გამოყვანებადცა, რადთა შეუძლოთ დათმენად“ (1 კორ. 10, 13). ეს განგებითაა განსაზღვრული და ადამიანმა განსაცდელი

ღვთის ნებითვე უნდა გადაიტანოს. ყოვლისშემძლე ღმერთი ადამიანს თვითონვე იხსნის ნებისმიერი განსაცდელისაგან.

ისევ აპოსტოლურ მოძღვრებას დავიმოწმებთ: „რამეთუ რომელნი-იგი წინასწარ იცნნა, წინაღსწარცა განაჩინნა თანამსგავსად ხატისა მის ძისა თვისისა, რადთა იყოს იგი პირმშო მრავალთა შორის ძმათა; ხოლო რომელნი-იგი წინაღსწარ განაჩინნა, მათცა უწოდა; და რომელთა-იგი უწოდა, იგინიცა განამართლა; და რომელნი-იგი განამართლნა, იგინიცა აღიდნა“ (რომ. 8, 29-30); „კურთხეულ არს ღმერთი და მამად უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესი, რომელმან მაკურთხნა ჩუენ ყოვლითა კურთხევითა სულიერითა ცათა შინა ქრისტეს მიერ. ვითარცა-იგი გამოგვრჩინა ჩუენ მის მიერ უწინარეს სოფლის დაბადებისა, რადთა ვიყვნეთ ჩუენ წმიდა და უბიწო წინაშე მისსა სიყუარულით. წინაღსწარ გვჩინნა ჩუენ შეიღებად იესუ ქრისტეს მიერ მისა მიმართ სათნოებისაებრ ნებისა მისისა. საქებელად დიდებისა მადლისა მისისა, რომლითა მოგუმადლა ჩუენ საყუარელისა მის მიერ“ (ეფ. 1, 3-6); „მისა მიმართ, რომელსა შინაცა განვეწესენით და წინაღსწარ ვიჩინენით ნებითა ღმრთისადათა, რომელმან-იგი ყოველივე შექმნა ზრახვისაებრ ნებისა მისისა, რადთა ვიყვნეთ ჩუენ საქებელად დიდებისა მისისა, რომელნი-ესე წინაღსწარ მოსავე ვიყვენით ქრისტესა“ (ეფ. 1, 11-12).

ბოროტება ღვთის ნებით არ ხდება, რადგან იგი უფლის შექმნილი არაა. ეს ერთადერთია, რაც ღვთის ნებით არ ხდება, მაგრამ იგი ღვთისაგანაა დაშვებული ადამიანის შეუსაბამო ქცევების გამო. საბოლოოდ კი ამქვეყნიურ სამყაროში არსებული ბოროტება ღვთის წყალობითა და მზრუნველობით სიკეთისაკენ მიემართება. რადგან უფალი თვითონ არ ქმნის ბოროტებას, მხოლოდ განგებით მიმართავს მას სიკეთის დასამკვიდრებლად. ღვთის განგების საფუძვლად სიკეთის აღიარება და მისი სამართლიანობა, ბიბლიურ სწავლებათა კვალობაზე, პრონოეტულ თეორიაში ერთ-ერთი უმთავრესი დებულებაა. ყოვლის შემოქმედი და დამბადებელი ღმერთი, ყოველთა არსთა მპყრობელი და დამამტკიცებელი, რომელმაც ყოველი არსი არაარსისაგან მოიყვანა და შეაზავა იგი, განგებულებით წარმართავს

ყოველივეს და იგი ღვთაებრივი სამართლის გამოხატულებაა.

**განგება და ბედი.** მნიშვნელოვანია განგებისა და ბედის ურთიერთმიმართება, მათი არსობრივი სხვაობა, აგრეთვე, მსგავსებაც, თუ იგი შეინიშნება. განგება – ღმერთისმძიერია, მისი ნებაა, მისი კეთილი ნებაა, ბედი – წუთისოფლისმძიერია; ქრისტიანული საღვთისმეტყველო ლიტერატურა ბედს, ბედისწერას არ ცნობს, არ აღიარებს, ქრისტიანული მოძღვრებით, ბედი/ბედისწერა არ არსებობს და ყოველი ადამიანი სულიერი ხსნის მოსაპოვებლად, სულიერების გადასარჩენად არის მოწოდებული. ღვთის წინასწარგანსაზღვრულობა იმას ემყარება, რას ირჩევს ადამიანი – სიკეთეს თუ ბოროტებას.

არეოპაგიტულ თხზულებებში არაა ნახსენები ბედი, რომელსაც ანტიკურ ფილოსოფიასა და ლიტერატურაში უდიდესი ადგილი უჭირავს, ფაქტობრივად, იგი წარმართავს ადამიანთა მომავალს, ადამიანის ცხოვრება მასზეა დამოკიდებული, იგი არაა ადამიანის არჩევანი, თავისუფალი არჩევანი. ღვთისმეტყველ წმინდა მამას არეოპაგიტულ კორპუსში ბედი/ბედისწერა არ განუხილავს, რადგან ღვთისაგან მომდინარედ არ მიაჩნდა. ქრისტიანული საღვთისმეტყველო მოძღვრების კვალობაზე, ბედი წუთისოფლისად აღიქმება, ბედის რწმენა და მისადმი მინდობა არაქრისტიანულია. მას ძირითადად ვარსკვლავთმრიცხველობას, ასტროლოგიას უკავშირებენ, რაც ქრისტიანულ რელიგიაში კატეგორიულადაა უარყოფილი.

წმ. მამათა მოძღვრებებში განგებაა ღვთისაგან მომდინარე და უპირატესობა მას ენიჭება. ანტიკურ კულტურასა და ფოლკორულ ბედისმეტყველებაში რაც ბედისაგან ხდება, დიდი ხნით ადრეა განგებისაგან მოწესრიგებული. განგება გონებრივ და გრძნობად არსში ბატონობს, ბედი კი მხოლოდ გრძნობადში. განგება ადამიანის ნება-სურვილს არ ეწინააღმდეგება, წინააღმდეგობის შემთხვევაში ადამიანის თავისუფლება, გონებრივ და გრძნობად საწყისში, მოისპობოდა, რაც თვით განგების არსის უარყოფამდე მიგვიყვანდა. ანტიკური ფილოსოფიური მოძღვრებისა და წინაქრისტიან მწერალთა თვალსაზრისით, ბედი ისეთი აუცილებლობაა, რომელიც

ადამიანის ნება-სურვილს ეწინააღმდეგება, მისი მცდელობის გარეშეც აღესრულება და ადამიანის ცხოვრებას ტრაგიკულად წარმართავს. ტერმინი „ბედი“ საღვთისმეტყველო თხზულებებში იშვიათად გვხვდება, ძველი აღთქმის წიგნიდან შეიძლება დავიმოწმოთ ესაია წინასწარმეტყველის სიტყვები: „განუმზადებდით ბედსა ტაბლასა და აღუვსით ეშმაკსა საწდე“ (ეს. 65, 11); გვხვდება თომა მოციქულის აპოკრიფულ თხზულებაშიც: „ბედმან შენმან დაიცვა საპყრობილე“ (თომა მოც. 16, 21) (აბულაძე, 1973: 30). სულხან-საბა ორბელიანის „ლექსიკონში“ ეს სიტყვა-ტერმინი ესაიას წიგნიდანაა დამოწმებული და მის კვალობაზე განმარტებული: „ნუვინ ჰგონებდით ბედისათვის, ვითარმედ არსებითი რამე იყოს. რომელსა უმეცარნი იტყვიან და მას მიაჩემებენ ნიჭსა ღმრთისასა. ბედი სახელი არს მეფეთა სიმაღლისა და გლახაკთა სიმკოდავისა (სიმდაბლისა) და ეგევითარნი. კვლად კაცი ვინმე ბოროტის ღირსი ღმერთმან შეიწყალოს და შეუცვალოს ბოროტი კეთილად, ესევითართა სახელად ბედი ეწოდების“ (სულხან-საბა ორბელიანი, 1966: 98).

წმ. მამათა მოძღვრებებში წუთისოფლურ ბედს/ხვედრს განგება აწესრიგებს. განგება გონებრივ და გრძნობად არსში ბატონობს, ბედი კი მხოლოდ გრძნობადში. განგება ადამიანის ნება-სურვილს არ ეწინააღმდეგება, წინააღმდეგობის შემთხვევაში ადამიანის თავისუფლება, გონებრივ და გრძნობად საწყისში, ისპობა, რაც თვით განგების არსს უარყოფს. ფილოსოფიური თვალსაზრისით, ბედი არის ისეთი აუცილებლობა, რომელიც ხშირად ადამიანის ნება-სურვილს ეწინააღმდეგება. განგება მისგან მკვეთრად განსხვავდება.

განგების შესახებ სხვა ღვთისმეტყველ მამათა მსჯელობა, მათ მიერ გამოთქმული თვალსაზრისი ერთმანეთისაგან არ განსხვავდება.

**ამრიგად,** ქრისტიანულ საღვთისმეტყველო ლიტერატურაში განგება არის ღვთაებრივი წინასწარგანზრახულება, ადამიანისათვის სასოების მიმნიჭებელი, ადამიანის სულიერ მომავალზე ორიენტირებული, სულის მხსნელი, იგი ღმერთის კეთილი ნებაა, რომელიც ადამიანისათვის დაფარულია და რომლის გამოცნობას, აღსრულებას ცდილობს

იგი. ადამიანის მიერ მისი შეცვლა შეუძლებელია, მისი აცილებაც შეუძლებელია. არეოპაგიტული მოძღვრებით, განგება ადამიანის სულზე კეთილი ზრუნვაა, სიკეთის წინასწარგანზრახულებაა. განგების და ადამიანის სურვილის თანხვედრა ღვთის სიკეთითაა განპირობებული, განგების აღსრულებამდე მისი არსი და კონკრეტული გამოვლინება ადამიანმა არ იცის. დიონისე არეოპაგელმა ნათლად გადმოსცა თავისი შეხედულება ისეთი ურთულესი, ადამიანის გონებისათვის ძნელად მისაწვდომი კონცეფციის შესახებ, როგორცაა განგება//განგებულება, რომელიც ტერმინოლოგიურადაც იქცევის ყურადღებას როგორც დედანში, ისე ქართულ თარგმანში, რომელიც ევრემ მცირის მიერაა შესრულებული.

**NESTAN SULAVA**

### **THE PRONOETIKAL (PROVIDENCE) CONCEPT IN THE DOCTRINE OF AREOPAGITICS**

To discuss the concept of Gangeba (God will, providence) according to the theological works of Dionysius the Areopagite is the main issue to study the problem of common understanding of the meaning of Gangeba (God Will). The concept of providence (Gangeba) is known in Antic philosophy and in Christianity. In antiquity providence (Gangeba) is the God's kind will and care and decision for the future of human. With the concept of term and notion in Old Testament, in Psalms, in New Testaments it emphasizes God will or providence like (Greek: *προνοια*, *οικονομια*, Latin: *providentia*). The most important the concept of providence in New Testament, especially Apostles of Pavel. It has the concept of providence and mainly means God's care for human and human's spiritual life, God's kind foresight, God's will. In theology the term Providence/Gangeba is used in a different content than in Antiquity, it has different function.

In Christianity as theological term it gained completely different meaning. It means foresight, means care of future of the human, it is the providence of human's future life. In theology God's will is kind dealing of human's life. Saint fathers explain this term on the base of the books the Bible contains.

In our work there is given the explanation of the notion of God Will (Gangeba) on the base of the Dionysius the Areopagite works. We discuss the treatises "for the name of the God", "secret of orthodoxy", in those chapters are given the understanding of God Will (Gangeba). According of their explanation God Will (Gangeba) is the foresight of the God, to give the hope to the human, oriented to the spiritual life of human, it is the safety of the soul, mainly the kind will of the God, which is secret and human trying to understand it, to get close to the meaning. It is not possible to change God Will (Gangeba), to is not possible to avoid it. The concept is that when the human's will and God's will be in compliance to each other, it comes from the God. Gods will and its manifest is unknown for human before manifestation. Dionysius the Areopagite with his rare simplicity clearly and definitely and rhetoric style gave his thoughts for the difficult term like God Will (Gangeba).


In the works of Areopagitics there is no term like fate which is in literature and antiquity took great importance. Orthodox fathers did not give explanation of the term fate because it seems they did not consider it like the term of issue come from the God. According the orthodox writing it is for the earth, to believe in fate against of the Christianity. Fate is connected to the astral being, and it is denied in Christianity.

In the fiction, in scientific works in Georgia Gangeba (προνοια, οικονομια, providentia) is not explained correctly, and it is considered as the name of the God. For this reason, we use the term used by Eprem Mtsire in translations of Dionysius the Areopagite's and Saint Gregorius Theologian-Nazianzus's homilies came from the concept of providence, those term shows the development of the stages of using this term and this way of development is the stage of development of translation works at the same time. It has the function and recommendation of using the term correctly for modern writers.

**დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:**

- აბულაძე, 1973: ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973.
- პეტრე იბერიელი (ფსევდო-დიონისე არეოპაგელი), 1960:** პეტრე იბერიელი (ფსევდო-დიონისე არეოპაგელი), შრომები, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო სამსონ ენუქაშვილმა, თბ., 1960.
- პეტრიწი, 1940:** იოანე პეტრიწი, შრომები, I, გამოსაცემად მოამზადეს მ. გოგიბერძემ და ს. ყაუხჩიშვილმა, თბ., 1940.
- სულხან-საბა ორბელიანი, 1966:** სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, I, თბ., 1966.
- ჭელიძე, 1996:** ე. ჭელიძე, ძველი ქართული საღვთისმეტყველო ტერმინოლოგია, I, თბ., 1996.
- ახალი აღთქმა: The Greek New Testament, Former Editions** edited by Kurt Aland, Matthew black, Carlo M. Martini, Bruce M. Metzger, Allen Wikgren, Fourth Revised Edition, Stuttgart.
- დიონისე არეოპაგელი, 2002:** Дионисий Ареопагит, Сочинения. Максим Исповедник, Толкования, научное изд., Серия Византийская Библиотека. Греческий текст. Пер. на русск. Г. М. Прохорова, Санкт-Петербург, изд. „Алетейя“, 2002.





ლელა მენაბდიშვილი

**ქართული ოჯახის გადასვლა ტრადიციული  
მოღეღიდან ლიბერალურ დემოკრატიულ მოღეღზე**

ოჯახი, როგორც სოციალური ინსტიტუტი, აქტიურ ელემენტს წარმოადგენს სოციალური დიფერენციაციისა და ინტეგრაციის პროცესში მონაწილე მრავალგვარი სოციალური ძალების არენაზე. იგი, როგორც საზოგადოების სასიცოცხლო უჯრედი, ასახავს საზოგადოებრივი ცხოვრების ხასიათს. ოჯახის მდგომარეობა, მისი კეთილდღეობა, სტაბილურობა მძლავრი სოციალური ინდიკატორია, რომელზეც მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ერის, საზოგადოების და სახელმწიფოს სიცოცხლისუნარიანობა.

ოჯახი სახელმწიფოს მნიშვნელოვანი საყრდენია, რადგან ის უზრუნველყოფს ადამიანთა ყველაზე ფუნდამენტალურ ინდივიდუალურ და კოლექტიურ საჭიროებებს: სიყვარულისა და ემოციური უსაფრთხოების, სქესობრივი ურთიერთობის რეგულირების, თაობათა ფიზიკური და კულტურული უწყვეტობის, სოციალური სტატუსის მოპოვების, სოციალური კონტროლის და სხვ.

ქართულ სინამდვილეში ოჯახი საუკუნეების განმავლობაში ითვლებოდა ქალსა და მამაკაცს შორის გაბატონებული ურთიერთობის ფორმად. ოჯახი და ოჯახურად ცხოვრება ჩვენი საზოგადოების მნიშვნელოვან ღირებულებას წარმოადგენდა. პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური გარდაქმნების თავისებურებებმა, საზოგადოებრივი ურთიერთობის ღრმა ტრანსფორმაციის პროცესმა, რომელსაც ადგილი ჰქონდა საქართველოში XX საუკუნის ბოლოსა და XXI საუკუნის დასაწყისში ღრმა კვალი დატოვა ოჯახზე. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს მნიშვნელოვანი ცვლილება ღირებულებათა სისტემაში. თუ ათწლეულების მანძილზე ოჯახს უმთავრესი ადგილი ეკავა ქართველ-

თა ღირებულებათა სისტემაში, ახლა ასე აღარ არის. მან ადგილი დაუთმო ისეთ ინდივიდუალურ ღირებულებებს, როგორიცაა: კარიერული წინსვლა, მატერიალური კეთილდღეობა. დაიწყო ოჯახის სტრუქტურის, ფორმის და ფუნქციების სახეცვლილება. ოჯახი ეგუება შეცვლილ გლობალურ საზოგადოებას. ეს ცვლილებები კი იწვევენ ადრე უცნობ და მიუღებელ მოვლენებს. ისეთს როგორიცაა: არარეგისტრირებული ქორწინების ზრდა, ქორწინების გარეშე შობადობის ზრდა. ამას ემატება ქვეყანაში არსებული მძიმე ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობა, უმუშევრობის მაღალი დონე, რაც თავის მხრივ ისეთ უარყოფით შედეგებს იწვევს, როგორიცაა: განქორწინების ზრდა, ან ერთ-ერთი მეუღლის გაურკვეველი ვადით მიგრაციაში ყოფნა, შობადობის შემცირება, სოციალური კონტროლის მოშლა, დანაშაულის ზრდა, ბავშვებსა და მოზარდებში ნარკოტიკებისა და ალკოჰოლური საშუალებებისადმი მიძალაბა, ოჯახური ძალადობის რიცხვის ზრდა. ყოველივე ეს ქმნის ოჯახის სოციალური დეგრადაციის საშიშროებას. ოჯახი უკვე აღარ რჩება საზოგადოების მარეგულირებელ ფორმად. ასეთ პირობებში მნიშვნელოვანია ისეთი საოჯახო პოლიტიკის შემუშავება, რომელიც მოწოდებული იქნება ოჯახის სიმყარეზე, ოჯახის უპირატესობის ამაღლებაზე, ცოლ-ქმრის თანასწორობაზე, ოჯახში შვილების მნიშვნელობაზე და მათ აღზრდაზე ტრადიციული ღირებულებებისადმი ერთგულებით, რათა შევძლოთ ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნება.

ოჯახი მცირე სოციალური უჯრედია, რომელიც იზოლირებულად კი არ არსებობს, არამედ არის საზოგადოების მთელი სისტემის ერთ-ერთი ქვესისტემა. ის მთელი საზოგადოების ცხოვრების ყველა სფეროს უკავშირდება. ეს კავშირი მრავალმხრივი და სხვადასხვა მნიშვნელობისაა.

ოჯახი თავის ცხოვრებაში ასახავს საზოგადოების განვითარებაში მიმდინარე ყველა მნიშვნელოვან ცვლილებას და პროცესს. არსებობს ტოფფლერის თეორია, რომლის მიხედვითაც ყველანაირ სიახლეზე ყველაზე სწრაფად, პირველ რიგში, რეაგირებს ბაზარი, ხოლო მეორე ადგილზეა ოჯახი მოქნილობით და რეაქციის სიჩქარით

[Гендерные исследования 36]. დიას, იცვლება ოჯახი. თანამედროვე ოჯახი ნუკლეარული ხდება. სახეს იცვლის ცოლქმრული ურთიერთობები, როლები, ფუნქციები, ქცევები, მაგრამ ეს სრულიად არ ნიშნავს, რომ ვკარგავთ ოჯახს, როგორც სოციალურ ინსტიტუტს. უმთავრესია თვალყური ვადევნოთ მიმდინარე ცვლილებებს და მოვახდინოთ სოციალური გამოწვევების ადაპტირება ჩვენ ცხოვრების წესთან.

დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტი დაარსებიდან დღემდე მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს ოჯახში მიმდინარე ცვლილებების შესწავლას. ამ საკითხთან დაკავშირებით, ჩვენი უშუალო მონაწილეობით, არაერთი სოციოლოგიური გამოკვლევა იქნა ჩატარებული (2002, 2004, 2013, 2014, 2015, 2017 წლებში) სხვადასხვა სოციალურ ჯგუფში. წარმოდგენილი ნაშრომი ამ და სხვა კვლევებზე დაყრდნობით ასახავს თანამედროვე ოჯახის გადასვლის ფაქტებს ლიბერალურ დემკრატიულ მოდელზე.

საქართველოში სოციალურ ღირებულებათა სისტემაში უმთავრეს ღირებულებად სახელდება ოჯახი. ამას ხელს უწყობდა მართლმადიდებლური სარწმუნოება, რომლისთვისაც ქორწინება შვიდი საიდუმლოებიდან ერთ-ერთია. ოჯახის მნიშვნელობაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ ადამიანის შეფასება, სწორედ, ოჯახის მიხედვით ხდებოდა. პიროვნებას, რომელსაც კარგი ოჯახი ჰქონდა, დადებითად აფასებდნენ. განქორწინება, ოჯახის დანგრევა ცუდ ტონად ითვლებოდა. მეოცე საუკუნის ბოლოდან საზოგადოებაში მომხდარი მნიშვნელოვანი ცვლილებების კვალად იწყება ღირებულებების გადაფასება. თანდათან წინ წამოიწია პიროვნების მიღწევებმა, ინდივიდუალურობამ. ადამიანების შეფასება უკვე არა ოჯახით, არამედ საკუთარი მიღწევებით ხდება. სტუდენტებში ჩატარებულმა სოციოლოგიურმა გამოკვლევამ ამ პროცესის მიმდინარეობა ნათლად აჩვენა. მათი მხოლოდ 2/5-ზე ნაკლები იზიარებს მოსაზრებას, რომ: “ადამიანი უფრო ოჯახით ფასობს, ვიდრე კარიერული წინსვლით”, ამასთან, ეს მოსაზრება მამაკაცებისთვის (40,0%) უფრო მეტად მისაღებია, ვიდრე ქალებისთვის (38,0%). სოციალურ ღირებულებათა


ცვლილებების საფუძველზე დაიწყო ოჯახის ტრანსფორმაცია, რომელიც შეუქცევადი და ხანგრძლივი პროცესია.

ოჯახის ტრანსფორმაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი უკავშირდება ოჯახის მართვას. საქართველოში, როგორც მართლმადიდებლურ ქვეყანაში, ტრადიციულად “ოჯახის უფროსად” მოიაზრება მამაკაცი (ქმარი, მამამთილი). ოჯახში ქმარს ჰქონდა მეტი ძალაუფლება და ავტორიტეტი. ის იყო ოჯახის მარჩენალი, მას ეკისრებოდა არა მხოლოდ ოჯახის მატერიალური უზრუნველყოფის პასუხისმგებლობა, არამედ პასუხისმგებლობა ოჯახის თითოეულ წევრზე. სახარება გვასწავლის: “ცოლნი, დაემორჩილენით თვისთა ქმართა, ვითარცა უფალსა, რამეთუ თავი არს ქმარი ცოლისა” (ეფეს.5.22-23), “ქმართა გიყვარდეთ ცოლნი თვისნი, ვითარცა ქრისტემან შეიყვარა ეკლესია და თავი მისცა მისთვის” (ეფეს.5.25). მისი უწმინდესობა საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი ერთ-ერთი ქადაგების დროს აღნიშნავდა: ის რომ მამაკაცი თავია ოჯახის, არ ნიშნავს მის ბატონობას, არამედ მის მსხვერპლშეწირულ მსახურებას, მის პასუხისმგებლობას ცოლისა და შვილებისადმი. იგია მათი დამცველი, მომპოვებელი არსობისა პურისა და, ამასთან, ღვთისმსახური თავისი სახლისა. ქალი პასუხისმგებელია სახლზე, მისი წევრებისათვის ზრუნვაზე, შვილების აღზრდაზე. იგი ღვთის მცნების გათვალისწინებით უნდა დაემორჩილოს ქმარს, თუნდაც, რომ ერთი შეხედვით ამის განხორციელება შეუძლებელი იყოს, რადგან ამით ადასრულებს უფლის ნებას, თუმცა ეს არ ნიშნავს ცოდვასა და არასწორ ქმედებაში მორჩილებას. [ილია II. 2014. საშობაო ეპისტოლე]

გასული საუკუნის მიწურულიდან ოჯახის საკითხების, როგორც უცხოელი, ისე ქართველი, მეკვლევარები აღნიშნავენ იმ ცვლილებებს, რომლებსაც ადგილი აქვს ოჯახში. საქმე ეხება ოჯახში ძალთა გადანაწილებას, დომინირებას, ლიდერობას, პასუხისმგებლობას, ვალდებულებათა განაწილებას, როლებრივ ურთიერთობებს. სულ უფრო და უფრო ძლიერდება ქალის როლი წარმოების სფეროსა და საოჯახო შრომაში. მის პარალელურად კი მამაკაცის მარჩენლის როლის შესუსტება ხდება, რასაც მოჰ-

ყვა მამაკაცის ავტორიტეტისა და ოჯახში ლიდერობის შესუსტება. ასეთმა სიტუაციამ ქალს ოჯახში მეტი ძალაუფლება მიანიჭა. მოხდა ძალაუფლების ბალანსი. ტერმინმა “ოჯახის უფროსი” პირვანდელი მნიშვნელობა დაკარგა, გარკვეული მეტამორფოზა განიცადა. ის იქცა წარსულის ტრადიციად, თუმცა ის კვლავ აუცილებელი რგოლია საოჯახო ურთიერთობათა სტრუქტურაში. თანამედროვე გაგებით ტერმინი “ოჯახის უფროსი” შინაარსობრივად გულისხმობს ოჯახის შემადგენლობაში მეოფ იმ საკონტაქტო პირს, რომელიც ოჯახის ყველა წევრის შესახებ მეტად არის ინფორმირებული. დღეს “ოჯახის უფროსი” ფუნქციური როლია, რომელიც შეიძლება შეასრულოს არა მხოლოდ მამაკაცმა, არამედ ქალმაც. არაერთი სოციოლოგიური გამოკვლევა ადასტურებს, რომ “ოჯახის უფროსისადმი” მოთხოვნილება სულ უფრო და უფრო იკლებს. სოციოლოგიური გამოკვლევების მიხედვით, რომლებიც სხვადასხვა სოციალურ ჯგუფში ჩატარდა ბოლო ათი წლის განმავლობაში, განახევრდა მათი რიცხვი, ვისი აზრითაც აუცილებელია ოჯახში იყოს „უფროსი“, „ლიდერი“, “ოჯახის თავი”. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ თვით მართლმადიდებელ მორწმუნეებშიც კი, სადაც აღმსარებლობის მიხედვით მამაკაცს ოჯახში განსაკუთრებული როლი და ავტორიტეტი აკისრია, სულ უფრო და უფრო იკლებს მოთხოვნილება “ოჯახის უფროსისადმი”. ამასთან, მამაკაცები უფრო მეტად იჩენენ ერთგულებას “ოჯახის ინსტიტუტისადმი” ვიდრე ქალები. “ოჯახის უფროსის” მომხრე მამაკაცების რიცხვი 1,8-ჯერ შემცირდა, მაშინ როცა ქალებში შემცირება 2,5-ჯერ მოხდა.

დიაგრამა 1. აუცილებელია ოჯახში იყოს “ოჯახის უფროსი” (%)



“ოჯახის უფროსი” უკვე აღარ ასოცირდება “ოჯახის მარჩენალთან”. რესპონდენტთა აზრით “ოჯახის უფროსისათვის” აუცილებელია ისეთი თვისებების ქონა, როგორცაა: მაღალი ავტორიტეტი, გადაწყვეტილებების მიღების უნარი, კრიზისული სიტუაციიდან თავის დაღწევის უნარი. ეს უნარები კი შეიძლება ცოლს უფრო მეტად აღმოაჩინდეს, ვიდრე ქმარს. თანამედროვე ოჯახში “ოჯახის უფროსის” როლი შეიძლება შეასრულოს როგორც ქმარმა, ისე ცოლმა, ან ორივემ ერთად. თანამედროვე ოჯახში მარჩენალი მხოლოდ მამაკაცი აღარაა. რიგ შემთხვევაში ცოლს უფრო მეტი შემოსავალი აქვს, ვიდრე ქმარს. თუ ადრე ეს ფაქტი მამაკაცისათვის დამამცირებელი იყო, ახლა ასე აღარ არის. გამოკითხული რესპონდენტების 3/4-ის აზრით, ქმრისთვის არ არის შეურაცხმყოფელი, როცა ცოლს მასზე მეტი შემოსავალი აქვს.

1989 წ. გამოქვეყნდა დიდი ემპირიული გამოკვლევების მონაცემები, რომლის ავტორებიც ამერიკელი სოციოლოგები რ. ბლამბერგი და მ. კოლემანი ამტკიცებდნენ, რომ ეკონომიკური რესურსები ცოლ-ქმრული ძალაუფლების საფუძველია, ხოლო ეკონომიკური ძალაუფლება არის ყველაზე მნიშვნელოვანი, მაგრამ არა ერთადერთი ფაქტორი,

რომელიც მეუღლეთა ადგილს განსაზღვრავს ოჯახში. მათი აზრით, ოჯახში ძალაუფლება წარმოადგენს ძალთა ბალანსს ხოლო თავად ეკონომიკურ ძალაუფლებას განსაზღვრავს სამი ფაქტორი: ქმრის აბსოლიტური შემოსავლები; ქმრის და ცოლის შემოსავლების თანაფარდობა; შემოსავალთა დამოუკიდებელი აღრიცხვა.

ეს არის დომინირებული ფაქტორები, მაგრამ მათი მოქმედება გაშუალებულია მაკრო და მიკრო სოციალურ დონეთა მთელი რიგი ვითარებებით. მაკრო დონეზე უნდა აღინიშნოს მამაკაცთა უპირატესობა სოციალური სტრუქტურის ზედა საფეხურებზე, სიცოცხლის უნარიანობა იდეოლოგიისა: „ქალის ადგილი სახლშია“, რომელსაც იზიარებს არა მხოლოდ ბევრი მამაკაცი, არამედ ქალიც. მიკრო დონეზე – ეს ქალის შემოსავლების აუცილებლობის აღიარებაა. პარტნიორს რომელიც ნაკლებად „ვალდებულია“, მეტი ძალაუფლება აქვს, ვიდრე უფრო „ვალდებულ“ მეუღლეს. ამრიგად, თუნდაც ქალს უფრო მაღალი შემოსავალი ჰქონდეს, მაგრამ ის უფრო ვალდებული პარტნიორი იყოს, ქორწინებაში მისი რეალური ეკონომიკური ძალაუფლება შემცირებული იქნება. მამაკაცმა, რომელიც თვლის რომ ვერ გააკეთებს უკეთეს არჩევანს, საოჯახო ურთიერთობების შესანარჩუნებლად შეიძლება დათმოს ეკონომიკური ძალაუფლების სარგებლიანობა. დათმობაზე წავა ქალიც, რომელიც თვლის რომ სრულიად ნორმალური და სწორია მამაკაცი იყოს „ოჯახის თავი“. ძალზე მნიშვნელოვანი ფაქტორია ქმრის მიერ იმის აღიარება, რომ ცოლს საკუთარი შემოსავალი ჰქონდეს. თუ ქმარს მიაჩნია, რომ ცოლის შემოსავალი აუცილებელი არ არის ოჯახის ცხოვრების დონის შენარჩუნებისათვის, მაშინ იმ ეკონომიკური რესურსების გაველენა, რომლითაც ქალი ოჯახს უზრუნველყოფს, დიდი არ იქნება. [Erova H. IO...//<http://lib.sale/>]


საქართველოში უმუშევრობის მაღალი დონის პირობებში, ოჯახთა მნიშვნელოვან ნაწილში, ითვლება, რომ ცოლის შემოსავლები, არა მხოლოდ, აუცილებელია ოჯახის ცხოვრების დონის შენარჩუნებისათვის, არამედ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანიც. ეს ფაქტორი განაპირობებს საქართველოს მიგრანტებში ქალთა წილის ზრდას. 2002

წელს მოსახლეობის საყოველთაო აღწერითა და იმავე პერიოდში საქართველოში ჩატარებული გამოკვლევებით, ემიგრანტებში ქალთა წილი 43% იყო, შემდგომ იგი კიდევ უფრო გაიზარდა და მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერით 54,6%-ს მიაღწია. ემიგრანტთა ძირითადი ნაკადი შრომითი ემიგრანტია. მნიშვნელოვანია ემიგრანტ ქალთა გზავნილთა წილი. 2015 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით საქართველოში საბანკო ქსელით შემოსული ფულადი გზავნილები 1079 მლრდ. აშშ დოლარია. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ გზავნილების 40% არასაბანკო გზით შემოდის, მაშინ სავარაუდოდ მთელი ფულადი გზავნილები 1800 მლრდ აშშ დოლარს აღწევს (2014 წელი). დაბრუნებულ ემიგრანტთა შესწავლით დადგინდა, რომ ქალთა მიერ გამოგზავნილი ფულადი გზავნილების წილი მთლიან გზავნილებში ნახევარზე მეტია [შელია მ. 2018. 119, 133-134.]. ნათელია, რომ ოჯახის მარჩენლის ფუნქცია თანამედროვე ქართულ ოჯახებში მამაკაცთან ერთად ქალმაც იტვირთა.

ბევრი მკვლევარი თვლის, რომ დასაქმებული ქალი სათანადო ყურადღებას ვეღარ უთმობს ოჯახს – საოჯახო საქმეებს, ბავშვებს, რაც ხშირ შემთხვევაში მამაკაცს აღაშფოთების, ანუ ოჯახური კონფლიქტების მიზეზი ხდება, რომელიც შესაძლოა ფიზიკურ ძალადობაშიც გადაიზარდოს. [Family Connection and Happiness.2007]. საინტერესოა ის ფაქტი, რომ ჩვენი ახალგაზრდები, კერძოდ სტუდენტები, ამგვარ მოსაზრებას არ იზიარებენ. მათი მნიშვნელოვანი ნაწილი (90,75) მიიჩნევს, რომ ქმარს საკმარისი მიზეზი არ აქვს, ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენოს ცოლს, თუ ეს უკანასკნელი საოჯახო საქმეებს ისე ვერ ასრულებს, როგორც ქმარს სურს.



დიაგრამა 2. სტუდენტთა დამოკიდებულება მეუღლეთა თანასწორობისადმი.




ოჯახის მართვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი ეხება საოჯახო გადაწყვეტილებების მიღებას. ყოველი ოჯახი ახდენს გადაწყვეტილების მიღების შეფარდებით სტაბილური მოდელის დემონსტრირებას, რომელიც თავს იჩენს ერთობლივი არჩევანის მიღების მომენტიდან. გადაწყვეტილებების მიღების მექანიზმის არსებობის ფაქტი, წარმოადგენს ოჯახის შექმნისა და არსებობის პირობას. მის დეზორგანიზაციას კი მოჰყვება ოჯახის დანგრევა.

სოციოლოგიური გამოკვლევების მიხედვით, ოჯახის მნიშვნელოვანი საკითხების გადაჭრაში, გამოიკვეთა იმ პირობების გადაწყვეტი როლი, რომლებიც ახდენენ ოჯახის წევრთა ეკონომიურ უზრუნველყოფას. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მათი რიცხვი მცირეა და, ამასთან, ორი კვლევის შუალედში (ერთი ჩატარდა გასული საუკუნის მიწურულს გაეროს განვითარების პროგრამა – საქართველოს მიერ, ხოლო მეორე, 2015 წელს, დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტის მიერ, უშუალოდ ჩვენი ჩართულობით) კიდევ უფრო შემცირებულა. გაეროს განვითარების პროგრამის საქართველოს კვლევის მიხედვით ეს მაჩვენებელი 6,5%-ა, ხოლო ჩვენი ინსტიტუტის მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით მხოლოდ 2,8%. ე.ი. შემცირება მოხდა 2,3-ჯერ.

საქართველოს ოჯახებში ძალაუფლების გადანაწილების მხრივ მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა. გაეროს პროგრამით ჩატარებული კვლევის მიხედვით „მნიშვნელოვანი საოჯახო გადაწყვეტილებების (ბინის ან მანქანის ყიდვა გაყიდვა, მნიშვნელოვანი თანხის სესხება ან გასესხება და სხვა) მიღებისას მამაკაცის პრიორიტეტი მკვეთრადაა გამოხატული - რესპონდენტთა 55,3% პასუხობს, რომ მის ოჯახში ოჯახისათვის მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს მამაკაცი იღებს. იმ ოჯახების ხვედრითი წილი კი, სადაც ოჯახისათვის მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს იღებს ქალი, მხოლოდ 15,4%.“ [ნ. ღურგლიშვილი. 1997, 18-19.]

რაც შეეხება 2015 წელს ჩატარებული კვლევის შედეგებს, აქ მკვეთრადაა გამოხატული მეუღლეთა ძალაუფლებათა ბალანსი ოჯახში. მნიშვნელოვნადაა შემცირებული ცალკეული მეუღლის როლი ცოლ-ქმრის ერთობლივი გადაწყვეტილებების სასარგებლოდ. თუმცა, არ შეიძლება არ აღინიშნოს უფროსი თაობის მაღლი ავტორიტეტი და ძალაუფლება გაფართოებულ ოჯახებში. ასეთ ოჯახებში ახალგაზრდა წევრები მთლიანად არიან დამოკიდებულნი მშობლების მატერიალურ შემოსავლებსა და საცხოვრებლებზე, რის გამოც მათ ნაკლები ძალაუფლება აქვთ ოჯახში.

დიაგრამა 3. ოჯახისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიმღები პირები რესპონდენტთა ოჯახებში (%)



გამოკვლევებით გამოიკვეთა, რომ ოჯახში გადაწყვეტილებების მიღების მხრივ საქართველოში ოჯახთა გან-

სხვაგვებუღი ტიპები არსებობენ, რომელთა შორის უმეტესობას ისეთი ოჯახები წარმოადგენენ, სადაც ორივე მეუღლე ერთმანეთთან შეთანხმებით იღებს გადაწყვეტილებებს. ე.ი. სახეზეა პარტნიორული ოჯახები. ოჯახები პარტნიორობის სინკრეტული ტიპით - როცა მეუღლეებს თანაბარი გავლენა აქვთ ოჯახში. იმ ოჯახებში კი სადაც გადაწყვეტილებების მიღება ხდება ოჯახის წევრთა ერთობლივი განხილვით, საქმე გვაქვს კოლეგიალურ ოჯახთან. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი ოჯახები გამოკითხულთა შორის საკმაოდ მცირე აღმოჩნდა, ის მაინც მიუთითებს ბოლო დროს ოჯახში ძალაუფლების ბალანსთან დაკავშირებით განხორციელებულ ცვლილებებზე. გადაწყვეტილებებს თუ იღებს ერთ-ერთი მეუღლე, მაშინ საქმე გვაქვს ავტონომიურ ოჯახთან. მოყვანილი მონაცემების მიხედვით ასეთი ტიპის ოჯახები ოცდამეერთე საუკუნის პირველ წლებთან შედარებით 2,2-ჯერაა შემცირებული<sup>1</sup>. შემცირება შეეხო როგორც ქმრის მიერ ერთპიროვნულად მიღებულ გადაწყვეტილებებს (შემცირებულია 2-ჯერ), ისე ცოლის მიერ მიღებულს (შემცირებულია 1,4-ჯერ). ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, საქართველოში, XXI-ე საუკუნის პირველ ოცწლეულში გადაწყვეტილებების მიღების მიხედვით შეგვიძლია გამოვყოთ ოჯახთა რამოდენიმე ტიპი: პარტნიორობის სინკრეტული ტიპი, კოლეგიალური ოჯახები და ავტონომიური ოჯახები.

ოჯახში მიღებული გადაწყვეტილება შეიძლება დაეყოს ყოველდღიურ და ფუნდამენტალურ გადაწყვეტილებებად. საოჯახო გადაწყვეტილებების მიღებაზე გამოყოფილია ოჯახისათვის ისეთი უმნიშვნელოვანესი სფეროები, როგორიცაა: შობადობის სფერო; ეკონომიკური სფერო; საოჯახო მეურნეობის ორგანიზაცია; შვილების აღზრდა. კონკრეტულ სფეროებში გადაწყვეტილებების მიღებასთან დაკავშირებით განსხვავებულია ცოლ-ქმრის როლი.

---

<sup>1</sup> 2002 წელს ჩატარებულ სოციოლოგიურ კვლევასთან შედარებით. ამ კვლევის შედეგები მოცემულია ქეთევან გოჩიაშვილის სადისერტაციო ნაშრომში განქორწინების სოციალურ დემოგრაფიული ასპექტები. 2003.

ცხრილი 1. კონკრეტულად ვინ იღებს გადაწყვეტილებებს თქვენს ოჯახში (%)

	ქმარი	ცოლი	მეუღლეები შეთანხმებით	სხვა
ბავშვთა სასურველ რაოდენობაზე	6,2	6,8	72,0	15,0
ბავშვთა აღზრდაზე	4,4	49,8	39,5	6,3
შემოსავლების განაწილებაზე	10,8	20,5	66,4	2,3

ოჯახის შემოსავლების განაწილებაში მეუღლეთა თანხმობა მეტად მნიშვნელოვანია, რადგან, როგორც სოციოლოგიური კვლევები აჩვენებენ, ოჯახში კონფლიქტურ სიტუაციას ხშირად იწვევს ერთ-ერთი მეუღლის მხრიდან ერთპიროვნული ხაზინადრობა. იმის ნათელსაყოფად თუ რა მდგომარეობაა ამ მხრივ საქართველოს ოჯახებში, შევადაროთ ერთმანეთს ორი კვლევის შედეგები. 2015 წელს ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები მკვეთრად განსხვავდება გაეროს განვითარების პროგრამა – “საქართველოს” მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებისგან. ოცი წლის წინ „რესპონდენტთა 45,2% პასუხობს, რომ მის ოჯახში ყოველდღიური ბიუჯეტის განაწილების გადაწყვეტილებას მამაკაცი იღებს. ხოლო ის ოჯახები, რომლებშიც ყოველდღიური ბიუჯეტის განაწილებისას გადაწყვეტილებას იღებს ქალი, 32,6%-ს შეადგენს“ [ნ. დურგლიშვილი, 1997. 18-19]. კვლევებს შორის შუალედში ოთხჯერ არის შემცირებული ოჯახები, სადაც შემოსავლების განაწილება ხდება მამაკაცის მიერ და 1,5-ჯერ სადაც ქალის მიერ. მათ ხარჯზე კი გაიზარდა ორივე მეუღლის მიერ ერთად მიღებული გადაწყვეტილებები შემოსავლების განაწილებასთან დაკავშირებით.

ოჯახის მართვასთან დაკავშირებული მოსალოდნელი შედეგების პროგნოზირებისთვის აუცილებელია არა მხოლოდ რეალური მდგომარეობის გათვალისწინება, არამედ მოსახლეობის განწყობის შესწავლა. საქართველოს სამ ქალაქში: თბილისში, ქუთაისში, კასპში, რეპროდუციული ასაკის რესპონდენტებში ჩატარებულმა სოციოლოგიურმა კვლევებმა ნათლად დაგვანახა მოსახლეობის დადებითი განწყობა ოჯახური პარტნიორობის სინკტერული ტიპისადმი.

ცხრილი 2. მოსაზრება ოჯახური პასუხისმგებლობისადმი რესპონდენტთა სქესის მიხედვით (%)


	ვიზიარებ			არ ვიზიარებ			მიჭირს პასუხი		
	მამაკაცი	ქალი	სულ	მამაკაცი	ქალი	სულ	მამაკაცი	ქალი	სულ
მეუღლეები ყველა საკითხს შეთანხმებულად უნდა წყვეტდნენ	90,0	97,4	94,3	3,2	1,0	2,0	6,8	1,6	3,7
მეუღლეებს თანაბარი წვლილი უნდა შეჰქონდეთ საოჯახო საქმიანობაში	71,3	78,9	75,5	8,4	7,5	7,9	20,3	13,6	16,6
ცოლქმრის შემოსავალი მეუღლეთა შეთანხმებით უნდა დაიხარჯოს	63,1	68,4	64,4	18,5	13,7	17,6	18,4	17,9	18,0

როგორც კვლევით მოპოვებულმა მონაცემებმა აჩვენა, რესპონდენტებს მკვეთრად გამოხატული დადებითი განწყობა აქვთ იმისადმი, რომ ოჯახში მეუღლეები ყველა სა-

კითხს შეთანხმებულად უნდა წყვეტდნენ. თუმცა რესპონდენტთა განწყობა არ ემთხვევა რეალურ მდგომარეობას. რესპონდენტთა 94,3% თვლის, რომ მეუღლეები ოჯახში ყველა საკითხს შეთანხმებულად უნდა წყვეტდნენ, რეალურად კი მათ შორის ასეთი ოჯახები მხოლოდ 43,6%-ს აქვს. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მოსახლეობაში ბოლო ოცი წლის განმავლობაში მკვეთრად შეცვლილი განწყობა ოჯახში მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტასთან დაკავშირებით. ორჯერაა გაზრდილი მათი რიცხვი, ვისი აზრითაც ოჯახური პრობლემების წარმატებით გადასაწყვეტად, სასურველია რომ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები მიიღონ მეუღლეებმა შეთანხმებით. თუ გავითვალისწინებთ რესპონდენტთა განწყობებში მომხდარ მკვეთრ ცვლილებებს, მაშინ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ახლო მომავალში რეალურადაც გაიზრდება ასეთი ოჯახები.

მოსახლეობის განწყობების შესწავლა მნიშვნელოვანია ახალგაზრდებში, რადგან ისინი ქმნიან ქვეყნის მომავალს. მათი წარმოდგენების და განწყობების მიხედვით კი შეგვიძლია მომავლის სურათის პროგნოზირება. სტუდენტებში ჩატარებულმა გამოკვლევამ აჩვენა, რომ ისინი ოჯახში მეუღლეთა თანაბარ გავლენას ანიჭებენ უპირატესობას. მათ კარგად აქვთ გაცნობიერებული, რომ შეუძლებელია ოჯახში მუდმივად ერთი აზრი არსებობდეს მეუღლეებს შორის, მაგრამ აზრთა სხვადასხვაობა არ უნდა იყოს ოჯახური კონფლიქტების და დეზორგანიზაციის მიზეზი.

დიაგრამა 4. სტუდენტები მეუღლეთა ურთიერთდამოკიდებულების შესახებ



ოჯახის ტრანსფორმაციის შესახებ საუბარი მხოლოდ განწყობების მიხედვით არამართებულია. მნიშვნელოვანია რეალურად ცვლილებების შეცნობა. ეს ცვლილებები უნდა შეეხოს მეუღლეთა შორის საოჯახო საქმიანობის გადანაწილებას. როგორც მკვლევარები აღნიშნავენ, გასული საუკუნის ბოლოდან სულ უფრო მეტად იზრდება მამაკაცის ჩართულობა საოჯახო საქმიანობაში. რეპროდუქციული ასაკის გამოკითხულთა მეხუთედის ოჯახში ორივე მეუღლე ახდენს ოჯახის მატერიალურ უზრუნველყოფას. გამოკითხულთა ნახევარზე მეტის ოჯახში კი ყოველდღიური საოჯახო საქმიანობას თანაბრად უზრუნველყოფენ: ბავშვების აღზრდა 18%, პროდუქტის ყიდვა 16,5%, მოხუცებზე ზრუნვა 12,5%, სადილის მომზადება 3%, სახლის დალაგება 2%.

ოჯახის საკითხების შემსწავლელი ერთ-ერთი თეორია – სიმბოლური ინტერაქციონიზმი თვლის, რომ ოჯახის წევრების ურთიერთქმედება და წყვილების სიახლოვე დაფუძნებულია სიტუაციის ერთნაირად გაგებაზე, კონკრეტული საკითხების მიმართ ერთნაირ ხედვაზე, ცოლ-ქმარს შორის კომუნიკაციის განსხვავებულ სტილზე. [Steven E Barkan. 2011] თუმცა ყოველთვის ასე როდი ხდება, რიგ ოჯახებში მეუღლეები სიტუაციას განსხვავებულად აღიქვამენ. საინტერესოა სტუდენტ ახალგაზრდების აზრით ასეთ ვითარებაში როგორ უნდა მოიქცნენ მეუღლეები, რომ მათ შორის კონფლიქტური სიტუაცია არ შეიქმნას? სტუდენტთა მნიშვნელოვანი ნაწილისთვის მეუღლეთა ერთმანეთისადმი მონური მორჩილება მიუღებელია. მათი 49% ნაწილობრივ ეთანხმება მოსაზრებას: “მეუღლეები ემორჩილებიან ერთმანეთს, მაშინაც კი როცა მათ შორის აზრთა სხვადასხვაობაა”. სტუდენტთა 72% მიიჩნევს, რომ მეუღლეები პატივს უნდა სცემდნენ ერთმანეთის სექსუალური ურთიერთობების დაკმაყოფილებას. 40%-ის აზრით, კი მეუღლეები თავისუფალნი უნდა იყვნენ მეგობრების არჩევანში, მათ უნდა შეეძლოთ მეგობრების არჩევა მაშინაც კი, როცა მეორე მეუღლე, ან ოჯახის სხვა წევრი ამის წინააღმდეგია. 65%-ის აზრი კი ოჯახის ერთიანობის შენარჩუნების მიზნით მეუღლემ არ უნდა მოითმინოს შეურაცხყოფა ოჯახის სხვა წევრისაგან

სოციოლოგიური გამოკვლევები გვამცნობენ, რომ ჰარმონიული ოჯახები ნაკლებადია. ოჯახში არსებობს კონფლიქტები, მაგრამ ხშირ შემთხვევაში მათი გადაჭრა შესაძლებელია. თუმცა სტატისტიკური მონაცემების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მეუღლეები კონფლიქტების მოგვარებას სულ უფრო ნაკლებად ცდილობენ და გამოსავალს განქორწინებაში ნახულობენ. გასული საუკუნის ბოლოდან მოყოლებული მნიშვნელოვნად გაიზარდა განქორწინების ზოგადი კოეფიციენტი. თუ 1994 წელს საქართველოში განორწინების ზოგადი კოეფიციენტი 0,6 შეადგენდა, 2019 წელს უკვე 3,0 გახდა, ანუ 25 წელიწადში 2,4-ით გაიზარდა, რაც მაღალი მაჩვენებელია.



განქორწინებასთან დაკავშირებით რესპონდენტების 43%-ს მკვეთრად გამოხატული პოზიცია არ აქვს. ისინი მხოლოდ ნაწილობრივ ეთანხმებიან მოსაზრებას, რომ “განქორწინება საუკეთესო გამოსავალია, როდესაც წყვილი ვერ აგვარებს ხშირად წამოჭრილ კონფლიქტებს ოჯახში”. რესპონდენტთა 32% კი თვლის, რომ ხშირი კონფლიქტის პირობებში საუკეთესო გამოსავალი განქორწინებაა. ამასთან ქალი რესპონდენტები უფრო ხშირად ეთანხმებიან (35%) განქორწინებას, ვიდრე მამაკაცები (27%). ეს ვითარება მიგვანიშნებს იმაზე, რომ ქალები ხაზს უსვამენ მათივე დამოუკიდებლობის მაღალ ხარისხს.

ჩვენს საზოგადოებაში სულ უფრო მეტად იზრდება წყვილთა თანაცხოვრებისადმი ლოიალური დამოკიდებულება. სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში ჩატარებულმა სოციოლოგიურმა გამოკვლევამ (2013 წელი) აჩვენა, რომ რესპონდენტთა 53,3%-ის აზრით წყვილს შეუძლია ერთად იცხოვროს ქორწინების გარეშე. ამავე რესპონდენტთა 15,4% კი რეალურად თანაცხოვრებაში ცხოვრობს თავის პარტნიორთან. არსებობს მოსაზრებები, რომლებიც გამოხატავენ თანაცხოვრების უპირატესობას ქორწინებასთან მიმართებაში. ახალგაზრდებში ჩატარებული კვლევის მიხედვით (2016 წელი) ახალგაზრდების 43% მიიჩნევს, რომ ქორწინება თანაცხოვრებასთან შედარებით მეტ პასუხისმგებლობას აკისრებს პარტნიორებს ერთმანეთის მიმართ. რესპონდენტთა მეხუთედი თვლის, რომ თანაცხოვრების პირობებში გაცილებით მარტივია ურთიერთობის დასრულება პარტნიორთან, ვიდრე ქორწინებისას. 13% იზიარებს მოსაზრებას, რომ თანაცხოვრებისას პარტნიორები შედარებით დამოუკიდებლები არიან, ვიდრე ქორწინებაში მყოფნი. [<https://library.fes.de/>]

თანაცხოვრებისადმი საზოგადოების ლოიალური დამოკიდებულება ქორწინების გარეშე შობადობა თავისთავად ლოიალურს ხდის დამოკიდებულებას ქორწინების გარეშე შობადობისადმი. ქორწინების გარეშე შობადობა ყოველმხრივ გაუმართლებელია მხოლოდ რესპონდენტთა 21%-ისთვის, ზნეობრივად გაუმართლებელი 11,4%-ისთვის. ქალის მიერ ქორწინების გარეშე ბავშვის გაჩენას რესპონ-

დენტების 26% ამართლებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ქალს აღარ აქვს გათხოვების იმედი. მათთან შედარებით მნიშვნელოვნად მეტი (41,6%) თვლის, რომ ამგვარი ქმედება ყოველმხრივ გამართლებულია.

რესპონდენტებს შედარებით უადვილდებათ შეფასებები ამა თუ იმ ქმედებაზე, თუ საკითხი პირადად მათ არ ეხებათ. საკითხის უფრო ღრმად გააზრებისათვის მოვიყვანთ ორი კვლევის შედეგებს. ერთი ჩატარდა არამორწმუნეებში, ხოლო მეორე მართლმადიდებელ მორწმუნეებში (ამგვარი შეფასება საკუთარი თავის მიმართ თვითონ რესპონდენტებმა გააკეთეს). ორივე სოციალური ჯგუფის დასაოჯახებელ რესპონდენტებს უნდა დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია შეკითხვაზე, თუკი ვერ შექმნიდნენ ოჯახს, გააჩნდნენ თუ არა შვილს ქორწინების გარეშე. აღმოჩნდა, რომ თითქმის თანაბარი მაჩვენებლით (13,4 არამორწმუნეები და 13,3% მორწმუნეები) დააფიქსირეს დადებითი პოზიცია. მართლმადიდებელ მორწმუნეთა სოციალურ ჯგუფში, სხვადასხვა დროს ჩატარებული კვლევების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, წლების შემდეგ მეტად გამოიხატა კატეგორიულად უარყოფითი დამოკიდებულება ქორწინების გარეშე შობადობისადმი, როცა საკითხი პირადად მათ ქმედებას ეხება.

ცხრილი 4. მართლმადიდებელ მორწმუნეთა შეხედულება ქორწინების გარეშე შობადობისადმი.

წელი	თუ ოჯახს ვერ შექმნით, გააჩნთ თუ არა შვილს		
	დიახ	არა	მიჭირს პასუხი
2004	32,6	27,7	39,7
2015	13,3	47,6	39,1

საქსტატი გვაწვდის მონაცემებს არარეგისტრირებული ქორწინებით დაბადებული ბავშვების შესახებ. 1994 წლის მონაცემის მიხედვით ასეთი იყო 16,272 ბავშვი, ხოლო მარტო დედის განცხადებით დაბადებულები შეადგენდა 1,839 ბავშვს. არარეგისტრირებული ქორწინებით დაბა-

დებულთა ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა 2006 წელს და შეადგინა 25,324 ბავშვი. მხოლოდ დედის განცხადებით დაბადებულები კი 2,405 იყო. რაც შეეხება გასული წლის მაჩვენებლებს ის 8,844 ბავშვით ჩამორჩება 2006 წლის მაჩვენებელს და 16,248 - ის ტოლია. მხოლოდ დედის განცხადებით დაბადებულთა რაოდენობა კი 1,171 ბავშვია. მხოლოდ დედის განცხადებით დაბადებულ ბავშვთა წილი ყველაზე მაღალია ოც წლამდე და ორმოც წელს გადაცილებულ ქალებში. ამ ორი ასაკობრივი ჯგუფების შესახებ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ახალგაზრდა ასაკში გადადგმული ეს ნაბიჯი უფრო ემოციური უნდა იყოს, ვიდრე კარგად გაცნობიერებული, ორმოც წელს გადაცილებულ ქალებში კი, პირიქით, კარგად გაცნობიერებული.

ამგვარად, გასული საუკუნის ბოლოდან მოყოლებული საქართველოს ოჯახები თანდათან გადადიან ლიბერალურ დემოკრატიულ მოდელზე. გადასვლა ეხება ოჯახის მართვის საკითხს, ოჯახურ ურთიერთობებს, მეუღლეთა უფლება მოვალეობებს, როლებრივ განაწილებას, ქცევის ნორმებს და სხვ. ოჯახში მიმდინარე ცვლილებები უკავშირდება საზოგადოებაში სოციალურ ღირებულებების ცვლილებას. ოჯახის ლიბერალურ-დემოკრატიულ მოდელზე გადასვლის პროცესი საზოგადოებაში მიმდინარე ცვლილებების პარალელურად ხდება და ის შეუქცევადია.

**LELA MENABDISHVILI**

**THE TRANSITION OF THE GEORGIAN FAMILY FROM  
THE TRADITIONAL MODEL TO THE LIBERAL  
DEMOCRATIC MODEL**

Since the second half of the last century, not only in Georgia, but also abroad, the significant changes in the family has begun. These changes are related to the distribution of power within the family, dominance, leadership, responsibility, distribution of obligations and

the performing role relationships. In the majority of the families, the balance of power has been established. The term "head of the family" by its olden meaning has now become a tradition of the past, but it's still necessary in the structure of family relationships and, in addition, it's a functional role that can be performed by both men and women.

The demand for "the head of the family" is decreasing more and more in society. The number of those who share the necessity of having a head in the family has been halved over the last ten years. However, in the context of gender studies, the male respondents are more likely loyal to the institution of "head of the family" than women.

One of the most important issues in family management is related to the family decision making. Family decisions can be divided into the daily and the fundamental. Among the most important family decisions for the family are the following areas: a birth rate, a family economics; a housekeeping and a child-rearing. Studies have shown that there are different types of decision-making families in Georgia. The most of them are families where both spouses jointly make decisions on the basis of an agreement. I. e. spouses have the same influence in the family. Decisions are also made through the joint discussions of family members, i.e. there are collegial families, which were the few among the respondents. The number of families where decisions are made by one of the spouses that is an autonomous families are decreased by 2.2 times compared to the first years of the 21st century. The reduction also affected both individual decisions taken by the husband (reduced by 2 times) and the wife (reduced by 1.4 times).

The attitude of the population towards the decision making during the solution of fundamental issues has undergone an important change. The number of people who believe that it is desirable that the couple jointly make the important decisions to successfully solve family problems, is increased twice. Given the dramatic changes in respondents' attitudes, it can be assumed that the number of families with the equal rights for both spouses will actually increase.


This is confirmed by the views and attitudes of the students. In their view, women must be self-realization, no longer is "best for everyone when men work and women are busy with only household". They are considered to be equal spouses. Considering that the family

budget should be spent in agreement with each other. In case of disagreement, exclude slavish each other. The husband does not have sufficient reason to physically abuse his wife, if the wife does not work the way he wants to fulfill family. Most of the respondents believe that should be respected sexual satisfying between spouses.

Liberal attitudes toward divorce, birth-rate without marriage, and cohabitation without formal marriage are increasing.

### გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

1. დურგლიშვილი ნ. 1997, ცვლილებები სოციალურ გარემოში და ქართული ოჯახი. სადისკუსიო წერილების სერია 3.
2. ილია II. 2014. საშობაო ეპისტოლე
3. შელია მ. საქართველოდან ქალთა შრომითი ემიგრაციის თავისებურებები. წიგნში “მოსახლეობის მიგრაციის აქტუალური პრობლემები საქართველოში.” 2018.
4. Гендерные исследования: история, философия, образование (Коллективная монография)/ Под общ. ред. Е. В. Ануфриевой, Т. П. Машихиной. – Волгоград: Изд- во ВолГМУ, 2012
5. Егорова Н. Ю. С.Д., Бобров В.А. Менеджмент в домашнем хозяйстве. <https://lib.sale/otrasli-menedjment/menedjment-domashnem-hozyaystve.html>
6. Sociology: Understanding and Changing the Social World, Brief Edition V. I. O. Steven E Barkan. Sociological Perspectives on the Family. 2011.
7. Family Connection and Happiness.Fostering A. Closr Relationship With Your Family. By Elizabeth Scott. M.S. Updated January 05. 2007.
8. [WWW.geostat.ge](http://WWW.geostat.ge)
9. <https://library.fes.de/>



დავით მუსხელიშვილი

გვჭირდება თუ არა საქართველოს ისტორიის ცოდნა?

*რეპროდუქციისაბან:* დაიბეჭდა (სამწუხაროდ მრავალი კორექტურული შეცდომით) გაზეთში „რეზონანსი“, 11.08.05. წერილში აღძრული საკითხი ამჟამადაც ფრიად აქტუალურია.

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ დღეს ჩვენი საზოგადოების გარკვეულ ნაწილში ერთგვარი ნიჰილისტური დამოკიდებულებაა საქართველოს ძველი ისტორიის მიმართ, რომლის ცოდნას ჩვენი ხალხისათვის თურმე დიდი მნიშვნელობა არა აქვს და, მით უმეტეს, თითქოსდა მხედველობაში არ არის მისაღები თანამედროვე მწვავე პრობლემების სწორად გაგებისა და გადაწყვეტისათვის. ზოგიერთნი იქამდეც მიდიან, მოითხოვენ „საქართველომ თქვას უარი ისტორიის მისებურ გაგებაზე“. ასეთი და მსგავსი ექსცესები, რა თქმა უნდა, უკეთეს შემთხვევაში, საქართველოს ისტორიის არცოდნისა და უმწიფარი აზროვნების შედეგია, რომლის შესახებ სერიოზული მსჯელობა, ალბთ, არც ეღირებოდა, ეს განწყობილება რომ ცაკეული პირების თუ ჩვენში მომრავლებული ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციების ფარგლებს არ სცილდებოდეს.

გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია და ამდენადვე სახიფათოც, როდესაც საქართველოს ისტორიის შეუფასებლობის ასეთი ტენდენცია სამთავრობო სტრუქტურებშიც შეიმჩნევა. ასე, მაგალითად, ამას წინათ პრესაში გამოქვეყნდა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მეცნიერებისა და ტექნოლოგიების დეპარტამენტის უფროსის, ლევან ცინცაძის ინტერვიუ, რომელშიც იგი ჩვენი ქვეყნისათვის საჭირო აკადემიური მეცნიერების შემდგომი განვითარების თვალაზრისით ჩამოთვლის ხუთ „პრიორიტეტულ დარგს“: 1. ბიოტექნოლოგიები; 2. მაღალი ველების ფიზიკა;

3. ინფორმაციისა და კომუნიკაციების ტექნოლოგიები; 4. კვების პროდუქტების უსაფრთხოება და მაღალი ხარისხი და 5. მდგრადი სისტემის განვითარებისათვის ხელშემწყობი მეცნიერებები („რეზონანსი“, 21.07.05).

ცხადია, ჩემი კომპეტენციის ადამიანს უფლება არა მაქვს ეჭვი შევიტანო აღნიშნულ დარგთა პრიორიტეტულობაში, თუმცა მაინც საკითხავია, რადგან საქმე აკადემიური მეცნიერების განვითარების შემდგომ ბედს ეხება, ეს ზემოდასახელებული პრიორიტეტები შეთანხმებულია აკადემიის სათანადო მეცნიერებთან და ინსტიტუტებთან თუ არა? (გარდა ამისა, რამდენადაც მესმის, ამ ჩამონათვალიდან აშკარად ჩანს, რომ დღეს ჩვენი ხალხი არ იკვებება „უსაფრთხო და მაღალი ხარისხის კვების პროდუქტებით“ და ეს, მგონია, არა აკადემიური მეცნიერების, არამედ სათანადო სახელმწიფო ორგანოების გამოსაძიებელი პრობლემაა).

ჩემთვის ამჯერად მთავარია ის, რომ ჰუმანიტარული და, კერძოდ, ქართველოლოგიური სამეცნიერო დარგების „პრიორიტეტულობა“ სრულიად გამორიცხულია!

მართლია, ამ მეცნიერებათა აბსოლუტური იგნორაცია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მეცნიერებისა და ტექნოლოგიების დეპარტამენტისათვის, ჩანს, მაინც უხერხულია და ამიტომ რესპონდენტი იქვე დასძენს, რომ „სახელმწიფოსათვის მეტად მნიშვნელოვანია, აგრეთვე (! დ.მ.), კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და ქართველოლოგიური მეცნიერების ხელშეწყობა (! დ.მ.), რაც მათ შემდეგ განვითარებას გულისხმობს“ (! დ.მ.), მაგრამ ცხადია, ქართული ეროვნული მეცნიერების დარგები მეორეხარისხოვანია და მათზე საგანგებო ზრუნვა კი არ არის საჭირო, არამედ მხოლოდ „ხელშეწყობა“!

მე სრულიად სხვაგვარად ვფიქრობ: ჩვენ, ქართველები ვართ ერი და ამდენად, გვაქვს ჩვენი, ყველასაგან განსხვავებული ისტორია, კულტურა და მენტალობა, გვაქვს უნიკალური ისტორიული გამოცდილება, გამოტანილი სულ ცოტა ორიათასწოთასწლოვანი ქარტეხილებით აღსავსე სახელმწიფოებრივი ცხოვრებით, რომლის სიღრმისეული ცოდნა, მგონია ჩვენივე მომავლის სწორად წარმართვის-

თვის არამცირედ ჭკუისასწავლებელ პოლიტიკურ პარადიგმებს გვთავაზობს. უკვე მხოლოდ ამიტომ ჩვენი ძველი ისტორია და კულტურა ანუ ქართველოლოგია სწორედ რომ აკადემიური მეცნიერების პრიორიტეტული მიმართულება უნდა იყოს. მაგრამ ისტორიის ცოდნას კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს.

აქ არ შემძლია არ მოვიგონო ილია ჭავჭავაძის ყველასათვის ცნობილი, მაგრამ ქართული მეცნიერების თანამედროვე რეფორმატორთაგან დავიწყებულის, შეგონება: „ჩვენ არა ერთხელ გვითქვამს, რომ ერის პირქვე დამხობა, გათახსირება, გაწყალება იქიდან დაიწყება, როცა იგი თავის ისტორიას ივიწყებს, როცა მას ხსოვნა ეკარგება თავისის წარსულისა, თავისის ყოფილის ცხოვრებისა. დავიწყება ისტორიისა, თავისის წარსულისა და ყოფილის ცხოვრების აღმოფხვრა ხსოვნისაგან – მომასწავებელია ერის სულით და ხორციით მოშლისა, დარღვევისა და მთლად წარწყმედისადა. წარსული მკვიდრი საფუძველია აწმყოსი, როგორც აწმყო – მომავლისა. ეს სამი სხვადასხვა ხანა, სხვადასხვა ჟამი ერის ცხოვრებისა ისეა ერთმანეთზედ გადაბმული, რომ ერთი უმეოროდ – წარმოუდგენელი, გაუგებარი და გამოუცნობია“ (1888 წ.).

მართალია, როგორც ამბობენ, შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვს და ზოგიერთთათვის ილია ჭავჭავაძე, ეგებების, ავტორიტეტიც არ იყოს, მაშინ მოეუსმინოთ გერმანელ ფილოსოფოსს, ეკზისტენციალიზმის ერთ-ერთ ფუძემდებელს, იასპერსს, რომელიც განსხვავებით ზოგიერთ ჩვენს ფილოსოფიის კურსდამთავრებულთაგან, წერს: „ჩვენ მივისწრაფით გავიგოთ ისტორია, როგორც რაღაც მთლიანობა, რომ ამით შევიცნოთ საკუთარი თავი. ისტორია ჩვენთვის მოგონებაა, რომლის შესახებაც ჩვენ არა მხოლოდ ვიცით, არამედ რომელშიცაა ჩვენი ცხოვრების ფესვები. ისტორია ერთხელ ჩადგმული საფუძველია, რომელთანაც კავშირს ჩვენ ვინარჩუნებთ, თუ უკვალოდ გაქრობა კი არ გვინდა, არამედ – ადამიანის ყოფიერებაში ჩვენი წვლილის შეტანა“ (1948 წ.).

ეგების ესეც არ იყოს საკმარისი ჩვენი პოლიტიკოსებისათვის და ამიტომ, დასასრულ, შეგახსენებთ XX ს-ის



ერთ-ერთი უდიდესი პოლიტიკოსის, თანამედროვე სამყაროს პოლიტიკური სტრუქტურის ფაქტობრივი შემოქმედის, ამერიკის დიდი პრეზიდენტის, რეიგანის სიტყვებს, რომლითაც იგი 1989 წ., პრეზიდენტობიდან გადადგომის უამს გამოემშვიდობა ამერიკელებს: „თუკი ჩვენ დავივიწყებთ, რისი გაკეთებაც შევძელით, ჩვენ არ გვეცოდინება, ვინ ვართ ჩვენ. მე გაფრთხილებთ თქვენ, არ დაივიწყოთ ჩვენი დიდებული წარსული, რასაც შეუძლია მიგვიყვანოს, ბოლოს და ბოლოს, თვით ამერიკის სულის გაქრობამდე“.

დაკვირვებული მკითხველი ადვილად დაინახავს, რომ ყველაფერი ის, რისკენაც დაბეჯითებით მოუწოდებდნენ თანამედროვე გერმანელი ფილოსოფოსი და ამერიკელი პოლიტიკოსი თავის ხალხებს, დიდ ილიას ნათქვამი აქვს ამ ასოციოდე წლის წინ. **ღიას, ისტორიის იგნორაცია და დავიწყება გამოიწვევს ერის გადაშენებას, მისი სულის გაქრობას. ერის სული და, კერძოდ, ქართველი ერის სული კი აბსტრაქცია არ არის.**

ბევრისათვის გაუგებარია, მაგრამ ვინც ღრმად არის ჩახედული საქართველოს ისტორიაში, მისთვის ცხადია, რომ საზოგადოებრივი განვითარების მაგისტრალური მიმართულება იმ ტერიტორიაზე, რომელზედაც ყალიბდება ქართული სახელმწიფოებრიობა, ხოლო შემდგომ თვით ერთიანი საქართველოს ფეოდალური სახელმწიფო, უძველესი დროიდანვე ხასიათდებოდა სოციალურ-ეკონომიკური და კულტურულ-პოლიტიკური ინტეგრაციით. ეს იყო ბუნებრივი და ორგანული განვითარების გზა, გაპირობებული სრულიად მიწიერი, მატერიალური მიზეზებით, თუნდაც ფიზიკურ-გეოგრაფიული ვითარებით. მაგრამ ეს აყალიბებდა ქართულ მენტალობას.

საქართველოს კონსოლიდაციის საწინააღმდეგო უდიდესი პოლიტიკური ფაქტორი ყოველთვის იყო მისი გეოპოლიტიკური მდებარეობა ანტიკური ხანის თუ შუა საუკუნეების უდიდეს იმპერიებს შორის, რომელთა ურთიერთსაწინააღმდეგო ინტერესებიც ამიერკავკასიის ტერიტორიაზე იხლართებოდა. როგორც კი ეს გარეშე ფაქტორი სუსტდებოდა, უმაღლე იწყებოდა ქართული მიწების ხელახალი ინტეგრაციის პროცესი. ეს არის სწორედ ქართული სულის

გამოვლინება! და განა ეს არ უნდა გაითვლისწინონ ახლანდელმა პოლიტიკოსებმა, რომლებიც საქართველოს ფედერაციული თუ რეგიონალური მოწყობის აბსურდულ, საქართველოსთვის დამღუპველ კონცეფციას ქადაგებენ და ხელისუფლების დეცენტრალიზციას და ქვეყნის ფედერალიზაციას ერთმანეთისაგან ვერ არჩევენ?


XII საუკუნეში საქართველომ, ფაქტობრივად, მთელი კავკასია გააერთიანა, როგორც ქრისტიანული, ისე მაჰმადიანური ქვეყნები. ეს არის უნიკალური მოვლენა შუა საუკუნეების მსოფლიო ისტორიაში საერთოდ ქრისტიანული და მაჰმადიანური სახელმწიფოების თანაცხოვრებისა, რომელიც ამიერკავკასიაში, იმდროინდელი პოლიტიკური ვითარების გათვალისწინებით, ოპტიმალურ მოდელს წარმოადგენდა. ეს იყო ქართული პოლიტიკური აზროვნებისა და კულტურის უმაღლესი სტანდარტების მაჩვენებელი მსოფლიოში, როდესაც ჯვაროსნულმა ომებმა სამყარო ორ შეურიგებელ ბანაკად გახლიჩა.

თამარ მეფის ისტორიკოსს საგანგებოდ ჩამოთვლილიც ჰყავს ის ხალხები და სახელმწიფოები, რომლებიც ამ ერთიან კავკასიურ სახელმწიფოში შედიოდნენ: „სახლი შარვანშეთი და დარუბანდელთა, ღუნძთა, ოვსთა, ქაშაგთა, კარნუქალაქელთა (= არზრუმის საამიროს) და ტრაპიზონელთა, რომელნი თავისუფლებითსა ცხოვრებასა ამის (= თამარი) მიერ იყვნენ და მტერთაგან უზრუნველყობასა“. ეს უკანასკნელი ფრაზა პირდაპირ პოლიტიკური დოქტრინის ფორმულაა, რომელიც ნათლად აყალიბებს საქართველოს სამეფო კარისა და კავკასიის სხვა რეგიონების ურთიერთობას: ყმადნაფიცი ქვეყნები სრულიად სუვერენულნი არიან შინაგან მმართველობაში და ამავე დროს საგარეო პოლიტიკური გართულებების შემთხვევაში საქართველოს სამეფო კარი ვალდებულია მათ დაეხმაროს. ეს არ იყო თეორია, არამედ, როგორც წყაროები მოწმობენ, რეალური ურთიერთობების ამსახველი პოლიტიკური ნორმა გახლდათ. სწორედ ეს არის ქართული სულის გამოვლინება! ამის შედეგი იყო ის, რომ საქართველოს ისტორიამ არ იცის კონფლიქტები ეთნიკურ ნიადაგზე. ამის შედეგი იყო ის, რომ მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში ქართველები (ევ-

როპელებისთვისაც კი) პრესტიჟულ ერად ითვლებოდნენ მთელს კავკასიურ სამყაროში.

საკითხავია: განა ამ გამოცდილების შესწავლა დღევანდელი საქართველოსათვის ანუ „თანამედროვე ენით“ რომ ვთქვათ, იმ პოლიტექნოლოგიების გათვალისწინება, რის საფუძველზეც ეს შეძლეს ქართველმა პოლიტიკოსებმა XII საუკუნეში, დღეს ნაკლებ მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნისთვის, ვიდრე ბიოტექნოლოგიები? და განა ყველაფერი ეს ქართული ისტორიისა და კულტურის ღრმა კვლევის გარეშე შესაძლებელია?

ამიტომ ჩემი (და არა მხოლოდ ჩემი) ღრმა რწმენით თუ ჩვენ არ გვინდა საბოლოოდ ჩავკლათ ქართული სული, გვინდა კვლავ ავღორძინდეთ როგორც პრესტიჟული ერი და არ გადავგვარდეთ სხვის ხელში სათამაშო, უსახურ (თუნდაც „უსაფრთხო და ხარისხიანი კვების პროდუქტებით“ გამაძღარ) ბრბოდ, (რისი ნიშნებიც, სამწუხაროდ, თვალნათლივ ჩანს), საქართველოს ისტორია, და საერთოდ, ქართველოლოგიური მეცნიერებები, აღიარებულ უნდა იქნას უპირველეს პრიორიტეტულ დარგებად, რომლებიც უნდა განვითარდნენ სახელმწიფოს ეგიდით და საბაზო დაფინანსების საფუძველზე.



გურამ კუთალაძე

**ისევ სამცხის ბიეთის ქტიტორის ვინაობისა  
და თარიღის შესახებ**

ბიეთის საყდარი სამცხეში, პატარა მდინარე წინუბნის წყლის ხეობაში, მომცრო, „მზიან-ჩრდილიან“ გორაკზეა აღმართული. კეთილნაშენი, აკად. ვახტანგ ბერიძის თქმით, „მეთხე მნიშვნელოვანი ძეგლი სამცხისა“, საფარა-ზარზმა-ჭულესთან ერთად ათაბაგთა მესხეთის საგულისხმო კულტურულ-რელიგიურ კერას წარმოადგენდა, აწკი „უქმი“ და გაუკაცურებულია. მოხდენილი, სწორკუთხა, წაგრძელებული ნაგებობა, ზომით, დაახლოებით, 17,5×11,6 მ, ნაგები თლილი ქვის სწორკუთხა კვადრებით, საამდროოდ უმწოდ გამოიყურება, მთლიანადაა ჩამოშლილი ეკლესიის გუმბათი, ნაწილობრივ, მთავარი კედლები; ოდესღაც კვადრატული, ცილინდრული კამარით დახურული კარიბჭეც დაქცეული და განადგურებულია. ეკლესიის ჩრდილოეთის აბსიდის დასავლეთ ნახევარში მცირე (დაახლოებით 4×5 მ.) ეკვტერია მიშენებული, რომლის შესასვლელის თავსართს ამკობს საამშენებლო წარწერა. თვალის ერთი შეველებითაც საგრძნობია განსხვავება მთავარი შენობისა და მინაშენის ქვის წყობის ხასიათს, კვეთის ტექნიკასა და მორთულობას შორის, ამ მხრივ ეკვტერი გაცილებით მდარედ და უგემოვნოდ გამოიყურება, რაც, პირველ რიგში, ნაგებობათა შორის „საკმაოდ დიდი ქრონოლოგიური“ სხვაობით აიხსნება (ბერიძე, 1955, 162).

სპეციალისტების მითითებით, ბიეთში განსაკუთრებით საგრძნობია სიგრძივი ღერძი, მაგრამ გეგმის შინაგანი კონსტრუქცია, ცალკეული კომპონენტების ურთიერთშეხამება სავსებით ანელებს ამ შთაბეჭდილებას (ნაგებობის ძირითადი ხუროთმოძღვრული დეტალებია – ორი გუმბათქვეშა ბურჯი, ბემა, საკურთხეველის აფსიდი, აფსიდიანი

სადიაკენე და სამკვეთლო). ძველი, დიმიტრი ერმაკოვის მიერ შესრულებული ფოტოდან ჩანს, რომ ტაძრის გუმბათი, ამჟამად მთლიანად ჩამოქცეული, უსაშველოდ განიერი ყოფილა, მასიური, მთელს შენობაზე „გაბატონებული“, რის გამოც საყდარს სიმძიმის, ერთგვარად, „სიმტკიცეს მოკლებული მასის“ იერს უქმნის, რაც, ეს ხაზგასასმელია, ვ. ბერიძის თქმით, „პირველი შეხედვითვე განასხვავებს საფარისა, ზარზმისა და ჭულისაგან და სრულებით აშორებს მას უფრო ადრინდელ ძეგლებს“ (ბერიძე, 1955, 159). აღსანიშნავია ისიც, რომ შიდა სივრცის დამუშავებისას ხუროთმოძღვარი მისდევს საფარის, ზარზმის და ჭულის არქიტექტურაში გამოკვეთილ, და, ჩანს, მის დროს უკვე ტრადიციად ქცეულ ხაზს (ბერიძე, 1955, 189).

ტაძრის ძირითადი კონსტრუქციული ელემენტები დღესაც შემორჩენილია, მთლიანად დგას საკურთხეველი, სამკვეთლო და სადიაკენე. გუმბათის ყელის, დასავლეთისა და სამხრეთის კედლების ნაწილების, კამარების, ბურჯებისა და კედლების შემაკავშირებელი თაღების და სხვ. ნაშალ მასალას ეკლესიის შიდა სივრცე მთლიანად ამოევსო ისე, რომ იატაკის დონეც არ იხილებოდა, დღეს კი, ბოლო წლებში გაშლილი მასშტაბური სარესტავრაციო სამუშაოების შედეგად, ტაძრის გაწმენდილ-გასუფთავებული ინტერიერი მოხდენით წარმოსდგა; ნათლად გამოჩნდა, რომ მშენებლობის ხარისხით და ოსტატობით არაერთგვაროვანი ბიეთი, საამშენებლო კულტურის მხრივ, უსწორდება თავისი ჯგუფის (საფარა, ზარზმა, ჭულე) ძეგლებს.

ეკლესიას და მის მინაშენს ქტიტორული წარწერები ამკობს. სამწუხაროდ, საყდრის საამშენებლო წარწერა რაიმე ხელშესახებ ინფორმაციას ქტიტორის ვინაობის ან ტაძრის მშენებლობის დროის გასათვალისწინებლად არ შეიცავს, ხოლო, მეცნიერებაში არსებული ყველა თვალსაზრისი ამის თაობაზე, ძირითადად, ისტორიული მეცნიერებისათვის ნიშნეული დაშვებისა და ვარაუდის სფეროში ტრიალებს.

როგორც ითქვა, მთავარი ეკლესიიდან მინაშენში გამავალი კარის თავზე წარწერაა გამოყვანილი, რომელიც ოსტატებს ერთმანეთის გვერდით ჩასმულ ორ ქვაზე ისე

დაუტანიათ, რომ მარჯვენა ქვაზე დაწყებული ტექსტი მარცხენაზე გადმოდის, რაც ქვების თავის ადგილას დამყარებისას დაშვებულ შეცდომას შეიძლება მივაწეროთ, შესაძლოა, მინაშენის გვიანდელ შეკეთებისას გამონიჟილ უყურადღებობასაც (ბერიძე, 1955, 163). წარწერა, მიუხედავად საგრძნობი დაზიანებისა, მაინც იკითხება, გარდა ამისა, ჩვენ ხელთა გვაქვს ექვთიმე თაყაიშვილის, გიორგი ბოჭორიძის და ვახტანგ ბერიძის კონიექტურები; მოვიტანთ ამ წარწერის, ისევე როგორც, ქვემოთ, მთავარი ტაძრისას, ვ. ბერიძის პუბლიკაციის მიხედვით:

„მარჯვენა ქვაზე:

მარცხენა ქვაზე:

1.  ქ.  ჴ  Ⓔ  Ⓖ  Ⓒ  [  Ⓔ  Ⓒ ]
2.  ს  Ⓔ  Ⓕ  Ⓒ  Ⓔ  Ⓒ
3.  Ⓒ  Ⓒ  Ⓒ  Ⓔ  Ⓒ  Ⓒ
4.  Ⓔ  Ⓔ  Ⓕ  [  Ⓒ ]  Ⓔ  Ⓒ
5.  Ⓔ  Ⓔ  Ⓔ  Ⓒ

1. [ ]  Ⓒ  Ⓔ  Ⓒ  Ⓒ  Ⓔ  Ⓒ
2.  Ⓔ  Ⓒ  Ⓒ  [  Ⓒ ]
3. [Ⓒ  Ⓔ  Ⓒ  Ⓔ]  Ⓒ  Ⓔ  Ⓒ
4.  Ⓔ  Ⓒ  Ⓒ  Ⓒ.

მდარე, უთანაბრო, მოკლედ რომ ვთქვათ, თავისი დროის შესაფერისად შესრულებული ეს წარწერა ასე იკითხება: – „ქწ. მე თოჯანსძემან ზაალ აღვაშენე წმიდა ესე ეკვტერი შესავედრებლად მშობელთა და [ ] მიცვალებულთათვის, ქორონიკონსა რპა (= 181+1312= 1493)“ (ბერიძე 1955, 163).

ეკვტრის მაშენებელი ზაალ თოხასძე სხვა ისტორიული მასალით უცნობია, თუმცა ამ წარწერით იგი სოციალურ იერარქიაში დაწინაურებულ პირად გვევლინება, XV საუკუნის მიწურულისათვის, სააღბათოდ, ბიეთის, იქნებ, მთელი ხეობისაც კი, მეპატრონედ, რომელსაც ეკლესიაში საკუთარი საძვალე-ეკვტერი გაუჩენია. ესაა და ეს, რაც მინაშენის ქტიტორზე შეიძლება ითქვას. აქვე იმასაც დავსძენთ, რომ ტექსტის ფრჩხილებში ჩასმული ასოები, მისი დაზიანების გამო, ვ. ბერიძეს ძველი ფოტოსურათების მიხედვით აღუდგენია (ბერიძე 1955, 163).

რაც შეეხება მთავარი ეკლესიის ასომთავრულ წარწერას, სამკვეთლოდან საკურთხეველში გამავალი კარის თავზე დატანილს, იგი ასე იკითხება: –

- „1. ჰეი წიგნი ღმერთისაჲსა ზღაპრისაჲსა წიგნი
2. [?]
3. ჰეი იგივესაჲსა
4. ჰეივე წიგნი ღმერთისაჲსა
5. ჰეივე იგივესაჲსა წიგნი ღმერთისაჲსა

„ქრისტე აღიდეგნა, რომელ ესე საყდარი აღაშენა.

წმიდაო ღმრთისმშობელო მეოხ ეყავ ხმსა შვილითურთ ორთავე შინა ცხორებასა“ (ასევე, უმნიშვნელო კონიექტურით, კითხულობენ წარწერას ე. თაყაიშვილი და გ. ბოჭორიძე). ბიეთის მაშენებელი „ხში“| „ხშსა“ ვინაობა და ტაძრის დათარიღების საკითხი მეცნიერებაში აზრთა სხვადასხვაობას იწვევს, ამიტომაც მასზე საგანგებოდ შევჩერდებით;

ბიეთის ეკლესიის ერთი წარწერიანი ქვა ცნობილ მესხ მოღვაწეს, ივანე გვარამაძეს გადაუცია დიმიტრი ბაქრაძისათვის, რომელიც, სხვათა შორის, პირველი მეცნიერ-მკვლევარია, რომელიც შეეხო ბიეთს (ბაქრაძე, 1985). ამასთან დაკავშირებით, მოგვიანებით, ე. თაყაიშვილი საგანგებოდ მიუთითებს, რომ „... о Биетской церкви до сихъ поръ мало что знали. Мы имели только фотографический снимокъ Ермакова и одно упоминание у Д. Бакрадзе, что ему доставлена свиащенникомъ Гварамадзе надпись изъ... Биети въ которой собственныя имена не разбираются а корониконь 215, если онъ верно снятъ, соответствовать 995 г. Такого короникона на Биетской церкви, как мы выдели, нетъ” (Такаишвили, 1909, 5; დავსძენთ, რომ ერმაკოვისეული სურათები ბიეთის ადრეული სახის წარმოსადგენად და მისი ხუროთმოძღვრების ანალიზისათვის პრაქტიკულად ერთადერთი წყაროა და, ამდენად, მეტად ფასეულიც, გ.კ.).

ექვთიმე თაყაიშვილმა თავის ნარკვევში ბიეთის ქტიტორის დაქარაგმებული სახელი (ღმერთის) ამოიკითხა, როგორც

ხუაშაქი და მასში თამარის ეპოქის „ზეპური დედა“, ცნობილი ხუაშაქ ცოქალი ამოიციხო, – „Имя лица, построившего церковь, къ сщжолению, приведено иъ надписи сокращенно въ форме ХШ =Хши, нщ въ немъ, по моему мненію, следуетъ признать Хошаки или Хвашаки Цокели, которая была мать карталинскаго эристава эриставовъ Рати и блистала при царице Тамаре (1183-1212)... Вероятно она и есть строительница Біетской церкви. Таковую церковь, как Біетская, могла строит или цари, или очень знатныя и могущественныя особы“ (Такаишвили, 1909, 5), – რის მიხედვითაც მეცნიერმა ტაძარი XII-XIII საუკუნეებით დაათარიღა.

უფრო გვიან, 1932-33 წლებში, ბიეთი ისტორიკოსმა გ. ბოჭორიძემ მოინახულა და აღწერა, გადმოიღო მისი წარწერებიც, მაგრამ ქტიტორის პიროვნებისა თუ საყდრის აგების თარიღის შესახებ არაფერი უთქვამს (ბოჭორიძე, 1092).

ვ. ბერიძემ თავის ფუნდამენტურ მონოგრაფიაში „სამცხის ხუროთმოძღვრება“ მოგვცა ჩვენი ეკლესიის სკრუპულოზური ხელოვნებათმცოდნეობით-არქიტექტურული ანალიზი და დაახუსტა ტაძრის მშენებლობის ეპოქა. მეცნიერის უიჭო აზრით, „ხში“ სახელში ვიღაც სხვა პირი იგულისხმება და „ჩვენ ხელჩასაჭიდი არაფერი გვაქვს ამ ქარაგმის სწორად ამოხსნისათვის და, ამგვარად, ამ წარწერის საფუძველზე ვერც თარიღის საკითხს გადავწყვეტთ სასურველი სიზუსტით“ (ბერიძე, 1955, 163).

ამის შედეგ, შოთა მესხიამ, მისივე სიტყვით, შესაძლებლად მიიჩნია „წარწერის მიხედვით ბიეთის ტაძრის მეტ-ნაკლები სიზუსტით“ დათარიღება, ასევე, ტაძრის მშენებლის ვინაობის დაკონკრეტება და დაასკვნა, რომ „ბიეთის ტაძრის ხოშა უნდა იყოს ავაგ-სარგისის ასული ხოშაქი“, ქართულ და სომხურ საისტორიო მწერლობაში „საკმაოდ კარგად ცნობილი“ პერსონა (მესხია, 1979, 262). ათაბაგი ავაგ-სარგისი, როგორც ცნობილია, არის ძე მსახურთუხუცესის და ამირსპასალარის ივანე ათაბაგისა, რომელიც, მას შემდეგ, რაც „მოვიდა და ნათელ იღო სარწმუნოებასა ზედა ჩუენსა იოანეს მიერ კათოლიკოსისა“ (ისტორიანი და აზმანი, 1959, 90), შეიქმნა მართლმადიდებლო-



ბის ერთგულ მიმდევრად და დამცველად, თავის მეუღლე ხუაშაქთან ერთად, ვის სახელსაც არაერთი „ქართული ეკლესიის“ აგება უკავშირდება (მესხია 1979, 259). დადასტურებულია, რომ „ივანესა და ხოშას შვილები, კერძოდ, მათი ძე სარგისი (ავაგ-სარგისი) და ქალიშვილი თამთა“ მართლმადიდებლობის მიმდევარ-მოსაქმენი იყვნენ „თავიანთი მამისა და დედის მსგავსად“ (მესხია 1979, 260). ავაგ-სარგის მხარგრძელი, რომელიც 1250 წელს აღესრულა, კირაკოს განძაკეცის მოწმობით, „დამარხეს პლანდაპანში, თავის მამის საძვალეში. სამფლობელო მისი გადაეცა ზაქარეს, შანშეს ძეს, ავაგის ბიძაშვილს, რაკი ავაგს არ ჰყავდა შვილი, გარდა ერთი მცირეწლოვანი გოგოსი“. სწორედ ეს „მცირეწლოვანი გოგო“ დასახა შ. მესხიამ ბიეთის ეკლესიის ქტიტორად, რომელიც არა მხოლოდ სეხნია-მონადევარი გახლდათ სარწმუნოებისთვის კეთილნადვაწი ბებია ხუაშაქისა, არამედ, მეცნიერის მტკიცებით, მისი ღირსეული მემკვიდრე-მიმდევარიც „ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის შენების საქმეში“, რასაც ამოწმებს, თითქოს, ბიეთის ტაძრის ქტიტორული წარწერა (მესხია 1979, 260).

ავაგ-სარგისის ასულ ხოშაქს, უკვე ითქვა, იცნობს ჩვენი ისტორია; ჟამთააღმწერლის ინფორმაციით, „მას ჟამსა წარვიდა მეფე დავით ულო ყაენს წინაშე“ და მუნიტ წამოსულმა „შემოიარა ქუეყანა ავაგ ათაბაგისა, ივანე ათაბაგის ძისა, რამეთუ მას ჟამსა გარდაცვლილი იყო ავაგ და არა დაშთა ყრმა წული, არამედ ქალი ერთი, სახელით ხუაშაქ. და მივიდა მეფე ბიჯნისს ტირილად, და იხილა ცოლი ავაგისი, კახაბერის ძეთა, რაჭის ერისთავთა ასული, სახელით გუანცა, ქმნულკეთილი, ეტრფილა და შემდგომად მცირედისა მოიყვანა იგი ცოლად და დედოფლად, წარმოიყვანა სამეფოდ. ხოლო ქალი იგი ავაგისი დაუტევა მამულსა თვისსა ზედა, და შევედრა მანკაბერდელსა საღუნსა... ხოლო დედოფალი გვანცა მიუღვა და შვა ყრმა და უწოდა დიმიტრი, რომელი შედგომად დავითისა მეფე იქმნა“ (ჟამთააღმწერელი 1978, 119). საფიქრებელია, რომ გვანცა დედოფლისა და ავაგ-სარგისის ასული ხუაშაქი და მისი უმცროსი ნახევარძმა, მომავალი მეფე დემეტრე, რაც ხნით მაინც, ერთად იზრდებოდნენ, რასაც ჟამთააღ-

მწერელიც ამოწმებს – დავით ლაშას ძე „წარვიდა განდგომად და მოუწოდა სარგის ჯაყელს ციხისჯუარელსა, რომელსა აქუნდა პატივი სამცხის სპასალარობისა, და ეზრახა, რათა განუდგნენ ყაენს. ერჩდა სარგის და წარმოიყვანა სამცხეს, სახლსა მისსა,... ხოლო დედოფალი გვანცა და ძე მცირე მისი დიმიტრი, დაუტყვეა სახლსა ავაგისსა ბიჯნისს“ (ქამთააღმწერელი 1987, 122; 1261 წ. გ.კ.). ამის შემდეგ, 1269 წლისთვის, „ქალი იგი ავაგისი“, ნაშობი გვანცა დედოფლისა, „მოყევანა ცოლად საჰიბ-დივანს, ესე საჰიბ-დივანი განდიდებულ იყო ყაენის ულოსგან“ (ჰულაგუ ყაენი 1256-1265, გ.კ.). საჰიბ-დივან ხოჯა შამსადინი აბაღა ყაენის (1265-1282) ვაზირიც იყო. გ.კ.) „და სადუნიცა მისგან განდიდებულ იყო“ (ქამთააღმწერელი, 1987, 162). წყაროებით ხუაშაქს ერთი შვილი ჰყოლია, ზაქარია, მემატიანის საგანგებო მითითებით, „ავაგის ასულის ხუაშაქის ნაშობი“ (ქამთააღმწერელი, 1987, 219), რომელიც, მოვუსმინოთ შ. მესხიას: „მე-13 ს. მიწურულისა და მე-14 ს. დამდეგის მოღვაწეა, ბიეთის წარწერაში, როგორც ვნახეთ, ხოშა (ხოშაქი) შვილითურთ იხსენიება; ამას გარდა აქ არაა დასახელებული ხოშაქის მეუღლე. ეს შემთხვევითი არ არის: ცხადია, ხოშაქი მონღოლთა ვაზირის, ხოჯა შამსადინის დღეგრძელობასა თუ სულს ვერ შეავედრებდა ბიეთის მართლმადიდებლურ საყდარს“; ამ მსჯელობით, ბიეთის ტაძარი მე-13 ს. მიწურულის ძეგლია, ნაგები ავაგ სარგისის ასულ „ხოშა (ხოშაქი)“-ს მიერ, რომელიც „ქართველია და ქართული მართმადიდებლური რწმენის მიმდევარი, ასევე შეიძლება ითქვას მისი შვილის ზაქარიას შესახებაც... შემთხვევითი არ არის, რომ ქართული წყარო ზაქარიას ხოჯა შამსადინის კი არა, ხუაშაქის ძეგლით მოიხსენიებს“ (მესხია 1979, 262).

ეს დასკვნა, ცხადია, გულისხმობს იმასაც, რომ ბიეთის საყდარის გარეშემო, სავარაუდოდ, მთელი ხეობა, ხუაშაქისა და მისი შვილის, ზაქარიას, მფლობელობაში გადასულა, ყოველ შემთხვევაში, „მე-13 ს. მიწურულს“ მაინც; ხოლო თვითონ ხუაშაქი, მეცნიერის ვარაუდით, XIV საუკუნის დასაწყისისათვის უნდა აღსრულებულიყო, რაც „სათუოდ“ მიაჩნია მკვლევარ რომან გოგოლაურს, რომე-

ლიც ხუაშაქ ავაგ-სარგისის ასულს მიცვალების თარიღს „XIII ს-ის 80-იანი წლების ბოლოსთვისაც“ კი სდებს, რადგნ, მისი აზრით, ჟამთააღმწერლის ინფორმაციაში, – „მოყუასისათუს სულის დადებად“ ურდოს მიმავალი მეფე დემეტრე „მივიდა ქუეყანასა ხუაშაქისასა, ავაგის ასული-სა“, რათა მუნ მეოფი თავისი ძე დავით თანაწარეტანა (ჟამთააღმწერელი, 1987, 180), „ქუეყანა ხოშაქისა“, თითქოს-და, ყოველგვარი სოციალური დატვირთვის გარეშე მხოლოდ „გეოგრაფიული პუნქტის“ მაკონკრეტებლად არის მოხმობილი. მიგვაჩნია, რომ „სახელმწიფო ცხოვრებისა და წესწყობილების“ (ივანე ჯავახიშვილი) ნიუანსებსა და შესაბამის ტერმინოლოგიაში გაწაფულ ჟამთააღმწერელს, გეოგრაფიული პუნქტის დასაზუსტებლად სხვა, სოციალურად ნეიტრალურ ორიენტირის მოხმობა არ გაუჭირდებოდა (წერს კიდევ, მაგალითად, „და მივიდა მეფე ბიჯნისს“, ან დაუტევა დემეტრე „სახლსა ავაგისსა ბიჯნისს“). წყაროში კი, პირველ რიგში, „ქუეყნის“, სწორედაც ასეთი, „სახუაშაქო“ სტატუსია, ჩვენი აზრით, აქცენტრებული. მატიანის ამ ადგილის რაგინდრანაირი „თარგმანება“ არაფრით გამო-რიცხავს იმ შესაძლებლობას, რომ დემეტრეს დასჯის დროს, და შემდეგაც, ხუაშაქი ცოცხალი ყოფილიყო; მამის, ავაგ-სარგისის გარდაცვალებისას (1250 წ.), განძაკეცის მოწმობით, „მცირეწლოვანი“ ხუაშაქი დემეტრე II-ის დაბადების დროისთვის (1259 წელი) 20-21 წელზე მეტისა ვერაფრით იქნებოდა, ხოლო, გვირგვინოსანი ძმის აღსრულებისას, ალბათ, შუახნისა მოიყრებოდა. ასე რომ, ვფიქრობთ, XIII საუკუნის 80-იანი წლების მიწურულისათვის იგი ცოცხალია და საკუთარ „ქუეყანაში“ მკვიდრობს, რომელშიც, წყაროს კონტექსტით ეს თვალსახილველია, არაფრით იგულისხმება ჩვენი ხეობა. ასე, რომ შ. მესხიას პოზიციის გათვალისწინების შემთხვევაში თავს იჩენს კითხვა, მაინც როდიდან უჩნდება შესაძლებლობა ხუაშაქ ავაგ-სარგისის ასულს სამცხეში ეკლესიის მშენებლობისა, რა დროიდან მიუწვდა მას ხელი სამცხის ამ კუთხეზე ან, მიუწვდა კი, საერთოდ?

საპასუხოდ, წამოჭრილ კითხვისა, საჭიროა აღინიშნოს, რომ ხეობა XIII საუკუნეში გურკლელ წარჩინებულთა მამულს წარმოადგენდა. დღესაც შთამბეჭდავად გამოი-

ყურება სოფ. გურკელს განაპირა გორაზე შემორჩენილი ოდესდაც აღზევებული სახლის, სავარაუდოდ, „პალატა დიდებულთა ნგრეული ნაშთი“ (ახლაც ამ ადგილს „სასახლეს“ უწოდებენ ადგილობრივ; აღსანიშნავია, რომ ახლანდელ წინუბნის წყალს და, მაშასადამე, მთელ ხევს „ქართლის ცხოვრება“ „გურკლის წყალის“ უწოდებს, ხოლო ვახუშტი აბანოს ხევად იხსენიებს მას, – „ხოლო თეგუდარიანნი განსრულ იყვნეს მტკვარს, სადა მოერთვის წყალი გურკლისა..“ (ქამთააღმწერელი, 1987, 153). მემატიანის მოწმობით, XIII საუკუნის II ნახევარში ცენტრალური ხელისუფლების მისანდო წარჩინებულ სახლთა შორის უთუოდ არიან გურკლელები, რომელთა პოლიტიკურ წონასა და როლს საქართველოს ისტორიის განსაზღვრულ მონაკვეთზე ნათლად და ხატოვნად გვისურათებს „ასწლოვანი მატიანე“. შეიძლება ითქვას, XIII საუკუნის საქართველოს სამხედრო და პოლიტიკური ისტორიის ფურცლები სამეფო კარის მხარდამხარ მბრძოლი ბიბილა გურკელის, მახუნჯაგი გურკელის და მის მონადევართა, ამირეჯიბ ბეშქენ მახუნჯაგის ძის და მურვან მახუნჯაგის ძის აქტიური მონაწილეობით იწერება, ხოლო, XIII–XIV სს. მოღვაწე სულა გურკლეელი ამ გვარის, ჩვენთვის ცნობილი, ერთ-ერთი უკანასკნელი წარმომადგენელია, რომლის შემდეგაც გურკლელთა კვალი იკარგება. ესოდენ აღზევებული, მეფეთა „თანშეზრდილობას“, მაღალ სამოხელეო თანამდებობებს წეული გურკლელების ასე გაქრობა-ამოვარდნა, ერთის მხრივ, დასავლეთ საქართველოში, მეფე დავით ნარინის თანამოსაგრე-თანამზრახველებად მათი გადასვლითა და იქ დამკვიდრებით უნდა ავსხნათ და, მეორე მხრივ, სამცხის ხასინჯუ ქვეყნად გამოცხადების თანამდევი პროცესებით (კუტაღაძე 2007); ჯაყელები, ცხადია, „საკუთარ ქვეყანაში“ ვერაფრით მოითმენდნენ სამეფო ხელისუფლების ერთგულ თანაგამზრახ და, ამდენად, მათთვის სახიფათო ძალას, რაც, მიგვაჩნია, გურკლელთა სახლის ამოვარდნის მთავარ გარემოებად იქცა. ვთვლით, რომ ჯაყელთა სახლის პოლიტიკურ მისწრაფებათა თვალსაწიერში სათანადო ფასი უნდა სდებოდა სტრატეგიულად საგულისხმიერო ჩვენს ხეო-

ბას, სადაც თავს იყრის იმერეთიდან, „დიმ-ფერსათ-ბაღდათის“ გამოვლით, სამცხისაკენ „ხანითა და ხანისწყლით ციხის ჯვარზე“, ასევე, „ლომსიათხევით, შემდეგ საკრაულასწყლით და ქედებით ლომსიასკენ...“ მომავალი გზები (ბერძენიშვილი 2000, 44); ამდენად და ამიტომაც საეჭვოა პირველობა-გამთავრების მოსწრაფე ჯაყელებს საკუთარი ნებით გაეჩინათ აქ პოტენციური მეტოქე, მით უფრო, მხარგრძელთა ღირსსაცნობი გვარის ჩამომავალთა სახით, – ზაქარია ავაგის ასული ხუაშაგის „ქეობით“ ხომ ათაბაგთა მონადევარი იყო, თვითონაც, „ასწლოვანი მატიანით“ ეს დასტურდება, საკმაოდ აღიარებული და გავლენიანი. საკითხის ამ კონტექსტით განხილვა, ვოვლით, ყურადსაღებია, რაც შ. მესხიას მოსაზრებას რეზონულობას უკარგავს, მით უფრო, ეკლესიის დათარიღებისთვის მეტად ღირებულ და პრინციპულ გარემოებასთან ერთად, რასაც ნაწილობრივ უკვე შევხებით, ხოლო, ქვემოთ საგანგებოდ გამოვყოფთ.

მანამდე კი, ასე ვთქვათ, გზად, ბიეთის წარწერის ხ~შახლოშაქის ჩამომავლობის ახლებურ, რ. გოგოლაურის შემოთავაზებულ ინტერპრეტაციაზე შეეხერხებით, რომლითაც ეკლესიის ქტიტორად „შანშე I მანდატურთუხუცესის (ივანე ათაბაგის ძმის ზაქარია ამირსპასალარის და მანდატურთუხუცესის ძე, გ.კ.) შვილის ზაქარია ამირსპასალარის ქალიშვილი ხოშაქი“ მიიჩნევა, „თავის ბების შანშე I-ის მეუღლის მოსახელე“ (გოგოლაური 2016). მეცნიერმა კირაკოს განძაკეცის ცნობა იმის თაობაზე, რომ შანშეს ძე ზაქარია ამირსპასალარს ცოლად ოღთისის მფლობელ სარგისის ასული ესვა (Гандзакеци 1976, 198), შეუფარდა გ. კალანდიასა და ქ. ასათიანის მიერ ქობერში გამოვლენილი ერთი საფლავის ქვის წარწერას, სადაც, თითქოს, იკითხება: – „[სა]რდლისა ჯაყელისა ასულსა რუსუდანს შეუნდოს ღმერთმან“ (კალანდია, ასათიანი 2012, 179), – და ივარაუდა, რომ ზაქარია ამირსპასალარის მეუღლე იყო რუსუდანი, ასული სარგის ჯაყელისა, რომელსაც მამამ მზითვად უწყალობა წინუბნის, იმდროინდელი ნომენკლატურით, გურკლის (ვახუშტისთან, იგივე, აბანოს) ხევი, გურკლელ დიდებულთა მამული, საიმდროოდ, ავტორის ვარაუდით, ჯაყელთა სამკვიდრო საკუთრება. ხოლო, ამ „რუ-

სუდანის გარდაცვალების შემდეგ მისი ქალიშვილი ხოშაქი თავის შვილთან (ასეა ბიეთის წარწერაში) გადმოდის ნამზითვ მამულ გურკელში და აქ აშენებს ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიას. შესაძლებლად მიგვაჩნია ხოშაქიც ბიეთის მონასტერში იყოს დაკრძალული“. „ბიეთის მამულებელი“ ეს „ხოშაქხოშაქი“ კი, „XIII–XIV სს. მოღვაწე უნდა იყოს“, – ასეთია მკვლევარის ჰიპოთეტური დანასკვი ეკლესიის ქტიტორის ვინაობისა და მშენებლობის დროის შესახებ (გოგოლაური 2016).

წარმოდგენილ თვალსაზრისთან დაკავშირებით აუცილებელია ითქვას:

პირველი, – წყაროებით უცნობია შანშე I-ის ძე ზაქარია ამირსპასალარის შვილი ხოშაქი, რასაც თავად მკვლევარიც აღნიშნავს: „ამის შესაბამისი ცნობა (იგულისხმება ინფორმაცია ზაქარია ამირსპასალარის შვილის ხოშაქის შესახებ, გ.კ.) დაცული არ არის არც ქართულ და არც უცხოურ წყაროებში. ეს არის ჩვენეული ვარაუდი“ (გოგოლაური 2016);

მეორე – როგორც აღმოჩნდა, რუსუდანის პიროვნებასთან დაკავშირებით მეცნიერი დაეყრდნო ქობერის საფლავის ზედწარწერის ზემომოყვანილ უჯერო პუბლიკაციას, ხოლო, ზუსტი ტექსტი ამ ეპიტაფიისა ასე იკითხება: –

„წ. ესე საფლ(ა)გი დღდღსა პ(ა)ტრ(ო)ნისა შ(ა)პ(ა)ნშ(ა)ს ძის | [ზაქ]ა[რი]ა ამი(რ)სპ(ა)ს(ა)-ლ(არ)ის გ{ა}სრდ{ი}ლისა, ჯ{ა}ყ{ე}ლისა ასულ(ი)სა რ(უ)ს(უ)დ(ა)ნ(ი)ს(ი), შ(ე)უნდვენ | ღ(მერ-თმა)ნ“ – (ჯოჯუა, გავოშიძე 2012-13, 275-276).

შანშეს ძე ზაქარია ამირსპასალარის მეუღლის სახელიშვილობის თაობაზე კირაკოს განძაკეცის ცნობას თუ ამ ეპიტაფიას შევუჯერებთ, გამოდის, რომ ზაქარიას მამულში აღზრდილა მისი მეუღლის, სარგის ჯაყელის ასულის, ახლო ნათესავი (ალბათ, და) რუსუდანი, რომელიც იქვე, ქობერში დაუკრძალავთ; ეს უკანასკნელი გარემოება, რასაკვირველია, ვერ აბათილებს რ. გოგოლაურის ვარაუდს ბიეთის და მისი შემოგარენის „სამზითვე მამულად“ გადაქცევის თაობაზე, მაგრამ აქ სხვა დაბრკოლება იჩენს თავს; კერძოდ, როგორც მკვლევარი თვლის, „გურკელეთა

მამული სოფ. გურკელთან ერთად“, სადაც, ვიმეორებთ, მდებარეობს ბიეთი, სამცხის ხასინჯუდ აღიარების, ეი. 1266 წ. შემდეგ დაიჭირა „გაძლიერებულმა ჯაყელთა სახელმა“ (გოგოლაური 2015, 622), თუმცა, „ასწლოვან მატიანეში“ ჰულაგუ-ხანისაგან რუმის გამგებლად დადგენილი მონ აღ-დინ ფარვანას შესახებ დაცული ინფორმაცია გვაფიქრებინებს, რომ ეს უფრო გვიანდელი ამბავია: – „მათ ქამთა იწყო ყაენმან აბალა ბრძოლად მეგუპტელთა მთავარსა... მიუმცნო სულტანსა საბერძნეთისასა ფარვანას“, რომელსაც „მიეცა სულტნობა, და ცოლიცა მისი და ასული რუსუდანისა, გურჯი ხათუნ, მიეყვანა ცოლად და მას აქუნდა ყოველი პონტო, ასია და კაპადუკია. ამას მიუმცნო ყაენმან, რათა შეეწიოს სპათა მისთა“; დამარცხდნენ აბალასნი „შეასმინეს სულთანი საბერძნეთისა ფარვანა“ ყაენს, „შეიპყრეს ფარვანა, დაღათუ არა ენება აბალას მოკვლა მისი, არამედ ნონთა მოაკვდინეს ფარვანა... და წარუღეს აწყურეი სამცხეს, რომელი ჰქონდა ფარვანას ცოლელთაგან, და უბოძეს ჯაყელსა სარგისს და ძესა მისს, ბექას“ (ქამთააღმწერელი 1987, 160); წყაროს „აწყური სამცხეს“, ციხე-ქალაქი და მისი შესავალი, მემატიანის ცნობით, ჯაყელებს ფარვანას დასჯის შემდეგ (1277 წ.) გადასცემიათ, ვფიქრობთ, ამის შემდეგ უნდა გააქტიურებულიყო ჯაყელთა „შეტევა“ მეზობლად მდებარე გურკელთა მამულზე (სადაც ბიეთია), თუმცა, ეს ცალკე საკითხია. ჩვენთვის მთავარი ისაა, რომ სამცხის, მისი შემავალი გურკლის (იგივე აბანოს ან წინუბნის) ხევის, ულუსიანად ქცევისას ზაქარია ამირსპასალარი უკვე რამდენიმე წლის აღსრულებული იყო († 1261 წ.). სარგის ჯაყელი, მაშასადამე, ზაქარიას ვერ გადასცემდა „სამზითვოდ“ იმას, რაც მას ჯერ არ ებადა; ლაშას გამეფებამდე და მის შემდეგ, თითქმის, XIII საუკუნის მიწურულამდე ხეობა გურკელთა მამულსამკვიდრებელია, რასაც წყაროები გვიმოწმებენ.

ხოლო, მხარგრძელთა და გურკელთა სახლების ნათესაური ურთიერთობა ქობერის მონასტრის ეზოში გამოვლენილი სხვა ეპიტაფიით მართლაც დასტურდება – „ქ. ესე ს(ა)ფლ(ა)ვი ივ(ა)ნე მ(ა)ნდ(ა)ტ(უ)რთ(უ)ხ(უ)ც(ე)სისა ას(უ)ლისა და გურკენელისა ს(უ)ლას მეუღლისა |

თამ(ა)რისი, შ(ეუნდვენ) ღ(მერთმან)“ (ჯოჯუა, გავომიძე 2012/13, 274). XIII-XIV სს. მოღვაწე სულა გურკლელის ქორწინებას მანდატურთუხუცეს ივანე II მხარგრძელის ასულზე, ამ დიდებულ სახლთა ურთიერთგანწყობის ამსახველს, ჩანს, წინარე ისტორია აპირობებდა – ივანე II მანდატურთუხუცესის მამა მხარგრძელი შანშე I, მანდატურთუხუცესის სახელს ფლობდა სწორედ მაშინ, როცა „სულა გურკლელის ერთ-ერთ ახლო წინაპარს“, ბეშქენ გურკლელ მახუნჯავის ძეს ეჭირა „ამირეჯობის ანუ მანდატურთუხუცესის თანაშემწის თანამდებობა“ (ჯოჯუა, გავომიძე 2012/13, 275), მაგრამ არც ეს გარემოება არის საკმარისი, ვივარაუდოთ გურკლელთა მამულზე მხარგრძელთა მოსვლა (სხვათა შორის, შ. მესხიას მოსაზრების გამყარებელ არგუმენტად თ. ჩიკვაიძე თავის სამეცნიერო-პოპულარულ წერილში სწორედ ამ ეპიტაფიას იმოწმებს, იხ. ჩიკვაიძე 2016).

ჟამთააღმწერლით „ამან ოღჯათ სულტანმან წარმოავლინა მცირე გიორგი მეფედ“, რომლის თანამდგომელთა შორის დასახელებულია „ზაქარია ავაგის ასულის ხუაშაქის ნაშობი“ (ჟამთააღმწერელი, 1982, 219). ამასთან დაკავშირებით, რ. გოგოლაური ფიქრობს, რომ „აქ ნახსენები ავაგი არ უნდა გავაიგივოთ ივანე ათაბაგის ძე ავაგ სარგისში“, წინააღმდეგ შემთხვევაში, მკვლევარის აზრით, გაუგებარია ავაგ-სარგისის ასულს ხუაშაქს „რატომ არ უნდა დაერქვა თავისი შვილისთვის პაპის სახელი ავაგი, ან თუნდაც დიდი პაპის ივანეს (ათაბაგი, მანდატურთუხუცესი, სპასალარი) სახელი“. მატიანის ეს პასაჟი, მისი აზრით, „ჟამთააღმწერლის ან კიდევ გადამწერთა შეცდომების წყალობით დამახიჯებული სახით“ მოვიდა ჩვენამდე. ხოლო, ნახსენები ავაგი არის „ამირსპასალარ-მანდატურთუხუცესი ავაგ სარგისი შანშეს ძე, რომელიც ბიძა იყო ხუაშაქ ზაქარიას ასულისა, ... ზაქარია და მისი მამა შანშე ერთსა და იმავე წელს (1261) გარდაიცვალნენ. ცხადია, მცირეწლოვანი ძმისშვილის (ხუაშაქი) აღზრდა ავაგ სარგისს უნდა ეკისრა და მისი ეს მამობრივი მზრუნველობის anarekli აისახა კიდევ ჟამთააღმწერელთან“ (გოგოლაური 1916).



ჩვენთვის გაუგებარია, რატომ უნდა ჩაითვალოს ეს ადგილი მატიანის ავტორის ან, თუნდაც, გადამწერთა „შეცდომად“ მაშინ, როცა არსად, არც ერთ წყაროში მინიშნებაც კი არ არის ზაქარიას ასულ ხუაშაქზე, „... ეს არის ჩვენეული ვარაუდი“-ო, თვითონვე ხაზსასმით მიუთითებს მეცნიერი, რომელ ვარაუდიდანაც გამოჰყავს ამ სავარაუდო ხუაშაქის ასევე სავარაუდო ძე ზაქარიასთან დაკავშირებული მთელი ისტორია, სამცხეში, სარგის ჯაყელის კარზე, მეფე გიორგი V-სთან მისი, ამ სავარაუდო ზაქარიას, „თანშეზრდილობისა“.

უამთააღმწერელი, რომელსაც „არას დროს ავიწყდება სად რა უნდა სთქვას“ (ჯავახიშვილი, 1977, 260), სავსებით რეალურ პიროვნებებზე, რეალურ-ისტორიულ სიტუაციებში, საუბრობს, ახსენებს რა ტახტზე ახლადდამტკიცებული მეფის მოსაგრეთ, ხაზგასმით მიათითებს კონკრეტულ პიროვნებებზე – „რათა ყოველი საქართველო ერთად შეკრიბონ მეფობასა შინა გიორგისსა, და აჩინეს ამათ შანშე მკარგრძელი და ზაქარია, ავაგის ასულის ხუაშაგის ნაშობი“ (უამთააღმწერელი, 1957, 324). იმის ახსენლად კი, რატომ შეარქვა ხოშაქ ავაგის ასულმა შვილს ზაქარია და არა მამის, ან უფრო სახელოვანი პაპის, ივანე ათაბაგის, სახელი, კირაკოს განძაკეცის ერთი ცნობის გახსენება გემართებს (მოგვაქვს შ. მესხიას მიხედვით): „ამის შემდეგ მალე გარდაიცვალა ავაგი და დამარხეს პლძაჰანში, თავისი მამის საძვალეში. სამფლობელო მისი გადაეცა ზაქარეს, შანშეს ძეს, ავაგის ბიძაშვილს, რაკი ავაგს არ ჰყავდა შვილი, გარდა ერთი მცირეწლოვანი გოგოსი“ (მესხია, 1979, 260). ამ ზაქარიას მამა შანშა, იგივე შაჰან-შაჰი, სახელოვანი ზაქარია მხარგრძელის, სავარაუდოდ, „უკანონო შვილი, ანდა შვილობილი“, მამის გარდაცვალების შემდეგ ივანე ათაბაგის ოჯახში „შვილივით“ აღზარდა, – „სომხურ და ასევე ქართულ წარწერებში, სადაც კი ივანე და ხოშაქი ერთად იხსენიებიან, ისინი შანშესაც, ავაგ-სარგისთან ერთად, საკუთარ შვილად მოიხსენიებენ... ანისის ერთ-ერთ წარწერაში კი თითქოს საგანგებოდ, ივანე და ხოშაქი ქრისტეს შესთხოვენ დღეგრძელობას „საკუთარი შვილისა ჩვენისა მანდატურთუხუცეისა შაჰან-შაჰის და ამირსპასა-

ლარისა ავაგისა“ (მესხია, 1979, 268); ქართული გამზრდელ-გაზრდილობის ინსტიტუტის მორალურ-ეთიკური ასპექტების გათვალისწინებით რა უჩვეულო და საკვირალია შანშეს ძე ზაქარიას ისეთი პატივი და ამაგი გაელო დაობლებული „პატარა“ ხოშაქის მიმართ, რომლის პატრონადაც შექმნილიყო იგი ბიძის ავაგ-სარგისის გარდაცვალების შემდეგ, ხოლო, ხუაშაქს სწორედაც კეთილმზრუნველი გამზრდელისადმი რიდისა და მადლიერების ნიშნად შვილისთვის ზაქარია ეწოდებინა. პირიქით, თუკი ჩვენი ვარაუდი სწორია, ხუაშაქი გამზრდელ-გაზრდილობის იდეამადლით მოსილ პირად წარმოგვიდგება, პატრონის, ბიძა გამზრდელის მიმართ სათანადო პატივის მიმგებ-დამფასებლად (ზედმეტად ვთვლით მითითებას გამზრდელ-გაზრდილობის უფლება-მოვალეობებით გაწონასწორებული ტრადიციის ჩამომავლობა-სისხლ-ხორცობაზე არანაკლებ, თუ არ აღმატებულ, ხარისხზე, მის მორალური სახეზე).

აქ შევჩერდებით, იმის ხაზგასმით, რომ ორივე ზემომოტანილი თვალსაზრისი (ცალკერძ შ. მესხიასი, ცალკერძ რ. გოგოლაურისა), მათს არგუმენტაცია-საბუთიანობაზე, ისტორიულ ლოგიკასა და პერსპექტივაზე რომ არაფერი ვთქვათ, სრულად უგულვებლყოფს ერთ პრინციპულ გარემოებას, ძეგლის დათარიღებისთვის, არ გაავაზვიადებთ თუ ვიტყვი, ამოსავალი ღირებულების მქონეს – საყდრის ხუროთმოძღვრულ-ხელოვნებათმცოდნეობითს მხარეს.

ვ. ბერიძემ, ზემოთ ეს ითქვა, ბიეთის საყდრის არქიტექტურული ანალიზის შედეგად წარმოაჩინა, რომ ძეგლი „პირველი შეხედვითვე“ განსხვავდება „საფარისა, ზარზმისა და ჭულისაგან“ და უფრო გვიანდელ ეპოქას განეკუთვნება. მეცნიერის დასკვნით, გუმბათის ყელი, მისი ექვსი ნამდვილი და ექვსი ცრუ სარკმელი, განსაკუთრებით კი „გუმბათის პროპორციებიც და მისი შეფარდება შენობის ქვედა ტანთან საკმარისია იმის დასანახად, რომ: ა) ტაძარი არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება XII –XIII სს. იყოს; ბ) რომ იგი წინათ განხილულ ძეგლებთან შედარებით ევოლუციის მომდევნო საფეხურზე დგას“ (ბერიძე, 1955, 159; აქ მეცნიერი საფარას, ზარზმასა და ჭულეს გულისხმობს, ეს უკანასკნელი კი, 1381 წლისათვის, როცა მი-

სი მოხატვა დაუსრულებიათ, „ახლად აგებული“ უნდა ყოფილიყო. გ. კ.). ბიეთის საყდარი საგულისხმიერო ნიმუშია „ჩვენი ხუროთმოძღვრების ევოლუციისა XIII–XIV საუკუნეთა ეპოქაში“, რომელიც „პრინციპულად აგრძელებს“ საფარას, ზარზმასა და ჭულეში გამოვლენილ ხუროთმოძღვრულ ხაზს.

საბოლოოდ, ჩვენ მართებულად მიგვაჩნია და ვიმეორებთ ვ. ბერიძის თვალსაზრისს, რომლის მიხედვითაც საყდრის დათარიღებისას „სწორი იქნება, თუ შედარებით ფართო ფარგლებით დაეკმაყოფილდებით და **ბიეთის თარიღად XIV საუკუნის მიწურულს დავდებთ**“ (ბერიძე, 1955, 164; ხაზი ავტორისაა, გ.კ.). ხაზგასასმელია, რომ მკვლევარის ეს, ტაძრის ხუროთმოძღვრულ მხარეზე დამყარებული დასკვნა სრულად არის გაზიარებული თანამედროვე სპეციალურ ლიტერატურაში (მარსაგიშვილი, 2013, 653), რასაც ამაგრებს ბიეთის მოხატულობის ხელოვნებათმცოდნეობითი ანალიზიც, „სტილის ნიშნებით“ იმის მიმანიშნებელი, რომ „ტაძარი უნდა მოეხატათ XIV საუკუნის შუა წლებში, ან, შესაძლოა, II ნახევარში“ (ბურჭულაძე, 2013, 661).

და ბოლოს, ერთგვარი დასკვნის სახით ვიტყვით, რომ გაუმართლებელია ბიეთის ეკლესიის ქტიტორის და თარიღის დასადგენად ძეგლის ხუროთმოძღვრულ-ხელოვნებათმცოდნეობითი მხარის სრული იგნორირება და მხოლოდ ირიბი, სააღბათო, ლოგიკურ დაშვებებზე დამყარებული არგუმენტებით ოპერირება. რაც შეეხება ქტიტორის ვინაობას, ისღა ითქმის, რომ, სამწუხაროდ, საამდროო ცოდნა არ იძლევა საშუალებას დავაზუსტოთ მისი პიროვნება, ასე, რომ „ნში“ სახელის ქვეშ ნაგულისხმები პერსონის ამოცნობა კვლავაც მომავლის საქმედ რჩება. დანამდვილებით კი მხოლოდ ის ვუწყით, რომ თვით სახელი ხუაშაქსვაშაქი საკმაოდ გავრცელებული ყოფილა ძველ საქართველოში.

**AGAIN ABOUT THE IDENTITY OF THE BUILDER OF  
SAMTSKHE BIETI**

The article discusses the various opinions, expressed in Georgian historiography, regarding the identity of the builder of “Biēti” church, which is located in Samtskhe. There is an opinion, that it is not possible to identify the builder according to the inscription. And, the construction time of the cathedral should be set at the end of the 14th century, as it is mentioned by Varkhang Beridze.

**დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:**

- ბაქრაძე 1885; დ. ბაქრაძე, ვ. ბატონიშვილის „საქართველოს ისტორია“, წ. I, შენიშვნები, ტფ., 1885.
- ბერიძე, 1955; ვ. ბერიძე, სამცხის ხუროთმოძღვრება, თბ., 1955.
- ბოჭორიძე, 1992; ვ. ბოჭორიძე, მოგზაურობა სამცხე-ჯავახეთში, თბ., 1992.
- ბურჭულაძე, 2013; ნ. ბურჭულაძე, ბიეთის ყოვლადწმინდა დეოთიშობლის ეკლესიის მოხატულობა, კრ. ახალციხისა და ტაო-კლარჯეთის ეპარქია, თბ., 2013.
- გოგოლაური, 2016; რ. გოგოლაური, ბიეთის ქტიტორ ხუაშაქის ვინაობის საკითხისათვის, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მეცხრე საერთაშორისო კონფერენცია, გორი, 2016.
- ისტორიანი 1959; „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“, კრ. „ქართლის ცხოვრება“, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტომი II, თბ. 1959.
- კალანდია, ასათიანი 2012; ვ. კალანდია, ქ. ასათიანი, ქობერის I და II სამეცნიერო ექსპედიციის პირველადი შე-

- დეგები (საინფორმაციო მიმოხილვა), კრ. საისტორიო კრებული 2 წელიწადეული, თბ., 2012.
- კუტალაძე, 2007; გ. კუტალაძე, ბიეთი, თბ., 2007.
- მარსაგიშვილი, 2013; გ. მარსაგიშვილი, ბიეთის ყოველდღეობა და ღვთისმშობლის ეკლესია, კრ. ახალციხისა და ტაო-კლარჯეთის ეპარქია, თბ., 2013.
- მესხია, 1979; შ. მესხია, საშინაო პოლიტიკური ვითარება და სამოხელეო წყობა XII საუკუნის საქართველოში, თბ., 1979.
- ჩიკვაძე 2016; თ. ჩიკვაძე, მნიშვნელოვანი სიახლე ბიეთის ეკლესიის შესახებ, გაზ. „ლიტერატურული მესხეთი“ №209მაისი 2016.
- ქამთააღმწერელი, 1987; ქამთააღმწერელი, ასწლოვანი მატრიანე, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შენიშვნები და ლექსიკონი დაურთო ზ. კიკნაძემ, თბ., 1987.
- ჯავახიშვილი 1977; ი. ჯავახიშვილი, ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლა, ქამთააღმწერელი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტომი VIII, თბ., 1977.
- ჯოჯუა, გაგოშიძე 2012/13; თ. ჯოჯუა, გ. გაგოშიძე, ქობაირის, ჰნევეანქისა და ახტალის მონასტრების ქართული ლაპიდარული წარწერები, კრ. ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის შრომები XII-XIII, თბ. 2012/13.
- კალანდია, ასათიანი 2012; გ. კალანდია, ქ. ასათიანი, ქობერის I და II სამეცნიერო ექსპედიციის პირველადი შედეგები (საინფორმაციო მიმოხილვა), კრ. საისტორიო კრებული 2 წელიწადეული, თბ., 2012.
- Такайшвили, Материали по археологии Кавказа, С. П., 1909.

NINO GHAMBASHIDZE

**THE “PILGRIMAGE” OF THE DECEASED SOULS TO THE  
WORLD OF HUMANS – AN EXAMPLE OF DEALING WITH  
TRAUMA OF DEATH IN GEORGIAN TRADITION**

New Year festival for Georgians as for many other nations may represent the mythological picture, the mystery of the world creation, the ritualised worldview of the beginning of the world existence. The basis of this worldview can be the belief that death (dead nature) leads the evolution and the existence to the deadlock. Thus, the supreme creature, the Creator of the universe, who gave the birth to the world with the act of creation, must interfere. He, God, must breathe life into the dead, chaotic nature and turn it into the ordered cosmos, which is followed by chaos again. Thus, death is life and life is death. They are the meeting points of the circle, the point where time, action, existence start and end at the same time. So is the New Year itself, which gives birth to life from death and where death is for giving birth to life; the new Year cycle which consists of three main festivals: Christmas, New Year and Epiphany. Georgian word for festival is *dghesastsauli* (lit. the day of miracle). Why it may be a day of miracle? or what miracle this word speaks about? In our opinion it means that the “doors” of visible and invisible, celestial, nether or human worlds are open and there is primordial chaos, timeless and spaceless. Living or dead, celestial and earthly are intermixed, the evil souls are most active and the universe requires order. This crucial period for the universe needs to be ordered by miracle, which is performed by ritual. Thus, on this very period there are the days of creation miracle. As one of the main feast days of the New Year cycle the act of creation is performed on the Epiphany as well. Mythologically on this day one of the four elements - the water, and the underworld are created, which can be very well seen in the Georgian folk rituals. The connections of the underworld and water with the Epiphany bring to the front stage the cult of ancestors. As it is well known, the baptism itself-

submerging into the water - spiritual death and emerging - spiritual purification and birth devotedly is linked with the essence of the Epiphany, with the permanent idea of death and life.

On Epiphany one of the most mysterious festivals of Georgian folk calendar *Lipaaanali* is held in Svaneti. This is the day when souls of death visit humans on the earth or in *Samzeo*-the world under the sun; the day when dead return to their families; when humans spiritually can meet again their missed, beloved family members. It is a kind of “pilgrimage”, as I call it, from the underworld to the earth; from the realm of death to the realm of living beings.

In Upper Savneti *Lipanaali* was celebrated between the first Sunday after 5/18 January and the following Monday in Kvemo Svaneti on *Bosloba*, in spring. People believed that on this day the souls of the dead visited the families. For *Lipaaanali* the family drew various figures, things, crosses, stars, etc. everywhere – on the walls, ware, and furniture with flour mixed in water (or holy water) or charcoal. In some places these were drawn on the first day of *Lipaaanali* or *adgomi* (5/18 January), in other places – on the second day, Epiphany. They would throw finger in the mix of charcoal or flour with water and draw. This was mainly done by the eldest woman or women of the family. If there was no elderly woman in the family, head of the family would do this; or the oldest daughter if there was no head of the family. Later children drew the figures with chalk. Women would draw dots and crosses on the hands and faces of all family members with the mixture of pounded charcoal with water. The eldest woman of the family would also model *batsiki* – ritual figurines of animals from wax or fresh cheese and bake ritual bread.

The Svans believed that *Lipaaanali* drawings would amuse the souls visiting the family. Some said that they were useful for the dead, according to others the drawings were made for the reproduction of cattle and family’s property.

This day was called *adgom* or Easter, because in the Svans’ opinion on *Lipaaanal* the dead rose from tombs, as on Easter, and visited their families. For this day the family would thoroughly wash the ware, eat nothing all day, and have wheat porridge – *chanti* for supper. Like religious calendar the Svans would keep heavy fast. Before dinner table was laid with fasting food and candles were lit. Head of the family and all family members stood at the table. The

head would list all the dead of the family, ask God for their forgiveness, and ask the dead to bring happiness to the family, not to take any family member, on his part, promised a more abundant table next year. After this the family would kneel together with the head of the family and entreat the God to forgive the sins to the dead. Next day they offered sacrifice. The table was blessed before breakfast and supper every day during *Lipaanali*. On the day when the dead were seen off, the family would get up early, before dawn. Women would bake bread of different shapes, size and function from wheat flour. In people's belief one type of the bread embodied stairs and was baked specially for the lame dead, to make it easier for them to come down to the earth, another type was children's ritual bread, a pedestal for them to stand on in this world and see the Lord. The function of the third type of bread is unknown. The table was laid where together with other food, the afore-mentioned types of bread, drinks and candles were put. The family members stood away from the table behind the head of the family. There was dead silence at this time. People believed that the souls of the dead were sitting at the table together with them. Only head of the family broke the silence, he addressed the souls and entreated abundance and health for the family, asked them kindly to return next year. On his part he promised those in this world would ask Jesus Christ to allow them sit at his table. Then the family head would go to the table and kneel. So did the other family members. Then everyone would stand up and go to their initial places. The family head would name the deceased close relatives and entreat mercy for them. Then they would kneel again and pray for distant relatives, head of the family would put the table in the middle of the room and asked the souls to return to the other world, begged Christ not to punish the family and not to take a family member away from this world and promised to host him more generously next year. Finally head of the family would noiselessly take the table out. A member of the family would lead him lighting his path. Sometimes it happened that the man walking on the road carried ritual food and a candle. On the way, he spilt milk with honey on the ground and go down on one knee. People believed that the souls would return to their dwelling. The souls should be seen off before sunrise.<sup>2</sup> The feeling of

---

<sup>2</sup> Vera Bardavelidze, "*Kartuli (Svanuri) grapikuli khelovnebis nimushebi*"



presence of the deceased was so strong that it was often difficult for the family to part with them. People tell that according to legend in the past people even saw the deceased visiting the family. Once mother “touched” the soul of her deceased son to make him stay in this world. People say that after that the souls do not show themselves to the alive any more.

People believe that soul and God are the same; the soul should be worshipped as God.<sup>3</sup>

Similar holiday is encountered in the spring cycle of Georgian folk calendar.

On the second Thursday of Lent, *Erumsaletoba* – commemoration day for the deceased was celebrated in Tusheti. Unlike Giorgi Tsotsanidze and Giorgi Bochoridze, Sergi Makalatia refers to first Thursday of Lent as the date for this celebration, which, according to him is the day of *Sultakrepa*.<sup>4</sup>

In Tusheti on this day every family would bake a big loaf of bread, fry grains, cook beans, light candles and put a litre of *araki* (vodka) on the table before the sunrise. Commemorative toast for the deceased was drunk with vodka. In people’s opinion the bread for this occasion had to be as big as possible, as it had to be rolled to Jerusalem and open the door of Jerusalem. On the one hand, it “had to reach the dead” and on the other hand, it would help the deceased get to their families and gather there for *Sultakrepa*. “The deceased would see the Sun” and “The deceased would come for *Erumsaletoba*”<sup>5</sup>

---

[Samples of Georgian (Svan) Graphic Art] (Tbilisi: Publishing house of the Academy of Sciences of Georgian Soviet Social Republic, 1953), 59 -64 and “*Drevneishie religioznie verovania i obriadovoe graficheskoe isskustvo gruzinskikh plemion*” [Graphic Art of Ancient Religious Beliefs and Rituals of Georgian Tribes], (Tbilisi: Caucasian House, 2007), 105-106; Nino Ghambashidze, “*Kartuli khalkhuri da saeklesio dghesascaulebi*” [Georgian Folk and Church Festivals], (Tbilis:Tsitsinatela, 2011), 170-171.

<sup>3</sup> <https://www.youtube.com/watch?v=x6teHhJtd8I>, retrieved in 09.01.2018

<sup>4</sup> Giorgi Tsotsanidze, “Giorgobidan giorgobamde” [From Giorgoba to Giorgoba], (Tbilisi: Sabchota Sakartvelo, 1987), 88; Giorgi Bochoridze, Tusheti (ed. Nanuli Azikuri; Tbilisi:Metsniereba, 1993), 307-308; Sergi Makalatia, Tusheti (Tbilisi:Nakaduli, 1983), 187-188.

<sup>5</sup> Ibid, Bochoridze, 307.

Before sunrise morning, head of the family would walk *bichoni* bread three times around the hearth, pray for the safe return home and safe coming of the deceased from Jerusalem to the house. After sunrise the table was taken out of the house, the bread was cut and given to everyone.<sup>6</sup> According to other source on *Erumsaletoba* the family would cut the bread into two, one part was eaten that day and the other part was kept for *Sultakrepa*. Those who had recently deceased, would cut the bread into small pieces and would distribute together with a bowl of *bichoni* to the neighbours.<sup>7</sup>

Saturday *Sultakrepa* (-gathering of the passed away souls) of the same week was one of the greatest and most important commemoration days for the deceased not only in Tusheti, but in other parts of East Georgian highland regions as well. As far as the holiday was during Lent, each family prepared only fasting food.

According to Dali Giorgadze, who studied *Sultakrepa* holiday in Georgia there is much common between *Sultakrepa* and *Lipaanali*, which as she says was related to the cult of deceased and revival of natural and aimed at ensuring the family's well-being and abundance of crops."<sup>8</sup> We think that, people may have had exactly the same attitude to Tushetian *Erumsaletoba* as to *Lipaanal* which people called *Adgom* or *Aghdgoma* (Easter) as they believed that the deceased would get out of tombs as at Easter and gather in their families and communities.

The study has shown that *Erumsaletoba-Sultakrebai* is one holiday comprised of three days for the deceased.<sup>9</sup>

In people's beliefs on this day *Erumsaletoba* the live mystically opened the door of the other world for the deceased via ritual bread or the ritual, i.e. with God's help and prayed for their safe arrival to their

---

<sup>6</sup> Ibid, Makalatia, 187.

<sup>7</sup> Ibid, Tsotsanidze.

<sup>8</sup> Dali Giorgadze, *Dakrdzalvisa da glovis tsesebi sakartveloshi* ["Customs of Funeral and Mourning in Georgia"] (Tbilisi: *Metsniereba*, 1987), 64-65.

<sup>9</sup> Nino Ghambashidze, "*Erumsaletoba*"-mitsvalebulta mosaxsenebeli dghe tushetshi ["*Erumsaletoba*"-Memorial Day of the Deceased Souls in Tusheti], in journal *Religia*, 1(2010), 95.

earthly house and gathering in the same house with the alive on *Sultakrepa* day.<sup>10</sup>

We cannot disagree with Dali Giorgadze, who sees the similarity between *Lipaanali* and *Sultakrepa*.<sup>11</sup> If *Lipaanali* was part of the holiday of New Year, beginning of annual calendar, renewal of the world and creation again, *Sultakrepa* is the spring holiday for resurrection and birth-revival. *Erumsaletoba-Sultakrepa* is a syncretic folk holiday, in which pre-Christian and Christian viewpoints and beliefs of death-revival, fertility-abundance got interconnected via the cult of the deceased. Got connected with Fast – one of the most basic norms of religious mode of life, moreover with – Lent the preparation period for Easter - one of the most important days in Orthodox Liturgical practice.<sup>12</sup>

With their Christian layer the afore-mentioned two holidays, are related to Easter and its essence in people's belief in the case of *Lipaanali* and calendarily as well, in the case of *Erumsaletoba-Sultakrepa*. However, proceeding from the theological meaning of Epiphany one cannot be granted the eternal bliss and rebirth without killing old Adam in Christ via Baptism.

Why was the other world in Jerusalem for the Tushetians? In our opinion such viewpoint may be related to the tomb of Jesus and his resurrection; the story from the Gospel when Jesus rolled away the stone and rose from the dead; that after resurrection, by going down to Hell the Lord smashed its doors and released, saved the souls of the dead. What the miraculous emanation of the Holy Fire every year at the Church of the Holy Sepulcher in Jerusalem on Great Saturday reminds of. Besides, the deceased interred next to Jesus Christ in Jerusalem created united realm in the other world, where they are granted eternal grace of the Lord. Here we should remember Eliade's reference to the story of St. Ambrosius of Milan, when he interred his brother beside the saint hoping that holy blood would seep through the

---

<sup>10</sup> Ibid, Makalattia, 187.

<sup>11</sup> Ibid, Giorgadze, 64-65.

<sup>12</sup> S. V. Bulgakov, *Nastolnaia kniga dlia sviashchenno-cerkovno-sluzhitelei* [A Handbook for the Sacred-Church-Servants], (Moscow: Publishing house of the Moscow Patriarchy, 1993), 569.

saint's body and water him.<sup>14</sup> People believed that after three-days' "journey" or "pilgrimage"<sup>15</sup> the resurrected souls gathered in their houses on the third day of *Erumsaletoba* i.e. the second Saturday of Lent to participate together in the festive ritual when the "doors" of this and the other world were open; to defeat death by the ritual and experience eternal life.

The strive of the alive to communicate with the deceased, come close to them and feel these connections has deep psychological meaning and roots.

First of all it should be said that fear of death is known to be one of the fundamental feelings of a human. Fritz Riemann wrote: "It is an illusion to think that we can live without fear. Fear is a part of our existence and reflects thoughts about the inevitability of death".<sup>16</sup> According to Joseph Rheingold fear of death comprises the fear of non-existence and particularly destruction. The latter evokes alarm in human. Death is not thought of, but is imaginatively portrayed and sensed. For an individual the images and emotions attach meaning to death. Rheingold mentions that there are certain ties between death and love. For instance, reconnect with those whom one loved when he was alive, or sacrifice oneself to the homeland, family, friend, ideals. Consideration of the fact that man is mortal, is painful not only because he expects death, but also because this is what will happen to his dear ones, or even when a stranger dies. A man cannot tolerate death, because he wants his dear ones to be immortal. Death cannot break the faith of love. Rheingold refers to Berdyayev where he notes that a human has a burning desire to return life to everyone who he

---

<sup>14</sup> Mircea Eliade, *Mythologies of Death: An Introduction in Religious Encounters with Death. Insights from the History and Anthropology of Religion* (ed. Frank E. Reynolds and Earle H. Waugh), (University park and London: The Pennsylvania State University, 1977), 18-19.

<sup>15</sup> For Viktor Turner pilgrimage symbolically implies "dying", pilgrims are those in the condition of the deceased. Victor Turner, *Death and the Dead in the Pilgrimage Process*, in *Religious Encounters with Death. Insights from the History and Anthropology of Religion* (ed. Frank E. Reynolds and Earle H. Waugh), (University park and London: The Pennsylvania State University, 1977), 24.

loved. Parting makes human interpret death as a catastrophe, which is relieved by the hope of meeting the dear ones in the other world.

The fear and meaning of death has many sides for a man. Thus, in this paper proceeding from the research issue we will touch upon the religious aspect with a few words. According to Rheingold the only hope that life is insured in time is the hope that death does not mean disappearance, but is the beginning of new existence. The one which maintains the feeling that he is a personality. "It is true that faith in God, unselfish love, knowledge of nature's laws, ascetic mode of life and their philosophical interpretation does not annihilate fear, but helps to overcome it and possibly, even helps to use it in our favor" – Riemann notes and adds that "The only way is to fight against fear, and call for the opposite forces, such as courage, confidence, endurance, hope, obedience, faith and love in ourselves".<sup>17</sup> However Rheingold also notes that religion e.g. Christianity reinforced the fear of death and possibly actually initiated the fear of life in the other world. As some say<sup>18</sup> religion soothes man's fear of death, but more often aggravates it. Others think that fear is not natural and it emerged due to the religion of certain kind.

Rheingold notes that different cultures can be characterized as cultures that ignore death accept or reject it. Traditionally religion dictated the setting to the society. Due to various reasons (development of technologies, wars...) contemporary society became atheistic. The issue of death became a taboo for the people oriented to terrestrial life - the theme which should not be avoided or hidden. Today death is treated with reverent fear. In Fulton's<sup>20</sup> opinion, such state was determined by the changes in culture. Today, instead of traditional ignorance of death (belief in the other world life), it is denied. Rheingold

---

<sup>17</sup> Ibid, Riemann

<sup>18</sup> See Hall, G. Stanley, *A study of fears*, American Journal of Psychology, 8:147, 1896.

<sup>20</sup> See Fulton, Robert, and Geis, Gilbert. *Death and Social Values*. *Indian J. Soc. Res.* 3:7, 1962; reprinted in Fulton, Robert (Ed.) *Death and Identity* (New York: Wiley, 1965); Fulton, Robert, *Introduction to Part 1: Theoretical Discussions on Death*. In Fulton, Robert (Ed.), *Death and Identity* (New York: Wiley, 1965).

notes that in Tillich's<sup>21</sup> opinion the breakup of absolutism, development of liberalism and democracy, technical civilization provoked alarm. What was and is characteristic of an individual, became universal. This process emerges in the society when the usual structures of governance and faith are falling down. When such structures exist in the society an individual can manage alarm via well-experienced mechanisms. When the society undergoes strong changes, such mechanisms do not exist anymore.<sup>22</sup> We think that such changes often grossly damage the structures created over a long period of time, so that they cannot play a positive role in maintaining collective mental balance. This is why tradition should not be lost but should develop with new needs of the society or grow into something new, what the society needs. "...we have to see that twice so far in this century there has been a regression, brought about by the forces of evil in two world wars, which is a slap in the face for our age with its faith in progress. Under these circumstances we will have to look carefully at our faith in progress. Do we want to end up or should the world continue to get better and more perfect all the time? Better, that is, in the sense intended by those who believe in progress. We have to balance faith in progress with our duty to the past. People do not just live for the future but also from the past. The false Blut and Boden romanticism of the criminal period should not fool us into thinking that there is not genuine link to once's homeland and ancestors which is more than nostalgia for the "good old days". Thus, for example, we must stop the destruction of the European countryside through speculative development, and youth must be taught the traditions of history. A progress paid for with losses would indeed amount to a step backward".<sup>23</sup> – writes Karl Heinrich Fierz.

---

<sup>21</sup> See Paul Tillich, *The Courage to Be* (New Haven, Conn.: Yale University Press, 1952).

<sup>22</sup> Joseph C. Rheingold, "Mat, trevoga i smert. Kompleks tragicheskoi smerti" [The Mother, Anxiety, and Death: the Catastrophic Death Complex], (Moscow: Per Se, 2004).

<sup>23</sup> Analytical Psychology and Society: the Lost Symbol, or an Inquiry in to the Nature of Mass Psychology, in *Jungian Psychiatry* (Einsiedeln: Daimon Verlag, 1991), 393-394.

No culture considers death as mercy. It is a phenomenon born by a negative creature or resulted from a certain negative occurrence. However, death brings a new, spiritual state to a person and puts him in a new dimension. Death is the second birth, but unlike the first one, second birth should be realized through the ritual. The deceased should get a new identity through the ritual. Also via the ritual, his body should be treated so that it could not make a negative influence on the living by means of magic. As Eliade notes after being interpreted as a transition from one state to another death became paradigmatic model of all significant changes in human life. But, since after death a mortal is born for the second time and this time becomes the soul, this process, this spiritual transformation is manifested with the symbols and images associated with birth, rebirth, the resurrection. But as Eliade says all these rituals clearly show the love to the vitalized body and incarnated life. Eliade also mentions that we cannot understand the essence of death if it is not linked to any new form of existence.<sup>24</sup>

The strong instinct or impetus of birth-death-renewal uncontrollably shoved a human to unite death-life for eternal life and seek love-driven life in death. Via “pilgrimage” holidays, calling up transcendental forces, mythical images a human tried to open the door and create the unity of eternal life, instead of the insurmountable, dividing threshold; in my opinion, the third one, as a result of Young’s unity of the opposites.

“For the first time in my life, this evening I was an inviter from the church. It is snowing a little. We have heard from the elderly that it would necessarily snow on this day; because our nobles would not walk on the dirty road. It was such a magic when my relatives asked the Lord to let Madonna lead the souls of the nobles that had gone to the other world. Then I walked down the road to the house with a lit candle and imagined that they were really following. Then I remembered that I had to talk, it was not so easy, but I tried it. What strong faith our ancestors had. Without doubt, they believed that they were really coming. I believe it too”.<sup>25</sup>

---

<sup>24</sup> Ibid, Eliade, 15, 16, 18, 20.

<sup>25</sup> The story told by ethnologist Madona Chamgeliani, head of the NGO “Lidbashi”, 2018 *Lipaanali*, Lakhuzhdi village.

მიცვალებულთა „მიმლოცველობა“ სანიჰიოლან  
საქართველო – სიკვდილის ტრავმასთან ბრძოლის  
მაბაღიითი ქართულ ხალხურ ტრადიციებში

როგორც მთელი მსოფლიოს ხალხთა მითოლოგიურ აზროვნებაში, ქართველებისთვისაც ახალი წელი სამყაროს შესაქმნის, სამყაროს არსებობის დასაწყისის რიტუალურ-მსოფლმხედველობრივი გააზრება უნდა იყოს. ასეთ გააზრებას საფუძვლად დაედო რწმენა იმის შესახებ, რომ სიკვდილი (მკვდარი ბუნების სახით) ჩიხში ამწყვეტებს განვითარებისა და არსებობის საკითხს. ამდენად, საჭიროა იმ უზენაესი არსების ჩარევა, რომელმაც დასაბამი მისცა ყოველივეს. ეს დასაბამი შესაქმნის აქტიდან დაიწყო. მან მკვდარ, ქაოსურ ბუნებას სიცოცხლე უნდა შთაბეროს და მოწესრიგებულ კოსმოსად აქციოს, რასაც კვლავ ქაოსი უნდა მოჰყვეს. ამიტომ, სიკვდილი სიცოცხლეს არის და სიცოცხლე სიკვდილიც. ისინი წრის ერთი წერტილია, რომელშიც მთავრდება და იმავდროულად იბადება, იწყება დრო, ქმედება, არსებობა. ასევეა ახალწლის დღეობათა ციკლი, რომელიც სიცოცხლის სიკვდილზე გამარჯვებაა და სიკვდილი სიცოცხლისათვის. რატომ უწოდა ქართველმა დღესასწაულს სასწაულის დღე? რა სასწაული ხდება ამ დღეს? ჩვენი აზრით, ამ დღეს მითოლოგიურად სამი სკენელის კარი იღება და სამივე სამყაროს მკვიდრნი ერთიანად აღნიშავენ მოცემულ სულიერ მოვლენას.

*ლიფაანალი* ზემო სვანეთში 5/18<sup>1</sup> იანვრიდან პირველი კვირა დღის მომდევნო ორშაბათამდე იმართებოდა, ქვემო სვანეთში კი ბოსლობას, გაზაფხულზე. ხალხის რწმენით ამ დღეს ოჯახში გარდაცვლილთა სულები სტუმრად მოდიოდნენ. *ლიფაანალისთვის* ოჯახი წყალში (შესაძლოა ნაკურთხ წყალში) გახსნილი პურის ფქვილით ან ნახში-

<sup>1</sup> ეს ორი თარიღი კალენდრის ძველ და ახალ სტილს აღნიშნავს. ფაქტობრივად პირველი თარიღი საერო კალენდრის მიხედვითაა, ხოლო მეორე საეკლესიოსი. მათ შორის 13 დღიანი სხვაობაა.



რით ყველგან - ჭურჭელზე, კედლებზე, ავეჯზე ხატავდა სვადასხვა ფიგურას, საგნებს, მნათობებს, ასევე ჯვრებს თუ სხვა გამოსახულებებს. მათ ზოგან *ლიფაანაღის* პირველ დღეს ანუ *ადგომს* (5/18 იანვარს) ხატავდნენ, ზოგან მეორე დღეს, *ნათლისღებას*. წყალში გახსნილ ნახშირში ან ფქვილში ამოუსვამდნენ თითს და ამ თითით ხატავდნენ. ნახატებს ოჯახის უფროსი ქალი ან ქალები ხატავდნენ. თუ ოჯახში უფროსი, ხანდაზმული ქალი არ იყო, ამ საქმეს ოჯახის მახვიში აკეთებდა. თუ არც ის ჰყავდათ, უფროსი ქალიშვილი. მოგვიანებით ნახატებს ცარციოთ ბავშვებიც ხატავდნენ. დანაყილი, წყალში გახსნილი ნახშირით ქალები ოჯახის ყველა წევრს ხელებზე და სახეზე წერტილებსა და ჯვრებს უკეთებდნენ. ოჯახის უფროსი ქალი ასევე ცვილისა და ახლად ამოყვანილი ყველისგან *ბაციკებს* - ცხოველების რიტუალურ ფიგურებს ძერწავდა, აცხოვდა რიტუალურ პურებს.

სვანების შეხედულებით ამგვარი სალიფაანაღო ნახატები ოჯახში სტუმრად მოსული სულების გასართობად იხატებოდა. ზოგის თქმით, ისინი მიცვალებულებისთვის სასარგებლო იყო, ზოგიც კი ამბობდა, რომ ეს ნახატები ამქვეყნად დარჩენილი საქონლის და საოჯახო ქონების გასამრავლებლად კეთდებოდა.

*ადგომს* ანუ *ადგომას* ამ დღეს იმიტომ უწოდებდნენ, რომ სვანების რწმენით *ლიფაანაღზე* მიცვალებულები ადგომის მსგავსად საფლავებიდან აღდგებოდნენ და თავიანთ სახლებში მიდიოდნენ სტუმრად. საეკლესიო კალენდრის მსგავსად სვანებიც ამ დღეს, ანუ 5/18 იანვარს, მძიმე მარხვას ინახავდნენ. ვახშობბამდე მიცვალებულებისთვის სამარხვო სუფრას შლიდნენ, რომელზედაც სანთლებს ანთებდნენ. ოჯახის უფროსი და მთელი ოჯახი, სუფრასთან იდგნენ. უფროსი ოჯახის ყველა გარდაცვლილს სახელობით ჩამოთვლიდა, ღმერთს მათ შენდობას სთხოვდა, მიცვალებულებს კი ოჯახში კარგი კვალის, ბედნიერების შეტანას სთხოვდა, რომ ოჯახიდან არავინ წაეყვანათ. სამაგიეროდ, მომავალ წელს უფრო უხვ სუფრას ჰპირდებოდა. ამის შემდეგ ოჯახის უფროსთან ერთად იროქებდა მთელი ოჯახი და ღმერთს სთხოვდა, მათი მიცვალებულებისთვის

ცოდვები შეენდო. მეორე დღეს იკვლებოდა საკლავი. სუფრა, მთელი ლიფაანალის განმავლობაში, ყოველდღე საუზმის და ვახშმის წინ უნდა ეკურთხათ. მიცვალებულების გაცილების დღეს, ორშაბათს, მთელი ოჯახი დილით ადრე, გათენებამდე დგებოდა. ქალები ხორბლის ფქვილისაგან სხადასხვა ფორმის, ზომის და დანიშნულების პურებს აცხობდნენ. იშლებოდა სუფრა, რომელზეც სხვა საჭმელთან ერთად სსენებული რიტუალური პურები, სასმელი და სანთლები იყო. ოჯახის წევრები მაგიდიდან მოშორებით დგებოდნენ, ოჯახის უფროსი კი მათ წინ. ამ დროს, სამარისებური სიჩუმე იდგა. ხალხს სწამდა, რომ მაგიდასთან მათი მიცვალებულების სულები ისხდნენ. სიჩუმეს მხოლოდ ოჯახის უფროსი არღვევდა, რომელიც მიმართავდა სულებს და ეუბნებოდა, რომ მათ არ აჩქარებდა და სთხოვდა, ოჯახისთვის სიუხვე, ბარაქა, ჯანმრთელობა არ მოეკლოთ, რომ სიკეთით დაბრუნებულიყვნენ ისევ მომდევნო წელს. თავის მხრივ კი პირდებოდა, რომ სააქაოს მყოფები შესთხოვდნენ იესო ქრისტეს, თავის ტრაპეზზე მათთვისაც მიეჩინა ადგილი. ოჯახთან ერთად ოჯახის უფროსი ახლობელი და შორეული ნათესავებისთვის ლოცულობდა. ამის შემდეგ, ოჯახის უფროსი იღებდა მაგიდას, შუა ოთახში დგამდა და მიცვალებულებს იმ ქვეყნად დაბრუნებას სთხოვდა, ქრისტეს კი ევედრებოდა, არ დაესაჯა ოჯახი, არ წაეყვანა ოჯახის წევრი სააქაოდან, თან პირობას დებდა, მომავალ წელს ოჯახს უფრო გულუხვად ემასპინძლა. ბოლოს ოჯახის უფროსს მაგიდა ფეხაკრეფით გაჰქონდა გარეთ. მას ოჯახის სხვა რომელიმე წევრი წინ მიუძღოდა და გზას უნათებდა. ისეც ხდებოდა, რომ გზაზე მიმავალ მამაკაცს რიტუალური საკვები და სანთელი ეკავა ხელში. გზადაგზა იგი თაფლიან რძეს ასხამდა მიწაზე და ცალ მუხლზე იჩოქებდა. ხალხის რწმენით, სულები ამგვარად ბრუნდებოდნენ თავიანთ სამყოფელში. სულები მზის ამოსვლამდე უნდა გაცილებინათ.<sup>1</sup> ლიფაანალზე მიცვა-

<sup>1</sup> ვერა ბარდაველიძე, ქართული (სვანური) გრაფიკული ხელოვნების ნიმუშები (თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1953), 59-64 და *Древнейшие религиозные*

ლებულების ოჯახში მყოფობის განცდა ისეთი ძლიერი იყო, რომ მათთან განშორება სააქაოს მყოფებს ხშიად უძნელდებოდათ ხოლმე. ხალხი იმასაც ჰყვება, რომ გადმოცემის მიხედვით, ადრე ცოცხლები ოჯახში მოსულ მიცვალებულებს ხედავდნენ კიდევ. ერთხელაც, დედას გარდაცვლილი შვილის სულისთვის „ხელი წაუვლია“, რომ სააქაოს დაეტოვებია. მას მერე სულები ცოცხლებს აღარ ეცხადებიანო, ამბობს ხალხი.

ხალხის რწმენით სული და ღმერთი ერთია და სულს ისე უნდა ეთაყვანო, როგორც ღმერთს.<sup>1</sup>

მსგავსი დღესასწაული ქართული ხალხური კალენდრის საგაზაფხულო ციკლშიც გვხვდება.

ღიდმარხვის მეორე სუთშაბათს, თუშეთში მიცვალებულთა მოსახსენებელი დღე – *ერუმსალეთობა* იმართებოდა.<sup>2</sup>

ამ დღეს თუშეთში, მზის ამოსვლამდე, ყველა ოჯახში კეცზე დიდ პურს გამოაცხობდნენ, *ბიჭონს* (ბატობუტს) და ატყრობდნენ ანუ მარცვალს მოხალავდნენ, ღობიოს მოამზადებდნენ, სანთლებს აანთებდნენ და სუფრაზე ერთ ლიტრ არაყს დადგამდნენ. სასმელით მიცვალებულის სულებს მოიხსენიებდნენ. ამ დღის პურს *ერუმსალეთობის პურს* ეძახდნენ. ხალხის რწმენით, იგი რაც შეიძლება დიდი უნდა ყოფილიყო, რადგან იერუსალიმში უნდა გაგორებულიყო და იერუსალიმის კარი შეეღო. ერთი მხრივ, იგი „მიცვალებულებს უნდა მისვლოდა“, ხოლო მეორე მხრივ, მისი მეშვეობით გარდაცვლილთა სულებს *სულთაკრეფისთვის* თავიანთ ოჯახებში მისვლა და შეკრება უნდა შეძ-

---

*верования и обрядовое графическое искусство грузинских племен* (Тбилиси: Caucasian House, 2007), 105-106; ნინო ღამბაშიძე, ქართულ ხალხურ და საეკლესიო დღეობათა კალენდარი (თბილისი: კრიალოსანი, 2011), 170-171..

<sup>1</sup> <https://www.youtube.com/watch?v=x6teHhJtd8I>, retrieved in 09.01.2018.

<sup>2</sup> გიორგი ცოცანიძე, გიორგობიდან გიორგობამდე (თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1987), 88; გიორგი ბოჭორიძე, თუშეთი (თბილისი: მეცნიერება, 1993), 307-308; სერგი მაკალათია, თუშეთი (თბილისი: ნაკადული, 1983), 187-188.

ლებოდათ. „მკვდარნი სამზეოს გამოხედავენო“ და „მკვდარნი ერუმსალეთიდან მოდინავო“<sup>1</sup>.

*ერუმსალეთობის* დილას, მზის ამოსვლამდე ოჯახის უფროსი ბიჭონს დააცხოვდა და გამომცხვარ პურს კერის გარშემო სამჯერ შემოატარებდა და ილოცებდა მიცვალებულთა სახლში დაბრუნების, იერუსალიმიდან სახლამდე მშვიდობით მოსვლისთვის. მზის ამოსვლის შემდეგ სუფრას გარეთ გადგამდნენ, პურს დაჭრიდნენ და ყველას დაურიგებდნენ.<sup>2</sup> სხვა მასალის მიხედვით *ერუმსალეთობის პურს* ოჯახი ორად გაჭრიდა. ამ პურის ერთ ნახევარს ამავე დღეს შეჭამდნენ, ხოლო მეორეს *სულთაკრევისთვის* ინახავდნენ. ხოლო ისინი, ვისაც ახალი მიცვალებული ჰყავდა, *ერუმსალეთობის პურს* პატარა ნაჭრებად დაჭრიდა და ერთ ჯამ ბიჭონთან ერთად მეზობლებში დაარიგებდა<sup>3</sup>.

იმავე კვირის შაბათს *სულთაკრევა* მიცვალებულთა სულების მოსახსენებელი ერთ-ერთი უდიდესი და უმნიშვნელოვანესი დღე იყო არა მარტო თუშეთში, არამედ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის სხვა კუთხეებშიც. ვინაიდან დღესასწაული დიდმარხვაში იყო, *სულთაკრევას* ყველა ოჯახში მხოლოდ სამარხვო საჭმელი მზადდებოდა.

დალი გიორგაძე, რომელმაც აღმოსავლეთ საქართველოში *სულთაკრევის* დღესასწაული შეისწავლა, დიდ მსგავსებას ხედავს *სულთაკრევასა* და *ლიფაანაღს* შორის, რომელიც მისი თქმით, მიცვალებულის კულტთან და ბუნების აღორძინებასთან დაკავშირებული დღესასწაული იყო და „ოჯახის კეთილდღეობის, მიწის ბარაქიანობის და ბევრებს ისახავდა მიზნად“<sup>4</sup> ჩვენი აზრით, მსგავსად *ლიფაანაღისა*, რომელსაც ხალხი *აღვომს* ანუ *აღდგომას* უწოდებდა, რადგან მათი რწმენით ამ დღეს მიცვალებულები აღდგომის მსგავსად საფლავეებიდან დგებოდნენ და თავიანთ სახლებში მიდიოდნენ სტუმრად, თუშურ *ერუმსალე-*

<sup>1</sup> Ibid, ბოჭორიძე, 307.

<sup>2</sup> Ibid, მაკალათია, 187.

<sup>3</sup> Ibid, ცოცანიძე.

<sup>4</sup> დალი გიორგაძე, დაკრძალვისა და გლოვის წესები საქართველოში (თბილისი: მეცნიერება, 1987), 64-65.

თობაზეც ხალხს ზუსტად ასეთივე რწმენა უნდა ჰქონოდა. იერუსალიმში აღმდგარი მიცვალებულები თუშეთისკენ მიმავალ გზას სამ დღეს ანდომებდნენ და სულთაკრეფის დღეს, რაც, როგორც დღესასწაულის სახელწოდებიდანაც კარგად ჩანს, იკრიბებოდნენ მშობლიურ ოჯახებში თუ თემში.

კვლევამ აჩვენა, რომ *იერუსალიმში-სულთაკრეფა*, მიცვალებულებისათვის განკუთვნილი სამი დღისაგან შემდგარი ერთი დღესასწაულია.<sup>1</sup>

ხალხური რწმენა-წარმოდგენების მიხედვით, სპეციალური რიტუალური პურის და რიტუალის გზით, ანუ ღმერთის შემწევობით, ამ დღეს, *იერუსალიმში*, ცოცხლები მიცვალებულებს მისტიურად უღებდნენ საიქიოს კარს და ლოცულობდნენ, რათა უსაფრთხოდ მიეღწიათ თავიანთ მიწიერ სახლამდე და *სულთაკრეფის* დღეს ცოცხლებთან ერთად ერთ ჭერქვეშ შეკრებილიყვნენ.<sup>2</sup>

ხსენებული ორივე დღესასწაული თავიანთი ქრისტიანული ფენით აღდგომის დღესასწაულს და მის არსს უკავშირდება.

რატომ იყო საიქიო თუშებისთვის იერუსალიმში? ვფიქრობთ, ამგვარი შეხედულება ქრისტეს საფლავს და მის მკვდრეთით აღდგომას უნდა უკავშირდებოდეს; სახარებაში გადმოცემულ იმ ამბავს, როდესაც იესო ქრისტემ ღოღი გადააგორა და მკვდრეთით აღდგა. იმას, რომ ჯვარცმის შემდეგ მაცხოვარმა ჯოჯოხეთში ჩასვლით მისი კარი შემუსრა და მიცვალებულთა სულები გამოიხსნა, გამოუშვა, გაანთავისუფლა. იმას, რასაც, ფაქტობრივად, დიდ შაბათს იერუსალიმში მაცხოვრის საფლავზე გადმოსული ღვთაებრივი ცეცხლის სასწაული გვახსენებს. ამას გარდა, იერუსალიმში იესო ქრისტეს გვერდით დაკრძალული მიცვალებულები ერთიან, იმქვეყნიურ სასუფეველს ქმნიან, სადაც მარადიულად ეძლევათ უფლის მადლი. ძნელია არ გავიხსენოთ ელიადეს მიერ მოხმობილი წმ. ამბროსი მედიოლანელის ისტორია, როდესაც მან საკუთარი ძმა წმინდა-

<sup>1</sup> ნინო ღამბაშიძე “იერუსალიმში-სულთაკრეფა” - მიცვალებულთა მოსახსენებელი დღე თუშეთში, ჟურ. რელიგია, 1(2010), 95.

<sup>2</sup> Ibid, მაკალათია, 187.

ნის გვერდით დაკრძალა იმ იმედით, რომ წმინდანი მას საფლავში საკუთარ სისხლს მარადიულად ასხურებდა.<sup>1</sup> *ერუმსალეთობის* მესამე დღეს, ანუ დიდმარხვის მეორე შაბათს კი, ხალხის რწმენით საიქიოდან აღმდგარი სულები სამი დღის „მგზავრობის“ თუ „პილიგრიმობის“<sup>2</sup> შემდეგ საკუთარ სახლებში იკრიბებოდნენ, რათა სადღესასწაულო ანუ სასწაულის დღის რიტუალში, როდესაც საიქიოს და სააქაოს „კარები“ ღია იყო, ყველას ერთად მიეღო მონაწილეობა; რიტუალის გზით დაემარცხებინათ სიკვდილი და მარადიული სიცოცხლე განეცადათ.

ცოცხალთა სწრაფვას ეურთიერთათ მიცვალებულებთან და მეტად მიახლოვებოდნენ და შეეგრძნოთ ეს კავშირები, ღრმად ფსიქოლოგიური მნიშვნელობა და საფუძვლებიც აქვს.

პირველ ყოვლისა უნდა ითქვას, რომ, როგორც ცნობილია, სიკვდილის შიში ერთ-ერთი ფუნდამენტური განცდაა ადამიანში. „ნამდვილად იღუპიან იმაზე ფიქრი, თითქოს შიშის გარეშე ცხოვრება შეგვეძლოს. შიში ხომ ჩვენ არსებობის ნაწილია და სიკვდილის გარდაუვალობასთან დაკავშირებულ ფიქრებს აირეკლავს“ – წერდა ფრიც რიმანი.<sup>3</sup> ჯოზეფ რეინგოლდის თქმით, სიკვდილის შიში შეიცავს შიშს არარსებობის და განსაკუთრებით განადგურების წინაშე. სწორედ ეს უკანასკნელი იწვევს შფოტს ადამიანში. სიკვდილზე არ ფიქრობენ, არამედ ხა-

---

<sup>1</sup> Mircea Eliade, *Mythologies of Death: An Introduction*, in *Religious Encounters with Death. Insights from the History and Anthropology of Religion* (ed. Frank E. Reynolds and Earle H. Waugh), (University park and London: The Pennsylvania State University, 1977), 18-19.

<sup>2</sup> ვიქტორ ტერნერისთვის მომლოცველობა სიმბოლურად „კვლამას“ ნიშნავს, მომლოცველები კი არიან ისინი, ვინც „მიცვალებულის“ მდგომარეობაშია. Vicroe Turner, *Death and the Dead in the Pilgrimage Process*, in *Religious Encounters with Death. Insights from the History and Anthropology of Religion* (ed. Frank E. Reynolds and Earle H. Waugh), (University park and London: The Pennsylvania State University, 1977), 24.

<sup>3</sup> ფრიც რიმანი, *შიშის ძირითადი ფორმები* (თბილისი: წიგნი+ერი, 2014), 13.

ტოვნად წარმოიდგენენ და შეიგრძნობენ მას. სიკვდილს ინდივიდისთვის სწორედ ხატები და ემოციები ანიჭებენ საზრისს. გააზრება იმისა, რომ ადამიანი მოკვდავია მტანჯველია არა მარტო იმიტომ, რომ თავად ელის სიკვდილი, არამედ, მაშინაც, როდესაც კარგავს ძვირფას ადამიანებს ანდა, იღუპება თუნდაც უცნობი. ადამიანს არ ძალუძს შეეგუოს სიკვდილს, რადგან სურს საყვარელი ადამიანი უკვდავი იყოს. სიკვდილს არ ძალუძს შეარყიოს სიყვარულის რწმენა. რეინგოლდს ბერდიაევის სიტყვები მოჰყავს, სადაც იგი აღნიშნავს, რომ ადამიანს მწველი სურვილი აქვს ყველა იმ ადამიანს დაუბრუნოს სიცოცხლე, ვინც უყვარდა. განშორების სიმძიმე სიკვდილს კატასტროფად აღაქმევინებს ადამიანს, რასაც იმქვეყნად საყვარელ ადამიანებთან შესხედრის იმედი ამსუბუქებს.

სიკვდილის შიშსა და სიკვდილის მნიშვნელობას ადამიანისთვის მრავალი მხარე და წახნაგი აქვს. წინამდებარე სტატიაში საკვლევო საკითხიდან გამომდინარე, ჩვენ რელიგიურ ასპექტს შევხებით. რეინგოლდის თქმით, ერთადერთი ნუგეში იმისა, რომ სიცოცხლე დროში დასაზღვრულია, არის რწმენა იმისა, რომ სიკვდილი არ ნიშნავს გაქრობას, არამედ, დასაბამია ახალი არსებობის. ისეთის, რომლის დროსაც კვლავ რჩება განცდა, რომ ხარ პიროვნება. „მართალია ღვთის რწმენა და უანგარო სიყვარული, ბუნების კანონების ცოდნა, ცხოვრების ასკეტური წესი და მისი ფილოსოფიური გააზრება ვერ სპობს შიშს, მაგრამ მის დაძლევაში გვეხმარება და, შესაძლოა, ხელსაც კი გვიწყობს მის გამოყენებაში ჩვენ სასარგებლოდ“ - აღნიშნავს რიმანი და იქვე დასძენს: „ჩვენ...ის და დაგვრჩენია, ვებრძოლოთ მას (შიშს-ნ.დ.) და საკუთარ თავში ისეთ საპირისპირო ძალებს მოვუხმოთ, როგორცაა სიმამაცე, ნდობა, ამტანობა, იმედი, მორჩილება, რწმენა და სიყვარული.“<sup>1</sup> თუმცა, რეინგოლდი იმასაც აღნიშნავს, რომ რელიგიამ, მაგ., ქრისტიანობამ გააძლიერა სიკვდილის შიში და შესაძლოა, ფაქტობრივად გააჩინა კიდევაც შიში იმქვეყნიუ-

---

<sup>1</sup> Ibid, რიმანი.

რი ცხოვრების. ზოგის თქმით<sup>1</sup> რელიგია უქარწყლებს ადამიანს სიკვდილის შიშს, მაგრამ უფრო ხშირად უღვივებს. ზოგიც ფიქრობს, რომ<sup>2</sup> სიკვდილის შიში ბუნებითი კი არ არის არამედ, იგი გარკვეული სახის რელიგიამ გააჩინა.

რეინგოლდი აღნიშნავს, რომ სხვადასხვა კულტურა შეიძლება დახასიათდეს, როგორც კულტურა, რომელიც იგნორირებას უკეთებს სიკვდილს, რომელიც იღებს მას ან უარჰყოფს. სიკვდილისადმი დამოკიდებულებას, განწყობას საზოგადოებას ტრადიციულად რელიგია კარნახობდა. მაგრამ მრავალი მიზეზის გამო (ტექნოლოგიების განვითარება, მსოფლიო ომები...) თანამედროვე საზოგადოება ათეისტი გახდა. ამქვეყნიურ ცხოვრებაზე ორიენტირებული ადამიანისთვის სიკვდილის თემა ტაბუდ გადაიქცა. თემად, რომელსაც ან უნდა გაექცე, ანდა დამალო. დღეს სიკვდილს მოკრძალებული შიშით ექცევიან. ფულტონის (Fulton)<sup>3</sup> აზრით, ამგვარი მდგომარეობა კულტურაში მომხდარმა ცვლილებებმა გამოიწვია. რეინგოლდი აღნიშნავს, რომ ტილიჩის (Tillich)<sup>4</sup> აზრით აბსოლუტიზმის ნგრევამ, ლიბერალიზმისა და დემოკრატიის განვითარებამ, ტექნიკურმა ცივილიზაციამ განაპირობა შფოთი. ის, რაც ცალკეული ინდივიდისთვის იყო და არის დამახასიათებელი, გახდა საყოველთაო. ეს პროცესი მაშინ ჩნდება საზოგადოებაში, როდესაც მმართველობისა და სარწმუნოების ჩვეული სტრუქტურები ინგრევა. როდესაც ამგვარი სტრუქტურები საზოგადოებაში არსებობს, ინდივიდს შეუძლია კარგად გამოცდილი მექანიზმების მოშველიებით მართოს შფოთი.

---

<sup>1</sup> იხ. Hall, G. Stanley, *A study of fears*, American Journal of Psychology, 8:147, 1896.

<sup>2</sup> იხ. Keller, A. G. *Net Impressions* (New Haven, Conn.: Yale University Press, 1942).

<sup>3</sup> იხ. Fulton, Robert, and Geis, Gilbert. *Death and social values*. *Indian J. Soc. Res.* 3:7, 1962; reprinted in Fulton, Robert (Ed.) *Death and Identity* (New York: Wiley, 1965); Fulton, Robert, *Introduction to Part I: Theoretical Discussions on Death*. In Fulton, Robert (Ed.), *Death and Identity* (New York: Wiley, 1965).

<sup>4</sup> იხ. Paul Tillich, *The Courage to Be* (New Haven, Conn.: Yale University Press, 1952).



როდესაც საზოგადოებაში ძლიერი ცვლილებებია, ამგვარი მექანიზმები აღარ არსებობს.<sup>1</sup> ჩვენი აზრით, ამგვარი ცვლილებები ხშირად უხეშად უსწორდება ხანგრძლივი დროის განმავლობაში შექმნილ სტრუქტურებს ან საგრძნობლად აზიანებს მათ, ისე, რომ ისინი ვეღარ თამაშობენ პოზიტიურ როლს კოლექტიური ფსიქიკური წონასწორობის შენარჩუნების საქმეში. სწორედ ამიტომაც, რომ ტრადიცია კი არ უნდა მოისპოს, არამედ საზოგადოების ახალ მოთხოვნილებებთან ერთად განვითარდეს თუ გადაიზარდოს რაღაც ახალში, იმაში, რაც საზოგადოებას სჭირდება. „...ჩვენ უნდა დავინახოთ, რომ ამ საუკუნეში რეგრესი ორჯერაც კი იყო, ეს ბოროტმა საკუთარი ძალით ორ მსოფლიო ომში მოიტანა, რაც სიღის გაწაა ჩვენი საუკუნისათვის, რომელსაც პროგრესის სჯერა. ამ გარემოებებიდან გამომდინარე, უფრო დაკვირვებით უნდა შევხედოთ პროგრესისადმი ჩვენს რწმენას. განა გვინდა დასრულდეს ყოველივე, თუ მსოფლიომ მუდამ სრულყოფისა და უკეთესობისაკენ სწრაფვა უნდა გააგრძელოს? ... პროგრესის რწმენა წარსულისადმი ჩვენ მოვალეობას უნდა შევუჯეროთ. ადამიანები უბრალოდ მომავლისათვის კი არ ცხოვრობენ, არამედ წარსულიდან მოდიან. კრიმინალური პერიოდის ცრუ „ზღუტ ენდ ბოდენ“-ის რომანტიზმმა არ უნდა გაგვაბრიყვოს იმით, თითქოს არ არსებობს ბუნებითი კავშირი სამშობლოსთან და წინაპრებთან, რაც გაცილებით მეტია, ვიდრე ნოსტალგია „ძველი ბედნიერი დღეებისა“. მაგალითისათვის უნდა შევწყვიტოთ სპეკულატიური განვითარების გზით ევროპული სოფლის განადგურება და ახალგაზრდობას უნდა ვასწავლოთ ისტორიული ტრადიცია. პროგრესი დანაკარგების ფასად ნამდვილად უკან გადადგმული ნაბიჯი იქნება.“<sup>2</sup> - წერს კარლ ჰაინრიჰ ფირცი.

---

<sup>1</sup> Джозеф Рейнголд (Joseph C. Rheingold), *Мать, тревога и смерть. Комплекс трагической смерти* (Москва: Per Se, 2004).

<sup>2</sup> Heinrich Karl Fierz, *Analytical Psychology and Society: the Lost Symbol, or an Inquiry in to the Nature of Mass Psychology*, in *Jungian Psychiatry* (Einsiedeln: Daimon Verlag, 1991), 393-394.

სიკვდილი არცერთ კულტურაში არ გაიაზრება, როგორც წყალობა. იგი გარკვეული უარყოფითი არსების თუ მოვლენის შედეგად გაჩენილი ფენომენია. თუმცა, სიკვდილი ახალ, სულიერს თუ სულისმიერ მდგომარეობას ანიჭებს ადამიანს და ახალ განზომილებაში ათავსებს მას. სიკვდილი მეორედ დაბადებაა. თუმცა, პირველისგან განსხვავებით, მეორე დაბადება რიტუალის გზით უნდა განხორციელდეს. რიტუალის გზით გარდაცვლილს ახალი იდენტობა უნდა შეექმნას. მის სხეულს კი, ასევე რიტუალის გზით იმგვარად უნდა მოექცნენ, რომ მან მაგიური საშუალებებით ვერ შეძლოს ცოცხლებზე უარყოფითი ზეგავლენის მოხდენა. როგორც ელიადე აღნიშნავს, მას მერე, რაც სიკვდილი ინტერპრეტირებული იყო, როგორც გადასვლა ერთი მდგომარეობიდან მეორეში, იგი ადამიანის ცხოვრების ყველა მნიშვნელოვანი ცვლილების პარადიგმული მოდელი ხდება. მაგრამ, ვინაიდან მოკვდავი სიკვდილის შემდეგ მეორედ იბადება და ამჯერად სული ხდება, ეს პროცესი, ეს სულიერი ტრანსფორმაცია დაბადებასთან, კვლავდაბადებასთან, მკვდრეთით აღდგომასთან დაკავშირებული სიმბოლოებით და ხატებით გადმოიცემა. მაგრამ, ელიადეს თქმით, მთელ ამ რიტუალებში აშკარად მქდავნილება გაცოცხლებული სხეულისა და ინკარნირებული სიცოცხლისადმი სიყვარული. როგორც ელიადე აღნიშნავს, ვერ ჩაეწვდებით სიკვდილის არსს თუ ის არსებობის რომელიმე ახალ ფორმასთან არაა კავშირში.<sup>1</sup>

დაბადება-კვდომა-კვლავგანახლების ძლიერი ინსტიტუტი თუ მუხტი დაუოკებლად უბიძგებდა ადამიანს მარადიული სიცოცხლისათვის გაეერთიანებინა სიკვდილ-სიცოცხლე და სიკვდილშიც სიყვარულით განპირობებული სიცოცხლე ეძებნა. „პილიგრიმობის“ დღესასწაულებით, ღმერთის, ტრანსცენდენტული ძალების მოხმობით, მითოსური ხატების მეშვეობით ადამიანი ცდილობდა გაეხსნა კარები და გადაუღახავი, გამყოფი ზღურბლის ნაცვლად მარადიული სიცოცხლის ერთიანი სივრცე შეექმნა. ჩემი

---

<sup>1</sup> Ibid, ელიადე, 15,16,18, 20.

აზრით, შეექმნა ის მესამე, რომელიც იუნგისეული დაპირისპირებულთა ერთიანობის შედეგად იქმნება.

„ამ საღამოს ცხოვრებაში პირველად, მე ვიყავი ტაბრიდან გამპატიუბელი. ცოტას თოვს, უფროსებისაგან გვსმენია ამ დღეს ცოტას აუცილებლად ითოვებსო, რადგან ჩვენი დიდებულები დასვრილ გზაზე არ გაივლიანო. ისეთი ჯადოსნური იყო, როცა უფალს სთხოვეს ჩემმა ნათესაებმა კაცებმა, მადონას გააყოლე ამ ქვეყნად წასული დიდებული სულებიო. მერე სანთელ ანთებული გამოვუდექი სახლისკენ გზას და წარმოვიდგინე მართლა მომყვებოდნენ. მერე გამახსენდა, რომ უნდა ესაუბრო, ცოტა ძნელია, მაგრამ ვეცადე. რამხელა რწმენა ჰქონდათ ჩვენს წინაპრებს, ყოველგვარი ეჭვის გარეშე სჯეროდათ, რომ მართლა მოდიოდნენ. „მეც მჯერა“ - წერდა ეთნოლოგი მადონა ჩამგელიანი.<sup>1</sup>

---

<sup>1</sup> არასამთავრობო ორგანიზაცია „ლიტბაშის“ ხელმძღვანელის, ეთნოლოგ მადონა ჩამგელიანის ნაამბობი.

*რედკოლეგისაგან: წინამდებარე ა. დაუშვილის სტატია მოხსენების სახით წარედგინა ვენაში (ავსტრია) ჩატარებულ ქართულ-გერმანულ-ავსტრიულ საერთაშორისო სიმპოზიუმს თემაზე: „განათლება და აღზრდა: ვისი პასუხისმგებლობაა ეს?“ (ვენა, 2018 წ. ნოემბერი). სამწუხაროდ, ორგანიზატორებმა ვერ მოახერხეს სიმპოზიუმის მასალების პუბლიკაცია. ქვემოთ ჩვენ ვბეჭდავთ სიმპოზიუმზე წაკითხულ მოხსენებას სრული სახით.*

**ALEXANDER DAUSHVILI**

## **BILDUNG IN GEORGIEN: VON TOTALITARISMUS BIS ZUR DEMOKRATIE**

Im Bildungssystem gibt es zwei Richtlinien zu unterscheiden – eine wertorientierte und eine angewandte, wobei die wertorientierte Richtlinie das theoretische Teil des wissenschaftlichen Wissens darstellt, die angewandte aber – das praktische Teil. Durch die wertorientierte Bildung wird das Wesen der Ereignisse geforscht und festgelegt. Sie sucht nach Antworten und behandelt auf die fundamentalen Fragen der menschlichen Existenz und behandelt die Themen wie zum Beispiel: Liebe und Hass, Freude und Trauer, Ruhe und Verwirrung, Leid und Seligkeit, Freiheit und Sklaverei, Schönheit und Hässlichkeit, das Gute und das Böse, Wahrheit und Irrtum.

Der angewandte Bereich der Bildung dient der Befriedigung der geistigen, intellektuellen und körperlichen Bedürfnisse des Menschen. Sie lehrt den Menschen, wie man um sich selbst, um den Nächsten und um die Welt zu sorgen hat. Das menschliche Gewissen kann sich so lange nicht beruhigen, bis es nicht die Antworten auf die fundamentalen Fragen bekommt, die seine Existenz bestimmen. Dabei ist es egal, wie normalisiert unser praktisches Leben verläuft.

In letzten Jahrhunderten hat die angewandte Richtlinie große Anerkennung in ganzer Welt gefunden. Dieser Umstand hat in gewissen Teilen der Gesellschaft die Bedeutung der wertorientierten Richtlinie verringert und sie äußerst vereinfacht.

Die wertorientierte Richtlinie dient der Bewusstmachung eigener persönlicher Würde, wie auch der Würde des Nächsten und unterstützt die Entwicklung der persönlichen und gesellschaftlichen Harmonie und Identität im Menschen.

Der Ziel unseres Vortrages besteht darin, an dem Beispiel der neuesten Geschichte Georgiens die Wichtigkeit der wertorientierten Richtlinien zu verdeutlichen. Hier werden wir versuchen, zu veranschaulichen, welche Mission die wertorientierte Richtlinie seit dem 19. Jahrhundert in Bezug auf die Rettung und die Bewahrung der Einigkeit und der Unabhängigkeit in Georgien erfüllt hat.

Georgien ist ein Land der uralten Zivilisation. Durch Vorsehung Gottes war unser kleines Land schon immer in der Nachbarschaft derart großen Weltimperien wie Persien, Rom, Türkei, Byzanz und Russland. Trotz der ununterbrochenen Verteidigungskriege ist das Land Georgien nicht nur physisch erhalten geblieben, sondern es hat auch seinen wichtigen Beitrag zur Bereicherung des Weltkulturerbes geleistet.

In unserem Land besaß Bildungswesen immer an besonderer Wichtigkeit. Georgier haben schon seit uralten Zeiten, während seiner 2300-jähriger Geschichte der Staatlichkeit, auf jeder Entwicklungsstufe sein Wissen und seine Erfahrung – sei es angewandt oder weltorientiert – in verschiedener Form und auf unterschiedliche Weise an kommende Generation weitergegeben.

Ab 326 n. Chr., nach dem das Christentum als Staatsreligion erklärt wurde und im Land aktiver Bau von Kirchen und Klöster stattfand, hat der Bildungsprozess und wissenschaftliche Arbeit hauptsächlich in christlichen Zentren stattgefunden.

Leider haben diesen Prozess des Aufbaus im 13.-18. Jahrhunderten die ununterbrochene Interventionen und Plünderungen wie auch planmäßige, manische Versuche der Vernichtung georgischer Bevölkerung seitens der Mongolen, Persen und Türken stark beeinträchtigt. Das Ganze hat nicht nur die Bildungsarbeit unterbrochen und das Nationale Bildungssystem zerstört, sondern auch georgische Identität bedroht.

Die wertorientierte Richtlinie der Bildung, die unsere Eigenartigkeit bestimmt hat, war die Säule, auf der der Kampf für die Freiheit unseres Landes stützte. Diese Treue zu nationalen Wertvorstellungen

hat unser Volk gerettet und ihm ermöglicht bis zum heutigen Tag ein intensives und fruchtbares kulturelles Leben zu führen.

Überall in der Welt waren während der ganzen Menschheitsgeschichte Religionsdiener, Politiker und intellektuelle Elite mehr oder weniger intensiv die Schöpfer des geistigen und intellektuellen Lebens. Da in unserem Land die staatliche Unabhängigkeit oft beschränkt wurde, hat die Kirche im Laufe der Jahrhunderte die Kämpferfunktion übernommen und für die Freiheit und Einigkeit des Volkes gekämpft.

Im 19. Jh. n. Chr., als das Russische Reich gewalttätig georgische staatliche und kirchliche Unabhängigkeit beschränkte, hat die intellektuelle Elite den Schutz der Eigenartigkeit Georgiens auf sich genommen. Die öffentliche Gesellschaft von Wissenschaftlern und Kulturschaffenden „Tergdaleulebi“, die von Schriftsteller und Staatsmann Ilia Tschawtschawadse geleitet wurde, hat das Volk von dem geistlichen Untergang geschützt. Sie haben die nationalen Werte „Vaterland, Sprache, Glaube“ in Erinnerung gerufen und in der georgischen Gesellschaft den Wunsch vaterländische Ehre zu schützen erweckt. Ilia Tschawtschawadse wurde von der georgischen orthodoxen Kirche heiliggesprochen und erhielt den Namen Heiliger Ilia der Rechtschaffene.

Trotz der Kolonialpolitik des russischen Reiches haben „Tergdaleulebi“ ein Bildungskonzept entwickelt, das nicht nur die Vereinigung des multikonfessionellen und von Feudaladel zerteilten Landes ermöglichte, sondern aufgrund der traditionellen, geistlichen Wertvorstellungen in der Zukunft auch die Formierung des einheitlichen und unabhängigen Georgiens garantieren würde.

Leider blieb ihr Traum unverwirklicht.

1921 hat russische bolschewistische Regierung unterstützt von georgischen Kommunisten Georgien okkupiert und sowjetisiert. Das Bildungsprogramm des neuen politischen Regimes beruhte sich gänzlich auf die marxistische Theorie und beabsichtigte vollständige Sozialisierung des Erziehungszyklus des Kindes.

Aufgrund des kommunistischen Bildungssystems ist Folgendes durchgeführt worden: 1. Verachtung der familiären Erziehung; 2. Verbreitung und Entwicklung der kollektiven Tendenzen statt persönlichen; 3. Einführung der sozialen Prinzipien der Erziehung. Die Erfüllung dieser Aufgaben haben Kindergärten, Kinderspielplätze,

Schulen, Kinderheime, Jugendvereine und Arbeitsschulen übernommen. Der Ziel diesen konkreten Erziehungseinrichtungen war „die Vernichtung des engen egoistischen Einflusses seitens der Familie“.

In erster Linie beabsichtigte dieses Projekt, die traditionelle geistliche Werte – vor allem religiöse Prinzipien – zu missachten und Jugendliche im atheistischen Sinn zu erziehen.

Unter dem Einfluss der kommunistischen, totalitaristischen Ideologie hat sich in Georgien der Kult der Gewalt verankert. Die Bespitzelung und Beobachtung der Bürger haben sich verbreitet. Georgische Familien fingen an, zu zerfallen. Christliche Arbeitsverhältnisse und traditionelle Formen der Arbeitskultur wurden missachtet. Das religiöse Leben wurden extrem beschränkt. Das Ganze hat die Degradierung der Sittlichkeit verursacht.

Man kann aber nicht die Tatsache außer Acht lassen, dass es vielen georgischen Familien gelungen ist, sogar unter der Kontrolle der kommunistischen Partei traditionelle geistliche Werte zu schützen und zu pflegen. Sie haben religiöse Rituale geheim durchgeführt, bewahrten und vertieften die Tradition. Dieses Verhalten kann man als Heldentat bezeichnen.

In dreißiger Jahren des 20. Jahrhunderts, als man die Annäherung des Zweiten Weltkrieges schon ahnen konnte und die nationale Ideologie, nationale Werte besonders wichtige Bedeutung erhielten, hat die politische Leitung des sowjetischen Staates beschlossen, nationale Wertvorstellungen mäßig wiederzubeleben.

Georgische intellektuelle Elite, die mit Tapferkeit und Weisheit ausgestattet war, hat diese Gelegenheit genutzt, um der kommenden Generation den patriotischen Geist anzuerziehen.

Auf dieser Weise **übernahm georgische Intelligenzija erneut die Leitung des Bildungsprozesses im Land.**

Trotz des selbstlosen Wirkens der georgischen Intelligenzija ist es der kommunistischen Ideologie gelungen, ende des 20. Jahrhunderts der Mehrheit der Gesellschaft religiöse Wertvorstellungen auszumerzen und die für die nationale Identität charakteristische Merkmale wesentlich zu verzerren. Mitleid wurde durch Gleichgültigkeit ersetzt, Edelmüt – durch Habgier, Professionalismus – durch Karrierismus, Verantwortung – durch Formalismus und der Wunsch Gerechtigkeit zu schützen – durch Konformismus.

Unter solchen komplizierten Umständen hat 1977 Ilia II. (Schiolaschwili) den Thron des Patriarchen Georgiens übernommen. Er hat sich zum Ziel gesetzt, georgische Jugend auf traditionellen Werten zu erziehen. Gleich am Anfang seines Wirkens hat er in der Gesellschaft zwei Schichten hervorgehoben – Jugend und Intelligenzija. Genau mit diesen zwei Gruppen hat er angefangen, aktiv zu arbeiten. Patriarch Ilia II hat der Tradition montags Kinder zu segnen den Anfang gesetzt. Mittwochs hat er sich regelmäßig mit Studenten getroffen und donnerstags wurden die Treffen mit der Intelligenzija zurück ins Leben gerufen.

Die Vereinigung der Kirche mit der intellektuellen Elite des Landes hat die vollständige Mobilisierung der nationalen Befreiungsbewegung verursacht. Die Krönung dieses Prozesses war 1991 die Wiederherstellung der Unabhängigkeit Georgiens. Alle haben erwartet, dass im neuen demokratischen Georgien aufgrund der traditionellen Werten ein kulturell und ökonomisch starker Staat aufblühen würde.

Aber die Ereignisse haben sich anders entwickelt:

1. Russische imperialistische Kräfte haben in Georgien ethnopolitische Konflikte provoziert, was in einem flächendeckenden Bürgerkrieg mündete. Dieser Krieg führte zum großen Opfer und mehreren Tausenden Flüchtlinge. Georgien hat die politische Kontrolle auf manche Regionen verloren.

2. Um die prowestliche Orientierung Georgiens zu hindern, hat Russland künstlich eine Wirtschaftskrise im Land verursacht. Die herkömmlichen Wirtschaftsbeziehungen wurden abgebrochen. Das hat das Land zur Armut geführt. Betriebe und Fabriken haben aufgehört zu funktionieren, der größte Teil der Bevölkerung blieb arbeitslos. Familien blieben ohne Lebensunterhalt und Familienmitglieder waren gezwungen, ins Ausland (Westeuropa, Russland, Israel, u.a.) zu fahren und dort eine Arbeit zu suchen. Das hat natürlich die traditionelle Familienverhältnisse stark beeinträchtigt. Der Grund dafür war, dass meistens die Frauen, also die Mütter die Familie verlassen haben, um sie zu ernähren. Kinder wuchsen ohne mütterliche Liebe, Wärme und Aufsicht, das hat sich auf die geistliche Formierung der Kinder widerspiegelt – die Kinder waren gereizt. Wegen der schweren materiellen Umständen waren sie oft unterdrückt und deprimiert. Das alles hat die Jugend weniger zur fleißigen und erfolgreichen Arbeit motiviert.



3. Auch die intellektuelle Elite war auch durch diese Ereignisse stark betroffen – politische Unruhen, Ehrgeiz unterschiedlicher Parteien und undurchdachte Aktivitäten haben wirtschaftliches wie auch geistiges Potenzial des Landes verbraucht.

4. Die Krise herrschte auch im Staatssystem – die politische Elite hat sich als nicht bereit erwiesen, sich dem kapitalistischen System anzupassen. Korruption und Machtmissbrauch herrschten im Land.

Nach der Wiederherstellung der Unabhängigkeit hat die Gesellschaft in erster Linie auf die hemmungslose praktische Umsetzung des nationalen Bildungskonzepts gehofft. Das Bildungssystem sollte das durch kommunistische Ideologie beschädigte öffentliche Bewusstsein heilen. Dafür war es notwendig, die nationalen und geistlichen Werte in das Bildungssystem einzubetten, die im Laufe der Jahrhunderte unsere nationale Eigenart geprägt haben. Gleichzeitig sollte der Bildungsbereich mit der modernen Entwicklung der Wissenschaft Schritt halten.

Wegen der Verwirrung der Übergangsperiode wurden in unserem Land Liberalismus und Säkularismus leider nur oberflächlich wahrgenommen. Dadurch wurde die Bewusstmachung der für unsere Identität derart charakteristischen Werte äußerst beschränkt und die Rückkehr dieser Wertvorstellungen in das gesellschaftliche Leben wurde verzögert. Die mechanische Übertragung der in europäischen Ländern mehrfach erprobten erfolgreichen Bildungstechnologien war für uns weniger effektiv und manchmal sogar auch schädlich, da diese Übertragung ohne Berücksichtigung der nationalen Interessen stattfand. Infolgedessen war jedes neue Experiment in unserem Bildungssystem erfolglos.

Das kommunistische Regime hat versucht, das religiöse Bewusstsein mit Gewalt auszumerzen. Der weltanschauliche Säkularismus versucht, das Gleiche im Namen von allgemeiner Freiheit und Toleranz zu verwirklichen. In der kommunistischen Periode wurden die nationalen Werte zwar verzehrt unterrichtet, aber der Begriff ‚Patriotismus‘ nahm im Bewusstsein der Gesellschaft einen besonderen Platz ein. Leider trägt heutzutage der Begriff ‚Patriotismus‘, laut Vertretern der radikalen liberalen Weltanschauung, eine Gefahr des Nationalismus und Faschismus, dem entsprechend gehört sich in der modernen Gesellschaft nicht mehr über dieses Thema zu sprechen.

In dieser schwierigen Lage, als im Land totale Zerstörung des Landes stattfand, stellte die georgische orthodoxe Kirche die einzige unbefleckte Oase dar. Georgisches Patriarchat und Seine Heiligkeit Ilia II haben die Entwicklung der geistlichen und der sittlichen Richtlinien auf sich genommen. Die Predigten von Patriarchen und sein Aufruf „Georgier, zusammen zum Gott!“ bestimmte in diesen strapaziösen Jahren wesentlich das geistliche Leben der georgischen Bevölkerung.

Aber allein die Kirche kann alle Probleme des Landes nicht lösen. Sie braucht den Beistand der intellektuellen Elite. Nur die Vereinigung der geistlichen und der intellektuellen Kräfte wird die Genesung der öffentlichen Meinung und ihre Formierung zu einem System ermöglichen.

Nach den oben genannten Faktoren stellt sich natürlich eine rhetorische Frage: Wessen Verantwortung ist Bildung?

Wir sind der Meinung, dass diese Verantwortung in erster Linie der Staat übernehmen soll. Der Staat ist dafür verantwortlich alle Ströme und Gegenströme, die es im Land gibt zu kontrollieren. Ins besondere betrifft es die Erziehung und Bildung der Kinder. Natürlich muss der Staat mit der Öffentlichkeit und der Kirche eng zusammenarbeiten und für die Wiedergeburt der traditionellen Familie sorgen. Der Staat verfügt über alle wichtige Ressourcen – menschliche wie finanzielle. Bildung muss zur obersten Priorität erklärt werden, nicht nur durch Wort, wie es bis jetzt passiert ist, sondern durch die Tat. Es soll nicht nur gesagt, sondern auch gemacht werden.

Die Formierung des Schulbereichs, der durch nationalen Geist geprägt ist, der die führende Errungenschaften der westlichen Bildung schöpferisch anwendet und kreative und innovative Jugend erzieht, muss gefördert werden – dem Staat wird es in aktiver Zusammenarbeit mit der intellektuellen Elite und der Kirche gelingen.

**ბანათლება საქართველოში: ტოტალიტარიზმიდან  
დემოკრატიისაკენ**

საქართველო უძველესი ცივილიზაციის ქვეყანაა, სადაც მუდამ უდიდესი ყურადღება ექცეოდა სწავლა-განათლების საქმეს. უხსოვარი დროიდან, თავისი სახელმწიფოებრივი არსებობის 2300 წლიან ისტორიაში, განვითარების ყველა ეტაპზე, ქართველი კაცი თავის ცოდნა-გამოცდილებას - იქნებოდა ეს შრომითი კულტურის მიღწევები თუ ღრმა მეცნიერული ცოდნა, სხვადასხვა ფორმით, სხვადასხვა გზით მუდამ გადასცემდა მომავალ თაობას.

326 წლის შემდეგ, საქართველოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებისა და ეკლესია-მონასტრების მშენებლობის პირობებში - სწორედ ქრისტიანული სავანეებში იყო თავმოყრილი საგანმანათლებლო და მეცნიერული ცოდნა. გელათისა და იყალთოს აკადემიები, რომლებიც ტოლას არ უდებდნენ კონსტანტინოპოლის მანგანის აკადემიას, მაღალი დონის სწავლულებს ამზადებდნენ ღვთისმეტყველების, მედიცინის, ფილოლოგიის, ლიტერატურისა, მთარგმნელობითი ხელოვნების, მუსიკათმცოდნეობის, ტიხრული მინანქრის დამაზადებისა თუ სხვ - ფუნდამენტური თუ გამოყენებითი მეცნიერების დარგებში.

სამწუხაროდ, ეს ზეადმაგალი განვითარების პროცესი XIII-XVIII საუკუნეებში სერიოზულად შეაფერხეს მონღოლების, ირანელების, თურქების პერმანენტულმა თავდასხმებმა და ქართული მოსახლეობის მეთოდური განადგურების მანიაკალურმა მცდელობებმა, რომლის შედეგად მრავალმილიონიანი ქართველი მოსახლეობა XVIII საუკუნის დასასრულს მილიონსაც ვეღარ აღწევდა - საუკუნეების მანძილზე ხდებოდა ქრისტიანი ქართველობის უმოწყალო გენოციდი.

ამას ისიც დაემატა, რომ დასუსტებულ ქვეყანაში მიმდინარეობდა რელიგიური ექსპანსია - სხვადასხვა საცდუნებლებით ქართველების ნაწილი ძალით გაამაჰმადიანეს, ნაწილი კათოლიკე გახადეს, ნაწილიც - მონოფიზიტი-გრი-

გორიანელი. ამას დაემატა ფეოდალური დაქუცმაცებულობა, როცა ქვეყანა სამ სამეფოდ და 4 სამთავროდ დაიშალა. ყოველივე ამან არა მარტო სერიოზულად შეაფერხა განათლების საქმე საქართველოში, დაახიანა განათლების ეროვნული სისტემა, არამედ საფრთხე შეუქმნა ქართველი ერის იდენტობის პრობლემასაც კი.

XIX საუკუნის 60-იან წლებში ეს პრობლემები უკვე სერიოზულად აღელვებდა ქართველ ახალგაზრდობას (ე.წ. „თერგდალეულები“), რომელსაც თავადი ილია ჭავჭავაძე ხელმძღვანელობდა. ქართველი ახალგაზრდების ეს ჯგუფი, ევროპულ ცივილიზაციას ნაზიარებნი - ღრმად განათლებლი და დიდად მორწმუნე ახალგაზრდები, მიზნად ისახავდა ეროვნულ ფასეულობების საფუძველზე ქართველების აღზრდას. რუსეთის იმპერიის კოლონიალური მარწუხების მიუხედავად, მათ გადაწყვიტეს ისეთი საგანმანათლებლო კონცეფციის შემუშავება, რომელიც არა მარტო ერთ მუშტად შეკრავდა მრავალკონფესიურ და ფეოდალურად დაქუცმაცებულ ქართველობას, არამედ ტრადიციული სულიერი ფასეულობების აღორძინების საფუძველზე უზრუნველყოფდა მომავალში ერთიანი და დამოუკიდებელი საქართველოს ფორმირებასაც.

ეს კონცეფცია მათ არა მარტო ჩამოაყალიბეს, არამედ პრაქტიკულადაც განახორციელეს. რაში მდგომარეობდა ამ კონცეფციის არსი? ის შედგებოდა შემდეგი აუცილებელი კომპონენტებისაგან: ახალი ქართული სალიტერატურო ენისათვის ბრძოლა, ქართული ენის სახელმძღვანელოს შექმნა, ქართული სასკოლო ქსელის მშენებლობა, ერთიანი საქართველოს ისტორიის ჩამოყალიბება, საქართველოს ეკონომიკური განვითარებისათვის ხელის შეწყობა, ქართული კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების შექმნა-განვითარება, ქართული თეატრის აღორძინება და ყოველივე ამის საფუძველზე - კუთხური პარტიკულარიზმის დაძლევა. ამ ეტაპზე „ენა, მამული, სარწმუნოება“ გახდა ქართველი ბავშვის აღზრდის ახალი ეროვნული პრინციპი-დევიზი.

ქართველმა ახალგაზრდა ინტელიგენტებმა მოახერხეს და თავისი სამოქმედო კონცეფციის თითქმის ყველა

პარამეტრი აამოქმედეს: ჩამოაყალიბეს ახალი სალიტერატურო ენა, შექმნეს ევროპული სტადტარტებითაც კი საქებაარი ქართული ენის სახელმძღვანელო (ი. გოგებაშვილის „დედა ენა“), შეიქმნა ქართული სკოლების ქსელი, ააღორძინეს ქართული თეატრი, დაიწერა ერთიანი საქართველოს ისტორია, გამრავლდა ქართული კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები და ა.შ. და ა.შ.

ამრიგად, **ქართველი ინტელიგენცია ჩაუდგა ქართველთა საგანმანათლებლო პროცესს სათავეში**. მაგრამ რუსეთის კოლონიალური რეჟიმი ყველა ამ წამოწყებას მაქსიმალურად აფერხებდა – ქართველთა გარუსების ამოცანას ეწირებოდა „თერგდალეულთა“ კონცეფციაც და მათი მრავალმხრივი აღმზრდელობითი მოღვაწეობაც. ქართველი ახალგაზრდა ინტელიგენტები იმედოვნებდნენ, რომ თავისუფალ საქართველოში მოხერხდებოდა ყველა ამ პრინციპის უპირობო დაცვა-განვითარება და მთელი პროცესის წარმატებით დაგვირგვინება.

მაგრამ 1921 წელს რუსეთის ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ, ქართველი კომუნისტების დახმარებით, მოახდინა საქართველოს ოკუპაცია და გასაბჭოება. ახალი პოლიტიკური რეჟიმის საგანმანათლებლო პროგრამა მთლიანად მარქსიზმის თეორიას ეყრდნობოდა და როგორც კი მოზარდი დამოუკიდებლად არსებობას შეძლებდა ბავშვის აღზრდის ციკლის სრულ სოციალიზაციას გულისხმობდა. ბოლშევიკები, მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის გამარჯვების შემდეგ, სოციალური ერთიანობის მიღწევას ცდილობნენ და ერების შერწყმას გეგმავენ. მათ არ ჭირდებოდათ ფრანგი, გერმანელი, რუსი ან ქართველი. მათ ჭირდებოდათ ახალი, საბჭოთა ადამიანის ფორმირება, რაც აღზრდის ტრადიციული სისტემის დანგრევის შედეგად უნდა შექმნილიყო ანუ მათ უნდა აღეზარდათ „კომოსოვეტიკუსი“.

ამ რთული ამოცანის რეალიზაცია მხოლოდ ახალი საბჭოთა სკოლის იდეოლოგიური და პრაქტიკული საქმიანობით იყო შესაძლებელი და ასეთი იდეოლოგიური პრინციპები საკმაოდ დროულად შეიქმნა. ბოლშევიკებმა დარტყმა მიაყენეს აღზრდის ტრადიციულ სისტემას: ოჯახს –

საზოგადოებას – სახელმწიფოს. სამივე ეს კომპონენტი რადიკალურ ცვლილებებს დაექვემდებარა. ბოლშევიკური განათლების სისტემის საქართველოში დამნერგავი ეერთ-ერთი იდეოლოგი წერდა: „ჩვენი მიზანია ისე მოვაშაბლოთ ბავშვები, რომ ისინი ჰარმონიულად განვითარდნენ და შეიქმნას ახალი კომუნისტური საზოგადოების მკვიდრი წევრნი, გრძობდნენ მჭიდრო კავშირს საზოგადოებასთან, შეიგნონ კომუნისტური ფსიქოლოგია და შრომის უნარი, რომელსაც შეუძლია თავისი ნებისყოფა და ინტერესი კოლექტივის ინტერესს დაუქვემდებაროს, რომელსაც ყოველ პირობებში შეუძლია იყოს კარგი ამხანაგი, მუშაობაში შეიტანოს თავისი ინიციატივა“.

XX საუკუნის 20-იანი წლების დასაწყისში საქართველოში ბოლშევიკების მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო კონცეფციის გაცნობა გვაძლევს საშუალებას ვამტკიცოთ, რომ სახეზეა: 1. საოჯახო აღზრდის სრული იგნორირება; 2. ინდივიდუალისტური ტენდენციების ნაცვლად კოლექტივისტური ტენდენციების დანერგვა-განვითარების მოთხოვნა; 3. სოციალური აღზრდის პრინციპების უპირატესი დამკვიდრება. ეს ამოცანა უნდა განხორციელებულიყო აღზრდა-განათლების სრული ციკლით: საბავშვო ბაღი, საბავშვო მოედნები, სკოლა, კლუბი ან ბავშვთა სახლი (ინტერნატი), მთლიანი შრომის სკოლა. აღზრდის ყველა ამ კონკრეტული ფორმის მთავარი ამოცანაა: „ვიწრო ეგოისტური ოჯახის გავლენის მოსპობა“.

ეს პროექტი, უპირველესად გულისხმობდა, ტრადიციული სულიერი ფასეულობების – პირველ რიგში მართლმადიდებლური მოძღვრების ძირითადი პრინციპების უგულვებელყოფას, მოზარდის ათეისტურ აღზრდას; კერძომესაკუთრელი შეხედულებებისა და ქცევის ყოველგვარი გამოვლენის წინააღმდეგ უკომპრომისო ბრძოლას, მათ ჩანაცვლებას ახალი საბჭოთა ტრადიციებითა და რიტუალებით, კოლექტივისტური იდეალებითა და პრაქტიკული მოქმედებებით.

უნდა აღინიშნოს, რომ ეს საგულდაგულად დაგეგმილი საბჭოთა პროექტი ვერ განხორციელდა – ვერ მოხერხდა ბავშვის სრული სოციალიზაცია, ვერც საოჯახო სის-

ტემის აფეთქება შეეძლეს – ფინანსური სახსრების არარსებობის გამო: ბავშვები XX საუკუნის 20-იან წლებში საქართველოში კვლავ ძირითადად ოჯახებში იზრდებოდნენ, სამაგიეროდ მოხერხდა განათლება-აღზრდის სახელმწიფო სისტემის რადიკალური ცვლილება, მისი სოციალიზაცია. აღზრდა-განათლების ყველა კომპონენტი – დაწესებული საბავშვო ბაღიდან, შემდეგ სკოლა, პროფესიული სასწავლებელი, უმაღლესი განათლება, საბჭოთა სისტემის დროს, მთლიანად იყო იდეოლოგიზირებული და განისაზღვრებოდა კომუნისტური პარტიის ყრილობებისა და პლენუმების დადგენილებებითა და გადაწყვეტილებებით, პარტიის ლიდერების კონკრეტული შეხედულებებით.

„ახალი საბჭოთა ადამიანის“ აღზრდა მიზნად დაისახა არა მარტო საბჭოთა სკოლამ, არამედ კომუნისტური იდეოლოგიით ღრმად დატვირთულმა საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმაც: ოქტომბრელთა კავშირმა, პიონერების ორგანიზაციამ, კომკავშირმა. მათში გაერთიანებული იყო ასიათასობით ახალგაზრდა და გარკვეულ პერიოდებში მათი ზეგავლენა მოზარდსა თუ ახალგაზრდაზე, ფაქტობრივად, განმსაზღვრელი იყო. სწორედ ამ ორგანიზაციების ლიდერები ზრდიდნენ კომკავშირულ აქტივისტებს – საბჭოთა სისტემის მხურვალე დამცველებად, „კლასობრივი მტრების“ წინააღმდეგ უკომპრომისო მებრძოლებად, ეკლესიებისა და მონასტრების დამანგრეველ მანთურქებად, კომუნისტური პარტიის საქმისათვის მუდამ მზად მყოფ ახალგაზრდებად.

უკვე დადასტურებული ფაქტია, რომ კომუნისტური იდეოლოგიის ტოტალური ზემოქმედების შედეგად საქართველოში მოხდა: 1. ძალადობის კულტის დამკვიდრება; 2. გაგრძელდა მიყურადებისა და თვალთვალის პრაქტიკა; 3. მოხდა ტრადიციული ქართული ოჯახის ნგრევა; 4. ქრისტიანული შრომითი ურთიერთობებისა და შრომითი კულტურის ტრადიციული ფორმების იგნორირება; 5. ღმერთთან კავშირის გაწყვეტამ საქართველოში ზნეობრივი დეგრადაცია გამოიწვია.

თუმცა არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ისიც, რომ საქართველოში ბევრი ოჯახი, კომუნისტური კონტროლის პი-

რობებშიც კი, ახერხებდა ტრადიციული სულიერი ფასეულობების შენარჩუნებას, საიდუმლოდ ასრულებდნენ რელიგიურ რიტუალებს, იცავდნენ და ავითარებდნენ ტრადიციულ ფასეულობებს. მათი მხრიდან ეს დიდი გმირობა იყო.

XX საუკუნის 30-იან წლებში, როცა II მსოფლიო ომის მოახლოება უკვე შესამჩნევი გახდა და ეროვნულ იდეოლოგიას, ეროვნულ ფასეულობებს განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭათ მსოფლიოში, საბჭოთა სახელმწიფოს პოლიტიკურმა მესვეურებმაც გადაწყვიტეს გარკვეული დოზით აეღორძინებინათ ეროვნული ფასეულობები, როგორც ცენტრში (მოსკოვში), ისე ადგილებზე (თბილისში), მაგრამ მკაცრი კონტროლის პირობებში.

გაიხსენეს ილია ჭავჭავაძე და სხვა პატრიოტი მწერლები: იაკობ გოგებაშვილი, აკაკი წერეთელი და სხვები; განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ის, რომ სკოლაში დააბრუნეს იაკობ გოგებაშვილის „დედა ენა“, რა თქმა უნდა, კომუნისტურად შეჭრილ-განახლებული, ბელადების ბიოგრაფიებით „გამდიდრებული“, მაგრამ ამ სახელმძღვანელოს ძირითადი კომპონენტი – ქართული ეროვნული ფესულობების პროპაგანდა, მეტ-ნაკლებად, დაშვებული იყო. გარკვეულ ეტაპზე საბჭოთა სკოლაში დააბრუნეს ჰავიოგრაფიული თხზულებებიც კი – ძველი ქართული ლიტერატურის კურსის ეგიდით, მაგრამ, რა თქმა უნდა, „გამოშინული“, ათეისტურად გააზრებული, ღრმა საღვთისმეტყველო შინაარსზე აქცენტის გადატანის გარეშე. მაგრამ ბაღანსი მაინც არ დაარღვიეს – მთავარი მაინც იყო პროლეტარული, კომუნისტური იდეოლოგია, ხოლო ეროვნული მუდამ დაქვემდებარებული.

ყოველივე ზემოთ თქმულის მიუხედავად, XX საუკუნეების 30-50-იან წლებში, ამის არ დანახვა არ შეიძლება, საქართველოში განხორციელდა თერგდალეულების ეროვნული საგანმანათლებლო კონცეფციის ყველა ძირითადი შემადგენელი ნაწილი: გაიზარდა და მრავალფეროვანი გახდა საქართველოს განათლების სისტემა – საქართველოში მოისპო წერა-კითხვის უცოდინრობა, სავალდებულო გახდა ჯერ რვაწლიანი, შემდეგ საშუალო სკოლის დამ-



თავრება, მოხდა უმაღლესი სკოლის გახალსურება – ის აღარ იყო პრივილეგირებული კლასების საკუთრება, უმაღლეს სკოლებში სწავლობდნენ საქართველოს სოფლების მშრომელთა წარმომადგენლები, მუშების შვილები; მათ შესაძლებლობა ჰქონდათ სწავლა გაეგრძელებინათ ასპირანტურაში, გამხდარიყვნენ მეცნიერები. საქართველოში განათლება ძალიან პრესტიჟული გახდა – ყოველ 1000 კაცზე საშუალო და უმაღლესი განათლების მოქონეთა რიცხვის მხრივ საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკებს შორის ეკავა პირველი ადგილი.

1941 წელს საქართველოში გაიხსნა მეცნიერებათა აკადემია, შეიქმნა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების მთელი ქსელი – ჩამოყალიბდა ფიზიოლოგიის (ივანე ბერიტაშვილი), მექანიკის (ნიკო მუსხელიშვილი), ფსიქოლოგიის (ანდრია რაზმაძე), ფიზიკის (ელეფთერ ანდრონიკაშვილი), ენათმეცნიერების (არნოლდ ჩიქობავა), ისტორიის (ივანე ჯავახიშვილი) და სხვათა და სხვათა სამეცნიერო სკოლები და მიმართულებები.

წარმოუდგენელ სიმაღლეებს მიაღწია თეატრალურმა ხელოვნებამ (II მსოფლიო ომის წინ საქართველოში 50-მდე პროფესიული თეატრი იყო), საყოველთაო აღიარება მოიპოვა ქართულმა კინომატოგრაფმა (განსაკუთრებით XX ს. 60-80-იან წლებში), დაწინაურდა ქართული სპორტი (ქართველმა ფეხბურთელებმა 1981 წელს ევროპის თასის მფლობელთა თასი მოიმპოვეს). საყოველთაო აღიარება მოიპოვეს ქართველმა მუსიკოს-შემსრულებლებმა, მხატვრებმა, მოქანდაკეებმა. მსოფლიოში იცნობდნენ კინორეჟისორ თენგიზ აბულაძეს, რეჟისორ რობერტ სტურუას, მომღერალს პაატა ბურჭულაძეს. პიანისტ ელისო ვირსალაძეს, მევიოლინე ლიანა ისაკაძეს, მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონს ჭადრაკში ნონა გაფრინდაშვილს და მრავალ სხვას.

ამრიგად, **ქართველი ინტელიგენცია კვლავ ჩაუდგა ქართველთა საგანმანათლებლო პროცესს სათავეში.**

მაგრამ ქართველ ინტელიგენციის ერთ ნაწილს მაინც ჰქონდა უკმარისობისა და პროტესტის გრძნობა: 1. „მავნე ტრადიციების წინააღმდეგ ბრძოლის“ ლოზუნგით იღვენებოდა ტრადიციული ქართული სულიერება, წარმოუდგე-

ნელ სიმაღლეებს მიაღწია ათეისტურმა პროპაგანდამ; 2. სისტემატურად მცირდებოდა სკოლებში საქართველოს ისტორიისა და ქართული ლიტერატურისათვის გამოყოფილი საათების რაოდენობა; 3. გაძლიერებულ პროპაგანდას დაუქვემდებარეს ერების კვდომის მარქსისტულ-ლენინური თეორია, რომელიც ახლო მომავალში ქართველი და სხვა ერების ერთ მითოლოგიზირებული ერთობის – „საბჭოთა ხალხის“ შემადგენლობაში ასიმილაცია უწინასწარმეტყველებდნენ; 4. ტრადიციულმა სულიერი ფასეულობების იგნორირებამ, რელიგიური ცნობიერებებისაგან განშორებამ სბჭოთა კავშირში ადამიანი აშკარად გახადა კონფორმისტი, მოძალადე, დაუმახინჯა სული – ბევრი ცხოვრობდა ისე, რომ ფიქრობდა - ერთს, ამბობდა – მეორეს და აკეთებდა – მესამეს; 5. ყველაფერმა ამან გამოიწვია „საბჭოთა სკოლის“ კრიზისი – მოზარდი აშკარად ავლენდა უკმაყოფილებას, დაუმორჩილებლობას, მათში გავრცელდა ფორმალისმი, საქმისადმი ზერელე დამოკიდებულება, სიზარმაცე...

ასეთ მძიმე ვითარებაში 1977 წელს საქართველოს საპატრიარქოს ტახტზე ავიდა ილია II (შიოლაშვილი), რომელმაც თავის მიზნად დაისახა საქართველოს ახალგაზრდობის ტრადიციულ სულიერ ფასეულობებზე აღზრდა. მან მოღვაწეობის დასაწყისიდანვე საქართველოს საზოგადოებაში გამოარჩია ორი ფენა – ახალგაზრდობა და ინტელიგენცია და სწორედ მათთან გაშალა აქტიური მუშაობა. პატრიარქმა შემოიღო ტრადიციული ორშაბათობები – „ბავშვების დალოცვის დღე“, სისტემატური შეხვედროები სტუდენტ ახალგაზრდობებთან ოთხშაბათობით – ამ შეხვედრებზე, ასევე პატრიარქის ქადაგებების დროს, დაიწყო ტრადიციული ეროვნული და საკაცობრიო ფასეულობების, მართლმადიდებლური ჭეშმარიტებების მასობრივი გავრცელება, საქართველოს ისტორიით მოზარდების დაინტერესება.

შედგეი კი ის იყო, რომ სწორედ მოწინავე ქართველმა ინტელიგენციამ, თავისი მრავალმხრივი შემოქმედებითი მოღვაწეობით, შეამზადა იდეოლოგიური საფუძველები ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისათვის, ხოლო საქართველოს სტუდენტი-ახალგაზრდობა გახდა ეროვ-

ნულ-განმათავისფლებელი მოძრაობის პრაქტიკული განხორციელების – საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის მიღწევის – ძირითადი ბერკეტი.

სახვასმით უნდა აღინიშნოს, რომ მაშინ საქართველოში ყველა ელოდა, რომ ახალ, დემოკრატიულ საქართველოში კიდევ უფრო წარმატებით განხორციელდებოდა ილია ჭავჭავაძის საგანმანათლებლო კონცეფცია და ქართველი ახალგაზრდები აღიზრდებოდნენ ეროვნული და საკაცობრიო სულიერების საფუძველზე.

მაგრამ მოვლენები ცოტა სხვაგვარად განვითარდა: 1. რუსეთის იმპერიულმა ძალებმა შეძლეს და საქართველოში მოხერხდა ეთნო-პოლიტიკური დაპირისპირებების პროვოცირება, რაც ფართო მასშტაბიან სამოქალაქო ომში გადაიზარდა. ამან მოიტანა საკმაოდ დიდი მსხვერპლი, დევნილების მრავალათასიანი არმიები და ქვეყნის რიგ რეგიონზე პოლიტიკური კონტროლის დაკარგვა; 2. მოხდა ეკონომიკური კატასტროფა – რაც ასევე ხელშეწყობდა იყო გამომწვეული რუსეთის მიერ საქართველოს პროევროპული ორიენტაციის შესაჩერებლად. გაწყდა ტრადიციული ეკონომიკური კავშირები, რამაც სერიოზულად გააღარბა ქვეყანა, ქარხნები და ფაბრიკები გაჩერდნენ, მოსახლეობის უზარმაზარი მასა დარჩა დასაქმების გარეშე. ოჯახები აღმოჩნდნენ საარსებო წყაროს მიღმა და ოჯახის წევრები იძულებული გახდნენ საზღვარგარეთ (დასავლეთ ევროპაში, რუსეთში, ისრაელში და სხვ.) წასულიყვნენ სამუშაოდ. ამან დააზარალა ტრადიციული საოჯახო ურთიერთობა, რადგან ხშირად ოჯახიდან სამუშაოდ მიდიოდა ქალი – დედა. ბავშვი დედის სითბოსა და ზედამხედველობის გარეშე იზრდებოდა, რაც აისახა მათ სულიერ წყობაზეც – ისინი იყვნენ უფრო გაღიზიანებული, მძიმე მატერიალური პირობებით დათრგუნულნი, ხოლო ეს ყოველივე „დანგრეული ოჯახების“ პრობლემებით დატვირთულ ახალგაზრდა თაობას ნაკლებად განაწყობდა სიბეჯითისა და წარმატებული საქმიანობისათვის (ამ ჭეშმარიტებას ადასტურებს არა ერთი სოციოლოგიური გამოკითხვა); 3. სერიოზულად დაზარალდა საზოგადოებაც – პოლიტიკურ ვნებათღელეებას, უამრავი პარტიების ამბიციებსა და გაუაზრებელ ღო-

ნისძიებებს ეწირებოდა ქვეყნის როგორც ეკონომიკური, ისე სულიერი შესაძლებლობები. 4. სერიოზული კრიზისმა მოიცვა თვითონ სახელმწიფო სისტემაც – კაპიტალიზმის პირველადი დაგროვების პირობებში, სახელმწიფოს მესვეურები ვერ აღმოჩნდნენ სათანადო დონეზე – გავრცელდა კორუფცია, თანამდებობის ბოროტად გამოყენება. საქართველოში ადგილი ჰქონდა „სახელმწიფო ელიტის“ კრიზისს – დიდხანს ვერ მოხერხდა ისეთი სახელისუფლო სტრუქტურების ჩამოყალიბება, რომლებიც უზრუნველყოფდნენ ქვეყნის მატერიალურ და სულიერ აღმავლობას.

ასეთ რთულ პირობებში, როცა ქვეყანაში ტოტალური ნგრევა იყო, ეთადერთი შეურყენველი სავანე ქართული მათლმადიდებლური ეკლესია აღმოჩნდა. სწორედ საქართველოს ეკლესიამ და მისმა პატრიარქმა მნიშვნელოვნად თავის თავზე აიღეს ქვეყნად სულიერების აღორძინებისა და სასულიერო განათლების ოპტიმიზაციის საქმე. პატრიარქის ქადაგებები, მისი მოწოდებები „ქართველნი, ერთად ღვთისაკენ!“ მნიშვნელოვნად განსაზღვრავდა იმ მძიმე წლებში საქართველოს მოსახლეობის სულიერ ცხოვრებას.

სახელმწიფოს სისტემის კრიზისის პირობებში სერიოზული პრობლემების წინაშე აღმოჩნდა საქართველოს საგანმანათლებლო სექტორიც, რომელიც სტიქიურად მიექანებოდა ტოტალიტარიზმიდან დემოკრატიისაკენ. დამოუკიდებლობის თითქმის 30-წლის მანძილზე, გაუთავებელი „რევოლუციური“ ცვლილებების, განათლების სისტემის ხელმძღვანელთა ოპტიმისტური განცხადების მიუხედავად, რომ განათლების სისტემაში მიმდინარეობს წარმატებული რეფორმები, რამაც გამოაცოცხლა სკოლა – განათლების სისტემის რადიკალური გადახალისება მაინც ვერ მოხერხდა. საქმე იქამდე მივიდა, რომ 2018 წელს საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთმა ლიდერმა საჯაროდ განაცხადა: „განათლების არსებულ სისტემას საბჭოთა სისტემა სჯობდა!“. ეს განცხადება გაკეთდა საქართველოში საბჭოთა სისტემის დასამარების 30 წლისთავზე...

განათლების სფეროში სახელმწიფოს სერიოზული წარუმატებლობის მიზეზად ჩვენ რამდენიმე ფაქტორი გვესახება: 1. დამოუკიდებელი საქართველოს ყველა ხელი-

სუფლების უპატიური, გულგრილი დამოკიდებულება ცოდნა-განათლების მიმართ. ამაზე მიუთითებს განათლების ძირითად და მთავარ კომპონენტს – მეცნიერებისა და მეცნიერთა მიმართ დამოკიდებულება. იცვლებოდნენ მთავრობები, მაგრამ უპატიური დამოკიდებულება მეცნიერების მიმართ არ იცვლებოდა – დაანგრიეს მეცნიერებათა აკადემია, დააქუცმაცეს მისი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები, კატასტროფულად შეამცირეს მეცნიერთა დაფინანსება ანუ მეცნიერის შრომა გახდა არაპრესტიჟული, ყველაზე ნაკლებად ახალგაზრდობას სერიოზულად დაუკარგა მოტივაცია – გაეგრძელებინა სწავლა, გამხდარიყო მეცნიერი (თუკი საბჭოთა სისტემის დროს საქართველოში 25 ათასი მეცნიერი იყო, დღეს მათი რაოდენობა თითქმის განახევრდა; თუ საბჭოთა პერიოდში საქართველოში იყო 3957 სკოლა მილიონი მოსწავლით, დღეს საქართველოში მხოლოდ 2300 სკოლაა დაახლოებით 600 ათასი ბავშვით და ა.შ.); 2. დემოკრატიზაციის პირობებში, კერძო საშუალო და უმაღლესი სასწავლებლების შექმნის ნება დართეს, რამაც რადიკალურად გაზარდა მათი რაოდენობა და ის დასაშვებ ნორმაზე მეტი აღმოჩნდა. განათლებამ დაკარგა კონკურენტული გარემო – უმაღლესი განათლების კარილია ყველასთვის, ვისაც შეუძლია სწავლის ქირა გადაიხადოს. შეწყდა აბიტურიენტების ჯანსაღი სელექცია; 3. ეკონომიკური კოლაფსისა და მეტად დუნე ეკონომიკური აღორძინების პირობებში მოთხოვნა უმაღლესი განათლების მქონე კადრებზე, განსაკუთრებით ტექნიკური განათლებით, კატასტროფულად შემცირდა: ქარხნები და ფაბრიკები მასობრივად დაიხურა. საქართველოს შრომის ბაზარი ითხოვს

მეტად ვიწრო პროფილის სპეციალისტებს. ახალგაზრდამ დაკარგა ტექნიკური განათლების მიმართ ინტერესი, მაღალნაყოფიერი სწავლის მოტივაცია. 3. დაბალი ანაზღაურების ვითარებაში საშუალო სკოლა მასობრივად დატოვა მამაკაცმა - საშუალო სკოლაში ქალების სიჭარბეა (85%), რაც ყოველთვის დადებითად არ მოქმედებს სკოლაში არსებულ მორალურ-ფსიქოლოგიურ გარემოზე, განსაკუთრებით ვაჟი-მოსწავლეების სულიერი ფორმირების

პროცესზე; 4. განათლების მართვის სახელმწიფო სისტემა ბოლო 30 წლის განმავლობაში ბოლომდე ვერ ჩამოყალიბდა და გამოირჩევა დაბალი მარგი ქმედების კოეფიციენტით. განათლების მინისტრების ხშირი ცვლა, ზოგჯერ არასპეციალისტი-მინისტრებიც, რომლებიც ცდილობენ თავისი საეჭვო საგანმანათლებლო შეხედულებები გაავრცელონ მთელ სისტემაზე, იწვევს საქართველოს ინტელიგენციის სერიოზულ უკმაყოფილებას. ასევე აღსანიშნავია გაუთავებელი რეორგანიზაციები, გაუაზრებელი ნოვაციები, ექსპერიმენტები, რომლებიც რეალურ ეფექტიანობას არის მოკლებული; 5. სერიოზულ კრიზისში აღმოჩნდა ილია ჭავჭავაძის კონცეფცია ქართული საგანმანათლებლო სისტემის აუცილებლად არსებობისა და მისი ზეადმავალი განვითარების შესახებ. ამკარაა, რომ ხდება მის კომპონენტებზე გაუმართლებელი ზეწოლა. მაგალითად, ქართულ სალიტერატურო ენაზე წარმოებს წარმოდგენელი „ძალადობა“ ევროპეიზმებით, ბარბარიზმებით, ხდება ძირძველი ქართული სიტყვების ჩანაცვლება უცხო უღერადობის ფრაზეოლოგიით, როცა მისი შესატყვისი ქართული არსებობს; სერიოზული პრობლემებია ქართულ სახელმძღვანელოებთან დაკავშირებითაც – ერთ ეტაპზე სასწავლო პროცესიდან იაკობ გოგებაშვილის „დედა-ენაც“ კი ამოიღეს, აპირებდნენ ქართული ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლების სასკოლო კურსიდან ამოღებასაც – მაგრამ ინტელიგენციის პროტესტმა ეს გადაწყვეტილება შეაჩერა. საქართველოს ინტელიგენციას არ აკმაყოფილებს განათლების სისტემის მესვერთა მხრიდან საქართველოს ისტორიის სწავლებისადმი არსებული დამოკიდებულება. მინიმუმამდე შემცირდა ქართული კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების რიცხვი (მაგალითად, თუ XX საუკუნის 70-იან წლებში საქართველოში იყო 3923 ბიბლიოთეკა, ამჟამად არის მხოლოდ 824; ასევე, თუ ადრე საქართველოში 2317 საკლუბო დაწესებულება – კულტურის სახლები და სასახლეები იყო, დღეს მთელ რესპუბლიკაში თითო-ორი-ლა თუ შემორჩენილი (სტატისტიკურ მონაცემებში ეს კატეგორია დღეს უკვე აღარ ფიქსირდება) კატასტროფულად არის შემცირებული სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო

დაწესებულებების რიცხვიც. სამაგიეროდ საქართველოში საკმაოდ მომრავლებული ტელეარხები უხვად და უწყვეტად სთავაზობენ ქართველ ახალგაზრდობას სულიერებისაგან სრულიად დაცვილ თურქულ, არგენტინულ, მექსიკურ სერიალებს; 6. ქართულ საგანმანათლებლო სივრცეს სერიოზულად აზიანებს და ქართველი ინტელიგენციის პროტესტს იწვევს ის გარემოებაც, რომ ქართული განათლების მესვეურები, რომლებიც ამოფარებულნი არიან „ბოლონიის პროცესის“ პრინციპებს, არასწორად გაგებულ დემოკრატიზაციის შეხედულებებს, იგნორირებას უკეთებენ მსოფლიო საერთაშორისო ორგანიზაციების იმ აუცილებელ გადაწყვეტილებებსაც კი, რაც ასახულია „ბავშვთა უფლებების კონვენციაში“ და მოითხოვს **ერის თვითმყოფადობის ზოგადსაკაცობრიო ღირებულების დაცვის აუცილებლობას ასახვას ეროვნულ საგანმანათლებლო კანონმდებლობაში**. ამ ხარვეზის გამოსწორება საკანონმდებლო ძალით კი უზრუნველყოფდა ეროვნული, ტრადიციულ ფასეულობების წინმდგომობით, საკაცობრიო სულიერი ფასეულობების გათვალისწინებით ახალგაზრდა თაობის აღზრდას; 7. სერიოზული პრობლემაა ე.წ. „დემოკრატიის ტოტოლატარიზმი“. ეს ცნება ბოლო დროს საინფორმაციო არხებში, ინტერნეტში ხშირად ჩნდება და გულისხმობს დემოკრატიზაციის პრინციპების ტოტალიტარული ფორმებით დანერგვას. ხაზგასმით მიუთითებენ, რომ „დღეს მსოფლიოში ყველა საშუალებით ცდილობენ თავს მოახვიონ დოგმა, რომ დემოკრატია ეს არის ყველა უბედურების წარმატებით მოწესრიგების პანაცეა და რომ ის, საერთოდ სახელმწიფო მმართველობის საუკეთესო საშუალებაა... ეს მაშინ როცა ცნობილია, რომ არასოდეს ხერხდება ერთი კონკრეტული გარემოდან მეორე კონკრეტულ გარემოში პროგრესის გადანერგვა სრულად - მისი მრავალფეროვანი ატრიბუტიკით, რომ ნებისმიერი საზოგადოება თვითონ უნდა მომწიფდეს განვითარების ყველა ეტაპისათვის“. ამას კი, უდავოდ, გარკვეული დრო ჭირდება. ამ საკითხზე მსჯელობისას ავტორები ყურადღებას ამახვილებენ იმაზეც, რომ დემოკრატიზმი გულისხმობს არჩევანის თავისუფლებას და არა მის აუცილებლობას, რომ დემოკრა-

ტიზმი – ეს უამრავლესობის ნების იმპერიუმია, და გულისხმობს უმცირესობის ინტერესების გათვალისწინებას; ინტერნეტ სივრცეში იმაზეც ამახვილებენ ყურადღებას, რომ არ შეიძლება ძალით თავს მოახვიო ისეთი იდეა, მოქმედება ან კანონი, რომელიც შეიძლება წინააღმდეგობაში მოვიდეს მოცემული სახელმწიფოს, მისი მოსახლეობის ტრადიციულ სულიერ თუ ზნეობრივ ფასეულობებთან, რელიგიურ კანონებთან, კონკრეტულ ინტერესებთან თუ მისწრაფებებთან, უბრალოდ - ყოველდღიურ ყოფასთან. ზოგიერთი „დემოკრატიული ფასეულობა“ თვითონ დასავლეთ ევროპის საზოგადოების გარკვეული ჯგუფების წინააღმდეგობას და გაღიზიანებას იწვევს (მაგალითად, ერთსქესიანთა ქორწილები, გეიალღუმები და ა.შ.) და ამ მოთხოვნების საქართველოში ან სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყანაში აუცილებლად დანერგვა – არასამართლიანიც არის და უფრო უარყოფითი შედეგი შეიძლება მოიტანოს – გათიშოს, დააპირისპიროს საზოგადოება.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის შემდეგ, რა თქმა უნდა, იბადება რიტორიკული შეკითხვა – ვისი პასუხისმგებლობაა ეს?

მიგვაჩნია, რომ პირველ რიგში სახელმწიფოსი – სწორედ ის არის მოვალე აკონტროლოს ქვეყანაში არსებული ყველა დინება და კონტრდინება, განსაკუთრებით ბავშვის აღზრდა-განათლების საქმეში, რა თქმა უნდა, საზოგადოებასთან მჭიდრო კონტაქტში და ტრადიციული ოჯახის აღორძინების ვითარებაში. სახელმწიფო ფლობს ძირითად რესურს – ადამიანურს, ფინანსურს და მან განათლება უპირველეს პერიორიტეტად უნდა გამოაცხადოს არა ფრაზით (როგორც ხედებოდა დღემდე) – არამედ საქმით.

უნდა რადიკალურად გაეზარდოს დაფინანსება საქართველოს განათლების სისტემას, განსაკუთრებით მეცნიერებას. ის კვლავ უნდა გახდეს პრესტიჟული. ეს გააძლიერებას განათლების მიმართ ლტოლვას – მოტივაციას; უნდა შეიქმნას ობიექტური ვითარება, რომ საქართველოს განათლების სისტემას, განსაკუთრებით სასკოლო განათლებას კვლავ დაუბრუნდეს კაცი-პედაგოგი; განათლების სისტემა უნდა გახდეს კონკურენტული და უნდა დაექვემდებარება




როს მკაცრ სელექციას; მატერიალური და მორალური სტიმულები კვლავ გაუღვივებენ ახალგაზრდას ინტერესს სწავლისა და შემოქმედებითი მოღვაწეობისადმი.

უნდა აღორძინდეს ილიას საგანმანათლებლო კონცეფცია – მაქსიმალურად ხელი უნდა შეეწყოს ეროვნული სულისკვეთებით გამსჭვალულ სასკოლო სივრცის ფორმირებას, რომელიც შემოქმედებით გამოიყენებს მოწინავე დასავლურ საგანმანათლებლო მიღწევებს და აღზრდის შემოქმედ, ნოვატორ ახალგაზრდას - ამის გაკეთება მხოლოდ საქართველოს ინტელიგენციის აქტიური ჩართულობით არის შესაძლებელი.

**ამრიგად, ქართველი ინტელიგენცია კვლავ უნდა ჩაუდგეს ქართველთა საგანმანათლებლო პროცესს სათავეში.**

დღეს ჩვენი დასავლეთევროპელი მეგობრების დახმარებით, ევროსაბჭოს, ევროპარლამენტის ეგიდით საქართველოს ნებისმიერ ახალგაზრდას აქვს შესაძლებლობა დასავლეთ ევროპის საგანმანათლებლო ცენტრებში გააგრძელოს თავისი განათლება – სახელმწიფოს ვალია ეს არ იქცეს მხოლოდ ელიტარული კლასის პრივილეგიად, მან უნდა შექმნას თანაბარი პირობები, რომ ყველა ნიჭიერ ბავშვს საქართველოში ჰქონდეს კონსტიტუციურად მინიჭებული უფლებების რეალიზების საშუალება - მიიღოს და ბოლომდე გაიაროს განათლების უწყვეტობის დემოკრატიული პროცედურა – მხოლოდ მაშინ მოხერხდება საბოლოოდ დიდი ილიასა და მისი მეგობრების ოცნების რეალიზება – ჩვენ გვეყოლება ღრმად განათლებული, ინტელექტუალური ახალგაზრდა თაობა.



ქეთევან ასოზაძე

**კულტურათა მწვინობიანი თანაარსებობის და  
ინტეგრაციის პროლემეტიკის საკითხი პოლიეთნიკურ  
საზოგადოებაში**

*რეცენზია ღია მედიქიშვილის წიგნზე „ტრადიციული  
კულტურა და საზოგადოება“*

ღია მედიქიშვილის სარეცენზიო წიგნი „ტრადიციული კულტურა და საზოგადოება“, თბილისი, 2019, 436 გვ., რედაქტორები: საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი, ვიცე-პრეზიდენტი როინ მეტრეველი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი დავით მუსხელიშვილი, რეცენზენტები: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი თამილა ცაგარეიშვილი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ლავრენტი ჯანიაშვილი, ისტორიის დოქტორი ნათია ჯალაბაძე, კავკასიის ხალხთა საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, ISBN 978-9941-485-69-5.

როგორც სათაურიდან ჩანს, წიგნი ეძღვნება ტრადიციული კულტურის როლის შესწავლას ახალი საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესში. აქვე მინდა დავაკონკრეტო, რომ ეს უდიდესი მნიშვნელობის კვლევა, ქართულ სამეცნიერო სივრცეში წლების განმავლობაში საქართველოს საზღვრისპირა რეგიონის პოლიეთნიკური საზოგადოების შესწავლის და ოთხი პროექტის განხორციელებიდან მიღებული მასალის შედეგების შეფასებაა.

რეცენზია მინდა დავიწყო იმ მოსაზრებების გახსენებით, რომელიც მსოფლიო სამეცნიერო წრეებში დომინირებს და როგორც დარგის მეცნიერები მიიჩნევენ: ეთნოლოგიის, როგორც დამოუკიდებელი მეცნიერების წარმოშობას და განვითარებას მრავალრიცხოვანმა ექსპედიციამ და კვლევამ შეუწყო ხელი. თუმცა, თავად, ეთნოლოგიური

ცოდნის დაგროვება - უძველესი დროიდან ხდებოდა. დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების ეპოქიდან დაწყებული, როცა მსოფლიოს მოსახლეობის შესახებ ცოდნის გაფართოება შესაძლებელი გახდა, დაგროვილმა ინფორმაციამ მეცნიერებისაგან და მკვლევარებისგან მონაცემთა სისტემატიზაცია-ახსნა მოითხოვა. მრავალფეროვანი ინფორმაციის დაგროვებამ თანდათანობით მსოფლიოს ეთნიკური სურათი „დახატა“.

მიჩნეულია, რომ XIX საუკუნის შუა წლებიდან ეთნოლოგიაში იწყება ძირფესვიანი ცვლილებები და ძალიან მალე, ინტერდისციპლინურ დარგად იქცა, თავისი სხვადასხვა სკოლით, კონცეფციით, თეორიით, მეთოდით და თავისთავად, მრავალ ეთნოკულტურულ მონაცემზე დაყრდნობით, გახდა - სოციალურ-კულტურული განვითარების „ინტეგრალური ფენომენი“. სწორედ ამ მასალამ, მატერიალური და სულიერი კულტურის ფენომენების შესწავლამ საშუალება მისცა მეცნიერებს - ეთნიკური სპეციფიკა და სხვა ხალხებთან ურთიერთობა განესაზღვრათ. სწორედ რომ, ინტეგრირებული მიდგომის გამოყენების შედეგად მიღებული ეთნოგენეტიკური კვლევების მონაცემების საშუალებით, შესაძლებელი ხდება - ეთნოსის ისტორიის კვალის, მისი წარმოშობა-განვითარების და სხვა ხალხთან კონტაქტების დადგენა.

მეცნიერი ღია მელიქიშვილი ურთულესს და კომპლექსურ პრობლემას იკვლევს და ექსპედიციებში, მეთოდური სოციოლოგიური კვლევით მოპოვებულ მასალებს აანალიზებს. ეს პრობლემები დღესაც აქტუალურია და როცა მსოფლიო, ასეთი უდიდესი გამოწვევის covid-19 პირისპირ კოლაფსის მდგომარეობაში აღმოჩნდა, ლ.მელიქიშვილის წიგნი „ტრადიციული კულტურა და საზოგადოება“ - პირადად ჩემთვის, მრავალი მნიშვნელოვანი ზოგადსაკაცობრიო საკითხის ღირებულებებითი მნიშვნელობის შესახებ, კვლავ დაფიქრება-ჩაღრმავება-გადაფასების საფუძველი გახდა.

2001-2008 წლებში „სახალხო დოპლომატიის“ მიმართულებით, კონფლიქტურ რეგიონებში (აფხაზეთი, სამაჩაბლო, პანკისი...) ძალიან საინტერესო სამუშაო პროცესში

ჩაბმა მომიწია და ვფიქრობ, ეს წიგნი რომ მაშინ მქონოდა, რომელსაც, უდაოდ, გარდა ეროვნული და სახელმწიფოებრივი ასპექტებისა, კიდევ მრავალი სხვადასხვა მნიშვნელობისა, ეთნოკონფლიქტების მართვისა და მოგვარების კუთხით, სახელმძღვანელო დატვირთვაც გააჩნია, ალბათ უფრო მეტი რამის მიღწევას შევძლებდი. წიგნი „ტრადიციული კულტურა და საზოგადოება“ - ქართულ სამეცნიერო სივრცეში, ეთნოლოგიაში, ლატენტური კვლევის მონოგრაფიული შესწავლის პირველი ცდაა, რომელიც გაცდა ლოკალურ ტერიტორიებს და რეალურად - საერთაშორისო მნიშვნელობა მიიღო.

წიგნის სტრუქტურა საინტერესოა აგებული. იგი სამი ძირითადი და დანართის ხუთი ნაწილისაგან შედგება. წინათქმის და ბოლოთქმის გარდა, წარმოდგენილია თავები, რომლებიც შეიძლება დამოუკიდებელ ნაშრომდაც ჩათვალო, მაგრამ ეს - წიგნის მთლიანობას კიდევ უფრო აძლიერებს.

მეცნიერის მთავარი მიზანი შესავლიდან უკვე კარგად იკვეთება. წიგნში მოცემული გეოგრაფიული არეალის კვლევა, მიმდინარე პროცესების შესწავლა „...შესაძლებლობას იძლევა მეცნიერულად გაანალიზდეს არა მარტო მიკრორეგიონული პროცესები, არამედ განისაზღვროს ჩრდილო კავკასიასთან და ახლოაღმოსავლეთთან ურთიერთობისას ქვეყნის უსაფრთხოების შემდგომი სტრატეგიის საფუძვლებიც... რადგან გარდამავალ პერიოდში სახელმწიფოებში მიმდინარე კარდინალურმა ცვლილებებმა და რთულმა, წინააღმდეგობებით აღსავსე სოციალურ-პოლიტიკურმა პროცესებმა თავისებური ასახვა ჰპოვეს საზღვრისპირა ზოლის პოლიეთნიკურ საზოგადოებებში... მრავალეროვნულ ქვეყნებში ერთაშორისი ურთიერთობის, ეროვნული პოლიტიკისა და ეროვნული ინტეგრაციის პრობლემა, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია, რომელიც განსაზღვრავს სახელმწიფო მოწყობის სტრატეგიას“ (სარეცენზიო ნაშრომი გვ. 3-4).

მკვლევრის თვალსაზრისით, ამ რეგიონში მიმდინარე პროცესები „დიდად არის დამოკიდებული დღევანდელ პოლიტიკურ ვითარებაზე... და საზოგადოების განვითარების

## სტრატეგიის გამოსავლენად“ კი მისი შესწავლა - უმნიშვნელოვანესია!

წიგნის შესავალ ნაწილში ლ.მელიქიშვილი ყოველი ერის განვითარებაში, ამ ერის ეროვნული თვითშეგნების ჩამოყალიბებაში კულტურის ადგილს ეხება. განმარტავს ტრადიციის არსს, მის ზემოქმედებას „საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენებზე“ და ტრადიციული კულტურის, როგორც „საზოგადო ცხოვრების ყოველი ელემენტის განუყოფელი ნაწილის“ როლს ადამიანის ცხოვრებასთან და მსოფლიოს მომავალთან, აღნიშნავს კულტურის და საზოგადოების ურთიერთობის ფორმებს, რომელიც კულტურის „რთულ, ტრანსფორმირებად და ცვალებად სისტემებს“ ქმნის, მათგან კი გამოყოფს და განმარტავს ოთხ ფორმას:

**ადამიანთა ურთიერთობა თავის თავთან** - განაპირობებს გონებრივ და ფსიქიკურ წონასწორობას; **ერთმანეთთან** - განსაზღვრავს კავშირის არსებობას ან არარსებობას ნათესავებთან, მეგობრებთან, მეზობლებთან და ა.შ.; **საკუთარი შრომის პროდუქტთან** - განსაზღვრავს ცხოვრების მატერიალურ პირობებს და ამასთანავე, მემკვიდრეობითობას; **ბუნებასთან** - განსაზღვრავს ადამიანის კავშირს გარშემო სამყაროსთან.

ყველასთვის ცნობილია, რომ ქალბატონი ღია მელიქიშვილი ეთნოლოგია. ამიტომაც, ყველა თემას „ტრადიციული კულტურის პრიზმით“ შეისწავლის და ტრადიციის და თანამედროვეობის ურთიერთდამოკიდებულების საკითხს განიხილავს. კერძოდ, თუ რა როლს ასრულებს ტრადიცია და ტრადიციული კულტურა საზოგადო ცხოვრებაში, რომელიც ამ „საზოგადო ცხოვრების ყოველი ელემენტის განუყოფელი ნაწილია“; ტრადიციის მრავალფეროვნება განისაზღვრება საზოგადოებრივი ურთიერთობებით, ცხოვრების პირობებით, და სოციალური ჯგუფების მოთხოვნილებებით“. კულტურა, მეცნიერის სიტყვებით რომ გამოვხატოთ, „...მუდმივ მოძრაობაშია, იგი ვითარდება... ცხოვრობს, სუნთქავს, იზრდება, იცვლება, განიცდის ადაპტაციას ახალ პირობებთან - ეს ევოლუციური თვისება გამოდინარეობს კულტურის ორი განუყოფელი ელემენტისა-

გან, როგორცაა ადამიანი და ბუნება“ (სარეცენზიო ნაშრომი გვ. 7).

ვიდრე ძირითად სამ ნაწილს წარმოგიდგინო, განსაკუთრებით მინდა გამოვეყო რამდენიმე პატარა თავი, რომელიც ამ შესანიშნავი წიგნის ძირითად მიზან-დანიშნულებას ხსნის და შესავალის შემდეგაა წარმოდგენილი. ესენია:

**„ყოველივეს კი თავისი მიზეზი ჰქონდა“, „მანამდე კი:“, „წარმოდგენილი საკითხის მიზნის მისაღწევად განხორციელდა ოთხი მასშტაბური პროექტი“, „ეთნოკონფლიქტების შესაძლებელი რეგიონები საქართველოში“, „ერთგვნი უმცირესობების როლი კონფლიქტში“.**

ლ. მელიქიშვილი მონოგრაფიის შესავალ ნაწილში, სათაურით - „მანამდე კი:“ კონფლიქტის და კულტურული ღირებულებების არსს ეხება და განმარტავს.

მაინც რა არის ეთნიკური კონფლიქტის მიზეზები?!

ყველას კარგად გვესმის, რომ ნებისმიერი სახის დაპირისპირება - ეს კონფლიქტია! რაც შეეხება თვითონ ტერმინს „კონფლიქტი“, რომელიც უარყოფითი დატვირთვის მატარებელია და ის „როგორც დესტრუქციული სოციალური მოვლენა“ ისე აღიქმება, რამდენიმე მნიშვნელობა გააჩნია. ტერმინი ლათინური სიტყვიდან „conflictus“ მომდინარეობს, რაც „შეჯახებას“ ნიშნავს და ექსპერტებთან თვალსაზრისით, როგორც პროცესს, ასევე მდგომარეობას გამოხატავს, რომელიც ადამიანური ურთიერთობების ყველა დონისათვისაა დამახასიათებელი. ის, ადამიანთა სხვადასხვა ჯგუფის მიზნების შეუთავსებლობა-შეუთანხმებლობა და წინააღმდეგობა-უთანხმოებაა. კონფლიქტი ხომ ძალაუფლებისათვის ან ფასეულობების ბრძოლასაც გულისხმობს, ან სულაც შეჯიბრს...

ლ. მელიქიშვილის თვალსაზრისით: „კონფლიქტი ადამიანური ყოფის იმდენად განუყოფელი, თანამდევნი მოვლენაა, რომ იგი ჩვეულებრივად კულტურის ნაწილად აღიქმებოდა და სპეციალური კვლევის საგნად არც კი ქცეულა... მაგრამ კაცობრიობის ისტორია იმდენ ომს, ძალადობას, რელიგიური თუ სხვა სახის დაპირისპირებას ითვლის, რომ მეცნიერებმა ამ პრობლემას, ბოლოს და ბოლოს, ჯეროვანი ყურადღება მიაქციეს. კონფლიქტი, საერ-

თოდ, მრავალმხრივი სოციალური ფენომენია“... (სარეცენზიო ნაშრომი გვ. 10). ავტორს მიაჩნია, რომ კონფლიქტი „მრავალგანზომილებიანი სოციალური მოვლენაა“ და თუ ის ადამიანის ცხოვრების განუყოფელი ნაწილია, მაშასადამე, „...ისტორიული პროცესების, სოციალური ცვლილებებისა და ტრანსფორმაციისათვის“ - უმნიშვნელოვანესია (სარეცენზიო ნაშრომი გვ. 11).

მეცნიერები და კონფლიქტის საკითხზე მომუშავე ექსპერტები, მკვლევრები მიიხნევენ, რომ ნებისმიერი ეთნიკური კონფლიქტის საფუძველი, როგორც წესი, მიზეზთა ნაკრებია, რომელთა შორის, შესაძლებელია განვასხვავოთ - ძირითადი და მეორეხარისხოვანი. უფრო ხშირად, ეთნიკური კონფლიქტების ძირითადი მიზეზებია - ტერიტორიული დავები, მიგრაცია-გადაადგილება, თვითგამორკვევის სურვილი, მატერიალური რესურსებისთვის ბრძოლა-გადანაწილება, თავად ეთნიკურ ჯგუფებს შორის კონკურენცია და ა.შ.

ეთნიკური კონფლიქტი სოციალური კონფლიქტის ერთ-ერთი სახეობაა და ეთნიკური კონფლიქტი, ყოველთვის არის პოლიტიკური მოვლენა (ექსპერტები უკვე შეჯერდნენ ამ შეფასებაზე), რადგან მხარეები, თავიანთ მიზნებს მხოლოდ გარკვეული ძალაუფლების მოპოვებით აღწევენ.

როგორც ვიცით, თანამედროვე მსოფლიოში რამდენიმე ათასი ეთნიკური ჯგუფი არსებობს, რაც იმას ნიშნავს, რომ თანამედროვე სახელმწიფოების უმეტესობა - მრავალეროვნულია. ამ სახელმწიფოებში „ბრძოლა საცხოვრისისათვის“, ერთ-ერთი მთავარი აქტიური თემაა და ამიტომაც ითვლება, რომ სხვადასხვა ტიპის კონფლიქტში, ყველაზე მნიშვნელოვანი - ტერიტორიული დავები და პრეტენზიებია. ეთნო-ტერიტორიული კონფლიქტები, მისი სირთულის გამო, პრაქტიკულად გადაუჭრელია.

ეთნიკური ჯგუფების უმრავლესობას საკუთარი დამოუკიდებელი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი წარმონაქმნები არ გააჩნია. ამიტომ, მოძრაობები ხშირად, დამოუკიდებელი ეროვნული სახელმწიფოს შექმნის მიზნით წარმოიქმნება, განსაკუთრებით მაშინ, თუ - ეთნიკურ ჯგუფს, თავის არსებობის ისტორიის გარკვეულ ეტაპზე უკვე ჰქონდა სახელმწიფოებრიობა და შემდგომ დაკარგა. ეს კი ეთნიკური

კონფლიქტების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებულ მიზეზად მიიჩნევა. ჩვენ კარგად ვიცნობთ ასეთ კონფლიქტებს კავკასიაში - ქართულ-აფხაზური, სამმაგი - სომხურ-აზერბაიჯანულ-თურქული და ა.შ. ტერიტორიული პრეტენზიების პრობლემა დღეს სსრკ-ს თითქმის ყველა ყოფილ რესპუბლიკაში დომინირებს და უთანხმოებაა მათ საზღვრებს შორის. ამის ნათელი დადასტურებაა საქართველო-აზერბაიჯანის დავა დავით-გარეჯზე... ნებისმიერი პრეტენზია, რომელიც შეიცავს მოთხოვნებს არსებული საზღვრების გადახედვის შესახებ, ძალიან მტკივნეულად აღიქმება ორივე სახელმწიფოს მრიდან და მათ შორის, სახელმწიფოთაშორისის გარდა, ეთნიკური დაძაბულობის მკვეთრ ესკალაციას იწვევს (საქართველოს კი „ბორდერიზაციის“ პრობლემა ყველა მოსაზღვრე სახელმწიფოსთან აქვს და ეს პრობლემა დროდადრო მწვავედ იჩენს თავს).

XX საუკუნის 80-90-იან წლებიდან, ტოტალიტარული რეჟიმიდან დემოკრატიულ სისტემაზე გადასვლამ, ეთნიკური განვითარების ახალი ეტაპი მოიტანა და „ეთნიკური აფეთქების“ სახით გამოვლინდა. ამ მოვლენებმა დაგვანახა, რომ პროცესს ურთიერთობების გამწვავება, ზოგიერთ ქვეყანაში კი კონფლიქტები მოჰყვა, რომელიც შეიარაღებულ დაპირისპირებაშიც კი გადაიზარდა.

ლ. მელიქიშვილი მიიჩნევს, რომ „ერთი ჯგუფის კონფლიქტი სხვა ჯგუფთან ან ჯგუფებთან ხელს უწყობს კონკრეტული ჯგუფის თვითგამორკვევასა და თვითმყოფადობის შენარჩუნებას. კონფლიქტს აქვს ჯგუფის შემკვრელი ფუნქცია იმდენად, რამდენადაც იგი ურთიერთობათა სისტემებს არეგულირებს“ (სარეცენზიო ნაშრომი გვ. 11).

მეცნიერი ხსნის, რომ კონფლიქტი წარმოიქმნება მაშინაც, როცა მხარეები ვერ ინაწილებენ „მატერიალურ და სიმბოლურ რესურსებს, ვერ თანხმდებიან და ხელმძღვანელობენ ამ შეუთავსებელი წარმოდგენებით“. ლ.მელიქიშვილის თვალსაზრისით, აქ რამდენიმე მომენტია გასათვალისწინებელი. კაცობრიობის განვითარების, კულტურათა შორის სხვაობის შენარჩუნებისა და ადამიანების სურვილთა დაკმაყოფილებისათვის აუცილებელი მოთხოვნები, რომელიც ადამიანის ყოფიერების განუყოფელ ნაწილს შე-



ადგენს და სოციალურ-პოლიტიკური მნიშვნელობით, სამ ძირითად კატეგორიად იყოფა: 1. ადამიანთა მოდემის უნივერსალური მოთხოვნილებები; 2. კულტურული ღირებულებები და 3. დროებითი ინტერესები“ (სარეცენზიო ნაშრომი გვ. 11).

სარეცენზიო წიგნის ავტორი ადამიანთა მოთხოვნილებების და ღირებულებების ერთ ტერმინში - „ინტერესებში“, მოქცევის მიზეზებს და სამეცნიერო წრეში მეტ-ნაკლებად მიღებულ ჯ.ბარტონის განმარტებას ხსნის, რომელიც - მატერიალური კეთილდღეობისაკენ სწრაფვით განისაზღვრა. სწორედ „ინტერესები“, რომელსაც გარდამავალი და ცვალებადი ხასიათი აქვს, ყოფს საზოგადოების წევრებს მოწინააღმდეგე ჯგუფებად. ის გარემო პირობებზეა დამოკიდებული და შეიძლება, არაკონტროლირებადი და საშიში „ინტერესები“ - საზოგადოებაში უთანასწორობის და გაუცხოების გაზრდის ხელშემწყობი გახდეს.

ცნობილია, რომ ნებისმიერ ეთნიკურ კონფლიქტს განვითარების ეტაპობრივი დინამიკა გააჩნია და ეთნიკურ ჯგუფებს შორის ურთიერთობების ტიპებისა და ფორმების მიხედვით განსხვავდება. კონფლიქტის დროს, ეთნოპოლიტიკური სივრცის რეორგანიზაციის საკითხი დგება, თუნდაც იმიტომ, რომ „უმცირესობებისათვის იდენტურობის დაცვა არსებობის დაცვის ტოლფასია“ (სარეცენზიო ნაშრომი გვ. 14).

წიგნის ავტორი სხვადასხვა სახეობის კონფლიქტებს განიხილავს და აღნიშნავს, რომ „...ყოველი კონკრეტული კონფლიქტი ინდივიდუალური და უნიკალურია“, ამიტომ მოითხოვს სათანადო შესწავლას და დასკვნების გამოტანას (სარეცენზიო ნაშრომი გვ. 14).

რაც შეეხება ღირებულებებს, მეცნიერი მიიჩნევს, რომ ისინი „...ადამიანებს დროთა განმავლობაში აქვთ შექმნილი და ზოგადია ყოველი კონკრეტული საზოგადოების წევრთათვის...ღირებულებები იცვლება გარკვეული დროის განმავლობაში სოციალური ინტეგრაციის, განათლების საერთო დონის ამაღლების და სხვა პირობების ზემოქმედებით“. თუმცა, ლ. მელიქიშვილის თვალსაზრისით, ახალი ღირებულებების დამკვიდრება - ხანგრძლივი პროცესია,

„რომელიც უშიშროების შეგრძნებას და განვითარების შესაძლებლობის არსებობას მოითხოვს. წინააღმდეგ შემთხვევაში, სწორედ კულტურული ღირებულებების... დაცვა გაიგივდება იდენტურობის დაცვასთან და მწვავე კონფლიქტის მიზეზად გადაიქცევა“ (სარეცენზიო ნაშრომი გვ. 12).

**„წარმოდგენილი საკითხის მიზნის მისაღწევად განხორციელდა ოთხი მასშტაბური პროექტი“** - წარმოდგენს წიგნის ძირითადი ნაწილების მოკლე პრეზენტაციას. ამ ნაწილში ავტორი მოიხილავს თუ რა პრობლემატიკა და მიდგომები აქვს კვლევის მეთოდოლოგიურ საფუძვლად აღებული, როცა კონკრეტული ვითარებაში, ყველა არსებული ფაქტორია განხილული და შეფასებული. აღნიშნულია, რომ საექსპედიციო მუშაობა დაკვირვებისა და ინფორმაცორთა ინტერვიუების მეთოდით შესრულდა, ჩატარდა „ფოკუს-ჯგუფები“ და „თავისუფალი დისკუსიებისა და შეხვედრების ჯგუფები“.

ლ. მელიქიშვილი აღნიშნავს, რომ მათ მიერ შერჩეული და გამოყენებული სხვადასხვა მუშაობის მეთოდი, დაკვირვების ფორმა, ბრიტანელი ანთროპოლოგის ბრონისლავ მალინოვსკის (Scientific theory of culture, 1994) მეთოდს უახლოვდებოდა, რომელიც „...საზოგადოების კულტურის და ყოფის მთლიანობაში შესწავლას“ ითვალისწინებს (სარეცენზიო ნაშრომი გვ. 16).

ამავე თავში, ავტორი რეგიონის მოსახლეობის ინტერჯგუფური ურთიერთობის შესასწავლად და ინტერესების გამოსაგლენად გამოყენებულ ფსიქოთერაპიულ მოდელებს ასახელებს: „კონფლიქტური პარტნიორობის სამსაფეხურიანი მოდელი“ (დ. უიკსი, ინგლისელი ფსიქოლოგი) და „არადირექტიული თერაპიული მოდელი“ (კ. როჯერსი, Carl Ransom Rogers, ამერიკელი ფსიქოლოგი; „არადირექტიული ფსიქოთერაპიის“ შემქმნელი, რომელსაც უწოდა - person-centered psychotherapy, პიროვნებაზე ორიენტირებული ფსიქოთერაპია).

მასალის ანალიზისათვის, შედარებითი მეთოდის გარდა, კოგნიტური მეთოდიც იყო გამოყენებული. მოკრძალებულად შეგახსენებთ, რომ ზუსტად ერთი წლის წინ სა-

ლომე გაბუნიას და ღია მელიქიშვილის წიგნი - „შედარებითი მეთოდი ეთნოლოგიაში“ - გამოიცა, სადაც ავტორები ამ პრობლემატიკის შესახებ არსებულ უცხოელი მეცნიერების თვალსაზრისებს განიხილავენ და თავიანთ მოსაზრებებსაც აფიქსირებენ, რომელიც რამდენიმე წლის მუშაობის შედეგებიდან გამომდინარეობდა. მეთოდის სერუპულოზურად შესწავლამ ღ. მელიქიშვილს საკუთარი აზრის დამკვიდრების საშუალება მისცა, რადგან რეალურად, ქართულ სამეცნიერო სივრცეში ეს პირველი თეორიული ნაშრომია შედარებითი მეთოდის შესახებ.

დავუბრუნდეთ სარეცენზიო წიგნს „ტრადიციული კულტურა და საზოგადოება“. ზემოთ აღნიშნული თავის დასასრულს, ჩატარებული სამუშაოს საკმაოდ დიდი ჩამონათვალია წარმოდგენილი: ავტორთა კოლექტივის მიერ გამოცემული 3 წიგნი, 5000-ზე მეტი ფოტო - გადაღებული, რომლის მიხედვითაც ფოტო-გამოფენები მოეწყო. მრავალი ინტერვიუ ვიდეო ფორზე დაფიქსირდა. გადაღებულია 6 ვიდეო ფილმი: „დუხობორები დმანისში“, „სვანები დმანისში“, „აზერბაიჯანელები დმანისში“, „ბორჩალობა“, „ათი წლის შემდეგ წალკა სულ სხვა იქნება?“, „იმედის ნაპერწკალი - 03“, „ამაგდარი“, რომლებშიც ქვემო ქართლში მცხოვრები ეთნო და კონფესიური ჯგუფების ყოფა-ცხოვრება, ტრადიციები, პრობლემებია ასახული... ჩატარდა კონფერენცია „ქვემო ქართლი (ისტორია და თანამედროვეობა)“, პროექტის მონაწილეთა მიერ მომზადებული მოხსენებები სხვადასხვა ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციაზე იქნა წაკითხული და პროექტის ფარგლებში, მრავალი სხვა ღონისძიება მოეწყო...

ძალიან მნიშვნელოვანი პრობლემებია გამოკვეთილი და ახსნილი შემდეგი თავებში: „ეთნოკონფლიქტების შესაძლებელი რეგიონები საქართველოში“ და „ეროვნული უმცირესობების როლი კონფლიქტში“, ამიტომ ვფიქრობ, განსაკუთრებულად დაწვრილებით განვიხილო.

ვიდრე ნაშრომს დავუბრუნდები, არ შემიძლია ხაზგასმით არ აღვნიშნო ერთი მომენტი, რომელიც ამ წიგნის პირველი გვერდიდან იწყება - და, დასასრულამდე: მეცნიერ ღია მელიქიშვილის ყველა განხილული საკითხის და

პრობლემის სერუპულოზურად შესწავლის შედეგად მიღებული დასკვნა - რეკომენდაციაცაა და მტკიცებულებაც!

**„ეთნოკონფლიქტების შესაძლებელი რეგიონები საქართველოში“** - ახსნილია რომ: სსრკ-ს დაშლის შემდეგ „საბჭოური მენტალიტეტის“ შეცვლა ამ ქვეყნებში არაერთგვაროვნად განხორციელდა, რადგან სამწუხაროდ, სახელმწიფოში თავისი იდენტურობა (დომინანტმა თუ ეროვნულმა უმცირესობამ) არა მოქალაქეობას, არამედ ეთნიკურობას დაუკავშირა, მათ ვერ შეძლეს თავი დაედწიათ „ეთნონაციონალური გრძნობებისათვის“, ვერ „ისწავლეს ერთ სახელმწიფოში თანაცხოვრება“, მშვიდ გარემოში “ურთიერთპატივისცემა, მოთმინება, მიტევება“ და სხვ. ამიტომაც, მოსალოდნელი იყო „ღია კონფლიქტები საბჭოთა კავშირის დემონტაჟის შემდეგ“ (სარეცენზიო ნაშრომი გვ. 18). მეცნიერი ცდილობს დაგვანახოს და აგვისხნას ჩვენს ქვეყანაში მომხდარი კონფლიქტების ძირითადი მიზეზები, რამაც თავი იჩინა მრავალეროვან საქართველოში, რომლის ტერიტორიაზეც „საუკუნეების მანძილზე თავს იყრიდა სხვადასხვა მიზეზით გადმოსახლებული არაქართველი მოსახლეობა“...

წიგნის ავტორი იზიარებს რა აკადემიკოსს დ. მუსხელიშვილის თვალსაზრისს, იმიტომაც ციტირებს, რომ ნებისმიერმა ჩვენთაგანმა აუცილებელია ვიცოდეთ და გვახსოვდეს: „ჩვენს ისტორიოგრაფიაში, კარგა ხანია დადგენილია, რომ განსხვავებით ბევრი სხვა ქვეყნისაგან, ისტორიული საქართველოს სახელმწიფო ტერიტორია წარმოიქმნა არა მეზობელ ქვეყანათა მიწა-წყლის თანდათანობითი დაპყრობის გზით, ანუ პოლიტიკური ექსპანსიის შედეგად, არამედ შინაგანი იმანენტური განვითარების საფუძველზე. ამგვარად, ისტორიული საქართველოს სახელმწიფო ტერიტორია, როგორც ასეთი, არის არა პოლიტიკური შემთხვევითობის გამოვლინება, არამედ ქართველი ხალხის ორგანული სოციალურ-ეკონომიკური და ეთნიკურ-კულტურული ევოლუციის კანონზომიერი დაგვირგვინება...“ (სარეცენზიო ნაშრომი გვ.19; მუსხელიშვილი, 2016:55).

მიუხედავად ამისა, საქართველოს დღევანდელი რეალობა მიიმეა. ნაშრომში საინტერესოდ განიხილება საქართველოს ტერიტორიაზე, განსაკუთრებით კი სასაზღვრო

ზოლში სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლების მიერ „ეთნოუმცირესობათა მიკროკუნძულები“ შექმნის ფაქტები (ტერმინი პირობითია, აღნიშნავს ლ.მ) „თავისივე ეროვნების ხალხით დასახლებულ სახელმწიფოების მეზობლად. მაგალითად ჯავახეთში - სომხებით დასახლებული ტერიტორია ესაზღვრება სომხეთს, ქვემო ქართლში მცხოვრები აზერბაიჯანელები - აზერბაიჯანს, შიდა ქართლის ოსებით დასახლებული ტერიტორია - ალანიის ოსეთის რესპუბლიკას, პანკისელი ქისტები ვაინახები - ჩეჩნეთის (ძველი სახელი ჩაჩნეთი) რესპუბლიკა იჩქერიას, ხუნძები - დაღესტანს. ამათგან ზოგი უშუალოდ, ზოგი კი გარკვეული მანძილის დაშორებით ესაზღვრება მეზობელ ქვეყნებს... რადგან მათი ისტორიული სამშობლო უშუალოდ არ ესაზღვრება საქართველოს და ამ ჯგუფის წარმომადგენლები კომპაქტურად და დისპერსიულად სახლობენ... შიდა რეგიონებში - ესენი არიან ბერძნები, ასირიელები, ქურთები და სხვ“. შედარებისთვის, პირველ ჯგუფს მეცნიერი პირობითად „**პირველ ინოეთნიკურ ჯგუფს**“, ხოლო მეორეს - „**მეორე ინოეთნიკურ ჯგუფს**“ უწოდებს. არც ერთ ამ ტიპს არ მიეკუთვნება აფხაზეთი და „**შუაღელურ ტიპს**“ წარმოადგენს. რუსეთთან მათი სასაზღვრო მდებარეობა, როგორც ლ. მელიქიშვილი აღნიშნავს - „სეპარატისტული პრეტენზიების ერთ-ერთი ხელშემწყობი ფაქტორია“ და თანაც, პოლიტიკურ ორიენტაციას რუსეთზე იღებენ და არა „მონათესავე ეთნოსზე“ (სარეცენზიო ნაშრომი გვ. 20).

ეთნოგრაფიული დაკვირვების და შესწავლის საფუძველზე მიღებულმა შედეგებმა, მეცნიერს შესაძლებლობა მისცა დაენახა და გაეანალიზებინა, რომ იქ **სადაც I ტიპის** დასახლებაა - „ასეთ ზონებში იქმნება განსაკუთრებული მინი სამყარო, რომელშიც შერწყმულია სხვადასხვა ეთნოსის კულტურის ელემენტები“. ქვეყნის უსაფრთხოებიდან გამომდინარე, სახელმწიფო პოლიტიკა ამ ზონაში მოქნილია, რაც „მათ კულტურაში აისახება გარკვეული ტრადიციების სახით. ამის შესანიშნავი მაგალითია ქართულ-ვაინახური საუკუნოვანი მშვიდობიანი ურთიერთობა“... მაგრამ ეს „პირველი ტიპის კუნძულები“, მშვიდობიანობის დროს თითქოს კარნაკეტილია და მოწყვეტილია სა-

ხელმწიფოს საერთო ცხოვრებას, როცა რიგ შემთხვევაში, „შეიძლება თავად იქცეს არეულობის ინიციატორად“ (სარეცენზიო ნაშრომი გვ.20).

სასაზღვრო ზოლში, გარე ძალების მხრიდან, ყოველთვის დიდია პროვოცირების ალბათობა. ამის უამრავი მაგალითი დაგროვდა საქართველოს უახლეს ისტორიაში. სხვადასხვა ისტორიულ ეტაპზე, ჯერ „ქართველი მეფეები ცდილობდნენ შეეტანათ აქ კულტურა, განათლება“, შემდგომშიც, „საზღვართან მოსახლე ეროვნული უმცირესობები ყოველთვის იყო ქართული სახელმწიფოს ზრუნვის ობიექტი“.

შედგეი დღეს ასეთია: დროთა განმავლობაში, ეროვნულმა უმცირესობებმა (ლიმიტროპულ ზონაში მაცხოვრებელმა), „გაბატონებულ მდგომარეობას მიაღწიეს იქ, სადაც ქართველები უმცირესობას შეადგენდნენ... დაიწყეს შევიწროება... დაირღვა ადამიანის უფლებები“. მეცნიერი აღნიშნავს, რომ ასეთი რამდენიმე რეგიონი იყო. დაძაბული კერები სწორედ I ტიპის რეგიონებში გაჩნდა. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ეს „**მოსახლეობა თავის თავს მოსაზღვრე სახელმწიფოში მცხოვრები ხალხის მონათესავედ თვლის, თუმცა ხშირად, ისინი იმ ქვეყნის ძირძველი მოსახლენი არ არიან. საქართველოში მცხოვრები სომხების და აზერბაიჯანელების წინაპრების უმეტესობა ამ სახელწოდების სახელმწიფოებიდან არ მოსულა**“.

ლ. მელიქიშვილი მოკლედ, მაგრამ სრული სიცხადით, ისტორიული ფაქტების კონსტატაციით, ხსნის თუ როგორ მოხდა ეროვნულ ჩაგვრას გამოქცეული სომხების საქართველოში თავის შეფარება. და რომ, საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანელები თურქული წარმომავლობის ტომების შთამომავლებია, რომლებიც XV ს-დან მოყოლებული, სხვადასხვა ფაქტორის გავლენით, ირანიდან შემოდის და აღმოსავლეთ საქართველოში მკვიდრდებოდნენ. დღეს კი „ეთნიკურად თავს აიგივებენ აზერბაიჯანის რესპუბლიკის ტიტულოვან ეთნოსთან“. ამას ხელი შეუწყო, როგორც ლ. მელიქიშვილი აღნიშნავს, საბჭოთა აღწერებმაც, როცა ისინი აზერბაიჯანელებს მიაწერეს და ამან მათი იდენტობის ფორმირებაზე გავლენა იქონია, მაგრამ მეცნიე-

რის თვალსაზრისით, „ბოლო წლებში ეს იდენტობა გარკვეულ ცვლილებებს განიცდის“ (სარეცენზიო ნაშრომი გვ. 21).

რაც შეეხება II ტიპის ჯგუფს, რომელსაც სარეცენზიო წიგნის ავტორი პირობითად „მეორე ტიპის კუნძულს“ უწოდებს, „მოსახლეობისაგან ღია კონფლიქტის გაჩაღება მოსალოდნელი არ არის“. აქვე მოცემულია მეცნიერის ანალიზი არა მარტო საქართველოს უახლესი ისტორიიდან, არამედ დაპირისპირების სახეების ახსნისთვის მაგალითად ამერიკელი პროფესორის, „ეთნიკური კონფლიქტოლოგიის“ ერთ-ერთი ფუძემდებლის - დონალდ ჰოროვიცის თვალსაზრისი მოჰყავს.

მკვლევარი აღწერს, უკანასკნელი წლების პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური კრიზისების ფონზე, „პოლიტიზაციის“ პროცესმა რა შედეგები მოიტანა, როცა კონფლიქტური სიტუაციის შექმნას „პოლიტიკურმა ელიტამ“ ხელი შეუწყო, როცა „თავისი გავლენების შესანარჩუნებლად ეთნიკური დაპირისპირების გზას დაადგა“. ოსეთის, აფხაზეთის პოლიტიკოსებმა, სომხური და აზერბაიჯანული ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებმა - ეთნიკური ნაციონალიზმის გზა აირჩიეს, „რასაც შესანიშნავი „სამსახური“ გაუწია ქართული ნაციონალიზმის გაღვივებამაც“. სამწუხაროა მაგრამ ფაქტია, რომ „მისწრაფება ახალი იდენტობის მოპოვებისაკენ“, მათი აზრით, შედარებით ადვილი განსახორციელებელი იყო. ასეთი ღია კონფლიქტი აფხაზეთში და სამაჩაბლოში - ე.წ. „სამხრეთ ოსეთში“ უკვე მოხდა, ხოლო „ორი, პოტენციურად კონფლიქტური რეგიონი ჯავახეთი და ქვემო ქართლი ამ გზას არ დაადგა, რასაც თავისი ახსნა აქვს“ - აღნიშნავს მეცნიერი (სარეცენზიო ნაშრომი გვ. 22).

ლ. მელიქიშვილის ამოცანა ამ კონკრეტულ საკვლევ ნაშრომში არ არის „თითოეული კონფლიქტის ისტორიის განხილვა, ან არმომხდარი ღია კონფლიქტების ძიება“, ის შეეცადა „მიენიშნებინა“ „საქართველოსათვის ფეთქებადსაშიში რეგიონები“ (გამოყოფილია ექვსი სასაზღვრო რეგიონი - აფხაზეთი, ე.წ. სამხრეთ ოსეთი, ჯავახეთი, პანკისი, ყვარლის რაიონი), რომლებშიც მოსალოდნელია სეპარატისტული და ირედენტული კონფლიქტი, რასაც გარკვეული ფაქტორე-

ბი უწყობს ხელს. ამ თავის დასკვნით ნაწილში, ეთნოლოგი, საკითხის სრულყოფილებისათვის, შეჯამებას აკეთებს და დასკვნა-რეკომენდაციებიც თვალსაჩინო ხდება.

მეცნიერი მიიჩნევს, რომ: „შეიძლება ითქვას, ეთნოკონფლიქტები პოტენციურად მოსალოდნელია სასაზღვრო რეგიონებში მაშინ, თუ ამას ხელს უწყობს ეთნიკურ უმცირესობათა რაოდენობის პროცენტული შეფარდება დომინანტ ერთან... ეთნოკონფლიქტს ყოველთვის იწყებენ დესტრუქციული ელიტარული ელემენტები, რომლებიც ხალხით მანიპულირებისათვის იყენებენ ეთნონაციონალიზმს. მასები ამ დროს არ გამოდიან სამოქმედო ასპარეზზე, ისინი მხოლოდ კონფლიქტის მომდევნო ეტაპში იღებენ მონაწილეობას“.

და, აკეთებს დასკვნას, რომ: - ეთნიკურობა შეიძლება არც კი იყოს კონფლიქტის დაწყების ძირითადი მიზეზი; - კონფლიქტი ეთნიკურ კონფლიქტად მას შემდეგ ჩამოყალიბდება, როდესაც მასში აქტიურ მონაწილეობას მასები მიიღებენ; - კონფლიქტის დაწყება, თავიდან აცილება, ან მოგვარება - ძირითადად ელიტარული ძალების კომპეტენციაშია.

ამავე ნაშრომში საინტერესოდ განიხილება შემდეგი თავი **„ეროვნული უმცირესობების როლი კონფლიქტში“**. სარეცენზიო წიგნში ძალიან კარგად ჩანს საკითხის ცოდნის მაღალი სტანდარტი. სრულყოფილებისათვის, ავტორს სერუპულოზურად აქვს შესწავლილი ეს პრობლემატიკა, რომელმაც სამეცნიერო წრეში, საკუთარი აზრის დამკვიდრების საშუალება მისცა. სოციალური ანთროპოლოგიის მეცნიერთა აღიარებული თვალსაზრისების პარალელურად, მეცნიერი ლ. მელიქიშვილი - ისტორიულ-ეთნოგრაფიული კვლევით მოპოვებული მასალის შესწავლით და შედარებითი ანალიზის გამოყენებით, ერთმნიშვნელოვან დასკვნებამდე მიდის კონფლიქტის, ეთნოსოს, ერის, იდენტობის, ტერიტორიული თუ კულტურული ავტონომიის, „უმცირესობის“, მათი უფლებების დაცვის, თვითგამორკვევის უფლებებზე და ა.შ. პრობლემატიკის საზრისთან მიმართებაში.

როგორც ავტორი მიიჩნევს, ეროვნულ უმცირესობათა საკითხის მიმართებაში, „...მსოფლიო გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ ეთნიკური უმცირესობები მოითხოვენ კოლექტიურ უფლებებს, რამაც უნდა განაპირობოს კონკრეტული



ეთნიკური ჯგუფის, როგორც ასეთის, გადარჩენა, ეთნიკური კულტურის დაცვა, კულტურული იდენტურობა, რომელიც ამ ჯგუფის ცხოვრებას და სოციალურ ორგანიზაციას უკავშირდება. ბევრი ქვეყანა თვლის, რომ ეს პრობლემა მხოლოდ და მხოლოდ ქვეყნის შიგნით, მისი ტერიტორიის ფარგლებში უნდა მოგვარდეს. ეს კი ხელს უშლის გაეროს ეროვნული უმცირესობის სტატუსის შესახებ ერთიან გადაწყვეტილების მიღწევაში, რომელმაც უნდა განაპირობოს ამ კვუფების ცხოვრების და სოციალური ორგანიზაციის მოწესრიგება“ (სარეცენზიო ნაშრომი გვ. 31).

მკვლევარი დიდ ყურადღებას უთმობს კონფლიქტის აღმოცენების შემთხვევაში მოსალოდნელ საფრთხეების წარმოჩინებას და დაკვნა-რეკომენდაციები ისე ფუნდამენტურადაა ახსნილი, რომ ნებისმიერი მკითხველისათვის (დარგის მკვლევარია, სტუდენტი თუ მოხელე - არ აქვს მნიშვნელობა) საინტერესოდ განიხილება და თვალსაჩინო ხდება ეს ურთულესი საკითხები.

როგორც უკვე აღვნიშნე, მიუხედავად საკითხის მრავალმხრივი, კომპლექსური გაშუქებისა, მეცნიერი ყოველთვის საინტერესოდ წარმართავს თვალსაზრისის დაფიქსირებას ეთნოლოგიის ჭრილში, განსაკუთრებით მაშინ, როცა საქართველოში „ტრადიციული კულტურისა და ყოფის შესწავლაზე“ საუბრობს - და ყურადღებას ამახვილებს „მსოფლიო სტანდარტების შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის“ არსებობის უდიდეს მნიშვნელობაზე, „...რომლის საფუძველზეც დაცული იქნება ეროვნული უმცირესობებისა და ჯგუფების კულტურა და ეთნიკური სახე“.

სარეცენზიო წიგნის ავტორი ისტორიულ-ეთნოგრაფიული კვლევით მოპოვებული მასალის შესწავლით, შედარებითი ანალიზის გამოყენებით, ერთმნიშვნელოვან დასკვნამდე მიდის: „სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ეროვნული უმცირესობების აქტიური მონაწილეობა ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული მშენებლობის ყველა სფეროში, ყველა რანგის საარჩევნო ორგანოში, სახელმწიფო დაწესებულებებში მუშაობა და სხვა... სახელმწიფომ უნდა აიღოს ვალდებულება, რომ ეროვნულ უმცირესობათა უფლებების დასაცავად მუდმივად ითანამ-

**შრომლოს საერთაშორისო ორგანიზაციებთან**“. ამასთანავე, ეროვნულმა უმცირესობამ თავისი „**ეროვნული მიკუთვნილობის, თვითმყოფადობის გამოხატვის, მისი დაცვის, განვითარების უფლებით**“ უნდა ისარგებლოს, რათა იძულებითი ასიმილაციისაგან დაცული იყოს და **ჰქონდეს უფლება და მიეცეთ საშუალება** - საზოგადოებრივი და პოლიტიკური ორგანიზაციების შექმნის, კულტურულ-საგანმანათლებლო ორგანიზაციების, თეატრების, ანსამბლების დაარსების, საგამომცემლო სფეროს განვითარების და **ა.შ. ეს კი ხელს შეუწყობს** მათი საქმიანი და კულტურული კავშირების დამყარებას და ურთიერთობების გაძლიერებას ისტორიულ სამშობლოსთან. **რაც იმას ნიშნავს**, რომ ერთი მხრივ, „თუ დაცული იქნება უმცირესობების უფლებები, იარსებებს გარანტია და პირობები მათი თვითმყოფადობის შენარჩუნებისა და განვითარებისათვის... მეორე მხრივ - დაცული და გარანტირებული იქნება ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა“ ეს ორივე პრინციპი კი სახელმწიფოს სტაბილურობას უზრუნველყოფს (სარეცენზიო ნაშრომი გვ. 38).

სარეცენზიო წიგნის ძირითადი პირველი ნაწილი მთლიანად **ჯავახეთის (1995-1998 წელი)** - კვლევას ეხება და სტრუქტურადაც მეტად საინტერესოაა აგებული: შესავალი; თავი პირველი: დუხობორები, ქართველები, სომხები; ეთნიკური ღირებულების როლი კონფლიქტურ სიტუაციაში; ეთნოკონფესიური ჯგუფების დაპირისპირება: ეკონომიკური დისტანცია, კულტურული დისტანცია, სოციალური დისტანცია. მეორე ნაწილი **პანკისის (2000-2002)** კვლევის მასალებს მოიცავს, სადაც გამოყოფილია ერთი თავი: კულტურის კრიზისი საზოგადოების კრიზისია. რაც შეეხება წიგნის მესამე ნაწილს - **ქართლი (2008-2011)**, ის საკმაოდ ვრცელ მასალას მოიცავს. წარმოგიდგენთ მის სტრუქტურას: - შესავალი; - ეთნოსპეციფიკური ორიენტაციის ფაქტორები; ეთნოჯგუფების ურთიერთობის პროცესში ეთნიკური იდენტობა და კულტურული ფაქტორები; - ორმხრივი უარყოფითი სტერეოტიპი - ქსენოფობიის საფუძველი, ანუ სახელმწიფოებრივი ეთიკის კრიზისი; - ტოლერანტობა და სოციალური დისტანცია; - ინტერვიუ 1, დმანისი;

- ინტერვიუ 2, დმანისი; - ინტერვიუ 3, მეურნეობა; - დასკვნის მაგიერ.

ეს ნაწილები წარმოადგენს წიგნის ძირითად ფუძე-მასალას. ნაშრომის პირველ ნაწილში საინტერესოდ განიხილება საკითხი - ყოფილი საბჭოთა კავშირის ხელისუფლებამ თავისი პოლიტიკით თუ როგორ გაამწვავა ერთა შორის ურთიერთობები და ტოტალიტარული რეჟიმის კრიზისმა, „სეპარატიზმს“ დასაბამი როგორ მისცა, როგორი ზემოქმედება მოახდინა ამ პროცესებმა სასახლვრო ზოლის კომპაქტურად დასახლებულ პოლიეთნიკურ საზოგადოებაში, როგორ იზინა თავი როგორც შიდაჯგუფურმა, ისე ჯგუფთაშორისმა წინააღმდეგობებმა და ა.შ.

მეცნიერმა შესწავლის ობიექტად შეარჩია ჯავახეთის მაღალმთიანი რეგიონი, საქართველოს უკიდურესი სამხრეთი სასახლვრო ზონა, სადაც იგი ჯერ ინდივიდუალურად (1993-1994), შემდეგ კი ეთნოგრაფიული ექსპედიციის ხელმძღვანელად (1995-1997) მუშაობდა.

ექსპედიციის საქმიანობა ტრადიციულ კულტურათა შესწავლაზე იყო დაფუძნებული. არჩეული იქნა - ნინოწმინდის რაიონის სოფელ გორელოვკის სოფსაბჭოში შემავალი სოფლების პოლიეთნიკური საზოგადოება, განსხვავებული კულტურის მატარებელი ჯგუფებით, რომელთა შორის კონფლიქტურ სიტუაციას სწორედ კულტურათა სხვაობა იწვევს. ამ ტერიტორიაზე არსებულ მოსახლეობაში ურთულესი პროცესები მიმდინარეობდა და დღეს კვლავაც გრძელდება. ლ. მელიქიშვილი ყველა მოვლენას თუ სოციალური პროცესს **დუხობორების, ქართველების და სომხების** მიმართებაში იხილავს (კვლევებმა გამოავლინა ამ ეთნიკური ჯგუფების განვითარების სახასიათო მანკენებელი, დუხობორების გადასახლების და სომხური მოსახლეობის მასობრივი ჩამოსახლების მიზეზები, რასაც 1987 წელს სტიქიით დაზარალებული სვანეთის და აჭარის მოსახლეობაც დაემატა).

პირველი ნაწილის შემდეგ თავებში - „ეთნიკური ღირებულების როლი კონფლიქტურ სიტუაციაში;“ და „ეთნოკონფესიური ჯგუფების დაპირისპირება: ეკონომიკური დისტანცია, კულტურული დისტანცია, სოციალური დისტან-

ცია“ – მეცნიერი ყურადღებას ეთნიკურობის ერთ-ერთ ელემენტზე - ღირებულებაზე აჩერებს, ეთნიკური თვითშეგნების რაკურსით განიხილავს და ემხრობა სამეცნიერო წრეში არსებულ თვალსაზრისს, რომ „ღირებულებეთა ორიენტაცია არის ეთნიკური ჯგუფების დაახლოების ან, პირიქით, დაპირისპირების პროცესი. ლ. მელიქიშვილი ეთნიკური თვითშეგნების ღირებულებათა სტრუქტურის ანალიზის დროს სიღრმისეულად განიხილავს სხვადასხვა ღირებულებებს (მაგალითად, „სამშობლო“) და საკითხის მნიშვნელობაზე ამახვილებს ყურადღებას.

რაც შეეხება თავს - „ეთნოკონფესიური ჯგუფების დაპირისპირება: ეკონომიკური დისტანცია, კულტურული დისტანცია, სოციალური დისტანცია“ - ავტორი, დასავლური ანთროპოლოგიურ-ეთნოლოგიური სკოლების და მათ მთავარ წარმომადგენლებთან ერთად, ქართველი მეცნიერების თვალსაზრისს, მოსაზრებებს და ძირითადი პოსტულატებს თანმიმდევრულად განიხილავს - ცნება „საზოგადოების“ სხვადასხვა დეფინიციის არსებობის კუთხით, აღწერს მიზეზ-შედეგობრივ მახასიათებლებს „ახალი, ჯანსაღი პოლიეთნიკური საზოგადოების ჩამოყალიბებისათვის“ და მიუთითებს სხვადასხვა სახის წინააღმდეგობებზე, მუხრუჭებზე (სარეცენზიო ნაშრომი გვ. 116).

მეცნიერის თვალსაზრისით, აღნიშნულ რეგიონში მაცხოვრებელი ჯგუფები „ძნელად მოდერნიზებად კულტურის ტიპს“ მიეკუთვნებიან, რომლებსაც ტრადიციული ყოფის შენარჩუნებისაკენ სწრაფვა ახასიათებს და როგორც კი დემოგრაფიული სიტუაცია შეიცვალა, „ყოველი ჯგუფი ჩაკეტილი აღმოჩნდა თავის თავში“ და ჯგუფებს შორის გაუცხოება გაიზარდა. სამივე ეთნიკურ ჯგუფში ძველი ტრადიციული კულტურის შესწავლის საფუძველზე, მკვლევრის დასკვნა ასეთია: სომხები და ქართველები, რომლებსაც სწორედ ამ ტრადიციული კულტურის მატარებლები არიან, დღემდე შენარჩუნებული აქვთ ტრადიციული ღირებულებები (მცირე ცვლილებით) - ოჯახი, სარწმუნოება, ნათესაური ურთიერთობა და ა.შ. ხოლო დუხობორები - თავისი ცხოვრების წესით, სრულიად განსხვავდე-

ბიან მეზობელი ხალხის ტრადიციული ყოფითი კულტური-საგან.

ძალიან საინტერესოდაა წარმოდგებილი ჯავახეთის პროექტში სოციალური ანთროპოლოგია გენდერული კვლევის ჭრილში, სადაც ლ. მელიქიშვილის მიერ შესწავლილი და გაანალიზებულია „ქალისა და მამაკაცის როლი ომსა თუ კონფლიქტურ სიტუაციაში სამშვიდობო შეთანხმების მიღწევისას“, როცა „ამ მიკრორეგიონში ეთნოჯგუფებს შორის სხვაობა ხელს უწყობს გაუცხოებას და მათი ურთიერთობა უფრო მეტად კონფლიქტურობით ხასიათდება“ და ეს დაპირისპირება რამდენიმე ასპექტში ვლინდება... მეცნიერის მიერ სერუპულოზურად შესწავლილი ქალისა და კაცის როლების განსხვავების ხარისხი და შესანიშნავადაა ახსნილი „პატრიარქალური თუ დემოკრატიზმის“ მაგალითზე, რომ „დემოკრატიული საზოგადოების გვერდით პატრიარქალურის არსებობა, მითუმეტეს, კონფლიქტში შესვლა და ამავდროს პატრიარქალური ტენდენციები საერთოდ საზოგადოებაში (შეიძლება ითქვას, ქვეყანაში) შლის არა მარტო გენდერულ პრინციპს, გამომუშავებულს ათწლეულების მანძილზე, არამედ თვით მიკროსაზოგადოებასაც“ (სარეცენზიო ნაშრომი გვ. 134; 135; 138).

წიგნის პირველი ნაწილის ბოლოს, საკითხის შესწავლის საფუძველზე, მეცნიერის დასკვნები იმ ეთნიკურ ჯგუფებზე, რომლებიც მისი შესწავლის ობიექტს წარმოადგენდა, ასეთია: „რეგიონში არსებული ჯგუფები, მკაცრად კარჩაკეტილია. არ არსებობს კომუნიკაციები და ურთიერთმოქმედების საერთო ველი არც კულტურაში, არ ყოფაში, რაც თავისთავად დაპირისპირებულობის მაჩვენებელია და ფარული აგრესიის გამომხატველი“... ლ. მელიქიშვილის თვალსაზრისით, აღნიშნულ რეგიონში, სუბიექტურ-ობიექტური მახასიათებლები ნათლად მიგვანიშნებს ლოკალური კონფლიქტის ფარულ არსებობას და რასაკვირველია, „კონფლიქტის შემდგომი ესკალაციის კარგი ნიშანია ანუ წინაპირობა“ არის. მეცნიერი მიიხნევს, რომ „არასწორად გადადგმული ერთი ნაბიჯიც კი დაარღვევს კარჩაკეტილობის ფენომენს და კონფლიქტური ჯგუფები დაკარგავენ ტრადიციულ ორიენტაციას. გაღვივდება დაპირისპირება,

მოსალოდნელი იქნება ძალადობა, მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ ცალკეული ჯგუფების მსოფლმხედველობას, მათ მენტალიტეტს და გარედან ხელოვნურად ჩარევის ფაქტორს... დაპირისპირებულ ჯგუფებს შორის უშედეგო თანაარსებობის ურთიერთობა სამომავლოდ გამოიწვევს ყოველგვარი სახის კავშირუროთიერთობის შეწყვეტას და სახეზე გვექნება „სოციალური მოვლენა - კონფლიქტი“ (სარეცენზიო ნაშრომი გვ. 140; 144).

როგორც უკვე აღვნიშნე, ლ. მელიქიშვილის წიგნი „ტრადიციული კულტურა და საზოგადოება“ უმნიშვნელოვანესია სამეცნიერო წრისათვის და არა მარტო, რადგან „სხვა მეცნიერულ დისციპლინებთან ერთად, ახალი საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესების“ (რომელიც წინააღმდეგობებით, ძალადობით გამოირჩევა და ხორციელდება) ეთნოლოგიური კვლევის აუცილებლობის საკითხი პირველად დაისვა. წიგნის პირველი ნაწილის დასასრულს, მეცნიერი ნაშრომში გარდა საკითხების კვლევის საფუძველზე მიღებული დასკვნებისა, უმნიშვნელოვანესს რეკომენდაციებსაც იძლევა: „სიტუაცია რომ მოწესრიგდეს, საჭიროა ახალი მეთოდების ძიება და მათი შექმნაც კი, რაც პიროვნებებს და ჯგუფებს მისცემს სტიმულს, ჩაერთონ ახალი საზოგადოების უმტკივნეულოდ შენების პროცესში. მაგრამ ამ პროცესისი რეგულირება სახელმწიფოს მმართველ წრეებს გაუძნელებათ, თუ არ გაითვალისწინებენ საზოგადოებრივ აზრსა და მეცნიერთა მიერ გაანალიზებულ მონაცემებს. სახელმწიფომ წინასაკონფლიქტო ზონებში არა მარტო კულტურული ცხოვრება უნდა წამოსწიოს წინ... არამედ ვალდებულია გაატაროს გეგმაზომიერი, პოლიტიკურად კარგად გააზრებული, მეცნიერულად სწორად გაანალიზებული, ეკონომიკურად დასაბუთებული, მოქალაქეობისა და არა ეროვნულობის პრინციპზე დაფუძნებული პოლიტიკა“ (სარეცენზიო ნაშრომი გვ. 149).

წიგნის მეორე ნაწილში ლ. მელიქიშვილის მიერ 2000-2002 წლებში პანკისის ხეობაში, ამ სასაზღვრო ზოლში განხორციელებული პროექტის მასალებია წარმოდგენილი, სადაც მეცნიერი თვალსაჩინოებისათვის, კიდევ ერთხელ განიხილავს: საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, სამოქა-

ლაქო საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესი როგორ წარიმართა ახალშექმნილ სახელმწიფოებში, როდესაც „მთელი სიმძაფრით დადგა იდენტურობის, კულტურებს შორის სხვაობის, უმცირესობა-უმრავლესობის, გლობალიზაციადლოკალიზაციის, მულტიკულტურალიზმისა და სხვა უმნიშვნელოვანესი საკითხები“; მეზობელ ჩენეთში ომით საქართველო რა პრობლემების წინაშე აღმოჩნდა; ამ პროცესების ფონზე რა ელის პანკისს, ვინ არიან ქისტები და საერთოდ, „ფეთქებადსაშიში რეგიონი სხვასთან ერთად პანკისის ხეობაც“ რომ არის... მეცნიერი ანალიზებს ჩენების მოქმედებას აფხაზეთში, რომელმაც ზეგავლენა მოახდინა ქართველთა მენტალიტეტზე და შემდგომ, გაამძაფრა სიტუაცია პანკისის ხეობაში.

ლ. მელიქიშვილის ხელმძღვანელობით, ამ საკითხების საკვლევად, 2000-2002 წლებში, პანკისის ხეობაში ეთნოგრაფიული ექსპედიციის მოწყობა გახდა შესაძლებელი, რომლის მიზანი იყო - ეთნოლოგიური კვლევა იმ საკითხებისა, რომელიც ეხებოდა: „თუ რა მდგომარეობა იყო ერთ პოლიეთნიკურ, პოლიკონფესიურ მიკროსაზოგადოებაში, რომელიც სასაზღვრო ზონაში ცხოვრობს... როგორ წარიმართა... შეცვლილ გარემოში ახალი საზოგადოების განვითარება, ძველის რეადაპტაცია; რა ცვლილებები განიცადეს წეს-ჩვეულებებმა, ტრადიციებმა... რა პერსპექტივა ელის ხეობის ეკონომიკურ განვითარებას... გვაინტერესებდა ყოველივე ის, რაც ხალხის ყოფასა და კულტურას ეხება“- წერს მეცნიერი (სარეცენზიო ნაშრომი გვ. 150; 153).

წიგნის მეორე ნაწილში „პანკისი 2000-2002 წლები“ მეცნიერი სერუპულოზურად აღწერს, პროექტის განხორციელების დროს, კვლევის მეთოდოლოგიურ საფუძვლად რომელი მიდგომები იყო გამოყენებული, რომ საექსპედიციო მუშაობა „უშუალო დაკვირვების და ინფორმატორთა ინტერვიუების მეთოდით“ შესრულდა, ადგილობრივ მცხოვრებთა და ჩენეთიდან ლტოლვილთა შორის არჩეულ პირებთან ჩატარდა - „ფოკუს-ჯგუფები“, „თავისუფალი დისკუსიებისა და შეხვედრების ჯგუფები“, მასალის ანალიზისათვის კი შედარებით მეთოდის გარდა, კოგნიტური მეთოდი (თხრობითი ისტორიები) იყო გამოყენებული, რა-

მაც „სოციალური პერცეფციის სტერეოტიპების როლის გამოვლენას“ შეუწყო ხელი როგორც ეროვნულ უმცირესობის წარმომადგენელთა, ისე ლტოლვილთა შორის.

საინტერესოა ის ფაქტიც, რომ კვლევის პროცესში „პანკისის კრიზისმა“ კულმინაციას მიაღწია და „განმუხტვის სადავეები აშშ-ს ხელთ აღმოჩნდა“. ასევე მნიშვნელოვანი იყო 2002 წლის ოქტომბრის დსთ-ს ქვეყნების სამიტი, რომელიც ქ. კიშინიოვში გაიმართა, სადაც რუსეთ-საქართველოს პრეზიდენტებს შორის მიღწეული შეანხმების თანახმად, რუსეთ-საქართველოს საზღვრის ჩეჩნეთის მონაკვეთის ერთობლივი პატრულირება და საქართველოში დაკავებული ჩეჩენი მებრძოლების ექსტრადიცია უნდა მომხდარიყო. მიუხედავად ამისა, „ამ შეხვედრის მიმდინარეობის დროსაც კი რუსეთის სამხედრო შვეულფრენი საქართველოს საჰაერო სირცეს არღვევდა... უკვე მერამდენედ!“ (სარეცენზიო ნაშრომი გვ. 159).

საზოგადოების განვითარების სტრატეგიის გამოსავლენად, ლ. მელიქიშვილი მნიშვნელოვნად სწორედ ამ რთული პროცესების შესწავლას მიიჩნევს. სარეცენზიო წიგნის მეორე ნაწილის მეორე თავში „კულტურის კრიზისი საზოგადოების კრიზისია“ მეცნიერი იხილავს ტოტალიტარული სახელმწიფოს დაშლის შედეგად დაწყებული დიდი გარდაქმნების პროცესებსაც და აანალიზებს მიღებულ შედეგებსაც, როცა - „სახელმწიფო და საზოგადოება დამოუკიდებელი გახდა“... თუ როგორ წარიმართა „დემოკრატიულ სახელმწიფოებში დემოკრატიული საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესი“ განსხვავებულ პირობებში; როგორ გაძლიერდა ეროვნული თვითშეგნება, რომელმაც მკვლევრის თვალსაზრისით, „რა თქმა უნდა, თავიდან ნაციონალისტური ელფერი მიიღო. მოხდა ეროვნულობის ჰიპერბოლიზაცია. ეროვნული მოძრაობის სათავეებში ეროვნული იდეებით მანიპულირებადი ძალები მოვიდნენ... გარდამავალ პერიოდში... ეთნოპოლიტიკური დაძაბულობა დემოკრატიული ნორმების განმტკიცების ერთ-ერთ დამაბრკოლებელ მიზეზად იქცევა. ეს კი, თავისთავად, ხელს უშლის სამოქალაქო საზოგადოების და სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბებას. ჩვენი სახელმწიფო, კონფლიქ-



ტური სიტუაციების თავიდან აცილებისათვის არ აღმოჩნდა მზა“ - ასკენის მეკლევარი და მეცნიერულად დასაბუთებულ არგუმენტებს წარმოადგენს, განიხილავს რა ამ საკითხებს პანკისის ხეობაში არსებული სამი ეთნიკური ჯგუფის - ქისტების, იგივე ჩეჩნები, ქართველების და ოსების თანაცხოვრების მაგალითზე.

მეკლევარი მსოფლიო მეცნიერებაში გამორჩეული ნაშრომების განხილვის და შედარებითი ანალიზის საშუალებით განიხილავს ეროვნულობის არსს, ხსნის განსხვავებას „ეთნიკურ და პოლიტიკურ საზღვრებს“ შორის, „მიდაეთნიკური ინტეგრაციის ნათელ“ მაგალითად პანკისის ხეობაში ჩამოყალიბებულ „ერთიან სოციალურ ორგანიზმზე - თავისებურ სუბკულტურაზე“ მსჯელობს და ხეობაში მოქმედ სინკრეტული რელიგიური რწმენა-ჩვეულებების მნიშვნელოვან როლს განიხილავს, რომელმაც არსებობის საკმაოდ რთული გზა გაიარა, განსაკუთრებით უკანასკნელ წლებში, როცა „რელიგიურმა განხეთქილებამ“ დაარღვია საუკუნეების მანძილზე არსებული და ბოლო ხანებამდე მოქმედი ტრადიციული ნორმები“ (სარეცენზიო ნაშრომი გვ. 175).

ნაშრომის ამ თავში, მსოფლიო ანთროპოლოგიაში „აგრესიის თეორიის“ შესახებ არსებული მნიშვნელოვანი თეორიების განხილვით და შედარების მეთოდით, ლ. მელიქიშვილი ხსნის აგრესიის და ძალადობის ფენომენს, როგორ აყალიბებს „მტრის ხატი“ უარყოფით სტერეოტიპულ აზროვნებას, ეს კი ხელს უწყობს დეჰუმანიზაციის პროცესს“, აღწერს ეთნიკური კულტურების ღია და დახურულ სისტემებს, კულტურული კონფლიქტის განსხვავებულ სპეციფიკას, სადაც „საკუთარი ღირებულებების გადასინჯვა და უცხო ღირებულებების შეფასება საკუთარი ღირებულებებიდან გამომდინარე“ ხდება, რა არყევს საერთო ღირებულებებს, აღნიშნავს კულტუროლოგიის წვლილს ამ ფენომენების შესწავლაში და ა.შ. (მომხრე თუ მოწინააღმდეგე თვალსაზრისების აღწერით).

პანკისის საზოგადოების „პილოტაჟური დაკვირვების“ და შესწავლის საფუძველზე, საბოლოო დასკვნა მეცნიერის ასეთია: პანკისის საზოგადოების დახურული კულტურული სისტემა ხელს უშლის შემოქმედებით ცვლილებებს.

„კულტურა არ მიდის ღიაობისკენ, პირიქით იხურება - იკეტება. ეს კი ხელს უშლის დემოკრატიზაციის პროცესს, რეფორმების გატარებას, რასაც თან ერთვის კრიმინალიზაცია... საქართველოს სახელმწიფოს უსაფრთხოებისათვის ყოველივე ეს უარყოფითი მოვლენაა“.

მინდა შეგახსენოთ, რომ პროექტი 2000-2002 წლებში განხორციელდა და ლ. მელიქიშვილის მეცნიერული პროგნოზი გამართლდა. მაგრამ დღეს პანკისში სულ სხვა საზოგადოებაა და მკვლევარი მიიხნევს, რომ საჭიროა მიმდინარე პროცესების კვლავ საფუძვლიანი შესწავლა კვლავაც გაგრძელდეს (სარეცენზიო ნაშრომი გვ. 204).

წიგნის **მესამე ნაწილი** ქვემო ქართლის ეთნოლოგიურ შესწავლაზე, სხვადასხვა მეთოდით კვლევის შედეგების წარდგენას ეხება. პროექტი 2008-2011 წლებში ხორციელდებოდა.

საკვლევად შერჩეული იქნა ქვემო ქართლის 6 რაიონი - წალკა, თეთრიწყარო, გარდაბანი, ბოლნისი, მარნეულის, დმანისი, რომლებიც მკვლევრის თვალსაზრისით, გამორჩევა: სასაზღვრო ზოლში ახერბაიჯანელების და სომხების კომპაქტური დასახლებით; პოლიეთნიკურობით; მულტი-კულტურალიზმით; პოლიკონფესიურობით.

მიღებული შედეგები მეცნიერმა წარმოადგინა როგორც ინტერვიუების სახით, ასევე თეორიული კვლევის რამდენიმე ასპექტში, რომელმაც კიდევ ერთხელ დაგვანახა - ეროვნული უსაფრთხოების ჭრილში განხილული კონცეფცია, რომელიც ქვეყნისათვის „სახელმწიფოს მართვის ძირითად პრინციპად გვევლინება (სარეცენზიო ნაშრომი გვ. 206).

დღეს, ნებისმიერი მეცნიერების დარგი კვლევას კომპლექსური მეთოდებით ახდენს. ეს კარგად ჩანს სარეცენზიო წიგნის მაგალითზე. ლ. მელიქიშვილი, თვალსაჩინოებისათვის, მსოფლიო სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებულ თეორიებს და ცნობილი მეცნიერების თვალსაზრისებს განიხილავს, შედარებითი მეთოდის საშუალებით უმნიშვნელოვანეს დასკვნებს აკეთებს და შესაბამის რეკომენდაციებს გვთავაზობს.

ზემოთ აღნიშნული რეგიონის მახასიათებელი განსაკუთრებულობის განხილვისას, მეცნიერი ღრმად აანალიზებს სირთულეებს, რომელსაც იწვევს ეკომიგრაცია, არსე-

ბული ჯგუფების რელიგიური ორიენტაცია, პოლიეთნიკური საზოგადოებისათვის დამახასიათებელი მთელი რიგი პრობლემები, რომლებიც „რთულ გარემოს ქმნის სახელმწიფოში მიმდინარე რეფორმების წარმატებით განხორციელებისათვის“ (სარეცენზიო ნაშრომი გვ. 208).

ეთნოჯგუფების ურთიერთობის პროცესში „ეთნიკური იდენტობის და კულტურული ფაქტორების“ საკითხის ანალიზისათვის მკვლევარი ღრმად წვდება იდენტობის მრავალგვარ ბუნებას, ინდივიდის ეთნოსთან იდენტიფიკაციის სტრუქტურაში გამოყოფს ორ ძირითად კომპონენტს - კონიტურს და აფექტურს, ხსნის ეთნიკურობის ჩამოყალიბებას, როდის და როგორ ხორციელდება და სხვ.

ჩემთვის, როგორც კულტურის სფეროს მკვლევრისათვის, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და საყურადღებოა ის, რომ მეცნიერი ეთნიკურ იდენტობას კულტურის ჭრილში შეისწავლის, რაც კიდევ უფრო მეტ ღირებულს ხდის მის მიერ შესრულებულ ნაშრომს. რადგან ყველამ ვიცით, მაგრამ გაახრებელი ძალიან ცოტას აქვს, რომ - „ეთნიკური იდენტობა კულტურული ფაქტორებითაა განპირობებული. კულტურული იდენტიფიკაცია კი არის კონკრეტულ კულტურაში ადამიანის თვითშეგრძნება. მიეკუთვნებოდე რაიმე საზოგადოებას, გაერთიანებას, ჯგუფს - ესაა ადამიანის ფუნდამენტალური მოთხოვნილება - ავილაცია“ (სარეცენზიო ნაშრომი გვ. 210).

დარწმუნებული ვარ, უკვე დიდი ხანია დადგა დრო, რომ კულტურულ უფლებებზე გახშირდებს მსჯელობა, კვლევა. ლ. მელიქიშვილმა ტრადიციული კულტურის და საზოგადოების ურთიერთდამოკიდებულების მრავალწახნაგოვან ასპექტში წარმოიჩინა, შეძლო ღრმა და საფუძვლიანი შრომით მიღებული შედეგი დაედო საზოგადოებისათვის.

მინდა შეგახსენოთ, რომ ადამიანის უფლებათა სისტემაში, **კულტურული უფლებები** კონკრეტულ კატეგორიას წარმოადგენს. ის ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 27-ე მუხლში და ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა საერთაშორისო პაქტის მე-15 მუხლშია წარმოდგენილი. მაგრამ რაოდენ სამწუხაროა, რომ ორივე დოკუმენტში, **კულტურული უფლებები - უფლებათა**

**ჩამონათვალის ბოლოშია მოქცეული.** მისი ასეთი „კინობითი მნიშვნელობა“ ადამიანის უფლებათა როგორც თეორიაში, ასევე პრაქტიკაში არც პირველია და არც უკანასკნელი. ადამიანის კულტურულ უფლებებს უმნიშვნელო ყურადღება ექცევა. ასე იყო იმ დროსაც, როცა ეს ორი დოკუმენტი შეიქმნა, ასეა დღესაც. ინტერესი გაიზარდა, როცა ყურადღება გამახვილდა - ადამიანების კულტურულ ცხოვრებაში მონაწილეობის მიღების უფლებაზე, რომელიც თავისთავად გულისხმობდა: ეთნიკური ჯგუფების წევრების უფლებას - **დაიცვან და განავითარონ თავიანთი კულტურა.** სხვადასხვა კულტურულ ორიენტაციათა შორის ბრძოლა - მრავალი საზოგადოების პრობლემაა. განსაკუთრებით მაშინ, როცა „საკუთარ“ და „უცხო“ კულტურას შორის განსხვავებაზეა საუბარი. საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ - კულტურულ უფლებათა პრობლემა მაღალი კონფლიქტურობით ხასიათდება. **თუ ჩვენ გვინდა, უკეთ გავიგოთ ინდივიდუალური კულტურული უფლებების მნიშვნელობა, ამას მხოლოდ მაშინ შევძლებთ, როცა კულტურის განსხვავებულ მნიშვნელობებს ერთმანეთს დაუწყევშირებთ და მასში ინდივიდის როლს გამოვეყოფთ.** რადგან ინდივიდი - კულტურის შემოქმედი. მრავალეთნიკურ გარემოში, ეს ინდივიდები, სწორედ იმ კულტურის შენარჩუნებას ცდილობენ, სადაც მათი ფორმირება მოხდა, თვითმყოფადობის შენარჩუნებას იმ კულტურულ ტრადიციებში პოულობენ, რომელშიც ის დაიბადა და აღიზარდა. ამ ყოველივეს კი - მათი ღირსებისათვის აქვს უდიდესი მნიშვნელობა. თუ ამ თვალსაზრისს განვავრცობთ, იმ ერთმნიშვნელოვან დასკვნამდე მივალთ, რომ - „კულტურულმა უფლებების“ დაცვამ და ინპლემენტაციამ პრიორიტეტი უნდა მიანიჭოს პირის საკუთარი კულტურისადმი ხელმისაწვდომობას, შესწავლას, ამ კულტურის გავრცელებას და მის შემდგომ განვითარებაში - **მონაწილეობის უფლებას, რომელიც შესაძლებელია, ზოგ შემთხვევაში, დაძაბულობის გამომწვევი მიზეზიც კი გახდეს.**

რაც შეეხება სარეცენზიო წიგნის მესამე ნაწილს, ის დაყოფილია რანდენიმე თავად, რომელთა შორის გამოირჩევა ქსენოფობიის და ტოლერანტობის პრობლემატიკასთან

დაკავშირებული სახელმწიფოებრივი მიდგომების კრიზისის გამოწვევების განხილვა. დრმა ანალიზის საშუალებით ხსნის, რომ „ყველა ეტაპზე, საზოგადოებას თან ახლავს სოციალური წინააღმდეგობები“, რომლის მიზეზად „საზოგადოებრივი მორალის მოუწესრიგებლობას“ ასახელებს და მიაჩნია, რომ ვინაიდან „თვით საზოგადოება არის დინამიური, მუდმივცვლადი სისტემა... ახალი პირობები მუდმივად მოითხოვს ახალ კანონებს. თუ საზოგადოებაში არ არის ამ ცვლილებების (ანუ ახლის მიღების და ძველის შეცვლის) პირობები, მაშინ ჩნდება დაპირისპირება... სამართლებრივ სახელმწიფოში უნდა მოქმედებდეს მორალურ პრინციპებზე დაფუძნებული კანონები. როდესაც სახელმწიფოს კანონები ეყრდნობა მორალს, საზოგადოებაში იგრძნობა განვითარება და კეთილდღეობა“, რა არის ქსენოფობია, განსაკუთრებით მაშინ, როცა მისი საშუალებით ხდება „მტრის ხატის“ შექმნა, რა განსხვავებული, სპეციფიკური მახასიათებლები გააჩნია კულტურულ კონფლიქტს, რა არის ტოლერანტობა და როგორ ვლინდება ის სახელმწიფოს შიგნით სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფებს შორის (სარეცენზიო ნაშრომი გვ. 226-247).

ქვემო ქართლში ეთნოლოგიური კვლევების ჩატარებამ, გამოკვეთა არა ერთი პრობლემა და - თანაცხოვრების შიში! რაც მათ ინტეგრაციას უშლის ხელს. თუმცა საკვლევ რეგიონში მუშაობისას, მიუხედავად ეთნოჯგუფების არსებული დაპირისპირებისა, ლ. მელიქიშვილის თვალსაზრისით, ერთი რამ მაინც შეიგრძნებოდა - ეს იყო ტოლერანტობა, მცირე დოზით, მაგრამ მაინც.

ნაშრომის მესამე ნაწილს, დანართის სახით, თვალსაჩინოებისათვის, სხვადასხვა რეგიონში ფოკუს-ჯგუფებთან ჩატარებული ინტერვიუების, ტესტების ნიმუშები ახლავს და მეცნიერის 2008-2009 წლების ექსპედიციის შედეგების მიხედვით შედგენილი დასკვნით მთავრდება.

წიგნში საკმაოდ დიდი ნაწილი ეთმობა დანართის სახით წარმოდგენილ საინტერესო მასალას: დანართი: I ნაწილი - გამოსვლები და ამონარიდები რეცენზიებიდან (ქართულ ენაზე); დანართი: II ნაწილი - ჯავახეთის და პანკისის ხეობის პროექტების რუსულენოვანი ანგარიშები

წარმოდგენილი; დანართი: III ნაწილი - პროექტების განხორციელების ხელშეწყობის მიზნით, სხვადასხვა სახელმწიფო და სამთავრობო უწყების, საელჩოს და არასამთავრობო ორგანიზაციების ხელმძღვანელობასთან მიმოწერითი სახის წერილები. დანართი: IV ნაწილი - ჯავახეთში განხორციელებული პროექტების შესახებ მასმედიაში გამოქვეყნებულ მასალას ეძღვნება, ხოლო დანართი: V ნაწილი - პანკისის ხეობას. ასევე თვალსაჩინოა გამოყენებული ლიტერატურის სიაც.

წიგნის - „ტრადიციული კულტურა და საზოგადოება“ ავტორი ისტორიულ-ეთნოგრაფიული კვლევით მოპოვებული მასალის შესწავლით და შედარებითი ანალიზის გამოყენებით, ერთმნიშვნელოვან დასკვნამდე მიდის: „საქართველოს საზოგადოებამ ახალი გზების ძიებაში მრავალი რამ გადაიტანა, მაგრამ მაინც ვერ მოძებნა ფუნდამენტური იდეა, რომელიც გააერთიანებდა ხალხს - საზოგადოებას. ის კი არა, სახელმწიფო მოხელეებისა, მთავრობის და, თუ გნებავთ, მეცნიერების მიერაც კი ჯერჯერობით არ შეიქმნა საზოგადოების განვითარების მისაღები მოდელი ან თეორია. გლობალიზმის და ლოკალიზმის პრობლემები სახელმწიფოში თავს ვერ აღწევენ ანარქიულ სიტუაციას. ეს პროცესი ძალზედ ძნელი დასაძლევია და საზოგადოებისათვის მტკივნეულიც კი აღმოჩნდა. ერთი მხრივ გლობალიზაციის ღირებულებების შემოჭრა და მეორე მხრივ, შიდალოკალური საზოგადოების განვითარების სტრუქტურა დროში წელავს ერთიანი, გამართული, მისაღები სტრუქტურის ჩამოყალიბებას“... (სარეცენზიო ნაშრომი გვ. 246-247).

მძიმე და რთული რეალობაა არა?! მაგრამ მეცნიერი ერის იმ ღირსებას ეხება, რაც ასე ძვირფასია ჩვენთვის - ტოლერანტობა თავისი ძირეული მნიშვნელობით. „სიკეთე და ბოროტება ყოველთვის არსებობდა. ეს საპირისპირო ტენდენცია არც ახლა არის უცხო ჩვენი საზოგადოებისათვის...ჩვენს საზოგადოებას არც იმის პრეტენზია გააჩნია, რომ სრული ჰარმონიულობა იქნება ოდესმე (ამას ქართული საზოგადოება კარგად ხედავს), მაგრამ თუ ტრადიციულ ტოლერანტულ კულტურას არ დავუბრუნდით, ყველაფერი დამანგრეველ ძალას თუ დავუთმეთ, ჩვენი სა-

ზოგადობა არ გადარჩება. მაგრამ ასეთი მომენტი საქართველოს ისტორიის მანძილზე მრავლად ჰქონია და იმედია, რომ ახლაც გაუშვლავდება“ - ასკენის მეცნიერი და მიიხნევს, რომ ტოლერანტობა, ანუ „მოთმენა“, რომელიც „გადარჩენის ერთ-ერთი ნორმაა“ და ასევე, „კაცობრიობის გადარჩენის ფუნდამენტური იდეაა“, ის ჩვენს ერში, ქვეყანაში სუსტად, მაგრამ მაინც არსებობს! (სარეცენზიო ნაშრომი გვ. 247).

როგორც დასაწყისში აღვნიშნე, საინტერესოა წიგნის სტრუქტურა. მაგრამ წიგნის წაკითხვის და შესწავლის შემდეგ მივხვდი, რომ მეცნიერის მიერ წარმოდგენილი შინაარსი და თანმიმდევრობა - საოცრად ორიგინალურია. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი აღმოჩნდა წიგნის დასასრულს წარმოდგენილი „ბოლოთქმა“, რომელსაც მე-20 საუკუნის ერთერთი ცნობილი ინგლისელი (წარმოშობით ახალი ზელანდია, ოკლენდი) სოციოლოგის, სიდნეის ანთროპოლოგიური კვლევითი კომიტეტის დირექტორის (Anthropology Research Committee), ლონდონის ეკონომიკის სკოლის სოციალური ანთროპოლოგიის პროფესორის **რაიმონდ ფერტის** (Raymond Firth) სიტყვებით იწყება: “ისტორიკოსი შესაძლოა იყოს სმენადახშული, იურისტი - უჩინო, ფილოსოფოსი - ერთიცა და მეორეც, მაგრამ ეთნოგრაფს უნდა ესმოდეს ის რასაც ხალხი ამბობს და ხედავს იმას, რასაც ხალხი აკეთებს“...

მეცნიერმა ღია მელიქიშიდმა არა მარტო ემპირიული კვლევის შედეგები დაგვიდო თვალსაჩინოდ, არამედ მის მიერ მოცემული დასკვნა-რეკომენდაციების საშუალებით, საუკეთესო და მნიშვნელოვანი რეფორმების ჩატარება შეიძლება ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ. წიგნში წარმოდგენილ დასკვნებში მკვეთრად გამოიკვეთა, რომ ჰუმანიტარული მეცნიერების მიმართ, სახელმწიფოს დამოკიდებულება - შესაცვლელია! რომ ეთნოლოგიის და ქართველი მეცნიერების თანადგომით - „დროის მოთხოვნათა შესაბამისად, მნიშვნელოვანია ეთნოლოგიის მიმდინარე ცხოვრებისეული საკითხების გადაჭრაში აქტიური ჩარევა. ახალმა სოციალურმა აზროვნებამ უნდა ჩამოაყალიბოს თეორიული და პრაქტიკული საფუძვლები, რომლებიც საზოგადოე-

**ბის სოციალური დეზორგანიზაციიდან სოციალურ წესრიგთან მიიყვანენ“** (სარეცენზიო ნაშრომი გვ. 421).

დასასრულს, საგანგებოდ კიდევ ერთხელ მინდა აღვნიშნო, რომ სარეცენზიო წიგნი „ტრადიციული კულტურა და საზოგადოება“ მაღალ მეცნიერულ დონეზეა შესრულებული, რაც ინფორმაციულობის მაღალ ხარისხით, მასში გამოყენებული სამეცნიერო ლიტერატურის რაოდენობით და მაგალითების სიუხვითაა განპირობებული. ვფიქრობ, ყოველივე ზემოაღნიშნულს თუ მიუკერძოებლად შევაფასებთ, იმ მართებულ დასკვნამდე მივალთ, რომ ღია მედიქიშივილის „ტრადიციული კულტურა და საზოგადოება“ უახლესი ქართული საისტორიო, ეთნოლოგიის, კონფლიქტოლოგიის, კულტურის სოციოლოგიის, მეცნიერებათა სხვადასხვა მიმართულებებისათვის დიდი შენაძენია და საზოგადოება უდიდესი ინტერესით გაეცნობა.

როგორც უკვე ითქვა, ეს პირველი თეორიული ნაშრომია ქართულ სამეცნიერო სივრცეში, რომელიც საკვლევ საკითხთან დაკავშირებით, ძალიან მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწოდის. მრავალმხრივი მასალა სისტემაში იქნა მოყვანილი და ძიებანი თავისი კომპლექსური კვლევებით და ახლებური გააზრებით წიგნის სახით მომზადდა, რომელიც ქართული ჰუმანიტარული მეცნიერებისათვის დიდი შენაძენია. აქ თავმოყრილ მასალას უდიდესი მნიშვნელობა აქვს როგორც დარგის სპეციალისტებისათვის, ისე ხელისუფლების წარმომადგენლებისათვის, ვის ხელშიცაა დღეს ქვეყნის მართვის ბერკეტებიც, ბედ-იღბალიც და რასაკვირველია, სტუდენტი-ახალგაზრდობისათვის.

ვიმედოვნებ, წიგნი კულტურით დაინტერესებულ მიკითხველის ინტერესის ობიექტი გახდება, რადგან ვფიქრობ, რომ სკრუპულოზურად შესწავლილი „მრავალპროფილიანმა პრობლემემატიკამ“ მეცნიერს საკუთარი აზრის დამკვიდრების საშუალება მისცა - ზუსტად ფორმულირებული და დასაბუთებული კრიტიკრიუმებით.

თბილისი,  
მარტი-მაისი, 2020 წელი



**THE ISSUE OF THE PEACEFUL COEXISTENCE AND  
INTEGRATION OF CULTURES**

In the polytheistic society Review of Lia Melikishvili's  
book "Traditional Culture and Society"

Lia Melikishvili's review book "Traditional Culture and Society", Tbilisi, 2019, 436 pages, Editors: Academician of the Georgian National Academy of Sciences, Vice President Roin Metreveli, Academician of the Georgian National Academy of Sciences Davit Muskhelishvili, Reviewers: Dr. of History science Tamila Tsagareishvili, Dr. of History science Lavrenti Janiashvili, Dr. of history Natia Jalabadze (PhD), the Caucasus peoples, Scientific-Research International Institute, ISBN 978-9941-485-69-5 - As the title suggests, The book is dedicated to study of the role of the traditional culture in the process of forming a new society.

The book presents for years results of the study Polyethnic Society of the Border Region of Georgia. Scientist implemented four projects in these regions, gives us along with the visible material and analysis of the results of the study.

This is a great importance research in the Georgian scientific space.


With its complex research and new understanding of problematic, the book is a great acquisition for Georgian (and not only Georgian) Humanitarian Science.

The material gathered here are matters a lot for specialists in the field, also for government officials, for student-youth.

დამოწმებული წყაროები, ლიტერატურა და  
ინტერნეტ-რესურსი:

1. Ю.В.Арутюнян, Л.М.Дробижева, А. А.Сусоколов. «Этносоциология». - М., 1998.
2. Мамардашвили М.К. „Как я понимаю философию“ – Москва: Прогресс, 1990.
3. „ევროპული პასუხისმგებლობა“. მერაბ მამარდაშვილის 80 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები. 2011
4. ეთნოსები საქართველოში. 2008.  
[http://www.pmmg.org.ge/resuploads/Etnosebi\\_Saqartveloshi.pdf](http://www.pmmg.org.ge/resuploads/Etnosebi_Saqartveloshi.pdf)  
ნახვა: 07.04.2020
5. ნეილ სმელზერი. კულტურა და საზოგადოება.  
<http://socium.ge/downloads/socshesavali/kultura.pdf>  
ნახვა: 07.04.2020
6. <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=3706>
7. ვლადიმერ გამსახურდია. ქართველთა ეთნიკური იდენტობის ასპექტებისა და სტრუქტურის კვლევა მოდერნულ კონტექსტში. 2016. ნახვა: 05.04.2020. [http://press.tsu.ge/data/image\\_db\\_innova/disertaciebi\\_fsiqologia/vladimer\\_gamsaxurdia.pdf](http://press.tsu.ge/data/image_db_innova/disertaciebi_fsiqologia/vladimer_gamsaxurdia.pdf)
8. ქეთევან ახოზაძე. სახელმწიფო და კულტურის პოლიტიკა. 2018. 210 გვ.

## ისტორიის ინსტიტუტის ისტორია



*რედკოლეგიისგან: „ანალები“ წინა ნომერში წარმოვადგინეთ მასალები, თუ როგორ ჩატარდა კონკურსი ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში 2006 წელს. ახლა გთავაზობთ მასალას, თუ როგორ ჩატარდა კონკურსი ისტორიის და ეთნოლოგიის ინსტიტუტში 2018 წელს.*

საქართველოს სახალხო დამცველს

ქალბატონ ნინო ლომჯარიას

განმცხადებელი: ალექსანდრე დაუშვილი

### გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

1. ფაქტობრივი გარემოებების აღწერა: მოგახსენებთ, რომ 1974 წლიდან 2006 წლამდე ვმუშაობდი ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში, 1997 წლიდან 2006 წლამდე – დირექტორის მოადგილედ სამეცნიერო დარგში. 2006 წელს ინსტიტუტის ახალი ხელმძღვანელობის მიერ განხორციელებული რეფორმისა და სუბიექტურად გადაჭრილი საკადრო პოლიტიკის გამო (ლომაია-შაშკინის რეფორმები) ინსტიტუტის მიღმა აღმოვჩნდი. 2006 წლიდან დღემდე ვმუშაობ საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასთან არსებულ ქრისტიანული კვლევის საერთაშორისო ცენტრის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობაზე.

2018 წლის ზაფხულში მონაწილეობა მივიღე თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახ. უნივერსიტეტის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილებაში

არსებულ მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის ვაკანსიის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში.

კონკურსში მონაწილეთა საქმეებს სწავლობდა უნივერსიტეტის რექტორის მიერ დამტკიცებული კომისია ზაალ აბაშიძის ხელმძღვანელობით. კონკურსში მე ვერ გავიმარჯვე და ვაკანსია დაიკავა დოდო ჭუმბურიძემ. რადგან ეჭვი დამებადა კომისიის კომპეტენტურობაზე და მიუკერძოებლობაზე, გამოვითხოვე ჩემი კონკურენტის დოდო ჭუმბურიძის მიერ საკონკურსოდ შეტანილი მასალები (CV თან ერთვის) და დეტალურად შევისწავლე ის.

როგორც დავადგინე დ. ჭუმბურიძეს, კომისიის წევრების შეცდომაში შესაყვანად, ჩადენილი აქვს სიყალბე – 2008-2018 წლების პუბლიკაციების რაოდენობის ხელოვნურად გაზრდის მიზნით სამეცნიერო შრომების ჩამონათვალში ერთი წიგნის („საქართველო-რუსეთის ურთიერთობა მე-18-21 საუკუნეებში“) 34 პარაგრაფი (იხ. დ. ჭუმბურიძის დანართი № 1; №№12-45) და მეორე წიგნის („რუსული კოლონიალიზმი საქართველოში“) 3 პარაგრაფი (იხ. დანართი №1, №№94-96) გასაღებული აქვს დამოუკიდებელ სამეცნიერო სტატებად, რამაც მისი ავტორობით გამოქვეყნებული დამოუკიდებელი ნაშრომების რაოდენობა მნიშვნელოვნად გაზარდა.

მის მიერ პუბლიკაციების რაოდენობა გაზრდილია იმის ხარჯზეც, რომ ჩამონათვალში შეტანილია ისეთი კონფერენციის მასალები, რომლებიც არ იძებნება Google Scholar-ში და, ამდენად, არ უნდა ყოფილიყო გათვალისწინებული საკონკურსო კომისიის მიერ. აქვე უნდა დავაკონკრეტო, რომ დ. ჭუმბურიძე არის არა 6, არამედ 5 მონოგრაფიის (მათ შორის 3 – კოლექტიური მონოგრაფიის) ავტორი/თანაავტორი და სტატიების ორი კრებულის ავტორი.

ასეთმა სიყალბემ, ერთი მხრივ, და კომისიის წევრების კონკურსანტთა პირად საქმეებში ჩაუხედაობამ, მეორე მხრივ, კომისიის წევრს ათქმევინა, რომ „ა. დაუშვილი წარმოდგენილი მონოგრაფიების თანაავტორია, დ. ჭუმბურიძე - არა“ (იხ. შემაჯამებელი ოქმი, გვ. 5) და საქმეც დ. ჭუმბურიძის სასარგებლოდ გადაწყდა.

ამის ფონზე, რომ კომისიამ არ გაითვალისწინა ჩემი პუბლიკაციები უცხოეთში მაღალრეიტინგულ გამომცემლობაში (რაც კონკურსის ერთ-ერთი მთავარი პირობა იყო), ციტირების გარკვეული მაჩვენებლის არსებობა (Google Scholar-ის ციტირების ინდექსი – 1, H ინდექსი – 1, Web of Science-ის ბაზის მონაცემით ციტირების ინდექსი - 4); Scopus-ის ბაზაში ჩემი ნაშრომების ფიქსაცია (მაშინ, როცა დ. ჭუმბურიძის ნაშრომები იქ არ იქებნება), ასევე ჩემი მონოგრაფიები (დამოუკიდებელი და კოლექტიური) და ა.შ.

დ. ჭუმბურიძე ჩამოთვლის იმ საერთაშორისო კონფერენციებს, რომლებშიც მას მონაწილეობა აქვს მიღებული; თუმცა მათი გეოგრაფიული არეალი გორსა და ბათუმს შორის არის განფენილი. არც ერთი მოხსენება უცხოეთში წაკითხული მას არა აქვს.

სამაგიეროდ, რატომღაც საერთოდ არ არის გათვალისწინებული საზღვარგარეთ სამეცნიერო მივლინებების დროს ჩემს მიერ გაკეთებული მოხსენებები (მიუნხენში, მოსკოვში, ერევანში), საერთაშორისო დისკუსიებში (ქართულ-გერმანულ) მონაწილეობა და ა.შ. და ა.შ.

ასევე უყურადღებოდ არის დატოვებული ჩემს მიერ მოპოვებული სამეცნიერო გრანტების უპირატესი რაოდენობა (9 საგრანტო პროექტი ბოლო 10 წლის მანძილზე, მაშინ როცა ჩემს კონკურენტს მითითებული აქვს მხოლოდ 6). ამასთან, მეექვსე პროექტი არ არის საგრანტო – ის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის საპროგრამო დაფინანსებით არის შესრულებული (ისე, რომ, ამ შემთხვევაშიც ჩემს ოპონენტს შეცდომაში შეჰყავს კომისია).

ასევე უგულვებელყოფილია საისტორიო დარგში ჩემი კონკრეტული აღმოჩენები და მიგნებები, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მიერ ჩემთვის **ისტორიის დარგში ექსპერტის წოდების მონიჭება** და ა.შ

რაც შეეხება ჩემი კვლევების მნიშვნელობას ქართული ისტორიოგრაფიისათვის, რასაც მიწუნებს კომისიის ერთ-ერთი წევრი, შეიძლება აღვნიშნო შემდეგი:

1. მე პირველმა საქართველოში შევისწავლე მონოგრაფიულად 1937 წლების მასობრივი რეპრესიები თბილისის სამრეწველო საწარმოების მასალების მიხედვით, და-

ვადგინე რეპრესირებულთა 1000 კაციანი სია. (იხ. „თბილისი – 1937“, თბ., 1997).

2. საქართველოს უახლესი იტორია, რომელიც შეწყვეტილი იყო 1975 წელზე, მე შევეისწავლე და მოვიტანე ის 2004 წლამდე (იხ. „საქართველოს უახლესი ისტორია (თანაავტორი მ. ნათქვამაძე, თბ., 2004.)

3. პირველად საქართველოში მონოგრაფიულად შევეისწავლე „კულაკების“ სოციალური კატეგორია, მისი განვითარების თავისებურებები (იხ. „კულაკები“ საქართველოში, თბ., 2016 წ.);

4. პირველმა ქართველ ისტორიკოსთა შორის (კ. წენგუაშვილთან ერთად) ვიმუშავე ლ. ტროცკის პირად არქივში მოსკოვის სოციალურ-პოლიტიკური ისტორიის ცენტრალურ არქივში (ყოფილი პარტიული არქივი). არქივში აღმოჩნდა ქართველი პოლიტპატიმრის ანდრო ჭიაბრიშვილის რამდენიმე წერილი ტროცკისადმი, რომელიც შეიცავს უნიკალურ მასალას საქართველოს უახლესი ისტორიის შესახებ.

5. მოსკოვის არქივში მუშაობის დროს სერგო ორჯონიკიძის პირად ფონდში აღმოვაჩინე ქართველი ბოლშევიკების: ცინცაძის, დუმბაძის და სხვათა საიდუმლო დეპეშები საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ინტერესების საზიანოდ (იხ. პუბლიკაცია: დეპეშები სრულიად საიდუმლოდ – სერგო ორჯონიკიძის პირადი არქივიდან“, „ანალები“ 2007, №1. გვ. 370-1395).

6. მოსკოვის არქივში მუშაობის დროს მივაგენი და საქართველოში ჩამოვიტანე ი. სტალინის 1923 წელს პარტიის XII ყრილობის სპეციალურ კომისიაში ეროვნებათაშორისო ურთიერთობის საკითხებზე გამოთქმული სრულიად უცნობი შესხედულებები, რომელმაც შეცვალა ჩვენი წარმოდგენები ამიერკავკაიის ფედერაციისა და სსრკ შექმნასთან დაკავშირებით (იხ. პუბლიკაცია სოსო ჯუგაშვილის ამბავი, წიგნი III (ქართული საქმე), თბ.,2007. გვ. 238-261).

7. საქართველოს ყოფილ პარტიულ არქივში აღმოვაჩინე ლ. ბერიას საიდუმლო წერილი სტალინისადმი 1937 წლის რეპრესიების სტატისტიკით. (იხ პუბლიკაცია: საქართველოში კომუნისტური ტერიორის ისტორიისათვის (ლ. ბერიას საიდუმლო წერილი)“ „ანალები, 2001, №1.

8. 2016-2017 წლებში თელავის რეგიონალურ არქივში მუშაობისას მე აღმოვაჩინე მასალა, რომელიც იძლევა ე.წ. „საკარმიდამო მამულის“ გენეზისისა და საქართველოს სოფელში XX ს. 30-იან წლებში მიმდინარე პროცესების ობიექტურად შეფასების შესაძლებლობას (იხ. პუბლიკაცია: ქართული სოფლის ტრადიციული სამეურნეო კულტურა დ მისი განვითარების პერსპექტივები, თბ., 2018 (თანაავტორი) და ა.შ. (დეტალურად, იხ. ა. დაუშვილის CV)

უკვე გამოქვეყნებული შედეგები და დასკვნითი ოქმი, ასევე ჩემი კონკურენტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების გაცნობა მაძლევს საფუძველს შევიტანო ეჭვი საკონკურსო კომისიის ზოგიერთი წევრის კეთილსინდისიერებაში, რაც გამოვლინდა შემდეგში:

1. კომისიის ამ წევრებმა ვერ შეამჩნიეს დ. ჭუმბურიძის მიერ წარმოდგენილ, სამეცნიერო მუშაობის ამსახველ დოკუმენტებში მიზანმიმართულად დაშვებული გაყალბება;

2. საეჭვოდ უგულებელყვეს ჩემს მიერ 10 წლის მანძილზე ჩატარებული სამეცნიერო-კვლევითი და სამეცნიერო ორგანიზაციული მუშაობის ძირითადი შედეგები.

როცა ეს დასკვნა გავაკეთე, მე მივმართე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს ბატონ გ. შარვაშიძეს განცხადებით, რომელშიც ჩამოვაყალიბე ჩემი პრეტენზიები და ვთხოვე უკვე შექმნილ სააპელაციო კომისიას (ზ. აბაშიძის კომისიის მიმართ პრეტენზიები სხვა პრეტენდენტებსაც ჰქონდათ) განეხილა ჩემი განცხადება.

სააპელაციო კომისიამ (ხელმძღვანელი პროფ. გ. ოთხმეზური) სხვებთან ერთად განიხილა ჩემი პრეტენზიებიც და ჩემი სუბიექტური აღთქმით – მე ასე მომეჩვენა, რომ სააპელაციო კომისიამ პირად საუბარში გაიზიარა კიდევ ჩემი შეხედულებები. მაგრამ სააპელაციო კომისიამ ჩვენი საჩივრები გადაუგზავნა საკონკურსო კომისიას, რომელმაც ჩემთან დაკავშირებული შეხედულება არ შეიცვალა, უბრალოდ წარმოადგინა თავისი „უარის თქმის საფუძველები“ (თან ერთვის).

კომისიის მიერ წარმოდგენილმა „უარის თქმის საფუძველებმა“ მე გამიჩინა უსამართლობის, დისკრიმინაციისა და პოლიტიკური დევნის განცდა. კომისიის მიერ მოტა-

ნილი არცერთი დებულება არ არის დადასტურებული სათანადო არგუმენტით (ჩემი ნაშრომებისა და გვერდების მითითებით). თუ არ ჩავთვლით ერთაბზაციანი დასკვნის პირველ წინადადებას: „**ალექსანდრე დაუშვილი არის საქართველოს უახლესი ისტორიის თვალსაჩინო მკვლევარი**“, ყველა მათგანი არის ცილისწამება, დისკრიმინაცია და სუბიექტური შეფასება.

კომისიის წევრები ვერ მოიტანენ ვერცერთ არგუმენტს, რომ მე ჩემს ნაშრომებში, ჩემი თვალსაზრისით (შეიძლება იყოს ციტირებული სხვა ავტორის თვალსაზრისი) 1924 წლის აჯანყება შევაფასე **ავანტურად** (თუმცა საქართველოში დღესაც იწერება გამოკვლევები ასეთი შეფასებით). მე ვემხრობი იმ მოსაზრებას (რასაც ბევრი უკვე იზიარებს დღეს), რომ აჯანყება იყო პროვოცირებული საბჭოთა ხელისუფლების მიერ. ამის შესახებ მაქვს გამოკვლევები, არგუმენტები შეგროვებული მოსკოვის, თბილისის არქივებსა და წიგნთსაცავებში.

ცილისწამებაა კომისიის მეორე შეფასებაც: „**უარყოფითია მის მიერ ქაქუცა ჩოლოყაშვილის შეფასება**“. 2005 წელს მე ვაიყავი ქაქუცა ჩოლოყაშვილის სამშობლოში გადმოსვენებასთან დაკავშირებით შექმნილი სახელმწიფო სამთავრობო კომისიის წევრი, მე დამევალა სწორედ ქაქუცა ჩოლოყაშვილის გადმოსვენების თარიღთან დაკავშირებით ბიოგრაფიული ნარკვევის მომზადება, რაც ჩემ ასპირანტთან (კობა წინეუაშვილთან) ერთად განვახორციელე კიდევ და ის საკმაოდ დიდი ტირაჟით (3000 ცალი) დაიბეჭდა სახელმწიფოს ხარჯზე. უბრალოდ, კვლევის პროცესში მე სხვადასხვა დოკუმენტური მასალის შეჯერების საფუძველზე, დავაზუსტე ქ. ჩოლოყაშვილის ბიოგრაფიის ზოგიერთი, მანამდე უცნობი დეტალი.

ასევე ცილისწამებაა კომისიის შემდეგი განცხადება „**ერთმნიშვნელოვნად უარყოფითად არის მის მიერ შეფასებული საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას მოღვაწეობა**“. არც ერთ ჩემს ნაშრომში ზვიად გამსახურდია უარყოფითად მე არ შემეფასებია. მე მეცნიერული პოზიციებიდან გაკრიტიკებული მაქვს ზ. გამსახურდიას რამდენიმე სამეცნიერო ნაშრომი (ზ. გამსახურ-



დია სანამ პრეზიდენტი გახდებოდა – მეცნიერი იყო) და არქივებში მოვიძიე მისი მოღვაწეობის ამსახველი რამდენიმე, ისტორიოგრაფიისათვის მანამდე უცნობი დოკუმენტი, რაც კომენტარებით გამოვაქვეყნე.

მიუხედავად ამისა, მაინც მიმაჩნია, რომ ქაქუცა ჩოლოყაშვილიც, 1924 წლის აჯანყებაც და ზვიად გამსახურდიაც საქართველოს ისტორიის კუთვნილებაა და ისტორიკოსს უფლება აქვს მასზე თავისი, ზოგჯერ ბევრისაგან განსხვავებული, მაგრამ არგუმენტირებული აზრი გამოთქვას, პიპოთეზა წამოაყენოს, გამოთქვას თამამი ვარაუდი – სწორედ ეს არის მეცნიერული კვლევა.

მაქვს ეჭვი, რომ კომისიის ეს შეფასება მთლიანად ნაკარნახევია ჩემი ოპონენტის, დოდო ჭუმბურიძის მიერ, რომელიც, როგორც ჩანს, ძალიან ზედაპირულად იცნობს ჩემს ნაშრომებს.

მიმაჩნია, რომ კომისიის შეფასებას აშკარად 1937 წლის რეპრესიების „სუნი“ უდის, სწორედ მაშინ იყო მოდაში ასეთი სიტყვიერი კონსტრუქციები: „ამხ. ალექსანდრე დაუშვილი ავანტურად აფასებს დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციას, უარყოფითია მის მიერ გენიალური ვ.ი.ლენინის შეფასება, სამწუხაროდ ასევე ერთმნიშვნელოვნად უარყოფითად არის მის მიერ შეფასებული პროლეტარიატის დიდი ბელადის იოსებ სტალინის მოღვაწეობა“. XXI საუკუნეში ქართველი ისტორიკოსების ერთი ჯგუფი ზაალ აბაშიძის თავკაცობით ხელმძღვანელობენ 1937 წლის მეთოდებით, ლექსიკით და სრულიად დაუსაბუთებლად „გულაგში“ აგზავნიან სრულიად უდანაშაულო ადამიანებს.

2. მოთხოვნა: ვთხოვ სახალხო დამცველის აპარატს დაადგინოს არის თუ არა კომისიის ქმედებაში უსამართლობა, დისკრიმინაცია, სიტყვის თავისუფლების შეზღუდვა, ჩემი პოლიტიკური დევნის ფაქტი.

ალექსანდრე დაუშვილი

თარიღი: 28.02. 2019.

**შ ი ნ ა ა რ ს ი**

**წლის თემა**

**ბიორბი სოსიაშვილი**

„შავი ჭირის“ ეპიდემია და შიდა ქართლი-----5

**GIORGI SOSIASHVILI**

"BLACK PLAGUE" EPIDEMIK AND SIDA KARTLI-----15

**მსოფლიო ისტორია**

**არჩილ ჩაჩხიანი**

შუა აზიის გასაბჭოების ისტორიისათვის-----17

**ARCHIL CHACHKHIANI**

FOR HISTORY OF SOVIETIZATION OF CENTRAL-----40

**საქართველოს ისტორია**

**მალხაზ მურუსიძე**

როსტომ ხანის მმართველობის შეფასების  
საკითხისათვის-----42

**MALCHAZ MURUSIDZE**

ON THE QUESTION OF ASSESSING THE REIGN  
OF ROSTOM KHAN-----82

**იოსებ ალიმბარაშვილი**

ატენის ქალაქის ადგილმდებრეობისათვის-----85

**IOSEB ALIMBARASHVILI**

FOR THE LOKATION OF THE CITY OF ATENI-----108

**არჩილ ჩაჩხიანი**  
საქართველოს შეიარაღებული ძალების ჩამოყალიბება  
და ჯარების საორგანიზაციო-საბრძოლო  
სტრუქტურა 1918 წელს-----115

**ARCHIL CHACHKHIANI**  
**ESTABLISHMENT OF THE GEORGIAN ARMED FORCES**  
**AND ORGANIZATIONAL-COMBAT STRUKTURE**  
**OF TROOPS ON 1918-----158**

**ოთარ ჯანელიძე**  
საბჭოთა რეჟიმი და მიტროფანე ლაღიძე-----162

**OTAR JANELUDZE**  
**MITROPANE LAGIDZE AND SOVIET REGIME-----194**

### **ეთნოლოგია**

**ნინო ღამბაშიძე**  
**ლიანა მელიქიშვილი**  
ღვთისმშობლისადმი წილხვდომილობა ქართველთა  
მსოფლმხედველობაში-----195

**NINO GHAMBASHIDZE**  
**LIANA MELIKISHVILI**  
**MOTHER OF GOD PROTECTOR AND INTERCESSOR**  
**OF GEORGIA AND GEORGIAN'S MENTALITY-----210**

**ნინო (ნანული) მაისურაძე**  
მუსიკალური აზროვნების განვითარების უძველესი  
ეტაპების შესახებ-----213

**NINO (NANULI) MAISURADZE**  
**ABOUT THE ANCIENT DEVELOPMENT STAGES**  
**OF MUSICAL THINKING (METER AND RHYTHM)-----221**

## ლიტერატურათმცოდნეობა

### ნესტან სულავა

პრონოეტული კონცეფცია არეოპაგიტულ

მოძღვრებაში-----223

### NESTAN SULAVA

THE PRONOETIKAL (PROVIDENCE) CONCEPT

IN THE DOCTRINE OF AREOPAGITICS-----238

## სოციოლოგია

### ლელა მენაბდიშვილი

ქართული ოჯახის გადასვლა ტრადიციული

მოდელიდან ლიბერალურ დემოკრატიულ მოდელზე----241

### LELA MENABDISHVILI

THE TRANSITION OF THE GEORGIAN FAMILY FROM THE  
TRADITIONAL MODEL TO THE LIBERAL DEMOCRATIC

MODEL-----259

## მეცნიერის არქივიდან

### დავით მუსხელიშვილი

გეჭირდება თუ არა საქართველოს

ისტორიის ცოდნა?-----262

## თვალსაზრისი

### გურამ კუთალაძე

ისევ სამცხის ბიეთის ქტიტორის ვინაობისა

და თარიღის შესახებ-----268

GURAM KUTALADZE  
AGAIN ABOUT THE IDENTITY OF THE BUILDER OF  
SAMTSKHE BIETI-----284

**ქართველი მეცნიერი უცხო ენაზე**

NINO GHAMBASHIDZE  
THE “PILGRIMAGE” OF THE DECEASED SOULS TO THE  
WORLD OF HUMANS – AN EXAMPLE OF DEALING  
WITH TRAUMA OF DEATH IN GEORGIAN TRADITION----286

**ნინო ღამბაშიძე**  
მიცვალებულთა „მიმლოცველობა“ საიქიოდან  
საქაოში – სიკვდილის ტრავმასთან ბრძოლის  
მაგალითი ქართულ ხალხურ ტრადიციაში-----296

ALEXANDER DAUSHVILI  
BILDUNG IN GEORGIEN: VON TOTALITARISMUS  
BIS ZUR DEMOKRATIE----- 308

**ალექსანდრე დაუშვილი**  
განათლება საქართველოში: ტოტალიტარიზმიდან  
დემოკრატიისაკენ----- 315

**კრიტიკა და პიპლოგრავია**

**ქეთევან ახოვაძე**  
კულტურათა მშვიდობიანი თანაარსებობის და  
ინტეგრაციის პროლემტიკის საკითხი  
პოლიეთნიკურ საზოგადოებაში-----330

KETEVAN AKHOBADZE  
THE ISSUE OF THE PEACEFUL COEXISTENCE AND  
INTEGRATION OF CULTURES-----361

ისტორიის ინსტიტუტის ისტორია

ბანცხაღება

საქართველოს სახალხო დამცველს

ქალბატონ ნინო ლომჯარიას -----369



გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის ბაზ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30

E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversal@gmail.com